# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი **3** | 1999



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

3 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაგული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### გამოიღვიძე, ქნარო!..

3.ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

### პოეზია და პროზა

7. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
12. ჯემალ ქარჩხაძე. განზომილება. რომანი. დასაწყისი
69. ზურაბ ლობჟანიძე. ლექსები
72. ამირან ხაბაზი. ლექსები
75. ციცი გურიელი. მოთხრობები
80. მანონ ბულისკერია. ლექსები
82. რუსუდან კაიშაური. ლექსები

### ახალი თარგმანები

83. ვიზმა ბელშევიცა. პრანწია. ლატვიურიდან თარგმნა უშანგ სახლთხუციშვილმა

### იგივე კითხვები და იგივე პასუხები...

91. თეიმურაზ მიბჩუანი. ეგრის-აფხაზეთის ტრაგედია

### ჩვენი თანამედროვე

101. ...ანუ კარგი ხართ, მაესტრო! - ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან

### წერილები

107. ზეინაბ კიკვიძე. „სამოსელი პირველის“ სივრცისა და დროის მითოსური ასპექტები
112. თამილა წოწორია. „არის სიტყვები - ალმასები, იაგუნდები, ლალები...“
114. ალექსანდრე ჯიბლაძე. სიყვარული სისხლისაგან იცლება
116. აკაკი მინდიაშვილი. ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ
122. როსტომ ლორთქიფანიძე. ვინ არის მირიანის მამა
127. მანანა იამანიძე. „ქართველი აღმოსავლეთში ყველაზე გულადი ვაჟკაცია“
129. მაღონა ფალავანდიშვილი. ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის თაობაზე

### თანამდევი სული

131. შოთა ბარამიძე. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში

### დიადი იდუმალება

134. ნინო კუნცევა-გაბაშვილი. დუმილისათვის განწირულნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



იერუსალიმი. იაფოს კარიბჭე ძველ ქალაქში.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 110

### დავითის ფსალმუნი

1. უთხრა უფალმა მეუფეს ჩემსას:
დამიჯექ მარჯვნივ,
ვიდრე მოგიდრეკ მოძულეს შენსას
და კვარცხლბეკივით დაგიდგამ ფეხქვეშ.
2. ძლიერების კვერთხს სიონიდან წარმოგიგზავნის
უფალი შენი
და მოშუღართა სამკვიდროში გაბატონდები.
3. შენი ხალხი კი –
თავისივე ნება-სურვილით
მოვა ომის ჟამს სიდიადით გაბრწყინებული
და განთიადის ციური ხაშო
ისევ შეგმოსავს ბავშვობის ნამით.
4. ხოლო უფალმა აღგითქვა ფიცით:
შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე
მელქისედეკის განწესებულებით.
5. შენს მარჯვნივ ჰგიეს უფალი შენი:
ჟამიდან ჟამად აღავლენს რისხვას
და აღიძვრება მეფეების შესამუსრავად.
6. წარმართებს განსჯის,
მკვდრებს დაახვავებს,
სისხლიან თავებს დაანარცხებს დედამიწაზე.
7. დაეწაფება ნაკადულს გზაში
და აღზევდება
მაღლა და
მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფსალმუნი 111
### ალილუია

1. უფალო ჩემო,
მთელი გულით შევასხამ ქებას,
რომ გავუცხადო დიდება შენი
საკრებულოებს,
წმინდანთა დასებს.
2. ფრიად არიან საქმენი უფლის,
მათ სიდიადეს იცნაურებს
მეხოტბე მათი.
3. მშვენობს და ბრწყინავს
მისეული შემოქმედება
და მარად ჰგიეს
სიმართლე მისი.
4. ქმნა სამახსოვროდ თავისივე სასწაულები, –
შემბრალეა და მწყალობელი
ჩვენი უფალი.
5. მოშიშებს მისას
მიაგო საზრდო,
ახსოვს მარადის ჰირობა თვისი.
6. და თავისივე ხალხისათვის წარმოაჩინა
ძალმოსილება საქმეთა მისთა
და დაუმკვიდრა წარმართების სამკვიდრებელი.
7. სიმართლეა და ჭეშმარიტება ნახელავი და
ნაღვაწი მისი
და სარწმუნოა მისეული მცნება ყოველი.
8. შენივთებულან უკუნითი უკუნისამდე
და სამართალს და
ჭეშმარიტებას
დაფუძნებია სიმტკიცე მათი.
9. ხსნა მოუვლინა საკუთარ სამწყსოს,
აღთქმა თავისი განუჩინა უკუნისამდე,
სახელი მისი –
წმიდა და საშიშ...
10. უფლის შიშია სათავე სიბრძნის,
შეიმოსება კეთილი აზრით, ვინც აღასრულებს
მისეულ მცნებებს –
და უკუნითი უკუნისამდე
დაემკვიდრება უნაჰირო დიდება მისი.

## ფსალმუნი 112
### ალილუია

1. ნეტარ არს უფლის მოშიში კაცი,
რომელსაც უყვარს მცნებანი მისნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმძლავროს ქვეყნად
მისეულმა შთამომავლობამ,
კურთხეულ იქმნას მართალთა მოდგმა.
3. სიხარული და ავლადიდება არ მოჰკლებოდეს
სახლეულს მისას
და მარად ეგოს მისეული ჭეშმარიტება.
4. წმინდანისთვის კი
სიბნელესაც გაასხივოსნებს
მწყალობელი და
მრავალშემბრალე,
სამართლიანი უფალი ჩვენი.
5. კარგია კაცი ხელგაშლილი,
კეთილმოწყალე,
ვინც საქმეს თვისას აღასრულებს სამართლიანად.
6. რადგან მართალი
არასოდეს წაიბორძიკებს
და უკუნითი უკუნისამდე
არ მოიშლება მისეული სახსენებელი;
7. არც უკეთურთა უხამსობას
შეეშუება,
რადგან მტკიცეა გულისთქმა მისი
და მინდობია გამჩენის ნებას.
8. გულდაჯერებულს, არმოშიშარს ეიმედება,
რომ მოესწრება მოშუღართა გაცამტვერებას.
9. გასაცემს გასცემს,
განიკითხავს ღარიბ-ღატაკებს,
სიმართლე მისი იბატონებს უკუნისამდე
და მის ღირსებას
სიდიადე დაემგზავრება.
10. ნახავს ბოროტი,
მრისხანება მოემალება,
კბილებს დალესავს,
ბოღმისაგან ჩაიკეცება
და უკეთური საწადელი წარეხოცება.

## ფსალმუნი 113

ალილუია.

1. ქება შეასხით, უფლის მსახურნო, სახელს უფლისას
შეასხით ქება!
2. კურთხეულ იყოს უფლის სახელი
აწ და მარადის,
უკუნითი უკუნისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მზის აღსავლიდან დასავალამდე განდიდებულა სახელი მისი.
4. უფლობს უფალი კრებულთა მაღლა,
   აღზევებულა ცათა შინა
   დიდება მისი.
5. სხვა რომელია –
   როგორც ჩვენი უფალი ღმერთი –
   მაღალთა შინა დამკვიდრებული? –
6. ვინც გადმოხედავს ქვეყნიერებას მოსახილველად ცისა და მიწის.
7. წამოაყენებს დავრდომილს მტვრიდან
   და სანაგვიდან აღამაღლებს შეჭირვებულებს.
8. და დააბრძანებს მთავართა თანა –
   ქვეყნიერების
   მთავართა თანა.
9. მდედრს უნაყოფოს,
                    უშვილობით გულდამძიმებულს,
   აქცევს შვილების მხიარულ დედად.
   ალილუია!

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

- - - - - -

„ცისკრის“ წინა ნომერში გაიპარა შეცდომა. 109-ე ფსალმუნის 23-ე და 24-ე მუხლები (გვ. 6) უნდა იკითხებოდეს ასე:

23. გადამქრალი ვარ,
                როგორც აჩრდილი
    და მღილის მსგავსად უკუქცეული.
24. დამიცვდა მარხვით მუხლი და მკლავი
    და ხორცი ჩემი
    სანთელივით ჩამოილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯარჯი ფხოველი

## იწურებიან

იწურებიან შავად ეს წლები.
რიალი გააქვს ლანდებს, საზარელს...
გადამწვარია ველი ეწერი.
დანგრეულია შენი საზარე...
თითქოს მეორე მოსვლას ესწრები:
მიწა ირღვევა, მიწა ზანზარებს...

შემოგელევა ძველი გაძლება,
დღეებმა სისხლი უნდა გადინოს:
აქ გატყდებიან შენი ქვაძლები,
შეერევიან ბნელს უწადინოდ...

ღამის მორევში ჩაიძირები,
იქ დაინთქმები და დაებმები...
სიტყვები შენზეც შურს იძიებენ:
პირსისხლიანი შურისმგებლები.

* * *

აღარ დატოვე სიტყვა უვნები,
გზებს მოაბნიე დრო მონათიბი.
ლექსები მწარედ დაიყმუვლებენ,
ნადირის თვალებს მოგანათებენ.

დრო გაახვიე დარდის ბადეში,
თვითონაც გულის ეკლით მიები...
მუხლებს მოიყრი, მოიბოდიშებ,
შეგზარავს ცოდვა, უპატიები.

შეგზარავს სიტყვის ავი ყმუილი:
შენს თავზე ელვა ჩამოტოტვილი...
ეს გზა ბნელია. ამ გზით ნუ ივლი.
მგზავრო, დაინდე სული ცოდვილი!

* * *

სიტყვას ფაფარი გადაუწიე
და ოღროჩოღრო გზებზე გახედნე,
გულს გადაგიშლის იგი: უწიერ
პირშავ უფსკრულში გადაგახედებს...

* * *

დღეების სათვალავი აგერია.

ცოდვა გემატება შეუმჩნევლად
როგორც ასაკი...

ცოდვა ცოდვას ემატება,
მერე ერთად გულს ემატება.

ცოდვილი გული ცას ემატება,
პირშავ ღამეს ემატება,
განუჭვრეტელი...

დღეების სათვალავი აგერია.

შენი დარდი დარდს ემატება...

ცოდვა ცოდვას ემატება,
მერე ერთად გულს ემატება,
გული ცოდვას ემატება,
განუჭვრეტელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლექსი და მგზავრი

ამ ლექსში ვიღაც მღერის ძველისძველ
სიმღერას.
მღერის თუ ტირის: ველარ გაარჩევ...
ვიღაც მღერის შუაღამის მარტომგზავრივით...

დატორტმანებს,
ფეხებს იმტვრევს სიტყვების ღორღზე...
და ეცემა...
მერე ისევ წამოდგება,
მიტოვებულ სტრიქონს ეყრდნობა
და წინ მიდის
ბორძიკბორძიკით...

ვიღაც მღერის შუაღამის მარტომგზავრივით.
მღერის თუ ტირის: ველარ გაარჩევ...

* * *

ბოლოს სიტყვა დავისაკუთრე.
ჩემი სისხლი გადავუსხი, შხამშერეული.

ის შავ ფიქრებს ხატავს კედლებზე,
ქათქათა ველზე ტოვებს წარწერებს:
ეჭველმეჭველი დროის ნაკვალევს,
ავადმყოფი გულის კვნესას, სიზმრებს
საზარელს...

ხატავს თავის მწარე დღეებს,
ხატავს თავის უკვდავ ჭრილობებს
და წინ მიმიძღვის, თვალახვეული,
შენთან მოსასვლელ გზას მინათებს
და მოვყევარ ხელისკიდებით...

* * *

შენ ეს სახმილი უნდა გეხილა:
გზას დაადგები, ცეცხლით გადაგვილს...
და შხამდალეულ და პირგამეხილ
სიტყვას დამარცვლავ, როგორც ქადაგი.

თავს დაგეცემა ელვის წვეთივით
ლექსი, წარსულის სისხლში ნავლები.
ხელს გკრავენ ხმები და მოგიკვეთენ:
შავი შხეფებით დაიჭავლები...

შეეხიზნები დარდს იობივით,
შეეხიდები ზეცას ხეწვრილი.
დაგეფინება ღამე სიობლის,
ცა, ვარსკვლავებით ჩამოფხრეწილი.

შენ სახლს ააგებ ირმის ნახტომთან,
გადაივიწყებ მიწას, ურვილი...
შენთან იქნება ფიქრი: მარტომთა,
მარტოობის მზე: დაუშურველი...

* * *

ძველისძველ ხელნაწერებში
მივიწყებული სტროფები,
როგორც გარეუბნის კვარტალები...

აქ სიტყვები
მოწყენილობას ამთქნარებენ...
აქ ჟამიჟამ
ცაში ფეხადგმული ქარი ჩამოივლის
და ძველ ფურცლებს ააშრიალებს...
დამტვერილ ქოჩრებს გადაუვარცხნის...

აქ ასოები
ბებერი ჭიანჭველებივით
მიმოდიან, წრიალებენ
და ქმნიან
მივიწყებული ხელნაწერის ცხოვრებას,
რომელსაც
არც ჭირისუფალი ჰყავს,
არც მოყურიადე,
არც მოზარე...

* * *

კაცი შევიდა პარკში.
კაცი ფოთლებდაფენილ მერხზე ჩამოჯდა.
ჩავლილმა წყვილებმა
რადიოაქტიური ირონია მიასხივეს...
კაცმა შეიგრძნო სიმარტოვე.
მზერა მიანათა ხის ტოტებში
მოკამკამე ზეცის ნამტვრევებს.
და მოენატრა სივრცე შორეული...
და მოენატრა სიბერე:
მოენატრა სიბერეში იოლი სიკვდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უფსკრული

ფურცელი კი არა, ეს არის უფსკრული:
იმის უბიწო ზედაპირზე
სიტყვები ქრებიან, როგორც ფიფქები...

ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებ,
რომ ეს არის ფეხმოსაკიდი...
მაგრამ სუყველამ მწარედ ინანა,
ვისაც ეს აზრი ჩაეჭედა თავში ლურსმანივით.

ეს არის გამოცდის ალაგი.
ეს არის სისხლიანი მინდორი.
ეს არის უფსკრული,
სადაც შეიძლება ფეხი დაგიცდეს!

## ექსპრომტი. 1999.

მისდიე სიტყვას, გველის ნაშიერს,
ციდან წამოსულ ძახილს, საოცარს...
სიტყვის თვალებში იწვის ნახშირი,
ბოლავს შავეთის უვარსკვლავო ცა...

მისდიე სიტყვას, გველის ნაშიერს,
გვერდითა გყვანან მთები, ობლები,
ალალი ლექსი რომ მოგაშიეს,
იმ დღეებს ნუღარ ემეზობლები.

მისდიე სიტყვას, გველის ნაშიერს,
ლექსით გახიე გული ბებერი...
სიცოცხლის აზრი რადგან ცდაშია,
მიდი და სცადე შეუძლებელი!

* * *

ალარ დაბრუნდება ნაცადი ღამე,
ალარ დაბრუნდება ფოთოლი,
ალარ დაბრუნდება, რაც ყორნებმა წაიღეს,
ალარ დაბრუნდება შავი ღამე,
ჩვენი მფარველი...

იმისი ბნელი კალთები ხომ სუნთქვით
გავათბეთ.
რამდენ რამესა გვპირდებოდა,
ვერაფერი ვერ შეგვისრულა...
ალარ დაბრუნდება შავი ღამე,
ჩვენი მფარველი...

ალარ დაბრუნდება ნაცადი ღამე,
ალარ დაბრუნდება სიყვარული,
ჩვენი მფარველი...

## ყარიბი და პოეტი

არ მიატოვო ყარიბი.
ის არის სიყვარულმისჯილი.
სიყვარულის დევნაში ბევრი რამ დაჰკარგა...

არ მიატოვო პოეტი.
ის არის სიყვარულმისჯილი.
ის არის ობოლი.
სიყვარულის დევნაში ბევრი რამ დაჰკარგა...

ყარიბი და პოეტი.
დევნილები...
არ შეიძულო ისინი.
არ მიატოვო ისინი.
გაუღე კარი. შემოუშვი...
წინ დაუდგი მწუხარებისფერი ყავა:
იმის ნარჩენში თავის ოხერ ბედისწერას
წაიკითხავენ.

ორივენი ობლებია.
ორივენი მიუსაფრები.
გულს ეძებენ ვეებერთელა ღამეში.
სიტყვას ეძებენ...
არარსებულ სიყვარულს ეძებენ...

არ მიატოვო ისინი.
არ შეიძულო ისინი.
ყარიბი და პოეტი...
ღამის კენჭები. ღამისფერი ქვის ნატეხები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და ვიღაც სულ იმის ცდაშია,
რომ ის დღეები გადამავიწყოს,
ჩემი გულიდან გაქცევაში
ცრემლი და სისხლი
როცა ერთურთს ეჯიბრებოდნენ...

როცა ხეები ქარში ხელებს ასავსავებდნენ,
ჭრილობებთან დაჩოქილები...

როცა სიყვარულის სასაფლაოს,
ყვავილების ჭრელი ნისლით დაფარულ
გორაკს,
დავიწყების ვეებერთელა ლოდი დავადე...

და ვიღაც
სულ იმის ცდაშია,
რომ ის დღეები გადამავიწყოს...

* * *

ფურცელი მწარედ ამოიკვნესებს,
იმის ხორკლიან პირისახეზე
ცივსისხლიანი სტრიქონი რომ გაიკლაკნება...

* * *

ლექსი,
უბეში ნაზარდ გველივით,
მოულოდნელად შხამს შემოგანთხევს...

სისხლს შეგიღებავს
და შენს ცრემლებს
მოღრიალე მდინარედ აქცევს...

ის მდინარე შენ წაგიღებს:
ნაპირების სალ კლდეებზე დაგანაფოტებს,
შენს დარდს გაიხდის პერანგივით...

ლექსი, უბეში ნაზარდ გველივით,
შენი გულიდან ამოწვერილ ველის ყვავილს
შხამს დაამხეფებს...

მისი წივილი, შემზარავი,
სიკვდილიდან გამოგაღვიძებს...

## ამ ქალაქში

რძისფერ ბურუსში აიმღვრევიან
სტრიქონები, სისხლისმსმელები...

და გამოკონავს ფურცლებიდან
სიხარული
მზის სიცილივით...

ამ ქალაქში
შენს ველურ გულს
მარტოდმარტო
სიბრალულის მზის შხეფები დაამშვიდებენ...

ამ ქალაქში,
სადაც შავი ღამეები დაისაკუთრე,
გზად სიხარულიც შემოგეყრება...
ის ანთია მარტოდმარტო
მთლად ობოლი სანთელივით
ბინდდაფენილ აჩრდილებს შორის...

და, ქამიქამ,
ამ ქალაქის უდაბნოში დაშხეფებულ
პირქუშ სტრიქონებს
სიყვარულის ხმაც აღმოხდება მზის
სიცილივით...

## სიტყვა შემომტირის



სიტყვა ისე შემომტირის,
თითქოს მე ვიყო ყოვლისშემძლე ჯადოქარი,
ვინც სიტყვას ხელში აიყვანს,
ცრემლებს მოსწმენდს,
ქაღალდის მინდორზე დაასახლებს...
გვერდით სხვა სიტყვებს დაურგავს,
ხეივანს გააშენებს...
ხეივანი გახდება ლექსივით
მომაჯადოებელი და წარმტაცი...
მას დაიზეპირებენ...
მას წაიკითხავენ ჩურჩულით და
დაგემოვნებით...
და იგრძნობენ ცრემლების სიმლაშეს,
და იგრძნობენ შორეულ სურნელს,
და იგრძნობენ სითბოს, ცისიქითურს,
რომელსაც ღმერთის გული გამოსცემს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სულ რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა ცნობილი მწერალი ჯემალ ქარჩხაძე. წავიდა და დაგვიტოვა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელსაც, ალბათ, გვირგვინად დაადგებოდა რომანი „განზომილება", რომლის დასრულებაც ავტორმა ვერ მოასწრო...*



# ჯემალ ქარჩხაძე

## განზომილება

ტრაგედია კომედიის ერთი აქტია
*ბიძაჩემი იონა*
კომედია ტრაგედიის ერთი აქტია
*პრ. დიდებულიძე*

### დასაბამი სიტყვა

#### ღმრთისა მიმართ

*გმადლობ, უფალო, იმისთვის, რაც მომეც. რაც არ მომეც, იმისთვისაც გმადლობ, უფალო, რამეთუ შენა ხარ არსი ჭეშმარიტი და თავად უწყი, ვის რა მისცე და რამდენი მისცე. დანარჩენი, ვიცი, ჩემზეა დამოკიდებული, და იმისთვისაც გმადლობ, რომ დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული. მხოლოდ ერთი სათხოვარი კი მინდა კრძალვით შემოგბედო: ვინიცობისაა ტვინი ისე გადამიბრუნდეს, გონება ისე დამიბნელდეს, გემოვნებამ ისე მიმტყუნოს, ლიტერატურული თვალსაზრისი ისე დავკარგო და მხატვრული გზა-კვალი ისე ამერიოს, რომ ფეხი სიყალბის ბილიკზე გადამიცდეს, ნუ ამაღებ ხელს, ნუ შემაქცევ ზურგს, ნუ მიმატოვებ საკუთარი სინდისის საჯიჯგნად, ნუ გამიმეტებ გრძელი ტანჯვისთვის! მომმადლე წყალობა და მომანიჭე შენი მაღალი რისხვა დამსახურებისამებრ!*

*სხვაფრივ, დავშთები სიმართლის ერთგული მსახური და ფარისეველთა შეურიგებელი მოწინააღმდეგე.*

#### ხელისუფალთა მიმართ

*ღირსნო მამანო (აგრეთვე დედანო), გვამნო (პატიოსანნო), მესაჭენო და მოჭირნახულენო ნაცადნო, მესვეურნო დიდ-დიდნო! გაიუს მარცელიუს კარუსი, რომის გამოჩენილი რიტორი, გრამატიკოსი და ფილოსოფოსი, თავის განთქმულ ტრაქტატში „რომის სენატი და სენატის რომი", რისთვისაც, როგორც ცნობილია, რომის სენატმა იგი სენატის რომიდან კინწისკვრით გააძევა, ამბობს: „დააკვირდით, რჩეულნო, თუ რა სხვაობაა ზრუნვასა და ლაპარაკს შორის: ლაპარაკი ყვავილის მათრობელა სურნელია, ზრუნვა - ოფლის მჟახე სუნი, ლაპარაკი რწმენის თესლია, ზრუნვა კი ეჭვისა. ლაპარაკით ყოველთვის შეგიძლიათ ზრუნვა შეცვალოთ. ზრუნვით ლაპარაკს ვერასოდეს შეცვლით, ლაპარაკი ქება-დიდების გზაა, ზრუნვა - ტანჯვაწვალების ბილიკი; ლაპარაკი მკაა სხვათა დანათესისა, ზრუნვა თესვაა სხვათა მოსამკელისა, ლაპარაკი სიამეს ჰგვრის ღმერთებს (ტარტაროსი და ელიზიუმი პოეტების ლამაზი ჭორია), ზრუნვა კი თელემას. ხედავთ, მოამაგენო, რაოდენი განსხვავება ყოფილა ცნებათა შორის, რომლებიც უბირთა და მიამიტთ ერთი და იგივე ჰგონიათ? მაშ, რატომ უნდა აჰყვეთ მორალისტთა გულისგამაწვრილებელ ზუზუნს და ქოთქოთს? რად უნდა შეაშინებინოთ თავი აჟყია აჩრდილებსა და ცრუ წინასწარმეტყველთ? რატომ არ უნდა იაროთ იმ გზით, საითაც გულისთქმა გეწევათ?"*

*ასე ამბობს, ალმაშენებელნო, გაიუს მარცელიუს კარუსი, რომის გამოჩენილი რიტორი, გრამატიკოსი და ფილოსოფოსი, თავის განთქმულ ტრაქტატში „რომის სენატი და სენატის რომი". და თუმც გვიანდელი ხანის ზოგი სწავლული ზრუნვისა და ლაპარაკის მისეულ დეფინიციას სადავოდ ხდის, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დავა უმთავრესად თეორიული და სპეკულატიური ხასიათისაა.*

#### საკუთარი თავის მიმართ

*ვიაროთ წინ, რაკი სხვა გზა არა გვაქვს!*

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მკითხველთა მიმართ

ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო თანამემამულენო! მეგობრებო!

თითქოსდა, ჩვენ მაინც არაფერი უნდა გვქონდეს წინასწარ მოსალაპარაკებელი, ვინაიდან წიგნია ჩვენი ხიდიც, მოციქულიც, შუამავალიც, გამყოფიცა და შემაერთებელიც, მაგრამ რაკი მინდორი ისე გრძელია, ხოლო სიცოცხლე ისე მოკლე, რომ არავინ იცის, გავალ თუ ვერა ბოლოში, გადავწყვიტე ამ ერთხელ ჭკვიანთა, გამჭრიახთა და საქმის მცოდნეთა მცნებას მივყვე და ხვნაში გავირიგდეთ. ვფიქრობ, მართებულადაც ვიქცევი. თავად განსაჯეთ: განა ორთავ მხარისთვის - თქვენთვისაც და ჩემთვისაც - უმჯობესი არ იქნება, გასარკვევი დროულად გაირკვეს და, ვისაც სერიოზულ მხატვრულშემეცნებით ექსპედიციას მსუბუქი ძილისწინა მოციონები გირჩევნიათ, აქედანვე თქვათ უარი დამგზავრებაზე, ვიდრე გზადაგზა დამეკარგოთ და შემომეფანტოთ?!

მაშ ასე:

უპირველეს ყოვლისა. მინდა ცალკე გამოვყო ის ას ოცდაექვსი (რიცხვი შემოწმებულია) მკითხველი, რომელთაც მიმართვა და დანამუსება არ სჭირდებათ - რაც ყურადღებით და დაკვირვებით წასაკითხია, ისედაც ყურადღებით და დაკვირვებით კითხულობენ - და იმედი გამოვთქვა, რომ წიგნის ბოლოში მათი რიცხვი, სულ ცოტა, გაორმაგდება.

შემდგომ ამისა, მინდა ყველა დანარჩენს შევძახო: მამულიშვილნო! საღ მირბით ასე თავქუდმოგლეჯილნი?! ნუთუ არ იცით, რომ წინ დიდი გზა გიდევთ, დიდ გზას კი აჩქარება არ უყვარს! შეანელეთ ნაბიჯი, შეიცადეთ ცოტა, ამოისუნთქეთ და ამოიქაქანეთ. საკუთარ თავს.. სულ ერთია. მაინც ვერ გაასწრებთ და აბა ისე სირბილს რა ფასი აქვს! შეიცადეთ. შეიცადეთ და, მოდით, ამ შეშლილ დროში მტრის ჯინაზე ერთი დინჯად, მშვიდად, დარბაისლურად ვიმუსაიფოთ, შევეცადოთ გულიდან გადავიყაროთ ყველაფერი, რაც გვაჩქარებს და გვაფაციფუცებს, ვინაიდან ის, რაც გვაჩქარებს და გვაფაციფუცებს, ჩვენი წიაღის კეთილ ნაწილში არ არის აღმოცენებული.. შემიძლია შესაბამისი ანდაზებიც მოვაგონოთ. მაგალითად, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ან კიდევ, ვინც იჩქარაო... ვინც იჩქარა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა დაემართა, მაგრამ აშკარაა კარგი არაფერი დამართნია, მით უფრო, რომ მესამე ანდაზა პირდაპირ გვაფრთხილებს: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. ჭეშმარიტად! და თუ აქცენტს მაინც სწრაფმოჭმაზე ავიღებთ და მოჭმა-მოჭმით დავუყვებით წუთისოფელს, ბოლოს (რაც უნდა იგულისხმებოდეს ამ ბუნდოვან სიტყვაში) აბსურდის მოთუხთუხე კუპრში მოვადენთ ტყაპანს. ამას ნათლად ადასტურებს აქსიომური დებულება, რომლის თანახმადაც გული კუჭი არ არის, გული გაძღომას ვერ იგებს. მართლაცდა, ვთქვათ, ავჩქარდით, სათქმელი მივჩქმალეთ (მივაჩუმათეთ, მივაფუჩეჩეთ, მივახუჩაფათეთ) და სამოვარზე წავედით. ვთქვათ, ვიშოვეთ. ვთქვათ, ბევრი ვიშოვეთ. ვთქვათ, ყველაფერი ვიშოვეთ. ვთქვათ, იმდენი ვიშოვეთ, აღარ ვიცით რა ვუყოთ. მერე? რა ვუყოთ იმას, რასაც აღარ ვიცით რა ვუყოთ? ანდა, ყველაფერს რომ ვიშოვით, დანარჩენი სადღა ვიშოვოთ? გულს ხომ ვერ ამოვყორავთ! გული ხომ ღნავის და ითხოვს! ანდაზებსაც რომ მოვეშვათ, ვინც კაცობრიობის გრძელსა და, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულ ისტორიას გასცნობია (რაც თავისთავად ფრიად საქებარი საქმეა), განა არ იცის, რომ უბედურება, როგორც მყისიერი და ერთჯერადი აქტი, იქ ხდება, სადაც ზედმეტად ჩქარობენ? აჩქარება ქვეყანას ანგრევს, აუჩქარებლობა კი მშვიდობიანად არღვევს. დარღვევა ხანგრძლივი, ბუნებრივი და, თუ კარგად დავუკვირდებით, საამური პროცესია, როგორც სიკვდილის ზომიერი მიზიდულობა, როცა სიცოცხლის უჯრედები სიბერის ძალით იხოცებიან. მაშ ვაცალოთ ქვეყანას დაბერება, ნუ ვკრავთ ხელს თავდაღმართში, ამოვიყაროთ გულიდან მატერიალური კატალიზატორები (დაე, გარაჟებიც თახვებმა აშენონ), დავიმშვიდოთ ამღვრეული სახეები, ჩავიცხროთ ამღვრეული ვნებები, გადავიყაროთ ბინდი, გავერიდოთ ყაყანს, დავიმორჩილოთ საკუთარი გული და დავიმორჩილოთ საკუთარი ნაბიჯი, ვიაროთ მშვიდად და ნება-ნება ვიმასლაათოთ. მერწმუნეთ, ასე უფრო ჩქარა მივალთ, სადაც უნდა მივიდეთ. და თუ ჩქარა ვერ მივალთ, რა გვეჩქარება!! ღმერთი ხომ არსად გაგვექცევა!

არ მოვატყუებთ და მოფრთხილების მომიზეზებით არ დავიმალავთ: გზა, გარდა იმისა, რომ შორია, ძნელი სავალიცაა. ალაგ-ალაგ ალბათ მოყინულიც იქნება (ასეთ მონაკვეთებს, ვიდრე ყინულზე ფეხის მოკიდებას მიეჩვევით, შეგიძლიათ მოურიდებლად გადაახტეთ). სამაგიეროდ, არც თავმდაბლობის მომიზეზებით იმას დავიმალავთ, რომ ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში სიამოვნებაც ბევრი გელით, ხოლო თუ ბოლომდე გაძლებთ, თქვენი მოთმინება და შეუპოვრობა თქვენი მოთმინებისა და შეუპოვრობის ჯილდოდ იქცევა.

მაშ დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ და, ვინც დაატყობს, რომ გულიც ერჩის და თავის იმედიც აქვს, გამომყვეს.

ოღონდ გახსოვდეთ: იკითხეთ ნელა და ყურადღებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი პირველი
# გვირაბი

## თავი პირველი
## დეკადენტური დილა

ბიძაჩემის უადგილო დეპეშა, ეწერელი დათიკოს აკუსტიკური გამოცხადება და სხვა დამაფიქრებელი ნიშნები

„სანაკლიო უფსკრულში გადაიჩეხა წრტ ყველაფერი მიატოვე და საჩქაროდ ჩამოდი
ბიძაშენი“

ფოსტალიონი, წესისამებრ, დეპეშის ტექსტს წინასწარ კი გასცნობოდა, მაგრამ რაკი მისი შინაარსიდან, სადაც „წრტ“-ს გარდა ყველაფერი უკიდურესად ბუნდოვანი იყო, ვერ დაედგინა, ჰქონდა თუ არა ფეხის ქირის მიღების შანსი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით დარდიმანდულ პოზაში დამიდგა და ხაზგასმულად უდარდელი გამომეტყველებით შემომაჩერდა - აქაოდა, მე ჩემი ფინანსური პრეტენზიების სამართლიანობაში ეჭვი არ მეპარება და აწი შენ იცი და შენმა კაცობამო. ხერხმა, რაღა თქმა უნა, გაჭრა და მან თავისი გროშები სრულად მიიღო. მართალია, მიიღო არა იმდენად გარჯისთვის, რამდენადაც რწმენისთვის, მაგრამ ამდაგვარი ნიუანსები, მოგეხსენებათ, ფულის მყიდველობით უნარზე დიდად არ მოქმედებს.

საგონებელში ჩავარდნილმა მალე მშვენიერი ევაც გავისტუმრე. მშვენიერი ევა - ცეცხლოვანი და მასშტაბურად კაცთმოყვარე - დილამდე აპირებდა დარჩენას, რასაც მჭევრმეტყველურად მოწმობდა თან წამოღებული ღამის პერანგი, რომელიც მოსვლისთანავე ვარდისფერი ულტიმატუმივით გადამიფინა საწოლზე, მაგრამ რა დარწმუნდა, ბიძაჩემის დეპეშები ადამიანური შემოქმედების ძალზე რთული პროდუქტებია და მათი გაშიფრვა ღრმა კონცენტრაციას მოითხოვს, არც სცენები გაუმართავს და არც შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა უთამაშნია (როგორც სხვა, უფრო ცივილიზებული მანდილოსნები შერებიან მსგავს ვითარებაში), ხანმოკლე, სავსებით მშვიდობიანი მოლაპარაკების შემდეგ თავისი ულტიმატუმი ჩანთაში ჩაიდო და წასვლის წინ ისეთი წრფელი და მგზნებარე კოცნა მომიძღვნა, აშკარად მაგრძნობინა, რომ, თუკი ტრფობის ცეცხლით მარად მოგუზგუზე მის ჩვილ გულში ეს გაუქმებული ღამე ცოტაოდენ წყენად და ცოტაოდენ წყრომად მაინც შედედდა, წყენის მიზეზიცა და წყრომის ადრესატიც ბიძაჩემი იყო.

მარტო რომ დავრჩი, ერთხანს ბოლთას ვცემდი და ფიქრებს ვაგროვებდი, მერე საწერ მაგიდას მივუჯექი და დეპეშას ჩავუღრმავდი.

რა თქმა უნდა - და ყოველი ღირსი სანაკლიელი (რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, დიდი აღარ არის) ჩემს ადგილას ამასვე გეტყოდათ - ბიძაჩემის ცნობა, ვითომც სანაკლიო უფსკრულში გადაჩეხილიყოს, არასწორი იყო. უფსკრულში რომ გადაიჩეხო, უფსკრულს ზემოთ უნდა იმყოფებოდე. ერთადერთი ადგილი, სადაც სანაკლიო ჯერ კიდევ შეიძლება გადაიჩეხოს, ჯოჯოხეთია. მაგრამ ეს შესაძლებლობაც წმინდა თეორიულია, ვინაიდან ამისათვის საჭიროა, ხსენებული ღირსი სანაკლიელები უკლებლივ და უნაშთოდ აღვიგავოთ პირისაგან მიწისა, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, პრაქტიკულად გამორიცხულია. და რომც მომხდარიყო ამდაგვარი რამ სასწაული, ბიძაჩემი ისე როგორ დაეცემოდა, სინამდვილე შეელამაზებინა და „ჯოჯოხეთის“ ნაცვლად „უფსკრული“ ეხმარა!

ამ ჯანსაღი წანამძღვრებიდან თითქოს ბუნებრივად გამომდინარეობდა ასეთივე ჯანსაღი დასკვნა, რომ ბიძაჩემი ტყუოდა, მაგრამ ეს დასკვნა მე მტკიცედ და გადაჭრით უარვყავი. ასევე მოიქცეოდა ყველა, ვინც ბიძაჩემს ჩემსავით კარგად იცნობს. საქმე ის არის, რომ, თუმც კი ტყუილი ბიძაჩემისთვის საარსებო სუბსტანციაა, რომელსაც ჟანგბადთან ერთად იღებს, რათა ნახშირორჟანგთან ერთად გამოყოს, და ურომლისოდაც, თქმა არ უნდა, ნივთიერებათა ცვლა დაერღვევა, ამ სასიცოცხლო სუბსტანციას მთავარი მკვებავი ფესვი ესთეტიკაში უდგას (სწორედ ეს არის ერთი იმ გადამწყვეტ ნიშანთაგანი, რისი წყალობითაც ბიძაჩემი ისე განსხვავდება რიგითი სანაკლიელისაგან, როგორც ფერადი ტელევიზორი შავთეთრი ტელევიზორისგან). ამიტომ, რაკი დეპეშის ტექსტში ესთეტიკის ნიშანწყალი ვერ ვიპოვე, უყოყმანოდ დავასკვენი, რომ ეს იყო არა შეგნებული ტყუილი, არამედ უნებური გაზვიადება, რასაც სათავე სულ სხვა ფენებში აქვს, იმ ფენებში, სადაც გამუდმებით მიმდინარეობს მცირე თერმობირთვული რეაქცია,

რომელიც, თავისთავად, სრულიად უვნებელია, მაგრამ დროდადრო, როცა რომელიმე მუხტი ორბიტას მოწყდება და ფსიქიკის სფეროს მიაშურებს, წონასწორობა ირღვევა და ბიძაჩემი მყისიერად, როგორც დაცურებული კრამიტი (გნებავთ, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი), რაღაც გამოუცნობ უკიდურესობაში ვარდება. მოვლენათა სამყაროში - ტიპიურ მაგალითს თუ ავიღებთ - ეს პროცესი ამგვარად მჟღავნდება: ნასმურევზე რომ, ვთქვათ, გამოძინება არ დასცალდება და უეცარი ხმაური ან სხვა რამ უეცარი ბიძგი მოულოდნელად ამოაგდებს ძილის ჯურღმულიდან, ადვილი შესაძლებელია, უწყინარი ბუზი, რომელიც უპრეტენზიოდ დაბზუის ოთახში, გახელებულ სპილოდ მოეჩვენოს.

იმ ვარაუდს, რომ ტყუილი უნებური იყო, კიდევ უფრო განამტკიცებდა სიტყვა „ყველაფერი“, რომელიც, რაკი მისატოვებელი არა მქონდა რა (ისეთი ეფემერული განძის არსებობა, როგორიცაა მშვენიერი ევა, ბიძაჩემმა არ იცოდა) პირიპირზე ემთხვეოდა სიტყვა „არაფერს“. ფილოსოფიური თვალსაზრისით ამგვარი დამთხვევა უაღრესად საყურადღებოა, რამდენადაც აქ, ერთი მხრივ, მჟღავნდება დაპირისპირების, როგორც ასეთის, ემანაციური და, შესაბამისად, რელატური ბუნება და, მეორე მხრივ, ამ რელატურობის უკან თავს იჩენს პოლუსების ერთიანობა, ეს კი საშუალებას იძლევა ყბადაღებულ დუალიზმს რეალური ნიადაგი გამოვაცალოთ და ფორმალური ლოგიკის საზღვრებში მივუჩინოთ ადგილი, მაგრამ ამაზე ახლა სიტყვას არ გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ძალზე შორს წაგვიყვანს და, შესაძლებელია, მოსაწყენიც აღმოჩნდეს.

რაკი შეგნებული ტყუილი გამოირიცხა, სიტყვა „ყველაფერი“ ან ირონია უნდა ყოფილიყო, ან სისულელე. ირონია და სისულელე ცნებათა ქანდარაზე გვერდიგვერდ სხედან და ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ სისულელე თვითკმარია და ობიექტს არ საჭიროებს, ირონია კი ურთიერთობის კანონს ექვემდებარება, ან - მხატვრულ ქსოვილში თუ გრამატიკულ კატეგორიებს ჩავრთავთ - სისულელე ვნებით გვარს განეკუთვნება, ირონია - მოქმედებითს. და როცა მოქმედება ობიექტს ვერ იპოვის, იგი ვნებით გვარში გადადის. სიცხადისათვის წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ზაფხულის მშვენიერ ღამეს სადმე, მთის ფერდობზე, მხართეძოზე ხართ წამოწოლილი და, სიმშვიდის უზენაეს ნეტარებაში ამოდ ჩაძირული, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰხარით. ამ დროს მთის წვერზე უჩუმრად გადმოდგა ვინმე ველური მშვილდოსანი და შხამიანი ისარი გტყორცნათ. თქვენ არც მოსვლა შეგიმჩნევიათ ველურისა, არც წასვლა, ხმაური არ გაგიგონიათ, ისარი არ მოგხვედრიათ და, საერთოდ, ამ იდუმალ თავდასხმას არავითარი კვალი არ დაუტოვია. ახლა ვიკითხოთ: შეიძლება ასეთ თავდასხმას თავდასხმა ეწოდოს ამ სიტყვის რეალური და ობიექტური მნიშვნელობით? ცხადია არა. თავდასხმა - ირონია კი თავდასხმის ნაირსახეობაა - აუცილებლად გულისხმობს კავშირს. მართალია, ირონიის მთავარი ღირსება მის შეფარულ ხასიათში მდგომარეობს, მაგრამ სწორედ აქ გვმართებს განსაკუთრებული სიფაქიზე (ამიტომაცაა ნატიფი ირონია ასე იშვიათი): თუ ირონიის ისარს შეფუთვა დავაკელით, ფასი არ ექნება, თუ ზედმეტად შევფუთეთ, ჭრა არ ექნება. ოქროს წესის თანახმად, ისარი უნდა შეიფუთოს მაქსიმალურად, სადაც მაქსიმალურობა დამოკიდებულია ობიექტის მგრძნობიარობაზე. ყველაფერი ეს ბიძაჩემმა მშვენივრად იცის და, ირონიის ისარი რომ ეტყორცნა, ეჭვი არაა, მაგრძნობინებდა კიდეც. ასე რომ, ირონია გამოირიცხა. დარჩა სისულელე. ხოლო რაკი ორი სისულელე ერთ პატარა დეპეშაში ბიძაჩემისთვისაც კი მეტისმეტია, სხვა რაღა უნდა მეფიქრა გარდა იმისა, რომ ბუზი, რომელიც სპილოდ მოეჩვენა, ეტყობა, მართლა ხორთუმიანთა რიგის *Elephas*-თა გვარს მიეკუთვნებოდა! ნუ შეიცხადებთ და ქვებს ნაჩქარევად ნუ დამიშენთ. ვინც ჩვენს ყოფა-ცხოვრებას ყურადღებით აკვირდება, შეამჩნევდა, რომ ზოგი სპილო თავიდან ბუზია და მხოლოდ მერე, მოგვიანებით, რაღაც მანქანებით იქცევა სპილოდ. ბიძაჩემი ამგვარ სპილოს ზოგჯერ წინასწარ, ჯერ კიდევ ბუზობის სტადიაში ცნობს. მართალია, ამას ნათელხილვას ვერ დავარქმევთ, ვინაიდან თვითონაც არ იცის, როდის მართლა ცნობს და როდის ქვეყანას ატყუებს, მაგრამ თავად ფაქტს ამით არაფერი აკლდება.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ყოველმხრივი და ამომწურავი ანალიზის შედეგად საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დეპეშის შეშფოთებულ კილოს რეალური საფუძველი ჰქონდა. ჩემი ტურფა სანაკლიო თუ უფსკრულში არა, რაღაც მძიმე განსაცდელში კი ნამდვილად ჩავარდნილიყო და ახლა ბიძაჩემის პირით საშველად მიხმობდა, ვინაიდან თანამედროვეთა შორის ჩემზე უფრო მართალი, მიუკერძოებელი და მოუსყიდველი მემატიანე სხვა არავინ ეგულებოდა.

რა მექნა? შეუძლია შვილს მშობლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირულ ძახილს ყური არ ათხოვოს? დამეთანხმებით, ამ რიტორიკულ კითხვაში თავად კითხვის ნიშანიც კი მკრეხელობაა. და მართლაც, ძილის წინ მტკიცედ გადავწყვიტე: დილაზე სანაკლიოში მივემგზავრები!

ჩემი დილა - პატიებას ვითხოვ კაცობრიობის შრომისმოყვარე ნაწილის წინაშე - ასტრონომიულსა და, მით უმეტეს, დეკრეტულ დილას არ ემთხვევა (ამასთან დაკავშირებით - და საერთოდაც - იხ. მოთხრობა „ბიძაჩემი იონა"), მაგრამ ამჯერად, ვითარების სირთულის გამო (შესაძლოა, ბიძაჩემის მღელვარებაც გადმომედო), ჩვეულებას ვუღალატე და ვეებერთელა საათი (*made in Pensa*) რვის ნახევარზე დავაყენე.

მაგრამ გამომეღვიძა არა რვის ნახევარზე, არამედ ექვსის ნახევარზე, და გამომაღვიძა არა საათმა, არამედ ტელეფონმა.

თვალის გაუხელელად მივხვდი, რომ ჯერ ისევ ბნელოდა. ძილბურანში მდორედ გახსნილ ცნობიერებას ერთი ხანობა იმედი ჰქონდა, ტელეფონი თავისით გაჩუმდებოდა. მერე, რაკი ეს იმედი გაცუდდა, ხელი გინებ-გინებით მოვაფათურე და ყურმილი ავიღე.

- ალო...

ვიდრე „ა"-ს ჩავათავებდი, ისევ მოვასწარი ძილის მორევში ჩაყვინთვა და „ლო" უკვე ფსკერიდან ამოვიბუყბუყე. აბა მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ განწირულის ეს მეცადინეობა ფუჭი იყო, რომ ძილი და მოსვენება დიდი, დიდი ხნის განმავლობაში აუხდენელ ნატვრად მექცეოდა, რომ შეზარხოშებულ ბედისწერას მე საბრალოსთვის ხელი უკვე ყურში წაევლო და იდუმალ მოვლენათა ეპიცენტრისკენ მიმაწიალებდა!

ყურმილში კაცის ხმა გაისმა, მაღალი, წვრილი, რაღაც უნაყოფოდ მკივანა და დეკემბრის ქარივით ცივი ხმა, რომელიც დაუბრკოლებლად გადიოდა ყურებში და ყინულოვანი საბურველებით პირდაპირ თავის ქალაში მიბერავდა.

- გამარჯობა, ლუტუ, შენი! დათიკო ვარ მე, ეწერელი დათიკო, ხო მიცანი?!- აქ ხმა შეყოვნდა, მაგრამ შეყოვნება ძალზე ხანმოკლე იყო და, სანამ მე მძინარე ენას პირში მოვატრიალებდი, ისევ ხოშკაკალასავით წამოვიდა, - რატო გირეკავ, თუ იცი: ეწერში რო ღვთიშობლის ეკლესია გვედგა, ხო გახსოვს?..

ამჯერად პაუზა შედარებით მოზრდილი გამოდგა და სიტყვის ჩაგდება მოვასწარი:

- რომელი ეკლესია?.. - თან ცნობიერების ქვედა ფენებში ჩემდაუნებურად უცნობ ლუტუსთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას ვწონიდი.

ეწერელი დათიკო ჩემმა რეპლიკამ ცოტა გაანაწყენა:

- სასაფლაოს თავზე, შე კაცო, რავა არ გახსოვს!

- მერე? - გამოვეპასუხე მექანიკურად და, უნდა გამოვტყდე, დატუქსული შეგირდივით შევკრთი.

- გაქრა, კაცო.

- რა ქნა?

- გაქრა. გევიღვიძეთ გუშლამ დილას, შენ ხარ ჩემი ბატონი, გევიხედეთ და სადაა ეკლესია! აღარაა. აპაა! ახლა, ჩემო ლუტუნა, შენი იმედი გვაქ და, შენ იცი, რავა მალე ჩამოხვალ!

- კაცო! - იყვირა მაშინ ჩემი გონების გამოფხიზლებულმა ნაწილმა, - არა...

მაგრამ ეწერელმა დათიკომ ყურმილი უკვე დაკიდა. ტუ-ტუ-ტუ!..

რეგვენი!

რა ოპტიმიზმის პატრონი უნდა იყო, რომ ჩვენებურ ტელეფონს ასე ბრმად ენდო! გაქრა! რას ქვია გაქრა! რა გააქრობს ეკლესიას, მით უმეტეს დღეს, როცა ურწმუნო და მორწმუნე ყველა ეკლესიაზეა გადარეული?! ეწერი სადღა ჯანდაბაშია და რომელი საათია?

ჩემი ვეებერთელა, მრგვალი საათი მოჭრილი თავივით იდო მაგიდაზე და სიბნელიდან უნდოდ მაკვირდებოდა. შუბლზე პაწაწინა რქა ედგა და ავისმომასწავებლად დაკრეჭილ ციფერბლატზე ორი შავი, წვეტიანი ეშვი ხრუტუნით შექცეოდა დროს. ამ სანახაობამ შემზარა და მოჭრილ თავს თვალი ავარიდე. მერე ცოტა დავმშვიდდი და ისევ შევხედე. ეშვები ექვსის ნახევარზე ისხდნენ.

შეიძლება დილის ექვსის ნახევარზე ადამიანი ნორმალური იყო?

გადავწყვიტე ძილი განმეგრძო და თვალები დავხუჭე. იმავ წამს აღმოვაჩინე, რომ გარეთ ჩიტები თავდავიწყებით წიოკობდნენ.

სამყაროული ჰარმონია.

ნეტა ყოველ დილით ასეთი ვნიასი უდგათ თუ დღეს საგანგებო რამ საკითხის გამო შეიყარნენ, რომელიც უეჭველად გამთენიის ხანს უნდა გადაიჭრას და უეჭველად ჩემი ფანჯრის წინ, თორემ სამარადჟამოდ გადაუჭრელი დარჩება?

უნაყოფოდ და, არსებითად, უმისამართოდ გაბრაზებულმა საბანი თავზე წავიფარე. მაგრამ საბანმა ხმაური ვერ ჩაახშო. გაწიწმატებული ჩიტები - ჩვენში ჩიტიც, ბუნებრივია, ჩვენებური უნდა იყოს - ერთმანეთს არ აცლიდნენ და ყველა ერთად ჭყიოდა.

რაღას ვიზამდი! შევუკურთხე ეწერს, შევუ-

კურთხე, ზოგადად. ადამიანის საალმომჩენებლო გენიას და, კერძოდ, ტელეფონის გამომგონებელს, რომლის ვინაობა არ ვიცოდი, შევუკურთხე (უფრო შეღავათიანად) კავშირგაბმულობის სამინისტროს და ლოგინში წამოვჯექი.

ძვლებში ტყვიასავით მესხა ძილი და ტვინზე სქელი ბურუსი მერტყა.

ეგებ მართლა ღუტუ ვარ და აქამდე არ მიმხვდარნენ?.. დილის ექვსის ნახევარზე ყველა წესიერ კაცს სძინავს. ვითომ? ეგებ ყველა წესიერ კაცს კი სძინავს, მაგრამ ყველაზე წესიერ კაცს არ სძინავს... მაგალითად, სანაკლიოში მამაჩემი ალბათ უკვე წვერს იპარსავს და იდეოლოგიურ სილოგიზმებს სარკეში რაღაც ჩემთვის გაუგებარი ნიშნის მიხედვით ახარისხებს. მკაცრი და მიუდგომელი ლოგიკა იმას როგორ დაუშვებს, ეკლესია გაქრეს, და, რომც გაქრეს, ისე როგორ იქნება, ეს ამბავი ეწერელი დათიკოს სალაპარაკო შეიქნას! ან კი რა არის „გაქრობა“? ეს სიტყვა ხომ - ისევე, როგორც ყველა სხვა სიტყვა - უფორმო და ბუნდოვანია და კაცმა არ იცის, სინამდვილეში რას ნიშნავს! ან ღუტუ ვითომ ისეთი რა სულიერია, გამქრალი ეკლესია ხელახლა გააჩინოს, და თუ მართლა ასეთი სასწაულმოქმედია, მაშ, ღუტუ რატომღა ჰქვია? კითხვები, კითხვები, კითხვები. და ყველა მათგანი უპასუხო.

აქ ბიძაჩემის დეპეშა გამახსენდა და საბოლოოდ გამოვფხიზლდი. ჩიტების ხმა აღარ ისმოდა. გამიკვირდა. საწოლიდან გადმოვედი და ფანჯარას მივადექი. გარეთ სამარისებური სიჩუმე იდგა. მაშასადამე, შეასრულეს თავიანთი მავნე მისია და გაფრინდნენ. ეს ამბავი ცუდად მენიშნა. სამზარეულოში გავედი და გაზზე წყალი შემოვდგი. მამაჩემმა, ვინ იცის, უკვე მოათავა ჩაის სმა.

ხელ-პირს რომ ვიბანდი, ერთი უგვანი აზრი ამეკვიატა: იქნებ სიცოცხლისათვის ყველაზე მოხერხებული დრო განთიადია-მეთქი. ეს აზრი დიდხანს ფარისევლურად მიღიტინებდა გონებაში, როგორც რომანტიკული ოდის ურცხვი იმპულსი, და მხოლოდ ნასაუზმევს, რის ვაი-ვაგლახით, მოვიშორე. მერე ტანთ ჩავიცვი და წასასვლელად მოვემზადე.

ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი. რატომ ვერ დაეწევა, არავინ იცის და აი კიდევ ერთი უპასუხო კითხვა.

განთიადი, ალიონი, რიბირაბო, რიჟრაჟი, აისი, უთენია, სისხამდილა, ცისკარი, დაფიონი, დილაადრიანი, გამთენიის ხანი, მამლის ყივილის დრო, მზის ამოწვერის ჟამი...

ის იყო, გასვლას ვაპირებდი და უკანასკნელად მიმოვიხედე, ისეთი ხომ არაფერი მრჩება, რაზედაც ბიძაჩემის მითითება არ ვრცელდება-მეთქი, რომ გონებაში კვლავ ამოტივტივდა ეწერელი დათიკო. მაშინ სპორტული ჩანთა, რომელშიაც წვრილმანი და აუცილებელი ხარახურა მეყარა, ძირს დავაგდე და წიგნების კარადიდან ქართული ენციკლოპედიის მეოთხე ტომი გადმოვიღე.

ასეც ვიცოდი! და ყველამ, ვისაც ახალგათენებულზე დაგირეკავენ და შემოგჩივლებენ, ეწერში ეკლესია გაქრაო, იცოდეთ: საქართველოში ათი ოფიციალური ეწერია, ხოლო დათიკო, რომელიც დაწმუნებულია, სოფლის დავალება პირნათლად შეასრულა და გრძნეული ღუტუ სანტექნიკოსივით გამოიძახა, ათგზის ვირია. ასეთი იყო ჩემი საბოლოო დასკვნა, როცა ენციკლოპედიის მეოთხე ტომი მაგიდაზე მოვისროლე და ახლა მეცხრე ავიღე, რათა ბარემ იმ პატიოსანი კაცის სახელიც დამედგინა, ვისაც ცოტა ხნის წინ სახელდების გარეშე შევუკურთხე, მაგრამ ქართული ენციკლოპედია - ესეც იცოდეთ - ასო „ტ“-ზე ტელეფონის გამომგონებლის სახელს არ იუწყება (რატომ?).

კაცს რომ გაჭირვების დროს მშობლიური ენციკლოპედიაც დაგაღალატებს, რა გასაკვირია გუნება საბოლოოდ მოგეშხამოს?!

ეს არც გამკვირვებია. ის გამიკვირდა, რომ, როგორც კი გავედი და კარი გავიხურე, მოულოდნელად უცხო რამ ნაღველი შემომაწვა. მელანქოლიის შავი, მკვრივი და ბლანტი კუპრი სქელ გარსად შემომეჭდო, პედანტურად მომაწვა ყოველი მხრიდან და გაგუდვა დამიწყო. გამგუდავდა კიდეც და საამისოდ დიდი დრო არ დასჭირდებოდა. მაგრამ ჩემდა ბედად სადარბაზოდან გამოსულმა სიხარულით აღმოვაჩინე, რომ ჩემი „ნივა“ არც წუხელ მოეპარა ვინმეს.

ამან გულიდან ზედმეტი ჯანღი გადამყარა. თუმცა კალაპოტიდან მაინც ამოვარდნილი ვიყავი და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც უცხო პლანეტაზე მოხვედრილი კაცი, რაც - თუ სივრცეს დროით შევცვლით - ამ უთენია სავსებით რეალური შედარება ჩანდა.

### დამაფიქრებელი ნიშნები გრძელდება. გონიერი არსებანი ქალაქში. სავარაუდო ლოცენტი.

ირგვლივ ჯერ კიდევ ბინდი იდგა. ცა ნაცრისფრად ემხო მიწაზე და ქვეყნად - ყოველ შემთხვევაში, სადამდეც თვალი წვდებოდა - კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გრილოდა და ნესტიანი სიგრილე გამოუძინებელ სხეულში უსიამო ჟრჟოლად მივლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ ამანაც იმოქმედა, რომ დავძარი თუ არა მანქანა, მომეჩვენა, თითქოს ეს ქალაქი, რომელსაც ჩემს გულში სიყვარულის სკალაზე მეორე ადგილი უჭირავს, პომპეუსი იყო და მის ბინადართ დიდი ხანია ვეზუვის სქელი ლავის ქვეშ მარადიული ძილით ეძინათ. მე კი თავზარდაცემული გავრბოდი. გავრბოდი უკანმოუხედავად. გავრბოდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე გავცლოდი აქაურობას, ვინაიდან ამდენი სიკვდილის გვერდით ჩემი სიცოცხლე როგორღაც უადგილო და უხერხული ჩანდა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მტკნარი სისულელე იყო და, თუკი რეალურად რამეს ნიშნავდა, ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ სუბიექტური იდეალიზმის მყიფე მოდელზე აღმოცენებულ ქვეყნიერებას ძილ-ღვიძილის ნისლი ჯერაც არ გადაეყარა. სინამდვილეში, ჩემი თანამემამულეები - ეჭვი არაა, ცოცხლები და საღ-სალამათები - საბნების ქვეშ იმყოფებოდნენ და არა ლავის ქვეშ. არც მე გავრბოდი. მე, თუ მაინცდამაინც, მივრბოდი, მივრბოდი ბენზინის საყიდლად, ვინაიდან ვიცოდი, რომ მთელ ტრასას, ამ თავიდან იმ თავამდე, წითელ ზოლად გასდევდა სიტყვა „დეფიციტი“, რომელიც ისე შეეფარდება სიტყვა „კრიზისს“, როგორც აგური კედელს, და თუ ეს წითელი ზოლი უდროო დროს და უალაგო ალაგას რეალურ შინაარსად გამჟღავნდა, ადვილი შესაძლებელია, სანაკლიოში მიმავალი მგზავრი სადმე შუა გზაში ჩარჩე და დანიშნულების ადგილას ვეღარასოდეს მიაღწიო.

თუმცა ჩემი სნეული ხილვის გასამართლებლად ერთი კი უნდა ვთქვა: ქუჩები ნამდვილად უკაცრიელი იყო. არსად არაფერი მოძრაობდა - არც ადამიანი, არც მანქანა, არც ნიავი. შუქნიშნებიც კი, გუშინ რომ სამფეროვან თვალებს მაცდურად აქუქუნებდნენ, ახლა ბრმა ჯაშუშებივით აბსურდულად გადმოყუდებულიყვნენ მაღალ-მაღალი ბოძებიდან და ყვავების ფანტასტიკურ ფიტულებს გვანდნენ. ხოლო რაკი ჩემს გარდა ქვეყნად არავინ მოძრაობდა, ჩემი მოძრაობა იდუმალი და საშიში ჩანდა.

მაგრამ ყველაფერი, რაც იწყება, თავდება კიდეც (ბანალური ფრაზა კარგია არა იმდენად იმის გამო, რომ სწორია, რამდენადაც იმის გამო, რომ კოლექტიური ცნობიერების ნაყოფია). და მართლაც, ქალაქის ცენტრალურ ნაწილს რომ გავცდი და მოედანს მივუახლოვდი - პატარა მოედანს, რომლისთვისაც იმ დროს ჯერ კიდევ არ გადაგვერქვა სახელი - სიცოცხლის ნიშანი გამოჩნდა.

კაცმა რომ თქვას, ეს ნიშანზე მეტი იყო: მოედნის ქვედა კიდეში, ერთ-ერთი ქუჩის შესაყართან, ავტობუსი იდგა და ირგვლივ რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა.

„თუ გონიერი არსებებია, იქნებ კონტაქტის დამყარებაც მოხერხდეს“, - გამიელვა სულელურმა აზრმა სადღაც ცნობიერების გაღაღმა, ბნელსა და უღრან ტყეში. საბედნიეროდ, ცნობიერება ამ დროს უკვე ენერგიულად იფართოებდა საზღვრებს და, უღრანი ტყე რომ ახოდ იქცა და შიგ სინათლის სხივმა შეაღწია, მე ჯერ ადამიანის დანახვით გამოწვეული ბუნებრივი შვება დამეუფლა, მერე კი, როცა ავტობუსში მკაცრად აბურდული კაბელი და ნაირნაირი აპარატურა შევნიშნე, საბოლოოდ შევიგრძენი მშობლიური პლანეტის მაჯისცემა და შვება სიხარულად მექცა.

თავიდან კინოსტუდია მეგონა და, რაკი ადრიანი დილაც იყო, ვიფიქრე, ალბათ რაღაც თანამედროვე დუელს იღებენ, ვთქვათ, რომელიმე რაიკომის სანთელ-საკმეველსა და რეგიონული მაფიის ნათელ-მირონს შორის-მეთქი, მაგრამ მალე ავტობუსის მინაზე წარწერა გავარჩიე. ტელევიზია ყოფილა და არა კინოსტუდია.

ტელევიზია სხვაა. ტელევიზია, როგორც წესი, ქუჩაში საზოგადოებრივ აზრს აგროვებს, ან მოგროვებულს ანოყიერებს.

მართლაც, ავტობუსის გვერდით მიკროფონით ხელში იდგა კომენტატორი და ფხიზლად უდარაჯებდა გამვლელებს, რომელთაც ათიოდე მეტრის მოშორებით, აფთიაქთან მოეყარათ თავი და რეჟისორის თანაშემწის ნიშანზე თითო-თითოდ მოდიოდნენ.

ავტობუსს იმ დროს გავუსწორდი, როცა კომენტატორს მორიგი გამვლელი უახლოვდებოდა. ორმოცდახუთიოდე წლის კაცი იყო, თმაშევერცხლილი, ტანსრული და, ყველა ნიშნის მიხედვით, ჯანმრთელი. მრგვალი, ღაჟღაჟა სახე ჰქონდა ოდნავ ბრიყვული იერით და ხელში დიდი, ყვითელი პორთფელი ეჭირა. ასე, დოცენტი იქნებოდა. დოცენტი ზედმეტად ლაღად მოდიოდა და პორთფელსაც ისეთი გამომწვევი დაუდევრობით მოიქნევდა, ბრმაც კი მიხვდებოდა, როგორ უფანცქალებდა გული კომენტატორთან შეხვედრის მოლოდინში.

ავტობუსს რომ ჩავუარე, მოედანს რომ გავცდი და ფართო ქუჩას რომ დავუყევი, რომლის ბოლოშიაც ბენზინის სადგურია, მივხვდი, რომ შეცდომა ჩამიდენია: მერე რა, რომ მთლად გონიერი არსებანი არ იყვნენ! მაინც უნდა გავჩერებულიყავი, ყური უნდა მიმეგდო, უნდა გამეგო, რამ ააფორიაქა ასე ადრიანად ჩვენი ტაქიკარდიული ტელევიზია, რა პათეტიკისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალფარდოვნების სუნი ეცა ამ უთენია; უნდა გამეგო და სანაკლიოში ისეთი ცინცხალი ამბავი წამეღო, რომელსაც დედაქალაქი, საფიქრებელია, საღამომდე ვერ შეიტყობდა.

ამ აზრმა, რაკი ერთი ამიტაცა, აღარ მომასვენა და მცირე ყოყმანის შემდეგ მანქანა უკანვე მივატრიალე.

მთელ ამ პროცედურას ხუთ წუთზე მეტი არ დასჭირვებია. ხოლო თუ იმ ათ-თორმეტ გამვლელსაც გაიხსენებთ, რომლებიც თავიანთი რიგის მოლოდინში ისე ტოკავდნენ, როგორც სტარტზე გამოსული ბედაურები, ალბათ გასაგები იქნება, რატომ მიყო გულმა რეჩხი, როცა მოედანზე მიბრუნებულს იქ დუმილი და სიცარიელე შემომეგება. აღარც ავტობუსი, აღარც კომენტატორი, აღარც რეჟისორი, აღარც დამხმარე პერსონალი, აღარც მგზავრები. მხოლოდ უკაცრიელი, ჭუჭყიანი მოედანი. ავტოინსპექტორი რაა, ავტოინსპექტორიც კი რამდენიმე კილომეტრის რადიუსში, ეტყობა, არსად ჭაჭანებდა, რაკი ჩემი მუხრუჭების მძლავრ ღრჭიალს მათი მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია.

თვალები რამდენჯერმე დავხუჭე და გავახილე იმ იმედით, რომ რამე შეიცვლებოდა, მაგრამ ამაოდ. ირგვლივ სამარისებური დუმილი იდგა, თითქოს ამქვეყნად სიკვდილის მეტი ცოცხალი აღარავინ დარჩენილიყო.

დიდხანს გაგრძელდა ეს ცივი გარინდება თუ ცოტა ხანს, ბოლოს ერთმა „ზაპოროჟეცმა“ გამომაფხიზლა. ფერად ლურჯი „ზაპოროჟეცი“ - ძველისძველი მოდელი, კოშმარულ სიზმარში ნანახ გრანდიოზულ ხოჭოს რომ ჰგავს, ისეთი - ლურჯად ამოცუხცუხდა ქვედა ქუჩიდან, მოედანი სწრაფად გადაირბინა და გაქრა. საჭეს ქალი უჯდა. და თუმცა შავი თმის გარდა მკაფიოდ სხვა არაფერი დამინახავს, მყისვე ვიცანი. ეგებ ახლა ეს მთლად დამაჯერებლად არ ჟღერს, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, „ახლასა“ და „მაშინს“ ბევრი არაფერი აქვთ საერთო. მაშინ კი დღესავით ნათელი იყო, რომ საჭესთან კლეოპატრა იჯდა, ეგვიპტის ცბიერი და მუსუსი დედოფალი.

ხოლო მთავარი შეუსაბამობა, რაც მთელს ამ მრუდე დილას შანთივით ჰქონდა გაყრილი, იმაში მდგომარეობდა, რომ მე ჩემი არსებით, წარმოშობით, აღზრდით, განათლებით, სულიერი წყობით, ბიძაჩემის ლოცვა-კურთხევით, ბუნებით, გამოცდილებით, მსოფლმხედველობით, ერთი სიტყვით, ყველა ნაკლითა და ყველა ნაკლულოვანებით, ფხიზელი რეალისტი ვარ.

„იქნებ „უესკრული“ გაცილებით უფრო ღრმა ცნებაა, ვიდრე მე მგონია! იქნებ ეწერელი დათიკო ზეგარდმო ძალის შიკრიკია! იქნებ სამყაროს საფუძვლები მოერყა!“, - გავიფიქრე მე და ჩემი ანგარიშით ეს იყო უკანასკნელი სერიოზული სისულელე, რაც იმ დილით გავიფიქრე.

ამასობაში „ზაპოროჟეცის“ თუხთუხი მიწყდა, ლოდის სიმძიმემ გულის პიკი გადაიარა და თავქვე დაეშვა, ბურუსი ნელ-ნელა გაირღვა და აჰა, ჯანსაღი ლოგიკა, ჩემი ერთგული და საიმედო ამხანაგი - მზის სხივივით სწორი, მზის სხივივით ბასრი და მზის სხივივით ელვარე - გახარებული წკმუტუნით დამიბრუნდა, როგორც დიდი ქალაქის ორომტრიალში დაკარგული ლეკვი.

კლასიკური ფიზიკის კანონები (მასის შენახვის კანონი, ნიუტონის მეორე კანონი და სხვ.), რომელთაც თავიანთი სიმართლე საქმით დაამტკიცეს, ზოგი პირდაპირ და ზოგი მოიარებით გვასწავლის, რომ ნივთიერება არ შეიძლება გაქრეს. შეიძლება ერთი სახის ნივთიერება მეორე სახის ნივთიერებად გადაიქცეს, მაგრამ არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს. აქედან გამომდინარე, ეწერელი დათიკოს აკუსტიკური გამოცხადება ან ავადმყოფური ბოდვა იყო, ან მეტაფორული მეტყველება. თუ ავადმყოფური ბოდვა იყო, სადი განსჯის საგანი ვერ იქნებოდა, თუ მეტაფორული მეტყველება იყო, ეს მეტყველება უნდა გაშიფრულიყო და ლოგიკის ენაზე თარგმნილიყო. მაგალითად, ასე: „რაკი ეკლესია არ შეიძლება გაქრეს, როგორც ნივთიერება, უნდა განვიხილოთ მისი, როგორც იდეის, გაქრობის შესაძლებლობა, და უარყოფითი პასუხი გავცეთ, ვინაიდან იდეა შეიძლება გაქრეს (თუკი შეიძლება გაქრეს) მთლიანად და არა ნაჭერნაჭერ, ხოლო რაკი ეკლესიის მთლიანი იდეა ჯერ არ გამქრალა, მაშასადამე, ვერც ეწერის ეკლესიის კონკრეტული იდეა გაქრებოდა. მაშ, რა გაქრა?..“

აქ მსჯელობა გავწყვიტე. გავწყვიტე შეგნებულად. იმიტომ რომ ამ წუთას მე მაინტერესებდა არა იმდენად ეწერელი დათიკოს საქციელის (უსაქციელობის) ახსნა, რამდენადაც საკუთარი აზროვნების შემოწმება. წარმატება აშკარა იყო. გონებაში ნელ-ნელა მყარდებოდა წესრიგი. ქაოსი იდევნებოდა და მის ადგილს მიზეზ-შედეგის მწყობრი ჯაჭვი იჭერდა. ფსიქიკის დარღვეული ერთიანობა თითქმის მთლიანად აღდგა და, თუ აქამდე თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს გუნებანაქცევი ღმერთის დაეჭვებულ თვალში ორად ვჩანდი, ახლა უფლის ღვთაებრივი ფოკუსი გასწორდა და ჩვენ - მე და მე - კვლავ შევერთდით.

მანქანა დაუყოვნებლივ დავქოქე და გზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუდექი. რაკი ლოგიკის ფოსფორული ღერძი ერთი მოვიხელთე, უკვე აღარაფრის მეშინოდა, მით უმეტეს, რომ ბენზინის რიგში საკმარისი დრო მექნებოდა, რათა კარგად დამესვენა, შემორჩენილი ნისლიც გადამეწმინდა და საბოლოოდ გადმოვბარგებულიყავი რეალიზმის მყარ რელსებზე.

ყველაფერი იმაზე უკეთ აგიხდეთ, ვიდრე მოელით! ყოველ შემთხვევაში, მე იმაზე დიდხანს მომიწია რიგში დგომამ, ვიდრე მოველოდი. თავიდან კარგად მივიწევდით მიზნისაკენ - ზომიერი სიჩქარით და თანაბარი პაუზებით, მაგრამ იმ დროს, როცა ჩემს წინ სულ ოთხი მანქანაღა დარჩა, გაუთვალისწინებელმა გარემოებამ ცოტა შეგვაფერხა: ორი ჯეელი, რომლებიც ერთდროულად მოგვადგნენ წინიდან, რათაურიგოდ აეღოთ ბენზინი, ვერ შეთანხმდნენ, ჯერ რომელს აეღო და მერე რომელს, და ამ ნიადაგზე შეიბნენ. თვალები დააბრიალეს, მკლავები დაიკაპიწეს და მუშტები ერთმანეთს დააყარეს. არ ხმაურობდნენ, არ იგინებოდნენ, ენერგიას ფუჭად არ ხარჯავდნენ. ეს იყო მხოლოდ, შიგადაშიგ ხმადაბლა ქშინავდნენ. რიგი შეჩერდა. მოუთმენლობის ნიშანი არავის გამოგვიმჟღავნებია. ვისხედით მანქანებში და წყნარად ველოდით ორთაბრძოლის დასრულებას. ვინც უფრო ფრთხილი ან მფრთხალი იყო, კარის მინაც ასწია. შორიდან მთელი ეს სანახაობა ალბათ ძალიან ჰგავდა *„Drive-in cinema“*-ს (უფრო *„Drive-in theatre“*-ს, თუკი ასეთი რამეც არსებობს). ბენზინის სადგურის მეთვალყურე, რომელიც სალაროს გვერდით დიდ ტაბურეტზე იჯდა ამომავალი მზის სხივებში ანგელოზივით გახვეული, ჩვენთან ერთად - ოღონდ ნაკლები ინტერესით - ადევნებდა თვალს შერკინებას. ბრძოლა გაგრძელდა. გამარჯვების სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორე მხარეს. ძალები იმდენად თანაბარი იყო, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომელს დარჩებოდა პირველობა. ბოლოს და ბოლოს მოწინააღმდეგეებს მობეზრდათ ეს გაჭიანურებული ოთაბრძოლა და დანები დააძრეს. მაშინ მეთვალყურე უხალისოდ წამოიზლაზნა, შარვლის ტოტები ჩამოიბერტყა, გვერდზე უკმაყოფილოდ გადააპურჭყა და სცენისაკენ გაემართა, მაგრამ დააგვიანდა: ვიდრე ის დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, ერთმა ჯეელმა იმარჯვა და მეორე ჯეელს დანა დაჰკრა. დაკრულმა დაიბღავლა. ბღავილზე - თითქოს ეს დათქმული ნიშანი ყოფილიყოს - ბრძოლა შეწყვიტეს და წამსვე ორივე თავთავის მანქანას ეცა. დამკვრელი - გასაქცევად, დაკრული - გამოსაკიდებლად. სიუჟეტმა კულმინაციას მიაღწია. უპირატესობა ახლა დამკვრელის მხარეს იყო, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, დაკრულმა მოასწრო და, ვიდრე ოპონენტი სადგურის ვიწრობს გასცდებოდა, ღმუილით დაეტაკა. დაეტაკა და წავიდა. დამკვრელი (უკვე თავადაც დაკრული) მეთვალყურის დახმარებით როგორც იქნა მოსულიერდა, გვერდშელეწილი მანქანა გაჭირვებით დაქოქა და ისიც წავიდა. ბენზინი ჩვენ დაგვრჩა.

რაკი ინციდენტი ამოიწურა, რიგი მრისხანედ ახმაურდა და აგუგუნდა, რათა გულში დალექილი მღვრიე გრძნობა, რომელიც შიშისა და შეურაცხყოფის ნარევს წარმოადგენდა, შეძლებისდაგვარად ამოეწმინდა. მაგალითად, ჩემს უკან მდგომი მანქანიდან მძღოლი გადმოვიდა, ჩემს მანქანას მოადგა, დაიხარა, სარკმელს ჩამოეყრდნო და მოციმციმე იმედით მკითხა:

- თქვენ ისტორიკოსი ხომ არა ხართ? - და როცა გაკვირვებით მივუგე, არა-მეთქი, მისი მოციმციმე იმედი ახდენილი ვარაუდის კმაყოფილებაში გაიხსნა. მერე ასე კმაყოფილმა განაგრძო, - მაშ, შესაძლოა, არ იცით, რომ ეს ტერიტორია - ეს ბენზინის სადგურიც, ის ორივე მიმდებარე ქუჩაც და აგერ, ის დასახლებაც, - ოდესღაც მანდ კოპიტის ტყე ყოფილა - წმინდა ადგილია, - აქ წამით შეჩერდა, ნერწყვი გადაყლაპა და მეც საშუალება მომცა გამეაზრებინა, რომ მისი ეფემერული დიალექტური ნიუანსების მიხედვით მხოლოდ ძალზე მახვილი ყური თუ მიხვდებოდა, რომელი კუთხის შვილი იყო. სული რომ მოითქვა, განაგრძო, - მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს, უფრო ზუსტად, ᲩᲞᲤᲗ წელსა - ასე აღნიშნავდნენ ჩვენი ძველები რიცხვით მონაცემებს და კარგი იქნება თუ ამ ეროვნულ ტრადიციას ისევ მივუბრუნდებით - ძალგულოვანმა ქართველებმა აქ მამაცთა მცირე გუნდით სისხლისმღვრელ ბრძოლაში ძლიერი და რიცხვმრავალი მტერი აოტეს. დიახ! ახლა კი ნახეთ, როგორ წავხდით, როგორ დავკნინდით! - აქ ერთხელაც გადაყლაპა ნერწყვი და ტირადა მოულოდნელი დასკვნით დაასრულა, - სხვათა შორის, მანქანა რომ სისხლით მუშაობდეს და არა ბენზინით, ამდენი სისხლი უქმად არ დაიღვრებოდა!

ამ სიტყვებით უკანვე მიტრიალდა.

მე თვალი გავაყოლე და მისი მსხვილი, მოთიმთიმე დუნდულების მკვეთრ მოძრაობაზე ერთბაშად მივხვდი, თუ რატომ მქონდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთი შეგრძნება, თითქოს საიდანღაც მეცნობოდა: იმ მოპროვინციალო დოცენტს ჰგავდა, მოედანზე რომ ვნახე! ერთი შეხედვით დუნდულები ამ ვარაუდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტურად თითქოსდა ვერ გამოდგებოდა - მოედანზე ხომ ზურგიდან არ დამინახავს, მხოლოდ წინიდან დავინახე - მაგრამ რაღაც ირაციონალური ხმა მარწმუნებდა, რომ ის სახე და ეს დუნდულები ერთიმეორის შემავსებელი ნაწილები იყო, ასე ვთქვათ, გლობუსის ორი ნახევარსფერო.

ბენზინს რომ ვასხამდი, ამ ირაციონალური ვარაუდის შესამოწმებლად თვალი მისი მანქანისკენ გავაპარე და იქ, წინა მარჯვენა სკამზე, მართლა შევნიშნე დიდი პორთფელი - ყვითელი და გატიკნილი, როგორც ფეხმძიმე მთვარე.

ამასობაში (ვიდრე რიგში ვიდექი, საათზე მეტი გავიდა) დღევანდელი დღის ეს უმწიფარი უვერტიურა - ყალბი რომანტიზმითა და ცრულირიკული ჭიკჭიკით გაჟღენთილი - როგორც იქნა, მიწყდა და სამყაროში ჭეშმარიტი დილის ჯანსაღი თემა შემოიჭრა - მხნე, გამოძინებული მელოდია. კოშმარულ-იდუმალი ბურუსის ნარჩენები, რომლებიც გონებაზე ჯერ კიდევ საფენებივით მედო, ტკაცანით დაიწვა, ღამის ლანდები თეთრ სინათლეზე გაქრა და, თუმც ხერხემალში კვლავაც ბუყბუყებდა ძილის ნელთბილი ჭაობი, ძალმოსილმა მზემ - კურთხეულ იყოს მისი ჩახჩახა მცხუნვარება - რეალური კავშირის ძაფები ისე აანთო და ააბრიალა, მალე ყველა ეჭვისგან განთავისუფლდი და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს „ნივას" გულმსუბუქად მივაჭენებდი ტრასაზე.

### სულთმობრძავი „ზაპოროჟეცი" და მომავლის მონოლოგი. სანაკლიო, პაპასკირის რვა.

მშვიდობით გავცდი მცხეთას - მშვიდობა ნუ მოგაკლოთ ღმერთმა - მშვიდობით გავცდი ქსანს, იგოეთიც უკვე შორს აღარ იყო და დღევანდელი დეკადენტური განთიადი თითქოს საბოლოოდ ჩაიძირა დავიწყების მორევში, რომ უეცრად ისეთ სურათს გადავაწყდი, ტვინის უცხო მუხტები, უკვე დავარცხნილი და თავ-თავიანთ ბუდეებში ჩალაგებული, ხელახლა წამოიშალა; დავიწყების მორევიც შუა გაიპო და ჩასაფრებულმა მეხსიერებამ ფსკერიდან ჩუმი ირონიით შემომღიმა. მართალია, ვიდრე ყოველივეს მკაფიოდ აღვიქვამდი და მივხვდებოდი, თუ რატომ გამომაყოლა შეშფოთების ბუნდოვანი გრძნობა მანქანამ, რომელიც გზის გადაღმა კაპოტახდილი იდგა ნაპირზე გარიყული თევზივით, უკვე ისეთ მანძილზე ვიყავი გაცდენილი, თამამად შემეძლო არამკითხე სინდისისთვის ზედ არ შემეხედა და დამშვიდებით გამეგრძელებინა გზა, მაგრამ ამასობაში სურათმა ცნობიერების გულს მიაღწია და იქ ლურჯ „ზაპოროჟეცად" აინთო.

იმის დრო აღარ მქონდა, გავერკვეულიყავი, ფსიქიკამ მიმტყუნა თუ მართლა ზეგარდმო ძალა მანიშნებდა რაღაცას. მანქანა გავაჩერე და მერე უკუსვლით წავედი.

„ზაპოროჟეცის" პატრონი ისე ნირწამხდარი იდგა ახდილ კაპოტთან და ისეთი გაგულისებული პესიმიზმით ჩასცქეროდა მანქანის შიგნეულს, მყისვე მიხვდებოდით, რომ იგი არათუ დედოფალი კლეოპატრა, სხვა, უფრო დაბალი რანგის დედოფალიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩემი მისვლა არ გაუგია. შესაძლოა გაიგო კიდეც და უბრალოდ ყურადღება არ მომაქცია. მე შორიახლო შევჩერდი და ერთხანს მოთმინებით ველოდი. ბოლოს, ეს უქმი ლოდინი რომ ნელ-ნელა ორჭოფულ ვითარებაში გადაიზარდა, თავს ძალა დავატანე და ისეთი კილოთი, რომელსაც ჩემი ვარაუდით ეს ორჭოფულობა უნდა დაეძლია და წაფორხილებული ღირსებისთვის ხელი შეეშველებინა, ვკითხე:

- იტკინა რამე?

ქალი არ განძრეულა. და მხოლოდ მოგვიანებით, როცა უკვე იმაზე ვფიქრობდი, რა უფრო გონივრული იქნებოდა - კიდევ ერთხელ შევხმიანებოდი თუ ჩუმად გავცლოდი - თავი აიღო, წელში გაიმართა, შავი თვალები ერთი კუშტად შემომანათა, მერე კაპოტი ჯახანით დახურა და მითხრა:

- თქვენი ჭირი წაიღო.

თხელი იყო, საშუალო ტანის, პირმრგვალი და შავგვრემანი. მოკლე თმა ჰქონდა, მორკალული წარბები და დედოფალ კლეოპატრას არა, მაგრამ თვალების სიღრმეში რომ წამით ის ელვა არ გაკრთომოდა (ერთი მხრივ, უცნობი და მოუხელთებელი, მეორე მხრივ, შინაური და გარდუვალი), რომელიც იოტისოდენა ეჭვს არ ტოვებს, ვიტყოდი, სპარსს უფრო ჰგავს, ვიდრე ქართველს-მეთქი. ტანთ ეცვა ღია ვარდისფერი, გრძელი და სწორი სიფრიფანა საგაზაფხულო პალტო, რომელიც არ ვიცი მოდას რამდენად ეთანხმიერებოდა, მაგრამ მანქანის საჭესთან კი ალბათ ძალზე მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო. სახე მკაცრი და ცოტა დაღლილი ჰქონდა და - ახლა აღარ მაგონდება, რატომ - მომეჩვენა, თითქოს ეს ისეთი სიმკაცრე იყო, ერთი კონკრეტული ადრესატი რომ არა ჰყავს, და ისეთი დაღლილობა, ერთი კონკრეტული მიზეზი რომ არა აქვს.

მკაცრი და დაღლილი ჯერ კაცი რა არის, რომ ქალი რა იყოს, მაგრამ, მე რომ შევკრთი და გულმა რეჩხი მიყო (ეს კი იმ წამს მოხდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა წამსაც მისი ხმის მკვახე ტონი ტვინმა აბსტრაქციის ხსნარში გაავლო და შედეგად სიტყვა „უმური" მიიღო), ამის მიზეზი სიმკაცრე და დაღლილობა არ ყოფილა. ტონს, კი, სწორედ სიმკაცრე და დაღლილობა განაპირობებდა, მაგრამ განაპირობებდა, როგორც შუამავალი, როგორც გამტარი, და არა როგორც მიზეზი. მიზეზი ასაკი უნდა ყოფილიყო - დინამიური წერტილი, რომლის ქვედა ობიექტური ზღვარი ჩემი ვარაუდით, ოცდაშვიდ წელზე გადიოდა, ზედა-ოცდათერთმეტზე, ეს კი ქალის ბიოლოგიურ განვითარებაში ისეთი კრიტიკული ეტაპია, როცა იდუმალების პირველი - რომანტიკული - საბურველი უკვე დამდნარია, ან - ეფექტური, მაგრამ სწრაფწარმავალი ტერმინი რომ ვიხმაროთ - ამორტიზებული, ხოლო ახალი - უფრო სქელი და უფრო იდუმალი - ჯერ არ მოქსოვილა, და ხასიათიც - უკვე გაძარცული, მაგრამ ჯერ კიდევ შეუმოსავი - ამ ხანგრძლივ შუალედში შიშველი და პოლარული ძალაა, სწორხაზოვანი, შუმი, უმართავი. თუ ქალი გათხოვილია, ეს ძალა საშიში არ არის, პირიქით, იგი ბუნებრივი სიმწიფეა - მშვიდი, რბილი და ზოგჯერ მწყალობელიც, მაგრამ თუ გასათხოვარია და თანაც - ყველას ჯვარი გწერიათ - ქალწული, მაშინ დიდი ტაქტი გვმართებს, დიდი სიფრთხილე და დიდი წინდახედულება, ვინაიდან ასეთ დროს ხასიათის პოლუსი ბასრია, ალოგიკური და ბრმა, როგორც ორლესული ხანჯალი უკონტროლო იმპულსების ხელში.

და თუმცა ხმა რბილი ჰქონდა და სახის კანი სუფთა, მაინც, რაკი ხმასაც და სახის კანსაც ზემოდან თოფისწამალივით ეყარა სუსხი, ვამჯობინე თვალი ამერიდებინა. „ნეტა ყვითელპორთფელიანი დოცენტი სად არის ახლა და რასა იქმს?", გავიფიქრე ყოყმანით. მერე „ზაპოროჟეცს" შევხედე, რომელსაც ისე მწუხარედ ჩაექინდრა თავი, ეჭვი არაა, მისი რკინისებური კეთილსინდისიერებისთვის სიკვდილი დანაშაული უფრო იყო, ვიდრე უბედურება, და ამის დანახვაზე გულში უეცრად სიტყვები პარალელური ყვავილებივით აღმოცენდა: „მოკვდა - გათავდა - დაიღუპა - გარდაიცვალა - განისვენა - აღესრულა - ჩაძაღლდა - მზე ჩაუქრა - მისი მზე ჩაესვენა -სიცოცხლეს გამოესალმა - იმ ქვეყანას გადასახლდა - მარადიული ძილით დაიძინა - ხელიდან გამოგვეცალა - ვაი რა ბოძი წაგვექცა - გაღმა გავიდა - წერილი წაიღო - პატრონს მიეწია - პატრონს ჩაბარდა - ფეხები გაჭიმა - ფეხები გაფშიკა - სული დალია (განუტევა - გააფრთხო - გასძერა - ხორცს გაეყარა) - მიწამ პირი უყო - მარილზე წავიდა..." აქ, რა შევნიშნე, ქალს, რომელიც ამ დროს მანქანას კეტავდა, ეს საქმე მიეტოვებინა და სანახევროდ ჩემკენ მოტრიალებული ეჭვითა და გაკვირვებით მომჩერებოდა, მივხვდი, რომ პარალელური სიტყვები, მე რომ მეგონა გულში ვაგროვებდი, თურმე გარეთაც გამოცვენილიყვნენ. მაშინ, მას შემდეგ, რაც ამ აღმოჩენით ცოტა დაბნეულმა სინონიმების ხეივანში ინერციით კიდევ ორი ნაბიჯი გადავდგი („წირვა გამოუვიდა" და „ყალიონი მიაყუდა"), როგორც იქნა, გონს მოვეგე და დავძინე:

- იქნებ ჯერ კიდევ უდგას სული. თუ ნებას მომცემთ, მეც გავსინჯავ.

ქალმა ერთხანს მიყურა. მერე მზერა ტრასაზე გადაიტანა, მხრები აიჩეჩა და კიდევ უფრო გამხდარი გამოჩნდა. საერთოდ, მატყუარა გარეგნობა ჰქონდა, ისეთი, დიდხანს რომ ვერ მიხვდები, ლამაზია თუ ულამაზო. ერთადერთი, რისი თქმაც ამთავითვე შეიძლებოდა, ის იყო, რომ გრძელი პალტო არ უხდებოდა.

მხრების აჩეჩვა, ბუნებრივია, თანხმობის ნიშნად მივიღე და საქმეს შევუდექი. ჯერ დაქოქვა ვცადე, მერე, ამ მცდელობამ რომ ნაყოფი არ გამოიღო, კაპოტი ავხადე და მთელი ცოდნა ახლა იქ დავაბანდე. სამწუხაროდ, ყველაფერი ამაო გამოდგა: „ზაპოროჟეცს" საამქვეყნიო პირი არ უჩანდა. ბოლოს, მას შემდეგ, რაც ჩემი მწირი შესაძლებლობანი სრულად და უშედეგოდ ამოვწურე, კაპოტი ისევ დავხურე.

ვიდრე მე ვცოდვილობდი, ქალი ერთ ადგილას იდგა და სკეპტიკური მოლოდინით მიყურებდა, რის გამოც თანდათან ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ნაცარქექიას როლს ვთამაშობდი. სინამდვილეში ეს შედარება, რაღა თქმა უნდა, უადგილოა. მე ხომ მკლავები არ დამიკაპიწებია და ტრაბახი არ დამიწყია, ასე და ისე ვიზამ-მეთქი! მოვალეობის გამო ჩავები ამ უთანასწორო ბრძოლაში, თორემ მშვენივრად ვიცი და არც როდისმე დამიმალავს, რომ ტექნიკა ჩემი საქმე არ არის.

- ვერ გავამართლე ბედისწერის ნდობა, - შეძლებისდაგვარად მხნედ ვაღიარე მცირე შინაგანი მომზადების შემდეგ და გაღიმებაც კი ვცადე, - მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ მკვდარია, ტრასაზე არ დაგასაფლავებინებენ; თუ ცოცხალია, მიტოვება არ ივარგებს. ყველაფერს ისა სჯობს, წავიყვანოთ და უკეთეს ოსტატს მივჰგვაროთ, - „რომელსაც, ვინ იცის, სახელად ჰამლეტი ერქვას", დავატანე გუნებაში. ხმამაღლაც დავაპირე თქმა, მაგრამ უკანასკნელ წამს ჩვენმა მზერამ ერთმანეთი გადაკვეთა და რაღაც უცხო, შეუცნობელმა ძალამ

პირზე ხელი დამაფარა.

ქალმა ყურადღებით მომისმინა და მცირე ფიქრის შემდეგ უეცრად მკითხა:

- უსასყიდლოდ დამეხმარებით თუ გასამრჯელო უნდა გადაგიხადოთ?

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წამით სუნთქვა შემეკრა. რამ დააეჭვა ეს ქათამი? მართალია, ჩემი პატიოსნება არც ისე ლაქვარდოვანია, ვარსკვლავების მეტს არავის ეთამაშებოდეს, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდი, ასეთი ჩარჩული შესახედაობა თუ ჰქონდა!

- უსასყიდლოდ, - მივუგე ცივად, - და, თქვენის ნებართვით, უანგაროდაც.

პასუხს აღარ დაველოდებივარ, საბარგულიდან თოკი ამოვიღე, ერთი ბოლო ჩემს მანქანას ჩავაბი, მეორე მისას, სანიშნებლად შუაში პიონერული ყელსახვევი გამოვენასკვე, რომელიც მსგავსი შემთხვევებისთვის საგანგებოდ მქონდა შეძენილი, და - რაკი ამასობაში ჩემი წეღანდელი უხეში პასუხი მე თვითონ უამურად ამომაღოდა გულზე, ნახევრადშემრიგებლური კილოთი ვუთხარი:

- დაბრძანდით. და თუ გინდათ, სიკვდილამდე დავალებული ვიყო თქვენგან, ეცადეთ, რომ: პირველი - სიჩქარეში არ ჩააგდოთ, და მეორე - მუხრუჭს ფეხი ბოლომდე არ დააჭიროთ.

ამაზე ქალმა თავი დამიქნია და მომეჩვენა, თითქოს გულში ჩუმად რაღაც ჩაინიშნა.

ჩავსხედით ჩვენ-ჩვენს მანქანებში და ასე -მეტაფორულად რომ ვთქვათ - ხელიხელჩაკიდებულები გავუდექით გზას. მალე მარჯვნივ, პატარა ვაკეზე, პროფილაქტორიუმიც გამოჩნდა და იქით გადავუხვიეთ. ეზოში რომ შევედით და მანქანებიდან გადმოვედით, პირველსავე სულიერს - ერთ სქელ, მაისურისამარა ბანჯგვლიან კაცს, რომელსაც მხარზე რელსის ნაჭერი ედო და თავით ფეხამდე მაზუთში იყო ამოგანგლული, წინ გადავუდექი და ჩვენი გასაჭირი შევჩივლე. ვიდრე მე საქმის ვითარებას ვაცნობდი, კაცი ჩემს თანამგზავრს უყურებდა და გულწრფელი უტიფრობით მაგრძნობინებდა, რომ ჩემს ცქერას მისი ცქერა ერჩივნა. სათქმელი რომ მოვათავე, თავი უკან გადაიგდო და მაღლა ცას ასძახა:

- რომეო! მუშტარს გამოხედე!

ამ სიტყვებით შეტრიალდა და ბოქსის ბნელ ხახაში გაუჩინარდა.

მე მისი წაბაძვით ცას ავხედე, მაგრამ მოვტყუვდი. რომეო, თითქოს დიდ წყვდიადს პატარა წყვდიადი გამოეყოო, ერთ-ერთი გვერდივი ბოქსიდან გამოძვრა და სწრაფი ნაბიჯით გამოეშურა ჩვენკენ. სრულიად ახალგაზრდა იყო, თითქმის ყმაწვილი, და - დაბალი, შავი, გაჩხინკული - არმატურის ჟანგიან გადანაჭერს ჩამოჰგავდა. სამაგიეროდ ცხვირი ჰქონდა პრეტენზიულად გრძელი და, გარდა ამისა, ქუთუთოებგადმოფარებულ, წყლიან თვალებში შორეული და უსაგნო, ზოგად-ისტორიული სევდა ედგა. ტანთ ლურჯი კომბინეზონი ეცვა და ჭუჭყიანი ჩვრით გზადაგზა გულმოდგინედ იწმენდდა ხელებს.

სხვაფრივ უაღრესად საქმიანი და მარჯვე ბიჭი გამოდგა. დაწყებული არ მქონდა ახსნაგანმარტება, რომ წამსვე შემაწყვეტინა. გასაგებიაო, თქვა, გაზინთული ჩვარი კომბინეზონის ჯიბეში ჩაიტენა და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა მანქანაში. კარგახანს დაძვრებოდა იქ ნაწილებსა და ნაწილებს შორის საიდუმლო ბილიკებით. ყველაფერი შემოიარა, ყველგან შეიხედა, ყველა საეჭვო ადგილი მოჩხრიკა, ბოლოს უკანვე გამოძვრა, თავისი წმინდა და ნატიფი სევდა - არა ვიცი, რა ინტუიციის წყალობით - პირდაპირ მანქანის პატრონს მიანათა და გამოაცხადა:

- ძრავა უნდა დაიშალოს, ქალბატონო.

თუ ზედმეტ დეტალებს, ფუჭ გამეორებებსა და არაარსებით წიაღსვლებს ჩამოვაშორებთ და მაინცდამაინც არც აქცენტს გამოვეკიდებით, მომდევნო ნახევარი საათი, რომელიც მოლაპარაკებას მოხმარდა, პირობითად შეიძლება ჭაბუკი რომეოს მონოლოგად ჩამოყალიბდეს:

„კარგად მესმის, ქალბატონო, თქვენი წუხილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ძრავა დაზიანდა - ძრავა უნდა შეკეთდეს. აქ ალტერნატივა არ არსებობს. სრულ სამ დღეს მოვუნდებით. დღეს, ხვალ, ზეგ. გასამრჯელო ორას ორმოცდაათი მანეთი. შემიძლია (ვხედავ, აქაურები არ ბრძანდებით) მანქანა შინ მოგგვაროთ, რის შედეგადაც ერთ დღეს - საქართველო პატარაა - თქვენ მოიგებთ, ერთ დღეს მე წავაგებ. და ეს ერთი დღე, რომელსაც - ასე რომ ვთქვათ - მე ვყიდი და თქვენ ყიდულობთ, კიდევ ორმოცდაათი მანეთი დაგიჯდებათ. სულ - გთხოვთ, ინფლაციის ტემპსაც მიაქციოთ ყურადღება - სამასი მანეთი. გარწმუნებთ, ამ არემარეზე სხვა ისეთ რომეოს ვერ იპოვით, ამ ფასს დაგჯერდეთ. რა ბრძანებაა, გადასაგდები რა სჭირს, კიდევ დიდხანს მოგემსახურებათ! გაყიდვით როგორ არ გაიყიდება, მაგრამ - ენდეთ სპეციალისტის ცოდნასა და გამოცდილებას - ამ სახით რომ გაყიდოთ, საეჭვოა ხუთას მანეთზე მეტი აიღოთ, მაშინ როცა გამართულში ათასს არ დაგალაპარაკებენ. ეს პარადოქსი არ არის, ეს ფსიქოლოგიური ზემოქმედების კანონი გახლავთ, რომელიც გვასწავლის: „გაუმართავი მანქანის ფასსა და

გამართული მანქანის ფასს შორის განსხვავება ყოველთვის აღემატება იმ თანხას, რაც გამართვას სჭირდება“. ამ კანონის მოქმედება განსაკუთრებით ნაყოფიერია მაშინ, როცა გაუმართავი მანქანა - როგორც თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში - ვერ იქოქება, ან, აუცილებელი ტერმინოლოგიური განზოგადება რომ მოვახდინოთ, ვერ მოძრაობს. არსებითად, ფსიქოლოგიური ზემოქმედება სწორედ მოძრაობის ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა და, თუ სიმართლე გინდათ, მას ბუნების გლობალური კანონის ხასიათი აქვს. მე თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, თეორიულ პრობლემატიკაში შევიჭრა - ეს ჩემი მხრივ გაუმართლებელი დილეტანტიზმი იქნებოდა - მაგრამ, ვფიქრობ, მრავალრიცხოვანი ემპირიული მონაცემები საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მოძრაობის, როგორც მატერიის არსებობის ფორმისა და უზოგადესი თვისების, ფსიქოლოგიური - სწორედ ფსიქოლოგიური - ზეგავლენა სიცოცხლის განვითარების პროცესზე უაღრესად დიდია, ეგებ გადამწყვეტიც, და როცა მეცნიერება ამ პროცესით, ბოლოს და ბოლოს, დაინტერესდება, ადამიანი ალბათ სხვა კუთხით წარმოჩნდება... მესმის, ქალბატონო, მაგრამ ეს დელიკატური საკითხია, რომელიც ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს. სამაგიეროდ, შემიძლია სრული საბუთიანობით მოგახსენოთ, რომ, თუ გარანტია არსებობს - მე კი გარანტიას ვიძლევი - ძალზე გავრცელებული და რამდენადაც გავრცელებული, იმდენადვე ქარაფშუტული ანდაზის - მაპატიეთ და, მე ვიტყოდი, სპეციფიკურად ქართული ანდაზის - საწინააღმდეგოდ, დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი სჯობს“.

რაღა თქმა უნდა, მონოლოგი მთლად ამ სახით არ წამოთქმულა, მაგრამ ყველა აზრი და სიტყვების ერთი ნაწილი ოსტატ რომეოს ეკუთვნის. უაღრესად მიზანმიმართული ყმაწვილი ჩანდა და აშკარა იყო, სპეციალისტიც ჩინებული იქნებოდა. ჩვენს მდნარ ცხოვრებაში დღეს პროფესიონალიზმის ამგვარი მურკლები იშვიათობაა. ერთადერთი ნაკლი ის ჰქონდა, რომ მოძრაობის ფსიქოლოგიური ზემოქმედების კვლევას ზედმეტად გააეტაცნა და პატარა ფილოსოფიურ ჭიად ქცეოდა. მართალია, დღესდღეობით ეს ჭია უჩინარ სიღრმეებში თვლემდა და ცხოვრების მდინარებაში არ ერეოდა, მაგრამ თუ გააზულუქებდა და გაათამამებდა (ასეთი ვარაუდის საფუძველს თვალებში ჩაგუბებული დიდი და უქმი სევდა იძლეოდა), ისიც - გაზულუქებული და გათამამებული - ეჭვი არაა, პირდაპირ იმ ფუნდამენტის ღრღნას შეუდგებოდა, რომელზედაც ადამიანის ამქვეყნიური არსებობაა დაფუძნებული. ჯერჯერობით - ვიდრე ეს სავარაუდო მომავალი მწარე აწმყოდ არ დადგომოდა - ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველა კანონი პრაქტიკული საქმიანობის სამსახურში ეყენა და მალე აკი დაგვარწმუნა კიდეც, რომ მის იქით გზა არ გვქონდა. პირადად ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ოფიციალურ დასტურს არ დალოდებია. იგრძნო თუ არა ის საკვანძო წამი, როცა, მისი აზრით, მანქანის პატრონმა გულში დათანხმება გადაწყვიტა (რაც მთლად სწორი არ გამოდგა), მოლაპარაკება აღარ გაუგრძელებია და პირდაპირ ტექნიკურ საკითხებზე გადავიდა.

- დღეს, ხვალ, ზეგ და მორჩომილი იქნება, - ამ სიტყვებით ჯიბიდან, რომელშიაც ცოტა ხნის წინ ზინზლიანი ჩვარი ჩაიტენა, ფანქარი და ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო. და თუმცა სამივე ეს ნივთი იოლად წარმოიდგინება ერთ ჯიბეში, წამით მომეჩვენა, თითქოს ილუზიონისტმა გაცვეთილი ფოკუსი გაგვიკეთა, - სახელი და გვარი თუ შეიძლებოდეს.

- სალომე ერისთავი, - თქვა ქალმა. მის ხმაში ჯერ კიდევ ისმოდა ყოყმანი, მაგრამ ოსტატმა (ისევე როგორც მე) ეს ყოყმანი ფსიქოლოგიურ ინერციად მიიჩნია და ყურადღება არ მიუქცევია.

- სალომე ერისთავი... მისამართი თუ შეიძლებოდეს.

აქ უეცარი მეხი გავარდა.

- სანაკლიო, - თქვა ქალმა, - პაპასკირის რვა.

მე ერთბაშად მთელი არსებით შევიგრძენი ძველი სენტენცია იმის შესახებ, რომ, ვინც სიკეთე ჩაიდინა, სისულელე ჩაიდინა. იმავ წამს გონებაში, როგორც ინსტინქტური მეხამრიდი, გაჩნდა პასუხი: „არ გავუმხელ, რომ მეც სანაკლიოში მივდივარ, და ავტობუსის პირველივე გაჩერებასთან მოვიშორებ“. ვიცი, ამგვარი განზრახვა ნაკლულოვანი ზნეობის ნიშანია, მაგრამ ვიდრე შემაჩვენებდეთ, გაიხსენეთ, თქვენ თვითონ რამდენჯერ გიცდიათ უსიამოვნო მოვალეობისაგან კიდევ უფრო უკადრისი საშუალებით დაგეძვრინათ თავი! ჩემი მოვალეობა კი არა მარტო უსიამოვნო, არამედ უაღრესად მძიმეც იყო. მართალია, ეს ქალი სულ რაღაც ერთი საათის წინ ვნახე და, შეიძლება ითქვას, არც კი ვიცნობდი - მით უმეტეს, რომ ამ ერთი საათიდან ნახევარი საათის განმავლობაში ერთმანეთთან კონტაქტი მხოლოდ თოკის მეშვეობით გვქონდა დამყარებული - მაგრამ საზოგადოდ ხომ ვიცნობ ქალს! ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ვიცი, რომ უფლის ეს მეორადი ქმნილებები, თუ ისეთ ადგილას გიყელეს, საიდანაც გასაქცევი არსაითა გაქვთ, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ, რომ თავიანთი ინტელექტუალური განძი სრულად გადმოგილაგონ, ხოლო რაკი ამ საქმისთვის თხუთმეტ წუთზე მეტი არასოდეს სჭირდებათ, თხუთმეტი წუთის შემდეგ - ცხადია, შესვენებისა და სულისმოთქმის გარეშე - ტირაჟირებას იწყებენ, რის გამოც თანდათან ისეთი გრძნობა გიჩნდებათ, თითქოს ნერვული სისტემის კოლოფში სიგნალიზაცია მოგეშალათ. სანაკლიომდე ათჯერ თხუთმეტი წუთის სავალი მედო. მაშ, თავად განსაჯეთ, რა რკინა-ბეტონის ფსიქიკა უნდა მქონოდა, რომ ათგზის განმეორებული ამგვარი სტრესისთვის გამეძლო, ისიც იმ გიჟნაჭამ დროში, როცა თავგზაარეული ცხოვრება დაჭრილი ნადირივით აწყდებოდა აქეთ-იქით და კაცმა არ იცოდა, როდის სად გადავიჩეხებოდით. დაუმატეთ ამას კონკრეტული საფრთხე, რომელიც თავიდანვე გამოჩნდა - ფეთქებადი ასაკი, ჩახმახზე შეყენებული დაღლილობა, გარიგების გაუგებარი და შეურაცხმყოფელი მცდელობა („უსასყიდლოდ დამეხმარებით, თუ...“) - და მიახლოებით მაინც წარმოიდგენთ, რა პერსპექტივა მედო წინ.

მაინც, მიუხედავად ასეთი ხიფათისა, თანდაყოლილმა სიყალბემ (რასაც ფარისევლობით სიკეთეს ვეძახით, თუმც კარგად ვიცით, რომ წმინდა წყლის ეგოიზმია) ეს ჩემი ჯანსაღი და სამართლიანი ამბოხი მალევე ჩაახშო და მაიძულა მოვალეობის ტვირთი მორჩილად ამეკიდებინა. მართალია, თანამგზავრისთვის არ გამიმხელია, ჩვენი მარშრუტები თუ ასე საბედისწეროდ დაემთხვა ერთმანეთს, და ამით მისი მოშორების თეორიული შანსი დავიტოვე, გულის გულში ვგრძნობდი, რომ ამ ცრუ-ოპტიმისტურ თეორიას განხორციელება არ ეწერა. უბრალოდ, თავს ვიტყუებდი, რომ მხნეობა არ დამეკარგა და გარდუვალ განსაცდელს სასოწარკვეთის მჟავე წყალიც არ გადასხმოდა.

ხოლო იმ დროს, როდესაც მე ჩემს პატიოსნებას გარდამავალი უპირატესობით ვეძიძგილავებოდი, ოსტატმა რომეომ და მისმა კლიენტმა ბოლოში გასული მოლაპარაკება მოულოდნელად თავიდან დაიწყეს. ეს ასე მოხდა: ოსტატმა მისამართის ჩაწერა მოათავა, ქაღალდის ნაგლეჯი ისევ ჯიბეში ჩაიდო და მომლოდინე, ნახევრადთავაზიანი გამომეტყველებით წასვლის ნიშანი მოგვცა. მაგრამ მუშტარი, იმის ნაცვლად რომ წასასვლელად მომზადებულიყო, უეცრად დაინტერესდა, მართლა მოხერხდებოდა თუ არა მისი მანქანის გაყიდვა. დასტური რომ მიიღო, არც აცია, არც აცხელა და უთხრა, ბარემ თქვენ თვითონ იყიდეთ და მერე, როცა შეაკეთებთ, საკუთარი შეხედულებისამებრ გაყიდეთო: ამის გააგონებაზე ოსტატი აღელდა, რაც სავსებით გასაგები რეაქციაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება მან წინდაწინ ვერ გაითვალისწინა და ბუნების კანონთა ახსნა ცოტა იჩქარა, რის გამოც ახლა, თუ უნდოდა (მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, კი უნდოდა) მინიმალური ღირსება შეენარჩუნებინა, იძულებული იყო მუშტრის მოულოდნელი წინადადება ამ კანონის ფონზე განეხილა და კოორდინატთა ისეთი გადაკვეთა, გნებავთ, დაპირისპირებათა ისეთი ერთიანობა, მოეძებნა, რომ შეძლებისდაგვარად მწვადიც გადაერჩინა და შამფურიც. ბოლოს ამოიხვნეშა და ექვსასი მანეთი შესთავაზა. სამაგიეროდ გადაფორმების თანმდევი ყველა პრობლემა - ხარჯი, დრო, წვალება - თავის თავზე აიღო. არ ვიცი, როგორ უნდა გადაეფორმებინა პატრონის დაუსწრებლად, მაგრამ კილოზე ეტყობდა, მოახერხებდა - და, საერთოდ, მოგეხსენებათ, თუ კაცი ყოჩაღი ხარ, ჩვენში მოუხერხებელი არაფერია. ქალი უყოყმანოდ დაჰყაბულდა. ჩემი ანგარიშით იგი წაგებული რჩებოდა, მაგრამ რაკი, საზოგადოდ, ჩვევად არა მაქვს სხვის საქმეში ჩარევა, არც ამჯერად ჩავრეულვარ.

ასეთი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ფინალით დასრულდა ეს ეპიზოდი. მას შემდეგ, რაც ოსტატს ანგარიში გაუსწორა, კერძოდ, ფული გამოართვა და მანქანის პასპორტი გადასცა, სალომე ერისთავმა - ალბათ უკვე დროა მყარად მოვიხსენიოთ სახელით და გვარით - თავისი მცირეოდენი ბარგი - ერთი საშუალო ზომის სამგზავრო ჩანთა, ერთი ხელჩანთა და ერთიც კანაფით ჯვარედინად შეკრული მუყაოს ყუთი, იმ ტიპისა, შიგ რომ, ჩვეულებრივ, ან ნამცხვარი დევს ხოლმე, ან ფეხსაცმელები, ჩემს „ნივაში“ გადმოზიდა, მერე გულთბილად გამოვეთხოვეთ ჭაბუკ რომეოს და გზას გავუდექით.

## წარსულის მონოლოგი. მეექვსე პუნქტი, როგორც დიალოგის თეორია, რომლის წაკითხვა სასურველი კია, მაგრამ სავალდებულო არ არის

ოცდაათი წელი რომ უქმად შემისრულდა და აშკარა შეიქნა, ოცდაცამეტიც ისე შემისრულდებოდა, მადლიერ თანამემამულეებს არათუ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯვარზე გაკვრის საბაბს, პატარა ძეგლის დადგმის საბაბსაც კი ვერ მივცემდი, ცისფერ იდეალიზმზე საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი და, რაკიღა უფალ ღმერთს, ჩანს, ჩვენს ამაღლებულ ტრაგედიაზე მეტად ჩვენი პროზაული წამება სჭირდება, გადავწყვიტე, სხვათა მსგავსად მეც რამე შეუფერებელ საქმეს მოვკიდებოდი. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, არჩევანი მწერლობაზე შევაჩერე, ვინაიდან აქ ვპოვე შედარებითი ჰარმონიის ის მწვერვალი, რომელზედაც საქმე და უსაქმურობა ერთი და იმავე ხის ჩრდილში სხედან და თავის გატანაც (რაღა თქმა უნდა, ჩვენი სოციალური გრძედისა და განედის კვალობაზე) ისე ხერხდება, რომ კუდი, თუ მაინცდამაინც არ გექიცინება, შეგიძლია არც აქიცინო. მართალია, ბიძაჩემმა რომ ჩემი გადაწყვეტილება შეიტყო (პირველ რიგში, ბუნებრივია, მას გავენდე, რისთვისაც საგანგებოდ ჩავედი სანაკლიოში), სიხარულის ისეთი სისხლისგამყინავი ყიჟინა დასცა, შეცბუნებულმა გავიფიქრე, ნამდვილად მცდარი არჩევანი გამიკეთებია-მეთქი, მაგრამ საბედნიეროდ ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. კარგად რომ იხმაურა, კარგად რომ იგუგუნა, კარგად რომ გამოთვრა და კარგად რომ გამოიძინა, ერთ საღამოს გამომიძახა, თავის ოთახში ჩამკეტა და პატარა, წინასწარ მომზადებული სიტყვა წარმოთქვა: „საქართველოში - სტატისტიკა ზუსტია, შეგიძლია თამამად ენდო - ჩვენი ნათესაობა ერთადერთია, ვისაც დღემდე საკუთარი მწერალი არა ჰყოლია. ეს მოუშუშებელი იარა მთელი ჩემი მოწამებრივი სიცოცხლის მანძილზე მტანჯავდა და მაწვალებდა, როგორც ქრონიკული სურდო, ხოლო დროდადრო - უფრო მეტად პოლიტიკური ტემპერატურის ცვალებადობისას - ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსსაც მიჩენდა. არ დაიჯერებ და ზოგჯერ იქამდე მივსულვარ, ლამის მე თვითონ ამეღო ხელში კალამი. შენი სიბეჯითე რომ გამომყოლოდა, ალბათ ავიღებდი კიდეც. კაცმა რომ თქვას, ან კი ვინ დამძრახავდა, რომ ერთი-ორი შედევრი შემეთხზა, თუკი ამით მთელს საგვარეულოს ლაქას ჩამოვრეცხდი და მაგ შენს სუსტ მხრებსაც დღეს ესოდენ უსიამო ტვირთისგან გავათავისუფლებდი! მაგრამ რას იზამ: ღმერთებს არ შეუძლიათ სამყაროული წონასწორობა არ დაიცვან, ამიტომ იძულებული არიან, ფასეულობანი იმდაგვარად გადაანაწილონ, რომ ნიჭი და სიბეჯითე უფრო ხშირად სხვადასხვა ჭურჭელში ხვდება. და თუმც აქედან გარდუვალი აუცილებლობით გამოდის დასკვნა, რომ ის, რაც ჩვენთვის კეთდება, ჩვენსავე ხარჯზე კეთდება, მაინც კი დღეს მოვალენი ვართ მადლი აღვავლინოთ უფლის მიმართ. მოვალენი ვართ ერთი იმის გამო, რომ ოჯახური ხარვეზი ბოლოს და ბოლოს შეივსება და მწერალთა ლეგიონში ჩვენც გვეყოლება საკუთარი მოლაშქრე, და მეორე იმის გამო, რომ ეს საპატიო მისია შენ დაგეკისრა, ვინც სანათესაოში ჩემს შემდეგ ყველაზე საღი ყლორტი ხარ, და არა რომელიმე ფუტურო ხეს, რომელსაც ხმელად ტკაცუნის მეტი არაფერი შეუძლია, - ამ სიტყვებით ერთი თორმეტფურცლიანი რვეული გამომიწოდა და თან ხელი მხურვალედ ჩამომართვა, - დამილოცნიხარ და აჰა შენ საყრდენად ფუძემდებლური შეგონებანი. თუ ამ შეგონებებს ერთგულად მისდევ და ცოტაოდენი ნიჭიც გამოგაჩნდება, დარწმუნებული ვარ, მტერს ჩვენზე გაცინების საბაბი არასოდეს მიეცემა!“

ლიტთეორიისა და ლიტფსიქოლოგიის ამ ისტორიულ ძეგლს, რომელსაც ბიძაჩემმა ყასიდი თავმდაბლობის გარეშე უწოდა „ფუძემდებლური შეგონებანი“, მალე სრულად, სტილისა და პუნქტუაციის დაცვით, გამოვაქვეყნებ. თუ შესაფერისი ადგილი მოვუძებნე, ეგებ ამ წიგნშივე შევიტანო, თუ არადა მომდევნო წიგნში ხომ შევიტან და შევიტან, რათა ყველა მწერალი თანაბარ პირობებში ვიყოთ და ერთიმეორის წინაშე საიდუმლო რამ იარაღი და ფარული უპირატესობა არავის გვქონდეს. აქ კი მხოლოდ ერთი პუნქტი მინდა გაგაცნოთ. ეს პუნქტი, რომელიც ორიგინალში მეექვსე ნომრითაა აღნიშნული და დიალოგის ხელოვნებას შეეხება, ასე ჟღერს: „თუ მხატვრულ ნაწარმოებს ცოცხალ ორგანიზმს შევადარებთ (რაც სავსებით დასაშვებია), სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შედარებაში სისხლძარღვები დიალოგის არხებია, და ნაწარმოების სიცოცხლეც არსებითად იმაზეა დამოკიდებული, რა სითხით აავსებ ამ არხებს“. თუმცა „შეგონებათა“ ერთი გადაკითხვა საკმარისი გამოდგა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ფასდაუდებელი განძის პატრონი შევქნილვარ, მაინც, როგორც კი პირველმა აღფრთოვანებამ გამიარა, ფუნდამენტური ადამიანური თვისებიდან გამომდინარე, მყისვე ნაკლსა და შეცდომას დავუწყე ძებნა და უწინარეს ყოვლისა თვალი სწორედ ამ პუნქტს დავადგი. საქმე ის გახლავთ, რომ დიალოგს აქამდე სასხვათაშორისოდ ვუყურებდი, როგორც რაღაც მეორეხარისხოვანს, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა მკითხველი დროდადრო შეაჯანჯღაროს და ჩაძინების საშუალება არ მისცეს. ასე ვფიქრობდი, მაგრამ რაკი ბიძაჩემს, ღმერთმა ნუ მაჩვენოს და, მოხარშულს ვიცნობ, რაც უფლებას მაძლევს დაბეჯითებით ვამტკიცო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგზომ მნიშვნელოვან დოკუმენტში ჰაიჰარად არაფერს ჩასწერდა, გადავწყვიტე პრობლემა უფრო გამოწვლილვით შემესწავლა. გადავწყვიტე და სულ მალე დავრწმუნდი რომ - მამაჩემზე და სხვა დანარჩენ ნათესავებზე არაფერს ვიტყვი (ან კი რა უნდა ვთქვა) - თვით მეც, მისი სული სულთაგანი და აზრი აზრთაგანი, ბიძაჩემის ჭკუა-გონებას ჯერ კიდევ თურმე სათანადოდ ვერ ვაფასებდი.

მეექვსე პუნქტი ისეთივე უტყუარი ყოფილა, როგორც დანარჩენი პუნქტები.

მართლაც - თქვენც დააკვირდით - თუ ზეციერი ცნობიერებისათვის ადამიანი წმინდა იმპულსია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაბადებისთანავე მოკვდება თუ დაუსრულებელი დღეგრძელობით ქვეყანას სიცოცხლეს გაუმწარებს, მიწიერი ცნობიერებისათვის იგი რეალურ მოვლენად მჟღავნდება და სივრცე-დროის ოღროჩოღროებში ორ განსხვავებულ ძალად ყალიბდება. ერთია ნება, მეორე ქმედება. ყოველი ჩვენგანი სწორედ ამ შესაკრებელთა - ნებისა და ქმედების - ჯამი ვართ, ხოლო დუალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქმედება არის არა ჩვენი ნების რეალიზაცია, როგორც ტერმინთა არასაკმაო სიზუსტის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ სრულიად დამოუკიდებელი რამ. ამ კუთხით თუ შევხედავთ, სიცოცხლე მოგვაგონებს ხელოვნურად დაგუბებულ მდინარეს, რომელიც წისქვილის ბორბალს ატრიალებს, ბაღ-ბოსტანს რწყავს და სხვა მრავალ ისეთ საქმეს სჩადის, რასაც სასარგებლოს ვეძახით. ცხადია, ყველა ეს საქმე მდინარის მეშვეობით სრულდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მდინარის ნებასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ეს გარემოებათა ნებაა და გარემოებათა ნება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანს ცალი ფეხი ზღვარდადებულ გუბეში უდგას, მეორე ზღვარდაუდებელ ოკეანეში. მართალია, ყველას გუბე გვირჩევნია - იქ, ნელთბილ ტლაპოში ამოდ ჩაძირულები, ისე მონოტონურად ვბუყბუყებთ და ისე ნებიერად ვთვლემთ, რომ დროთა განმავლობაში თვლემა-ბუყბუყის ერთგვარ პერპეტუმ-მობილედ ვიქცევით - სინამდვილეში ეს მოჩვენებითი ნეტარება ინდუქციის დიადი უმეცრებაა: გუბეში ოკეანის ბაცილები ყრია და ყოველი ადამიანი, რამდენადაც ადამიანი ადამიანია, მარადიულობის უკურნებელი სენითაა დაავადებული, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავზე ორი ქუდი ჰხურავს, რომელთაგან ერთი უჩინმაჩინისაა. ამიტომ მწერლობაც, რაკი მისი ზეგარემო მისია შესაქმეს სიმბოლური გამეორებაა, მოვალეა, გუბეშიც ჩაყურყუმალავდეს და ოკეანეშიც, ანუ, იგავური მეტყველებიდან რომ რეალურ ცნებებზე გადმოვინაცვლოთ, ქმედებაც გაზომოს და ნებაც, ვინაიდან ქმედება ისეთი ნატურაა, რომელიც მხოლოდ ნების ტილოზე შეიძლება დაიხატოს.

მაგრამ, აზრს რომ თავი დავადგათ, ისიც უნდა ვთქვათ, როგორ გაზომოს.

ქმედების გაზომვა ძნელი არ არის. ქმედება ქმედებით იზომება და აქ მწერლობა, არსებითად, ზუსტ მეცნიერებას მიჰყვება, მისი მეთოდებით ხელმძღვანელობს, მის ინსტრუმენტებს იყენებს და, თუ ქმედებაში შემთხვევით ნების რაიმე მუხტი აღმოჩნდა ჩატანებული (ასეც ხდება ხოლმე), მას გამორიცხვის გზით პოულობს და აუხსნელ ფენომენთა სიაში შეაქვს. რაც შეეხება ნებას, წუთისოფელში იგი სიმბოლოდ მჟღავნდება და სიმბოლოს მეშვეობითვე იზომება. ეს სიმბოლო არის სიტყვა - გრძნობადი სამყაროს ღერძი და სული.

„დიახ! - მახსოვს, ძლიერ გაიმკაცრა ხმა ბიძაჩემმა, როცა ამ რთულ იდეალისტურ პასაჟს მიხხნიდა, - სიტყვა, ვითარცა არსის აურა, არა მარტო ნების მოციქულია, არამედ მარადისობის მახარებელიც. მეორე მხრივ, იგი მაგიური ძაფიცაა და მწერალს, თუ მწერალი მწერლად ვარგა, - ეს აუცილებელი პირობა გამაფრთხილებელი ნიშნისმოგებით წარმოთქვა და, ვიდრე განაგრძობდა, ერთხანს ჭირვეული მუშტრის თვალით მიყურა, - შეუძლია უკუკავშირის ზონდად გამოიყენოს. კაცმა რომ თქვას, ნიჭიც სწორედ ეს არის. იცოცხლე, სიტყვაზე უფრო საიმედო შიკრიკი აზრი იქნებოდა, რადგან - სჯობს ისევ შედარება მოვიშველიოთ, შენთვისაც კარგი წვრთნა იქნება: აქედანვე მიეჩვევი სახეებით აზროვნებას - აზრია იდეისა და მოვლენის დამაკავშირებელი სრუტე, რომელშიაც გუბის წყალიც დის და ოკეანისაც, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ხშულ ჭურჭელშია მოთავსებული და შეფარდებითი საზომით არ იზომება. რომ არა სიტყვა, აზრი შიდა ორბიტას ვერ გასცდებოდა, ადამიანთა ჯოგი საზოგადოებად ვერ იქცეოდა, გენიოსები საკუთარ წვენში მოიხარშებოდნენ და სოკრატეზე საწყალობელსა და უბედურს მთელ ათენში კაცს ვერ იპოვიდი. ასე რომ იძულებული ვართ სიტყვა ვიკმაროთ. თუ ვივარგებთ, ვიკმარებთ კიდეც. ოღონდ ის კი უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა ყველაზე უკეთ გაჩენის ჟამს ისინჯება, როცა ჯერ კიდევ ნედლია და აზრის სურნელი ასდის, გარდა ამისა, ნამდვილი სიტყვა ხელოვნური სიტყვით ვერ იცვლება. ეს - მწერლის მხრივ მაინც - მეტი რომ არა ვთქვათ, ქარაფშუტობაა. აქ შენ შეგიძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემომცდავო და მითხრა: სიტყვა ხომ თავისი ბუნებით ცრუა, რასაც მკაფიოდ ადასტურებს ჭეშმარიტება, რომლის თანახმადაც, როცა პირი ჩვენი ღაღადებს „არა იპარო", ხელი ჩვენი მოყვასის ჯიბეშია ჩაცურებული! მაგრამ მე ამ ღირსეულ არგუმენტს არანაკლებ ღირსეული პასუხით გავჭრი: სიტყვა დიაღაც ცრუა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება ზემოხსენებულ დებულებას არ უარყოფს, მხოლოდ პრობლემის სირთულეს უსვამს ხაზს: კერძოდ, ხშულ ჭურჭელს რომ თავი დააღწიოს, აზრის ნამი იძულებულია სიცრუის ორთქლად იქცეს. რაც შეეხება მოყვასის ჯიბეში ჩაცურებულ ხელს, ამ ადამიანურ ქმედებაში ადამიანური ნება არ მჟღავნდება. ჩემი თუ არა გჯერა, დიონისე არეოპაგელს დაეკითხე. თეორიულად - ბატონი ბრძანდები - ნება ქმედებაშიც შეიძლება ჩაიდოს, მაგრამ პრაქტიკულად ქმედება ბერწია და მის წიაღში, ბევრიც ეძებო, ნებას ვერ იპოვი. ნების ლაკმუსის ქაღალდი სიტყვაა და თუ ფორმულა გინდა, ფორმულა ასეთია: ნება სიტყვაში მჟღავნდება, ქმედებაში კი იკარგება", - აქ ცოტა შეისვენა, მერე მკაცრად დამაცქერდა და მითხრა: - „გაიგე?". გავიგე-მეთქი, რომ ვუთხარი, გაეხარდა, ყოჩაღო, შემაქო და მოწონების ნიშნად ბეჭზე ხელი წამომიტყაპუნა, თუმცა, სულო ცოდვილო, ეს იმდენად გულწრფელი მოწონება არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც თვითკმაყოფილი დიდსულოვნება, ჭრაჭუნა ქაღალდი, რომელშიაც მისი შეუვალი უპირატესობის ბჭრყვიალა მანტია იყო შეხვეული, და, მანტია რომ თვითონ წამოისხა, შესახვევი ქაღალდი მე მიბოძა.

საერთოდ, იმ დღეს ბიძაჩემმა ბევრი ილაპარაკა (თან, საკუთარ სიღრმეებში ზეშთაგონებულად ჩამძვრალს, ზოდები და მარგალიტები სულ ფსკერიდან ამოჰქონდა). ცხადია, ისეთი კაცისგან, ვისაც სიტყვაძვირობის სენი არასოდეს შეჰყრია, ეს არც მოულოდნელი ყოფილა და არც საკვირველი, მაგრამ საღერღელი კი აშკარად ჩვეულებრივზე მეტად ჰქონდა აშლილი და ამაში ბრალი მე მიმიძღოდა, რადგან მე ალალად და თვინიერად ვაღიარე, მეექვსე პუნქტი კარგად ვერ გავიგე-მეთქი (ხოლო ასეთი აღიარება რომ საკმარისი გამღიზიანებელია, ამას ერთპირად დამიდასტურებს ყველა, ვისაც ოდესმე მისთვის დამოძღვრის უმცირესი საბაბი მაინც მიუცია).

ახლა კი, ვიდრე ამბავს განვაგრძობ, მინდა შენდობა ვთხოვო მკითხველთა იმ ნაწილს, რომელსაც არაფრად ეპიტნავება ამდაგვარი ექსკურსები საგანთა ვიწრობებში, სადაც ჟანგბადი შეთხელებულია, მაგრამ თავს მაინც ძალას ატანს, ვინაიდან არ უნდა ვინმეს რამეში ჩამორჩეს. მეორე მხრივ, თუმცა ვიცი, ახლა ამის დრო არ არის, ისიც უნდა ვთქვა, რომ არიადნას ძაფი სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების მხნე სიმბოლო, რომელსაც ძალა შესწევს უხნელეს ლაბირინთებში ჩაეშვას, რათა იქ მინოტავრის დამარცხებით ახალი სიმბოლო შექმნას და, დღის სინათლეზე ამობრუნებული, შემეცნების ცადატყორცნილ კიბეზე ერთი საფეხურით მაღლა აღმოჩნდეს. კიბის საფეხურთა მეთოდური დაპყრობა კი აუცილებელია, ვინაიდან, უფსკრული რომ გადავლახოთ და აქეთა მთიდან იქითა მთაზე მოვხვდეთ, ამ უფსკრულზე ისეთი ხიდი უნდა გავდოთ, რომელიც მიზეზ-შედეგის მკვიდრ, მონოლითურ ბურჯებზე იქნება დაყრდნობილი.

ასე და ამგვარად, ვახსენოთ ღმერთი (თქვენ ნუ შეწუხდებით, მე ვახსენებ), და დიალოგის თეორიიდან თავად დიალოგზე გადავიდეთ.

## დიალოგი. წინააღმდეგობანი და მათი გადალახვა

თეორია, როგორც ნახეთ, იმდენად რთული და ფაქიზია, მისი განხორციელება მხოლოდ ზიარებულთა ხვედრი თუ იქნება. მე ამ კასტას არ მივეკუთვნები, მაგრამ სამაგიეროდ თავად თეორიის წინაშე მაქვს ერთი დიდი უპირატესობა: რაკი საკუთარი თვალით ნანახს მოგითხრობთ, დიალოგის გამოგონება არ მჭირდება, მხოლოდ გაცრა მჭირდება, რათა უსარგებლო ქატო მოვაშორო და წმინდა ფქვილი მოგართვათ. ცხადია, იოლი არც გაცრაა, მით უმეტეს, რომ „გაცრა" მეტაფორაა, რომელიც სინამდვილეში მძიმე შრომას გულისხმობს - ყველაფერი ფრთხილად, მარცვალ-მარცვალ უნდა გაირჩეს და მერე გარჩეული და დაწმენდილი მარცვლები ისე აისხას, გადაბმის კვალი არსად დარჩეს - მაგრამ მთლიანობაში თუ შევხედავთ, გაცრას მაინც გაცილებით ნაკლები სულიერი ხარჯი ახლავს, ვიდრე გამოგონებას, რაც უთვალავ მხატვრულ ხიფათთანაა დაკავშირებული.

წინამავალი ეპიზოდები ამ მხრივ ცოტა თავისებური გამოდგა. პირველ მათგანში (ტრასის პირას) ქატო სრულებით არ დარჩენილა. სალომე ერისთავმა აქ ორად ორი წინადადება წარმოთქვა და თუმც ვერც ერთ მათგანში ის მთავარი სიტყვები ვერ დავინახე, რომელთა დანიშნულებაა ხასიათის ერთიანი პეიზაჟი თვისებათა მრავალფეროვან რელიეფად დააპოს, მაინც კი ორივე საჭირო და გამოსადეგი ჩანდა, ვინაიდან ორივეში დენთი იყო ჩადე-

ბული და ეს დენთი - ამაში ეჭვი არ მეპარებოდა - მერე და მერე, სხვა სიტყვებთან ხახუნის შედეგად, ისე აალდებოდა, მრავალ ჩაბნელებულ კუთხე-კუნჭულს გაანათებდა. სამაგიეროდ მეორე ეპიზოდში (პროფილაქტორიუმის ეზო) მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ერთთავად ქატო იფრქვეოდა და მხოლოდ ეპიზოდის ფინალში, სულ უკანასკნელ წამს, როცა რომეოს გამოვეთხოვეთ და მანქანაში ჩავსხედით, სალომე ერისთავმა, როგორც იქნა, ისეთი წინადადებაც წარმოთქვა, რომელიც, თუ სრულად და უცვლელად არა, სხვათა სიტყვის „ო"-თი გადმოცემას კი მაინც იმსახურებს: იგოეთამდე წამოგყვებით და მეტს აღარ შეგაწუხებთო. მე ამაზე პასუხი არ მიმიცია. ვერც მივცემდი. მართალია, გულის სიღრმეში იმედი ოპტიმისტურად ბაქიბუქობდა, ამ ჩვენს დაუპატიჟებელ სტუმარს სულ მალე მოვიშორებთო (სხვათა შორის, ამ სამარცხვინო აქტის შესაძლო სცენად მე და ჩემს იმედს გუნებაში სწორედ იგოეთი გვქონდა შეგულებული), მაგრამ იმედს უკან ავად იგორგლებოდა გაკაპასებული სინდისი და, ვიდრე პრაგმატიზმსა და მორალს შორის ეს უგემური კინკლაობა დასრულდებოდა, მეც ყოყმანის მეტი სხვა არაფერი დამრჩენოდა. საერთოდ, ეს პასაჟი, თუ დავუკვირდებით, იმაზეც მიუთითებს, რომ დიალოგის ხელოვნება მართლა ძალზე რთულია. მაგალითად, ეს ამბავი რომ ნამდვილად არ გადამხდენოდა და სალომე ერისთავი შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი იყოს, ასეთ რამეს ალბათ ვერ ვათქმევინებდი, ვინაიდან გონიერება (თუნდაც მდედრობითი) მოითხოვდა, ჯერ დაედგინა, მე სად მივდიოდი, და მერე გადაეწყვიტა სადამდე წამომყოლოდა. მან კი პირველი ნაბიჯი რატომღაც გამოტოვა და პირდაპირ მეორე გადადგა, რითაც, მართალია, თავისი ხასიათის შესახებ კი მითხრა რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც სპეციფიკური, რაღაც ისეთი, რაც გაშიფრვის შემდეგ ალბათ ნებისკენ მიმავალ გზას გამიადვილებდა, მაგრამ იმავ დროს ძალზე უხერხულ მდგომარეობაშიც ჩამაგდო და მაიძულა თავი ისე დამეჭირა, ვითომ მისი ნათქვამი არ გამეგონოს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მას შემდეგ, რაც ხსენებული წინადადება წარმოითქვა და მე იგი უპასუხოდ დავტოვე, მანქანაში ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. საზოგადოდ, დუმილი - იცით ალბათ - საუბრის ორგანული ნაწილია და, თუ ზომიერება დაცულია, ყოველთვის ხერხდება მისი სიტყვებად თარგმნა. ოღონდ - თუ ზომიერება დაცულია. თუ ზომიერება დაცული არ არის და დუმილი მისთვის მიჩენილ საზღვრებს გასცდა, მალე მეორე უკიდურესობაში გადავვარდებით.

მაგრამ ჩემთვის მაშინ - რაკი ერთიანად პირველი უკიდურესობის მოლოდინით ვიყავი დაზაფრული - მეორე უკიდურესობის წარმოდგენა ფსიქოლოგიურად ისევე ძნელი იყო, როგორც ზაფხულის ხვატშია ძნელი ზამთრის სუსხის წარმოდგენა. ამიტომ სიჩუმემ, პირიქით, მხნეობა დამიბრუნა, ცოტა გუნებაც გამომიკეთდა და მალე ამ ჩემი ხელოვნური თანამგზავრის არსებობას იქამდე შევეგუე, მისი გრძელი პალტოს შესახებაც კი პირვანდელი შეხედულება ნაწილობრივ შევიცვალე. საერთოდ, ახლა ერთადერთი, რითაც იგი ნერვებზე ჯერ კიდევ უსიამოდ მღიტინებდა, ის იყო, რომ მანქანას ჩემთან ერთად - პარალელურად - მართავდა. განსაკუთრებით მუხრუჭს არ უსვენებდა. წინ მიმავალ მანქანებს მჭმუნვარე და დაძაბული გამომეტყველებით გასცქეროდა და დროდადრო ისეთი ძალით აჭერდა ფეხს წარმოსახვით მუხრუჭს, თუ ჩვენს მოგზაურობას მშვიდობით დასრულება ეწერა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეს მუხრუჭი წარმოსახვითი იყო და არა ნამდვილი.

მაინც, რაკი ადამიანის ერთი უმთავრესი თვისება შეგუებაა, ნელ-ნელა ამ წამდაუწუმ დამუხრუჭებასაც შევეგუე და, ვიდრე დუმილის ღრუბელი ტყვიით გაიჟღინთებოდა (რაც ცოტა მოგვიანებით მოხდა), მანქანაში ნეიტრალური სიმშვიდე სუფევდა. გარეშე კაცისთვის - თუკი რომელიმე გარეშე კაცი მოიწადინებდა, თავისი სულელური ცნობისწადილი ჩვენს თვალთვალში დაეხარჯა - ჩვენ ალბათ ვგავდით ცოლქმარს, რომელთაც ყველაფერი, რაც კი ერთმანეთისთვის სათქმელი ჰქონდათ, კარგა ხანია თქვეს და ახლა უხმად ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, როგორც მოვალეობის მშრალი და უქმი სიმბოლოები. გარეშე კაცს მეტი არც მოეთხოვება. სინამდვილეში სალომე ერისთავი, ნაღვლიანი, კოპებშეკრული და კუთხეში მიყუჟული, ჩემი ვარაუდით, იმიტომ დუმდა, რომ გადატანილი უსიამოვნების შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ განელებოდა და ფიქრით კვლავაც გაყიდულ „ზაპოროჟეცს" დასტრიალებდა. ცხადია, ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა და იოტისოდენა გარანტიას არ მაძლევდა, რომ დუმილის რეჟიმიდან ერბაშად და ანაზდეულად ლაპარაკის რეჟიმზე არ გადაერთვებოდა. ამიტომ მე და ჩემმა მანქანამ (მოგზაურობაში ჩვენ განუყოფელი სისტემა ვართ) თავდაცვის თადარიგი ადრევე დავიჭირეთ და ჩვენს ბოსტანში მოულოდნელად ჩამოვარდნილ ამ უცხო სხეულს, როგორც თეძოში ჩარჩენილ ნაღმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნამსხვრევს, ირგვლივ აპკი შემოვაკარით, რათა გაგვერიყა, იზოლირებულგვეყო და მკაცრად გაგვესვა ხაზი მისი უცხოსხეულობისთვის.

ეგებ ეს შედარება ვითარებას კი ესადაგება და საქმის არსსაც გამოხატავს, მაგრამ - ჩემგან არ გესწავლებათ - ყოველი შედარება, თუნდაც სრულიად უხინჯო იყოს თეორიულ პლანში, რეალურ ყოფაში დამიწებული ყოველთვის მეტ-ნაკლებად კოჭლი და ნაკლულოვანია. მართლაც, როცა დუმილი შორს გასცდა ნორმის ფარგლებს და მოვალეობის ტვირთი უფრო და უფრო დამძიმდა, ამის შესაბამისად ჩემი ბარიკადებიც მოირღვა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გაჭიანურებული სიჩუმე რომ თანდათან უთვალავ მიკრობად დაიშალა, რომელთაც ფხაჭაფხუჭით ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლა დამიწყეს, იმის შიში გამიჩნდა, ვაითუ სანაკლიომდე ხმა არ ამოიღოს-მეთქი. ვიცი, სისულელეა, მაგრამ გამოცდილი გექნებათ - და თუ გამოცდილი არა გაქვთ, ვისაც გამოცდილი აქვს, იმას ჰკითხეთ და გეტყვით - ზოგი სისულელე ისეთია, ნათლად ხედავ, სისულელეა, თავის დაღწევა კი ვერ მოგიხერხებია. იმჟამინდელი ჩემი სისულელე ორ მტკიცე ბურჯზე იდგა: ერთი რომ მე მასპინძელი ვიყავი, ჩემი თანამგზავრი კი სტუმარი, და მეორე - მე მამაკაცი ვიყავი, ჩემი თანამგზავრი კი ქალი. ხოლო სისულელე, რომელიც რაღაც მანქანებით უშუალოდ გამომდინარეობდა ამ წანამძღვრებიდან, მდგომარეობდა იმაში, რომ მე ვალად მედო, დუმილი დამერღვია და საუბარი გამება. დიდხანს კი ვურჩობდი და ვჭირვეულობდი, მაგრამ მოვალეობა - ვაღიაროთ - ჩვენზე ძლიერია და იგოეთის მისადგომებთან რაც შემეძლო ბუნებრივი კილოთი ვიკითხე:

- „პაპასკირი“ უნდა თუ „პაპასქირი“?

მე ამ შეკითხვას დიდხანს ვეძებდი და ამიტომ, როცა ვიპოვე, ძალზე საიმედო მეჩვენა, მაგრამ ადამიანი, თუ შეცდომის შვილი არა (ეს, ვფიქრობ, მეტისმეტია), შეცდომის ნათლული კი ნამდვილადაა.

- შეიძლება „პაპასქირი“ უნდა, მაგრამ აბრებზე „პაპასკირი“ აწერია.

ასე. ამომწურავად, მაგრამ მშრალად და ნეიტრალურად. არც კილო, არც ინტონაცია, არც ჟესტიკულაცია, თავიც კი არ მოუტრიალებია. თითქოს ავტომატში მონეტა ჩაუშვეს და ავტომატმაც ამ მონეტის ღირებულების შესაბამისად იმუშავა. ზუსტად, წერტილიდან წერტილამდე. შემოიარა დადგენილი წრე და გაჩერდა. პაწაწინა ნაპრალიც კი არსად დაუტოვია, რომ შიგ საუბრის შემდგომი ძაფი გამეყარა.

ვიდრე საკუთარ თავზე უაზროდ გაბრაზებული ახალ შეკითხვას ვაკოწიწებდი (ჯერ ვაპირებდი მეკითხა, პაპაკირი ვინ იყო-მეთქი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ სულ პაპასკირის ირგვლივ ტრიალიც არ ივარგებდა, ხოლო რაკი ამას მივხვდი, ბუნებრივია, პაპასკირის ირგვლივ დავიწყე ტრიალი და პაპასკირს ვეღარაფრით გავცდი), იგოეთს მივაღწიეთ და ჩემმა სიტყვაძვირმა თანამგზავრმა თვითონ დაარღვია დუმილი.

- აქ გამიჩერეთ და ავტობუსში გადავჯდები, - მითხრა მან, - დიდი მადლობელი ვარ თანაგრძნობისთვისაც და დახმარებისთვისაც.

მარჯვენა მხარეს, გზის პირას, მართლა იდგა ორი მახინჯი ავტობუსი, რომლებიც კაცმა არ იცის სად მიდიოდნენ.

მე სვლა არ შემინელებია. გონებაში, სადაც მთელი სართული ცნობიერ არსს ეჭირა, გადაწყვეტილება ჯერ არ იყო გამოტანილი, მაგრამ ქვემოთ, ბნელ სარდაფში, როგორც ჩანს, გაძვალტყავებულ სინდისს უკვე მოეპოვებინა მძიმე გამარჯვება.

ამას რომ მკაფიოდ ვგრძნობდი, პარალელურად იმაზე ვფიქრობდი, თუ რატომ გაჰყო ამ ქალმა ჩემი საქციელი ორ ნაწილად - თანაგრძნობად და დახმარებად. სანამ ამ ამოცანას ვუკირკიტებდი, მან ეტყობა იფიქრა, ვერ გაიგონაო და, ავტობუსებს რომ გავცდით, გამიმეორა:

- გამიჩერეთ. ავტობუსში გადავჯდები.

მაგრამ გამარჯვებული სინდისის ოხშივარმა ამასობაში თავის ქალაში შემოაღწია და იქ, წვეთებად კონდენსირებული, ტვინის ხვეულებს ცვრად და ნამად დაედო.

- სანაკლიოში არ მიბრძანდებით?

- დიახ.

- მეც სანაკლიოში მივდივარ.

- მართლა?

გაკვირვების მიზეზი დიაღაც რომ ჰქონდა, მაგრამ ჩემი ფშუტე თავდაჯერება (შენი ფშუტე თავდაჯერება, მისი ფშუტე თავდაჯერება, ჩვენი ფშუტე თავდაჯერება, თქვენი ფშუტე თავდაჯერება, მათი ფშუტე თავდაჯერება) საკუთარი მიზიდულობის ველში იყო გახლართული და ვითარების რეალისტურად შეფასება არ ძალუძდა.

- რატომ გიკვირთ?

ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი შეკითხვა. ეს ისეთი შეკითხვა იყო, სპეციალისტები რომ რიტორიკულს ვეძახით და პასუხს არ მოვითხოვთ. მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე ჩანს ორთოდოქს სპეციალისტთა ამ ვიწრო წრეში არ შედიოდა.

- იმიტომ, რომ სანაკლიოში მიმავალს აქამდე ორჯერ მაინც უნდა ეთქვა, სანაკლიოში მივდივარო.

- ორჯერ? როდის და როდის?

- ერთი, ხელოსანს რომ ჩემი მისამართი ჩავაწერინე, და მეორე, იგოეთს იქით აღარ წამოგყვებით-მეთქი, რომ გითხარით. საკვირველია, ახლა რაღამ გაიძულათ...

ვიდრე ტვინის შრეებში გაქრებოდა, ამ წინადადებამ გზად მრავალი უფორმო მუხტი დატოვა, რომლებიც ჩემი ცნობიერების ეკლებზე მოუსვენრად ფეთქავდნენ, და მე - ეს სავსებით სერიოზული ეჭვია - მგონი გავწითლდი. ყოველ შემთხვევაში, ალმურმა რომ გადამკრა, ეს დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, და ისიც დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მერე, ნაალმურევს გულზე მსოფლიო სევდის ცეცხლი წამეკიდა. მართალია, არც ისე მცხუნვარე, რომ სრული კრემაცია გამოეწვია, მაგრამ საიმისოდ კი საკმარისად ცხელი, რომ შინაგან მონოლოგს ტრუსის სუნი ასვლოდა. „ხომ უნდა გვესმოდეს, - მხრებს ვიჩეჩავდი გუნებაში, - რომ ამქვეყნად მარტონი არა ვართ! რომ გამდინარე სამყაროში (ჰერაკლიტე) სიმართლეც გამდინარეა და შეფარდებითი! რომ მსოფლიო ილუზიაში (მაია), სადაც ყველაფერი იდეალურად მოჩვენებითია, ეგრეთწოდებულ „ნამდვილ ურთიერთობებს“ მჭახე დისონანსი შეაქვთ და ათასი გაუგებრობის მიზეზი ხდებიან! რომ არსებობს მიჯნა, რომელსაც არ შეიძლება გადააბიჯო, ვინაიდან ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებ ადამიანს, ადამიანის უხერხულ მდგომარობაში ჩაგდება კი ისეთი წვრილმანის გამო, როგორიც სიმართლეა, უსამართლობაა! რომ ადამიანის სული, ადამიანის ცივილიზებული სული, ყოველნაირად უნდა ცდილობდეს ურთიერთობებს ისეთ სიღრმეებში არ ჩასდიოს, სადაც მანძილი შეიძლება ნულამდე იქნას დაყვანილი და ფორმალიზმს მანერებისათვის ადგილი აღარ დარჩეს!“

ეს საყვედური შემოქმედს ეკუთვნოდა და, ვფიქრობ, შემოქმედი სავსებით იმსახურებს ასეთ საყვედურს, განსაკუთრებით თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაუწერელ კანონს მეტი მოფრთხილება უნდა, ვიდრე დაწერილს, ვინაიდან დაწერილი კანონის დარღვევა დიდიდიდი დანაშაული იყოს, მაშინ როცა დაუწერელი კანონის დარღვევა სულ ცოტა, მკრეხელობაა. რაღა დამრჩენოდა (და ესეც რიტორიკული შეკითხვაა) - როგორც უსამართლობა ბადებს საპასუხო უსამართლობას, ისე სიმართლე საპასუხო სიმართლეს ბადებს.

- ვიცი, გულახდილობაში შეჯიბრი დიდი ვერაფერი სპორტია, მაგრამ, რაკი ხელთათმანი გადმომიგდეთ, რაღა დამრჩენია: ვიღებ გამოწვევას და გამოგიტყდებით, რომ თქვენი დამგზავრება მართლა არ მინდოდა. მეტიც, რა გავიგე სანაკლიოში მიდიოდით, გულზე შემომეყარა. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც გამოცდილება გვასწავლის, მანდილოსნის ლაპარაკი ტვინის კუნთებს აბუქებს და ზოგჯერ მწვავე დეპრესიის მიზეზიც ხდება. ამიტომ - ვის გაემტყუნება საკუთარ უხიფათობაზე ზრუნვა! - არ გავამხილე, რომ ჩემი გზაც სანაკლიოში მიდიოდა და რომ საერთოდ ამ ბოლო დროს, როგორც ვატყობ, ყველა გზა სანაკლიოში მიდის. ერთხანს წარმატებითაც ვმალე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს - ეს მოსალოდნელიც იყო - პროგრესის გრძნობა არ მეყო და მოვალეობამ, ამ რუდიმენტულმა ჭირმა, მაინც დაამარცხა საღი აზრი. აი ეს გახლავთ თქვენი მეტ-ნაკლებად სამართლიანი გაკვირვების პასუხი.

- ო, - თქვა თანამგზავრმა და ეს „ო“, რომელიც საზოგადოდ ემოციის საწყაოა, ჩვეულებრივ, ძახილის ნიშანს მოითხოვს, ჩემდა გასაკვირად სრულიად უძახილისნიშნოდ წარმოთქვა, - რაკი ასეა, საცა მოგიხერხდეთ, გამიჩერეთ და გადავჯდები.

მის შავგვრემან, მკაფიოდ მოხაზულ პროფილზე კვლავაც მონოლითური სერიოზულობა მეფობდა, რომლის შემადგენელ ნაწილებად დაშლა შეუძლებელი ჩანდა, ამიტომ არ შევიმჩნიე, რომ ამ უძახილისნიშნო „ო“-მ წამით ისეთი გრძნობა გამიჩინა, თითქოს ჩემი ქარავანი უდაბნოში ოაზისს წააწყდა.

- სიმართლე ბებერ ძროხას ჰგავს: მძიმედ იხარშება. სამაგიეროდ, როცა მოიხარშება, ცხადი ხდება, რომ ცნობიერებას ჯერ კიდევ რუდიმენტები მართავენ, არალეგალური, იატაკქვეშა რუდიმენტები. გადაჯდომას ახლა აზრი არა აქვს. თუ ლაპარაკი ჩემზეა, მე მირჩევნია დარჩეთ; რაკი ქვაბი უკვე შემოვდგით ცეცხლზე, ვიცი, სინდისი, რომ გადაჯდეთ, მაშინ უფრო შემაწუხებს. თუ ლაპარაკი თქვენზეა და თქვენ ის გაწუხებთ, რომ მე მაწუხებთ, უკვე ბარიბარში ვყოფილვართ და საწუხარიც აღარაფერი გქონიათ. და ბოლოს, რაკი სიცოცხლე ტანჯვაა, როგორც არა ერთი და ორი საქმეში ჩახედული კლასიკოსი ირწმუნება, ჩემი მხრივ გარანტიას ვიძლევი, სანაკლიოს მშვიდობით მიაღწევთ, თუნდაც თქვენ სულ მიანებოთ თავი მუხრუჭს და ეს საქმე მთლიანად მე მომანდოთ, - და ამის გაგონებაზე რომ დასამუხრუჭებლად მოღერებული ფეხი სწრაფად უკანვე წაიღო, კილო ჯერ შევარბილე, მერე იმ სახიფათო ზღვრამდე გავათბე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის იქით უკვე ფარისევლური ინტონაცია იწყება, - ისიც გაითვალისწინეთ, რომ მე - ცხადია, რუდიმენტების ზეგავლენით - პირდაპირ პაპასკირის რეამი მიგიყვანთ, რასაც ავტობუსი ალბათ არ იზამს. გარდა ამისა, რაკი ვიცი, რომ გულახდილობა უტაქტობაა, ხოლო ჩემი გულახდილობა მოუზომავიც იყო, პატიებას ვითხოვ.

(სიმართლე გითხრათ, აქ არ ვაპირებდი პატიების თხოვნის ჭეშმარიტი და ფარული განმარტება დამერთო, რომელიც ორი კანონიკური პუნქტისგან შედგება, მაგრამ რაკი ამ აჭრილ ცხოვრებაში, რომელსაც საკუთარ ლოგიკასთანაც კი საერთო ენა ვერ გამოუნახავს, ყოველ წამს შეიძლება მეხი დაგვეცეს ამ გამოთქმის რომელიმე ასპექტით, საბოლოოდ მაინც დართვა ვამჯობინე, რათა თქვენც აქედანვე იცოდეთ და მერე მუდამ მხედველობაში გქონდეთ, რომ პატიების თხოვნის ჭეშმარიტი და ფარული განმარტება ასეთია: „1 (განმარტება ხორციელებისათვის). თუ გულისთქმას იმ ზომამდე დადრეკ და დაიმორჩილებ, რომ დღეში ოთხჯერ მაინც პატიება ითხოვო, ჯანმრთელი იქნები და დიდხანს იცოცხლებ. 2 (განმარტება სულიერებისათვის). თუ პატიების თხოვნას გრძნობის სისხლად შეიწოვ და ლოცვის წმინდა მხურვალებაში გახსნი, საშუალება მოგეცემა, ქრისტიანული მოძღვრების აბსტრაქციას ხორცი შეასხა და მოკეთე და მტერი - რაღა თქმა უნდა, საწუთროსათვის მიცემული ლიმიტის კვალობაზე - ერთნაირად შეიყვარო“. თუ ვინიცობისაა, ადამიანმა ღმერთისაკენ მიმავალი გზა აირჩია, ამ სისტემაზე, ეჭვი არაა, მალე პრაქტიკული რელიგია აღმოცენდება, მაგრამ მე თვითონ ჭეშმარიტების ამ უტყუარ მცნებებს გული ვერ დავუდე და თუ ქამიდან ქამზე პატიებას მაინც ვითხოვ ხოლმე, ამის მიზეზი სულ სხვა პუნქტია. ეს პუნქტი არაკანონიკურია, იგი რიტუალებს არ საჭიროებს, გულწრფელობასაც მაინცადამაინც არ მოითხოვს და იმ მარტივ ფსიქოლოგიურ წესს ემყარება, რომლის მიხედვითაც პატიების თხოვნით წარმოქმნილი კეთილმყოფელი პულსაციის ეთერული ღრუბელი პარტნიორს მღელვარებას უცხრობს, წნევას ურეგულირებს, თავის ტკივილს უამებს და, საერთოდ, თითქმის ყველა დაავადებას კურნავს, რომელთაც ორგანული მიზეზი არა აქვთ. ეს კი არც ისე ცოტაა.

- რას ბრძანებთ! პატიება მე უნდა ვითხოვო. ამდენი შეგაწუხეთ...

- ეგ თქვენი ბრალი არ არის. შეწუხება არსებობის ფორმაა და ადამიანს პრინციპულად არ ძალუძს თანაადამიანი არ შეაწუხოს. როგორც დეკარტეს ჭკვიანი ოპონენტი იტყოდა - დეკარტეს რომ ჭკვიანი ოპონენტი გამოსჩენოდა - „ვაწუხებ, მაშასადამე ვარსებობ“. მანქანაში, სადაც სივრცე მცირეა, ეჭვი არაა, ეს წესი კიდევ უფრო მკაცრად იმოქმედებს, მაგრამ იმედი მაქვს საქმეს კონფლიქტამდე არ მივიყვანთ, მით უფრო, რომ ურთიერთშეწუხება, როგორც არსებობის ფორმა, მედლის ერთი მხარეა, მეორე მხარე ურთიერთგაძლებაა და იგი არსებობის შინაარსია. ასე რომ დარჩით.

- კარგი, ოღონდ... - აქ ერთხანს იყოყმანა და, როგორც გაირკვა, უმიზეზოდ არ უყოყმანია, - თუ არ დამამადლებთ.

მე თვალები დავაჭყიტე და, უნდა ვთქვა, ისე გულწრფელად დავაჭყიტე, იმ წამს გულწრფელობას ალბათ ჩემზე სანდო თანამოაზრე არავინ ჰყავდა.

- რამ გაფიქრებინათ?! - ვუთხარი ბოლოს, - თუ ჩემი ლაპარაკიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, უფრო მართებული იქნება ენის უცოდინარობა დამწამოთ. შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ეგ სიტყვა ჩემთვის უაზრო და უშინაარსო სიტყვაა. უცხოც კი. იმდენად უცხო, რომ გადაჭრით არც კი ვიცი, რა უფრო სწორია - „დამამადლებთ“ თუ „დამამადლით“. მაგრამ რაკი ეჭვი გაგიჩნდათ, მირჩევნია კიდევ ერთხელ გთხოვოთ პატიება და თან, თქვენც რომ თქვენი ჩვევისამებრ იგივე არ ჩაიდინოთ, საუბრის თემა გამოვცვალო. სანაკლიოში რა გინდათ? იქაური ხართ?

- დიახ. უფრო სწორად, ნაწილობრივ. წარმოშობით. თქვენ?

ხმა ახლა მშვიდი და გაწონასწორებული ჰქონდა, საიდანაც მე უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ავტობუსში გადახტომა საბოლოოდ გადაიფიქრა.

- მეც ნაწილობრივ. მაგრამ კატასტროფის ამბავი თუ დადასტურდა, შეიძლება გაურკვეველი ვადით მომიხდეს დარჩენა.

- კატასტროფის?

- არ გაგიგიათ?

- არა.

- მე ვიფიქრე, თქვენც გამოძახებული იყავით. სანაკლიო უფსკრულში გადაიჩეხა.

მე ეს ცნობა საკმაოდ მხნე კილოთი მივაწოდე, მაგრამ მან კოპები უფრო შეიკრა.

- როგორ თუ უფსკრულში გადაიჩეხა?

მაშინ პიჯაკის ჯიბიდან ბიძაჩემის დეპეშა ამოვიღე და უხმოდ გავუწოდე. მან წაიკითხა და დაეჭვებით შემათვალიერა.

- ხუმრობაა?

- ღმერთმა შეგინდოთ, - გამეღიმა მე, -

ასეთ ტლანქ ხუმრობას ბიძაჩემის თავში რა უნდა! საბიძაჩემისთავო ხუმრობა თეთრია და ნატიფი, როგორც ესთეტიზმის ყველაზე წმინდა საცერში გამტკიცული ფქვილი.

- მაშ რა არის? საიდუმლო შიფრი?

- თუ ტავტოლოგიის არ გეშინიათ, ასეც შეგიძლიათ თქვათ. პირადად მე „შიდა-საოჯახო ენას" ვეძახი.

- და რას ნიშნავს? - შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

- რა მოგახსენოთ... ვერ გავშიფრე.

- განა ადრესატი თქვენ არა ხართ?

- მე ვარ. მაგრამ ბიძაჩემი თუ ხლართებმა გაიტაცა - ეს კი, სამწუხაროდ, ხშირად ემართება - ადრესატს კი არა, ღმერთს აღარ გაიხსენებს ხოლმე. საერთოდ, კომუნიკაბელობის გრძნობა მოჩლუნგებული აქვს - სხვათა შორის, ეს ერთადერთი თვისებაა, რითაც მითოლოგიურ ამირანს ენათესავება - ამიტომ ზოგჯერ შიდა-საოჯახო ენას კიდევ უფრო უვიწროებს სამოქმედო არეს და მთლად ინდივიდუალურ ენაზე გადადის, რომელიც მის მეტს უკვე აღარავის ესმის.

- მე გუშინ ველაპარაკე სანაკლიოს და, რამე რომ მომხდარიყო, შევიტყობდი.

- ნუ დაიჩემებთ! იქნებ, ვისაც თქვენ ელაპარაკეთ, იმან არაფერი იცოდა! მეხის გავარდნასაც ხომ ზოგი იგებს და ზოგი ვერა! ადვილი შესაძლებელია „უფსკრულში" და „გადაჩეხვაში" ბიძაჩემი ისეთ რამეს გულისხმობს, კლასიკურ ლინგვისტიკას თმა ყალყზე დაუდგეს. ყოველ შემთხვევაში, ამთავითვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უფსკრული, როგორც უფსკრული, და გადაჩეხვა, როგორც გადაჩეხვა, გამორიცხულია: სანაკლიოზე დაბალ დღეს მხოლოდ მარიანის ღრმულია, მარიანის ღრმული კი - თუ ბავშვობაში რაიმე მიზეზით გეოგრაფიის გაკვეთილებზე გივლიათ, გეცოდინებათ - შორსაა. და მაინც ხიფათი რეალური ჩანს. დეპეშაში, ეჭვი არაა, მეტაფორაა ჩადებული, მაგრამ როგორ გინდა ამოხსნა?.. წუხელ თითქმის მთელი ღამე ვუტრიალე და გარდა იმისა, რომ რაღაც ნამდვილად მოხდა, სხვა ვერაფერი დავადგინე.

- თქვენ რა მოვალეობა გაკისრიათ?

- მე - მოვალეობა?!. რას გულისხმობთ?

- რისთვის გამოგიძახათ... რატომ მაინცდამაინც თქვენ გამოგიძახათ...

- აა! კონკრეტულად რისთვის გამომიძახა, არ ვიცი. ბიძაჩემი ის კაცი არაა, კარტი წინასწარ გახსნას, თუნდაც მთელი ქვეყანა შიგ იყურებოდეს. სამაგიეროდ, სამუშაო გეგმა კი უეჭველად შედგენილი ექნება. რამე ოპტიმისტური და განუხორციელებელი გეგმა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მაინცდამაინც მე გამომიძახა, ეს კითხვა ფუჭია. ერთადერთი ცოცხალი არსი, ვისი გამოძახებაც ბიძაჩემს გაჭირვების ჟამს შეუძლია, მე ვარ, და ერთადერთი ცოცხალი არსი, ვისაც გაჭირვების ჟამს ჩემი გამოძახება შეუძლია, ბიძაჩემია. თუმცა, სიმართლეს რომ ძირისძირობამდე ჩავდიოთ, ეს იმდენად რეალური გამოძახება არ არის, რამდენადაც მხატვრული ხერხი. ბიძაჩემისთვის ჩემი გამოძახება საკუთარი შინაგანი ძალების დარაზმვას ნიშნავს, ხოლო თუ მე მაინც მივდივარ, მივდივარ იმიტომ, რომ ამ ძალების რეალური განსახიერება ვარ. ერთი სიტყვით, დეპეშა მხოლოდ საშიშროებას ადასტურებს, საშიშროების ხასიათს არ განმარტავს.

ამაზე თავი კი დამიქნია, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ რისი თქმაც მინდოდა, ნათლად და გასაგებად ვუთხარი. მერე უეცრად მკითხა:

- ტელეფონი არა გაქვთ სახლში?

- კი, - ცოტა არ იყოს, გაკვირვებით მივუგე მე, - ოცდა...

- მაშ რატომ არ დაგირეკათ? ტელეფონით უკეთ არ აგიხსნიდათ?

- სხვათა შორის, ევამაც ეგ მკითხა.

მე ეს ფრაზა დაუფიქრებლად წამოვისროლე. არც რაიმე პარალელის გავლება განმიზრახავს და არც იმის დადგენა მიცდია, დაინტერესდებოდა თუ არა ევას ვინაობით.

- რა გასაკვირია! - თქვა მან ისე, რომ ევას ვინაობით არ დაინტერესებულა, - ყველაზე უწინ ადამიანს ყველაზე ბუნებრივი შეკითხვა მოგდის თავში. მერე თქვენ რა უთხარით?

- მე ვუთხარი: „ჰოი, ცისკრის სხივნათელო ვარსკვლავო! ჰოი, ვენერავ და ასპიროზო! ცთომილთა დედოფალო და სილამაზის განმარტებითო ლექსიკონო! ეს პრობლემა იმ სიბრტყეზე არ დევს, სადაც შენი აბრეშუმივით ნაზი, სარკესავით პრიალა და ოცნებასავით მოუხელთებელი ტვინი დაფრთხიალებს. ჭკუას რომ ზედმეტად დაატანო ძალა, ვაითუ ეგ შენი ნორჩი სილამაზე ნაადრევად დააზრო და იავარქმნა. მაგრამ რაკი არც ის ძალმიძს, შენს ბრძანებას გადავიდე, შევეცდები მაქსიმალურად პოპულარული და გასაგები ენით გითხრა, შენ კი შენის მხრივ შეეცადე გულთან და, განსაკუთრებით, გონებასთან ახლო არ მიიტანო. მაშ ასე: ბიძაჩემი ამტკიცებს, რომ ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, როცა ზეგარდმო მესაჭემ სამყარო ახალ სიჩქარეში გადართო, ადამიანმა უგუნურებითა და ქედმაღლობით ზურგი შეაქცია დამწერლობას, რის შედეგადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადაგვარების ხიფათი დაემუქრა, ვინაიდან დამწერლობა საკაცობრიო გენიის არა მარტო უმნიშვნელოვანესი ნაყოფია, არამედ ერთადერთი ნაყოფიც, რომელშიაც ადამიანმა თავისი ღვთაებრივი სახის გამჟღავნება და აღბეჭდვა შეძლო. აქედან გამომდინარე, ვინც დამწერლობას ზურგი შეაქცია, მან საკუთარ ღვთაებრივ ბუნებას შეაქცია ზურგი და პირი ეშმაკისკენ ქნა. აბა ბიძაჩემი ამას როგორ შეურიგდებოდა! არც შერიგებია. და ამ მწყრალი შეურიგებლობის ნიშნად მას აქეთ ზეპირსიტყვიერებაზე შეძლებისდაგვარად უარს ამბობს და თავის სანიმუშო აზრებს წერილობითი სახით გადმოსცემს, რათა, თუ დამწერლობას ვერ გადაარჩენს, ის მაინც ათქმევინოს ისტორიას (ვინიცობისაა ისტორია მაინც გადარჩეს), ფსიქოლოგიური თვითმკვლელობის ამ კუნაპეტ ღამეში ერთი ნათელი სხივი მაინც ანათებდაო". ასე ვუთხარი. და თუ სიტყვასიტყვით ასე არ მითქვამს, მიახლოებით კი ნამდვილად ასე ვუთხარი.

- დიახ...

აქ, როგორც იქნა - შესაძლოა იმის გამო, რომ ეს პასუხი ცოტა უადგილოდ გაისმა - მივხვდი, რომ ჩემი შიშის მიერ წინასწარ განაწილებული როლები სინამდვილეში დიამეტრულად შეცვლილიყო: მე გაუთავებლად ვყბედობდი, ის კი მხოლოდ პაუზებს ავსებდა. რომ მცოდნოდა ასეთი სიტყვაძუნწი იყო, ჩემს გულში ამოდენა ალიაქოთს, ცხადია, არ ავტეხდი. სამაგიეროდ, რაკი ბოლოს და ბოლოს შევიტყე, რომ საუბრის გაძღოლა მე მომიხდებოდა, ლოდი ჩამომეხსნა და შვებით ამოვისუნთქე. მაინც, ეჭვის უკანასკნელი ბაცილებიც რომ ჩამომებერტყა, გადავწყვიტე, ყველაფერი კიდევ ერთხელ შემემოწმებინა. ამ მიზნით პატარა და უწყინარი ექსპერიმენტი წამოვიწყე: გულში ათწუთიანი დუმილი გამოვაცხადე. ახლა ეს ძნელი არ იყო. რაკი ყამირი გატყდა და ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა, უხერხულობის შიში აღარ მქონდა. მართლაც, შავშებიდან მოყოლებული ვიდრე გორის გზისგასაყარამდე ორივენი მშვიდად და უშფოთველად, შეიძლება ითქვას, იდილიურად ვდუმდით. მე გზას გავცქეროდი და ვცდილობდი ბიძაჩემთან მომავალი შეხვედრის სავარაუდო სცენარი დამეზუსტებინა: ის სკამის ზურგს მიყრდნობოდა, ხელები მუხლებზე ეწყო და ფიქრებში ჩაფლულიყო. მაშინაც კი, როცა ორ „კამაზსა" და ორ „იკარუსს" ერთ გასწრებაზე გავუსწარი და შემხვედრი მანქანაც გვარიანად დავაფრთხე, არ გამორკვეულა და დამუხრუჭება არ უცდია. ბოლოს, მდინარე მეჯუდა რომ გადავიარეთ და ბენზინის სადგურს მივაღწიეთ (სადაც ბენზინი არ იყო), ექსპერიმენტი დასრულებულად ჩავთვალე და გადავწყვიტე საუბარი განმეახლებინა. მაგრამ, ვიდრე გადაწყვეტილებას შევასრულებდი, თვითონაც მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება და დამასწრო კიდეც. წყნარად და სრულიად ნეიტრალური კილოთი, თითქოს ეს ერთი რამ უმნიშვნელო ფრაზა ყოფილიყო, რომელიც კაცმა შეგიძლია არც წარმოათქმევინო პერსონაჟს, მკითხა:

- ბიძათქვენი იონა კამკამიძეა?

## მამიდები. მამიდები. მამიდები. რიკოთი მოულოდნელი კუთხით

ამის გაგონებაზე საჭე ისე მივღრიცე გვერდზე, კინაღამ მანქანა გადავაბრუნე.

- იცნობთ?! - შევძახე აღტაცებით და წამით (ალბათ იმის გამო, რაც ბავშვობის ცისფრად დაჟანგული ჭიშკარი გამოვიხურე, ასეთი ყიჟინა პირიდან არ ამომსვლია) გულში გარდასულ დღეთა სევდიანი მოგონება ჩამეღვარა.

ჩემი აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ სალომე ერისთავს კოპები ცოტა გაეშალა და ნაწილობრივ ჭმუნვის ღრუბელიც გადაეყარა.

- გაგონილი მაქვს.

- უკეთესი! სწორედ ეს არის ჭეშმარიტი პოპულარობა. წარმომიდგენია, რა ამაყი თავმდაბლობით დაირცხვენს, როცა მივახარებ, რომ მისი სახელი შორს გასცდა მშობლიურ სანაკლიოს და უცნობი ადამიანები სადღაც გორის აღმართზე შინაურივით ახსენებენ!.. მაშ ბევრი მისი თავგადასავალიც გეცოდინებათ.

- ბევრი არა, მაგრამ ზოგიერთი კი ვიცი.

- ზოგიერთიც ბევრია, თუ ათვლის წერტილს სწორად შევარჩევთ... ის ხომ გახსოვთ, მეასიათასე სანაკლიელი რომ დაიბადა, რა გრანდიოზული იუბილე გადაიხადა!

- მეორასიათასე.

მე გაკვირვებით შევხედე.

- მეორასიათასე?.. აა! არა, ეს ახლახან იყო. მე ძველს ვიხსენებ. თუმცა... - აქ გულში ცოტა რამ ვიანგარიშე და დავუმატე, - თუმცა ეს ამბავი ცხრამეტი წლის წინ მოხდა. თქვენ მაშინ შეიძლება დაბადებულიც არ იყავით.

კი ვგრძნობდი, რომ მეტისმეტი მომდიოდა, მაგრამ ლაგამის მოზიდვა ვეღარ მოვასწარი, და თუმცა ამის გამო გულში საკუთარ თავს ცოტა შემოვწყერი, საბოლოოდ ეპიზოდი, რომ არ მოველოდი, ისე კარგად დასრულდა: სალომე ერისთავმა ჩვენი ნაცნობობის მანძილზე პირველად გაიღიმა. გაიღიმა და წამით სულ სხვა

კუთხით წარმოჩნდა. ღიმილი, რომელსაც ჭმუნვა კვლავაც არშიასავით ჰქონდა შემოვლებული, თითქმის მოუხელთებლად გაჩნდა და გაჩენისთანავე ისევ გაქრა. არსებითად, მთელი ღიმილი ის იყო, რომ მოკუმული ტუჩები ერთი შეთრთოლება შეუთრთოლდა. და მაინც ამ მოუხელთებელი წამის განმავლობაში სახის გამომეტყველება მკვეთრად შეეცვალა. მახსოვს, იმის გაფიქრებაც კი მოვასწარი, თუ მისი სანაკლიელობა და ამასთან დაკავშირებით ჩემი გრძნობების უადგილო აფუება არ მატყუებს, ღიმილი მოუხდა-მეთქი.

- დაბადებული ვიყავი. იმ ზაფხულს ათი წლისაც გავხდი. ოღონდ იუბილე ბუნდოვნად მახსოვს. სამაგიეროდ მეორასიათასის იუბილე მახსოვს კარგად. სწორედ იმ დღეებში მომიხდა სანაკლიოში ჩასვლა.

- მეორასიათასე გრანდიოზული იყო, მაგრამ მეასიათასესთან ვერ მოვა. ვერც მასშტაბით, ვერც პეწით, ვერც შესრულების დონით. ერთ იუბილედ მეასიათასისა მარტო ფინალი ღირდა - ბიძაჩემის დაქორწინება, რის შედეგადაც მამაჩემი პროფესიონალი პესიმისტი გახდა.

- თქვენ ბიძათქვენის ძმისწული ხართ?

- დისწული.

- ა, დისწული...

- ოღონდ აქ ცოტა რამ დასაზუსტებელია: მე - შეიძლება ეს უცნაურად მოგეჩვენოთ - სამი მეოთხედით დედაჩემის შვილი ვარ და მხოლოდ ერთი მეოთხედით მამაჩემის. შესაბამისად, გაცილებით მეტად დედაჩემის ძმის დისწული ვარ, ვიდრე მამაჩემის ძმების ძმისწული. ამიტომ ბიძაჩემის საგმირო - ან არც ისე საგმირო, გააჩნია როგორ შევხედავთ - საქმეებს ჩემთვის სხვა ფასი აქვს. მეასიათასის იუბილე კი სანაკლიოს ისტორიის ოქროს ფურცელია... თქვენ მაშინ ათი წლისა ხდებოდით, მე ჩვიდმეტის. ვინ იცის, შევხვედრივართ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ესოდენ ადრეულ ასაკში შვიდი წელი ისეთი განსხვავებაა, რომ თვალთახედვის სხივები სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარეობენ და ერთიმეორის გადაკვეთა არ ძალუძთ. არადა, გენეალოგიის ღრმულებში რომ ჩავეშვათ, შესაძლებელია ნათესავები გამოვდგეთ. სანაკლიელისა და სანაკლიელისგან, მერწმუნეთ, ეს გასაკვირი არ იქნება. და თუნდაც ნათესავები არ გამოვდგეთ, რაკი ორი სანაკლიელი ასე მოულოდნელად გადავაწყდით ერთმანეთს, ახლა ჩვენს მანქანას - ღამე რომ იყოს, ეს უკეთ გამოჩნდებოდა - ძველსანაკლიური, რომანტიკულ-სანტიმენტალური (და ცოტა სევდიანი) შარავანდედი ადგას, რომელიც უმანკოების პრიმიტიულ მახეს გვიგებს. თუ ამ მახეში გავებით, ჩვენს გულახდილობას საზღვარი არ ექნება. წეღან გითხარით, გულახდილობა უტაქტობაა-მეთქი, და ეს ისეთი სანდო წყაროებიდან ვიცი, არ შეიძლება მართალი არ იყოს. მეორე მხრივ - ესეც არანაკლებ სანდო წყაროებიდან ვიცი - გულახდილობა მსხვერპლიცაა, რომელიც ასეთ შუქზე ადამიანმა შეიძლება დაუფიქრებლად გაიღოს, რათა ზებუნებრივად ამჩატდეს და ღმერთის წინარე ღმერთების გული მოიგოს. ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ სანაკლიოდან თავდაღწეულები ისევ სანაკლიოში არ ჩავცვივდეთ.

- ასე რამ შეგაძულათ სანაკლიო?

- რას ბრძანებთ! ჩემი თეორიული მსოფლმხედველობის ერთი უმთავრესი პრაქტიკული მარცხი სწორედ ის არის, რომ სანაკლიო დამსახურებისამებრ ვერ შევიძულე. შეძულება რომ მომეხერხებინა, რაღად გავლანძღავდი! ან ასე ხშირ-ხშირად რაღად ვახსენებდი! გონებიდან კი მართლა გავაძევე, ვინაიდან, ობიექტურად რომ საძულველია, ვიცი, მაგრამ გულში, სამწუხაროდ, ისე მყავს გახლართული, გულიანად თუ ამოვიგლეჯ, თორემ ისე ალბათ ვერ მოვიშორებ. ეს კი სიძულვილი არ გახლავთ. ეს სიყვარული უფროა. და მე - თქვენ რომც დაგიმალოთ, ჩემს თავს ხომ ვერ დავუმალავ - სანაკლიო მიყვარს. ოღონდ მიყვარს რაღაცნაირი არაჯანსაღი სიყვარულით, როგორც უზნეო შვილი.

- დიახ, - თქვა სალომე ერისთავმა და მე ახლაღა მივხვდი, რომ ამ სიტყვას წეღანაც სხვაგვარი სუნი აუვიდა, ისეთი სუნი, როგორიც შეიძლება აუვიდეს შინაარს, რომელიც საკუთარ ფორმას არ ემთხვევა. მერე, გვარიანად გრძელი დუმილის შემდეგ, უეცრად მკითხა: - რამდენი შვილი გყავთ?

- უზნეო?

- საერთოდ.

- არც ერთი.

- მაშ რა იცით რომელი შვილი როგორ შეიძლება გიყვარდეთ?

ასეთ ეკალბარდებს ყველაზე უკეთ უტიფარი სიცრუე კაფავს და მეც სწორედ ეს ნაცადი იარაღი მოვიმარჯვე:

- მმმ... თეორიულად. წარმოსახვის ძალით. სხვათა მაგალითით.

მაგრამ ამჯერად ვერც ეს უებარი საშუალება გამომადგა. სალომე ერისთავმა უტიფრობას ანგარიში არ გაუწია და სიცრუეს ისე მოეპყრა, როგორც ნამდვილ არგუმენტს:

- სხვათა მაგალითით საკუთარ გრძნობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ზომავთ?

- ვერ ვზომავ, - ვაღიარე მაშინ, - ვცრუობ. სანამ საკუთარი უზნეო შვილი არ მეყოლება, უზნეო შვილის სიყვარული ჩემთვის ბუნდოვანი თეორია იქნება. თუმცა გარწმუნებთ, შედარებას ეს ხელს არ უშლის, რადგან უცნობი მოვლენის უცნობი მოვლენითვე განმარტება, განსხვავებით ლოგიკური ცოდნისაგან, რაც უცნობი მოვლენის ნაცნობი მოვლენით განმარტების შედეგია, იძლევა - თუ, რა თქმა უნდა, ღვთის შეწევნაც იქნა - ემოციურ ცოდნას, რომელიც, მართალია, ნაკლებ ზუსტია, ვიდრე ლოგიკური ცოდნა, სამაგიეროდ გაცილებით უფრო მტკიცეა და საიმედო. და თუ მე სანაკლიოს მიმართ ჩემი დამოკიდებულება მარჯვედ ვერ გამოვხატე, მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ღვთის შეწევნა დამკლებია, თორემ პრინციპი უტყუარია. მე ეს საკითხი საგანგებოდ მაქვს შესწავლილი. მაგრამ - კითხვა რომ შემოგიბრუნოთ - თქვენ კი გიყვართ სანაკლიო?

- მიყვარს, - მიპასუხა მტკიცედ და ზედმეტად სერიოზულად, - და თქვენგან განსხვავებით, მიყვარს ჯანსაღი სიყვარულით.

- ჩემი არაჯანსაღი სიყვარული ხომ ნაცარტუტად იქცა და ჯანსაღი როგორიღაა?

- რა ვიცი... ალბათ თანდაყოლილი, უშუალო, წრფელი...

- ასეთ მხურვალე ფონზე იქნებ დისონანსად გაისმას, მაგრამ, სანაკლიოში რომ სიმართლე ჩაიყვანო და იქაურობა აჩვენო, მგონი ისეთები თქვას, უხამსობამაც კი ყურებზე ხელი მიიჭიროს.

- შესაძლოა. მაგრამ მე მანამ მიყვარდა სანაკლიო, სანამ საქმეში სიმართლე ჩაერეოდა. იქ დავიბადე, იქ გავიზარდე, ნათესავების უმეტესობა იქ ცხოვრობს და თითქმის ყველა წინაპარი იქაური იყო. ჩემი სიყვარულიც ჩემზე ადრეა გაჩენილი. მე რომ მოვედი, დიდი ნაწილი დამხვდა და ჩემი მხრივ მხოლოდ ცოტა რამ თუ მივუმატე. ასე რომ ეს საერთო სიყვარულია. თაობების სიყვარული. თაობების საერთო სიყვარულს სიმართლე რას დააკლებს!

- ვერაფერს. თქვენ გიჯობნიათ. მართალია, კარგად თუ დავუკვირდებით, შეიძლება არც სიმართლე აღმოჩნდეს ისეთი ხელწამოსაკრავი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, და საერთოდ, შეიძლება სიმართლესთან დათათბირება დროდადრო აუცილებელიც იყოს, რათა, სიყვარულის სახელით რომ ინსტინქტები აგვიმხედრდება (რაც გარდუვალი ჩანს), თავი არ წავალეკინოთ, მაგრამ ყველა ეს ვარაუდი ახლა თქვენი გულწრფელობის აბჯარზე უიმედოდ იმსხვრევა. თქვენი საბუთები დამაჯერებელია. და თუმცა იგივე გამოცდილება - მეც სანაკლიოში დავიბადე, მეც სანაკლიოში გავიზარდე, ჩემი ნათესავებიც სანაკლიოში ცხოვრობენ და წინაპრებიც სანაკლიელები იყვნენ - მე საბუთად არ გამომადგა, თქვენი საბუთები მაინც დამაჯერებელია და პატრიოტულ ყდაში ჩასასმელი. ოღონდ ის კი უნდა ვთქვა, რომ არ მეგონა სანაკლიოზე თუ ასეთი ტონით ლაპარაკი შეიძლებოდა. ახლა ვინა გყავთ იქ?

- მამიდები.

- მამიდები?!. ბევრი?

- სამი... ორი.

ძნელი დასაჯერებელია, ზრდადასრულებულსა და, რბილად რომ ვთქვათ, სრულწლოვან ქალს საკუთარი მამიდები დათვლილი არ ჰყავდეს. ამიტომ დაბნეულობამ რომ გამიარა, ვკითხე:

- სამი თუ ორი?

- ოთხი, - მიპასუხა მან და, მადლობა ღმერთს, ისე განაგრძო, სიტყვის ჩასაგდებად დრო არ დამიტოვა, - მაგრამ მამიდა ნუცა სოფელში ცხოვრობს. სანაკლიოში - სამი. უფრო ორი... მამიდა ნატო წუხელ გარდაიცვალა.

იმის გაფიქრებაც კი უტაქტობაა, რომ კაცს ასეთ რამეზე გაგეცინოს, და მე, ცხადია, არც გამცინებია, თუმცა - რაკი ამგვარი საშიშროება რეალურად არსებობდა, მაინც ვიტყვი - რომ გამცინებოდა, გამეცინებოდა არა მამიდა ნატოს გარდაცვალებაზე (ამაში სასაცილო არაფერი დამინახავს), არამედ ადამიანის ვიწრო და სწორხაზოვან ბუნებაზე, რომელსაც ძალიან უჭირს იმის დაშვება, რომ შესაძლებელია მამიდების რიცხვიც ათვლის სისტემაზე იყოს დამოკიდებული.

„მაშასადამე, მარტივსა და რთულს შორის, ლოგიკური კავშირის პარალელურად, არსებობს მეტალოგიკური კავშირიც, და, რთული, რაღაც უცნობი მიზეზების გამო, ლოგიკის ჩარჩოს რა გასცდება, მით უფრო რთულდება, რაც უფრო მარტივდება და პირიქით", დავასკვენი გულში მცირე ხნის შემდეგ, რომლის განმავლობაში გონების მღვრიე ნისლში კითხვის ნიშნები გაშლილი პარაშუტებივით ეკიდა. და თუმცა პარადოქსი ერთსა და იმავე დროს შაბლონურიც იყო და უმწიფარიც, ვიგრძენი, რომ მისი წყალობით ჩემს სტიქიაში მოვხვდი. მართლაც, ასეთი აბდაუბდა ძალიან მიყვარს და სხვა ვითარებაში, ვინ იცის, ისე ჩავსულიყავი სანაკლიოში, მორევიდან თავი არ ამომეყო, მაგრამ ახლა, რაკი არც იმის გაუთვალისწინებლობა ეგებოდა, რომ სიკვდილი, მიუხედავად მოსაწყენი გარდუვალობისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული და ამაღლებული მოვლენაა, რომელსაც ყურადღება შეიძლება არ სჭირდება, მაგრამ ყურადღების გამოჩენა კი აუცილებლად სჭირდება, იძულებული შევიქენი ინტელექტუალური ვარჯიში შემეწყვიტა და ზედაპირზე ამოვტივტივებულიყავი. ასეც მოვიქეცი. მერე თავს ძალა დავატანე და თანაბარდაღმავალი ინტონაციით, როგორც ამას ოფიციალური სამძიმარი მოითხოვს, ვთქვი:

- ააა!.. - თან გუნებაში გადაჭრით უკუვაგდე საპყარი ვარაუდი, ეგებ ბიძაჩემმა რაიმე მოსაზრებით სწორედ მამიდა ნატოს გარდაცვალება მიიჩნია სრულიად სანაკლიოს კატასტროფად და დეპეშაშიც ეს იდეაა კოდირებულიმეთქი. მერე, სამძიმარი რომ მეტისმეტად კუდმოკვეცილი არ გამომსვლოდა, ვკითხე, - რამდენი წლის იყო?

- სამოცდარვის.

მამიდა ნატოს გარდაცვალებამ (უფრო სწორად, ცნობამ მამიდა ნატოს გარდაცვალების შესახებ) ვითარება სხვა მხრიდან გაანათა და ერთბაშად გამოჩნდა აქამდე სიბნელეში გახვეული ვარაუდი, რომ სალომე ერისთავის უგუნებობის მიზეზი, ვინ იცის, გარემოება იყო და არა ბუნება და რომ, შესაბამისად, შეკრულ კოპებში ჩანდა არა ხასიათი, არამედ, ასე ვთქვათ, სამგლოვიარო განცხადება. მთლად წყალგაუვალი დიაგნოზი ეს, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა, მაგრამ აქ, სიკვდილის საზეიმო ფონზე, ძალზე მაღალი ჩანდა იმის ალბათობა, რომ მიზეზები და შედეგები სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით ყოფილიყო დალაგებული.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. მამიდა ნატოს ასაკი ამას თითქოს მაინცდამაინც მკაცრად არ მოითხოვდა, მაგრამ ასაკს ჩვევამ აჯობა, რომლის თანახმადაც სიკვდილის ხსენებას რიტუალური დუმილი უნდა მოჰყვეს.

დუმილი გაგრძელდა სოფელ რუისის ბოლომდე, სადაც მოსახლეობას კაცთმოყვარეობის მიზეზით (შესაძლოა კაცთმოძულეობის მიზეზით, გააჩნია საიდან შეხედავთ) ეზოებს გარეთ, გზისპირას, წყლის ონკანი დაეყენებინა.

მანქანა ონკანთან გავაჩერე.

- წყალი დავლიოთ, - მივუბრუნდი თანამგზავრს, - აქ კარგი წყალია.

გარეთ უკვე თბილოდა.

მათარას წყალი რამდენჯერმე გამოვავლე, მერე ნახევრად ავავსე და, სალომე ერისთავი რომ მანქანიდან გადმოვიდა, მივაწოდე.

ალბათ ბოლომდე უნდა ამევსო. ბოლომდე რომ ამევსო, ვინ იცის, თავის უკან გადაგდება არ დასჭირდებოდა. ახლა კი დასჭირდა. თავი უკან გადაიგდო და ღმერთს შეხედა. და თუმც დარწმუნებული ვარ, ეს არაფერ შუაში იყო, ისევე როგორც არაფერ შუაში იყო მისი თხელი პალტოს სიგრძე და ფერი, აქ, სოფლის ბოლოს, მტვრიან შარაგზაზე, კრამიტით დახურულ სახლებსა და ვაშლის ბაღებს შუა მას ახლა სიტყვა „დისონანსი" უფრო შეეფერებოდა, ვიდრე სიტყვა „ქალი" (ეს ორი სიტყვა რომ ერთმანეთს პირწმინდად და საგულდაგულოდ არ გამორიცხავს - ამას ვამბობ როგორც შემთხვევით დაეჭვებულთა, ისე პროფესიონალ სკეპტიკოსთა გასაგონად - მე სხვაზე ნაკლებად არ ვიცი). დალევა რომ მოათავა, მათარაში ჩარჩენილი წყალი გადაღვარა და ცარიელი მათარა დამიბრუნა.

- გმადლობთ, - მითხრა, - მართლა კარგი წყალია.

- მაშ წავიდოთ კიდეც.

აქ ცოტა ხანს - ვიდრე მეც დავლევდი და მერე მათარას ხელახლა ავავსებდი - მისკენ ზურგშექცევით ვიდექი, ხოლო მას, ვიდრე მე ზურგშექცევით ვიდექი, პალტო გაეხადა.

„არაფერი საფრთხობელა არ ყოფილა!", - მყის უარვყავი აღრინდელი და - როგორც პალტოს გახდამ თვალნათლივ დამარწმუნა - ცოტა ნაჩქარევი ვარაუდი. მართლაც - ეს ახლა აშკარა იყო - ყველაფერი საკმარისად ჰქონდა, რაც კი ქალს მოეთხოვება და რასაც სამოსი მხოლოდ იმიტომ მალავს, რომ გამოგვიზოგოს და ისტორიის გრძელ მდინარებაში ნაწილნაწილ გამოგვიჩინოს.

ამ ახალმა შთაბეჭდილებამ გულსა და გონებაში უპრობლემოდ, უნაღვლოდ და სწრაფად გაიარა, როგორც წყალმა ცხრილში. მერე ვკითხე:

- კიდევ დალევთ?

- არა, გმადლობთ.

- მაშ წავიდეთ.

- წავიდეთ.

მანქანის კარი რომ გამოვაღე, შევჩერდი.

- საჭესთან ხომ არ დაჯდებით?

- საჭესთან? რატომ?

- ისე. უმანქანოდ რომ დარჩით, იქნებ ტარება მოგენატრათ-მეთქი.

- აჰ, არა.

- მობეზრებული გაქვთ?

- არ მიყვარს.

- არც მე. მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს, - მერე, რომ დავიძარით, ვკითხე, - მაგიტომ შეელიეთ ასე იოლად და, მე თუ მკითხავთ, იაფადაც?

- რატომ?

- ტარება რომ არ გიყვართ.

- არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- აბა რატომ?

ამაზე ერთხანს ჩუმად იყო, თითქოს გუნებაში რაღაცას წონიდა. მერე თქვა:

- სამასი მანეთი რომ გადამეხადა. ბევრი თავსატეხი გამიჩნდებოდა. ეს ექვსასი მანეთი კი კარგად წამადგება, - აქ წამით ისევ გაჩუმდა და მერე, ლაპარაკი რომ განაგრძო, ხმაში ოდნავი, მხოლოდ ძალიან მახვილი ყურისთვის შესამჩნევი ძალდატანება დაეტყო, - მამიდა ნატოს დასაფლავება უნდა.

- თქვენს გარდა მამიდა ნატოს სხვა არავინ..?

- დანარჩენი მამიდები. მაგრამ ისინი - ნაწილობრივ მამიდა ნუცას გამოკლებით - მხოლოდ ხელს თუ შემიშლიან. მათთვის მთავარი საზრუნავი ახლა ის იქნება, რომ დასაფლავება მდიდრული და თავმოსაწონებელი იყოს. რა ქნან! მოხუცდნენ.

მე დაფიქრებით შევხედე და ფიქრში, როგორც ნაკვალევში წვიმის წყალი, მოულოდნელი და არამკითხე რიდი ჩადგა, რომელსაც ხაზს უსვამდა - არ ვიცი კი რატომ - ის გარემოება, რომ მას მამიდა ნატო ჰყავდა დასასაფლავებელი და ეს ხაზგასმული გარემოება მე გამუდმებით უნდა მქონოდა მხედველობაში, როგორც მჭმუნვარების კოეფიციენტი.

- სანაკლიოდან დიდი ხანია წამოსული ხართ? - ვკითხე მცირე სიჩუმის შემდეგ.

- რაც სკოლა დავამთავრე.

- რომელი სკოლა დაამთავრეთ?

- მეოთხე.

- მართლა?! მეოთხე სკოლა, შეიძლება ითქვას, ჩემი სკოლაა. თავის დროზე მანდ ერთდროულად ორი შეყვარებული მყავდა... მაშ, პაპასკირის ქუჩაც ალბათ შორს არ იქნება.

- იქვეა, სკოლის გვერდით. შეიძლება ნამყოფიც ხართ თქვენი ორი შეყვარებულის თანხლებით.

არც კილოზე და არც სახეზე ისეთი არაფერი შეტყობია, რაც შეიძლებოდა ირონიისთვის მიმემსგავსებინა.

- ჩემდა სამარცხვინოდ, იმ ორი შეყვარებულიდან პირადად არც ერთს არ ვიცნობდი.

- რომანტიკული ბავშვობა გქონიათ, - თქვა ამაზე მცირე პაუზის შემდეგ.

მე გაკვირვებით შევხედე.

- რომანტიკული?!. როგორ გეკადრებათ! რომანტიკული კი არა, ტრაგიკული ბავშვობა მქონდა. მე ხომ სკოლაში სიარული მიხდებოდა!

- სკოლაში სიარული ყველას უხდებოდა.

- ყველა არ არის „ყველა". თქვენ იქნებ მიგიხაროდათ კიდეც და, ვინ იცის, კომკავშირის კრებებსაც ესწრებოდით. მე იმთავითვე მგრძნობიარე ბუნება მქონდა. სკოლაში წასვლის წინ გულ-გვამი ისე მიხურდებოდა, ზამთრობით ოთახის ტემპერატურა თვრამეტიდან ოცდაერთ გრადუსამდე ამყავდა. ყოველი დღე - კი, უქმეების გარდა, მაგრამ სხვა მხრივ გამონაკლისის გარეშე - გოლგოთაზე ასვლა იყო. ჯვრის ატანაშიც ხელის წამომკვრელი არავინ მყავდა. ის კი არა, დაჩივლებასაც ვერ ვბედავდი - ღმერთო, რატომ მიმატოვე-მეთქი - იმის შიშით, რომ მამაჩემი გაიგებდა და პედაგოგიურ ჯვარზე გაკრულს ახლა იდეოლოგიურ ჯვარზე გამაკრავდა.

- სად მუშაობთ? - მკითხა მან მოულოდნელად.

- არსად, - გაკვირვებითა და, მგონი, ცოტა მწყრალადაც მივუგე მე. მერე მივხვდი, რომ ასეთი პასუხი, კილოც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მაინც უტაქტო და უხერხული იყო, ამიტომ შევეცადე ამეხსნა, - პარაზიტი ვარ. მატერიალურ საზრდოს მამაჩემისგან ვიღებ, იდეურს ბიძაჩემისგან. და მოსალოდნელ მორალურ შეფასებას სავსებით ვეთანხმები.

- მაგრამ რაიმე პროფესია ალბათ გექნებათ...

- კი. ქართული ენის სპეციალისტი ვარ. ცოტა მოუქნელი ტერმინია, ალბათ საჩოთიროც, მაგრამ სამაგიეროდ სავსებით ოფიციალურია და დოკუმენტურად დადასტურებული.

აქ ის იყო უნდა მეკითხა - თქვენ-მეთქი? - და კითხვის ასეთ შებრუნებას დიალოგის ნებისმიერი თეორია გაამართლებს, მით უფრო, რომ ინტერესი ნამდვილად გამიჩნდა - მაგრამ უეცრად მივხვდი, რომ თურმე დადგენა კი არ მინდოდა მისი პროფესიისა, არამედ გამოცნობა, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ჩემს ინტერესს ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური მოტივები ამოძრავებდა და არა რეალურ-ყოფითი. ეს არც იყო გასაკვირი. მართლაცდა, სალომე ერისთავმა არათუ სახიფათო მოლოდინი არ გაამართლა (არადა, ეს მოლოდინი ინდუქციური იყო და გამოცდილებას ეყრდნობოდა), ჩემს ზოგად წარმოდგენაში რაღაც ახალი შტრიხებიც შემოიტანა. თავად განსაჯეთ: ყბედი არ ჩანდა. ტუტრუცანა არ ჩანდა. კეკლუცი არ ჩანდა (ეს უკანასკნელი თვისება, ობიექტურად თუ შევხედავთ, მაინცდამაინც დიდ ღირსებად ვერ ჩაითვლება, ქალი ზომიერების ფარგლებში კეკლუცი უნდა იყოს, თვით პარტიული მუშაკებიც კი, წელში რომ რევოლვერები ჰქონდათ გაჩრილი, იდეოლოგიურ ქერქქვეშ - ეს მრავალგზის დადასტურებული ფაქტია - კეკლუცები და ცუგრუმელები იყვნენ, მაგრამ პირადად მე - და განსაკუთრებით მოგზაურობისას - ზომი-

ერი კეკლუცობის გადახარშვაც მიჭირს), ტყავში არ ძვრებოდა, რომ უფრო ახალგაზრდა გჩვენებოდათ, ვიდრე ეტყობოდა. საგანგებო ყურადღებას არ მოითხოვდა. მთელ რიგ საკითხებზე საკუთარი აზრი ჰქონდა, რომელთა გამოთქმისას პულსი არ უჩერდებოდა. თავი საკმარისად დამოუკიდებლად ეჭირა და საერთოდ ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, რომლებსაც ცალ-ცალკე და თითო-თითოდ ქალებშიც იპოვით ხოლმე, მაგრამ ერთად და ერთ ქალში თავმოყრილი კი იშვიათია. თუმცა, იშვიათის გარდა, ალბათ საზიანოცაა, ვინაიდან რიგი მიზეზების გამო ეს თვისებები, ერთიან ძაფზე რომ აისხმება, ინტელექტუალიზმის ისეთ ხელოვნურ კრიალოსნად ყალიბდება, რომელიც აზრის გამამდიდრებელ მუხტებს სექსუალური მადნისგან იღებს, ანუ - მოდური ტერმინოლოგიით (მრავალთათვის ასე უფრო გასაგები იქნება) - სექსუალური ენერგიის კონვერსია ხდება (ამ მოცემულობათა ფონზე ქალის ნიმუში და იდეალი ალბათ მშვენიერი ევაა).

აქ მე ჩემდაუნებურად (ამ დროს მის სავარაუდო პროფესიაზე ვფიქრობდი და შესაძლოა ახალი რამ ინფორმაციის მოპოვებას ვცდილობდი) ვთქვი:

- პირველად რომ მოგკარით თვალი მოედანზე, დედოფალი კლეოპატრა მეგონეთ.

მაგრამ ახალი ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. მხოლოდ ძველი ინფორმაცია დამიდასტურდა იმის შესახებ, რომ კეკლუცობა არ ჩვეოდა. კეკლუცი ქალი, მით უფრო, თუ ასაკის პრობლემაც უდგას, ასეთ შენიშვნაზე ალბათ ხაზგასმულად გაიცინებს და გათამაშებული საყვედურით საყვარლად ჩაიღუღუნებს: „ნუ, მაგდენი ხნისაც არა ვარ!..“ და თუ ამას არ ჩაიღუღუნებს, რაღაცას მაინც ჩაიღუღუნებს. მან კი სრულიად ფხიზელი კილოთი მკითხა:

- რომელ მოედანზე? - იმავ წამს თავი სწრაფად მოატრიალა და დაკვირვებით შემათვალიერა, - მაშ ეს თქვენ... რას აკეთებდით იქ, მოედნის შუაგულში?

- ეს ცოტა ძნელი ასახსნელია. შესაძლოა წრის ცენტრად ვიყავი გამწესებული და რადიუსების ტოლობას ვამტკიცებდი. თუმცა ახლა, პოსტ ფაქტუმ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ თქვენს გამოვლას ველოდი, რათა წინ გამეშვით და მერე საშუალება მომცემოდა იგოეთთან მხნელად მოგველენოდით.

- პოსტ ფაქტუმ შეთხზული ვერსიები მყიფეა.

- მყიფე, მყიფე!.. წეღან ვიგონებდი ამ სიტყვას და ვერასდიდებით ვერ მოვიგონე.

- რად გინდოდათ?

- არაფრად. ამ ბოლო ხანებში ზოგი სიტყვა მავიწყდება.

- ბიძათქვენიც ქართული ენის სპეციალისტია?

- იონა? არა. რამ გაფიქრებინათ?

- რა ვიცი... რაკი დამწერლობა ასე ყვარებია...

- ბიძაჩემს ყვარებია დამწერლობა? საიდან დაასკვენით?

- თქვენ არა თქვით?!

- არა მგონია. საერთოდ, უმიზეზოდ, როგორც წესი, არ ვცრუობ.

- დამწერლობის გადარჩენა უნდაო, არა თქვით?

- გადარჩენა უნდა-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ეს სიყვარულით მოსდის-მეთქი, არ მითქვამს. სიყვარულით ძირითადად ლაპარაკი უყვარს. დამწერლობას, უბრალოდ, უფრთხილდება, ვინაიდან მიაჩნია, რომ მისი ოთხი მისიიდან ერთ-ერთი დამწერლობის გადარჩენაა. განსაკუთრებული მონდომებით ეპისტოლური ჟანრის გადასარჩენად იღწვის.

- აა! მე კი მეგონა... გასაგებია... - და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა, - ეპისტოლური ჟანრი მართლა კვდება.

მე ხმის კილოში შერეული ნაღველი შევნიშნე და ვკითხე:

- გიყვართ?

- კი.

- მისდევთ კიდეც?

ამაზე ოდნავშესამჩნევად გაიღიმა.

- არა. დროდადრო მამიდების წერილებზე მიხდება პასუხის გაცემა, ეს არის და ეს.

- მამიდებსაც უყვართ?

- მამიდებს უყვართ, თუ უყვართ... მამიდა ნუცას გამოკლებით.

- მამიდა ნუცა უმცროსია?

- დიახ.

- დანარჩენებს რა ჰქვია?

- მამიდა მაგდა და მამიდა თეკლა.

- და ოთხივე გაუთხოვარია?

- ოთხივე.

- მამა?

- მამა?

- მამათქვენი სად არის?

- მამაჩემი არ მახსოვს. მხოლოდ მამიდების გადმოცემით ვიცნობ.

- ადრე გარდაიცვალა?

- მოკლეს. კვიპროსზე მოუკლავთ, მე რომ წლინახევრის ვიყავი.

- კვიპროსზე რა უნდოდა?

- გრძელი ამბავია, მოყოლად არ ღირს...

რატომაც არ ღირდა! მე, მაგალითად, აქამდე არასოდეს გამეგონა ვისიმე მამა კვიპროსზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეკლათ, და საერთოდ, ალბათობის თეორიის თანახმად, ასეთი რამ ძალზე იშვიათად უნდა ხდებოდეს. მაგრამ რაკი მითხრა არ ღირსო, ჩანს არ სურდა მოყოლა, ხოლო რაკი არ სურდა, ვერც მე ჩავეძიებოდი. ამიტომ ესღა ვთქვი:

- ნება თქვენია... მამიდებიც პაპასკირის რვაში ცხოვრობენ?

- სწორედ მამიდები ცხოვრობენ პაპასკირის რვაში. მამიდა ნუცას გამოკლებით. მამიდა ნუცა სოფელში ცხოვრობს.

მამიდების არითმეტიკულ ტოლობაში მამიდა ნუცა ეტყობა მაკლები იყო (თუ ნამდვილად „მაკლები" ჰქვია იმას, რასაც ვგულისხმობ).

ამის შემდეგ, ვიდრე სურამის გადასახვევს გავცდებოდით, შედარებით ნაკლები ვილაპარაკეთ. არსებითად - და ასე თუ ისე საფუძვლიანად - მხოლოდ ერთხელ დავარღვიეთ დუმილი. კერძოდ, ხაშურთან სვლა შევანელე და ვკითხე:

- ნასაუზმევი ხართ?

- კი.

- აქ ერთი პატარა რესტორანია... ვიწრო შესახვევი რომ მოჩანს მარჯვნივ, მანდ. ბევრი ვერაფერიშვილია, მაგრამ წახემსება თუ გინდათ, დანამდვილებით ვიცი, მოწამვლის საშიშროება მინიმალურია.

- მე არა. თქვენ თუ გშიათ, შევიდეთ.

- მე - მით უმეტეს. მე ისეთი ძალები მეწევა სანაკლიოსკენ, გზაში საჭმელად იშვიათად ვჩერდები.

- რა ძალები?

- შესაძლოა, „ძალები" ცოტა გაზვიადებული ნათქვამია. სულ ორი ძალაა, მაგრამ რაკი ენაში ორობითი რიცხვი არა გვაქვს, იძულებული ვარ მრავლობითი ვიხმარო. ერთია ბიძაჩემი, როგორც მოვლენა, რომელშიაც ზოგჯერ არსი ჩანს, შეუხედავი, მაგრამ მაინც არსი, მეორე - ბიცოლაჩემი, როგორც კულინარი, რომელსაც არათუ ამ მიზანთროპულ სასადილოებში, დარწმუნებული ვარ - თუ მაინცდამაინც დედაჩემს არ მივიღებთ მხედველობაში - მთელს ძირძველ ამერ-იმერში ბადალი არ მოეპოვება.

- სანაკლიოში ბიძის გარდა კიდევ ვინა გყავთ?

- თითქმის ყველა იქა მყავს, ვინც კი საერთოდ მყავს. ურიცხვი და ულევი ნათესავი. ნაირ-ნაირი ჯურისა დ ხარისხის...

- მარტო ბიძას ახსენებთ ხოლმე...

- მართლა?! არ დავკვირვებივარ... საერთოდ კი, ვინც როგორ იმსახურებს... თუმცა მეტისმეტადაც ნუ გავუგულახდილდებით ერთმანეთს, რაც უნდა იყოს, თანაქალაქელები ვართ, ემანდ ისეთი არაფერი წამოგვცდეს, მერე ფეხი წამოვკრათ.

როგორც ითქვა, სურამის გადასახვევამდე თითქმის ჩუმად ვიარეთ. ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი თქმულა, კაცს გამოსატოვებლად დაენანოს. სურამის გადასახვევს რომ გავცდით და სურამი მარცხნივ მოვიტოვეთ, დაფიქრებით იკითხა:

- საფრთხე მართლა ემუქრება?

- ვის?

- დამწერლობას.

- რა ვიცი. ბიძაჩემი ფიქრობს, რომ ემუქრება.

- მერედა, დეპეშების გაგზავნით უშველის?

- ღმერთმა უწყის. უფრო ალბათ ვერა. მაგრამ, ჩემი ფიქრით, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი პრინციპის ქონაა და არა პრინციპის განხორციელება.

- მისია?..

- მისიის მისიაც ბრჭყვიალია. საერთოდ, გამოცდილება გვასწავლის, რომ, რასაც მაღალ მატერიებთან და რაფინირებულ ჰუმანიზმთან შეხების წერტილი აქვს, ყველაფერი თვითმიზანია. თუმცა რაკი ლაპარაკი ბიძაჩემზეა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ბიძაჩემისთვის პრინციპსაც და მისიასაც უფრო დიდი, უფრო რეალური და, აქედან გამომდინარე, უფრო კომიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საშუალო-არითმეტიკული სანაკლიელისათვის.

- დიახ... - კიდევ ერთხელ დაჩიხვედრა ეს სიტყვა, როგორც უცხო ფარი, მერე უცებ მკითხა:

- დაგიწერიათ როდისმე წერილი?

- კი. ბავშვობაში. ერთხელ ერთი წერილი - სამიჯნურო - ლექსადაც დავწერე. ოღონდ ცოტა გრძელი გამომივიდა.

- და თქვენ ამბობთ, რომანტიკული ბავშვობა არა მქონიაო?

- ბედი შედეგით იზომება. მე ხომ იმ წერილზე პასუხიც მივიღე.

- ბავშვობის მერე აღარ დაგიწერიათ?

- აარა... მე მგონი, არა.

- არც მე. მამიდებს რომ ვწერ ხანდახან მოკლე და მშრალ წერილებს, ისინი წერილებად არც ჩაითვლება. ადამიანი კი... თქვენ, ალბათ არ დაიჯერებთ, წერილებს უნდა წერდეს (დამეჯერებინა?). ადამიანს წერილის წერა უხდება. ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ ბიძათქვენი მართალია.

!!!

მე კარგახანია შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ ქვეყნიერება კანს იცვლიდა, მაგრამ რამდენად მწვავედ მიმდინარეობდა ეს პროცესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცოდი. ამიტომ, თუმც დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად გავიგონე, მაინც ყოველი შემთხვევისთვის დავაზუსტე:

- რა ბრძანეთ?

- ბიძათქვენი მართალია-მეთქი.

ჩუმათელეთში ვიყავით. და მე მეეჭვება, ჩუმათელეთის დიდსა და, ვინ იცის, სახელოვან ისტორიაში ეს აზრი ოდესმე ასე პირდაპირ და მიუკიბავ-მოუკიბავად გამოთქმულიყოს.

- მმ... - არცთუ ისე მკაფიოდ ვთქვი მე, - უაღრესად საინტერესო დაკვირვებაა... პარადოქსების ეპოქაში გამორიცხული არაფერია, თუმცა, გულახდილად უნდა გითხრათ, ასეთი სიტყვათშეხამება პარადოქსის კვალობაზეც კი მოულოდნელია. საერთოდ, კარგი იქნება ეგ დასკვნა პირადად აცნობოთ ბიძაჩემს. დარწმუნებთ, ეამება...

- ვაცნობებ. თუკი ბიძათქვენიც... - ერთი შეყოყმანება, რაც მართალია, მართალია, შეყოყმანდა, - შეიძლება სიმართლე გითხრათ?

მე უსიამოდ გამაჟრჟოლა.

- თუ იმას გულისხმობთ, რასაც თქვენ ეძახით სიმართლეს, ბატონი ბრძანდებით! თქვენ ოღონდ შესძელით და შეძლებით როგორ არ შეიძლება! მაგრამ თუ იმასაც გულისხმობთ, სხვები რასაც ეძახიან, მაშინ ბანალური კონტრშეკითხვა უნდა დაგისვათ: რა არის სიმართლე?

- იმას ვგულისხმობ, რასაც მე ვეძახი.

- მაშინ ბრძანეთ. თუმცა, რაკი საქმემ ასეთი ხასიათი მიიღო, იქნებ ორმხრივი ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა: თქვენც სიმართლე თქვით, მეც სიმართლეს ვიტყვი.

- ასე იყოს.

- ექსპერიმენტი უხეიროა, ნახმარი, გაცვეთილი, და როგორც წესი, კრახით მთავრდება. მაგრამ რაკი სანაკლიომდე ჯერ კიდევ გვარიანი მანძილია, ვცადოთ, რა გვენაღვლება. ოღონდ გაფრთხილებთ: ეს სახუმარო საქმე არ არის.

- ვიცი.

- ძალიან კარგი. მაშ, დაიწყეთ, თქვენი ჯერია.

- დავიწყებ... - ეს რომ თქვა, გაჩუმდა და ერთხანს ჩუმად იყო. სახე ისეთი კონცენტრირებული ჰქონდა, თითქოს კიდევ ერთხელ წონიდა მოსალოდნელ შედეგებს. მერე თქვა, - ირონია გამოქვაბულია. შიგ ადამიანი შიშს ემალება.

- რა შიშს?

- წარსულის შიშს, მომავლის შიშს, არსებობის შიშს, უსასრულობის შიშს. გაუცნობიერებელ შიშს, რომელიც ყველა უჯრედში ჰყავს ჩაბუდებული...

- თქვენი აზრით შიში სულიერი არსებაა?

- სულიერი არსება?.. - წამით დაიბნა, ვერ გაიგო, რა ადგილას მოხვდა მისი მეტყველების მესერს ეს დაუფიქრებელი გრამატიკული კენჭი. მერე კი, დაბნეულობის ის ერთი მოკლე წამი რომ გაილია, ნაცვლად დამშვიდებისა უეცრად, თითქოს ყველა დანარჩენი წამი ერთმანეთში აირია და ადგილზე დატრიალდაო, შეშფოთებული ხმით წამოიძახა, - იქ რა ხდება?!

- სად?

- შეხედეთ!

რიკოთის გვირაბის წინ უამრავი მანქანა მოგროვილიყო. მანქანებს შორის ხალხი ირეოდა.

მე გაკვირვების გაბმული სტვენა ამოვუშვი და სიჩქარეს მოვუმატე.

## თავი მეორე
# კონცენტრაცია რიკოთზე

ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი. ქერუბიმები. უნაყოფო მოგზაურობა გვირაბის მიმართულებით. ვერსიები.

ჩემი „ნივა" გზის განაპირას, თეთრი „ვოლგის" უკან გავაჩერე და გადმოვედით. იმავ წამს სხვებიც მოგვადგნენ. ქვემოდან კი კვლავ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა მანქანები. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მთელი ქვეყანა გზაზე გამოფენილიყო.

- გადამერევიან მამიდები, - თქვა სალომემ.

- ნუ გეშინიათ, - მექანიკურად დავამშვიდე მე და გაკვირვებით გავიფიქრე: „ამ პატარა მონაკვეთზე ამდენი მანქანა რამ დატია?"

თეთრ „ვოლგასთან" ლამაზი და მოდურად ჩაცმული ქალ-ვაჟი - ჩემი ვარაუდით, ცოლ-ქმარი - იდგა. ქალი მაღალი იყო, ზომიერად სავსე, ჯიშიანი; წაბლისფერი თმა კეფაზე აეკრიფა და ქათქათა ყელ-კისერი მოეშიშვლებინა. და თუმცა სათვალის დიდრონი შუშები ცოტა ამპარტავნულად უელავდა, როგორც ფეშენებელური სასტუმროს შუქ-რეკლამა, მის მიმზიდველ სანდომიანობას ეს ვერაფერს აკლებდა. ვაჟი უფრო წერწეტი იყო. წერწეტი და სუსტი. გვერდზე გაყოფილი გრძელი ქერა თმა ჰქონდა, კრიალა სახის კანი, ნაზი და თეთრი, და მიბნედილი, წყლიანი თვალები.

- ხომ არ იცით, რა ხდება? - ვიკითხე ისე, რომ კონკრეტულად არცერთისთვის არ მიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართავს.

- არ ვიცი, - შეფიქრიანებული კილოთი მიპასუხა ვაჟმა. ქალმა ისე შემომხედა, თითქოს ჩემგან კითხვას კი არა პასუხს მოელოდა და, პასუხის ნაცვლად რომ კითხვა მიიღო, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული დარჩა.

მაშინ ისევ სალომეს მივუბრუნდი, რომელიც საგონებელში ჩავარდნილი გასცქეროდა მანქანების ზღვას, და ვუთხარი:

- წავალ, იქნებ რამე გავიგო.

პასუხად მან თავი დამიქნია, მაგრამ წარბებშუა ვერტიკალური ნაოჭი გაუჩნდა - არასწორი და არამკაფიო, როგორც აკანკალებული ხელით ჩამოსმული ხაზი - და მე ჩემდაუნებურად დავძინე:

- მალე დავბრუნდები.

მართლაც, ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, შეძლებისდაგვარად, მალე დავბრუნდი. დავბრუნდი ტვირთმძიმე და ხელცარიელი: ერთი მხრივ, უამრავი ვარაუდი, ათასგვარი ჭორი, ჭრელი ამბები და ნაირ-ნაირი შთაბეჭდილებები მოვიტანე, მეორე მხრივ, სარწმუნო და დამაჯერებელი ვერაფერი შევიტყე. გვირაბს საერთოდ ვერ მივაღწიე. რაც უფრო მივიწევდი წინ, მით უფრო ძნელი და ძნელი ხდებოდა გზის გაკაფვა, და პირვანდელი გაკვირვება, გამოწვეული იმით, რომ ერთ ბეწო ტერიტორიაზე ამდენი მანქანა იდგა, გაკვირვების ფარგლებსაც გასცდა. ბოლოს - არ ვიცი, რა მანძილი მქონდა დარჩენილი გვირაბამდე - ადამიანთა და მანქანების ისეთი ხშირი და გაუვალი ტყე აღიმართა, ჩიტებიც კი, დაბნეულები და შეცბუნებულები, უკან ბრუნდებოდნენ. ხალხს, განსაკუთრებით წინმყოფთ, უკვე მოესწრო ერთმანეთის გაცნობა. მოზრდილ ჯგუფებად იდგნენ და შექმნილ ვითარებას შეშფოთებითა და გატაცებით აანალიზებდნენ. ცხადია, ინდივიდუალისტებიც საკმაოდ ერივნენ - გაბუტულები, განაწყენებულები, განრისხებულები, განცალკევებულები, მანქანებში პესიმისტურად გამოკეტილები - მაგრამ პროცენტულად ისინი ცოტანი იყვნენ (რაც კიდევ უფრო აგულისებდათ), აბსოლუტურ უმრავლესობას გარეთ გამოფენილი და ჯგუფებად გაერთიანებული კომუნიკაბელისტები შეადგენდნენ. ამის გამო ირგვლივ ისეთი ყაყანი იდგა, რომელიც, ერთი თუ მიაღწია ტვინამდე, მოსვენებას აღარ მოგცემთ, ან უნდა აყვეთ, ან სხვა რაიმე საშუალებით შეეგუოთ, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, ვინაიდან ყაყანი ესე, ერთი შეხედვით უხეში, მატერიალისტური, მდაბალი, სინამდვილეში ისეთ ფაქიზსა და ხელთუქმნელ კომბინაციებს აგვირისტებს, რომ თანდათან თვითმიზნურობის ღვთაებრივ იდეალიზმში გადადის, რის შემდეგაც მისი ჩაქრობა ადამიანის შესაძლებლობებს საბოლოოდ სცილდება და შედარებით უფრო მაღალი არსის პრეროგატივად იქცევა. შეფერხების მიზეზთა თაობაზე ხსენებულმა ჯგუფებმა ყველაფერი იცოდნენ და არაფერი იცოდნენ. ამ შაბლონური პარადოქსის მიზეზი ის გახლავთ, რომ ვერსიები, თუმც კი შინაარსობრივად დასრულებული და ამომწურავი, რაოდენობრივად უსასრულო და ამოუწურავი იყო. თუ ჯგუფს ერთი გაბატონებული ვერსია ჰქონდა, იქ სიამტკბილობა სუფევდა. თუ ვერსიას ალტერნატივა გაუჩნდებოდა, სიმშვიდე ირღვეოდა და ნარღვევებზე მოუთმენლობა ამოდიოდა. ასეთ დროს ყველანი ცხარობდნენ, ხელ-ფეხს იქნევდნენ და დაბერილი ძარღვებითა და ლოგიკური არგუმენტაციით ცდილობდნენ თავ-თავიანთი ვერსია გაეტანათ. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მშვიდობიან კალაპოტში მიედინებოდა და სახიფათო კინკლაობაში არ გადადიოდა. მაგალითად, როცა ერთ-ერთ ჯგუფში ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი, და ორი განსხვავებული პასუხი მივიღე - გვირაბის ჭერი ჩამოქცეულაო და გვირაბში წყალი შევარდნილაო, ჯგუფი გაიყო არა ორ, არამედ სამ ნაწილად, რომელთაგან ერთი თუ ჭერის ჩამოქცევის ვერსიას ემხრობოდა და მეორე წყლის შევარდნის ვერსიას, მესამე იმის ცდაში იყო, დაპირისპირებული მხარეები რამენაირად მოერიგებინა და ჯგუფის მთლიანობა შეენარჩუნებინა. ხალხი - პირველ რიგში პირველ რიგში მოსულები, მეორე რიგში მეორე რიგში მოსულები, მესამე რიგში მესამე რიგში მოსულები და ა.შ. - ბედს ემორჩილებოდა, მერე კი, რა რომ ბედს დაემორჩილებოდა და ზოგად, ჯერ კიდევ ოდენ თეორიულ კომპრომისს გამოიმუშავებდა, მყისვე შეგუების პრაქტიკული გზების გაყვანას იწყებდა და საფიქრებელია - ამას ადასტურებს კერძოდ ის გარემოება, რომ აქა-იქ უკვე სმა და სიმღერა იყო გაჩაღებული - საქმეს კარგადაც ართმევდა თავს. ასეთი ქცევა თუ ღმერთის არსებობას არა, ღმერთის რწმენას კი უეჭველად გულისხმობს და აქედან გამომდინარე შეუძლია ისეთი რამეები გაამართლოს, რისი გამართლებაც სხვა საშუალებებით არ ხერხდება. თუმცა ამას მოვეშვათ, მოგზაურობის მთავარი შედეგი (მთავარი არა მიზანთან და ამოცანასთან მიმართებაში, ამ მხრივ შედეგს, მთავარს ვინ ჩივის, მინიმალურსაც ვერ მივაღწიე) გახლდათ ის, რომ მოულოდნელად ისეთი საკრალური პროცესის მონაწილე შევიქენი, როგორიცაა ხალხური შემოქმედება. პროცესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზს, კანონზომიერებას და მექანიზმს აქ ვერ ჩავუღრმავდები - ეს შორს გაგვიტყუებს - და მხოლოდ ფაქტით შემოვიფარგლები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გაუთვალისწინებელმა შეფერხებამ მუზები დაალვიძა, მხატვრული იმპულსები ქილვაშებიდან და პატრონტაშებიდან ამოჰყარა და ადამიანებმა, რომლებიც აქ ადათის, ხასიათისა თუ სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების წყალობით ნებაუნებურად ფსიქიკისა და ღირსების მინიმოდელად ჩამოყალიბდნენ, თანახმად ზეგარდმო მისიისა, ეს მუზები და იმპულსები იმ დიად საქმეს მიუსიეს, რაც იდეური პირველჩანაფიქრის მიხედვით ეროვნული უკვდავების განხორციელებას ემსახურება. ვეფხისა და მოყმის ბალადა ამ დროისთვის უკვე შექმნილი იყო. იგი შექმნილი იყო ჩვენი მონაწილეობის გარეშე (რა მაგის პასუხია და - „ჩვენს უმისოდ“, როგორც ეშმაკურ-იდუმალი ღიმილით იტყვის ენა, როცა ზეგრამატიკული თავისუფლების დემონსტრირება მოეგუნებება). ასე რომ, ჩვენ სხვა რამე უნდა შეგვექმნა. ასეც მოვიქეცით. და ამ საერთოსახალხო საქმიანობაში - როგორ ზემოთაც ვთქვი - მეც შევიტანე წვლილი. საზოგადოდ (ამის ცოდნა სასარგებლოა) დემოსს უზარმაზარი მომნუსხველი ძალა აქვს და, თუ ნებისყოფის უკიდურესად კონცენტრირებული, უაღრესად მყარი ჯებირი არ დაუხვედრეთ, შეუძლია თქვენი დამოუკიდებლობის მჯიდი ისე გაშალოს, როგორც ჩაის მჭიდროდ დახვეული ფოთლები იშლება მდუღარე წყალში. საქმე ის გახლავთ, რომ დემოსი უბრალო სიმრავლე არ არის. დემოსი ნაღებია, განსაკუთრებული თვისობრიობა, რომელსაც, თავად სიმრავლის თესლიდან აღმოცენებულს, პირველი იერიში სწორედ სიმრავლეზე მიაქვს, რათა გახედნოს, მოათვინიეროს, ერთ ძნად შეკრას, კუდი და ყურები დააჭრას, წინა ფეხები დაუბორკოს, უღელი დაადგას და ისე დაიმორჩილოს და გაიერთგულოს, რომ მასზე უფრო უტყუარი და უღალატო აღარც მონა იპოვებოდეს სადმე და აღარც იარაღი. ასეთ ფონზე ის ქარაფშუტული დამოკიდებულება, პერიოდულად რომ ვიჩენთ ხოლმე ამ ცნების მიმართ, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი უსუსურობის შენიღბვა, ანუ - სხვა სიტყვებით - ჩვენი უსუსურობის გამომზეურება. სინამდვილეში, ათი ათასი კაცი - თუნდაც ათი ათასივე მოაზროვნე იყოს - ერთად თუ მოგროვდა, ზეგარდმო აუცილებლობისა ან ბუნების რომელიღაც ჯერ მიუკვლეველი კანონის გამო, დემოსს ქმნის. სწორედ ამ თვალსაზრისით ითქმის, რომ ხალხი ბრძენია. ამავე თვალსაზრისით იგი სავსებით სამართლიანად აყენებს თავს ინტელექტზე მაღლა. ის დემოსიც, რომელიც სახელდახელოდ ჩამოყალიბდა აქ, გვირაბის წინ, და რომლის წიაღშიც მუზები ბაქტერიებივით ფუთფუთებდნენ, ინტელექტს თავდაჯერებული შემწყნარებლობით დაჰყურებდა ზემოდან. არ ვიცი, ამის ბრალი იყო, არ ვიცი, სხვა რამ მიზეზის, ეს კია, რომ მე არც მიფიქრია ამ ძალის ზემოქმედებისგან თავი დამეცვა. ცხადია, რომც მომეწადინებინა, ვერაფერს გავხდებოდი - ჩემი საწყალი ნებისყოფა გამოძინებული რა არის, რომ გამოუძინებელი რა იყოს! - მაგრამ მაინც მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ არ მომიწადინებია და ამიტომ, რაც უფრო ვუახლოვდებოდი გვირაბს, მით უფრო მეტად და მეტად ვიხლართებოდი საერთოსახალხო ბადეში. მიახლოებით კი ნელა ვუახლოვდებოდი. საცა ჯგუფად თავშეყრილ ხალხს გადავაწყდებოდი, ცოტ-ცოტა ხნით ყველგან ვჩერდებოდი. საუბარს არათუ არ გავურბოდი, ვეძებდი კიდეც. მერე და მერე ინიციატივასაც ვიჩენდი. ასე რომ, ჩემდაუნებურად ვცდილობდი სიმრავლის ის ორგანული და სრულუფლებიანი წევრი გავმხდარიყავი, რომლის უზენაესი მიზანია დემოსს, ვითარცა თვისობრიობას, უპიროვნო მსახურად დაუდგეს. რაც შეეხება ჩვენი შეფერხების მიზეზს, ვერაფერი გავიგე. უფრო სწორად, იმდენი ვერსია მოვისმინე, „ვერაფერს“ საპირისპირო მხრიდან მივადექი. არ ვიციო, იშვიათად თუ ვინმე მეტყოდა. თითქმის ყველა მოვალედ თვლიდა თავს, კითხვაზე რაიმე პოზიტიური პასუხი მოეცა. მე ყურადღებით ვისმენდი პასუხს და ახალი პასუხის საძებნელად მივდიოდი. ამასობაში ჩემი ნებისყოფა, თვითრწმენა, ინტელექტუალური დამოუკიდებლობა, საერთოდ ის, რასაც სამართლიანად (თუმც კი ერთგვარი შეღავათით) ინდივიდუალობას ვეძახით, მოდუნდა, მოიმჩვარა, მოირღვა. მერე და მერე კი, რაც რომ საკუთარ ცენტრს ასცდა და საკუთარ ღერძს მოსწყდა, სულ უფრო აშკარად და აშკარად ვგრძნობდი, როგორ მიფრინავდნენ ჩემი აურის ეთერული მუხტები ცელქი ტკრციალით და სხვათა მუხტებს, ასევე უპატრონოდ და უკონტროლოდ მიტოვებულებს, უერთდებოდნენ. კიდეც ცოტაც და (ეს უკვე გარდუვალი იყო, როგორც განკითხვის დღე) საერთო ფერხულში ჩავები. ეს ასე მოხდა: ის იყო მორიგ ჯგუფს უნდა გავცლოდი, რომ ვიღაც მოგვადგა და, როგორც წესია, იკითხა, ხომ ვერ მეტყვით, რატომ ვდგავართო. ახალმოსულს რომ შევხედე - არ ვიცი რის გამო და - გულმა გაუგებარი რეჩხი მიყო. შუახნის კაცი იყო, შავი, ხმელი, სათვალიანი. ვიწრო შუბლი ჰქონდა, ჭაღარაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთული თმა, უგვანად შეკრული კოპები და ისეთი ზეშთაგონებულად უტიფარი გამომეტყველება, რომელსაც ძალზე ძნელია რაიმე ამქვეყნიური ახსნა მოეძებნოს. ასეთ კაცს რომ მთავრობის თავმჯდომარეობა შესთავაზო, ერთს არ შეყოყმანდება. და მე სხვებს დავასწარი და ვუთხარი:

- გვირაბის თავში თურმე გასამხედროებული გველეშაპი ზის და გამოცანებს იძლევა.

ჩემმა განცხადებამ ჯგუფში (სადაც ისედაც რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია ტრიალებდა) მსუბუქი ჩოჩქოლი გამოიწვია. ოპონენტმა მტრულად შემომხედა და კოპები კიდევ უფრო უგვანად შეიკრა. მე თვალი გავუსწორე, მერე კი, მას შემდეგ, რაც ერთი ხანობა ასე მოღერებული შამფურებივით ვიდექით ერთმანეთის პირისპირ, ზემოთ ნათქვამს დავძინე:

- ახალგაზრდა ყოფილა, მაგრამ ინტერნატში გაზრდილი. გენერლის ჩინი ჰქონია, ყინულივით ცივი სისხლი და ორი წყება ტუჩ-პირი. ერთი - გამოცანების ამოსათქმელად. მეორე - ვინც გამოცანას ვერ გამოიცნობს, იმათ ჩასანთქმელად. ჯინსიანს ჯინსებიანად ნთქავს, უჯინსებოს - უჯინსებოდ.

პასუხად მან თვალებით რაღაც მითხრა ფრიად უწმაწური და ცივად გატრიალდა (ჯინსები ეცვა). მეც, ვიდრე ჯგუფში ამ ახალი ვერსიის გამო კამათი დაიწყებოდა, სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას და გზა განვაგრძე.

მაგრამ ჩემზე უფრო ჩქარა, ეტყობა, ამ ჩემმა ვერსიამ იარა. ყოველ შემთხვევაში მე მას, ესტაფეტაში ჩაბმულსა და გახალხურების შელოცვილ წყალში ერთპირ უკვე ამოვლებულს, სულ ცოტა ხანში ორჯერ წავაწყდი.

პირველად უფრო წამოვეწიე, ვიდრე წავაწყდი.

წამოვეწიე, კერძოდ, პროვინციული შესახედაობის ორ ახალგაზრდა ბიჭს. ერთი პროვინციულად შავგვრემანი იყო, მეორე - პროვინციულად წითური. პროვინციულად შავგვრემანი პროვინციულად წვერმოშვებული იყო, პროვინციულად წითური - პროვინციულად წვერგაპარსული. რამდენი ხანი მიმიძღოდნენ წინ, სანამ შევამჩნევდი, არ ვიცი. შემჩნევით კი მაშინ შევამჩნიე, გველეშაპი რომ ახსენეს.

- რაი?

- გველეშაპი. ღამე აუღია გვირაბი და გამაგრებულა შით. ჯის თურმე შესასვლელში...

- რითი?

- რავა რითი?

- რითი ჯის?

- რითი უნდა იჯდეს?!

- შენ რო ჯდები, რითი ჯდები? ხომ გავით?

- აბა?!

- მერე? გველეშაპს აქვს გავა?

- არა აქვს?

- არა!

- როდის ნახე ბოლოს გველეშაპი?

- მტერმა და დუშმანმა ნახოს!

- აბა რა იცი, რომ არა აქვს? იქნება იმისთანა აქვს, იმასთან შედარებით მიმოზა ქელბაქიანის გავა პინკპონკის ბურთად მოგეჩვენოს!

- ჰუ-ჰუ-ჰუუ!.. შენ კი რა გითხარი! ჰუ-ჰუ-ჰუუ!.. მიმოზა ქელბაქიანის გავა რამ გაგახსენა, შე ცეცხლწაკიდებულო! ჰუ-ჰუ-ჰუუ!..

- ისე, რო იცოდე, ის გველეშაპი სხვანაირი ყოფილა.

- რანაირი სხვანაირი?

- ყვითელი. თან ავღანეთში ნამყოფი.

- ეეეუჰ!

- აბა! ჯის ახლა გვირაბის თავში და, რომ შეხვალ...

- სად შევალ, თუ ძმა ხარ!

- სიტყვაზე ვამბობ. შენ არ შეხვალ, ვიღაცა ხო შევა! ხოდა, დაგაყენებს კუთხეში და გტკუცავს გამოცანას. თუ გამეიცანი - არადა, გამოცანები ცოდნია იმისთანა, მტერს და ავს - თუ გამეიცანი, მოგცემს გზას და გაგიშობს, თუ ვერ გამეიცანი და - რო გგონია, იატაკზე დგახარ, სინამდვილეში თურმე ქვაბზე დგახარ - პახ! გავარდება გვერდზე ქვაბის სახურავი და დლლუმპ! ჩავარდები ადუღებულ წყალში.

- რატო?

- რატო! რატო და, დედალივით რო მეიხარშო რგვალად, მიტო. „რაჲთამცა მოიხარშოს დედალი იგი რგვალად...“ აბაა!

- უმს... მიმო... ჰუ-ჰუ-ჰუუ!.. შენ რა გითხარი! უმს არ კადრულობს ხომ?

- არა.

- კაი ერთი, თუ ძმა ხარ, ზღაპრებში...

- ზღაპრები და არაკები მორჩა. სხვა დროა ახლა. მხამქიმიკატებითაა ყველაფერი მოწამლული. ვაშლი აღარ იჭმება მოუხარშავად.

- შე კაი დედმამიშვილო, გველეშაპი თუ ხარ...

- გველეშაპი, რო იცოდე, ეკოლოგიურად უფრო აზიზია, უფრო შენახული და, მე თუ მკითხავ, უფრო პეწენიკიც. თანაც, გითხარი მისი არ იყოს, ყვითელია.

- ნწ-ნწ-ნწ!.. და, ვინც გველეშაპი არაა, იმან რა ქნას?!.. ისე, ერთი რამე კი მეფიქრება...

- ხო...

- არსებობს ვითომ?

- გველეშაპი? რას გეტყვი, თუ იცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდან მეც ვეჭვობდი. თავიდან კი არა, კაი ძალი ხანი ვეჭვობდი, მარა აგერ ახლა იმისთანა კაცმა თქვა, კიო... სათქმელად არ გეუბნები და... მოწიე ყური! იმისთანა კაცმა თქვა, კიო, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის რომ იბრძვის.

- რას მელაპარაკები!

- ჩჩუ!.. ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლს, ხომ იცი, ტყვილიც დაეჯერება.

- შენი საკუთარი ყურით გაიგონე?

- არა ბიჭო ნანათხოვრებით!

- აქ არის, კაცო?

-ჩჩუ. ორი.

- ორი?

-ჩჩუ-თქვა! ლდერბი.

- რა ლდერბი?

- ჩჩჩუ!.. ლიდერები-თქვა. არალეგალურად არიან.

- ეეეუჰ!.. რომლები, გაფიცებ ყველაფერს?

- ჩჩუ! რვა ნომერი და ცხრა ნომერი. ჩჩუ! არ მითქვამს და არ გაგიგონია... ჩჩუ და დამარხე!

- დამარხულია. უყურე შენ! ჩჩუ! ეძებენ?

- ე!

მეორედ დანამდვილებით წავაწყდი. გზად გადავეყარე.

- ტყვილია მაგ! ჩამოიქცა არა გადაიქცა! კი არ ჩამოიქცა, შესასვლელში ერთი ძონძი გველეშაპი გათხლაშულა. ყვითელი, ფუჰ! ერთი თუ ფეხი შედგი, თრახ! გკრავს შუბლში გამოცანას. არადა, გამოცანები ქონია... იმის დედა ვატირე!

- ვაა!..

- გველეშაპი არა ფეხი!

- ე უყურე ამას! მოდი აქ, შე ურწმუნო თომა, სად მიიპარები!

- მოეშვი ნუ!.. არ ჯერა და მაგის ნამეტანი რაციონალისტი კარგიც!..

- ახლო ნახე?

- რას ლაპარაკობ შენ! ახლო ვინ მიგიშვებს! ვერ უყურებ, რა ამბავია! რაც ჩანს, ხო ჩანს და ერთი მიტინგი ხალხი მაგას იქითაა.

- რა და რა გამოცანები ქონია, ნენა?

- აუჰ! ამან თუ შპარგალკა მოინდომა, გლახათაა საქმე!.. მაგას წინდაწინ ვინ გეტყვის, ქალბატონო. გამოსაშვები გამოცდები კი არაა!

- მერე, მერე?

- მერე და მერე. გამოიცნობ - დაგეხსნება, ვერ გამოიცნობ და - დაგტკვირავს ძვლებიანა. ტანზე ასე ა, გარეშემო, როგორც სიმიდის ტაროს, თავიდან ბოლომდე ღოჯები, ეშვები და ღრჯოლები ქონია წყება-წყება ჩარიგებული.

- ვაა!..

- ო, მალემრწმენნო!

- ბატონო?

- ო-მეთქი, მალემრწმენნო! სად გველეშაპი, სად მეოცე საუკუნე!

- ამას დახე!

- ვინ ხარ შენ, ძმაო?!. რა იცის გველეშაპმა მეოცეა თუ მეორმოცე?!

- ვაა!..

- აბაა! თან ადმირალი, თან ყვითელი. რაეალია?

- დიდუჰ!

გვირაბს, როგორც გითხარით, ვერ მივაღწიე. უხილავი სარდალი ლაშქრის რიგებს სწრაფად ამჭიდროებდა და დაბრკოლების კუთრი წონაც გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. მართალია ერთი ხანობა მაინც ჯიუტად ვცდილობდი ატომებს შორის ჯერ კიდევ დარჩენილ ვიწრო ხვრელებში გამეკვლია გზა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა ყველა შესაძლებლობა ამოვწურე და ზღვარს მივაღწიე, სადაც ადამიანები და მანქანები ერთიან, მკვიდრ, მონოლითურ მასად შედუღაბებულნი, გადაულახავ ზღუდედ გადამეღობა, იძულებული შევიქენი გამოვტრიალებულიყავი. უკან რომ მოვდიოდი, ირგვლივ დიდი ყაყანი იდგა და ჰაერი სავსე იყო ქაოტურად გაბნეული ბგერებით, რომლებიც წამიწამ ერთმანეთს ეხლებოდნენ. ბგერები სხლტებოდნენ ერთიმეორისაგან, ამსხვრევდნენ ერთიმეორეს, იკინძებოდნენ ერთიმეორეზე, იხსნებოდნენ ერთიმეორეზე, ერთდებოდნენ, კავშირდებოდნენ, ივსებოდნენ, ძლიერდებოდნენ, იზრდებოდნენ, იზრდებოდნენ, იზრდებოდნენ და საბოლოოდ ქმნიდნენ ხმოვანი გარსის ვეება ქსოვილს, რომელიც, როგორც ატმოსფერო დედამიწის ბურთს, გნებავთ, როგორც თავდაცვის ინსტინქტი საფრთხეში ჩავარდნილ სიცოცხლეს, არამკითხე პატრონად და მცველად შემოხვეოდა აქაურობას (იხ. აუდიორუქა). მე, უკვე ოდნავ დაყრუებული, ოდნავ გაბრუებული და გვარიანად დაძაბული, ფრთხილად მივაბიჯებდი გნიასის ამ ბლანტ ქარბორბალაში და იმ ადგილას, საიდანაც წამოვედი, რაღაც მოუხელთებელი, მაგრამ არსებითი ნიშნით გაცილებით უფრო შეცვლილი დავბრუნდი, ვიდრე ცვალებადობის ყველაზე მკაცრი მათემატიკური და ფსიქოლოგიური ფორმულით მომეთხოვებოდა.

შეფერხების მიზეზთა შესახებ ვერსიები ბლომად მოვაგროვე. თუმცა, შეფარდებითი სამართლიანობა და ზომიერი თავმდაბლობა მავალებს, მეტისმეტად არ გავუტიო და, ვიდრე ამბავს განვაგრძობდე, ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით განვაცხადო შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ ზემორე მონათხრობის მიხედვით ვინმეს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ჩემი ნახევრად გველეშაპური და ნახევრად სამხედრო ვერსია მთავარი და გაბატონებული იყო, იცოდეს, რომ ცდება. ჯერ ერთი, ჩემი მონაცემები ემყარება არა სისტემატურ კვლევას, არამედ შემთხვევით ყურმოკრულ სიუჟეტებს, რაც ვერც ალბათობას შეცვლის და ვერც ობიექტურ სოციოლოგიურ გამოკითხვას. მეორე, თვით ამ შემთხვევით ინფორმაციებშიც კი არც ერთი მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი პარამეტრით (გავრცელების სიხშირე და ინტენსივობა, მასალის სიღრმე, სიმძაფრე და სინატიფე, ხალხურობის სპეციფიკური კოეფიციენტი, სისადავე, კომპაქტურობა, ინტრიგის სიმწვავე და სხვ.) დანარჩენი ვერსიებისგან არ გამოირჩეოდა. უბრალოდ, რაკი საკუთარი იყო, ცოტა მეტი ადგილი დავუთმე, რაც მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ორდინალური დებულება - ადამიანს სხვისას თავისი ურჩევნია - კიდევ ერთი მაგალითით დავადასტურე. და თუ საქმე მაინცდამაინც გამორჩევაზე მიდგება, გამორჩეული იყო (ყოველ შემთხვევაში სხვაზე უფრო ხშირად იხსენიებოდა და სხვაზე უფრო მწვავე ინტერესს აღძრავდა) სიუჟეტი, რომელსაც პირობითად შეიძლება ქვესკნელის ვერსია ეწოდოს. ამ ვერსიას კიდევ მივუბრუნდებით, შესაძლოა საგანგებო სპელეოლოგიური ექსპედიციის მოწყობაც მოგვიხდეს მის შესასწავლად, მანამ კი მინდა კიდევ რამდენიმე გავრცელებული ვერსია დავასახელო, რათა თვალნათლივ გაჩვენოთ, თუ რაოდენ ფართო იყო დროისა და სივრცის ამ უცნაურსა და თავისებურ, ვინ იცის, სამყაროს წესრიგიდანაც ამოვარდნილ, მონაკვეთში ჩვენი ინტელექტუალური, ფსიქიკური და შემოქმედებითი დიაპაზონი. მაგალითად, აქ მოისმენდით როგორც უაღრესად მწირსა და რეალისტურ (გვირაბის ჭერი ჩამოიქცა, გრუნტის წყლებმა ამოხეთქა, შუქი გამოირთო...) ისე, ნახევრადფანტასტიკურსა (გვირაბში ღამურები დაჩეკილან, ლოკალური მიწისძერა მომხდარა და დიდ-დიდი ღრმულები გაჩენილა, გვირაბი დანაღმულია, გვირაბი ვიღაცას გადაუტიხრავს...) და საბოლოოდ ლაგამგადაღრღნილ ვერსიებს (მიწისქვეშა გამყინვარება დაწყებულა და გზა ყინულითაა დაფარული, მეტეორიტი ჩამოვარდნილა და გვირაბის ბოლო ამოუქოლავს, ვულკანი ამოფრქვეულა, უცხო მიზიდულობის ძალა გაჩენილა, რომელსაც მანქანები თავს ვერ აღწევენ, გასასვლელში მფრინავი თეფში ჰკიდია და, რომელი მანქანაც მოეწონება, მგზავრებიანად იტაცებს, გვირაბი შეცდომით ჯოჯოხეთის თავზე ყოფილა გაყვანილი და გოგირდს ამოუხეთქავს, შესასვლელში შონიას ხალხი დგას...).

## აუდიორუქა

*დროის უეცარი მოსახვევი თავგადახდილ უფსკრულზე. დეკარტეს კოორდინატთა სისტემა გაზაფხულის ჭრელ ყვავილებში მარხია. მზე შუბლშეკრულია და დაეჭვებული, მოლოდინი - გრძელი და ამაო, მასშტაბი - არეული, კრიზისი - შეშუპებული, და ავტოპილოტზია ერთადერთი, რისთვისაც არა ჯებირი და არა დაბრკოლება არ არსებობს.*

### ფრაგმენტი N1

- ნამეტანი გრძელ აქციას ნუ წამოიწყებთ. ხომ იცით, თქვენც სიკვდილის შვილები ხართ და იგენიც.
- ვაი ჩვენი ცოდვა!
- ჩაიწი, ნუ მეფარები!
- ნუ ეფარები!
- ნეტა თქვენ, რომ ღლაბუცის გუნებაზე ხართ!
- კი მარა, თუ პროფესიონალი მოღალატე ხარ, რჩევას რეიმა დაიწყეფ, ვისაც გეტყვიან, იმას უღალატეფ და, რავარც გადაგიხდიან, ისე უღალატეფ.
- არც თლა მასეა საქმე.
- არა, ბიჭო!
- სამოცდათექვსმეტჯერ ავჭიმე! დაიჯერებთ?
- საღოლ, ძმაო!
- გაგიჟდნენ კინაღამ.
- აბა რა მოუვიდოდათ!
- გინდ ასე თქვი, ჩემო ნაპოლეონ, გინდ ისე, ჩვენი გადასატანი ჩვენ უნდა გადავიტანოთ.
- გადავიტანთ. მაგისთანეები გადაგვიტანია?!
- რა იქნება, მართლა არსებობდეს ღმერთი!
- რა იცი, რო არ არსებობს?
- ხათუნა!
- დავსახლებულიყავით ბარედამ ამ ტყეში. აწი ქეც რო გეიხსნას, ერთ კვირას მოვუნდებით აქიდან გასვლას.
- რა ვქნა მერე მე? ჩემი ბრალია?
- აჰ, არა, რავა გეკადრება! ჰმ...
- პირიქით, მე იმას ვამტკიცებ, რომ აუცილებელი არ არის ადამიანმა სიკეთე ჩაიდინოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ჩაიდენს, აუცილებელია დაივიწყოს, რომ ჩაიდინა. ეს გახლავთ ქრისტიანობისა და საერთოდ ჰუმანიზმის ერთი უმთავრესი პრინციპი.

- ახლა გასაგებია.

- გავიელით ცოტას ჩვენ. აქედან წამსვლელები მაინც არ ვართ ჯერ.

- დამიცადეთ, მეც მოვდივარ!

- დედა-დედა-დედა!

- ნუ მოთქვამ, შე ქალო! ნეტაი ამაზე გადეიაროს და რას ლაპარიკობ შენ!

- გატყობ, ატყობ, ვარესი იქნება...

- ვატყობ კი.

- ბატონო ივლიანე! ბატონო ივლიანე!

- ბატონო.

- „გიყვარდეს მოყვასი შენი..." ბუნების კანონებში ვერ თავსდება, ხოლო „შეიყვარე მტერი შენი..." ვერც ლოგიკის ჩარჩოში. როგორ ავხსნათ ეს?

- საღვთო კანონები ამქვეყნიურ შესაძლებლობათა თეორიული ზღვარია, როგორც წრეხაზია მრავალკუთხედის თეორიული ზღვარი; ამიტომ გრძნობად სამყაროში ისინი ვერ მოქმედებენ. გრძნობად სამყაროში მხოლოდ საერო კანონები მოქმედებენ. საღვთო კანონების ამქვეყნიური დანიშნულება კი ის არის, რომ მოსამართლის მანტიად უნდა გვქონდეს წამოსხმული, როცა საერო კანონებით ვსჯით. ცხადია, თუ ზღვრის მიმართულებით სიარულს ვაპირებთ.

- მადლობთ.

- ნეტა იმის ტურა მქნა, ესენი რაღას დაწანწალებენ წაღმა-უკუღმა! ვერ დაეტევიან იმ თავიანთ კაი-კაი ქვეყნებში!

- შენ გაუგებ მაგენს!

- ხათუნა-თქვა!

- სრულწლოვანი ვარ მე!

- სპიჩკა ხომ არ გექნება, ქალბატონო?

- სპიჩკა არა მუგუზალი, გადაშენდი იქით!

- ხათუნა, დედა, მობრუნდი, რო გელაპარაკები!

- მეყო, რაც ვიბრუნე თქვენს ჭკუაზე, სრულწლოვანი ვარ მე!

- არ იქნა შენი სრულწლოვანება! მოდი, გოგო, აქ!.. წაატანს ამ უბედურს ვიღაცა ხელს და...

- წაატანს და მაგი უნდა მაგასაც.

- ბატონო?.. ასე, პირველის ნახევარი იქნება.

- ანალოგის ძებნა ფსიქიკის ერთი ძირეული თვისებაა, ერეკლე, და არ შეიძლება მას მეტაფიზიკური ბაზისი არ გააჩნდეს.

- გასკდა გული!

- კაცო!

- ჰო.

- დავიზეპიროთ თუ რა ვქნათ?

- რა უნდა დაიზეპირო, ქალო, ხუ არ აურიე!

- ოღონდ იცოცხლე ადამიანმა და რას არ ნახავ თურმე ამ დასაქცევ ქვეყანაზე!

- თუ დავინახე, ჩემზე უკეთესი ღმერთი ჰყავს ვინმეს, ის შემშურდება.

- სხვა?

- სხვა კაცისა რა უნდა შემშურდეს, შენი არ მიკვირს?!

- აუ, გენაცვალეთ! შეხედეთ, შეხედეთ!

- რა იყო, ჭობი, რამ აგახუნტრუცა?

- რამ აგაჭყვიტინა, ჭობი?

- ჭობი, რა ხუზარა შეგიძვრა?

- აუ, აუ, აუ! შეხედეთ! აქეთა რვა ნომერია, იქითა ცხრა. ჭირიმე თქვენი, ახლა მიტინგს გამართავენ!

- ნეტა არ არაკუნებდე! სად რვა და სად ცხრა! რა აქვს საერთო რვა ნომერს ცხრა ნომერთან? თვარა, ბუდუს ვკითხოთ აგერ.

- მე თუ ბუდუ ვარ, ცხრა ნომერი საერთოდ აბსურდია.

- ა, ჭობი!

- გეგონოთ, მაგაა რაცაა! რვაზე ნაკლები ახლაც არაა, ვენაცვალე! მალე ისე გაქაჩავს, ექვსი გახდეს იქნება.

- ექვსი თუ გახდა, მაშინ კი. თვარა, ბუდუს ვკითხოთ ისევ.

- მე თუ ბუდუ ვარ და მაშინაც ბუდუ ვიყავი, ჯერ რვა ნომერი უნდა ვახსენოთ, მერე ოცდასამი და ბოლოს ექვსი. სამარკოები მაგენს ქონდესყენ.

- თფუჰ!.. არ გტკივათ თქვენ ერის სატკივარი, თქვე გაოხრებულებო!

- მოიცა, ჭობი, სად მიხვალ?! გულს ნუ აყვები, ჭობი, გვტკივა, რავა არ გვტკივა!.. თქვენც ნამეტანი იცით. ჩაუკაკლავს ახლა იმ კონკორდია დეგენერატს ყველაფერს და უყარეთ მერე კაკალი! ვითომ არ იცით, რო დღეს არა და ხვალ მაგენის ხელში გადავა, რაც ციხეები და კოლონიებია!

- კალიმაც?

- ჯერ ერთი, კალიმა კი არა, კოლიმა.

- მერე მეორე?

- შენ არხეინად იყავი.

- ხათრიჯამად იყავი.

- ღმერთმა მეტი სადარდებელი არ მოგცეს.

- ნოუ პრობლემ.

- წაიგდეთ ჰო ენა! ნახავთ აგერ, თუ არ ჩაუკაკლავს!

- ხი მოო! ჩაუკაკლავს თვარა ფეხები არ მოგვჭამონ! კომუნისტებმა ხომ მოკაკვეს თითი

მატერიალური კეთილდღეობის წინაშე? მაგე-ნიც მოკაკვავენ.
- მოკაკვავენ აბა რას იზამენ!
- ისე, კომუნისტებს მე ეგენი მირჩევნია.
- მეც. უფრო უტუები არიან.
- უტუები არიან თუ კუტუები, არ ვიცი, მარა ფულზე ყველას თვალები აქ დაპრაწული. მისი წილი მოუტეხე და მაროქნივით დაგიდნება ყველა, გინდა უტუ იყო და გინდა ის... მოდი აქ, ჭობი, შე ჩაუხა!
- ფეხუცა.
- შე ფეხუცა!.. დედის სულს გეფიცები, კედლებზე დავდივართ, ისე გვტკივა!
- საკმარისია არსებობის აზრი ვიპოვოთ, რომ არსებამ აზრი დაკარგოს. მაშასადამე, არსებობის აზრი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არსებობის აზრი უნდა ვიპოვოთ, არ არსებობს.
- მეგობარო, ერთი ეს ჭიქა დაგვილიე.
- ჭიქაა ეს?!!!
- პროგრესი? მაგრამ პროგრესი ხომ სხვა არა არის რა, თუ არ უწყვეტი არჩევანი ზნეობ-ასა და ცივილიზაციას შორის ცივილიზაციის სასარგებლოდ.
- ვითომ?
- რაღა „ვითომ" გინდა, ამხელა კაცი გე-უბნება!
- გამოდის რომ ზნეობა აბსოლუტურად დაღმავალი ხაზი ყოფილა.
- ზნეობა ხაზი არ არის. ზნეობა შარვალია. შარვალი ზოგს აცვია და ზოგს არა. ვისაც არ აცვია, თავიდანვე უშარვლოდ დატუნტულობს. ვისაც აცვია, ცოტა ხანში იმასაც უპატარავდება და მერე ისიც უშარვლოდ დატუნტულობს. მაგალითები გინდა? ა ბატონო:
- გამოაღე ადამიანო, ფეხი!
- მოვდივარ ხო. იარე შენ და დაგეწევი.
- ახლა რამდენი გენიოსი უქმად დაგვეკ-არგა!
- რამდენი?
- რამდენიც გინდა.
- მაინც?
- რა ვიცი...
- აბა ვინ იცის?
- სხვა მე შენი არაფერი მინდა,
ოღონდაც კი გული გქონდეს წმინდა!
- საღოლ! პოეტი ხარ იმისთანა, თვალები რომ ამოგჩიჩქნოს კაცმა, ჰომეროსს გადა-უხურავ!
- მოიცვი ქალო, რაღაცა, რას მოშილიფ-ებულხარ ამ მილეთ ხალხში!
- დაბამბულებს ჩავიცმევ მაგ ზღმურტლი-ანების გულისთვის!
- დაგბამბავ მე შენ!
- ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ყოფიერების პირველმიზეზზე ვსაუბრობდით, ითქვა, რომ *ერთი*, როგორც იდეის ფორმა, და *არაფერი*, როგორც იდეის შინაარსი, ქმნიან ერთარსოვანი სამების პირველ ორ წევრს. ახლა ამას უნდა დაემატოს *სიყვარული*, რომელიც, როგორც განხორციელების პირობა, სამების მესამე დამფუძნებელი წევრია.
- ვუთხრა, სამიდან ერთი ყოფილა-თქვა?
- არა, კაცო, სირცხვილია!
- ხათუნი!..
- ისე, ვის ეკუთვნის ნეტა აგი ტერიტორია?
- ოფიციალურად?
- ხოდა, ყველაფრის ცოდნა რომ შეუძლე-ბელია, იაგო ჩემო, ეს უკვე ნიშნავს, რომ შემეცნება იმთავითვე მცდარი გზით წავიდა.
- ხომ იტყვიან: „დღეს ასი თუმანი ვიშოვე"? იტყვიან. მაგრამ აბა თუ ვინმე იტყვის: „დღეს კარგი მეტაფორა ვიშოვე"!
- შორიდან არც ერთი ქალი არ დაიწუნება!
- ზოგი არც ახლოდან დაიწუნება.
- ზოგი არა, მაგრამ ზოგი კი.
- ზოგი კი, ჰო.
- შეხედა კეისარმა ბრუტოსს და გაკვირდა კეისარი ნამეტანი. ისე გაკვირდა, მეტი აღარ შეიძლებოდა. დავიჯერო, ჩემო ბრუტოს, შენც მაგენისკენო? - შეიცხადა. ნუ დაიჯერებ, თუ გინდაო, - ამ უნამუსომ. ეს რომ გაიგონა, სულ გადირია კეისარი: ამისთანა ხალხის შემხ-ედვარეს აწი სიცოცხლე რაღად მინდაო... ქეც მოკლეს, ხო.
- სპიჩკა ხომ არ გექნება, ქალბატონო?
- თუ, მაშდამე, სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია, ხოლო ხელისუფლება - მისი ტვი-ნი, მაშინ საქართველოს ქრონიკული ტვინის ანთება სჭირს და, რაც დრო გავა, იგი უფრო და უფრო მძიმე ფორმას მიიღებს.
- მასე იქნება, კი.
- რატო, რატო?
- სად მიფორთხავ, ბიჭო, ფეხს დაგადგამს ვიღაცა!
- ქალო!
- იფ, რა დედამ შობა ეს ვირიშვილი!
- მგონი მართლა მიტინგი იწყება.
- მივიდეთ ახლო?
- მიხვიდე, თორემ ეგენიც იმისთანა სიბ-რძნეს ამოაფრქვევენ, ზედახორა გაიმართება მის ასაკრეფად!
- მივიდეთ, მივიდეთ.
- მოიცა, კაცო! ამათ თუ თავისებური ბლა-ვილი მორთეს, მივიდეთ კი არა, სად დავიმა-ლოთ, იმაზე იფიქრე!

- გამომიჩნდა მშვიდობის მაძიებელი! გადი, ძაღლო, იქით!

- პროგნოზი გახლავთ საბუთიერი წინასწარმეტყველება. წინასწარმეტყველება გახლავთ უსაბუთო პროგნოზი.

- რვა ნომერი და ცხრა ნომერიაო, ამბობენ.

- გადაებან ერთმანეთს!

- ენას კბილი დააჭირე, ამხანაგო! და ერს ნუ არცხვენ!

- ა ბატონო, ა!

- ოვიდიუსიც ელვარე ნიჭი გახლდათ და ვერგილიუსიც, მაგრამ დააკვირდით განსხვავებას: ვერგილიუსი ზამთრის გრძელ ღამეებში ფერხთით ეჯდა იმპერატორ ოქტავიანეს და ქვემოდან უკითხავდა ენეადას, მაშინ როცა ოვიდიუსი, დასჯილი და იმპერიის კუთხეში დაყენებული, შორიდან აკრაჭუნებდა კბილებს და მამაცურად ცდილობდა ნოსტალგია მახვილგონივრულ პოეზიაში ჩაეხრჩო. აი, რა არის ნიშანდობლივი!

- პრაქტიკულად ყველა გზა რომში მიდის. განა ლინკოლნისა და მაჰათმა განდის პერპენდიკულარული გადაწყვეტილებანი თავისი პარალელური ფინალით მაგას არ ადასტურებს?

- მართალია.

- ღმერთმანი, მართალია.

- მართალია, სართანია, ბუდიონი სარდალია!

- ველური სკა, ბატონებო, თუ საჭირო ტექნიკა და ტექნოლოგია ვიშოვეთ, დიდი შეღავათი იქნება ჩვენი გაფაღარათებული ეკონომიკისათვის.

- შენ არავინ ჩაგიშვია, ხომ იცი, შენმა მზემ!

- ვინ ჩავუშვი? დაასახელე, დაასახელე!

- გაიგე? მართლა გველეშაპი ყოფილა.

- ყოფილა და ყოფილა! მე ჩემდათავად უკვე აღარაფერი მიკვირს.

- მე კიდე ჩემდათავად უკვე ყველაფერი ფეხებზე მკიდია!

- რას ამბობ! ღმერთმა დამიფაროს, ჭკუა ვასწავლო ვინმეს, მით უმეტეს მაგისთანა უჭკუოს!

- ნელა, შე საოხრე!

- მოემზადეთ, ბატონებო, უკვე გავდივართ განვითარებული სოციალიზმიდან.

- შევსულიყავით ჯერ...

- ყურადღება, ყურადღება! მატარებელი ნომერი ცამეტი ხუთი წუთის შემდეგ გავა განვითარებული სოციალიზმიდან!

- გააჩუმე ენა, შე სასიკვდილე! კუმ ფეხი გამოყოო...

- შონია წამოსულაო, ამბობენ.

- ჯინჯილებიანად ნეტა?

- არ გაგიგოს, თორემ გაგაჯინჯილებს კარგად!

- მე ამაზე ვუთხარი: ვიდრე სიმდიდრე და პატიოსნება ერთმანეთის უკუპროპორციული სიდიდეებია, რა ვქნა, ჩემო ძვირფასო, და მდიდარი ვერ გავხდები-მეთქი.

- კარგად გითქვამს. რაო მერე?

- გამეყარა.

- საქართველო, მეგობრებო, მცირემიწიანი ქვეყანაა. წმინდა სისხლის ქართველებს ძლივს გვყოფნის.

- ე!

- თორმეტ თუმანს ვიძლევი და დაკა ხელი!

- ხელს თუ გინდა დავკრავ, მაგრამ თოთხმეტ თუმანზე ნაკლებ არ იქნება.

- დიახ, მაგრამ იმავ დროს, იმავ გარკვეული აზრით, ისიც შეიძლება ითქვას, რომ შრომამ დაღუპა ადამიანი.

- საერთოდ, სიმართლე, როგორც წესი, უმცირესობის მონაპოვარია. ვიდრე მასობრივი კულტურა და მასობრივი ინტელექტი განვითარების ისეთ დონეს მიაღწევს, რომ სიმართლემ უმრავლესობის გრძნობა-გონება დაიპყროს, ბარე ორი ტურა იკივლებს.

- სადმე, დედამიწისგარე ცივილიზაციებში შეიძლება იკივლა კიდეც უკვე.

- თუ არსებობს ტურა დედამიწისგარე ცივილიზაციებში, კი.

- ჰო, თუ არსებობს, რა თქმა უნდა, თორემ ისე რას იკივლებდა!

- არ ჩაიხადო, დემეტრე!

- როდის გაგვიშვებენ ნეტა?

- სად გაგიშვებენ, გადატიხრული ყოფილა გვირაბი!

- გადატიხრული?

- ჭურში ზიხარ?

- აბა რა ვქნათ? ვიყოთ ასე?

- უკან დაბრუნება ჯობდა ყველაფერს, მაგრამ ამ ხალხს რამეს შეასმენ?!

- ხალხი არა ის! ბრბო, ნახირი, ჯოგი, ხროვა...

- მასა.

- მასა...

- სპიჩკა ხომ არ გებნება, ქალბატონო?

- ქალბატონი ვარ ამხელა კაცი, შე მამაძაღლის გაჩალიჩებულო?! მიაშავეთ ვიღაცამ ერთი კოლოფი და გააჩუმეთ! გამომიჩნდა აქ პრომეთეი!..

- ეეე!..

- რაც კაააარგები ვააართ...

- როგორც სიჩქარე რელატური მოძრაობაა, როგორც სხეული რელატური მატერიაა, როგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორც მრავალი რელატური ერთია, ასე ადამიანი რელატური ღვთაებაა, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ გავიცნობიერებთ, როცა ჩვენი ცნობიერების ჭურჭელი ფუჭი ხარახურისგან დაიცლება და კარგად გამოირეცხება.

- მომშივდა ხომ იცი!

- წამოვიღოთ რამე-მეთქი, გითხარი და არ ქენი...

- არ ქენი კაია! რა ვიცოდი ამ სახელმწიფო გზაზე გველეშაპები თუ დამხვდებოდნენ!

- არ იცოდი და მოითმინე.

- ვითმენ, აბა რას ვშვრები! აღარც ვთქვა?!

- კეთილი, მაგრამ თუ ჰერკულესის გადაჭარბება შეუძლებელია, მაშ რაღა აზრი აქვს ისეთი ხალხის გაჩენას, რომელთა დანიშნულება გმირობაა?

- მე მანდ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. თანაც გმირობა დანიშნულება არ არის. გმირობა მხოლოდ საშუალებაა.

- ბატონი ბრძანდებით, ეგრე იყოს.

- ხალხი, იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ციხეშია.

- გამოუშვით ნაწილი.

- კარავი მაინც მოგვეცა!

- დაგიხატავენ!

- არ დაკვირვებიხარ, მაგალითად, სიძულვილით შეპყრობილი კაცი ფიზიკურადაც რომ მახინჯდება ნელ-ნელა?

- ეროვნულ უმცირესობათა უფლებები მთელ მსოფლიოში ილახება მეტ-ნაკლებად. საქართველო ამ მხრივ არავითარი გამონაკლისი არ არის.

- კი მართალია, ყველანი კომპრომისის მაგნიტურ ველში ვიბადებით, მაგრამ ესეც ხომაა, რომ ბედისწერა ზოგს ცენტრში მიგვიჩენს ადგილს, სადაც მიზიდულობის ძალა მეტია, ზოგსაც პერიფერიაში.

- იმას შეხედეთ!

- მაგ რაა! ცოტა ხანში აქაურობა ერთ დიდ ფეხისალაგად რომ იქცევა, მაშინ ნახე!

- ეჰ, ნეტა კი თურქეთის ხონთქრად გავჩენილიყავ!.. ღედაკაცო!

- ჭირი და ხორველა!

- კარგი არ იქნებოდა განა, თურქეთის ხონთქრად გაეჩენილიყავ, ჰა?

- აი, თურქეთის ხონთქარი შენა და!.. ძლივ ძილი წამამეპარა, შენამც წამოგპარვია მიქელგაბრიელი, რა მეთურქეთიხონთქრებოდა!

- ძალიან კარგი. ვუწოდოთ მაშ ამას პირობითად ნაციონალისტური ხურევება და წავიდეთ წინ.

- არ მითხრა ახლა სპიჩკაო, თვარა გაგათავე აქავე!

- ნეტა აქედან გასვლა თუ გვიწერია დღეს?

- მე მეუბნებით?

- ეს კომუნისტების შესანდობარი იყოს. აწიეთ მანდატი, რომელს გიყვარიათ აქანა ლენინი!

- ახლა ხარ ხომ, ბიძიკო, დიდ გულზე?!

- აწიეთ-თქვა ერთგულების მანდატები! პროცენტულად აწიეთ!

- ყველამ თავის მანდატს მოუაროს!

- ეს პროცენტულად აწევა რაღაა?

- ჰუმანიზმი უწინარესად საკუთარი თავისუფლების ნებაყოფლობითი შეზღუდვაა სხვის სასარგებლოდ. ღირსეული საზოგადოება მხოლოდ ამ პრინციპზე შეიძლება აღმოცენდეს.

- გული მიგრძნობს, შონია მოვა.

- საქართველოს ისტორია, ჩემო კეთილებო...

- ყველაფერი შემოსაზღვრულია, მხოლოდ ღმერთია უსასრულოდ განფენილი.

- სპიჩკა...

- უხ შენი!..

- გვეჭამა, რა ვქნა, რაღაცა.

- კიდევ?..

- მე თუ შემჭამ, არ ვიცი და სხვა, რაც იყო, შეჭამე უკვე.

- ქათამია იმაში... ცალკე იდო.

- გასკდა შენი სტომაქი!

- მუცელი.

- თუნდაც.

- მამულიშვილნო! დღემდე არ წყდება ძირმომპალი იმპერიის დამქაშთა მზაკვრობანი! კრემლიდან ჯოჯოხეთის ოხშივარი ამოდის!..

- ისევ ჩართეს ამათ! წამოდით, ცოტა ქვევით ჩავინაცვლოთ.

- მოიცათ რა! ცხრა ნომერია, ხომ იცით, ვეხუტუნე!

- ისე, „ოხშივარია" სწორი თუ „ოშხივარი"?

- ლიტერატურულად „ოხშივარია".

- ლიტერატურულად არა ბრიტერატურულად! ვინც მაგ სიტყვას ხმარობს, ის „ოშხივარს" ამბობს, ვინც არ ხმარობს, იმან რა იცის!

- მომასმენინეთ რა!

- სტრეპტოციდი ხომ არა გაქვთ ვისმე?

- აუჰ! არა.

- სპირტით მაინც მობანეთ, კაცო.

- ბანი, ვალიკო!

- თუ გავითვალისწინებთ იმ ინდუქციურ ჭეშმარიტებას, რომ სიცოცხლის, ვითარცა შეფარდებითი მოძრაობის, ბოლო პუნქტი სიკვდილია, დებულება „საქართველოს მრავალი გაჭირვება გადაუტანია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამასაც გადაიტანს" ცრუ ლოგიკაა, რომლის სწორი ვარიანტი (მას შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გადაბრუნებულ ალბათობას ისევ გადმოვაბრუნებთ) იქნება: „საქართველოს მრავალი გაჭირვება გადაუტანია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას ველარ გადაიტანს“.

- დაგეძინა, დედა გენაცვალოს?

- დამეძინა არა ის!

- დუ იუ სპიკ ინგლიშ, მაი დარაგოი?

- ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირი მაინც მალე დაიშლება. ეს ინსტინქტის მდაბიური წინასწარმეტყველება არ გეგონოთ, ეს მეცნიერული პროგნოზია.

- ნეტაი შენს ხასიათს!

- მაგას რა მიხვედრა უნდა: კალიმაქე.

- რატომაც არა! სიამოვნებით აგიხსნით: როდესაც ზეგარდმო ძალას სურს რაიმე გვამცნოს, ინფორმაციას კოდის სახით დებს მიზეზშედეგობრიობის დინამიკაში და, თუ კოდი რთული არ არის, ანუ მიზეზ-შედეგის იმაზე მეტ რგოლში არ არის გაბნეული, ვიდრე შემეცნება გაწვდება, ჩვენ კოდს ვშიფრავთ და ინფორმაციას ვითვისებთ. ეს არის სულ. მაგრამ თუ ინფორმაცია რთული სახითაა მოწოდებული და შემეცნების ამჟამინდელ შესაძლებლობებში ვერ ეტევა, ჩვენ ვპოულობთ ან მხოლოდ მიზეზს ან მხოლოდ შედეგს და მას „სასწაულს“ ვუწოდებთ, რაც ჩვენი უელებაა.

- დემეტრე, რა გითხარი მე შენ?!

- დროა ერმა გაიღვიძოს, ბატონებო!

- ე ბიჭო, გავეცალოთ, სანამ ბუდილნიკებს ჩამოგვირიგებდნენ!

- ქალო-თქვა!

- აი ეგ არის ტიპიური იდეოლოგიური ბლეფი. საერთო-სახალხო საკუთრება შეიძლება იყოს ცა, მზე, ვარსკვლავები. ღმერთი, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ არა მიწა. ვინაიდან საერთო-სახალხო საკუთრების მთავარი ნიშანი - შენ ხარ ჩემი ბატონი და მე ვარ შენი ყურმოჭრილი ყმა - ის არის, რომ იგი ლიმიტირებას არ ექ-ვემ-დე-ბა-რე-ბა. გაიგეთ ახლა?

- ერთხელაც იქნება დაგიჭერ, შე ბნედიანო!..

- პატრიოტიზმი ღაბაბია, მგელიკავ. არაფერი საჭირო არ არის, მაგრამ არც არაფერს გიშავებს, თუ მეტისმეტად დიდი არ გაგეზარდა.

- სპიჩკა ხომ არ გექნება, ქალბატონო?

- არა, დედა.

- მონავალა თურმე.

- ვინ?

- შონია. გზაში ყოფილა.

- მონავალა არა წანავალა!

- განავალ-გამონავალა.

- რა იცი?

- თქვეს.

- ნეტა გამაგებინა, როგორ იგებს ეს ხალხი ამ ცხელ-ცხელ ამბებს! ფოსტით? ტელეგრაფით? ტელეფონით? რაციით? ფაქსით? ტელექსით? თუ მთა-მთა კოცონებს ანთებენ?

- მე რა ვიცი, ასე ამბობენ და...

- იცით, ესენი უნდა გავაღმერთოთ! ნამეტნავად ცხრა ნომერი.

- ვააჰ, კაცოო!..

- რა იქენ, მამი?

- მაქარი თუ შეგხვდა ამ თვეში?

- პარალელური ეწოდება ხაზებს, რომლებიც არსად და აროდეს იკვეთებიან, ხომ? კეთილი. მაგრამ მოდი ახლა ვიკითხოთ: რას ნიშნავს „არსად“, რას ნიშნავს „აროდეს“ და რას ნიშნავს „იკვეთებიან“? ესეც არ იყოს, პარალელურ ხაზებს თუ ვაღიარებთ, მაშინ პარალელური სივრცეც უნდა ვაღიაროთ, პარალელური დროც, პარალელური სიცოცხლეც. მეტიც: პარალელურ სიცოცხლეთა უსასრულობაც. მერედა გავბედავთ?

- კაიხანს ვერ გავაღწევთ, ვატყობ მე, აქედან.

- ნწ-ნწ-ნწ!..

- რა გაყვირებს, შე კაცო?!

- სტერეოტიპებს შეუმოწმებლად ნუ ენდობი. გამრავლება არ არის აბსოლუტურად და უპირობოდ დადებითი მოვლენა. უნდა გახსოვდეს, რომ რამდენჯერაც გამრავლდება მოსახლეობა ზოგადად, იმდენჯერ გამრავლდებიან მისი ცალკეული ნაწილები: მკვლელები, ქურდები, როსკიპები (ეს უკანასკნელნი შენს ასაკში შესაძლებელია უარყოფით მოვლენად არც ჩათვალო, მაგრამ შეეცადე პირად ინტერესებზე მაღლა დადგე და პრობლემას გლობალურად შეხედო), ყაჩაღები, ცილისმწამებლები, ქლესები, მონები, გონებასუსტები (ის რომაა, მაგალითად, ისეთი), შარახვეტიები, მომხვეჭელები, მედროვეები (ესენი რომ არიან, მაგალითად, ისეთი), თავდაჯერებული უვიცები და რა ვიცი - ნაირ-ნაირი სახეობის შეპყრობილები და ზნედაცემულები. ამიტომ, ვიდრე გამრავლების საჭიროებას აღიარებ, ჯერ კარგად დაფიქრდი, რა თანაფარდობაა ამ მხრივ იმ საზოგადოებაში, რომლის გამრავლებასაც ქადაგებენ.

- მინისტრი, რომ იცოდეთ, მსახურს ნიშნავს.

- ვა-ხა-ხა-ხა-ხა!..

- არ ვიცი, მარცხენები იმარჯვებენ და მარჯვენები მარცხდებიან, არ ვიცი, მარჯვენები იმარჯვებენ და მარცხენები მარცხდებიან.

- ყრუ-მუნჯია მაგ, ბატონო, ტყვილა იღლი ენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კი, კაეშანი.

- რავა?

- არ ჩაიხადო, დემეტრე, თორემ მოგკლავ იცოდე!

- რამ შეგაშინა, შე გლახა?! ცისმარა! დაიდე ერთი, ჩემი გოგო, ე ვაშლი თავზე და გამიჩერდი ოცდახუთ ნაბიჯში!

- სახე იცვალა ქვეყანამ. ისტორიაში არის საკვანძო მომენტები...

- გარშოკ!

- ქოთან!

-ჰა-ჰა-ჰა... სხვათა შორის, როგორც კი რუსეთიდან თავს დავიხსნით, ამ რუსიციზმებს, დღეს რომ ასე გვაღიზიანებს - თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც - ენა თავის წიაღში მიიღებს და ისე ორგანულად ჩადებს ლექსიკურ საგანძურში, ვერც კი შევამჩნევთ. ასე იყო ნასპარსევს, ასე იყო ნაარაბევს, ასე იყო ნათურქევს, ასე იყო ნამონღოლევს, ასე იყო ნაირანევს, ასე იყო ნაოსმალევს. ნარუსევსაც, ეჭვი არაა, ასე იქნება. ახლა ჯერ ფსიქოლოგიური ბარიერი უყენია.

- მოუჭი-მეთქი! მაგრა, კაცო! ჰოო, მაგრე.

- ხშირად გაიგონებ, არსებობისთვის ბრძოლა პროგრესის იმპულსიაო, მაგრამ ნუ დაიჯერებ. მათ დაე სთქვან, შენ კი იცოდე, რომ ეს დებულება თავისუფლების იდეას ეწინააღმდეგება და არსებითად მონის - ამ სიტყვის ფართო გაგებით, ერეკლე - ფსიქიკას გამოხატავს. თუმცა აქ ცოტა რთული გადასვლებია და ასეთ ხმაურში არ ღირს წვრილად განხილვა.

- ის რავა იყო, სოლომონ ბრძენს რომ ის კაი ლამაზი დედოფალი ჩამოუვიდა?

- საბაოთი.

- ხო, ხო!

- თუ ღმერთი არსებობს, ცნობიერება ანომალიაა აუცილებლობისა გამო. საკითხავი მხოლოდ ის არის, არსებობს თუ არა ღმერთი.

- მეგობრებო! ზოგი იმ აზრისაა, რომ წკნელით შემოვაკავოთ ეს ჩვენი საყვარელი სამშობლო და ეგრეთწოდებული ტყრუშული ღობე შემოვავლოთ. ხოლო მე გეტყვით: არავითარი წკნელი, არავითარი ტყრუში! კედელი! სქელი კედელი! აი, რა გვჭირდება დღეს ჩვენ! ოღონდ არა ჩინური, ცხადია, არამედ ქართული. ეროვნული ქონგურებით, ეროვნული სათოფურებით, ეროვნული სათვალთვალოებით! ჩიტი ვერ უნდა გადმოაფრინდეს, თუ ქართული ცნობიერება არ ექნა!

- შენ გენაცვალე კაკლებში! ბაჯაღლო ოქრო არ ამოსდის პირიდან?! ამასთან ერთად, ძმაო, ჯოჯოხეთში წავალ შინდისფერი დროშით!

- რად გინდა ჯოჯოხეთში შინდისფერი დროშა?

- ისე ვამბობ, სიტყვის მასალად.

- ხოო...

- დუ იუ სპიკ ინგლიშ?

- გეპეი არ ქვია მაგას, ბიძაჩემო.

- რაც ქვია.

- გეპეი არც ადრე ერქვა. ადრე სპი ერქვა, ახლა ტუ ქვია.

- ბოინგი ერქვას, თუ გინდა! სახელს რა ჭკუა აქვს, ფრენა უნდა იცოდეს.

- ქართველები ველური ხალხია-თქო.

- მაგას არ გადავუთარგმნი!

- ფუჰ! მატლიანია!

- ეგ არის კარგი, შვილო. მატლი ხარისხის ნიშანია.

- ყველა ეროვნების მწერალთა შორის - არ გეგეონოს ჰაიჰარად ვამბობდე, მე ეს პრობლემა ღრმად და გამოწვლილვით მაქვს შესწავლილი - ყველაზე ხშირად ნაცვალსახელ „მეს“ ქართველი მწერალი ხმარობს, ხოლო ქართველ მწერალთა შორის - მოსწი ყური, ეს კონფიდენციური ინფორმაციაა...

- როგორ გეკადრებათ! ადამიანი გაცილებით უფრო ფლიდია, უფრო ვერაგი, უფრო გაიძვერა, უფრო დაუნდობელი! მას ხომ გველზე ამხედრებული ეშმაკი მართავს! ადამიანი გენეტიკურად მტყუანია და არათუ გასაკვირი არ არის, ბუნებრივიც კია, რომ კონიუნქტურასაა მიჯაჭვული. კონიუნქტურის მონას კი - თუ არ გინდათ ისიც დაღუპოთ და თავიც დაიღუპოთ - ისა სჯობს, საბოძვარი სულ არ უბოძოთ, ვიდრე უდროო დროს უბოძოთ.

- გმადლობთ.

- გველეშაპიო, რომ ამბობენ.

- ეგრე ბევრ რამეს ამბობენ.

- რის გველეშაპი, მიწაა გახეთქილი. გოგირდის სუნად ყარს მთელი გვირაბი.

- ასე ამოდის სუნი?

- ამოდისო?!.

- კი მაგრამ ქვევით რა არის ასეთი?

- ჯანდაბა! რა ვიცი...

- სპიჩკა ხომ არ...

- აჰა, დაიჭი. ოღონდ ამის მერე, იცოდე, სპიჩკა აღარ თქვა. ან ასანთი თქვი, ან წუმწუმა, თორემ გუდიანი ლიდერი მოვა და წაგიყვანს.

- უნაყოფო წუხილს რა აზრი აქვს?

- ვინც არ წუხს, ბედს ურიგდება, ბედს შერიგებული კი გამოსავალს ვერ იპოვის. მაშასადამე წუხილი უნაყოფო არ არის.

- კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი

ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

- სკლინტუს, მოისვენე!

- ქართველების პოლიტიკური განათლება ჯერჯერობით კეთილშობილი ყაჩაღის ნატვრას ვერ გასცდა, რა დროს სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკია!

- არც მაგას გადავუთარგმნი! და საერთოდ ნუ გადამირევთ ამ ხალხს!

- სექსუალური ურთიერთმიზიდულობა, მე თუ მკითხავთ, ყველაზე მარტივად და ნათლად დემოკრიტეს თეორიით შეიძლება აიხსნას.

- ძაან შინაარსიანი ქალია, ძაან, თვარა, გაიცნობ აგერ და ნახავ.

- შონია ვინ მიგდია!

- სახელდახელო გაანგარიშებით სულზე თურმე ჰექტარნახევარი მოდის. ჰექტარ-ნახევარი ქართული მიწა სულზე! თავის მყინვარებიან-ჭიუხებიან-უდაბნოებიანად.

- გველეშაპი უძახე შენ! გენერალი-სიმუსის ფორმაში ყოფილა გამოწკმანული - დამაჯინა და მაყურებიაო, იტყვი.

- რა იცი?

- რო არ იცოდეს, ხო არც იტყოდა!

- დაუკვირდით: როგორ შეიძლება ბოროტება სიკეთის უკანა მხარე იყოს, როცა სიკეთე აბსოლუტურია, ბოროტება შეფარდებითი, სიკეთე ზოგადია, ბოროტება კონკრეტული, სიკეთე უწყვეტია, ბოროტება წყვეტილი, სიკეთე ტრანსცენდენტურია, ბოროტება იმანენტური. არა, ბატონებო. ბოროტება უპირისპირდება არა სიკეთეს, არამედ თავისუფლებას, როგორც სიკეთის მატერიალისტურ იპოსტასს. ეს ორჯერ ორი ოთხი გახლავთ.

- და ორჯერ ორი დანამდვილებით ოთხია?

- ნუ ახლა...

- დუ იუ სპიკ ინგლიშ?

- მასე თემისტოკლეც მაგარი იყო თავის ამბავში.

- რა გაყვირებს თუ იცი?!

- დუ იუ სპიკ...

- საქმე ნახე თუ ძმა ხარ, რა მესპიკება!

- ვა რა სუფთა ქართულს ლაპარაკობს!

- აახვიეთ ეხლა აქედან, თორემ სუფთა კი არა იმისთანა თავანკარა ქართულს გადმოგილაგებთ, ქრუანტელი დაგივლით ტანში! არ გაატრაკეს საქმე!

- უაა!..

- ჰაა!

- ი!

- ე!

- იიააა!

- ე! ე! რა გინდა, ვა, ვიზა არ გვითხოვია და არაფერი! ეე!

- წამო, კაცო, გიჟია ვიღაცაა! უუ! ოოო!

- კარგი რა მორჩი, აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

- ფენომენოლოგიაში, ერეკლე, ახალი რელიგია ჩვევათა უარყოფას უნდა დაეფუძნოს.

- ე ბიჭო, სისულელე არაფერი ჩაიდინოს!

- მაგ ღვთის გლახამ რა სისულელე უნდა ჩაიდინოს!

- კი, კი. როგორც საზოგადოდ საიქიოში, ისე კერძოდ სამოთხეშიც.

- ერთი დავანგრიოთ როგორმე და აშენებას რა უნდა, აგერ არა ვართ?!

- სივრცე-დრო თავისუფლების - და მხოლოდ თავისუფლების - არენაა. ყოველგვარი განვითარება გვინდა-არგვინდა თავისუფლების ფონზე მიმდინარეობს.

- გაზარმაცდა ქვეყანა, ბატონო, თითის განძრევა აღარავის უნდა. შვილი რო შვილია, ხალხი ვიცი, თავისით იმის გაკეთებაც ეზარებათ.

- ეს რა არი, ბაბაჩიებო! მამაჩემი ისე მოკვდა, ერთი კბილი არ აკლდა. აპაა!

- ვა!

- ვაა!!

- ვააა!!!

- რა ხნისა მოკვდა, ბაბუ?

- ოცდაექვსი წლის.

- ერთხელაც, მიადგა ეს იმანუელი უფსკრულს, გადაიხედა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და შეკრთა: აუჰ, აქ სამძღვარი ყოფილაო!

- ღმერთი მიტო გვწამს, რო თვალით არ გვინახავს და არ ვიცით, რა არის, თვარა, ახლა რო მაცხოვარი გამოგვეცხადოს - იდიდოს მისი სახელი - და გამოგველაპარაკოს, გიჟია-თქვა ვიტყვით და ქე შევაქცევთ ზურგს.

- ა ბატონო, ესეც თქვენი credo quia absurdum!

- კარგი, სპიტაკს მოვეშვათ, მართლა სხვანაირად არ ჩამოგვართვან, მაგრამ დავიჯერო პომპეუსში ყველას ერთნაირი ჰოროსკოპი ჰქონდა?

- ასანთი ავიღოთ, მაგალითად... გაიწი, ბიჭო, იქით!

- კაი ერთი!

- გეუბნები.

- ნამდვილად თავისით, კაცო?! თუ ისე თავისით?

- მონა იმიტომ არის მონა, რომ მონაა. ბატონი იმიტომ არის მონა, რომ ბატონია. მოურავი იმიტომ არის მონა, რომ მოურავია.

- ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობაო, ნათქვამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა


- შენ ემანდ ჭკვიანად იყავ, შე მუტრუკო, თორე ზრდილობას გაჩვენებ მე შენა!

- კაცი ჩვეის ქილეტია. წვერი თუ უპოვე ერთი, ისე დაარღვევ, ძაფის მეტი ხელში არაფერი შეგრჩება.

- ღმერთზე ნუ ვილაპარაკებთ, ერეკლე. ჩვენ ხომ არ ვიცით, რას აღვნიშნავთ ამ სიტყვით. ამიტომ მოდი ვილაპარაკოთ ნებასა და რიცხვზე.

- ვაჭუმ მაგას ჯაბუნაკს, თუ ვყოფილვარ მაქსიმილიანე დოჭვირი!

- შეხედე, რამოდენა ბუჩქნარია, მანდ ვინ დაგვინახავს?!

- ჰუმანიზმმა თავისი სხივოსანი მზერა, აღსავსე სიკეთით, ლმობიერებითა და იდილიით, ადამიანიდან ქათამზე გადაიტანა.

- უხ, ერთიც რა, ჩემო სიცოცხლევ და ძუ ფოცხვერო!

- კარი მოხურე, იდიოტო!

- აქედან რა გამოდის? აქედან ის გამოდის, რომ, თუ სულიერი ხარ, არ შეიძლება შვილი არ იყო. შეიძლება არ იყო მამა, დედა, ბებია, ბაბუა, და, ძმა, დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ძალუა, ბიძა, დიშვილი, ძმიშვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი და სხვა ახლო თუ შორებელი ნათესავი, მაგრამ შვილი არ იყო, არ შეიძლება. მაშინ ისმის კითხვა: აქედან რაღა გამოდის? აქედან ის გამოდის, რომ, თუ შვილი ხარ, ვინმეს შვილი ხარ და მაშასადამე შენს გარდა არსებობს კიდევ ვიღაც, ვინც, შენი არ იყოს, რაკი არსებობს, შვილია, და რაკი შვილია, ვინმეს შვილია. მაშინ ისმის კითხვა: აქედან რაღა გამოდის? აქედან ის გამოდის, რომ სულიერი არსების არსებობა უეჭველად გულისხმობს სიმრავლეს. მეორე მხრივ, ჩვენ ვაღიარებთ - და ვაღიარებთ სამართლიანად - რომ ღმერთი ერთია. და აქედან რაღა გამოდის? აქედან უკვე ის გამოდის, რომ ღმერთი ან არსებობს, მაგრამ სულიერი არ არის, ან სულიერია, მაგრამ არ არსებობს. ეს გახლავსთ ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელიც გადაულახავია და სწორედ აქედან გამოდის ჩვენი მთავარი დებულება: პრობლემა ღმერთის არსებობა-არარსებობისა ადამიანის ცნობიერების გარეთ დგას, ან, უფრო მარტივად - ღმერთის არსებობა-არარსებობა ჩვენი ჭკუის საკითხავი არ არის.

- შენი ხელით დააკერებ, ეთქვი და გავათავე!

- კაი და, დავუშვათ მეტი აღარ გათხელდა ოზონის ფენა და დედამიწაზე სიცოცხლე ერთ მილიონ წელიწადს კიდევ გაგრძელდა. ამ ერთ მილიონ წელიწადს სულ რუსეთთან ვიქნებით? რავა გეკადრებათ!

- ალბათ ოჰაიოს შტატი. რა რო?

- სკლინტუს, მოისვენე!

- ადამიანს თავისი არსებობის დიდი ნაწილი ახლობლებში აქვს დაბანდებული და, როცა იმ ქვეყანას მიდის და ეს თავისი საქონელიც მიაქვს, იმ ადგილებში ცარიელი ხვრელები რჩება. სწორედ ამ სიცარიელის შეგრძნებაა წუხილი. საერთოდ წუხილი სხვა არა არის რა, თუ არა სიცარიელის შეგრძნება.

- დააკვირდი აბა: გინდ გითქვამს „ორი დღის წინ“, გინდ გითქვამს „ორი დღის უკან“. არაფერს გეუბნება ეს?

- ერთ თავსაო ბევრი თავი სჯობიანო.

- რათაო?

- იმიტო რო ეგრეაო.

- მაშ ერთ ცარიელ თავსა ორი ცარიელი თავი სჯობნებია!..

- სჯობიან მაშ!

- მოძრაობის ჰარმონიული მთლიანობა, რაც იმავ დროს თავისუფლების გარანტიაა, იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ შეუძლებელია დამოუკიდებლად არსებობა და მეორე მხრივ შეუძლებელია დამოუკიდებლობის გარეშე არსებობა. ცხადია ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შინაარსი ფორმის სიმბოლოა.

- საქართველო ავგიას თავლაა, ერთი კარგი ჰერკულესი სჭირდება.

- ნახე ახლა როგორ მოვაკეტინო... ჰერკულესი, ბატონო ჩემო, როგორც დამლაგებელი თუ როგორც ძლიერი ხელი!

- გამგებმა გაიგოს.

- გითხარი?..

- ე, იმასთან დამაწვინა ამელამ და მერე თუ გინდა, სულ დაქცეულა ეს ქვეყანა!

- როგორ არა, გარკვეული აზრით საერთო მნიშვნელზეც კი ხერხდება დაყვანა. მაგალითად, თავისუფლების ის გრძნობა, რომელიც სატუსაღოში დაბადებულ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს, პრინციპულად და ფსიქოლოგიურად იგივე რელიგიურობის გრძნობაა.

- ჯანზე როგორა ხარ, ჯანზე, ჩემო ალექსანდრე?

- გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ...

- ზნეობაზე?

- ყველამ ჩვენ-ჩვენ გულში ჩავიხედოთ, ჩემო ვილმა. „ვერჴელ-ეწოფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“, შენიშნავს მახარებელი. ჩვენ თუ ვბოზობდით იმ პერიოდში, შენც ბოზობდი. პარალელურადაც ბოზობდი, მიმდევრობითაც ბოზობდი და საერთოდ არავის არასოდეს არაფერში ჩამორჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენიხარ. რაში გჭირდება ახლა ეს ფარისევლობა და ლელვის ფოთლების აფარება, ვერ გამიგია.

- მოხმარების შნო ვინ მოგვცა ქართველებს, თორემ სამი კოზირი ჯერ კიდევ გვაქვს: ხალხური სიმღერა, კულინარია და გასათხოვარი ქალები. ხალხური სიმღერით შეგვიძლია მსოფლიო მოეხიბლოთ, კულინარიით შეგვიძლია მსოფლიო დავიპყროთ, გასათხოვარი ქალებით შეგვიძლია მსოფლიო დავინათესავოთ.

- რას შრები, შე ოჯახქორო!

- იმასაც თურმე შეჰყვარებია, იმ უთაურასა. ისე შეჰყვარებია, ისე შეჰყვარებია, რომა ბოლოს შესძულებია.

- უხ შენი!..

- მე მგონია, აქ რაღაც შეუსაბამობაა. მარტო გვირაბია ჩაკეტილი თუ ყველაფერი ჩაკეტილია გვირაბს გარდა?

- ყველაფერი ჩაკეტილია გვირაბის ჩათვლით.

- კი მაგრამ რატომ?

- ეგ სხვას უნდა ჰკითხოთ.

- კერძოდ ვის?

- მე კი წავალ და იშლაგბაუმონ მერე მაგათ და იპრესპაპიონ რამდენიც უნდათ!

- ეს მზე რაღაც არ მომწონს...

- საათის რომელია, ვერ მეტყვით?

- ვერა.

- შონია კი არ მოდის კვაშალი მოდის.

- ორივე მოდისო, ვიღაცამ თქვა.

- არა, კაცო, ორივეს რა უნდა!

- ოთხშაბათობით კიდე სარეცხს რეცხავს თურმე და თან ჩუმად იმღერება. ენატრება, წარმოგიდგენია?..

- რა არი მაინც ადამიანი!

- არც ეს, არც ის. რაღაც შუალაა. აქედან შეხედავ - სხეულთა თეორიული ჯამია, იქიდან შემოხედავ - სივრცის თეორიული განსხვულებაა.

- ფრანკენშტეინი, გენაცვალე; ჯიბო.

- „საცობიო“, მაგ მართლა საცობმა. ისე, კი შეეტყო, თავიდან რომ „პრობკის“ თქმა უნდოდა, მარა ბოლოს მიგვიხვდა და თათარიახნად გადააკეთა.

- დემოკრატია არა!.. ჭიქა მომაწოდე, სილოვან! დემოკრატია!..

- დიდუ-დიდუ-დიდუ-დიდუ! ეს რა ვნახე და ეს რა ვნახე!

- მისთვის - მითქვამს და ვიმეორებ - უცხოა ყოველგვარი სეპარატიზმი.

- ლაურა? იიჶ!..

- ლაურა? ოო!..

- კეთილი, ერეკლე, შენ იცი.

- მალადეც, ცისმარა, ჩემი ფუნჩულია გოგო!

- უკეთესს გეტყვით: ერთმა ჩემმა მეზობელმა, ცოლის ღალატი რა შეიტყო, პირდაპირ სამზარეულოში დაიწყო საპროტესტო შიმშილობა.

- რას მეუბნები! მერე?

- შიმშილობს ისევ. იმისთანაა, ლანდი გასდის.

- უყურე შენ!

- ბოლოს შეჰყარა მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.

- დემეტრე, არ ჩაიხადო!!

## ცნობიერებათა ეპიცენტრი. კამბეჩა და სანდრა (შროშანი). უცხო ვინმე ქადაგი

საათზე მეტი არ იქნებოდა გასული, როდესაც ამოსავალ წერტილს - რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვის დროებითი და საეჭვო მნიშვნელობით - დავუბრუნდი.

სალომეს - არ ვიცი, შესცივნოდა თუ რა იყო - პალტო ისევ წამოესხა. იდგა ასე, პალტოს ქვეშ მკლავები ერთმანეთზე გადაეჭდო და მანქანების ზღვას მჭმუნვარედ გასცქეროდა, როგორც დამარცხებული გენერალი, რომელსაც მეფის წინაშე მძიმე და დამამცირებელი თავის მართლება მოელის. შედარება ფორმალურია - მეფე ვინ მოგვაშავა - მაგრამ ჩემი აზრით არანაკლებ ძნელი უნდა იყოს თავის მართლება მოხუცი მამიდების წინაშე, განსაკუთრებით თუ ისინი ბევრნი არიან.

ლამაზი ცოლ-ქმარი კვლავაც ქერუბიმებს გვანდნენ, თუმც კი იმის გამო, რომ ცხვირპირი ჩამოსტიროდათ, სილამაზის სკალაზე მათი პერსონალური სინდიყი თითო დანაყოფით მაინც დაცემულიყო.

ჩემს დანახვაზე ცოტა მოცოცხლდნენ.

- გაარკვიეთ რამე? - მკითხა ვაჟმა და ბეჯითად და უნაყოფოდ შეეცადა შეკითხვის ლელეჩ ნაცარში მხნეობის პატარა ნაკვერჩხალი შეეხვია.

- რას გაარკვევ! - მივუგე მე და ქალს შევხედე, - რამდენი ადამიანია, იმდენი ვერსიაა, - მერე, რა დავინახე ქალმა წარბები ერთმანეთისკენ წაიღო, დასკვნა ცოტა შევარბილე, - ყოველ შემთხვევაში რამდენი მანქანაცაა, იმდენი ვერსია კი ნამდვილად არის.

- დაღამებამდე ეტყობა ვერ გავალთ არა?

მე მხრები ავიჩეჩე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ძალიან ბევრი ხალხია. თანაც... - აქ კინაღამ ვთქვი, თანაც გააჩნია როდის დალამდება-მეთქი, მაგრამ გონიერების კალაპოტში ისევ ქალმა ჩამაბრუნა, რომელსაც საავდრო ღრუბელმა ამჯერად სათვალის შუშებზე გადაუარა, - გააჩნია როდის გაიხსნება გზა.

ქალმა ამოიოხრა. ვაჟმა პასუხად ხელი მაჯაში მოჰკიდა. მე ამით ვისარგებლე და გავეცალე.

სალომეს უკვე შევემჩნიე და მთელი ტანით შემოტრიალებული დაეჭვებული მოლოდინით მიმზერდა. შუბლზე, წარბებშუა, როგორც კედელზე ვაგლახად ატუზული მოწაფე, კვლავ ის ვერტიკალური ნაოჭი აჩნდა, რომელიც მის ასაკს, გაზაფხულის მცხუნვარე ვიწრობებიდან ისედაც კარგა ხანია გამოსულს, ერთი-ორ ზედმეტ წელს ჰმატებდა.

„შორებელი“ და „ახლობელი“ მოუსრულებელი, არამდგრადი ცნებებია, რომლებიც ძირითადად გარემოებაზე არიან დამოკიდებული და, როცა გარემოება შესაბამის პირობებს ქმნის, ზოგჯერ ერთიმეორეშიც კი ირევიან. ეს სალომე ერისთავი მაგალითად აქამდე იმდენად შორებელი იყო, რომ ამის აღსანიშნავად სიტყვა „შორებელიც“ კი ზედმეტად ფამილარულად ჟღერს. ახლა კი თავისი შეკრული - მე ვიტყოდი, არცთუ ისე დამაჯერებლად შეკრული - კოპებით უეცრად ძალზე შინაური მეჩვენა. მე ფხიზელი გონების პატრონი ვარ - ამას სატრაბახოდ არ ვამბობ - და ვიცი: უცხო პლანეტაზე რომ მოულოდნელად თანაპლანეტელს გადააწყდები და ყელში სიხარულის ბურთი მოგებჯინება, ეს სიხარული გაზვიადებული სიხარულია, მისი ზომები წარმოსახვითია და ნამდვილს არ შეესაბამება და ადვილი შესაძლებელია, პირველივე გამოცდის შედეგად ისე დაიმსხვრეს, კვალი აღარ დარჩეს. ყველაფერი ეს დიაღაც რომ ვიცოდი, მაგრამ მიუხედავად ამისა სიახლოვის ეს უეცარი განცდა იმდენად დიდი იყო, ჩემდაუნებურად გავიფიქრე, კიდევ კარგი არ წასულა-მეთქი. ეჭვის საფუძველს ჩემი ჭკუით ის იძლეოდა, რომ ძალიან ეჩქარებოდა, ხოლო ვისაც ძალიან ეჩქარება, იმას, კაცმა რომ თქვას, რა შეუშლის ხელს თავისი ბარგი-ბარხანა აიღოს და გვირაბის მიმართულებით წავიდეს, რათა ისეთ მანქანაში იშოვოს ადგილი, რომელიც შედარებით მალე ჩაიყვანს სანაკლიოში?

თქვენი დალაგებული გონებისათვის ალბათ ამთავითვე ნათელია (ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჩემი არეული გონებაც დალაგდა, ჩემთვისაც ნათელი შეიქნა), რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო: თუნდაც გადაეწყვიტა წასვლა, ჩემს მობრუნებამდე მაინც არ წავიდოდა - ტაქტის ანგელოზები, თავაზიანობის ანგელოზები, ზრდილობის ანგელოზები, საერთოდ, ადამიანურ ურთიერთობათა კანონები არ გაუშვებდნენ - მაგრამ მაშინ ასეთი შესაძლებლობა სავსებით რეალური მეჩვენა და მისი დანახვა ისე გამეხარდა, თითქოს ხანგრძლივი და სახიფათო ფრენის შემდეგ მშობლიურ აეროპორტში დავეშვებულიყავი. პირველი ფრაზაც, რომელიც წარმოვთქვი, არსებითად ამ დღემოკლე სიხარულის ბუდიდან იყო გადმოვარდნილი:

- მგონი ინგლისურის მასწავლებელს უფრო ჰგავხართ, ვიდრე დედოფალ კლეოპატრას.

სალომე ერისთავს საეჭვო კომპლიმენტისთვის ყურადღება არ მიუქცევია; ისე მიყურებდა, თითქოს რაღაც დავიწყებოდა და გახსენებას ლამობდა. ბოლოს მკითხა:

- ვერაფერი შეიტყვეთ?

მე თავი ისე გავიქნიე, რომ ორჭოფობა და ზომიერი პესიმიზმი გამომეხატა.

- ვერაფერი. ყველაფერი შეიძლებოდა შემეტყო შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ თავად შესაძლებლობის ფარგლები ვერ დავადგინე. სკივრში მხოლოდ ნიღბები ყრია. ურიცხვ ცრუ მიზეზს ასახელებენ, ნამდვილ მიზეზს არ ამხელენ. შესაძლებელია არ იციან, შესაძლებელია არ არსებობს, - აქ სალომეს მზერაში დაეჭვებული ინტერესი გაკრთა და ჩემდაუნებურად ლაპარაკის ტემპს ვუმატე, - მხედველობაში მაქვს შესაძლებლობის რადიუსი და არა თვით შესაძლებლობა. თქვენ ალბათ არ დაიჯერებთ და ეს სავსებით ბუნებრივია - თქვენ ხომ იქ არ ყოფილხართ, საცა ეპიცენტრია - მე კი შემიძლია დავიფიცო, მეტიც, შემიძლია სანაძლეოს ჩამოვიდე, რომ იქით და იქით ცნობიერება იცვლება. ცნობიერება იცვლება თვალდათვალ და მით უფრო ინტენსიურად, რაც უფრო უახლოვდებით გვირაბს. ეპიცენტრი უშუალოდ გვირაბის წინაა. ეს არის მოჯადოებული ტერიოტრია, სადაც ცნობიერება ახალ ორბიტაზე გადადის და სულ სხვა სახე აქვს.

- როგორი? - ეს კითხვა იმ ზომამდე მშვიდად გაისმა, ჩემზე გონიერი და წინდახედული კაცი ეგებ გაფრთხილებულიყო კიდეც, მაგრამ მე ვერ გავფრთხილდებოდი, ვინაიდან ადამიანს სამწუხაროდ არ ძალუძს საკუთარ თავზე გონიერი და მით უმეტეს წინდახედული იყოს.

- აბა რა გითხრათ! მაგ კითხვას სხვებმა ვერ გასცეს პასუხი და მე რა შემიძლია, უბირსა და სწორხაზოვანს! ჩემი მბჟუტავი ჭრაქის შუქზე მხოლოდ ის ჩანს, რომ მოვლენის დედააზრი უშუალოდ დიამეტრის გადაკვეთის წერტილშია, სადაც ბუნებისმეტყველების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხოვანი ლოგიკა უქმდება და მის ადგილს შემოქმედების სფერული ლოგიკა იკავებს.

- შონია ვინდაა?

- თქვენ რა იცით შონია?

- რამდენჯერმე ახსენეს აქ.

- მაშ კიდევ უფრო გავრცელებული ყოფილა, ვიდრე აღირიცხება. თუმცა რაკი უარყოფითია, მთავარი ვერ იქნება. ამის თავდები ჩვენი სპეციფიკაა. მოკლედ, რამდენადაც მე ამ საქმისა რამე გამეგება, შონია ის არის, ვინც ფარულად მოქმედებს და სააშკარაოზე მხოლოდ ფინალში თუ გამოვა.

- მოჯადოებული ცნობიერების ნაყოფია?

- ცნობიერება არ არის მოჯადოებული. მოჯადოებული ტერიტორიაა.

სალომე ერთხანს ჩუმად მიყურებდა. მერე წყნარად და ცოტა ნაღვლიანად თქვა:

- ჩემმა საბრალო მამიდებმა კი ისეთი მოლოდინი იციან, რომ უყუროთ, გული მოგიკვდებათ.

- ამ დილით მიგელოდნენ?

- წუხელვე მიმელოდნენ.

- წუხელვე?

- დილით ჩამოვალ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მათთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ერჩივნათ წუხელ ჩავსულიყავი, ამიტომ წუხელვე მიმელოდნენ. საერთოდ, ყოველთვის მიმელიან. როცა დანამდვილებით იციან, ვერ ჩავალ, მაშინაც მიმელიან. დგანან ფანჯარასთან მორიგეობით და მიმელიან. მე კი თვეში ერთხელ თუ ჩავაკითხე, ესეც დიდია.

- ჩემი ბრალია. მანამ რომ მოვსულიყავი გონს, სანამ აქ ასე მკვიდრად ჩავცემენტდებოდით, ეგებ უღელტეხილით გადავსულიყავით...

- უღელტეხილიც ჩაკეტილი ყოფილა.

- რა იცით?

- თქვეს. უღელტეხილიც ჩაკეტილი ყოფილა და რკინიგზის გვირაბიც.

- ეგ თუ მართალია, ამაღამდელი ღამის გათევა აქ მოგვიწევს.

ღმერთო შეგცოდე და ქალსა და ბატს მგონი მართლა აქვთ რაღაც საერთო. განსაკუთრებით შემეცნების პროცესში. თუმცა ეს სპეციალური კვლევის საგანია და სხვა დროისთვის გადავდოთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სალომეს შუბლი კიდევ უფრო შეეჭმუხნა, ხოლო გამომეტყველება, თუ რამდენიმე კომიკურ დეტალს არ მივიღებთ მხედველობაში, სულ მთლად ტრაგიკული გაუხდა.

- რატომ?

- რაკი ყველა გზა ერთდროულად ჩაიკეტა, მიზეზების ძებნა წყლის ნაყვაა. ასეთ დროს მიზეზი სადღაც სხვაგანაა, გარეთ, უცნობ და უჩინარ სფეროებში. რეალურ სივრცეში მხოლოდ კოორდინაცია ხდება და იდუმალი წრე იკვრება. კოორდინაცია კი, ისევე როგორც იდუმალი წრე, აჩრდილია. აჩრდილს რას დააკლებ!.. ასე რომ თავზეით ძალა არ არის, განგების ნებას უნდა დავემორჩილოთ.

- ვისხდეთ და ველოდოთ...

- ნუ დაველოდებით, თუ თქვენ ასე გირჩევნიათ, მაგრამ იმ ერთი კარგად გალექსილი იგავისა არ იყოს, სად გავიქცეთ, სად წავიდეთ?.. გეთანხმებით, რომ ბედი უსამართლოდ მოგექცათ. ჩემზე უფრო ოპტიმისტი თანამგზავრი გესაჭიროებოდათ, რომელიც, თუ ცოტა ფხასაც გამოიჩენდა, არა მარტო ფსიქოლოგიურ კომფორტს შეგიქმნიდათ, არამედ რამდენიმე რეალურ საათსაც მოგაგებინებდათ.

- მაინც როგორ? - იმედის ნაცვლად ეჭვი ჩაუდგა ხმაში.

- გზა რომ გაიხსნება, ჩვენ ხომ კიდევ დიდი ხანი დაგვჭირდება, ვიდრე ეს ზედახორა გაიწმინდება და გვირაბს მივაღწევთ. ზემოთ კი, გვირაბის პირას, მრავალი მგზავრია, რომლებიც გაცილებით ადრე წავლენ. მათგან ნაწილი ალბათ სანაკლიოშიც მიდის. სანაკლიოში მიმავალთაგან ნაწილს ალბათ ადგილიც ექნება მანქანაში. ადგილის მქონეთაგან ნაწილი ალბათ უარსაც არ გეტყოდათ...

სალომემ თავი ასწია და მწყრალად და მტკიცედ შემომხედა.

- მოშორება თუ გინდოდათ, - მითხრა მერე და ხმაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც გამოხედვა, - იგოეთში უნდა მოგეშორებინეთ. ახლა, ასეთ ორომტრიალში, ვის მივადგე, ხომ ხედავთ ადამიანებს სახეები აღარა აქვთ!

- რას ამბობთ! - შუბლი შევიკარი მე და გულმა მსუბუქი სანტიმენტალური რეხხი მიყო, - უბრალოდ, რაკი ასეთი შესაძლებლობაც არსებობს, თავი მოვალედ ჩავთვალე, ესეც დამესახელებინა, თორემ თქვენი მოშორება - ვგულისხმობ, ცხადია, სანაკლიომდე - ფიქრადაც არ მომსვლია. მოგიშოროთ კი არა, ისე შეგეჩვიეთ, მგონი ვეღარც გამჩნევთ. ასე გასინჯეთ, ეგ თქვენი პალტოც, რომელიც, გამოგიტყდებით, ადრე მეხამუშებოდა, უკვე აღარ მეხამუშება. და საერთოდ, თუ სიმართლე გინდათ, აქეთ რომ მოვდიოდი, შეშფოთებით ვფიქრობდი, ვაითუ წავიდა და არ დამხვდეს-მეთქი. აი ხომ ხედავთ?!

- ვხედავ, - თქვა ცივად, - ვხედავ და მადლობას მოგახსენებთ. გულკეთილობისთვისაც, კეთილშობილებისთვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანი, როგორც წესი, ყველაზე ძნელად სიმართლეს იჯერებს.

– მე თქვენს ადგილას გამოთქმებს მეტი ყურადღებით შევარჩევდი.

ამან გააკვირვა, დააბნია და შეაკრთო.

– რა გამოთქმებს?

– „გულკეთილობასა“ და „კეთილშობილე-ბას“. ერთი და იმავე სიტყვით ზედიზედ ორი კომპოზიტის შედგენას არც ერთი სტილისტი არ მოგიწონებთ. ყურს არ სიამოვნებს ასეთი რამ. განსაკუთრებით, როცა საქმე ისეთ ფაქიზ ენას ეხება, როგორიც ქართულია.

სალომემ წამით თვალი თვალში გამიყარა. რაც შეეძლო, მტრულად მიყურებდა და სახე ისე დაძაბოდა, ეტყობოდა კბილი კბილზე ჰქონდა დაჭერილი, რის გამოც სურათის სიმძაფრესა და სერიოზულობას, მიუხედავად ორგანული და გამჭოლი გულწრფელობისა, კომიკურობის ცოტაოდენი წყალი მაინც ჰქონდა შეყენებული.

– იქნებ მართლა წავსულიყავი? – თქვა ბოლოს.

– არა მგონია, სამი-ოთხი საეჭვო საათი ამდენ წვალებად ღირდეს. წასვლას ახლა ალბათ ისა სჯობს, წასვლაზე დროულად ვთქვათ უარი და სხვა შესაძლებლობანი გავსინჯოთ.

– რაღაა გასასინჯი, თუკი მთლიანად განგების ნებაზე ვართ დამოკიდებული?

– განგების ნება მხოლოდ საფუძველია, რომელიც მიზნად ისახავს – ეს თეორია ბიძაჩემს ეკუთვნის, მე უბრალოდ ვემხრობი და ვიზიარებ – არა ჩვენი ნების დათრგუნვას, არამედ შესაძლებლობათა დასაზღვრას. ჩვენ ახლა კრიტიკულ სიტუაციაში ვართ, როცა უკიდურესად ძნელია მკაფიო ხაზის გავლება ნამდვილსა და არანამდვილს შორის. არადა, სწორედ ასეთ დროს უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რაზე მიგვიწვდება ხელი და რაზე არა, რათა ჯანსაღ ინსტინქტს დავეყრდნოთ, უნიადაგო ფანტაზიას კი დროებით მაინც დავეხსნათ. გამორიცხული არ არის ეს ხალხი მალე სულ ლანდებად, აჩრდილებად და მოჩვენებებად გადაიქცეს. არ ვიცი შეამჩნიეთ თუ არა, ჩვენი ზემოური მეზობლები, „ვოლგის“ პატრონები...

– გვანცა და ირაკლი.

– ჰოო? გაიცანით?

– არა. გაცნობა ძნელია, უცხოებთან ურთიერთობას ერიდებიან, მაგრამ სახელები კი გავიგე.

– გვანცა, კიდევ უფრო რომ ჰგავს ქალს, ალბათ ის იქნება.

სალომემ წამით შეავლო თვალი ქერუბიმებს და სახე უეცრად ისეთი გაუხდა, თითქოს შემკრთალი და შეცბუნებული მთელი ძალით დააწვა ქვების სარქველს, დამწყვდეული ღიმილი რომ გარეთ არ გამოპარვოდა.

– დიახ, ის არის.

– ჰოდა, აი ეგ გვანცა და ირაკლი მოულოდნელად შეიცვალნენ. მე რომ გვირაბის სანახავად წავედი, ჯერ კიდევ ძალიან თეთრები იყვნენ, მხოლოდ ლოყები უღუოდათ წითლად. ახლა შედარებით მუქები არიან. არ შეგიმჩნევიათ?

– არა.

– იმიტომ რომ პროცესი თქვენს თვალწინ მიმდინარეობდა. ასეთ დროს ძნელია ცვლილებების შემჩნევა. ჩემთან ერთად რომ წამოსულიყავით, თქვენც შეამჩნევდით; თუმცა ჩემთან ერთად რომ წამოსულყიავით, ალბათ იმასაც შეამჩნევდით, რომ არავითარი ისეთი მიზეზი არ არსებობს, რის გამოც გვირაბში შესვლა შეუძლებელი ან თუნდაც გაძნელებული იყოს.

– აბა რაღა გვაბრკოლებს?

– ჩვენივ ნება. უკანასკნელ ხანებში რეალობის მუხტები მოგვაკლდა, სამაგიეროდ ილუზიის მუხტები დაგვიგროვდა და წონასწორობაც დაირღვა. სინამდვილის სამეფოში გამონაგონი შეიჭრა. იქნებ ყოველივე ეს გრანდიოზული უგუნურებაა, მაგრამ, როგორც ბიძაჩემი იტყვის, უგუნურებაც ღვთისა და აუცილებლობის ნაშიერია და, რაკი შესაქმეში წვლილი აქვს შეტანილი, წილიც ერგება. ამიტომაც დაგვტრიალებს თავს გამუდმებით. ასეთ დროს სიფრთხილეა საჭირო. უწინარეს ყოვლისა სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რათა მრავალთა და მრავალთა მსგავსად რაციონალიზმის ფესვებზე მღუღარე არ გადავისხათ და ანარქიული ემოციების ამარა არ დავრჩეთ. ამას თუ მოვახერხებთ, მერე გამოსავალიც შეგვიძლია ვეძიოთ. მიზანი ნათელია: მაქსიმალურად მალე ჩავიდეთ სანაკლიოში. მაშ ავიღოთ ეს მიზანი ამოსავალ წერტილად და ვნახოთ რა შანსი გვაქვს. ვითარება ექსტრემულია. მართალია თეორიულად ყოველ წამს შეიძლება გაიხსნას გზა, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც აქ, განსაკუთრებით ზემოთ და ზემოთ, ხდება, საფიქრებელია, რომ ამაღამ აქედან ვერ გავაღწევთ. ყოველ შემთხვევაში, რაკი გადავწყვიტეთ რეალურ ნიადაგზე დავდგეთ, უმჯობესია ვარაუდი უარესზე ავიღოთ, მით უფრო რომ ერთი ღამე არც კია ყველაზე უარესი ვარაუდი.

– ფეხით წავალ.

– ეგ შანსიც დავდოთ სასწორზე, ყურად-

დებით დავაკვირდეთ და ვნახოთ, სადამდე მივალთ. მთის გადაღმა სურათი დაახლოებით იგივე იქნება, რაც მთის გადმოღმაა. ასე არ არის?

– ალბათ.

– მაშასადამე, ვინც ფეხით წასვლას გადაწყვეტს, უნდა გადალახოს მთა, გადავიდეს უღელტეხილზე, გაიაროს ის გზა, რაც ჩახერგილია, გაიაროს დამატებით ის გზა, რაც ამასობაში ჩაიხერგება, გავიდეს ისეთ ადგილას, სადაც ტრასა თავისუფალი იქნება და ელოდოს იქიდან აქეთ მომავალ მანქანას, რომელიც ერთი – უკან დაბრუნდება, მეორე – ადგილი ექნება და მესამე – თუ პირდაპირ სანაკლიოში არ წავა, იმდენად ახლო მაინც ჩაუვლის სანაკლიოს, რომ გაყოლა ღირდეს. ხომ ძალზე მცირე ალბათობაა, მაგრამ მთავარი სიძნელე მაინც ეს არ არის. მთავარი სიძნელე იქამდე მიღწევაა. დავუშვათ, ბედმა ანგარიში გაუწია თქვენს გასაჭირს და რაიმე საშუალებით გაგაგებინათ, რომ მანქანას იშოვით. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამოდენა მანძილის გავლას? და თუ შეძლებთ, რამდენ ხანში შეძლებთ?

– შონიას რომ ვთხოვო? იქნებ ვერტმფრენით გადამიყვანოს...

– შონიას თავი დაანებეთ. შონია, რომც არსებობდეს, თქვენ მაინც არ დაგეხმარებათ.

– რატომ?

– ის მხოლოდ მისიანებს ეხმარება და, ვისაც დაეხმარება, ყველა მისიანია. თქვენ ვერ დაგეხმარებათ.

– იქნებ მეც მისიანი ვარ.

მე გამეღიმა.

– ნება თქვენია. სცადეთ, მაგრამ ვიდრე ამ გაუფრთხილებელ ნაბიჯს გადადგამთ, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ: ამაღამ რომ ვერ ჩახვიდეთ სანაკლიოში და ხვალ ჩახვიდეთ – ვთქვათ, ნაშუადღევს – ამას რაიმე კატასტროფა მოჰყვება?

– ალბათ არა, მაგრამ იმის გარანტია სადაა, რომ ხვალ ნაშუადღევს ჩავალ?

– არსად. უბრალოდ, ერთი შემცვლელი იდეა მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც, ვინიცობისაა შონია გამოგადგათ, საჭირო არ შეიქნება, მაგრამ შონია თუ ვერ გამოგადგათ, რაც გაცილებით უფრო მოსალოდნელია, მაშინ შესაძლოა აუცილებელიც კი აღმოჩნდეს: ცოტა მოვიცადოთ, იმედსაც დავუტოვოთ მცირე შანსი და, თუ ამაღამ არ გაიხსნა გზა, დილაუთენია თქვენ არა და მე წავალ.

– თქვენ?

– მე. ამჯერად ბედმა მე მომაშვირა თითი. კაცმა რომ თქვას, სამართლიანადაც მოიქცა. მე უკეთ ვივლი – იმედია ეს განცხადება თქვენს თავმოყვარეობას არ შელახავს – და უფრო იოლად მივაღწევ სანაკლიომდე. ამბავსაც ჩავიტან, მამიდებსაც, რაზეც ოპტიმიზმი გამწყდება, გავამხნევებ, თუ საჭიროებამ და შეძლებამ ერთ წერტილში მოიყარა თავი, ეგებ რამე დახმარებაც გავუწიო და, რაც მთავარია, შესაფერის ჯილდოს მივიღებ. თუმცა მგონი ჯერ არც მითქვამს, რომ ხანდაზმულ მანდილოსნებთან დარბაისლური საუბარი ჩემი ძველი ჰობია?

– არ გითქვამთ, – სახეზე მტრული გამომეტყველების კვალი წაეშალა და ახლა ისე მიმზერდა, როგორც მოყვარეს.

– თქვენ აქ დარჩებით და, როცა გზა გაიხსნება, მაშინ წამოხვალთ. თუ გზაში წამომეწიეთ, ხომ წამომეწიეთ, თუ არა და და სანაკლიოში დამიბრუნებთ მანქანას. მანამ კი მუხრუჭებიც თქვენს განკარგულებაში იქნება და სიჩქარის კოლოფიც. ვინიცობისაა ავტოინსპექტორმა დაგისტვინოთ, თამამად შეიგინეთ. ჩემს მანქანაში ეს ნებადართულია. მე ყოველთვის ასე ვიქცეოდი.

– ეს თავგანწირვაა...

– იყოს, რა უჭირს! მსუბუქი თავგანწირვა რენტაბელურიც კია. მერე შეგიძლია გაუთავებლად იტრაბახო და პაწაწკინტელა სამსახური ისე გაბერო, მართლა გმირად იქცე. ასე რომ თქვენ მაგას ნუ იდარდებთ. ისე, ბევრიც იდარდოთ, სხვა გამოსავალი – თუ შონიას გამოვრიცხავთ, შონია კი მტკიცედ უნდა გამოვრიცხოთ – მაინც არა ჩანს. საერთოდ – კარგად დააკვირდით – ეს იდეა ჩემთვის უფრო სასარგებლოა: მე ჩემს საქმეზე მივდივარ სანაკლიოში და პარალელურად მცირე სამსახურს თქვენც გაგიწევთ, სამაგიეროდ ვალად უფრო დიდ სამსახურს დაგადებთ: აბა, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა წავიდე, აქ რომ მანქანის დამტოვებელი არავინ მყავდეს. ერთი სიტყვით, ბარიბარში ვართ. მთავარია ფუნქციები განაწილდეს სწორად.

აქ ქვაბის სარქველი ოდნავ აიწია და ღიმილმა წამით გამოიხედა.

თუ ვილაპარაკებთ ფარულ სანტიმენტალიზმზე, რომელიც ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას საამური ტკივილით უღრღნის შიგანს (რითაც არსებითად კაცობრიობის გადარჩენის ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება), ამ ქალის მდგომარეობა ცოტათი მართლა მაწუხებდა. მე რა მიჭირდა – მე ჩიტივით თავისუფალი ვიყავი (უნდა ვაღიარო, ამ გამოთქმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა წაბაძვით ვხმარობ, თორემ დანამდვილებით დღემდე არ ვიცი, ჩიტის ეს გახმაურებული თავისუფლება რეალურად არსებობს თუ, შროშანის თავისუფლებისა არ იყოს, წმინდა თეორიული დებულებაა, რომლის მთავარი არგუმენტი მაცხოვრის ავტორიტეტია) და დღეს გავაღწევდი გვირაბიდან, ხვალ თუ იმ კვირაში, ამით არც დაიქცეოდა ქვეყანა - ჩვენს ქვეყანაზე მაქვს ლაპარაკი - და არც აშენდებოდა, მით უფრო, რომ თუ სანაკლიო უკვე გადაჩეხილი იყო უფსკრულში, უფსკრულში გადაჩეხილი სად გამექცეოდა?! ამ ქალს კი მრავალი მამიდა ჰყოლია, რომელთაგან ერთი გარდაცვლილა კიდეც. მე თვითონ არასოდეს მყოლია ბევრი მამიდა - მათ შორის არც ცოტა - ამიტომ ბუნებრივია არ შემეძლო სრულად და ცოცხლად წარმომედგინა, რას შეიძლება განიცდიდე, როცა შენი მამიდები რიგრიგობით დგანან ფანჯარასთან და მოუთმენლად გასცქერიან გზას, რომელზედაც უახლოეს ოცდაოთხ საათში არ გამოჩნდები. დიახ, ყველაფრის ნათლად წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ასეთ დროს ადამიანი აფორიაქებული იქნები, დარდიანი, გუნებაწამხდარი, ჭირვეული და ძნელი ასატანი. ეს - ზოგადად. ხოლო თუ ყველა სიკეთესთან ერთად ქალიც ხარ, ეს საერთოადამიანური განცდა დამატებით გამრავლებულ უნდა იქნას რომელიმე შესაბამის ჩ კოეფიციენტზე.

ამიტომ სახეზე რომ წამიერმა ღიმილმა გადაურბინა, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ტვირთი შემიმსუბუქდა.

ხოლო ზოგადი სახელწოდება იმ მძიმე, მაგრამ საპატიო სენისა, რაც მე მაშინ შემეყარა, გახლავთ მოვალეობის გრძნობა, რომლის პირველი სიმპტომები, გემახსოვრებათ, ადრევე გამომაჩნდა. თავის დროზე - თუ მკითხველთა ერთგულება ცოტა ხანს კიდევ შევინარჩუნე და მშვიდობით მივაღწიე იმ თავს, რომელსაც ვგულისხმობ - დაწვრილებით მოგახსენებთ ჩემს შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა არის მოვალეობის გრძნობა, რა არის მორჩილების გრძნობა, რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და რატომ იყო, რომ ჩვენი უახლოესი წინაპრები - მაგალითად მამაჩემი - მთელი ცხოვრება მორჩილების გრძნობით იყვნენ გაქელენთილი და მაინც კი თავი ისე ეჭირათ, თითქოს გაქელენთილი იყვნენ მოვალეობის გრძნობით, აქ კი მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ ის სენი, რაც მე მაშინ შემეყარა, იყო მოვალეობის გრძნობა, რომელმაც ჩუმად და გადატანითი მნიშვნელობით გვერდზე გამიხმო და გამაფრთხილა, რომ ამ ეტაპზე ჩემი უპირველესი ამოცანა იყო, ბედისწერის მიერ ესდენ ვერაგულად შემოპარებული ეს სალომე ერისთავი მაქსიმალურად სწრაფად და... როგორა ვთქვა... უდანაკარგოდ ჩამებარებინა მისი რიცხვმრავალი მამიდებისათვის და რომ ამ ამოცანის შესრულებაზე მე ჩემი ღირსებით (?!) ვაგებდი პასუხს.

არადა, რა მრჯიდა?

განსაკუთრებით მწვავედ (გარკვეულწილად ნიშნისმოგებითაც) გაისმის ეს კითხვა ახლა, როცა ყოველივე ამას შორიდან ვაკვირდები. რატომ არ ავსხმარტალდი? რატომ არ ავჯანყდი? რატომ მშრალი შიმშილობა არ გამოვაცხადე? რატომ გავყავი თავი ასე თვინიერად პასუხისმგებლობის გაშინთულ ყულფში? მე ხომ გონიერი არსება ვარ და მაშინაც გონიერი არსება ვიყავი?! მე ხომ შემწევს ძალა და მაშინაც შემწევდა, ერთი ინტელექტუალური შელოცვით წამში დამეფრთხო ყველა ანგელოზი ისეთი ალოგიკური ავსულებისა და სარეველა ცნებებისათვის, როგორიცაა მაგალითად „თანაგრძნობა"?

დიაღაც! დიაღაც რომ შემწევს და მაშინაც შემწევდა ქადილის ძალა, დიაღაც რომ გონიერი არსება ვარ და მაშინაც გონიერი არსება ვიყავი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ გონიერება არ არის უმთავრესი ნიშანი, რითაც ადამიანი პირუტყვისგან განსხვავდება. მართალია ხანდახან, როცა კაცობრიობაზე ზედმეტად აღრენილი ვარ, ცივი ულმობლობით ვამტკიცებ - საჭირო არგუმენტაციასაც, განსაკუთრებით ცოცხალი მაგალითების სახით, ღვთის შეწევნით იოლად ვპოულობ - რომ ადამიანსა და პირუტყვს შორის არ არის არავითარი განსხვავება თვინიერ გონებითი განსხვავებისა, რაც ოდენ რაოდენობრივია - ამდენად, არაარსებითიც - და შესაბამისად ადამიანი იგივ პირუტყვია, ოღონდ შედარებით მეტყველი პირუტყვი, მაგრამ უფრო ხშირად ამ დებულებას მაინც ის დებულება ჯაბნის, რომ ფუჟე და უმაქნისი გონება სანახევროდაც კი ვერ ავსებს განსხვავების იმ ვეებერთელა ხევს, რომელიც ადამიანსა და პირუტყვს ერთმანეთისაგან ჰყოფს. თავად განსაჯეთ - განა პირუტყვს შეუძლია მამიდათა იდუმალი გულისთქმა გაიგოს, მამიდათა მოუთმენელი მოლოდინი განიცადოს, მამიდათა მარტოობის, მამიდათა სევდის, მამიდათა ნატვრის თანაზიარი გახდეს?! რასაკვირველია არა! ათასგზის არა და ათი ათასგზის არა! აი რა არის თვისობრივი განსხვავება! აი რატომ არის ადამიანი ადამიანი და რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის ადამიანი პირუტყვი (ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის)!

- გმადლობთ... - თქვა სალომემ.

- მაშ, რაკი ეს პრობლემა გადავჭერით, ვახშმის თადარიგიც დავიჭიროთ.

- ვახშმის თადარიგი?

- სადილი ვთქვათ. ტერმინებში არ არის საქმე. მთავარია, ცოტა რამ მოვიმარაგოთ, რომ ამაღამ მშიერ-მწყურვალი არ დავრჩეთ.

სალომემ შემომხედა და მგონი პირველად ამ დროს გაითვალნათლივა მკაფიოდ, რომ გვირაბის პირას ღამის გათევა რეალური პერსპექტივა იყო. მერე თქვა:

- ცოტა ნამცხვარი კი მაქვს. მამიდებს წამოვუღე...

- მამიდების გაქურდვა აუგია. სასადილოში გადავალ და რამეს ვიყიდი. წყალსაც მოვიმარაგებ. ჩვენი მათარა თითქმის დაიცალა.

- მეც წამოვალ.

- წამოდით.

მანქანას რომ ვკეტავდი, ჩემი მხედველობის არეში წამით „ვოლგის" ლამაზი მგზავრები მოხვდნენ.

გვანცასა და ირაკლის არ გავაცნოთ ჩვენი განზრახვა? - ვკითხე სალომეს, - იქნებ უნდათ რამე დაგვაბარონ.

- გააცანით.

- გვანცასა და ირაკლის არაფერი დაუბარებიათ. ვიდრე მე ამ საგანზე ირაკლის ვესაუბრებოდი, გვანცა ისე ჩაციებით მიყურებდა, თითქოს ჩემს ნათქვამს რენტგენის ან რაიმე სხვა, უფრო ეფექტური სხივებით ამუშავებდა, რათა დაედგინა, მართლა იმას ვამბობდი, რასაც ვამბობდი, თუ რასაც ვამბობდი, მხოლოდ ნიღაბი იყო და მის უკან იმას ვმალავდი, რასაც არ ვამბობდი. ირაკლი უფრო ნდობით მომეკიდა. მეტიც: არაფერი გვინდაო, რომ მეუბნებოდა, შეშფოთებულ გამომეტყველებაში მადლიერების ნაპერწკალიც კი გაუკრთა.

არადა, რომც დაებარებინათ რამე - თუ მაინცდამაინც იმას არ დაგვაბარებდნენ, ეგებ ცოტაოდენი იმედგაცრუება წამოგვიძღვანიოთო - მაინც ვერ შევუსრულებდით. მოგზაურობა უშედეგოდ დამთავრდა. სასადილო დაკეტილი აღმოჩნდა. მე და სალომე ხელცარიელი დავბრუნდით.

ამაში საკვირველი არაფერი ყოფილა. გონების სიზანტე, თორემ წესით ადრევე უნდა მივმხვდარიყავით, რომ სასადილო გამოფხეკილი დაგვხვდებოდა. მეორე მხრივ, სასადილო სწორედ იმიტომ დაგვხვდა გამოფხეკილი, რომ გონების სიზანტე საყოველთაო და სავალდებულო კანონი არ არის. სიბრძნე მარტივია: ადამიანთა ნაწილი ფხიანია, ნაწილი უფხო. ფხიანი ადამიანები დროულად და მარჯვედ დატრიალებულან, რისი წყალობითაც გამოცარიელებული და გამოკეტილი სასადილოს წინ ჩვენსავით უფხო და ჩვენსავით პირშიჩალაგამოვლებული საზოგადოებადა დაგვხვდა, რომელსაც, რაკი ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდა, სხვა აღარა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ გული მოეფხანა, და მართლაც, ჩვენ რომ მივედით, სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული. თავისი უფხოობა და უხერხემლობა უკვე სავსებით ჰქონდა შეგნებული, მაგრამ რაკი ადამიანს ბუნებისა და ფსიქიკის ზოგ სიღრმისეულ თვისებათა გამო ყოველთვის ის ურჩევნია, ბრალი სხვას დასდოს, ხოლო გულის მოფხანა მაშინაა კარგი - და საერთოდ გულის მოფხანა სწორედ ეს არის - როცა კონკრეტულსა და კერძო ურთიერთობებს არ ეხები, ცხარედ, მაგრამ უმისამართოდ ბრდღვინავდა. მკვახემკვახე და მსუყე-მსუყე გამოთქმებით კიცხავდა და გმობდა ზოგად სიხარბეს, ზოგად ეგოიზმს, ზოგად გულქვაობას, მოყვასის გასაჭირის არად ჩაგდებას და სხვა მრავალ მანკიერებას (ზოგი ამ ამბავში პიროვნების უფლებათა ხელყოფასაც ხედავდა და აბსტრაქტულ დამნაშავეთა მიმართ ბუნდოვან სანქციებს მოითხოვდა). სასადილოს გამგე თავადაც გრძნობდა, რომ საზოგადოების მხრივ ამ შფოთისა და ყაყანის მიზანი ილუზიური ღირსების გადარჩენა იყო და არა პასუხის მოთხოვნა, მაგრამ მაინც - მეტი სიფრთხილისათვის - ყველას, ვინც კი მოსმენას არ დაიზარებდა, წვრილად, მწუხარედ და ქშენით უამბობდა, რაც მოხდა, თან მოკლე ხელებს, რომელთა ზურგებს, განსაკუთრებით სახსართა არეში, ბალანი ხავსივით მოსდებოდა, დროდადრო ნაღვლიანი გაკვირვებით შლიდა.

- აბა ეს ერთი ბეწო დუქანი ამოდენა ჯარჯამაათს როგორ გაწვდება?! ეხლა კაცის სიხარბეც ხომ ანგარიშში ჩასაგდებია და, თუ გასაჭირი რამ ადგას, მაშინ გასაჭირიც ანგარიშში ჩასაგდებია! ადამიანი რომ ხიფათს იგრძნობს, ნადირი იმასთან არაფერია; აი აქ აწვება სისხლი და ცოფი! - გაშლილი და ერთმანეთს მიტყუპებული ორივე ხელის თითები ყელთან მიიტანა და მაყურებელს კიდევ ერთხელ დაანახვა ხელის ზურგებზე, განსაკუთრებით სახსრებთან, ბუჩქ-ბუჩქად აბიბინებული ბანჯგვლები, - ერთი საათის წინ, ერთი საათიც არ იქნება, ხუთი კაცი შემოვიდა, თუკი რამ ისეთი მქონდა, რომ კუჭი მონელებას შეძლებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ერთიანად იყიდეს. აბა მე რა მექნა? ერთი კი ვუთხარ, დალოცვილიშვილებო, ცოტა რამ სხვასაც დაუნარჩუნეთ-მეთქი, მაგრამ განა ასეთ დროს ადამიანს ადამიანის ენა ესმის! ისეთი შემომიბღვირეს, ისეთი შემომიტიეს, ისეთი შემომიყეფეს და ისეთი შემომაგინეს, ღმერთმა თქვენც გაშოროთ და თქვენს ნაგრამსაც. თოფსაც დამკრავდნენ, თუ რომ დასჭირვებოდათ, და თვალს არ დაახამხამებდნენ. მაშ, გამემტყუნება, რომ ნებას დავყევი?! ე დალოცვილი ქვეყანა, რა ჩემგან გესწავლებათ, ისეა მოწყობილი, სიმართლის ჭერი, კანონის ბურჯი თუ მკვიდრად არ შეუყენე, ან დღე დაგემხობა თავზე ან ღამე! კანონი კიდე იმათ ეჭირათ ხელში. იყიდეს, განა წამართვეს! ჩემთვინ ხო არავის დაუვალებია, ერთიანად არ გაყიდო, ნაწილ-ნაწილ გაყიდეო! ჰოდა, მივეც. მივეც და იმათაც წაიღეს... ხორცი, იცოცხლეთ, კიდევ ბლომად მაქვს გამოწერილი, მაგრამ ამ სოდომსა და გომორაში ვინ რასღა ამოიტანს!..

ეს ერთი მონოლოგი რომ მოვისმინეთ სასადილოს გამგისა, მეორეს აღარ დავლოდებივართ. მართალია გულის კოვზთან მაცდურად მიღიტინებდა სურვილი, ამ საერთო-სახალხო აღშფოთებაში მცირე წვლილი მეც შემეტანა, მაგრამ რაკი ვიგრძენი, რომ რაღაც ისეთი მოსრულდა, რასაც ჩვეულებრივ ფორმა შენიღბული აქვს და შინაარსი მძაღე, გაცლა ვამჯობინე.

ერთხანს ჩუმად მივუყვებოდით ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს ჩახერგილ მანქანებსა და ჩახერგილ ადამიანებს შორის. ბოლოს დუმილი სალომემ დაარღვია:

- ნეტა კი მაშინ იმ სასადილოში შევსულიყავით...

- გშიათ?

- მე არა. მე დიდხანს ვძლებ უჭმელად.

- ყოველი „დიდხანს" ერთნაირი „დიდხანს" არ არის. ზოგი „დიდხანს" ძალიან დიდხანს გრძელდება. არც დავით მეფე იყო ახალგაზრდობაში მაინცდამაინც მუცელღმერთა, მაგრამ რომ მოშივდა, ლამის პირიდან გამოგლიჯა ლუკმა იღლოვას სახტად დარჩენილ ქურუმს, რითაც სხვათა შორის - არ დასჭირვებიათ გამოყენება თორემ - მშვენიერი საყრდენი შეუქმნა საჩვენქურუმო თეორიას, თითქოსდა ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. თუმცა ამას მოვეშვათ, ასეთი ხალხური ფილოსოფია დღეს სამართალდამცავ ორგანოებშიც კი ფეხს ძნელად იკიდებს.

- ვინც ამოდენა სურსათი იყიდა, ალბათ იმიტომ იყიდა, რომ მერე გაყიდოს და სარგებელი ნახოს.

- სწორედ მანდ არის ჩვენი მთავარი ცთუნება. რა უფრო შეჰფერის სულდიდ ქმნილებას? ან, უფრო რეალისტურად რომ ვთქვათ, ისეთ ქმნილებას, რომელსაც თავი სულდიდი ჰგონია? არამზადებთან დაიჭიროს საქმე თუ მამიდებს შეუჭამოს ძღვენი? ეს არის დილემა და წყევლაკრულვიანი საკითხავი, თორემ ჭაბუკ დავითს ნამდვილი არჩევანი არც ჰქონია. მისი არჩევანი პრიმიტიული გამოცდა იყო, რომელსაც უფალი პერიოდულად გვიწყობს ხოლმე, რათა დარწმუნდეს, რომ განვითარების ამ ეტაპზეც ადამიანის სული კუჭშია მოთავსებული. ჩვენი გამოცდა გაცილებით რთულია და ჩვენს ადგილას ყველა პატიოსანი დავითი ჩვენსავით დიდხანს იყოყმანებდა, ვიდრე საბოლოოდ გადაწყვეტდა, რა ექნა - ჩარჩებთან უკადრისი აღებ-მიცემობა გაეჩაღებინა და უზნეობის ამ პატარა ფერხულში ჩაბმულიყო, თუ მამიდებისთვის შეწირული საღვთო ნამცხვარი მოეპარა და ქურდის სახელი დავარდნოდა.

სალომეს გაეღიმა.

- მამიდებს არ ეწყინებათ...

- არც იღლოვას სწყენია, დავითმა რომ მის ქურუმს პური შეაწერა. ან კი რატომ უნდა სწყენოდა! გამოცდებსაც ხომ ფორმალურად აწყობს, თორემ განა უგამოცდოდ არ იცის, რა კუჭი ჩაუდგა და რა სული შთაბერა თავის ქმნილებას?! მაგრამ აქ სხვა რიგის გამოცდაა, რომელიც სულისა და კუჭის პრობლემას სცდება. ღირსება ცვალებადი სიდიდეა, როგორც მთვარე, თანაც მთვარისგან განსხვავებით მისი კლებისა და მატების პერიოდულობა დაუდგენელია. ბიბლიური დავითი არ ვიცი რას ირჩევდა, ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყო, მე კი ქურდობა მირჩევნია. თქვენი მამიდები იდეალისტები არიან?

სალომემ დაფიქრებით შეიჭმუხნა შუბლი.

- მე მგონი იდეალისტები არიან, - თქვა ყოყმანით, მერე უფრო მტკიცედ დასძინა, - კი, იდეალისტები არიან. რატომ მეკითხებით?

- იდეალისტების გაძარცვას სინდისი შედარებით იოლად ეგუება. მაშ წავიდეთ, იქნებ წყალი მაინც ვიშოვოთ.

წყალი ვიშოვეთ. მართალია მთელი საათი მომიხდა რიგში დგომა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვიშოვეთ. მათარა ავავსე და უკან, ჩვენი მანქანისკენ გავბრუნდით.

ვიდრე მანქანას მივაღწევდით, ორი ისეთი ეპიზოდი მოხდა, რომლებსაც არ ეგების დუმილით ავუარო გვერდი და არც ძალმიძს. პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ის იყო, რომ ნაცნობებს გადავეყარე, სანდრასა და კამბეჩას, თუ ვინმეს გაგიგონიათ. სულ ოცდაათიოდე მეტრი გვექნებოდა გამოვლილი წყაროდან წამოსულებს, რომ აქედან მე დავინახე და იქიდან იმათ დამინახეს. წინ სანდრა მოდიოდა; მხარზე, ჩვეულებისამებრ, ვიდეოკამერა ჰქონდა გადებული. უკან კამბეჩა მოიზლაზნებოდა და ხმადაბლა ზმუოდა.

მე სალომეს სასწრაფოდ და მაქსიმალურად პოპულარული ენით ავუხსენი, ამ ორ სულიერს - ისინი ჩემი ნაცნობები არიან - ერთი რომ მაჩვს ჩამოჰგავს და მეორე დათვს, გაადამიანების საკვალიფიკაციო კურსები ჯერ ბოლომდე არ ჩაუთავებია, რის გამოც ბუნების შვილებად უფრო გრძნობენ თავს, ვიდრე ბუნების გერებად, ქცევის წესებიც ბუნების წიაღში აქვთ ნასწავლი და არა საკვირაო სკოლაში, რაც მანდილოსნებთან ურთიერთობისას განსაკუთრებით თვალშისაცემია, ამიტომ, ორმხრივ უხერხული ვითარება რომ არ შეიქმნას, ისა სჯობს გზაშივე შევეგებო-მეთქი, და ასეც მოვიქეცი.

- აქეთ რა ქარმა გადმოგყარათ, ჩემო ტარტაროზისმიერო ძმებო? - ვიკითხე მე, - ან ვინ გამოგიშვათ ამოდენა გზაზე უმეთვალყუროდ? რატომ კაი ყმა არ გახლავთ თან?

- როგორ არ გვახლავს! - თქვა სანდრამ.

- გვახლავს, - კვერი დაუკრა კამბეჩამაც, - კაი ყმაც გვახლავს და აზამათ ლომგულიც.

- ნუთუ ისიც?

- ისიც. მანქანაში დარჩნენ...

- თქვენ რაღას გადმოხვედით! ხომ ხედავთ, ისედაც ყუაზეა დასული ეს საწყალი დედამიწა!

- შენ დედამიწის დარდი ნუ გექნება, ქაკ, - მიპასუხა სანდრამ და ვიღაც მანდილოსანს, რომელმაც სწორედ იმ წამს თიმთიმით ჩაგვიტარა გვერდით გრანდიოზული გორელიეფი, სწრაფად მიადევნა უკან ვიდეოკამერა. მერე ისევ მე მომიბრუნდა, - შენ დედამიწის დარდი ნუ გექნება. დედამიწას მწვანეები მიხედავენ. მწვანეებს თუ ფერი ეცვალათ, წითლები ხომ ჯერ კიდევ აქ არიან. წითლებს თუ მეხი დაეცათ, მეწამულები დაიჩეკებიან, მეწამულებმა თუ კუდი მოითხვარეს, შავები ჩაენაცვლებიან. შავები თუ გაზიზილპიპილდნენ, რაც ნაკლებ მოსალოდნელია, აქ არა ვართ?! ერთ წილ მწიფე ბოლოკისფერსა და ერთ წილ ღია სტაფილოსფერს ორ წილ მუქ შინდისფერში გავაზავებთ და იჩუხჩუხებს და იჩუხჩუხებს ასე ეს მაცთური ცხოვრება. გაიგე?

- კი. რთული იყო, მაგრამ თავს ძალა დავატანე და გავიგე.

- აი ხედავ, კამბეჩო? - ნიშნისმოგებით უთხრა სანდრამ, - გაიგო. კარგად დაიხსომე და ამ კასტის ძვირი მეორედ აღარ გამაგონო. არაფერი ხორცმეტები და... - აქ სიტყვა ერთბაშად შეწყვიტა, მარცხნივ შეტრიალდა, ორი ნახტომით გაჩნდა იმ ადგილას, სადაც მოხუცმა ქალმა და მოხუცმა კაცმა უეცრად გააფთრებით დაუშინეს ერთმანეთს მუშტები, და კამერა ჩართო. მერე, მოხუცები რომ კეთილმა ადამიანებმა გააშველეს და სხვადასხვა მხარეს წაასჩაქჩაქეს, უკანვე დაბრუნდა. - ზღვა მასალაა, - თქვა კმაყოფილმა, - დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღო, ქაკ. „საქართველოს ზნეობანი".

- მრავალსერიანი გადაიღე.

- მრავალსერიანს გადავიღებ. რამდენიმე სერიას ეს მასალაც ეყოფა. დროც საკმარისი მაქვს. ეტყობა კარგახანს არ ვაპირებთ აქედან ფეხის მოცვლას. თუ შენ სხვაგვარი ცნობა გაქვს?

- არა, არა, ნუ გეშინია, მაგრად ვდგევართ. ყოველ შემთხვევაში, ხვალ დილამდე შეგიძლია მშვიდად იმუშაო.

- მაინც რა მიზეზიაო?

- გველეშაპს დაუჭერია გვირაბი.

- აა!..

- სხვათა შორის, - ჩაერია კამბეჩა, - ჩემს ცხოვრებაში ჯერ რიკოთზე ღამე არ გამითევია. ხომ საკვირველია, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ამაღამდელი ღამე იქნება პირველი... შენ სად გიდგას კარავი, იაკო?

- ზემოთ, - თითით ვანიშნე.

- ვაკეში ყოფილხარ.

- სადა?

- ვაკეში. შენთან შედარებით ჩვენ ჩუღურეთში ვართ.

- აბა ჩუღურეთი?

- ქვემოთ, ქვემოთ, ქვემოთ. დასაკარგავში. შენ ეს გვითხარი: სასადილოში ხომ არ შეგივლია?

- შევიარე.

- არის რამე?

- არაფერი, რაც კი იყო, დაუტაცნიათ მოყვასთ, რომლებიც ჩვენ, თუ ნამუსიანი ქრისტიანები ვართ, საკუთარი თავივით უნდა გვიყვარდეს.

- მამულიშვილნო! - მსუბუქი საყვედურით შესძახა სანდრამ.

- დავმჯდარვართ მაშ კონიაკის დიეტაზე, - შეწუხდა კამბეჩა.

- არაფერი გიჭირთ, - ვუთხარი მე, - სულ სხვები შიმშილობენ, ერთხელ თქვენც იშიმშილეთ, თუ ვერ გაძლებთ და, წარსული გაიხსენეთ. აგერ ტყე და აგერ ნადირი. იარაღი ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვთ?

- იარაღის დანიშნულება ნადირის ხოცვა არ არის, - დიდაქტიკურად შენიშნა სანდრამ.

- ჭეშმარიტად მაღალფარისევლური მაქსიმაა. მაშ, ვიდრე გამორიცხვის მეთოდით დავადგენთ, თუ რა არის იარაღის დანიშნულება, მითხარით, სად მიდიხართ?

- რატომ დაგვცინი, იაკო? - თქვა კამბეჩამ, - ხომ ხედავ, ვდგევართ.

- თუ ვინიცობისაა დაიძარით?

- მაშინ ბაღდათის მიმართულებით წავალთ.

- სახიფათო გზა აგირჩევიათ, მწირებო. თუმცა ახლა უხიფათო რა არის... გაფრთხილდით მაინც: ყველა ქვევრში ნუ ჩარგავთ თავს. ის გიჟები მართლა გახლავთ?

- კი, - თქვა კამბეჩამ.

- ოთხივე რამ შეგყარათ ერთად, არ აფეთქდეთ გზაში.

- შენც წამო, იაკოპო; ხუთნი ვიქნებით.

- ექვსნი, - ჩაილაპარაკა სანდრამ.

სანდრას რეპლიკას მე ყური ავარიდე.

- ვერა, კამბეჩო.

- რატომ?

- სანაკლიოში მივდივარ. სანაკლიოში რომ მიდიხარ, ხომ იცი, გზიდან არ უნდა გადაუხვიო.

- ის უცხო შროშანიც თან მიგყავს? - სასხვათაშორისო კილოთი იკითხა სანდრამ.

- რომელი უცხო შროშანი? - შუბლი შევიკარი მე.

სანდრამ კამერა უხმოდ, მაგრამ დემონსტრაციულად დაუმიზნა სალომეს და ჩართო.

აქ ჩემდაუნებურად მეც გავხედე სალომეს. გავხედე დაეჭვებითა და სკეპტიკურად.

- საკუთარ სიბრიყვეს ნუ აჰყვები, სანდრავ! ეგ არც უცხოა და არც შროშანი.

- სოციალისტური რეალიზმის ყიყინავ! - მითხრა მან პასუხად, - აბა ვინ არის?

- ნათესავია.

ამაზე კამბეჩამ თავისი ცნობილი სიცილი ვეღარ შეიკავა.

- ბრავო! - მითხრა და ბეჭზე მოწონების ნიშნად დამკრა ხელი, - მაშ გვიამბე პაველდ გარდასახვის სასწაულებრივი ამბავი. აგვიხსენი, როგორ ხდება, რომ კაცი, რომელმაც უმწიკვლოდ განვლო ცხოვრების მთელი ნახევარი, უეცრად ნათესავების მეურვედ იქცევა?

- ტყუის, - თქვა სანდრამ, - და თუნდაც არ ტყუოდეს, - აქ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკამეროდ გახედა სალომეს, - თუნდაც მართლა ნათესავი იყოს ამისი, ვფიცავ სონისა და სანიოს ფირმებს, მაინც შროშანია.

- არ არის გასაკვირი, - შენიშნა კამბეჩამ, - ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ ნათესავიც შროშანია. უფრო იმათ თვალში, ვისი ნათესავიც არ არის.

- გეყოფათ! - ხელი ჩავიქნიე მე, - შროშანია და შროშანი იყოს. ბაღდათში რა გინდათ?

- ჩვენ არაფერი, - მიპასუხა კამბეჩამ, - კაი ყმას წამოვყევით.

- იმას რაღა უნდა?

- ეგ საიდუმლოა.

- რა არის საიდუმლო?! ის, რაც თქვენ იცით და ის, რაც აზამათ ლომგულმა იცის, საიდუმლოა?!

- შამათივით ლოგიკაა, - შენიშნა სანდრამ.

- შამათივით ლოგიკაა, - დაემოწმა კამბეჩაც და მე მომიბრუნდა, - კეთილი, იაკო, გეტყვით: კაი ყმა დასახლებას აპირებს ბაღდათში.

- ოღონდაც, თუ ძმა ხარ, - სასწრაფოდ ჩაერია სანდრა, რა დაინახა, რომ ყველაფერი, რაც გულში გავიელე, სახეზე აღმებეჭდა, - სიტყვების ჩამოთვლას ნუ დაიწყებ, ვიცით შენი ლექსიკური სიმდიდრის ამბავი და ისედაც გენდობით, თანაც ყველა სიტყვა და ყველა ფრთიანი თქმა - ცოტა შენც გვენდე - რასაც კი საქმე და ვითარება მოითხოვდა, უკვე ითქვა, თითო-თითოდ დავულაგეთ მაგიდაზე, მაგრამ არ გაჭრა. უნდა და რა ქნას! შეუყვარდა მიწა. აი შენც ხომ კინაღამ ნათესავები შეგიყვარდა. და თუ ახლა არ შეგყვარებია, ვინ არის თავდები, რომ მერე არ შეგიყვარდება! იქ, შორეულ ბაღდათში, კაი ყმას ბაბუამისის ნასახლარი ეგულება.

- ბებიამისისაც, - დააზუსტა კამბეჩამ.

- კი, - დაემოწმა სანდრა, - ბებიამისისაც.

- სიტყვა „აკუდული“ თუ ითქვა? - ვიკითხე მე, - ან სიტყვა „დასისტიქინება“.

- არა, თავი გაიქნია კამბეჩამ.

- მაშ, ჩაიხედეთ, მტრედებო, ლექსიკონში - არსებობს ასეთი წიგნი - და კარგად დააკვირდით, რას ნიშნავს „ყველაფერი“... ქანქარებო! სულ თქვენი ბრალია, კომუნისტებმა რომ ამდენ ხანს იბოგინეს! რა ქნას!.. რა მისი ბრალია, თუკი მიწა შეუყვარდა... ადრე სმა უყვარდა. სვამდა ყოველთვის, სვამდა ყველგან, სვამდა ყველაფერს, მათ შორის... მმდაჰ! მერე სულ რომ დალია, რაც იშოვა და რაც ჩაუვიდა, უცებ მიწა შეუყვარდა და ბაღდათი მოუნდა! ახლა მოგინდათ ბაღდათი?! ახლა მოგინდათ ბაბუათქვენისა და ბებიათქვენის ნასახლარები?!. კონიაკი რომელი გაქვთ?

- მიდკლასის, - ხელები გაშალა კამბეჩამ, - „ვარციხე“. ჩამოდი საღამოს. ჩამოხვალ?

- არ ვიცი. „ვარციხის“ გულისთვის ავან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს ვერ გავცემ.

- აკი გეუბნებოდი, კამბეჩო, ავანსებს ვერ გასცემს-მეთქი, - ცრუსაზეიმო კილოთი თქვა სანდრამ, - გახსოვს! ჯერ კიდევ შარშან ამ დროს გითხარი, ეგ ისეთი კაცია, გაის ამ დროს რომ რიკოთზე გადავეყაროთ, „ვარციხის“ გულისთვის ავანსებს ვერ გასცემს, მით უმეტეს, თუ მარტო არ იქნა-მეთქი? გახსოვს?.. წყალი თუ მაინც აიღე, ქაკ?

- ავიღე, - მაგრამ საათიანი რიგი დგას.

- ჩვენ ვიდეოკამერა გვაქვს.

- ასეა. ზოგს ნამუსი მისცა ღმერთმა, ზოგს ვიდეოკამერა.

- ფიი! - დაიღმიჭა სანდრა, - შენ რომ ელოლიავები, ეგ პატარა ნამუსია, რომელსაც, ვისაც დიდ ნამუსზე ხელი არ მიუწვდება - ჩემი თუ არ გჯერა ბიძაშენს ჰკითხე - ის ებღაუჭება. ჩვენი ბრძენი და თვინიერი ხალხი ვიდეოკამერას მოწიწებით უთმობს გზას. აბა, საღამოს გელოდებით.

- ვნახოთ. თუ ვერ ჩამოვედი, ნუ დამზარდებით და კაი ყმასა და აზამათ ლომგულს გადაეცით, რომ მათ შესახებ ისევ ის აზრი მაქვს, რაც ადრე მქონდა.

-გადავცემთ.

როდესაც უკან დავბრუნდი, სალომემ დაკვირვებით შემომხედა და შემეძლო სანაძლეოს ჩამოვსულიყავი, რომ გულში კიდევ ერთხელ რაღაც ისეთი გაივლო, რისი ხმამაღლა თქმისაგან მცირე ყოყმანის შემდეგ თავის შეკავება ამჯობინა.

მეორე ეპიზოდი - შედარებით უცნაური და დამაფიქრებელი (ვინ იცის, შემაშფოთებელიც კი) - გზის ბოლოში შეგვემთხვა, როცა ჩვენს მანქანამდე სულ ოციოდე სხვა მანქანაღა თუ იქნებოდა. ახლა აღარ მაგონდება - კაცმა რომ თქვას, არცა აქვს მნიშვნელობა - რატომ ვახსენეთ კიდევ ერთხელ შონია. გასაკვირი და უჩვეულო აქ ცხადია არაფერი ყოფილა, შონიას მაშინ ყველა ახსენებდა, მათ შორის ისინიც კი, ვინც უპირატესობას კვაშალს ანიჭებდა. ერთი სიტყვით, ლაპარაკი ისევ ჩამოვარდა შონიაზე და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც სალომე ხელახლა შეეცადა მისი პიროვნული არსებობის იდეა დაეცვა, ვუთხარი:

- რომც გამოჩნდეს რაიმე სახის ინდშონია, ამით მისი რეალური არსებობა მაინც ვერ დამტკიცდება. შეუთავსებლობა მეტისმეტად დიდია: რეალური შონია ჩვენი გულისთქმის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს და რეალურ მოთხოვნათა შესაბამის შონიას ჩვენი გულისთქმა ვერ შექმნის. ხოლო რა კალაპოტიც გულისთქმამ გაამზადა, იმაში რომ ადამიანის ჩამოსხმა მოვიწადინოთ, იმისთანა ურჩხული გამოგვივა, ფრანკენშტეინი ფიდიასად მოგეჩვენებათ. მაქსიმალურად ლოგიკური ფორმა, რომელიც აქ შონიას სახელით შეიძლება მოქმედებდეს, არის სალტე.

- სალტე?

- ან რაიმე მონათესავე ცნება. მარწუხი, ბორკილი, ყულფი, ალყა... ერთი სიტყვით, ისეთი რამ, რასაც შეუძლია შეგვკრას და შეგვბოჭოს, განსაკუთრებით - შეგვნივთოს.

- არა, - გაისმა ჩემს ზურგს უკან.

ჰაერის ტალღამ კეფაზე თმა შემირხია.

მართლაც, კაცი, რომელმაც ეს სიტყვა წარმოთქვა, ისეთი სიმაღლისა იყო და ისე ახლო იდგა, მის ბაგეთაგან წამოსული ჰაერის ტალღა სწორედ კეფაზე უნდა მომწვდენოდა. გრძელი და ხმელი სახე ჰქონდა, მაღალი, მოსული ცხვირი, დაღარული შუბლი, განიერი ნიკაპი, ცისფერი თვალები, წითური თმა და კამბეჩასავით ალალი ღიმილი.

- გარსი, - თქვა მან, მე და სალომე რომ მივუტრიალდით, - მაგრამ, გარსი არა როგორც სალტე, არა როგორც მარწუხი, არა როგორც ბორკილი, არა როგორც ყულფი და არა როგორც ალყა...

მე ერთხანს ცივად ვუყურე (სალომეს მზერა უფრო გაკვირვებულ ინტერესს გამოხატავდა). მერე ვკითხე:

- არამედ?

- არამედ ისეთი რამ, რის შიგნითაც მხოლოდ სულიერი არსებანი იგულისხმება.

- კერძოდ?

- ქერქი, ტყავი და კანი. - მსუყე ხმა ჰქონდა, დაჯერებული კილო და წარმოთქმის ცოტა გამაღიზიანებელი მანერა, თითქოს ცდილობდა ცალკეული სიტყვებისთვის თავისთავადი და დასრულებული მნიშვნელობა მიენიჭებინა, - თქვენს მიერ დადგენილი უპიროვნობის პრინციპი სწორია და თქვენ ამ ფერდობზე პირველი ხართ, ვინც ამ პრინციპს მიაგნო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა, - მაგრამ კონკრეტული თეორია კი, რომელიც ამ პრინციპიდან გამოიყვანეთ, კერძოდ, თეორია სალტისმაგვართა შესახებ, მცდარია. გულისთქმა არაცოცხალ არსს არ ქმნის. არაცოცხალი არსი ყოველდღიური მოხმარების სფეროა და იგი სხვა, უფრო მარტივი საშუალებებით იქმნება. გულისთქმა მხოლოდ ცოცხალ არსს დასტრიალებს და მისი დანიშნულება სიცოცხლის შექმნაა. ამიტომ საქმე გვაქვს არა სალტისმაგვართან, არამედ გარსისმაგვართან. გარსისმაგვარები კი ქერქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავი და კანია. თუ მცენარე იქმნება, ქერქი, თუ ცხოველი იქმნება, ტყავი, თუ ადამიანი იქმნება... მაგრამ გულისთქმა ღლესდღეობით ადამიანს ვერ შექმნის. თავდაპირველი ჩანაფიქრი და თეორიული მოდელი თვით იეღოვამ და სხვა, ამ დარგის სპეციალისტმა ღმერთებმაც კი ვერ შეინარჩუნეს. რაც იმათ გამოუვიდათ - აგერ, ერთად არიან მოგროვილი და შეხედეთ - მოდელთან შედარებით მხოლოდ ძალზე პირობითად და დიდი შეღავათით შეიძლება ადამიანად მოვიხსენიოთ. ეს მაშინ, როცა იმ თაობის ღმერთები, როგორც ცნობილია, მთელ გალაქტიკას მოიცავდნენ. ამგვარად, ადამიანი გამოირიცხა. რჩება მცენარე და ცხოველი. მცენარე შეგვიძლია ანალიზისა და კომენტარის გარეშეც უარვყოთ. მაშასადამე - ცხოველი. ოღონდ ეს ცხოველი ძალზე დაბალი განვითარებისა უნდა იყოს. ვთქვათ, ბაყაყი, ან ხვლიკი, თუმცა ეს ნაჩქარევი და, ამდენად, სათუო დასკვნაა. ერთი სიტყვით, გულისთქმამ თავის წიაღში წარმოქმნა ჩანასახი და სასრულოვნების ნიშნად ირგვლივ შემოაკრა გარსი, რომელსაც ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო აქ შონიას - ზოგჯერ კვამალს - უწოდებენ. თუმცა სახელდებას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რა შეიქმნა და რა დაიბადება, ან დაიბადება თუ არა საერთოდ ის, რაც შეიქმნა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ შეიძლება იმას ჰქონდეს, რამდენად იქნა გათვალისწინებული გვირაბის რეალური ზომები. გამორიცხული არაა, ჩვენი ასეთი დაყოვნების მიზეზი სწორედ ის იყოს, რომ გვირაბი ვიწროა და გარსში მოქცეული ჩვენი ერთიანობა იქ ვერ შეეტია. მე არ ვამტკიცებ, რომ ხვალ, ალიონზე, უეჭველად იძვრის მიწა, მაგრამ თუ იძრა, იცოდეთ ეს ნიშანი იქნება, რომელსაც ამოხსნა სჭირდება. რამდენ ხანში ამოიხსნება? ეს გახლავთ პირველი დიდი კითხვა. მართალია ზოგი კითხვას ასეც სვამს: ამოიხსნება თუ არა საერთოდ? მაგრამ ამას უმეტესად დილეტანტები სჩადიან. ასე რომ, იფიქრეთ, იმსჯელეთ, გაანალიზეთ. აი ჩემი სავიზიტო ბარათი, - ამ სიტყვებით მართლა ამოიღო ჯიბიდან სავიზიტო ბარათი - მუყაოს თეთრი, ქათქათა ნაჭერი, რომელზედაც ოქროსფერი წარწერა მოჩანდა - მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოეცა, ერთი შეატრიალა ხელში და ისევ ჯიბეში ჩაიდო, - ვიცი, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, ამიტომ არ გემშვიდობებით. - ესა თქვა, გატრიალდა და მალე ხალხისა და მანქანების ჭაობში ჩაიძირა.

სალომემ თვალი გააყოლა. მერე, უცნობი რომ გაქრა, დაფიქრებით თქვა:

- მგონი მართალი ხართ.

- რაზე ამბობთ?

- ცნობიერებაზე.

- რა თქმა უნდა, მართალი ვარ! - დაეჭვებული სიმხნევით მივუგე მე. საქმე ის არის, რომ იმ კაცის ცალფა და სწორხაზოვანმა პირდაპირობამ ჩემს თავდაჯერებაში გრძელი ლურსმანი ჩაასო და ზედ კითხვის ნიშანი დაჰკიდა, - მართალი კი ვარ, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეს კაცი შექანებული იყო?

სალომემ მხრები აიჩეჩა:

- არ ვიცი... ალბათ.

- ალბათ, მაგრამ არა დანამდვილებით. დანამდვილებით კი იქნებ სულაც არ არის შექანებული. და თუ არ არის... და რასაც ამბობს, ყველაფერს თუ ისეთი იდუმალი ხმა კარნახობს, რომელიც ჭეშმარიტებათა იმიერბიბლიოთეკაშია ჩაწერილი, ვთქვათ, აკაშას ქოხსამკითხველოში... თუ აქ მართლა რამე ერთიან ორგანიზმად შევნივთდით და შევთვისდით - აკი სულ იმას გაიძახით, ერთ მუშტად შევიკრათო - და ცოტა ხანში ბაყაყად ან ხვლიკად, გნებავთ, ნებისმიერ სხვა ამფიბიად ან ქვეწარმავლად, დავიბადეთ, მაშინ რაღა ვქნათ? რამდენი ხანი დაგვჭირდება, სანამ კვლავ ადამიანად ვიქცევით?.. განა ეს თავზარდამცემი პერსპექტივა არ არის?

- გვანცა და ირაკლი რა იქნენ? - გაკვირვებით იკითხა ამ დროს სალომემ.

გვანცა და ირაკლი არსად ჩანდნენ.

- იქნებ სადმე გაიარეს, - ვივარაუდე მე.

- ვითომ გაისეირნეს?

- დიახ. თუმცა, მართალი გითხრათ, მეეჭვება.

- მეც მეეჭვება.

- მე იმიტომ მეეჭვება, რომ აქ ორიენტირებად მეგულებოდნენ, რომელთა მეშვეობითაც მანქანისკენ გზას ვიგნებდი. თქვენ რატომღა გეეჭვებათ?

- იმიტომ რომ მანქანის მიტოვება ეძნელებოდათ.

- შეამჩნიეთ?

სალომემ მხრები აიჩეჩა.

- რა შემჩნევა უნდოდა!

- მაშასადამე, სასეირნოდ არ წასულან. აუცილებელ საქმეზე წავიდნენ.

- ალბათ.

- მაგრამ თუ მანქანის მიტოვება ეძნელებოდათ, ხომ შეეძლოთ თითო-თითოდ წასულიყვნენ?

- ჩანს, მანქანის მიტოვებაზე მეტად ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთის მიტოვება ეძნელებოდათ.

მეც ასე ვფიქრობდი.

ახლა კი, ვიდრე აუდიორუქის მომდევნო ფრაგმენტს წარმოგიდგენდეთ, ერთხელაც მოვავლოთ თვალი გარემოს.

ნაშუადღევს არემარე ღრუბლებმა დაფარა. ღრუბლები ოთხივე მხრიდან წამოვიდნენ, ზედ რიკოთის თავზე შეერთდნენ, ნელ-ნელა დაბლა დაეშვნენ და ფერდობს მხატვრული გუმბათივით ჩამოემხნენ. მე მეგონა, ამას აგრილება მოჰყვებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ღრუბლები ჯერ შემჭიდროვდნენ, დამძიმდნენ და ჰაერის მოძრაობა გააძნელეს, მერე თანდათან ჩახურდნენ და ბოლოს ისეთი სუბიექტური სიცხე ჩამოწვა, რომელიც ბუნებისა და გეოგრაფიის არანაირ ადგილობრივ მონაცემებს - არც მდებარეობას, არც სიმაღლეს, არც წელიწადის დროს - ანგარიშს არ უწევდა. სალომემ პალტო გაიხადა. გვანცა და ირაკლი არ ჩანდნენ. ფერდობზე ზუზუნი იდგა. დროდადრო სროლის შორეული ხმა ისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ სიცხესა და ზუზუნს სუნიც დაემატა. თავიდან ეს ოფლიან სხეულზე მოპკურებული ოდეკოლონის სუნს ჰგავდა, მერე და მერე გახრწნილ მძორზე მოპკურებული ოდეკოლონის სუნს დაემსგავსა. ადამიანი, მოგეხსენებათ, ყველაფერს ეჩვევა, მაგრამ ვიდრე შეჩვევის მექანიზმი ამუშავდებოდა, მე და სალომემ გადავწყვიტეთ ტყეში შევსულიყავით, რათა სუნს შეძლებისდაგვარად გავრიდებოდით. მალე დავრწმუნდით, რომ ეს ამაო მცდელობა იყო, ვინაიდან ტყეშიც ისევე იდგა სუნი, როგორც ტრასაზე. საბოლოოდ ამ პატარა ექსკურსიის მთავარი შედეგი ის აღმოჩნდა, რომ იმ მაღალსა და დილცხვირა მოაზროვნეს კიდევ ერთხელ შევხვდით (აკი იწინასწარმეტყველა კიდეც): ტყის პირას, ერთი დიდი რცხილის ძირში აუდიტორია ეშოვა და გულმოდგინედ, ენერგიულად, სრული დატვირთვით მოძღვრავდა. ეტყობა სწორედ ამ პროფესიული გულმოდგინების გამო მომეჩვენა, თითქოს კი არავის მოძღვრავდა, არამედ მანქანის ბორბალი დაჩუტოდა და იმას ბერავდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ხელით გვანიშნა, ახლო მოდით, რასაც ამ ხალხს ვეუბნები, ამის მოსმენა არც თქვენ გაწყენთო. ჩვენც მივედით. მისი ვარაუდით იმიტომ მივედით, რომ არ შეგვეძლო არ მივსულიყავით, ჩემი ვარაუდით იმიტომ მივედით, რომ სხვა უფრო საშური საქმე არაფერი გვქონდა, ხოლო სინამდვილეში (უკაცრავად პასუხია) არავინ იცის, ან თვითონ ვის ჩანაფიქრს ასრულებდა როცა მიგვიხმო, ან ჩვენ ვის ჩანაფიქრს ვასრულებდით, როცა დავემორჩილეთ. აუდიტორიას რომ შევუერთდით, მან თავი დაგვიქნია, რითაც კმაყოფილება გამოხატა ჩვენი თვინიერი ხასიათის გამო. სიტყვა არ გაუწყვეტია. სიტყვა განაგრძო და, კერძოდ, განაგრძო ასე:

- ...ხსენებული სისტემა სქემატურად შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვხატოთ: მცენარე-ცხოველი-ადამიანი-ღმერთი. როგორც ხედავთ, ეს ერთიანი და უწყვეტი სისტემაა და საყოველთაოდ მიღებული მოდელისგან განსხვავებით ღმერთს სისტემაში გულისხმობს და არა სისტემის გარეთ. საქმე ის გახლავთ, რომ, როდესაც ზევსი, იეღოვა და იმ თაობის სხვა ღმერთები ჰომო საპიენსის კონცეფციას ამუშავებდნენ, თვითონ განვითარების ისეთ დონეზე იდგნენ, რომ ცალი ფეხი ჯერ კიდევ ლოგიკის ხელოვნურ ნიადაგში ედგათ, ისევე როგორც ჩვენ, ამ კონცეფციის ნაყოფთ, ცალი ფეხი ჯერ კიდევ ინსტინქტის ბუნებრივ ნიადაგში გვიდგას. ამ ევოლუციური ხიდის წყალობით ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის იოლი იყო და საფიქრებელია ზეპირგადმოცემებშიც და წერილობით წყაროებშიც ეს ურთიერთობა ძირითადად სწორად არის ასახული. ღმერთი ადამიანს თავის ახლობლად, ნათესავად, მოძმედ, მსახურად და მეგობრად მიიჩნევდა და, თუ ისე არ გაცეცხლდებოდა, რომ გონს გადასულიყო, როგორც წესი, არ მტრობდა. ეს ურთიერთობა მოგვაგონებს ურთიერთობას ადამიანსა და მაღალგანვითარებულ ცხოველს შორის. მაღალგანვითარებულ ცხოველს ადამიანი დაბალგანვითარებულ ნათესავად თვლის: უყვარს, ებრალება, თანაუგრძნობს, მოსაკლავად არ ემეტება. დააკვირდით, რა იოლად კლავთ მწერს და როგორ გიჭირთ მაიმუნის მოკვლა. მართლა გიჭირთ. ეს ფარისევლობა არ არის. ფარისევლობა ცხოველთა დაცვის საზოგადოებებია. ცხოველთა დაცვის საზოგადოებები ფარისევლობის გარდა დინამიური ანაქრონიზმიცაა და ეს უფრო ნიშანდობლივი თვისებაა: რაც უფრო მაღლა მიიწევს ადამიანი ცივილიზაციის აღმართში, მით უფრო ნაკლები ემოციური კავშირი აქვს ცხოველთან. ასევე ვითარდება ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობაც. ზემოხსენებული ტიპის - ვუწოდოთ მას ზევსური, რადგან „იეღოვური“ ქლერადობით ჩამოუვარდება - ღმერთების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და მალე ღმერთების ახალი თაობა მოვიდა, რომელიც სავსებით თავისუფალი იყო ლოგიკური აზროვნებისაგან და მატერიალური ნიშნებიც მთლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნად ჩამობერტყილი ჰქონდა, რის გამოც ადამიანს, რომელსაც უკვე თვისობრივად გაემიჯნა, სულ სხვა თვალით უყურებს. ამ მზერაში სიყვარული, სიბრალული, თანაგრძნობა, საერთოდ, ემოცია აღარ არის. ამ თაობის ღმერთებისათვის ადამიანი უცხო არსებაა, რომელშიაც ხედავენ მხოლოდ ცივ, მშრალ დანიშნულებას და ვერაფერს ხედავენ გარდა ცივი, მშრალი დანიშნულებისა. ისევ იმ შედარებას რომ მივუბრუნდეთ, რომელმაც ერთხელ უკვე გაგვიწია სამსახური, თუ ძველი ღმერთი ისე შეეფარდებოდა ადამიანს, როგორც ადამიანი მაიმუნს, ახალი ღმერთი უკვე ისე შეეფარდება ადამიანს, როგორც ადამიანი ქინქლას.

როდესაც მან ქადაგება დაასრულა, მე და სალომე, რა დავრწმუნდით, სუნს, რომელსაც უკვე მთელი ფერდობი გაექლინთა, თავს ვერ დავაღწევდით, უკანვე დავბრუნდით. გვანცა და ირაკლი ჯერაც არ ჩანდნენ, რაც თანდათან განყენებულსა და ბუნდოვან, მაგრამ შემაშფოთებელ ეჭვებს ბადებდა.

საგვირაბო პრობლემებისა ახალი აღარაფერი გაგვიგია. სადღაც, ზედა სფეროებში ეტყობა ვერსიების რიცხვი, ისევე როგორც ყველაფერი სხვა, მკაცრადაა განსაზღვრული. ყოველ შემთხვევაში, ირგვლივ მხოლოდ ძველი თემები ტრიალებდა, რომლებიც მართალია შიგადაშიგ ცალკეული განსხვავებული ნიუანსებით კი ივსებოდნენ, რითაც ვარიაციულ სიმრავლეს ქმნიდნენ, მაგრამ პირნციპულად და არსებითად ახალი აღარაფერი აღმოცენებულა. მიუხედავად ამისა, ერთი გამგზავრება კიდევ გავემგზავრე გვირაბის მიმართულებით. სალომეც თან წამომყვა. სამწუხაროდ, ამჯერად არათუ გვირაბამდე, პირველი მოგზაურობის უკანასკნელ პუნქტამდეც ვერ მივედით. ნახევარი გზა არ გვექნებოდა გავლილი, როდესაც იძულებული შევიქენით შემდგომ წინსვლაზე ხელი აგვეღო: სიმჭიდროვეც მეტი იყო აქეთ, ხმაურიც და სუნიც.

(გაგრძელება იქნება)







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ ლობჟანიძე



## რიონს

ჩემი ბავშვობის დღეები შენ გაიყოლე
და შერთე ზღვას,
სადაც ისინი ანც ტალღებად იქცნენ,
რომლებიც დღე და ღამ ერთმანეთს ეთამაშებიან.
ალბათ, ამიტომ მიყვარს ზღვა,
ალბათ, ამიტომ ვგრძნობ მის სუნთქვას.
და როდესაც ზღვაზე მზის ჩასვლას ვუყურებ,
ყოველთვის ბავშვობა მაგონდება
და გული ტკბილ-მწარე ნაღველით მევსება.

ეს ჩემი დაძარღვული და შენსავით მოქნილი
სხეული
შენ მისახსოვრე.
გახსოვს, პატარა ბავშვს როგორ მეუბნებოდი:
აბა, აქ ყველაზე ღრმა და მძაფრი შხიროდია,
თუ ვაჟკაცი ხარ შემეჭიდე, ბრძოლაში გიწვევ.
შენ, რა თქმა უნდა, მზრდიდი და მეალერსებოდი...
მეც რამდენჯერ მიგრძვნია გამარჯვების ჟინი –
როცა კალმახივით მოქნილი, ტანზე
შხეფებდაყრილი
შევკივლებდი შენი სიგრილით ამწვანებულ ტყეს
და მერე დიდხანს ვუსმენდი
ბუმბერაზ მთებში გამომწყვდეულ ჩემი ხმის ექოს...
ახლა მე ვიცი, რომ წაფორხილებას და ჭუჭყში
დაცემას
არ მაპატიებ
და მეც ვიბრძვი, ვებრძვი ჩემს თავს...

სევდაც ხომ შენგან გამომყვა.
შემოდგომაზე დამცხრალი და მუქი ცისფერი
სიზმარივით მიედინები...
ისე სევდიანად მიუყვები გაყვითლებულ,
ჩამომჭკნარ ტყისპირს,
რომ გული ტკივილით მეწურება.
მდინარის პირას მცხოვრებ ხალხს გვაქვს,
ალბათ, ასეთი სევდიანი თვალები...
ვუყურებთ შენს დინებას და ვფიქრობთ:
ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი მიმდინარეა...
დრო მდინარესავით მიედინება
და ავსებს დროის ქვაბურს, –
როგორც რიონი ზღვას...
ჩემი ბავშვობის დღეები შენ გაიყოლე
და შერთე ზღვას,
სადაც ისინი ანც ტალღებად იქცნენ,
რომლებიც დღე და ღამ ერთმანეთს ეთამაშებიან, –
ალბათ, ამიტომ მიყვარს ზღვა,
ალბათ, ამიტომ ვგრძნობ მის სუნთქვას და სუნს...

* * *

პოეტო,
შენ ზედ-მეტი ხარ!
ან უნდა გადაიფხიკო,
ან უნდა გაშალაშინდე,
რათა ზედაპირი გასწორდეს...
ნაფხეკ-ბურბუშელას
ან ნაგავში ჩაყრიან,
ან ცეცხლში დასწვავენ...
ერთხანს შენს ადგილას
ღია ფერის ლაქა იქნება,
მერე და მერე
მას ცხოვრება გააშავებს...

უფალო,
მარადიულ თავგანწირვას რომ მთხოვ,
შევძლებ?..

* * *

მტკივნეულია, მაგრამ
დროა შეეჩვიო იმ აზრს,
რომ ყველაფერს შენი ხელით
ვერ გააკეთებ...
ყველას თხოვნას
ვერ შეუსრულებ
და ვერ დაეხმარები...
მაშინ ღმერთკაცი უნდა იყო...
შენ კი,
მხოლოდ პოეტად გაგაჩინა უფალმა...

* * *

რატომ გაგვწირეს
სამუდამო პატიმრობისთვის,
რა დავაშავეთ ნეტავ ასეთი?!..
ან სხვა სასჯელი მათ არ იციან?..
მე რა ბრალი მაქვს
რატომ არ ვიცი?!
მითხარით მაინც...

* * *

დილით თვალები არც კი მქონდა გახელილი,
დედამ მითხრა:
- სიზმარს თუ რამე დაეჯერება,
რუსეთში ისევ კომუნისტები მობრუნდებიან
უსისხლოდ!..
(კომუნისტები და უსისხლოდ?!)
- და ჩვენთანაც არეულობა იქნება...
ღმერთმა ნუ ქნას!!!
მაგრამ...
ო, როგორ მაინტერესებს! -
ერის სისხლში კიდევ ვინ შეიღებავს ხელებს!..
რომელი ქართველი შეიცვლის
კიდევ ერთხელ პერანგს?!..

## ხეებს, რომლებიც მოჭრას გადარჩნენ...

მე როგორ ველოდი და
თქვენ როგორღა
დაელოდებოდით
ამხელა ზამთრის გასვლას?..
წელსაც გადავრჩით:
ხომ კარგად გესმით
ტყის სიღრმიდან
გაბმული გუგუ?..

* * *

კაცი გულიანად რომ იცინებს
და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდება...
მერე კი უცბად მოიღუშება
(ნეტავი ამ ხნის კაცს ასე რა აცინებსო!)
და იტყვის:
ეს რამდენი მივლია,
რამდენი მილაპარაკია,
ფიქრით კი...
არც კი მიფიქრიაო!
სწორედ ასეა ბუნება მოღუშული
და ჩაფიქრებული
მხიარული, მზიანი ზაფხულის შემდეგ...

## მამებს უფროსი შვილები მარხავენ

„კეთილშობილი მამა გყავდა, არისტოკრატი,
მე ვენაცვალე მის ლამაზ სულს და მის კაცობას".
მისი ყრმობის მეგობარი ცრემლებს იწმენდს და,
დაფიქრებულს, ოდნავ შემთვრალი,
მოსიყვარულე თვალებით გიყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაც ასეთი თვალებით გიყურებს
შავი მარმარილოს სვეტიდან...
სიმკაცრედაკარგული, ნაღვლიანი თვალებით,
სადაც დუმილი და საყვედური
უთქმელად ჰღაღადებენ მის მარტოსულობას!

თუმცა თორმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ,
რაც ის სამუდამო სამყოფელში გადასახლდა...
და, მაინც, დღემდე გაკვირვებს ის ერთადერთი
და განუმეორებელი გრძნობა, რომელიც მისი
დაკრძალვის დროს განიცადე.
ტკივილი რომ მოგადგა, ამაზე საუბარიც არ ღირს:
მღელვარებისგან ხმა დაკარგე,
ხორხიდან ბგერების მაგივრად ხავილიდა
ამოგდიოდა
და შენ რომ გეგონა, ცხოვრებაში რაღამ უნდა
ამატიროსო, ტიროდი და მერე როგორ...
დასჯილი ბავშვივით ბლუქუნებდი და აღარც
თვალებზე მომდგარი ცრემლების გრცხვენოდა...

მაგრამ ტკივილზე მეტად შენ სხვა რამე გაწუხებდა,
ხოლო მისი გამხელა საკუთარი თავისთვისაც კი
გეხამუშებოდა
და შესარბილებლად ამ გრძნობას
*მწუხარებით ბედნიერება* დაარქვი!
შენ აღტაცება დაგეუფლა!
რამ აღგიტაცა?! თავისუფლებამ?!..
მამის შემდეგ ოჯახში ხომ შენ რჩებოდი უფროსი
მამრი?..
მაგრამ შენ ხომ უფლისწული არ ყოფილხარ?..
მაშ რა იყო ის *მონდომება*, რაც შენ მანამდე
და მის მერეც აღარ გიგრძვნია?
და რასაც ბრძენი-ჭირსა შიგან გამაგრებად -
იტყვის?

მამამ სიკვდილით *საქმე განახა* ამ ქვეყანაზე:
შენ *სიკვდილს ემსახურებოდი* და გრძნობდი,
რომ თავს კი არ იტყუებდი, არამედ გულით
ყველაზე
*ღირსეულ* საქმეს აკეთებდი და ეს შენ ძალას
გმატებდა.
მწუხარებამ შენ *გაგაადამიანა* -
შენს დასახმარებლად მოსული ხალხის გვერდით
თავს ზედმეტად აღარ თვლიდი...
და შენში გაცხადდა სიტყვის არსი:
„პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა“...
შენ თვალთმაქცობა არ გჭირდებოდა შენი
მწუხარებისთვის -
შენ *მწუხარებით ბედნიერი* იყავი...
და ასევე გაცხადდა,
რომ ამაოება არ ყოფილა წუთისოფელი,
რომ ამდენხანს ტყუილუბრალოდ არ გიცხოვრია
დედამიწაზე...



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამირან ხაბაზი

## იყიდება სახლი

ვით მონათა ბაზარზე
ყელს შებმული საბლით,
ერთ სოფელში ერთ ალაგას,
იყიდება სახლი.

იყიდება წაბლის სახლი,
მიწით, ტყით და საყანით,
შეთვალული ვენახით
და ყანების ღალანით.

უძინარი ბუხრებით,
ყავისფერი ძელებით,
ხარატულზე დარჩენილი
დედის თბილი ხელებით.

იყიდება ოდა-სახლი,
ავსებული ჩურჩულით,
მუხლმოყრილი ჭადრებით,
ატირებულ ურმულით.

ეზოთი და კოინდრით,
ხე-ხილით და დაფნარით,
მტერითა და მოყვარით,
ყორითა და საფლავით.

იყიდება ოდა-სახლი
აქარებულ ტყემლებით,
ცხელ ღადარში ჩაცვენილი
მარგალიტის ცრემლებით.

გამოჰყევით ამ ავტობუსს,
ამ გზებსა და იმ ხიდებს,
იყიდება ოდა-სახლი,
შესძელით და იყიდეთ.

## ჩემი გვარის ქალი საფლავიდან

უცხო სოფელში, საფლავზე,
ქვას გასჩენოდა ბზარი,
შემომეფეთა შავქვაზე,
ჩემი ჯილაგის გვარი.

სხვას ვაცილებდი იმ დღით,
ჩუმი ცრემლ-წვიმის ღვარით,
საიდან, ნეტა საიდან,
აქ ჩემი გვარის ქალი.

ვინ იქნებოდა, - ტრფიალი
ბაღჩა-ბოსტნის და ყანის,
დედა, მეუღლე ერთგული,
ერთი ქართველი ქალი.

შეიძრებოდა სოფელი,
„ხირიმს" დაცლიდნენ კართან,
სამჯერ ბიჭიო ეტყოდნენ,
ჩაუგორებდნენ კალთას.

სამჯერ გოგოო ეტყოდნენ,
წამწამს დახრიდა მორცხვად,
გააყოლებდნენ მზითვად,
სადღეგრძელოს და ლოცვას.

ხელებს უწვავდა მჭადი
და ნაპერწკალი კაბას,
ღამეში სამჯერ ქმარ-შვილს,
გაუსწორებდა საბანს.

მამლის ყივილის მერე,
ტუჩზე ვარდების ფერით,
ქმარის მკლავებზე თმების,
გადიქცეოდა ჩქერით.

უცხო სოფელში, საფლავზე,
ქვას გასჩენოდა ბზარი,
შემომეფეთა შავქვაზე
ჩემი ჯილაგის გვარი.

## თეთრი ცხენები

მდინარის პირას სვენებ-სვენებით
ძოვენ სიმწვანეს თეთრი ცხენები.
წართმიათ თითქოს ნიჭი ჭენების,
ძოვენ სიმწვანეს თეთრი ცხენები.

ღელავს ნიავზე ფაფარ-ფიორი
და მათ თვალებში მოჩანს ივლისი...
არ დაუფლოქავთ ვითომ დიდგორი,
არ დაუტორავთ თითქოს თბილისი...

## ქართული აივნები

საქართველოს აივნები,
რიკულებში ავაზებით,
მთვარისხელა დაირებით
გადმომდგარი ლამაზებით.

მთვარე მოდგა აივანთან,
ირმებიან ორბებიანს,
თუ დაირა დაუვარდა,
თვით მაიკო ორბელიანს.

ჩამოშლილან ფარდაგები
გაფრენილი წეროებით,
თუ ჭაბუკნი თვალადები
ცალს უხმობენ ჩეროებით.

ჰოი, რამდენ ქალამავას
ქრუანტელი აიტანდა,
როცა ნეფე შავულვაშა
მოდგებოდა აივანთან.

დუდუკებით ანათრთოლო,
არ მომკვდარხარ, ღამევ, ჯერაც,
ო, რამდენი კაბის ბოლო
მაღალ კიბეს მიეფერა.

ჭავჭავაძის სახლის ბანით,
ვაჩნაძიანთ აივანთა,
ო, რამდენი ლამაზმანი,
შთავიდა და დაივანა...

არ ჩაქრება არცა როდის
ვარდის ჭავლთა ამო სუნი,
რიკულებზე ვარდის ტოტი,
მიჯნურივით ამოსული...

მზის ამოსვლა, გაზაფხული
და წკრიალი დაირითა
და სამყარო დანახული
ამ ქართული აივნიდან.

განა მარტო სტუმარს ვუხმობთ,
ბანდაბან და აივნიდან,
მზეც შემოდის სახლში უხმოდ
მოწკრიალე დაირითა...

საქართველოს აივნები,
რიკულებში ავაზებით,
მთვარისხელა დაირებით,
გადმომდგარი ლამაზებით.

## ყივიან ფარშავანგები

ისევ გეძებენ ჩემი თვალები
მაისის ფერთა ფერად თავშლებში,
იაგუნდებით, ძოწით, ლალებით
ისევ ყივიან ფარშავანგები.

გარეგან მშვიდი, სულით მღელვარი,
თვალთისრებს ვისვრი წარბების მშვილდით,
როგორც ცახცახა ბალახის ღერი,
ქარვის ჭალების სიმღერას ვმღერი.

მესმის სამეფო ჰანგის ზანზარი,
მეღება გულის ალაყაფები,
მოდის მაისი, როგორც სარდალი,
ზურმუხტისფერი მოსასხამებით.

## ვიოლონჩელოს

ვიოლონჩელოს, ქალბატონს ოდეს
მეფის ბრძანებით მოკვეთეს თავი,
სულის ქვითინად გაუბეს სიმი
და თეძოსავსე დაჰმოსეს შავით.
არ აპატია ღალატი მეფემ
თავის საწოლში ეროხის ტერფი,

ეროვნული ბიბლიოთეკა


მოვიდა დილით ჯალათი ხანჯლით
და აღასრულა სურვილი მეფის.
დააქვთ მას მერე
ის ქუჩა-ქუჩა,
ვინც სიყვარული
გაცვალა ურჩად...
გადასდის ორკესტრს მუსიკის ღვარი,
გაიხდის იგიც ძაძისფერ კაბას
და ყვება ცრემლით, თქრიალა
ცრემლით,
სიყვარულის და ღალატის ამბავს.

## მთის პოეზია

ჩამომიტანა გუშინწინ
მთიელმა ლექსნი მთისანი,
შევხედე კაცს და გულში ვთქვი:
ა, ბიძავ, კაცი ხიხანი!

ზრდილი სიმორცხვით იწვოდა,
ტკბილი ქართული იცოდა,
ზრდილად ბატონი მიწოდა
და ლექსი გამომიწოდა.

მაგრამ ვაი, რომ ლექსები,
სიტყვა ხიხანის ხნისანი,
სულ სხვისგან დანასესხები,
არ იყო ქრქოლა მთისანი.

მერე, ნატურმორტ-ნახატი,
ნატურა, განა ქაღალდი,
ამოალაგა ცახცახით,
ქართული მიწის ღალადი:

ვაშლები - ლოყა თამარის,
თხილი - თითები ყამარის,
ქლიავი - თვალნი დავარის...

სულ მისი მოწეულები
(იწვოდა ბროწეულივით).
აღვიქვით ეს მოქმედება:
ქრთამად მოგვართვა შემოქმედება:

ვაშლები - ლოყა თამარის,
თხილი - თითები ყამარის,
ქლიავი - თვალნი დავარის...

გულში გაცავწყრი, არც რა ვთქვი,
კაცო მთიელო, ვინა ხარ!
რა პოეზიას თვალთ მაყრი,
რა ლექსს ჩანთაში ინახავ!

## ზოგი გულს ითხოვს

თუ აღმართებზე ფეხი დამიცდა
და არ მეღირსა წუთი მზიერი,
ყველა ოცნება ჩემი დამიწდა,
ჩემსმიერი და შენისმიერი,

მე მოვადგები გლახის იერით
განათებულებს ჭიშკრებს მთოვარით,
ვით გილიოტინას რობესპიერი,
ხელგაშვერილი, ვით მათხოვარი.

სად არის შენი მესასთუმლე,
ალბათ, დღეებად სიყვარულს ფანტავს,
დღენი წასულან, ღმერთო, რა მალე,
მარტი ჰყვაოდა თუ შენი ფატა.

ჩვენს შორის საზღვრად უკვე დრო არი,
დარეკავს ზარი, გამოხვალ თვითონ,
ჭიშართან ნახო თუ მათხოვარი,
ფულს ნუ ჩაუდებ, ზოგი გულს ითხოვს.

## დროის მოკვლის მიზნით

არც დენთით და ტყვიით,
არც ისრით და გილზით,
დროს თვითონვე ჩვენ ვკლავთ,
დროის მოკვლის მიზნით.

ხან ჭადრებთან ვიცდით,
ხან ლურჯი ტყის იქით
და ვბერდებით თვითონ,
დროის მოკვლის ფიქრით.

ის კი, მოწიკწიკე,
კაკალ გულში გვიზის
და თვითონვე ვკვდებით,
დროის მოკვლის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ციცი გურიელი

## სოფელა

ის ადგილი გეოგრაფიულ რუკაზე არაფრით გამოირჩეოდა, ჩვეულებრივი ადგილი იყო, სახელიც ჰქონდა და წარმოშობაც; ახალმა თაობამ არ იცოდა, თორემ ძველებს მისი დამაარსებლის ავანჩავანიც და ამბავიც სცოდნიათ.

ერთი პატარა სოფელი იყო. აქეთ-იქიდანაც თავისნაირ სოფლებშუა მოქცეული. ლარივით სწორი გზა ზედ შუაზე ჰყოფდა სოფელს და, აქედან გამომდინარე, მაცხოვრებლებიც ასე ირქმევდნენ - შარასზედაუბნელი და შარასქვედაუბნელიო.

მშრომელი იყო სოფელი. თითო-ოროლა უქნარაც გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ ეგეთებს გახარება არ ეწერათ... ვენახები და ნაკვეთები ორივე უბნელებს სოფლის ბოლოში ჰქონდათ და ყველანი იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს: ზოგი იქ მიმავალი, ზოგი იქიდან მომავალი, ზოგნიც კიდევ ადგილზე დამხვდომები. ზოგი თესავდა, ზოგი ხნავდა, ზოგი ნიადაგს აპოხიერებდა, სხლავდა... ვინ თხოვდებოდა, ვინ ვის ჰყვარობდა, ვის ქმარი ღალატობდა, ვინ კვდებოდა, ვინ რჩებოდა, ვინ ინათლებოდა და ვინ პატიოსნდებოდა, ყველაფერს სოფლის ბოლოზე გებულობდა ხალხი. აბა, მთელი დღე, სისხამ დილიდან გასულები საღამომდე, იქ იყვნენ და შინ მისულებს, დაღლილ-გასავათებულებს, რაღა ეჭორავებოდათ. მაგრამ ჭორიკანობამ შეყვარება იცის, ჰოდა, ჭორაობაზე შეყვარებულები მაინც გამოდიოდნენ გარეთ, სახლების წინ სკამებზე დაეყრებოდნენ მუშაობით გახურებული ხელ-ფეხითა და ჭორაობით იწყებდნენ ენის ლესვა-გახურებას. ასე რომ მაინც არ ეპარებოდათ არც შარასზედა უბნისა და არც შარასქვედა უბნის ცინცხალ-ცინცხალი ამბები. ერთ ამბავს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს - მესამე, იდგა ერთი ვაი-ვიში და „უი, ქაა!“

- მიტუას ბიჭს აქესენტაანთ გოგო შეჰყვარებიაო!

- მერე, მერეო, ეგ როგორ იქნება, მიტუა და აქესენტა სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულებიო...

- შენ არხეინად იყავი, სიყვარული ისეთი რამეა, რაღას იზამენ, შერიგდებიანო...

შიგადაშიგ ჩუმდებოდნენ, ისვენებდნენ, ნათქვამს გონებით წონიდნენ და შარაზე ამვლელჩამვლელს პრაწვით აყოლებდნენ თვალებს.

- აგე, აგე, ცალუღელაანთ ციალამ ჩაიარა, ერთი გახედეთ, როგორი გავის ქნევით მიდის, აი, მეხი კი დაგეცეს მაგ გასივებულ თავზე. წლისთავი ჯერ არ გადაუხდია და უკვე შეფერადებულა... მაშ ეგეთი პატივისცემის ღირსი იყო საწყალი მიხაკო?..

ამასობაში თანდათან მატულობდა მეჭორიკნეთა რიცხვი და ჭორაობაც ისეთი გაცხოველებული მიდიოდა, რომ იძაურობას ბუღი ასდიოდა... ეშხში შესვლა მაშინ იწყებოდა, არენაზე კაცელაანთ ნატუა რომ გამოჩნდებოდა.

- მოდი, ნატუა, მოდი, სადა ხარ აქამდე? - გაიწ-გამოიწევდნენ თეძოსქელი ქალები და ძვალტყავა ნატუაც რბილად ჩაეკვეხებოდა ხოლმე საქაქანოდ.

ნატუა ერთი უკეთილშობილესი, უპატიოსნესი, უშებერტყილესი, უკაპასესი და უმშვიდესი ქვრივი იყო. მოკლედ, - კომბალთან კომბალი იყო, წკეპლასთან წკეპლა, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, მგელთან მგელი, ბეჩავთან ბეჩავი და არც არავინ მოიძებნებოდა მისი დამჩაგრავი, შემგინებელი, მომტყუებელი, გამქილიკებელი...

სოფელი სიყვარულით სოფელას ეძახდა; სოფელა ძალიან ადრე დაქვრივებულა. თავის დროზე ისეთი გოგო ყოფილა, მზეს ეუბნებოდა თურმე - მე უფრო კარგად ვანათებ, შენ ნუღარ ამოხვალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქმრად ისეთი ბიჭი ჰყოლია - ისა და მთელი სოფელი! კაცური კაცი, ვაჟკაცი, ხელგაშლილი მასპინძელი, გამტანი, ოჯახის მოყვარული. ისეთი გაცინება სოფელში არავის სცოდნია, ალალი, ნამდვილი, სუფთა და უბოროტო კაცი ყოფილა. ის რომ ღვინოს დაწურავდა, სოფელი ხარობდა - კაცელაანთ დათიამ ქვევრები დაავსოო! - იცოდნენ, რომ ისევ იმათთვის უნდა დაცლილიყო, ისევ იმათით უნდა გაეხარა დათიას, ჭირი იყო თუ ლხინი სოფელში, ყველა სუფრაზე დათიას ღვინო ისმეოდა... მერე ომი დაწყებულა და ჯარში გაუწვევიათ. პირველ წელსვე მოსვლია ნატუას შავი ფურცელი... გაგიჟებულა, თავი უნდა დავიხრჩოო და მდინარისკენ გაქანებულა. გამოჰკიდებია სოფელქვეყანა: ე ბალღს რა პასუხს ეუბნები, მამა არა, დედა არა - ვიღას ანაბარასა სტოვებო? - მოუყვანიათ გონებაზედა. მართლები ხართო! - უთქვამს, ტანსაცმელი შეუსწორებია, თავშალი კარგად წაუკრია და გაკერპებული წამოსულა! მერე ერთ-ორ წელიწადში პატარა ბიჭი იმ მდინარეში დახრჩობია, თვითონ რომ აპირებდა გადავარდნას და მთლად შეშლილა. მდინარეს გაუტაცნია და ველარსად უპოვიათ ბავშვი...

იმის მერე მოდის და მოათრევს ნატუა წუთისოფელს. ყველა უყვარს, გაჭირვებულთა ტალკვესია, გასათხოვრის მაჭანკალი, მიცვალებულის გამპატიოსნებელი, ობლის ქომაგი, ოხრის გამომსარჩლებელი, ქურდ-ავაზაკის მტერი და, მოკლედ, მთელი სოფლის ავანჩავანი...

- აბა, ნატუა, მოგივლია მთელი სოფელი, გეტყობა, დაღლილი ხარ, რას გვეტყვი ახალსა, მოგვიტანდი ცხელ-ცხელ ჭორებსა.

- რას ამბობ, კუტალაანთ ნანიკავ, შენ კი აქ ჯდომით ვითომდა მზუსუმზირის ზეთსა ხდიდე, ჭორები ეხლა შენთვის უნდა მომეკითხა...

- ეგეც შენა! - ახარხარდნენ ქალები.

- უი, თვალი დაგიდგა, შე მაკრატელა ნატუავ, სოფელა შენა ხარ და ვითომ რას იუკადრისე? - სიყვარულით ნიშნი მოუგო ნანიკამ.

- საიდან მოდიხარ, ვისთან ყოფილხარ, აღარ გვეტყვი, ქალოო?.. - მართლებიც იყვნენ - ნატუამ, ჭორების გარდა, იცოდა, ვისმა ძროხამ მოიგო, სად წიწილამ გამოტეხა კვერცხი, სად თიკანმა დაიპეტელა და სად ბატკანმა გაახილა თვალი. იცოდა, სად ლობიო თუხთუხებდა, სად შამფური ტრიალებდა, სად ჩაქაფულს ხარშავდნენ, სად ხმელა და ყველი ელაგათ და, სად ხახვი და პური უწვავდათ პირს.

იცოდა, ვის სტკიოდა, ვის სციოდა, ვინ ტიროდა, ვინ იცინოდა, ვინ შრომობდა, ვინ ქურდობდა და ვინ მრუშობდა... ვის ბუმბულზე ეძინა და ვის მატყლზე, ვისი ბამბა ჩხრიალებდა და ვისი კაკალი, ვინ ნაღდობდა და ვინ თვალთმაქცობდა, ჰოდა, ამდენი ამბების მომლოდინე ქალები პირზე ნერწყვმომდგარნი ელოდნენ ნატუას აქაქანებას. ნატუაც იფერებდა, მოსწონდა სოფლის შენარქმევი სახელი და ქალების აკაწკაწებული კბილების ყურებაზე გულიანად იცინოდა.

- უი, თქვენ კი დაგწყვიტათ ჭირმა, თქვე უსაქმურებო, თქვენა! - საიდან მოდიხარ და რა გინახიოა!..

- საიდან მოვდივარ და, ნაპირელიაანთ მაყვალასგანა. წუწურაქი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ არ მეჯერა, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე. მივედი, ჯერ ხო მოიყრუა ყური, ვეძახე და ვეძახე, რომ ვერაფერი გავაგონე, ავდექი და შევალაჯე... რა? საქურდლად კი არ მივდიოდი, მეზობლისას მივედი სალაპარაკოდა! ეტყობა, რომ დამინახა, იფიქრა, დაქექილს გატეხილი სჯობიაო და სათონედან გამოღოღდა: „უი, ნატუა, შენა ხარ? იძახდი? რამ დამაყრუა, ვსაქმიანობდი და ველარ გავიგე შენი ძახილი...“

შევამჩნიე, რომ აქეთ-აქეთ იწევს, უნდა, რომ სათონედან გამოვიდეს, მე - სიმართლე გითხრა, რას გამომაპარებდა, მივხვდი, რაღაცას მწარედ მალავდა, ავდექი და პირდაპირ სათონეში ვდურთე თავი... რასა ვხედავ, ქალებო...

- რასა, რასა? - მოუთმენლად დააყარეს პირდაღებულმა ჭორიკნებმა.

- დამაცათ რაღა, ვაა... ჰოდა, იმას ვამბობდი, რასა ვხედამ, ქალებო... ამ კუჭგამხმარ, მისდღემში უყოლელ და უქონელ მაყვალასა, უთვალავჯერ რო ხელი გამიმართნია და ორჯამიანებით ფქვილი, ხორბალი და ღერღილი გამიტანებია, თუ ვაყვედრიდე - ენა გამიხმეს, მაგრამა, რას ხედამს ჩემი თვალები...

- რასა, ქალო, რასა, აღარ იტყვი?.. დაგვხოცა ამ მამაცხონებულმა ამანა.

- დაუკლამს კარგა მოზრდილი ჩასუქებული დედალი. ისეთი, ისეთი, რომა, სიმსუქნისაგან ზიმზიმებს, მდუღარეც იქვე მოუდგამს სპილენძის ქვაბითა. მიწაზე გაფენილი ბუმბული მეცოტავა, ესე იგი, პუტავდა და მე დამიმალა, ეს არ მომეწონა, ქალებო. ვუთხარი: „გააგრძელე, მაყვალ, თორემ თუ გაგიცივდა ქათამი, პირველად ხო არა პუტავ, ველარ დააცლი ბუმბულსა!“ - ნირწამხდარი ეგრევე მოტრიალდა და თავის მართლებასავით მოჰყვა: „ჩემი დეიდაშვილი მესტუმრა გუშინწინ და მოსაკითხად მომართვა დედალი. ხო იცი, ნატუავ, ქათმები

მე არა მყავ და დანატრულებული ვიყავ ქათმის ხორცსა, ჰოდა, დღეს დავიკალ..." - კაი დეიდაშვილი გყოლია, მაშ ჩახოხბილს აკეთებ, არა? - ვიკითხე. იმ წუპაკმა მაყვალამ იმდენი ითრია ფეხი, იმდენი - სანამ ფიჩხი დაამტვრია ზოზინითა, მერე ნახევარი საათი მაინც მეჭორავა, მერე სანამ ფეჩში შეუკეთა, სანამ გაახურა, სანამ დედალა გარეცხა, სანამ, სანამ, სანამ და ჩემმა კუჭმა თავისი ქნაა... რომ მივხვდი, ქალებო, ჩემთვის ენანებოდა, ავდექი და წამოვედი. ვითომ ჭიშკართან მომდია: რა გეჩქარებოდა, ნატუავ, დამწვეოდი სადილზეო! ავდექი და მეც „უკვე გეახელით-მეთქი", - ვუპასუხე.

- მაიცა, მაიცა, ნატუავ, რამხელა დედალა იყო, ნაცრისფერ და შავწინწკლებიანი ხო არა? - გააჩერა აქაქანებული სოფელა მიჩელაანთ დარიკომ.

- რა ვი, ქა, მგონი ეგეთი იყო, - უპასუხა ნატუამ. - მერე შენ რაო, დარო?

- რაო და, ორი დღის უკან დავკარგე, სად აღარ მოვიძიე, ვიღასთან აღარ შევეხეტე, აი, ეგ წუპაკი, ეგა! მე მაგას ვაჩვენებ ჩახოხბილსა! თავშალი გადაიგლიჯა დარომ და მკლავებდაკაპიწებული წავიდა, თითქოს საჭიდაოდ გადადის ხალიჩაზეო...

ქალები სკამიდან აიშალნენ და დარიკოს გამოეკიდნენ.

- მაიცათ-მეთქი! - დაიძახა სოფელამ. - რო მიდიხართ, სად მიდიხართ? ჩემს ენაზე ბავშვსაც კი არა სწყენია რა, ეხლა ეგლა მაკლია, ქვეყნის ბაირაღი გამხადოთ, აი! წამოდით, მე ვიცი, რასაც ვიზამ, თქვენი სუსი არ გავიგო ოღონდაცა...

მაყვალას ჭიშკარში ექვსიოდ ქალი რიგრიგობით შევიდა.

- მაყვალავ! - დაიძახა სოფელამ.

დაბლა სართულიდან გამოძვრა ნირშეცვლილი მაყვალა.

- აი, დარიკოს ქათმის ბიძაშვილი ყოფილა შენი დედალა და ჩახოხბილზე დაგვპატიჟა!..

ისე დღე იყო და ის დღე, სოფელა ერიდებოდა წარამარა აქეთ-იქეთ სიარულს, - ვაითუ, ძალაუნებურად ისეთი რამე წამომცდეს, სამტრო-სასიკვდილოდ გადავკიდო ეს მშვიდობიანი სოფლელები ერთმანეთსაო.

# გარბოდა ქალაქი

ფანჯარასთან ზის.

ალვები ირხევიან. მზეს ხან ხედავს, ხან ვეღარ - ცაზე ალაგ-ალაგ შექუჩებული მღვრიე ღრუბლები ეფარებიან.

გასუსულია. თვალსაც არ ახამხამებს - მას ეწვია უდიდესი გარინდება სამყაროს რომელიღაც სფეროდან და თავისი მაგნიტური არის ეპიცენტრად აქცია.

ჰაერში ბურტყლების რაღაც უაზრო ბორიალს იჭერს თვალის ბროლი, როგორც მოლეკულათა უსწორმასწორო მოძრაობას ელექტრონული მიკროსკოპის მინის საფარქვეშ.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ორი მაწანწალა ბიჭი შუქნიშანზე შეჩერებულ მანქანებს საკუთარ სერვისს სთავაზობს - რაც მინებისა და გვერდითი სარკეების გაპრიალებას გულისხმობს.

ზოგი ღიმილიანი მოთმინებით ელის მწვანე შუქს და გაშვერილ ხელისგულზე ხურდას ტოვებს.

ზოგნი გადაჭრილი კატეგორიულობით იცილებენ კეპგამოხუნებულ, თმადაუვარცხნელ და, კანის ფერით თუ განვსჯით, - ვინ იცის, რამდენი ხნის დაუბანელ ბავშვებს.

უფრო უცხოურ და პრიალ-სრიალა მანქანებს ეტანებიან, საიდანაც, როგორც წესი, - მოდური მუსიკა იღვრება და გაშვერილ ხელისგულზე ათთეთრიანს ელიან.

მერე უფრო მეტი გულმოდგინებით აპრიალებენ მორიგი მანქანის საქარე მინას და ასე დაუსრულებლად.

ისინი ომისგან დაობლებული და უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვები არიან.

ის ისევ ზის და ცას გაჰყურებს. მის უმოქმედობას ახლა უძრაობა ჰქვია, თუ არ ჩავთვლით ტვინსა და არტერიებში გამოქანებული ალისფერი ნაკადის მუშაობას, რომლის წითელი და თეთრი ბურთულების ძალა ხან ხურავს და ხან აღებს წისქვილის პრინციპით მომუშავე გულის პარკუჭების სარქველს. გრძნობების დოლაბით ფქვავს ჭირ-ვარამს, სიხარულსა თუ უიმედობას, სევდა-მწუხარებას. ფქვავს და, დაქსაქსული არტერიებით მთელი სხეულის დასაპყრობად უშვებს.

რაღაც უაზრო, მოლურჯო-ნაცრისფრად ამოღამებულმა ღრუბლებმა ისევ გამოუშვეს მზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეობიდან. გულში გაეღიმა. ღრუბლებს გამრიელად ამოვარდნილი ქარის შემოლაწუნებისა ისე ეშინიათ, რომ ნაცარტუტად ნაქცევები და გაცრეცილები საით გარბიან, თვითონაც არ იციან. უკვე ღონეწართმეულ, გაფითრებულ და შემოდგომის უღონო მზესთან კი დიდი გული აქვთ...

ალვებმა რხევას უმატეს. ამ რხევაში რაღაც ისეთი დაინახა, რასაც ხეების გულწრფელი სისადავე დაარქვა. ისევ მარტო ზის. გარინდებული, სიმარტოვის გულისცემაში ჩაყურყუმელავებული ითვლის საკუთარი სიცოცხლის მაჯას... ფანჯარას მოსცილდა, ტახტზე გადაინაცვლა. ხელები თავქვეშ ამოიწყო. ვინ იცის, მერამდენედ მოატარა მზერა ოთახს, ყოფილი სასტუმრო „აფხაზეთის“ ერთ-ერთ ნომრად რომ ითვლებოდა..

– ეეჰ, ჩემო სოხუმო! – ამოიგმინა და სიმწრით ჩაკბენილი მუშტი ლამის კედელს შეაფშენა... თვალები ცრემლით აევსო. ძალიან მოენატრა იქაურობა: დილაობით სილიან ნაპირზე სეირნობა, თოლიების სივილი, თავისი ოთახი, მაგნოლიებისა და ზღვის მლაშე სუნით გაჟღენთილი ქალაქი...

უკანასკნელ დღეს იხსენებდა. როგორ ხრჩოლავდა, ინგრეოდა და იწვოდა, იღუპებოდა ყველაფერი... ეს იყო საშინელი ომი. სისხლით შეღებილი გვამებით ივსებოდა ქუჩები. ინგრეოდა სკოლები, ნაღმები ფეთქდებოდა ხან იქ, ხან აქ და ყოველ აფეთქებაზე მისი გულიც გასკდომას ლამობდა. სასოწარკვეთილი შეჰყურებდა ნაფლეთებადქცეულ სხეულებს, ბიჭებს, გოგოებს, ქალებს, ბავშვებს...

გარბოდა ქალაქი. ეს მისი უკანასკნელი დღე იყო. გარბოდა ქალაქი ალმურადენილი ქუჩებით, ზურგზე ბოხჩაწამოკიდებული და დაფეთებული... მაშინ საყვარელი ზღვაც სხვანაირად ბორგავდა, თითქოს მის სილურჯეს უმანკოდ დახოცილთა სისხლისფერი შერეოდა და ამას ვერ ჰგუობდა.

მწარე მოგონებებში ჩაფლულს გული ეკუმშებოდა. ბოლოს ჰაერის უკმარისობა საშინლად წაეჭირა ყელში. ტახტიდან წამოხტა, კოკა-კოლას ნარჩენი ხარბად ჩაიხრიალა და გარეთ გაიხედა. მოძალებული შემოდგომა აჭრელებდა თბილისს. მხრებში თავჩარგული უღიმღამო სახეები ემალებოდნენ სუსხიან ქარს, ნეკერჩხლის წითელ-ყვითელა მორიალებული ჩამონაფერთხი ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადაჰქონდა.

საათზე დაიხედა. ქუჩაში გავიდა და აჩქარებული ნაბიჯით მიუსწრო ტროლეიბუსს.

რესპუბლიკის მოედანი ისე იყო გადაჭედილი ლტოლვილებით, რომ ძალაუნებურად მიტინგის კიდეში აღმოჩნდა.

„დაგვიბრუნეთ აფხაზეთი!“ – ზიმზიმებდა იქაურობა. ორატორი მიტოვებული კერიების, მამა-პაპათა საფლავების, მშობლიური სოფლებისა და ქალაქების დასაბრუნებლად მოუწოდებდა შეკრებილთ, შინ დაბრუნების ოცნება ნაპერწკლებად რომ სცვიოდათ თვალებიდან და მონატრების ყიჟინით უერთდებოდნენ გამომსვლელს.

– წავიდეთ, წავიდეთ, ყველანი ერთად წავიდეთ! გვეყო სამადლოდ გამოწვდილი ლუკმა...

გვიან საღამომდე ეჭირათ ხელებს უშველებელი ლოზუნგები. მიტინგიდან წამოსული ძლივს მოალასლასებდა ფეხებს, მშიერი კუჭიც გაავებული უტევდა. ვაჟას პროსპექტს რომ აუყვა, თითქოს უკვე თავის პატარა ოთახში იყო.

ყოფილი სასტუმრო, ახლა კი ლტოლვილთა თავშესაფარი საცოდავად გამოიყურებოდა. ნახანძრალი, გაშავებული კედლებითა და ამოღამებული თვალებით დაღონებული გადმოსცქეროდა პროსპექტს. სინათლე ჯერ არ იყო და სანთლებანთებულ სადარბაზოს კიბეზე ბავშვები სახლობანას თამაშობდნენ.

– ბიძია ზაური მოვიდა! აჟრიამულდნენ მის დანახვაზე ბავშვები.

– თქვენც იქ იყავით? რაო, მართლაც შინ წავალთ? მართლა ისევ სოხუმში ვიცხოვრებთ? – დააყარეს კითხვები და შიშიანი იმედით სავსე თვალებით მიაჩერდნენ.

– კი, ბიძიებო, კი. წავალთ, აბა რა!

– ჩვენი სახლი რომ დანგრეულა, სად უნდა ვიცხოვროთ? მამა რომ ცოცხალი იყოს, აგვიშენებდა... – გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით იკითხა თეთრმა, ცისფერთვალება გოგონამ.

– სახლი არც თეონას და ნიკას დარჩათ, მაგრამ ნუ გეშინია, ყველას გვექნება... ახლებს ავაშენებთ! – მხარზე ხელი გადახვია და მიიხუტა უფროსმა ძმამ.

შეჰყურებდა გამწარებული ბავშვების ომნანახ თვალებს. გზაარეულებს, ნახევრადმშივრებს, მოუმზადებლებს ცივი და გრძელი ზამთრისთვის. შეჰყურებდა, თავგანწირვით გაჰკიოდა სასოწარკვეთილი უილაჯობა.

ამათგან ერთ-ერთი, საკმაოდ უფროსი სხვებზე – კიბის თავში კედელს მიყრდნობილი იდგა და გაცვეთილი ფეხსაცმლის ჭვინტს გაშტერებული დაჰყურებდა.

ზაურმა შეხედა და თვალში ეცა მისი გახეთქილი წარბი და გასივებული ტუჩი.

– რაო, ზურია? ეგ რა მოგსვლია? – ხელი მოხვია და წამოიყვანა.

ვიწრო და გრძელ დერეფანში შმორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიამოვნო სუნი ტრიალებდა. ოთახებიდან გამოსული სანთლების სუსტი შუქი ეხმარებოდათ გზის გაკვლევაში.

ზაურის ოთახი პატარა და მოუვლელი იყო. შესვლისთანავე დაგუბებული ჰაერი და ფეხსაცმლის მქისე სუნი ეცათ...

- ახლა მე და შენ ჩაის დავლევთ და გავთბებით, თან შენი რაინდობის ამბავსაც მომიყვები, - გადახედა ღიმილით.

ზაურმა ლამპა წვალებით აანთო. მაგიდა გადმოწმინდა და ორ თლილ ღვინის ჭიქაში საზეიმოდ ჩაასხა წინადღით, დაყენებული ჩაის ფერი. ჩაი ერთი კვირის წინ დედის თანამშრომელმა აჩუქა. ის დელისის მეტროს ამოსასვლელ კიბეზე იდგა და ვერცხლისფერ ქაღალდებში საკუთარი ხელით დაფასოებულ ჩაის ყიდდა.

„ბიჭო, ზაურია, შენ მერის ბიჭი არა ხარ? გამომართვი აი ჩაი, ჩვენებურია! გესიამოვნება, ისეთია, სკანი გოლუაფირო!.. რა ვქნათ, შვილო, ასე ვირჩენთ თავს!“ - მოიბოდიშაო თითქოს.

ზაურმა ნავთქურაზე შემოდგა გამურული ჩაიდანი, მაგიდას „საშაქრეც“ მიუმატა, უბრალო, ნახევარლიტრიანი ქილა, შიგ მხოლოდ ერთი ჭიქის სამყოფი შაქარიღა ეყარა.

- აბა, ვაჟკაცო, მომიყევი რა შეგემთხვა... - უთხრა და ტახტზე ჩამოჯდა.

- დედა ავადაა, ახველებს და ახველებს... წამლის ფული კი არა, საჭმლის ფულიც არა გვაქვს. წაველი. რას არ მივედ-მოვედი, ეგებ ორიოდ კაპიკი მაინც მეშოვა. ვიფიქრე ვაგზალზე ბარგის წაღებაში მაინც მეცადა ბედი, მაგრამ იქაურმა მებარგულებმა ახლოსაც არ გამაჭაჭანეს. მერე აგერ ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე ერთ-ერთ ბენზინკალონკასთან მივედი, იქნებ რამე გამომივიდეს-მეთქი; იქ ორი ჩემხელა ბიჭი ტრიალებდა. დათითოებული ჰქონდათ ორივე პისტოლეტი. თითო ჩასხმაზე ოც-ოც თეთრს მაინც აკეთებდნენ. ჩემი იქ დგომის მიზეზს მიხვდნენ. ან რა მიხვედრა უნდოდა, ისეთი სიხარბით შევყურებდი ხურდების ჩხრიალს, რომ გამომწვევად მითხრეს: „შენ ეი, ბიჭო! დაზვერვაზე ხომ არა ხარ? იცოდე, ჩვენ პასტაიანი ხალხი ვართ და აქ მესამე არ გვჭირდება!“ მერე შევყევით, შემოვყევით. მეორე უფრო მეფხორებოდა. არც აცია, არც აცხელა და ისე დამარტყა, რომ ფეხი ამისრიალდა და სახით ტროტუარს დავასკდი. შედეგს კი ხედავ... მერე იქაური დიდები გამოცვივდნენ და ჩაგვერივნენ, თორემ ამას არ ვაპატიებდი, ზაურ ბიძია...

ნავთქურაზე ჩაიდანი აშიშინდა. ზაურმა მდუღარე ჩამოასხა ჭიქებში, ის ერთადერთი კოვზი შაქარი ზურიას ჩაუყარა. ქოჩორი სიყვარულით აუჩეჩა და მიიპატიჟა.

- რას იზამ, ბიძია, ზოგს მუშტით გააქვს თავი და ზოგს მამაძაღლობით - ასეთია ცხოვრება... შენ გული არ გაიტეხო, ბიჭო, შიში არ შეუშვა გულში, თორემ დაიჯაბნები... მთავარი რწმენაა, ბიძია, რწმენა! - მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოსინჯა უკანასკნელი ათლარიანი და ზურიას წინ დაუდო. - აიღე, ბიძია... ნეტავ, იმდენი მქონდეს, ყველას დავეხმარო, წამალს და ორიოდ კილო კარტოფილს მაინც იყიდი...

ზურია ცივ ხელებს ჩაის ჭიქაზე ითბობდა და გუბუშტულ ტუჩზე გადმოკიდებულ წყენის ცრემლს ენით ილოკავდა.

ზაური შეჰყურებდა მის სევდიან თვალებს, გაწამებულ სახეს და გულს ნაღველი უვსებდა.

როგორ გავიდა ზურია ოთახიდან, არც გაუგია, ისე იყო ფიქრებში წასული. სინათლეც მოსულიყო. ადგა და მხრჩოლავი ნავთქურა ჩააქრო. ისევ სოხუმის ქუჩებში დააბიჯებდა ოცნებით. სანაპიროზე სეირნობდა და ძველებურად ტკბებოდა ზღვის სიდიადით. გვიან შემოდგომაზე ზღვა ნაცრისფრდებოდა და ნაზდებოდა.

მოგივალთ, ჩემო სოხუმო, დიდო ტკივილო და დარდო ჩემო! - ზაურმა მუშტით ამოიმშრალა ცრემლები, ოთახში მარტოდ დარჩენილი ისევ საკუთარ გულისცემაში ჩაყურყუმელავდა სიცოცხლის მაჯის დასათვლელად...

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ლამპიონების შუქზე ის მაწანწალა ორი ბიჭი სიცივისაგან გაწითლებული ხელებით ისევ წმენდდა შუქნიშანთან წუთიერად შეჩერებული მანქანების საქარე მინებს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანონ ბულისკერია



* * *

„არაფერივით“...
მსუბუქია და საცნაური – „ნახვამდის!“ –
ახლა ცივ ტუჩებზე რომ დაკრისტალდა,
ნაცნობ ბგერებად ჩაილეწა სმენის უფსკრულში...
რად აბოგინებ შენს კედლებში ძლერაწართმეულს?!
რა გემართება, მწველი გრძნობის ტყვე რად შეიქენ!
ან, შენს ძარღვებში მოფუსფუსე,
ლამის ხმაურით რად აჩქროლდა სისხლი ცისფერი?!
ახია შენზე!
შენეული გატყდა სიმტკიცე...
გრძნობით ნაწრთობი ერთადერთმა სიტყვამ
მოგაშთო.

ნუ მიკიჟინებ –
რატომ მოსწყდა ტუჩებს „ნახვამდის“!
როდესაც ითქვა (გეყო, გულო!),
ითქვა „მშვიდობით“!

* * *

ზოგჯერ რაღაცა მწყინს,
ზოგჯერ მიხარია...
მე რომ ასე ვცხოვრობ,
რამდენი ხანია...
დარდი უხვადა მაქვს,
სხვისთვის ვერ ვიმეტებ,
თვითონ უიმედო –
სხვას ვგვერი მე იმედებს.
ზოგჯერ რაღაცა მწყინს,
ზოგჯერ მიხარია...
მე რომ ასე ვცხოვრობ,
რამდენი ხანია...

* * *

მრავალთა შორის, მე ყოველთვის მიკვირდა
ერთი –
ყოველ ბარათში, არ ენდოო ჩემს სიტყვებს,
მწერდი.
გენდობი-მეთქი (მერე რაღო?!) შენ, ჩემო დარდო.
ნუ მენდობიო, გენაცვალე, არ ვარო სანდო!
ერთხელ გითხარი, კაცი არა, ღმერთი ხარ-მეთქი...
ლამაზი ხელით იწერები – არ ვარო ღმერთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დიდიხნით იცი დაუბრება...
ახლა ღამეა და სიცივეში
ის კოკისპირული მომენატრა,
გაზაფხულობით რომ იცის ჩვენში!
სველი ყოჩივარდაც გამახსენდა...
შარშან (სამშობლოში!) რომ მიკრეფდი...
გული გატკინე და მოგადინე
ცრემლიც... ჩემო, როგორ ვიფიქრებდი,
რომ ზურგს შემაქცევდი, დამტოვებდი
მწყრალი მოგონების ანაბარა...
ველარ მოასწარი გეთქვა შენი...
ვერც ის – ჩემთან ვინ რა დაგაბარა!
თქვი, რომ მშვიდობაა ჩვენს ქალაქში,
ყველა კარგად არის... წვიმებია...
დღეებს მხოლოდ ფიქრში ალამებდი
და არც ღამეები გძინებია!
... ახლა, აღარ ვიცი, რა ვილონო,
გული მოგიზგიზე კვლავ ანთია,
დაგეწაფები და... მოგაწყურებ!
ვინძლო (ნეტავი, რა?) მაპატიო.
დიდიხნით იცი დაუბრება...
ახლა ღამეა და სიცივეში
ის კოკისპირული წამოვიდა,
გაზაფხულობით რომ იცის ჩვენში!

* * *

გეგონოს! მე არც ისე კარგი ვარ...
ჩამქრალ თვალებში ჩამდგარი სევდა
მაფორიაქებს, მაგრამ... არ მტკივა!
შენ უჩემობა დაგატყდა ბედად!
რა ვქნა, არ მინდა ვიხეტიალო
ცრუ თანაგრძნობის ვიწრო ბილიკზე?!
კი, მართალია, არის კრიალა
ცა, ზაფხულია ახლა თბილისში,
მაგრამ გულში კი... უცნაურია,
გულში სხვაგვარი ჩადგა ამინდი.
პატიებაა სულს რომ სწყურია,
ესოდენ წრფელი და მიამიტი!

* * *

უცებ ამჩნევ, რომ ეს ერთი დღეც წარსულს ბარდება
და მთელ სხეულში უცნაური გრძნობა დაგივლის...
მოეფინები სევდის მინდორს ყვითელ ვარდებად,
აეკიდები აბეზარ ქარს ბოშა ქალივით...
და გზას მონახავს ნიკაპისკენ ცრემლი ანკარა,
ძოწისფერ ბაგეს აეკვრება ყალბი ღიმილი...
აგიტირდება საცოდავად გული პატარა,
თავს მედიდურად შეგახსენებს სულის ტკივილი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსუდან კაიშაური

## ხელები

რატომღაც იღბალს ვუწოდებ მშველელს,
თუმცა მიღიმის ძუნწად და მორცხვად,
მაგრამ ვივიწყებ საკუთარ ხელებს,
მოქმედებისთვის ღმერთმა რომ მომცა...
შესარკინებლად მივდივართ ბედთან,
მაქეზებს ჩემი და სხვათა დარდი;
ცხრათავა იღბალს შუაზე ვკვეთავ
იმ ხელით, რითაც ვამზადებ სადილს.

## ვ-ს

შენ ძლიერ შორს ხარ, მზესავით მათბობ,
როგორც მიწაში მძინარე მარცვალს.
მეძახით შენ და სამყარო ფართო
და დაბადების საამო განცდა...

როგორც ბრმა ლეკვი, დავტოვებ ბუნაგს
და იძულების მთავრდება ძილი.
ჯერ ისევ მიწის წიაღში ვბრუნავ,
ეს აღმაფრენა დაჯდება ძვირი...

რაკი მიწიდან ავწიე თავი,
გავუორგულდი რეცხვას და ხარშვას,
ჩემი სახეცვლა გაიგო არვინ,
შენს მეტი არვინ იყვირებს ვაშას.

„რაც უფრო შორს ხარ" – მზესავით მათბობ
და გადაარჩენ ოცნების კანონს,
იმას, რომ ვცხოვრობთ ცალ-ცალკე, მარტო
გასაოცარი ერთობის გამო...

## თამაში

კაზინო „წუთისოფელში"
ჩემი სურვილით დავდივარ;
გავყვითლდით მე და ფოთლები,
სიბერე მსტუმრობს სადილად...
ღმერთიღა დამრჩა უცვლელი,
ყველა წაშალა დაისმა,
სახეზეც, - სუფთა ფურცელზე
დასვრილი ხელი გამისვა...
აჯანყებული ხველებით
ბედთან მივდივარ სალაშქროდ
და ტანში ციებ-ცხელებით
ჩემს სიცოცხლეზე ვთამაშობ...

## მთელი

სულ რაღაც მინდა, სულ ვიღაც მტკივა
და მოსვენება არა მაქვს წუთით.
ჩემს თავს ვნახულობ ძალიან ძვირად
გატყორცნილი ვარ შორს, როგორც ბურთი...

ო, რა დაღლილი ვაზუსტებ საგნებს
და ჩემს ყოფაში მივათრევ ჩანთით.
ხან სულზე ვასწრებ, რომ უნდა ჩავდნე
გადასადნობად განწირულ ჯართში.

ვპოულობ, მაგრამ მაშინვე ვკარგავ,
ცარიელია სული და ბინა.
ბოლოს და ბოლოს ამოვდებ ლაგამს
იმას, რაც ჩანს და მაცდურად ბრწყინავს.

ხომ უნდა ვიქცეთ ოდესმე ერთად,
ყოფნის ტკივილმა გაგვხლიჩა ორად:
ო, ეს ფარული ურთიერთჭვრეტა,
გამთლიანება მტრედად და ქორად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიზმა ბელშევიცა



*ცნობილი ლატვიელი პოეტი ვიზმა ბელშევიცა დაიბადა 1931 წელს ქ. რიგაში. მომავალ მწერალს მეტად მძიმე ბავშვობა ჰქონდა: მამა 1944 წელს გერმანიის არმიაში შევიდა და სადღაც ემიგრაციაში გარდაცვლილა. ვიზმა ბელშევიცა პოლიგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში...*

*ლექსების წერა ადრე დაიწყო. 1957-61 წლებში სწავლობდა მოსკოვში, მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1969-71 წლები ყველაზე მძიმე გამოდგა მწერლისათვის. ხელისუფლების ტრიბუნიდან სასტიკად დაგმეს უპარტიო ვიზმა ბელშევიცა. ლატვიურ ემიგრაციაში სწორედ მაშინ გავრცელდა ხმა, თითქოს იგი ლატვიის მწერალთა კავშირიდან გაერიცხოთ, რაც სწორი არაა. მწერალთა კავშირი თავგამოდებით იცავდა თავის ღირსეულ წევრს. 1972 წელს უკრაინელმა ჩეკისტებმა ბინა გაუჩხრიკეს და უკრაინელი მწერლის ივანე ძიუბას ნაწარმოები „ინტერნაციონალიზმი თუ გარუსება“ უპოვეს. სასამართლოზე ვიზმა ბელშევიცამ მტკიცედ განაცხადა: „თუ მწერალი ხედავს, რომ მისი ერი და ენა საფრთხეშია, ეს უნდა დაწეროს, თუნდაც სიკვდილი ემუქრებოდეს“.*

*1986 წლს ვიზმა ბელშევიცას დიდი უბედურება დაატყდა თავს. მისი ვაჟი, უაღრესად ნიჭიერი პოეტი კლავ ელსბერგი, რომელიც მწერალთა საკავშირო ყრილობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო და ბრწყინვალე სიტყვითაც გამოვიდა, ტრაგიკულად დაიღუპა. იურმალაში მწერალთა შემოქმედებითი სახლის მეექვსე სართულიდან გადმოვარდა (თუ გადმოაგდეს?!). ვიზმა ბელშევიცამ, რომელიც წარდგენილი იყო სსრკ სახელმწიფო პრემიაზე, უარი განაცხადა. იმ ხელისუფლებისაგან, რომელსაც არ შეუძლია ჩემი შვილის მკვლელობაში სიმართლის დადგენა, მე არაფერი მჭირდებაო...*

*ვიზმა ბელშევიცამ პროზაშიც მოსინჯა კალამი. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების ორი კრებული. ამ მოთხრობებმა სულ მალე საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მწერალმა ცხოვრებიდან ისეთი პერსონაჟები გამოიყვანა დღის სინათლეზე, ლატვიურ ლიტერატურაში დღემდე რომ არავის შეუმჩნევია.*

*ვ. ბელშევიცას რამდენიმე მოთხრობა ადრეც ვთარგმნე და პერიოდულ პრესაში გამოვაქვეყნე, „სამი ვირეანქა სოსი“ და „ბურბეწიშა“ დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“; „სულ იმ ყეყეჩი პაულინეს ბრალია“ - ჟურნალ „დროშის“ დამატებაში; „ტიმოთელა“ - „ახალ ქართულ გაზეთში“; ვრცელი მოთხრობა „უბედურება ოჯახში“ კი მოთხრობების კრებულში „თბილისო, თბილისო, თბილისო...“*

*ვიზმა ბელშევიცას 1982 წელს მიენიჭა ანდრეი უპიტის პრემია, 1988 წელს კი - ოიარ ვაციეტისა. გასულ წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.*

*მთარგმნელი*

## პრანწია

პრანწიების გუნდი აფრიკიდან მოფრინავდა. თუ რა ბედნიერი და ამაყი იყო შარშანდელი პრანწია საზღვარგარეთ ყოფნით, ამას ის ვერ მიხვდება, ვინც თავად არ ყოფილა საზღვარგარეთ! პრანწია სრულებით ვერ ამჩნევდა, რომ ჰაერი უფრო და უფრო ცივდებოდა, მუცელიც ცარიელი ჰქონდა და ფრთებიც საშინლად სტკიოდა - ერთი სიტყვით, შარშანდელი პრანწია აღფრთოვანებული იყო!

- მალე მივალთ? - ეკითხებოდა დედას.

- მალე. ბევრს ნუ ლაქლაქებ, დაიღლები.

შარშანდელი პრანწია და დაიღალოს! ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რა უამბოს ყვავს, ბეღურას, კაჭკაჭს. კაჭკაჭი კი მერე ყველას მოუყვება, ყველას, პრანწია ეს-ესაა საზღვარგარეთიდან ჩამოფრინდაო და, ჰო-ჰო-ჰო, რაღა არ უნახავსო! რაღა არ გადახდენიაო თავს! მერე ყველანი მოვლენ და სთხოვენ, მოგვიყევიო. პრანწია კი ამით სულაც არ გაამაყდება...

პრანწიების გუნდი თანდათან მცირდებოდა და მცირდებოდა. ყოველ წამს წყვილ-წყვილად დაეშვებოდნენ ხოლმე ძირს. მოიცა, ის ორნი პრანწიას მშობლები არ იყვნენ?

პრანწიამ ირგვლივ მიმოიხედა. ისინი ყოფილან! იგი მარტოდმარტო დარჩა, იმ ახალგაზრდა პრანწიას თუ არ ჩავთვლით - მეზობელი პრანწიების ვაჟს - ჯერ კიდევ ნილოსის ნაპირზე სულ ერთთავად მას რომ უტრიალებდა გარშემო, იქოჩრებოდა და ბალახის ღეროებს ჰაერში ისროდა, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქ, საზღვარგარეთ უფრო ლამაზი ფრინველები არ ყოფილიყვნენ. ნახე, გულში რა სდებია! და ახლაც ასევე ჰაერში ტრიალებს, ჭყივის, ანიშნებს ძირს დავეშვათო, ჭაობის პირა სათიბებში, სადაც, ალბათ, არც ერთი სულდგმული არ ჭაჭანებს, რომ გამოელაპარაკო მაინც. ამ მიყრუებულ კუთხეში თუ უნდა ცხოვრება, მარტომ იცხოვროს, ანდა სხვა სულელი მოძებნოს.

პრანწიამ ერთი სათიბი მოათვალიერა სოფლის მახლობლად, სადაც ჭილყვავები ტრიალებდნენ და ბელურების ჟივჟივი ისმოდა. იქვე გადაბელილ ხეზე ყარყატის ბუდეც მოჩანდა - მაშ, აქ გვარიანი საზოგადოება იქნება, რადგან ყარყატი, როგორც მოგზაური ფრინველი, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ისინი, სულ ერთთავად შინ რომ სხედან და უცხო ქვეყნები თვალითაც არ უნახავთ. ყარყატი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო, ეგენი გვიან ჩამოფრინდებიან ხოლმე, მაგრამ არსად დარჩებიან, კრუხობის დრო რომ დადგება, აქ გაჩნდებიან.

პრანწია დაეშვა ძირს. ჭივ-ჭივ-ჭივ! - ამაოდ უხმობდა მამალი პრანწია. ცდილობდა დაერწმუნებინა, ეს ადგილი ძალიან ახლოს მდებარეობს ადამიანებთან და საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული. დედალი პრანწია ერთ კოლბოხზე დასკუპდა და ერთხელაც არ გაიხედა მისკენ.

სახარბიელო სულაც არ აღმოჩნდა არჩეულ ადგილზე დაჯდომა - კოლბოხი საოცრად მაგარი და ტალახიანი გამოდგა. დედალ პრანწიას აინტერესებდა, თუ სად დაეშვა მამალი პრანწია, ნეტავ იმასაც ასეთი მაგარი კოლბოხი შეხვდა თუ უფრო რბილი. მაგრამ არა, ამას არ აგრძნობინებს, თუ უნდა, თვითონ მოვიდეს, შეეხვეწოს და ნამიკრეფიის ღერო ჰაერში ისროლოს! ეგ მაგის მოვალეობაა. პრანწიას არსაითაც არ გაუხედავს. გადაისწორა ერთი ფრთა, გადაისწორა მეორე, მაგრამ არავინ არ მოდიოდა და თავს არ უკრავდა. მამალი პრანწია დედალს ემდურებოდა?

პრანწიამ ფრთხილად გააპარა თვალი მამლისაკენ. - კი, იქ, ხუთიოდე კოლბოხის იქით, ქივქივებდა და ყარყატის ბუდისაკენ იყურებოდა ცაში, დედალ პრანწიასაკენ კი ერთხელაც არ გამოუხედავს. არადა ნუ, ძალიანაც მჭირდება! პრანწიამ თვალი მოჰკრა ჩადაბლებულ ადგილს, მამალს გვერდით ჩაუარა და წყლის დასალევად წავიდა. ოღროჩოღროები ახლოც იყო, მაგრამ ვინა თქვა, რომ მას სწორედ იქიდან უნდა დაელია წყალი? სადაც მოესურვება, იქ დალევს და მამალ პრანწიას ზედაც არ შეხედავს!

შორიდანვე უცნაურად ჩანდა წყალი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საშინელი. პრანწიამ ნისკარტი კინაღამ დაიმტვრია წყალზე! კი, კი, წყალზე! ნამდვილად იცოდა, რომ ნისკარტი არ მოუცილებია წყლისთვის და რაღაც ქვას კი მიახალა. თავი მოიღრიცა და თვალიერება დაუწყო წყალს. წყალი მართლაც გამჭვირვალე ქვას ჰგავდა, მაგრამ ქვაში როგორ იმოძრავებს ბალახი? პრანწიამ მეორედ ჩაუნისკარტა წყალს, თუმცა კი გაფრთხილდა, ძალიან არ დაუქნევია თავი.

- ყრა-ყრა-ყრა! - მოულოდნელად ვიღაცის ხმამაღალი სიცილი ჩაესმა ყურში პრანწიას. ტანში გააჟრჟოლა და ფრთები შეიქნია. საბედნიეროდ არ აფრენილა, დროზე მიხვდა, რომ ეს ყვავი იყო, ყველაზე უბრალო ფრინველი ამ ქვეყანაზე. პრანწიამ კიდევ რამდენჯერმე დაიქნია ფრთები, რათა ეგრძნობინებინა, რომ ასე მხოლოდ მოძრაობის გულისათვის გააკეთა.

- ყინულს ჩაუნისკარტე, ხომ? ყრა-ყრა-ყრა! - ხარხარებდა ყვავი.

- არა, აქ, თქვენთან ყველა ფოსოში მაგარი წყალი ყოფილა. საშინელი უკულტურობაა. ჩვენთან საზღვარგარეთ სულაც არაა ასე.

- რაო? თქვენთან, საზღვარგარეთ? ნუ იტყვი! თქვენთან საზღვარგარეთ იქნება ყინულიც არაა?

- ყინული? შენ მიწას გულისხმობ, მდინარეებში, ტბებსა და ზღვებში რომ არის?

- არა, მე ვგულისხმობ ასეთ სიცივეს, ახლა რომაა, როცა წყალი ყინულად იქცევა, წვიმის წვეთები კი ფიფქებად. ვერა ხედავ? სავსეა ჰაერი.

ჰაერში მართლაც რაღაცა თეთრი ბუმბულები დაფრინავდნენ, მაგრამ მათი დარდი სულ არა ჰქონდა პრანწიას. სირცხვილს მოერია და მამლისკენ მოურიდებლად დაიწყო ყურება - წყვილად ყოფნა მაინც საიმედოა, აბა, ამ ყვავისაგან რა უნდა ისწავლოს? სრულ ჭკუაზე რომ არ იყო ეგა, საუბრიდანვე ეტყობოდა.

მამალი პრანწია იქვე ტრიალებდა და ნისკარტით სინჯავდა მაგარ წყალს.

- სიცივისაგანაა ასეთი? - მოწიწებით ჰკითხა ყვავს.

- კი. როცა დათბება, ყინული დადნება და ისევ წყლად იქცევა.

- ესეც წყლად იქცევა? - მამალმა პრანწიამ ნისკარტი შეახო იმ თეთრ რაღაცას, ბუმბულსაც რომ ჰგავდა და ვარსკვლავსაც.

- თოვლი? კი. შეუბერე და ნახავ.

მამალმა პრანწიამ შეათვალიერა თეთრი ფიფქები შარშანდელი ისლის ღეროებზე და შეუბერა. ფიფქი წყლის წვეთად იქცა, ადგილიდან მოსწყდა და ისლის ღეროზე ჩამოგორდა.

- ყრა-ყრა! - უხაროდა ყვავს.

- როცა წყალი მოგწყურდება, ყოველთვის ასე უნდა უბერო? იცით რა! დედალმა პრანწიამ ცხვირი აიბზუა.

- თქვენთან, იქ, საზღვარგარეთ, განა ეგრე არაა? ყრა-ყრა-ყრა! - იცინოდა ყვავი.

ფრინველებს ტირილი რომ შეეძლოთ, დედალი პრანწია, ღმერთმანი, ბოღმისგან ატირდებოდა. ეს რა უბედურებაა! ერთი სურვილი ჰქონდა, ყველასათვის მოეთხრო საზღვარგარეთული ამბები, აქ კი დასცინის ეს ვიღაცა ყვავი, რომელიც მთელი ცხოვრება თავის ღობე-ყორეს არ გასცილებია. მამალი პრანწიაც დაიბოღმა და ქოჩორი აიშალა:

- ეი, თქვენ, ძალიან გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ აყენებთ ჩემს მეუღლეს!

- ყრა-ყრა-ყრა! ყრა-ყრა-ყრა! - ისე გულიანად იცინოდა ყვავი, რომ ლამის ფრთების გაშლაც კი ვეღარ მოახერხა და ფარფატ-ფარფატით გაფრინდა.

მამალი პრანწია უკან გაეკიდა, შემოუქროლებდა ჭყივილით: - ჭივ-ჭივ-ჭივ! ჭივ-ჭივ-ჭივ! -და მერე ისევ უკან გამოექანებოდა, რათა დედალი

პრანწია დაეშვიდებინა!

დედალი პრანწია საშინლად გულნატკენი ჩანდა და საყვედურობდა მამალს - შენ თუ ცოლი მიწოდე, მაშინ მოიქეცი ისე, როგორც ქმარს შეეფერება და შემინახე! მე წყალი მწყურია!

მამალმა პრანწიამ შეუბერა ფიფქებს, მაგრამ წყლის წვეთები ისე სწრაფად მიგორავდა, რომ დედალი პრანწია ნისკარტის შეხებასაც ვერ ასწრებდა.

- არაფერი არ შეგიძლია! - ჭყიოდა დედალი პრანწია.

- შენ თვითონ არ შეგიძლია! - მკვახედ მიახალა მამალმა.

- ყრი-ყრი-ყრი!

კიდევ ვიღაცა დასცინოდათ! პრანწიებმა ამოიოხრეს და შიშით იქითკენ შეაბრუნეს თავები, საიდანაც სიცილი მოესმათ. ვაჟბატონი კაჭკაჭი ბრძანდებოდა.

- შარშანდელი პრანწიკუნები ხართ? - დამცინავად იკითხა კაჭკაჭმა.

- მერე რა გნებავთ? - მოუჭრა მამალმა პრანწიამ.

- ეს-ესაა, საზღვარგარეთიდან ჩამოვედით, - თავი დაუკრა დედალმა პრანწიამ. ლამაზ, წარმოსადეგ კაჭკაჭთან არ უნდოდა ურთიერთობა გაეფუჭებინა.

- ზედ გეტყობათ, შარშანდელები რომ ხართ და თანაც საზღვარგარეთიდან ჩამობრძანებულები. ნისკარტით აიღეთ თოვლი - პირში გადნება. ყინულს კი მზე დაადნობს. მიწაც მხოლოდ ზემოდანაა გაყინული. რომელიმე რბილი კოშტი გადაქექეთ და რაღაცას იპოვით საჭმელად.

დედალმა პრანწიამ უკვე დააჩინა ნისკარტი, უნდოდა ეთქვა, ჩვენთან საზღვარგარეთ ასეთი უწესრიგობა არააო, რომ კაჭკაჭმა შავი ბოლო დაიქნია და ფრთები ასწია. არაფრის მოსმენა არ სურდა! ჰმ! ემაგაზე ამბობენ, ყველაზე ცნობისმოყვარე ფრინველიაო!

- სხვა დროს შემეხვეწება, მაგრამ არაფერსაც არ ვეტყვი! არც ნილოსზე მოვუყვები, არც ლოტოსებზე და არც ნიანგებზე, - დაიქადნა დედალმა პრანწიამ.

კაჭკაჭის რჩევა გამოადგათ. თოვლი მართლაც დნებოდა ნისკარტში. წყურვილის მოკვლა შეიძლებოდა. მამალი პრანწია კოშტებს ქექავდა და ხანდახან ჭიაღუას იპოვიდა ხოლმე. მართალია, ჩიჩახვს ვერ ამოივსებდნენ, მაგრამ იმდენს კი შოულობდა, რომ მხიარულ გუნებაზე დამდგარიყო და დედალ პრანწიასთან ერთად ცაში გაენავარდა, რათა ფრთებისთვის ქარი ამოეღებინებინა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მამალი პრანწია ზედმეტად სერიოზული იყო, ზოგჯერ წვრილმანიც კი, თუმცა ადვილად მოსათმენი. გაჰკრა-გამოჰკრა ფრთა, ჰაერში გაინავარდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა უკან და ორმოს დაუწყო ძებნა - საბუდარი სად გავიკეთოთო. ჰმ! ოჯახის პატრონივით იქცევა. არც კი უკითხავს, კრუხად დაჯდომა თუ სურდა დედალ პრანწიას! რა უნდა ქნას, უნდა მოითმინოს. აბა, სხვას ვის დაელაპარაკოს - იმ ყვავსა თუ კაჭკაჭს? მაგ გაბღენძილებს დედალი პრანწია თავის დღეში ახლოსაც არ გაეკარება.

მოსაღამოვდა თუ არა, ისე აცივდა, რომ მამალი პრანწიას მიერ შეთვალიერებულ ორმოში მაგრად უნდა ჩახუტებოდა, რათა არ გათოშილიყო. დილითაც ციოდა, წყალი ისევ მაგარი იყო და კოლბოხებიც კიდევ უფრო გაყინულიყო. მთელი დღე დაძაბულ ქექვაში გაატარეს, სანამ რაღაცა საკვებს იპოვიდნენ. ნეტავი საიდანა აქვს ამდენი ღონე მამალ პრანწიას, რომ ამოდენა ბუჩო და ბუმბული მოათრიოს ორმოში და თანაც ჰაერში იტრიალოს და იჭყივლოს? დედალი პრანწია კი სიამოვნებით იჯდებოდა და ვინმეს მოუყვებოდა, მაგრამ ვის ესაუბროს? ხანდახან ყვავი გადაუფრენდა თავზე. ღმერთმა აშოროს ყვავი! ხან კაჭკაჭი გადაუქროლებდა. ღმერთმა მაგის თავიც აშოროს! ბეღურები იქნება უფრო დაინტერესებულიყვნენ, მაგრამ ამ წვრილფეხობას თავი როგორ გაუყადროს პრანწიამ, ღირსებით გაცილებით დაბლა დგანან. თანაც ეგენი უფრო ეზოებში ფუსფუსებენ, ადამიანების გვერდით, ადამიანებთან სიახლოვე კი დედალ პრანწიას არ სურდა.

მეტი რა ჩარა იყო, მამალ პრანწიას მიერ მოკვარახჭინებულ ბუდეში კვერცხები უნდა დაედო. კიდევ კარგი, რომ ამინდი თანდათან გამოკეთდა, დათბა, ყინული დადნა, ახლა ჭყუმპალაობაც შეიძლებოდა. მიწიდან ჭიაყელები ძვრებოდნენ. დედალ პრანწიას მალე აღარც კი აგონდებოდა, რომ საზღვარგარეთ იყო ნამყოფი.

ამასობაში ოთხი მომწვანო-ჭრელი კვერცხი დაედო. წვეროები შიგნით ექნა და ლამაზად მოეთავსებინა ბუდეში - ახლა დაჯდომაღა უნდოდა და პრანწიაც გაბრაზებული დააჯდა.

მამალი პრანწია ფიქრობდა, ალბათ, დედალს ცხოვრებაში მეტი არაფერი უნდაო და უზიდავდა და უზიდავდა საჭმელს, თან ჰაერში კოტრიალობდა და ხარობდა, როგორც ყველა მამრობითი სქესის წარმომადგენელი, სხვა არავითარი მაღალი მოთხოვნილება რომ არა აქვს. ეს კი კვერცხებზეა მიჯაჭვული, თითქოს ამ მინდორზე უკეთესი არაფერი ენახოს - არც გასართობი და არც გულის გადასაყოლებელი.

მხოლოდ ერთხელ, მაღლა რომ იყურებოდა, დედალმა ტოროლამ მოირბინა მასთან, რადგან იქ, ცაში - წკრი-წკრი-წკრიალით ორი ტოროლა ებრძოდა ერთმანეთს.

- ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიშველე! ვაი, ვაი! - ქვითინებდა დედა ტოროლა.

- ნუ გეშინია! მაგ ერთი ციცქნა ჩიტუნებმა რა უნდა დააკლონ ერთმანეთს? - ამშვიდებდა დედალი პრანწია, მაგრამ ტოროლამ საშინლად იწყინა.

- ჩემი ქმარი, ჩემი ტოროლა დიდია და კუნთებიანი! - საშინლად აჭყივლდა.

- მაშ, - რაღას გეშინიათ? - ჰკითხა დედალმა პრანწიამ.

- აბა, რა ცოლი ვიქნები, თუ არ შემეშინდება? თქვენ რა, არ გეშინიათ? .

- ჩემი ქმარი არ ჩხუბობს.

აჰ, თქვენი გულისათვის არ ჩხუბობს?

დედალმა პრანწიამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, ჩვენ თავის შეკავება შეგვიძლია. ზოგიერთებს კი არა ვგავართ. ჩვენ საზღვარგარეთ დავდივართ.

– მართლა? სამი ზამთარი გავატარე საზღვარგარეთ, მაგრამ თქვენ არსად შემხვედრიხართ. ეგ ტყუილები თქვენთვის შეინახეთ!

დედალ პრანწიას ბოლმა მოაწვა ყელში.

ამასობაში რაღაცა ბრაგვანის ხმა გაისმა. ის ტოროლები ახლა დაბლა ძიძგილაობდნენ. დედალი ტოროლა იქითკენ გაიქცა.

– ჭიივ! ჭიივ! – გაბრაზებით ჭყიოდა დედალი პრანწია.

მამალმა ჭიაყელა მოარბენინა და, დედალმა როგორც კი ნისკარტი დაალო საჩივლელად, პირში ჩასჩარა! აბა, უკან ხომ არ გადმოაფურთხებდა და ამისთანა ნადავლს ხომ არ გააფუჭებდა? როცა ჭიაყელა გადასანსლა და ტოროლებიც უკვე შორს წასულიყვნენ, ბოლმაც თითქოს გადაეყარა გულიდან.

ეგ წრიპები ტრაბახობენ, საზღვარგარეთ ვიყავითო. – ნისკარტი რომ შეიწმინდა, თქვა დედალმა პრანწიამ. – ყოვლად შეუძლებელია. მაგ პატარა ფრთებით როგორ უნდა გადაფრინდნენ ეგენი?

– განა არ გახსოვს, შარშან შემოდგომაზე, სანამ ჩვენ გადავფრინდებოდით, გუნდ-გუნდად რომ იკრიბებოდნენ ტოროლები?

– შეკრება ყველას შეუძლია, გადაფრენა კი არა!

– რატომაც არა? მართალია, მაგათ პატარა ფრთები აქვთ, სამაგიეროდ მსუბუქებიც არიან.

– კარგი ერთი! შენ იმასაც იტყვი, რომ საზღვარგარეთ ყველანი ყოფილან!

– ეგრე კია, – მიუგო მამალმა პრანწიამ და კოლბოხს იქით გადაეშვა.

იქ ჭიაღუას მოჰკრა თვალი. მოიტანა, პირში ჩაუდო დედალს და დაარიგა:

– სხვა მეზობლებთან უნდა დაგვედო ბინა. მთელი პრანწიები გუნდ-გუნდად ცხოვრობენ. გამომლაპარაკებლები იქ გეყოლებოდნენ, მაგრამ შენ აქ, სოფელთან ახლოს, სოფლის ფრინველებში მოისურვე ცხოვრება.

არა, ოჯახის შექმნაში არ გაუმართლა პრანწიას. ქმარს არაფერი არ ესმის. აბა, რაზე უნდა ელაპარაკოს პრანწიებს, როცა ყველას იგივე უნახავს და თანაც ბევრჯერ ყოფილან საზღვარგარეთ. შარშანდელ პრანწიას რით უნდა გაეკვირვებინა ისინი, როცა მას ერთი ზამთარი გაუტარებია საზღვარგარეთ? პირიქით, ჭკუის სწავლებას დაუწყებდნენ ამ ვაჟბატონივით, რომელსაც ისე მოაქვს თავი, ისეთი ბრძენი ჰგონია, თითქოს ორივენი ერთ ზაფხულს არ გამოჩეკილიყვნენ. განა დედალ პრანწიას ის უნდოდა, რომ სხვები გაეოცებინა? ბოდიში მოიხადეთ, სულაც არა. რა თქმა უნდა! მას მხოლოდ ის სურვილი ჰქონდა, განათლება შეეტანა ამ მიყრუებულ მხარეში, ამ ბნელ მობინადრეებში, რომლებსაც ქვეყნისა არაფერი გაეგებოდათ. ყველას ხომ არ შეუძლია საზღვარგარეთ წასვლა. აი, თუნდაც, ყვავს! ანდა ეგ იქ რა გამოსაჩენია? ფრინველი კი არა, რაღაცა გაუგებრობაა ეგ. მაგრამ ეს რუხი მიწა ქექონ და მწერებზე იოცნებონ, ამის უფლება ყველას აქვს. დედალი პრანწია თავის ძვირფას დროსა და ძალ-ღონეს არ დაზოგავდა, თუკი იმას მიაღწევდა, რაღაცა ეოცნება ყვავს. ქედმაღლურად არ შეაქცევდა ზურგს ამ საწყალ ყვანჩალას, რომელიც ისეთი მახინჯია, რომ შეხედვაც არ მოგინდება. კაჭკაჭი, მართალი უნდა ითქვას, ლამაზი ფრინველია, მაგრამ ისიც აბა, რას მოვა პრანწიასთან? თუკი პრანწია თავს გაუყადრებდა და დაელაპარაკებოდა, ეს დიდი პატივი იქნებოდა მაგისთვის!

არადა, რა გამოვიდა აქედან? ყვავმა და კაჭკაჭმა მასხარაობის მეტი არაფერი იციან. ტყუილად კი არაა ნათქვამი: მითხარი რაზე იცინი და გეტყვი ვინა ხარ შენაო. ეგენი ნამდვილად ფიქრობენ, რომ დედამიწა ბრტყელია და მზეც ამ გაქუცულ ღობეყორეზე ტრიალებს. ტოროლები თვითონ ყოფილან საზღვარგარეთ. ყარყატმაც, რომელიც ეს-ესაა დაბრუნებულა, მხოლოდ ერთხელ ჩაუარა გვერდზე, როცა პრანწია – აბა, მეტი რა უნდა ექნა – კვერცხებზე იჯდა.

დედალი პრანწია თავაზიანად მიესალმა ყარყატს. ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო, როგორ იმგზავრეთ, ამხელა გზამ ხომ არ დაგქანცათო. მაგრამ ყარყატს ბაყაყი გაეჩარა ნისკარტში და ვერ მიხვდებოდი, რატომ შემოაბრუნა თავი, ბაყაყს რომ ებრძოდა, იმიტომ, თუ სალამი დაუბრუნა, უფრო კი ბაყაყის გულისათვის.

– ეგ ფრინველებადაც არა გვთვლის ჩვენ. – დედალმა პრანწიამ შესჩივლა მამალს.

– შენც ნუ ჩათვლი. – დაარიგა მამალმა. – განსაკუთრებით გეჭიროს თვალი, როცა პატარა პრანწიკუნები გამოიჩეკებიან, მაგან ჩვენი უყურადღებობით არ ისარგებლოს და ნისკარტი არა სტაცოს.

კარგი ერთი! მაგათ ხომ წმინდა ფრინველებს ეძახიან.

– წმინდანი მანამდეა, სანამ პრანწიების ბარტყებს გადასანსლავს. ყვავი და კაჭკაჭი კი საერთოდ ყლაპავენ სხვისა შვილებს. მაგათთან მეგობრობა არ გამოგვადგება, კარგად დაიმახსოვრე!

კარგად დაიმახსოვრე და კარგად დაიმახსოვრე! სხვა არაფერი გაუგონია ქმრისაგან. ყველაზე ცუდი წარმოდგენა აქვს. ყვავზე კიდევ ჰო, შეიძლება იფიქრო, თუმცა საბრალო თვითონ რა დამნაშავეა, რომ ასეთი მახინჯია! მაგრამ კაჭკაჭზე! მართალია, იგი საკმაოდ უხეშად მოექცა პრანწიას, მაგრამ ერთი წყენინებისათვის ცუდი უნდა იფიქრო სხვაზე? არა, არა, ამას ვერ დაიჯერებს პრანწია. კაჭკაჭი ყოველთვის იყო და არის ლამაზი, დახვეწილი ფრინველი. იგი საზღვარგარეთაც გამოსაჩენი იქნებოდა, არათუ აქ, ამ მიყრუებულ მხარეში. დედალი პრანწია ხშირად ადევნებდა თვალს კაჭკაჭის ფრენას – იგი ჰაერში ისე დაცურავდა, როგორც ღეროდან მოწყვეტილი დიდი ყვავილი! არა, არა, მამალი პრანწია ნუ იტყვის ამას, მაშინ ბარემ ისიცა თქვით, რომ დედალი პრანწიაც სანსლავს სხვისა ბარტყებს! ეჰ, ეს მამების ჩვეულებრივი შიშია, მეტი არაფერი!

გაჯავრებულმა პრანწიამ უცებ ვერც კი გაიგონა, რომ ერთი კვერცხიდან წყნარი კაკუნი გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, რომ ენახა, თუ რა ხდებოდა იქ.

ღმერთო მაღალო! კვერცხი შუაზე ტყდებოდა! დედა პრანწიას უნდოდა, მეუღლისათვის დაეძახნა სასწრაფოდ, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ მიხვდა, იქიდან პატარა პრანწიკელა იჩეკებოდა. ჰმ! რამდენს იცინებდა ქმარი! მაგან ხომ მარტო უნდა უკიჟინოს სხვებს: მხედველობაში გქონდეს, მხედველობაში გქონდეს! განა თვითონ არ უნდა ჰქონოდა მხედველობაში, რომ დედალი პრანწია თავის სიცოცხლეში პირველად იჯდა კრუხად?

ვაიმე! ვაიმე! ვაი, ჩემი ბრალი! ეს რა მახინჯი შვილი მყავს! ასეთი გალუმპული და ღიღლიპანა, ასეთი გამწლიკული არამზადა რატომ უნდა გასჩენოდა ჩემისთანა ლამაზ პრანწიას? მეუღლეც ხომ, სიმართლე უნდა ითქვას, მშვენიერი და წარმოსადეგი ფრინველია. ოი, ოი! ნისკარტიც როგორ ჭიაყელას მიუგავს! დედალმა პრანწიამ კვერცხის ნაჭუჭები სასწრაფოდ ერთი ფრთის ქვეშ შეიყარა, ბარტყი კი – მეორე ფრთის ქვეშ ამოისვა, რომ მამას არ ენახა. ასეთი საზიზღრობის გამოჩეკისათვის დედალ პრანწიას ლამის თავი მოეკლა.

მამალმა პრანწიამ ჭიაყელა ჩაუდო ნისკარტში და ჰკითხა, კვერცხებზე რატომ არ ზიხარ? გაგიცივდებაო!

პირი ჰქონდა სავსე და შეეძლო, პასუხი არ დაებრუნებინა, რადგან არც ერთი წესიერი ფრინველი გამოტენილი პირით არ საუბრობს და მას რაღად უნდა ეპასუხნა? თანაც ის აფიქრებდა, რომ ეს არამზადა ფრთის ქვეშ ისე გადარეულივით ფუტფუტებს, ემანდ გარეთ არ გამოვარდესო! გამოვარდა კიდეც.

დედალმა პრანწიამ თვალები დახუჭა. მამალი ახლავე ჩაუნისკარტებს და უჭყივლებს, ეს რა გამოგიჩეკიაო!

– რა ლამაზი შვილია! – რაღაც უცნაურად მხიარული და შორეული ხმით დაიჭახჭახა მამალმა პრანწიამ.

დედალმა პრანწიამ თვალები გაახილა. მამალი სიხარულისაგან ლამის გაგიჟებულიყო და ჰაერში კოტრიალებდა. ნუთუ ეს მშვენიერი ღაბუა წეღანდელი საზიზღრობა იყო? რაც იქნება, იქნებაო და დედალმა პრანწიამ ფრთის ქვეშ შეიხედა. მართლა ის ბრძანდებოდა, რადგან იქ აღარავინ დახვდა.

დედალმა გულის დაშოშმინება ვერც კი მოასწრო, რომ ახლა მეორე კვერცხიდან გამოძვრა ისევე გალუმპული, ღიღლიპანა არამზადა, ღაბუა კი უკვე გასაქცევად ემზადებოდა! ღიღლიპანა ფრთის ქვეშ შემალა პრანწიამ და ქმარს დასჭყივლა – მორჩი მაგ მაიმუნობას, მოდი ახლა და შვილებს მიხედეო. ამ ჭყივილში ფრთები რომ შეიქნია, მეორე არამზადაც გამოხტა და ისიც მშვენიერი ღაბუა გამოდგა.

დედალმა უკვე შეიძინა გამოცდილება! თანაც დროულად! ის ორი პრანწიკელაც ერთი მეორის მიყოლებით გამოიჩეკა და ისე მოხერხებულად შეიტყუა ფრთებქვეშ, მამას რომ არ ენახა, მისი შვილები თუ რა მახინჯები მოევლინენ ამქვეყანაზე.

აღმოჩნდა, რომ ბარტყების გამოჩეკვა მხოლოდ ნახევარი უბედურება ყოფილა. პატარა პრანწიკელები ბუდიდან გარბოდნენ! ყველანი იმას ამბობენ, რა უჭირთ იმ ფრინველებს, რომელთა შვილებიც მაშინვე იწყებენ სიარულს და მთელი კვირები არ მოგიწევს ბუდეში მათი გამოკვებაო. მართალია, ძნელია მათი დაპურება ბუდეში, მაგრამ ის მაინც იცი, რომ იქ წყნარად ყუნტიან და უბედურებას არ დაიტეხენ თავზე. პრანწიკელები კი! გარბიან და გამორბიან, რომელსაც საით მოეპრიანება. მიდი და მწყემსე ახლა ეგენი!

პრანწიებს ერთი შიში ჰქონდათ. სულ თავს დასტრიალებდნენ შვილებს. ერთხელ მამალი პრანწია ცოტა შორს რომ გაფრინდა, მაშინვე კაჭკაჭი დაერჭო მათთან. ისე თავაზიანად, ისე გულთბილად მოიკითხა, რომ დედალმა პრანწიამ გაიფიქრა, ნამდვილად საზღვარგარეთის ამბების საკითხავად მოვიდაო. ამით ისეთი ნასიამოვნები დარჩა, ისეთი სიამაყე იგრძნო, რომ სულ დაავიწყდა, რა დაარიგა ქმარმა. კაჭკაჭმაც – თავაზიანმა კაჭკაჭმა – ნისკარტი სტაცა მის ნაბოლარას და გაიტაცა! დედა პრანწია ჭყივილით გაეკიდა უკან, მამალიც მოვარდა და ნიდაოში ეცა კაჭკაჭს. ნაბოლარას ნისკარტი კი გაუშვა კაჭკაჭმა, მაგრამ რაღა ეშველებოდა? ვეღარც ნისკარტს აღებდა და ვეღარც ფეთქავდა. გაციებული და გაშეშებული უძრავად ეგდო კოლბოხზე. მეტი რა შეეძლოთ, იქ უნდა დაეტოვებინათ. დედა პრანწიას მერე შვილები მიჰყავდა ხოლმე და იმ საბედისწერო ადგილს გარშემო უვლიდა და უვლიდა. სხვა რა უნდა გაეკეთებინა, არც დრო ჰქონდა გლოვისა და არც ძალა შესწევდა, რადგან, ღმერთმა უწყის, სხვებს როგორი შვილები ჰყავთ, მისები კი საძაგლები არიან, სულ ერთთავად ცელქობენ და აღმა-დაღმა დარბიან, როცა ხიფათი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული და, ვის სად უმუხთლებს ბედი, არავინ უწყის!

ყვავებსა და კაჭკაჭებზე თქმა აღარ სჭირდებოდა. ქმარს დაუჯერა და ყარყატსაც მოარიდა შვილები. ადამიანიც თუ სადმე გამოჩნდებოდა, დედა პრანწია დაუსტვენდა შვილებს, დაიმალენითო, თვითონ კი ჭყიოდა და სახეში მივარდებოდა. ადამიანს თვითონ სჭირდებოდა თავის დაცვა, რომ თვალები არ გამოეთხარა პრანწიას, არათუ მისი შვილებისათვის ევნო რამე. ამას აკეთებდა პრანწიას დედა, როცა ეს ჯერ კიდევ ფუმფულა იყო, ამას აკეთებს თვითონაც, შვილები რომ დაიცვას. საერთოდ კი არ იგრძნობოდა, რომ ადამიანებს მისი პრანწიკელებისათვის ცუდი სდომებოდეთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა!

მთავარი ხიფათი ჯერ კიდევ შორს იყო. მაგრამ როგორ იფიქრებდა დედალი პრანწია, რომ ბაყაყი – უბრალო ბაყაყი – რუისპირას ფეხში სწვდებოდა მის შვილს და წყლისკენ წაათრევდა? ეგონა, მოწყენილობის გამო ცელქობდა ბაყაყი და მალევე გამოუშვებდა ფუმფულას უკან. კიდევ კარგი, რომ მამალსაც ასე არ ეგონა. თვალი მოჰკრა თუ არა, თავში ჩაუნისკარტა ბაყაყს და პატარა პრანწიკელამ სწრაფად გამოსცურა აქეთ. ოღონდ ეგ იყო, კარგა ხანს კოჭლობდა.

ბოროტია, ბოროტი ეს წუთისოფელი! საოცარია, რომ დედა პრანწია ამ შვილების შემყურე სულ არ გაჭაღარავდა! ქმარი, რაც შეეძლო, ეხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებოდა, მაგრამ რა, მთელი ჯაფა, შვილების მოვლა-პატრონობა ყოველთვის დედას აწევს მხრებზე! ასე ყოფილა და ასე იქნება მუდამ. პრანწია ცდილობდა დაერწმუნებინა შვილები, რომ თავგასულობას კეთილი ბოლო არ ექნებოდა. ხან ლოტოსებზე და ლერწმიანებზე უყვებოდა, ხან იმ ტკბილ საჭმელებზე, ნილოსისპირა ჭაობებში რომ იცის, მაგრამ ვინ უსმენდა? ყველა ცალ-ცალკე დასდევდა რაღაცა მწერებსა და ჭიაღუებს. თვითონ უნდოდათ ენახათ, იმ რუხ ნამიკრეფიებში რა ირწეოდა... საკუთარი შვილებიც ვერ უგებდნენ პრანწიას და არც მოსმენა სურდათ. კიდევ უარესი! ბელურასთან ის უსიამოვნო ამბავი რომ შეემთხვა, შვილები აღარც კი უჯერებდნენ.

დედა ბელურასთან კი აი, რა შეემთხვა. პრანწიამ სწორედ მაშინ გაისეირნა იქით, როცა დედა ბელურა თავის შვილებს ღობეზე გადაფრენა-გადმოფრენას ასწავლიდა. ეს სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო, პრანწას ფიქრადაც არ მოსვლია, ვიღაცა მდაბიო ბელურასათვის გაეყადრებინა თავი!

შემოღობილში ცხენი ბალახობდა. ბელურები ისე დასტრიალებდნენ თავს და ისე აქებდნენ ამ ჯაგლაგს, რომ პრანწიას კინაღამ გული აერია. ვერ მოითმინა და ნილოსის დიდებულ ცხენებზე - ბეჰემოთებზე დაიწყო საუბარი. ნილოსის ცხენები წყალში ცხოვრობენო, გარეთ მხოლოდ ცხვირი, თვალები და ყურები უჩანთო. ეს კი ამ შემოღობილში რომ ტრიალებს, ნილოსის ცხენთან შედარებით კონკიაჟღარუნააო.

დედა ბელურამ, რაო?

- შორს აქედან! - ჭყიოდა იგი. შვილო ნამცეც, წამოდი! შვილო ჟღურტულ, წამოდი! შვილო ჭყივილ, წამოდი!

როცა პატარა ბელურები აქეთ-იქით დაიმალნენ, დედა ბელურა პრანწიას მივარდა. - შორს აქედან! მატყუარავ, შორს! ტყუილებით ნუ ბერავ ჩემს შვილებს, თავბრუს ნუ ახვევ! ცხენები წყალში არ ცხოვრობენ! ეგეთი ცხენები არსად არიან!

- საზღვარგარეთ არიან. - მოუჭრა დედალმა პრანწიამ.

- არც საზღვარგარეთი არის! არავითარი საზღვარგარეთი არ არსებობს! ცრუო! ცრუო! ცრუო! და გაფრინდა.

პატარა პრანწიკელები დაჭყეტილი თვალებით შეჰყურებდნენ დედას და მერე კი ჰკითხეს: - შენა ხარ ცრუო-ცრუო-ცრუო?

- სულაც არა ვარ, - უთხრა დედამ. - შემოდგომაზე საზღვარგარეთ რომ გავფრინდებით, თქვენი თვალითა ნახავთ ნილოსის ცხენებსა და ნიანგებს.

მაგრამ შვილებს სულ არ ეტყობოდათ, რომ დედისა სჯეროდათ.

შემოდგომითაც კი, როცა მთელი პრანწიები გუნდ-გუნდად შეიკრიბნენ და გადასაფრენად დაიწყეს მზადება, პრანწიას შვილები თავიანთ თანატოლებს რომ გაეცნენ, არც მაშინ ემჩნეოდათ, თუ სჯეროდათ რამე. უფრო სწორად კი - მათთვის თითქოს, სულ ერთი იყო, სად და რისთვის გაფრინდებოდნენ.

დედა პრანწიამ უკვე ხელი ჩაიქნია მათზე. გაუშვი, ნუ დაიჯერებენ! მას თავისი საფიქრალიც ბევრი ჰქონდა. ალბათ, იქ, აფრიკაში, უკვე კითხულობენ, პრანწიამ ასე დიდხანს რატომ დაიგვიანაო? და აი, ისიც სულ მალე თავს დაუკრავთ. გადაუფრენს ნილოსს. ჭივ-ჭივ-ჭივ! ყველას გაუხარდება და ეტყვიან, უშენოდ აქ სულ მოწყენილები ვიყავითო. ახლა კი გვიამბე, იქ, მშობლიურ მხარეში როგორ იყავი, როგორი დრო გაატარეო. ძალიან გთხოვთ, მოგვიყევიო! ოი-ოი, პრანწია სულაც არ გაყოყლოჩინდება, ქედმაღლურად არ დაიჭერს თავს... მოიცა, მოიცა, კი მაგრამ იმ დახვეწილ საზღვარგარეთელებს რა უნდა უამბოს ამ ჩამორჩენილ მხარეზე? პრანწია ამან ძალიან დაალონა, მაგრამ მალევე მოეგო გონს.

- აფრიკაში თოვლი უნახავთ? ან ყინული გაუგონიათ? მათთვის ეს უჩვეულო რამ იქნება! აჰ, როგორ გაუკვირდებათ!

პრანწიას მოუთმენლობისაგან ფრთები უხურდა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო ეს სიხარული სხვებისათვის გადაეღო. ნეტავი ეგენი რას ელოდებიან? ბოდმისაგან ჭამაც კი არ უნდოდა. მამალი პრანწია ეხვეწებოდა, აიძულებდა შეეჭამა რამე, თორემ ღონე არ გეყოფაო გასაფრენად. ჰმ! ღონე არ ეყოფოდა საზღვარგარეთ გასაფრენად!

მთელ ამ გრძელ გზაზე დედა პრანწია მართლაც რომ აღფრთოვანებული იყო. შვილები კი სულ ერთთავად წუწუნებდნენ, ხან ჭამაზე ჩიოდნენ, ხან ქარსა და წვიმაზე, ხან ფრთების ტკივილზე და, გაიგე, კიდევ რაზე. ძირს დაეშვებოდნენ თუ არა, მაშინვე აქეთ-იქით ეცემოდნენ, მუცლები რომ ამოეყორათ. და ეს ჭიაყელები რომ იტალიური იყო და არა იმ მიყრუებული კუთხისა, ამას სულაც ვერ ამჩნევდნენ.

და ბოლოს, როცა ნილოსიც გამოჩნდა, განა ნისკარტები დააღეს და იჭყივლეს: - რა ლამაზიაო?! სრულებითაც არა! ერთი ამოიწრიპინეს, როგორა ცხელაო, მერე დაღლილი ფრთები შეიბერტყეს და მაშინვე საჭმლის ძებნა დაიწყეს.

პრანწიას შვილები ერთიც არ დაემსგავსა დედას, ყველა პირწავარდნილი მამაა! არავითარი სულიერი საზრდო მათ არ აინტერესებთ, თან რა უშნოდ ქშინავენ, მოლეკულებით რომ იყმინდებიან! დედამ შეახსენა, თქვენ ახლა საზღვარგარეთ იმყოფებით და საზღვარგარეთ კი ეგრე არ უნდა იქცეოდეთო, მაგრამ ყურებიც არ გაიბერტყეს. იქით გაიქცნენ და ისევ ყლარწაყლურწვა დაიწყეს. მამაც ასევე...

პრანწიამ კეკლუცად, დახვეწილი გემოვნებით ჩაუნისკარტა რამდენიმე მწერს, მერე საგულდაგულოდ გადაისწორა ფრთები და აფრინდა. დაღლილ-დაქანცული, რა თქმა უნდა, თვითონაც იყო, მაგრამ ხომ უნდა სჩვენებოდა ყველას, მისალმებოდა აქაურებს! მას ხომ დიდი ხანია ელოდნენ აქ!

შორს გაფრენა არ დასჭირვებია. სამი წრეც კი არ გაეკეთებინა ჰაერში, რომ წყალში რაღაცის შავ ზურგს მოჰკრა თვალი. ო-ო, ეს ხომ საქვეყნოდ ცნობილი დედა ბეჰემოთი - ნილოსის ცხენი ბრძანდებოდა! ის ვინ ახლავს გვერდით? პატარა, პატარა შესძენია დედას, სანამ პრანწია აქ არ იყო! ოი, რა სასიხარულოა! ოი, რამხელა ამბავი მომხდარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრანწია წყალზე დაეშვა. ბეჰემოთს პირდაპირ ცხვირწინ დაუსკუპდა. აბა, სხვანაირად იგი, ამხელა გოლიათი, როგორ შეამჩნევდა პრანწიას. ამას ვერ უსაყვედურებდი, რადგან საკუთარ ტანს ვერავინ აირჩევს, მთავარია, კარგი საქციელი და ურთიერთგაგება ჰქონდეთ.

– გამარჯობა, პატივცემულო! – მიესალმა პრანწია.

– რჯობა, – დრუნჩი არ აუწევია, ისე ამოიბურდღუნა დედა ბეჰემოთმა და წყალი შეამხაპუნა პრანწიას, რომელსაც კინაღამ თავბრუ დაეხვა.

– რჯობა-რჯუბა! – მთელი ხმით ამოიღრიალა ბეჰემოთუნამაც. თან კი თავსა და კუდს წყალს უტყლაშუნებდა.

თავით ფეხამდე დაქიებული პრანწია ბზრიალასავით დატრიალდა და შიშისაგან გულშემოყრილს ცოდვილმა აზრმა გაუელვა თავში – ეს კი სულაც არ შეიძლება კარგ საქციელად ჩაითვალოსო.

– შვილო გორგალ! – დედა ბეჰემოთმა დაუყვირა თავის ნაშიერს და პატარამაც განზე გასცურა. წყალი ნელ-ნელა დაწყნარდა და პრანწიამაც ოდნავ მოითქვა სული.

– ჰო-ო,. – თქვა პრანწიამ. – რა ბედნიერი ხართ თქვენცა და თქვენი შვილიც, რომ ასეთი თბილი წყალი გაქვთ! ნილოსზე კარგი ამქვეყნად არაფერია. მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც აქ არ ვიყავით, სულ ნილოსზე ვფიქრობდი!

– სხვა-გან იყ-ა-ავ? – გაიოცა ბეჰემოთმა, თავისებურად დააღო პირი და დაამთქნარა.

პრანწიას გული ეტკინა. ამ გაფუებულ ცომს არც კი შეუმჩნევია, რომ აქ არ იყო, მის სასარგებლოდ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია! პრანწიას კი ეგონა, რომ აქ, ნილოსის პირას სულ მასზე ლაპარაკობდნენ და უკვირდათ, ამდენ ხანს რატომ არ გამოჩნდაო.

პრანწიამაც სულ აღარ უთხრა, რაც განზრახული ჰქონდა – რა ლამაზი და ჭკვიანი შვილი გყავსო. ქოჩორი აიჯაგრა და მიუგო:

– დიახ, რა თქმა უნდა. მე სამშობლოში გახლდით. ო-ო, რა ლამაზია იქ! ოღონდ ზოგჯერ ისე აცივდება ხოლმე, რომ წყალი ყინულად იქცევა.

– რა არის ყინული? რა არის ყინული? – აჭყლოპინდა პატარა ბეჰემოთი.

– რა არის და, წყალი ქვასავით მაგარი გახდება. მაგალითად, თქვენ თუ წყალში იქნებით და დიდი ყინვები დაიჭირა, თქვენც გაიყინებით ისე, რომ განძრევასაც ვერ მოახერხებთ. საჭმლის მოძებნა ან წყლის დალევა თუ მოგინდებათ, მხოლოდ დრუნჩს გაიტეხთ წყალზე.

– ვაი! – ამოიღრიალა პატარა ბეჰემოთმა და ნაპირისაკენ გავარდა. – გავიქცეთ, დედიკო, თავს ვუშველოთ! ყინვა მოდის! ცხვირებს დაგვამტვრევს.

– ეი, შენ! – დაიღრიალა დედა ბეჰემოთმა. – ბალღს ნუ მიშინებ! სისულელეებს ნუ უყვები! წყალი არასოდეს არაა მაგარი! შენ ცრუობ! ცრუობ! ცრუობ! რას ეძებ აქ ნილოსის პირზე? შეაყოლე აქედან სასწრაფოდ!

და დედა ბეჰემოთმა ისე ამოიქშინა, ისე დაჰკრა წყალს თავი, რომ მღვრიე ტალღებმა ნაპირზე მიახეთქა პრანწია – გაქიებული და გასავათებული.

ფრინველებს ტირილი არ შეუძლიათ, მაგრამ, ვაი, როგორ სტკიოდა პრანწიას გული. მას, რომელიც სრულ ჭეშმარიტებას ლაღადებდა, მატყუარა უწოდეს! თანაც რა უხეშად მოექცნენ! თავის სიცოცხლეში ახლოს აღარ გაეკარება ამ მახინჯს, ამ ჩასორსლებულს! შორიდანაც კი აღარ მიესალმება!

პრანწიამ სუფთა გუბე მოძებნა, ჩამოირეცხა ჭუჭყი, მზეზე გაშრა და რამდენიმე მოლუსკი დარბაისლურად მიირთვა.

– ჭი-ივ! ჭი-ივ! ჭი-ივ! – ხმა მოესმა პრანწიას. მისი ქმარი იყო. – ჭი-ივ! მივფრინავთ! ჭი-ივ! აბა, დატრიალდი!

პრანწიას გული სულაც აღარ უწევდა გასაფრენად, მაგრამ რა უნდა ექნა, ქმარი მაინც ქმარია, ხანდახან იმასაც უნდა დაუჯერო. და პრანწიამაც ფრთები გაშალა. მიფრინავდა და ჰაერში ტრიალებდა, სანამ მამალი პრანწია ძირს არ დაეშვა დასანაყრებლად. – მაგან მეტი რა იცის! – მაგრამ დედალმა პრანწიამ ქვიშაზე გაწოლილ ნიანგს მოჰკრა თვალი.

პრანწიამ ფრთები შეიბერტყა: არა, პირდაპირ ხახაში ხომ არ ჩაუვარდება ნიანგს! შორიდანაც კი ეშინია ამ ურჩხულისა. მაგრამ მაშ როგორ მიესალმოს ნიანგის ჩიტებს.

ფრთების ცახცახით დაეშვა პრანწია. მოწიწებით დაუკრა თავი და თქვა: – მშვიდობა სახლსა თქვენსა!

ზოგმა დაუბრუნა სალამი, ზოგს ხმაც არ ამოუღია. ალბათ, პირი ჰქონდათ გამოტენილი. – თვითონ დედა ჩიტი კი მიუახლოვდა პრანწიას და თქვა: – შეხედეთ, პრანწია ჩამოსულა! სად იყავი დაკარგული?

ვიღაცას მაინც შეუნიშნავს, რომ აქ არ იყო! პრანწიას უცებ მოეშვა გულზე.

– საჭირო იყო, ცოტა ხნით მაინც მეცხოვრა სამშობლოში. შვილები გამომეჩეკა და გამეტარგამომეტარებინა.

– რამდენი გამოჩეკე?

– ოთხი, მაგრამ ერთი კაჭკაჭმა მომიკლა.

– ოჰ, ოჰ, – მოხუცმა თანაგრძნობით დაუქნია თავი. – რას იზამ, ხდება ხოლმე. ძნელია შვილების მოვლა, ძნელი.

– აქ რა გიშავთ, უთხრა პრანწიამ. – ძნელი იქ არის, აი! ოი-ოი, იქ გაზაფხულზეც ისეთი სიცივეები და უამური ამინდები იცის, რომ ვერც კი წარმოიდგენთ!

– სიცივე? რა არის სიცივე? – იკითხა უფრო ახალგაზრდა ჩიტმა, ეტყობოდა, უკვე გამაძღარიყო და ახლა მოსასმენად მოსულიყო.

– აბა, როგორ გითხრათ, თქვენ თვითონ თუ არ გინახავთ და არ გიწვნევიათ, – პრანწიამ თავმომწონედ გამოზნიქა მკერდი და ქოჩორი უკან დაილაგა. პრანწია ახლა სწორედ ის იყო, ვინც მოუყვება ნიანგის ჩიტი კი განა უბრალო ფრინველი – საზღვარგარეთული ფრინველი, ნისკარტდალებული ელოდებოდა. მეტი პატივი რომ დასდებოდა, პრანწიამ ცოტა უფრო დიდხანს იფიქრა, ვიდრე საჭირო იყო, იფიქრა კიდევ და თქვა: – მაგალითად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმის ღრუბელი. აქ რა ხდება როცა წვიმის ღრუბლები შეიკვრება.

– გაწვიმდება ხოლმე, მეტი რა უნდა მოხდეს. აღმოაჩინა საოცრება.

– მაგრამ ჩვენთან ისე ცივა, რომ წვიმის წვეთები თეთრ ვარსკვლავებად იქცევიან ხოლმე. ყოველი წვეთი თეთრი ვარსკვლავია. მთელი ცა სულ თეთრი ვარსკვლავებითაა სავსე! და თუ ამ დროს ქარმაც დაუბერა, ვარსკვლავები ტრიალებენ და ცეკვავენ, ტრიალებენ და ცეკვავენ. ოი, რა ლამაზი სანახავია!

ნიანგის ჩიტმა ნისკარტი კიდევ უფრო დააღო, მაგრამ საოცრებისაგან კი არა! – მოდით აქ! მალე მოდით! – ხარხარებდა და ჭყიოდა. – პრანწიას უნდა ბუზი სპილოდ აქციოს!

ნიანგის ჩიტები ფრთების ტყლაშუნით შემოეხვივნენ პრანწიას.

– პრანწია იქა ყოფილა, სადაც წყალი თურმე ვარსკვლავებად იქცევა! მხოლოდ ვარსკვლავები დადიან ჰაერში! პრანწიას დასტრიალებენ და ცეკვავენ! პრანწიას უტრიალებს და ვარსკვლავები ცეკვავენ! – ჭყიოდნენ ნიანგის ჩიტები.

ყველანი ხარხარებდნენ. ისე ხარხარებდნენ, რომ ნიანგს გამოეღვიძა და ფხოჭაგლეჯით გადაეშვა ნილოსში, რადგან ჩიტების ჭყივილი ხომ იმის ნიშანი იყო, რომ ადამიანი მოდიოდა – ყველაზე დიდი საშინელება, რაც კი შეიძლება იყოს ქვეყანაზე.

– შენი ტყუილებით სადილი დაგვაკარგვინე! – ერთმა ჩიტმა, ჯერაც რომ ვერ მოესწრო სადილობა, გაბრაზებით დაუყვირა და საკბენად მივარდა პრანწიას. – ცრუო! ცრუო! ცრუო!

მრისხანედ შეიკრა მთელი გუნდი. ყველა პრანწიას გასაპუტად მიიწევდა. გაანჩხლებულ ჩიტებს ძლივს გაერიდა გულგახეთქილი პრანწია.

დიდხანს მიფრინავდა პრანწია. უკან ნიანგის ჩიტების ჭყივილი მიაცილებდა. მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელმა მდევარმა მიატოვა და ფრთებიც ძალიან დაექანცა, ძირს დაეშვა შესასვენებლად, ოღონდ წინასწარ კარგად მიათვალიერ-მოათვალიერა, სადმე ახლოს ხომ არ იყვნენ ის რაღაც მახინჯი და ჩაორსლებული ბეჰემოთები, საზიზღარი ნიანგები და მათი გამოყეყეჩებული ჩიტები. სად ჰქონდა პრანწიას ჭკუა, ასეთებს რომ გაუყადრა თავი! საზღვარგარეთელებს დამიხედეთ! ერთი მათგანი მაინც თუ იყო  უფრო ჭკვიანი პრანწიას თანამემამულე ბეღურაზე?

პრანწია უყურებდა ნაცრისფერ ხეებს, ძირები გველის ჭარივით საზიზღრად რომ მოუჩანდათ და უცებ გაახსენდა არყის ხეები – თეთრი და მიმზიდველი – შორიდან თოვლის ფიფქებივით რომ მოჩანდა მისი აქერცლილი ქერქი.

თოვლის ფიფქები? პრანწიასათვის კარგი არაფერი გაუკეთებია თოვლს და მაინც რა ლამაზი იყო ის თეთრი ვარსკვლავები.

– მოწყენილი ხართ? – მორიდებით ჰკითხა ვიღაცამ.

პრანწია შეხტა. იქ, ნაცრისფერ ხეებში შეუმჩნევლად რაღაც ფრინველი, უცნაურად თავმოტვლეპილი და თანაც მოწყენილი. მარაბუ! რომელიც სიბრალულითა და თანაგრძნობით ათვალიერებდა პრანწიას.

პრანწია სხვა დროს ითაკილებდა ამისთანა მახინჯის თანაგრძნობას, ახლა კი ერთ სიმპათიურ და მეტად ჭკვიან პაპად ეჩვენებოდა ეს მარაბუ.

– ჰო, სამშობლო მომენატრა, – მიუგო პრანწიამ.

– ა-ა-ლბათ... ლამაზია შენი სამშობლო! – მარაბუმ ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

– კი, – მიუგო პრანწიამ. თუნდა მატყუარა უწოდოს, თუნდა ცრუ. რაც უნდა, ის გააკეთოს. – თქვენ იქნება არ დამიჯეროთ, მაგრამ იქ ისეთი თეთრი, თეთრი ხეები იზრდება. არყის ხეები...

– შე-ი-ძლება, – თქვა მარაბუმ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

ღმერთო, ნუთუ მართლა აღმოჩნდა ერთი ცოცხალი არსება, რომელმაც მატყუარა არ უწოდა? კეთილი, ჭკვიანი მარაბუ!

– ზოგჯერ იქ ისე ცივა, რომ წყალი ყინულად იქცევა და ქვასავით მაგარი ხდება-ხოლმე. დააპირებ დალევას და ნისკარტს მოიტეხ ზედა, – უყვებოდა პრანწია.

– შე-ი-ძლება, – უთხრა მარაბუმ და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. ღმერთო, რა გრძელი ნაბიჯები აქვს ამ მარაბუს...

– სიცივეში კი წვიმის წვეთები პატარა ვარსკვლავებად გადაიქცევიან ხოლმე. – ჩახლეჩილი ხმით დასძინა პრანწიამ.

– შე-ი-ძლება! – თქვა მარაბუმ და ნაბიჯი კიდევ გადადგა, დააღო ნისკარტი და ვაი! პრანწიამ წამითლა მოასწრო განზე გახტომა. პრანწია ჰაერში აიჭრა და მარაბუმ ცარიელი ნისკარტილა ააკაპუნა. ახლა კი გაახსენდა პრანწიას, რა ხმებიც დადიოდა მარაბუზე!

– ჭი-ივ! – სასოწარკვეთილი ხმით აჭყივლდა, რადგან მარაბუც უკვე ფრთებს შლიდა.

– ჭივ-ჭივ-ჭივ! – გამოეხმაურა მამალი პრანწია და მაშინვე მოქანდა მასთან. ვაჟკაცურად მიაფრინდა საზიზღარ მარაბუს თვალებში. მარაბუ იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო, მაგრამ სასჯელს მაინც ვერ დააღწია თავი: მამალი პრანწია ჭყივილით ვარდებოდა ზედ თავმოტვლეპილ გაიძვერას, რომელიც ამაოდ ემუქრებოდა თავისი უზარმაზარი ნისკარტით. მაგრამ მამალი პრანწია მოხერხებულად იცდენდა შემოტევას. დედალი პრანწიაც, გული რომ მოიბრუნა, გაბრაზებით ეცა მარაბუს. გაოგნებულმა მარაბუმ ისღა მოახერხა, ბუწკნარებში დამალულიყო.

– ჭივ-ჭივ! ჭივ-ჭივ! – გამარჯვებას ზეიმობდნენ პრანწიები, ჰაერში ტრიალებდნენ, რათა კარგად დაემახსოვრებინა მარაბუს, თუ რა სულელურად შეირცხვინა თავი!

მაგრამ თქვენ თუ ახლა სადმე შეხვდებით პრანწიას, იცოდეთ, რომ მას აქეთ იგი აღარავისთან საუბრობს, აღარაფერს არ ჰყვება. მაშინაც კი, თუ ვინმე შეეკითხება რამეს, ერთს ამოიჭყივლებს: – ჭი-ივ! – ჰაერში ამოტრიალდება და მაშინვე ქმართან დაეშვება, რადგან, რაც მართალია, მართალია, გათხოვებაში ბედი ნამდვილად ჰქონია.

ჭი-ივ!

*ლატვიურიდან თარგმნა:*
*უშანგ სახლთხუციშვილმა*

?

თეიმურაზ მიბჩუანი

# ეგრის-აფხაზეთის ტრაგედია
## (XVII საუკუნე)

*XVII საუკუნეში აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძეებმა, რომელთა სამთავრობო რეზიდენციასაც ლიხნი წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოხვეწილ აფსუა თუ აბაზ-ადიღეელთა დახმარებით შეძლეს დადიანების სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ანაკოფიიდან (ახალი ათონი) მდინარე ენგურამდე დაეპყროთ. ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაწყვიტეს, ნაწილი მონათა ბაზრებში გაყიდეს. გადარჩენილები კი თავიანთ სამსახურში ჩააყენეს.*

*შევეცდებით, ქვემოთ ამის შესახებ მკითხველს უფრო დაწვრილებით მოვუთხროთ.*

## ეგრის-აფხაზეთის პირველი დაპყრობა

*„ანაკოფიის დასავლით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული აგრეთვე ეგრისი... შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა „აფხაზეთი“.*
*ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)*

საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცება, რაშიც უმთავრესი როლი ჯერ მონღოლებმა და შემდეგ ოსმალებმა ითამაშეს, XV საუკუნეში იწყება. 1453 წელს ოსმალებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიის ძლევამოსილებას, ხოლო 1461 წ. - ტრაპიზონის სამეფოს. 1475 წელს ოსმალეთის ვასალი გახდა ყირიმის სახანო და საქართველოს საფრთხე ჩრდილოეთიდანაც დაემუქრა. ოსმალეთი გაბატონდა შავ ზღვაზე. საქართველოში იწყება ქვეყნის დაშლა სამთავროებად და სათავადოებად.

XV საუკუნეში აფხაზეთი რომ სამეგრელოს სამთავროში შედიოდა, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს ელჩები 1460 წელს ევროპაში იმყოფებოდნენ. ისინი თურქეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში ასახელებენ სამეგრელოსა და აფხაზეთის მმართველს ბედიანს (მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 598; ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., წ. IV, ნაწ. I, გვ. 59, 110).

იგივე ვითარებაა XVI საუკუნეში. ამ დროს სამეგრელოს მთავარმა მამია III დადიანმა (1512-1533 წწ.) ბიჭვინთის ტაძარს აჩუქა სოფლები გლეხებითურთ: ჯიქთუბანი 12 გლეხით, ნაქანეო 60 კომლით, ბიჭვინთასთან - აითარნე ზეთისხილით, არუხა და რიბიწა (საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1925, გვ. 183). ეს სიგელი ძალაში იყო ლევან I-ის, გიორგი III-ის და მამია IV (გარდ. 1590 წ.) დროსაც. XVI საუკუნის ბოლომდე აფხაზეთის მმართველები დადიანების ვასალები იყვნენ. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ფეოდალები ხშირად დამხმარედ უცხო ძალებს იწვევდნენ.

არაბი ავტორის ალ-მუჰიბბი (XIVს.) ასეთ ცნობას გვაწვდის: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე - დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და, დადიანი, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს“ (XIV-XVსს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, თბ., 1988, გვ. 53). ალ-მუჰაბბის მიერ მოხსენიებული დადიმანი, რომელთანაც ეგვიპტის სულთანები აწარმოებდნენ მიმოწერას, არის გიორგი დადიანი (1345-1384 წწ.).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობითაც, დადიანები ფლობენ ქ. ცხომს - სოხუმს, რომელსაც ალ-მუჰიბბი ასახელებს.

სოხუმიცა და აბხასიც, არაბი ავტორების ცნობით, ქალაქებია ყირიმის ზღვის სამხრეთით. შესაძლოა, „აბხასის“ ქვეშ იგულისხმებოდეს გაგრა-ბიჭვინთის სექტორი ან ანაკოფია (ათონი).

XV ს. იტალიელი ავტორი, მოგზაური ბატონი ჯოსაფატ ბარბარო იუწყება, რომ სამეგრელოს „ქვეყნის მმართველს ჰქვია ბენდიანი. მას ხსენებულ ზღვასთან (იგულისხმება შავი ზღვა, - თ.მ.) აქვს ორი ციხე, ერთს ჰქვია ვატი და მეორეს - სევასტოპოლი. ამათ გარდა, კიდევ აქვს სხვა მაღალი კოშკი და გამაგრებული ადგილი (XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ , თბ., 1981, გვ. 55). აღნიშნულ ცნობაში „ბენდიანი“ ბედიანია. XV ს. 50-70-იან წლებში ბედიანი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მთავარი იყო. მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ბედიისა და ცხუმის საერისთავოებზე. მას ემორჩილებოდა გურიაც. მთელ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას *საბედიანო* ეწოდებოდა. დღეს ერთადერთი ოჯახი გვარად *ბედიანი* ცხოვრობს მესტიის რაიონის სოფელ წვირმიში. მათი გადმოცემით ეს გვარი ერთ-ორ ოჯახზე მეტად არ მრავლდება.

*ვატი*-ს ქვეშ, კომენტატორთა აზრით, ბათუმი უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო სევასტოპოლი სოხუმია. გენუელი ვაჭრები სევასტოპოლში იძენდნენ ხე-ტყეს. ხე-ტყით ვაჭრობის ცენტრს ბიჭვინთის მახლობლად მდებარე კავო ბუქსო წარმოადგენდა.

XVI ს. ბოლოს შარვაშიძეები ძლიერდებიან და იწყებენ ბრძოლას დადიანებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. წამქეზებლის როლს თურქეთი ასრულებდა.

XV-XVII საუკუნეებში აფხაზეთი ოდიშის სამთავროში შედიოდა, ოდიშის სამთავრო კი იმერეთის სამეფოში შემავალ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოდიშის სამთავრო დამოუკიდებლობისა და შესაძლო შემთხვევაში ჰეგემონობისათვის ბრძოლას ეწეოდა. ამით სარგებლობდა აფხაზეთის სათავადოს სეპარატისტულად განწყობილი ზედა ფენა და ყოველნაირად ცდილობდა, შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ტერიტორიული და პოლიტიკური დამოუკიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლობისათვის მიეღწია. სიტუაცია აფხაზეთის ხელისუფალთა სასარგებლოდ ვითარდებოდა. უცხოელი დამპყრობლები ყოველნაირად ცდილობდნენ ქვეყნის პოლიტიკურად დაშლის გაფართოება-გაღრმავებას. XVI-XVII საუკუნეებში იმერეთის სამეფოში დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის საერისთავოები.

ჩრდილო დასავლეთიდან ოსმალები ჯიქების მეშვეობით ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სანაპირო სოფლებზე, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ ქართველებს და შემდეგ ოსმალეთში ყიდდნენ.

„გურჯისტანის საკითხს" მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ირან-ოსმალეთის ორმოცდაათწლიან ომში, რომელიც 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა. ორი აგრესორი დროებით მორიგდა - საქართველო დაყვეს. კერძოდ, აღმოსავლეთი საქართველო ირანის სამფლობელოდ გამოცხადდა, ხოლო დასავლეთი ოსმალეთისად. ამასიის საზავო ხელშეკრულება აღრმავებდა საქართველოს პოლიტიკურ გათიშულობას, რაც ქვეყნის დამორჩილების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა. ამასიის ზავმა იურიდიულად დაადასტურა ოსმალეთის „უფლებები" დასავლეთ საქართველოზე, ოღონდ საჭირო იყო აღნიშნული ტერიტორიის მისი ჯარის ნაწილებით დაკავება. ამის საფუძველს იძლეოდნენ ადგილობრივი მთავრები. ასე მაგალითად, ოდიშის მთავარი ლევან I დადიანი (1533-1572წწ.) 1557 წელს სტამბოლში ჩავიდა, რათა დახმარება ეთხოვა ოსმალეთის მთავრობისათვის მეზობლების წინააღმდეგ. მეზობლებში იგულისხმებოდნენ იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრები. ოსმალეთის მთავრობა ხალისით წავიდა ამ დახმარებაზე: „შემწე იყო სულთანი დადიანისა და მისცა ჯარი არზრუმისა და ტრაპიზონისა. წამოვიდნენ და დაბანაკდნენ სატყეპელას" (ვახუშტი).

1572 წელს ლევან I დადიანი ნადირობის დროს დაიღუპა. სამთავროს ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი. იმერეთის მეფე გიორგი შერიგების მიზნით დაუმოყვრდა გიორგი დადიანს. იგივე ხერხს მიმართა გიორგი გურიელმაც - თავისი და მერთო გიორგი დადიანის უმცროს ძმას - მამიას, მაგრამ გურიის მთავარმა ეს მზაკვრული მიზნით გააკეთა: ამის შემდეგ იგი გიორგი დადიანს თავს დაესხა ზუგდიდში, დაამარცხა, აფხაზეთში განდევნა, ხოლო მის ტახტზე მამია დადიანი, თავისი სიძე დასვა.

იმერეთის მეფე გიორგი შეურიგდა მამიას გამთავრებას, გიორგი დადიანი კი იძულებული გახდა, შური ეძია მოძალადეებზე. ამ მიზნით მან „იშოვა ლაშქარი აფხაზეთისა, ჯიქისა და ჩერქეზისა და სამთავროს დასაბრუნებლად გამოეშურა". ეს ფაქტი აფხაზეთის მთავრებს იმის იმედს უსახავდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ჯიქები, ჩერქეზები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მთიელები მომავალშიც გამოეყენებინათ თავიანთი დაპყრობითი მიზნებისათვის. აფხაზი მთავრებისთვის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები ადვილი ხელმისაწვდომი იყვნენ, რამეთუ აფხაზები სამხრეთიდან უშუალოდ ემეზობლებოდნენ დანარჩენ ადიღეურ ტომებს. დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა, რომელმაც აფხაზეთში 1630 წელს იმოგზაურა, ამასთან დაკავშირებით წერს: „აფხაზები („აბასკა"„ „აბაცა") ცხოვრობენ მთებში, რომლებიც გადაჭიმულია ჩერქეზეთამდე. მათ მარჯვნივ შავი ზღვის სანაპიროა, აღმოსავლეთით - სამეგრელო. ეს ქვეყანა ემორჩილება ორ მთავარს, რომელთაგან ერთს ჰქვია პუზო (პუსო), ხოლო მეორეს კარაბეი. ეს ქვეყანა გადაჭიმულია 150 მილის სიგრძეზე. ამ ქვეყანაში არ არის ქალაქები, მაგრამ ბევრი სოფელია მთებში. ეს მთები არიან უფრო მაღალი, ვიდრე ოდესმე მინახავს. აფხაზეთში გაფანტული არიან ზღვის სანაპიროზე. მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორიც ჩერქეზების, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ესენი ჭამენ თითქმის უმ ხორცს" (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, 1987, გვ. 169-170).

XVI საუკუნეში სამეგრელოს ტერიტორიაში შედიოდა ამჟამინდელი გაგრა-ბიჭვინთის სექტორი. ბიჭვინთაში იყო ქართული საკათალიკოსო, რომლის სამწყსოშიც შედიოდა დასავლეთი საქართველო.

ჯოვანი და ლუკას ცნობით აფხაზები ქრისტიანები არიან, თუმცა არავითარ ქრისტიანულ წესებს არ ასრულებენ. არა აქვთ დაწერილი კანონები. აფხაზთა ქვეყანაში იგი ასახელებს ორად-ორ მდინარეს: სუთუსუს და სუბასუს (დასადგენია ამ მდინარეების დღევანდელი სახელწოდება). შემდეგ უცხოელი ავტორი წერს, რომ „აფხაზებს ომი აქვთ ჩერქეზებთან და მეგრელებთან... მიცვალებულს დებენ ხის ფუღუროში, რომელსაც კუბოდ იყენებენ" და სხვ. ჩერქეზებად იმ ხანებში საერთოდ ადიღეური ტომები იწოდებოდნენ.

აფხაზებზე თითქმის იგივე შინაარსის ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა 1673 წელს. იგი წერს: „აფხაზები ჩერქეზებს ესაზღვრებიან, უჭირავთ ასი მილი ფართობი ზღვის ნაპირზე ჩერქეზეთსა და სამეგრელოს შორის" (ჟან შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 106). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ერთი რუსული სამაგიდო ენციკლოპედიის მიხედვით, რომელიც 1907 წელსაა პეტერბურგში გამოცემული, XIX საუკუნის დასაწყისში სოჭის მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ, სოჭი სამეგრელოდ ითვლებოდა.

XVI-XVII საუკუნეების რუკებზე აფხაზები (აბასა, აბაცა) დასავლეთ კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე ფიგურირებენ. კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მათ აქვთ თავიანთი პატარა სამთავრო, რომელსაც შარვაშიძეები განაგებენ.

XVI საუკუნის მანძილზე შარვაშიძეების ფეოდალური საგვარეულო თანდათან ძლიერდებოდა. XVI საუკუნის 70-იან წლებში თურქებმა დაიპყრეს სოხუმი და სხვა პუნქტები. აფხაზეთი ოსმალთა იმპერიის აგრესიის ობიექტი ხდებოდა. აფხაზეთი, რომელიც იმერეთის სამეფოს ვასალი იყო, აქტიურად ჩაება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შინაურ ომებში. აფხაზმა ფეოდალებმა, შარვაშიძეებმა XVI საუკუნის ბოლოდან იწყეს ბრძოლა განკერძოებისათვის, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით.

XVI საუკუნეში აფხაზეთი ოსმალეთის მოხარკედ იქცა, საიდანაც უამრავი ჭაბუკი და ქალწული იყიდებოდა სოხუმსა და სკურჩაში.

XIV ს. მიწურულსა და XV ს. დასაწყისში ოდიშის ერისთავებმა მიიერთეს ცხუმის საერისთავო და ოდიშის საერისთავოს ჩრდილო დასავლეთი საზღვარი ანაკოფიის დასავლეთით გადაიწია, XVII საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთის სამთავროს აღმოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთი საზღვარი უკვე მდ. კოდორზე გადიოდა. ე. ი. მიწა-წყალი ანაკოფიიდან (ახალი ათონი) მდ. კოდორამდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში შარვაშიძეებმა დაიპყრეს. შარვაშიძეები ამიერიდან მთავრის ტიტულით მართავდნენ აფხაზეთს, რომლის ცენტრი შეიქმნა ზუფუ (ლიხნი).

XVII ს. თურქი მოგზაური ევლია ჩელები აფხაზებს „აბაზას" უწოდებს: „ანაპის ციხე რომ გამაგრდეს და მეციხოვნეები ჩააყენონ, აბაზას და ჩერქეზეთის ქვეყნების დამორჩილება გაადვილდება" (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", I, თბ. 1971, გვ. 109). როგორც შავიზღვისპირეთის, ისე ჩრდილოეთ კავკასიის აბაზები დღევანდელი აბაზების (აბაზინელების) წინაპრები არიან; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აბაზინურ ენაზე მეტყველებენ დღევანდელი აფხაზებიც და ჩრდილო კავკასიელი აბაზებიც (აბაზინელები).

ევლია ჩელები გვაუწყებს, რომ აბაზები არა მარტო მეგრელებს იტაცებენ, არამედ ერთმანეთსაც „ებრძვიან, ბავშვებს და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ" (იქვე, II, გვ. 38).

XVI საუკუნეში ოდიშის სამთავროს ტერიტორია ფართოვდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, რამეთუ მას ჩამოსცილდა ანაკოფია, ცხუმის საერისთავო და საზღვარმა მდ. კოდორზე გადმოინაცვლა. მიუხედავად ამისა, XVI ს. ბოლოსაც ბიჭვინთა ოდიშის საერისთავოში შედიოდა. ბიჭვინთის კათალიკოსს ოდიშის მთავარი ნიშნავდა. ამ დროს საქართველოში სულ ორი საკათალიკოსო იყო. ერთი კათალიკოსი იჯდა ქართლში, მეორე - აფხაზეთში. აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოს შეადგენდა იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი. არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, აფხაზეთის კათალიკოსს „თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამცთუ ეთანასწორება მთავარს (ე. ი. დადიანს, - თ. მ.), რომელიც მას ირჩევს, არამედ აღემატება კიდეც".

ამგვარად, XVI საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძეებმა თავიანთი სამფლობელოს ტერიტორია საგრძნობლად გაიფართოვეს.

იყო თუ არა ანაკოფიისა და ცხუმის დაკარგვა ოდიშის სამთავროსათვის აფხაზთა მხრიდან დაპყრობითი ომის შედეგი? ცხადია იყო! მაგრამ მას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი საომარი ოპერაციები; ეს ხდება მუხანათურად, მოულოდნელად, რასაც მოჰყვა ადგილობრივი ქართული (მეგრული) მოსახლეობის ნაწილობრივი დარბევა და გააფხაზება. მიუხედავად ამისა, ოდიშის მთავარი აფხაზეთის სამთავროს მაინც თავის სამფლობელოს ნაწილად თვლიდა; ამასთანავე, დადიანის გავლენა არ შემცირებულა ბიჭვინთის საკათალიკოსოზე, მაგრამ დადიანი უფრო დაინტერესებული იყო თავისი სამთავროს აღმოსავლეთი საზღვრებით, რამეთუ აქ მას შედარებით ძლიერი მეტოქეები ეგულებოდა. აღმოსავლეთში თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლით გართული დადიანები ნელ-ნელა კარგავდნენ ტერიტორიებს დასავლეთში, სადაც აფხაზი მთავრები მცირე ძალის გამოყენებით თანდათან აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს.

ამგვარად,. XVI საუკუნის ბოლოს ლიხნელი მთავრების, შარვაშიძეების მიერ ანაკოფიისა და ცხუმის მიერთება და აფხაზეთ-ოდიშის საზღვრის მდ. კოდორზე გადმონაცვლება ოდიშის სამთავროს ტერიტორიის ნაწილის პირველი დაპყრობა იყო.

## ეგრის-აფხაზეთის მეორედ დაპყრობა

*„მიელოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კვლითა და ტყუეობითა".*
*ვახუშტი ბატონიშვილი.*

XVI საუკუნის ბოლომდე აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან თანდათან გაძლიერდნენ თავადი შარვაშიძეები, გამოეყვნენ სამეგრელოს და ცალკე, დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოაყალიბეს. თავდაპირველად აფხაზეთი რამდენიმე წვრილი ფეოდალური ერთეულისაგან შედგებოდა. მაგრამ, როცა XVII საუკუნის დასაწყისიდან დაწინაურდა შარვაშიძეთა ფეოდალური სახლი, შესძლო რა აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება, იგი ოდიშს გამოეყო, რის შედეგადაც შარვაშიძეები მთავრის ტიტულით მართავდნენ აფხაზეთს. როგორც აღვნიშნეთ, მათი ცენტრი იყო ზუფუ (ლიხნი). საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის XVII საუკუნის 90-იან წლებამდე მდ. კოდორზე გადიოდა (სინ, I, 296). თურქი მოგზაური ქათიბ ჩელები (1609-1657 წწ.) ამასთან დაკავშირებით წერს: „ესენი (აბაზა, - თ.მ.) შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ჩერქეზების სამხრეთით... მათი თავდაპირველი საზღვრები მდინარე კოდორს აღწევს. ამ ადგილს სოხუმს უწოდებენ" (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1978, გვ. 132).

ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) დროს აფხაზეთის სამთავროსთან ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, რისი ძირითადი მიზეზიც იყო აფხაზი მთავრების განდგომა ოდიშისაგან. საბაბი კი ყოველთვის მოიძებნებოდა. თუ XVI საუკუნეში აფხაზები ოდიშის გავლენას ასე თუ ისე მაინც ცნობდა, XVII საუკუნის დასაწყისიდან ვითარება თანდათან შეიცვალა. ოდიშისაგან აფხაზეთის სამთავროს გამოცალკევება უნდა მომხდარიყო ლევან II დადიანის მცირეწლოვანების დროს, დაახლოებით 1614-1615 წლებამდე. 1621 წლის ახლო ხანებში ლევან II-მ ცოლად შეირთო აფხაზი მთავრის სეტემან შარვაშიძის ქალიშვილი თამუნია. მართალია, ამ ხანებიდან აფხაზეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით გვევლინება, მაგრამ აღნიშნული სამთავრო ისეთი სტატუსით მაინც ვერ ფუნქციონირებდა, როგორითაც ოდიში და გურია. აფხაზეთი დანაწევრებული იყო რამდენიმე პატარა სამთავროდ და რამდენიმე მთავარი ჰყავდა. არც ლევან II დადიანის სიმამრი სეტემან შარვაშიძე იყო ერთიანი აფხაზეთის სამთავროს მმართველი. „ოდიშის კარი, ჩვენი აზრით მერმისისათვის დებდა აფხაზეთის საკითხს და სეტემანის ქალიშვილზე დაქორწინებით სურდა ერთგვარი კონტროლი დაეწესებინა აფხაზეთზე" (ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 57). ილ. ანთელავას აზრითაც, ლევანი ფიქრობდა, წინააღმდეგობა გაეწია აფხაზი მთავრებისათვის, რომლებიც თავიანთი საზღვრების გაფართოებას ესწრაფვოდნენ, და კვლავაც სურდა, მორჩილებაში ჰყოლოდა შარვაშიძე. ამასთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავე, აფხაზეთის მთავრებთან ვითარების გამწვავება ლევან II-ს ხელს არ აძლევდა, რადგან მას იმერეთის მეფის სახით უფრო საშიში მოწინააღმდეგე ჰყა-ვდა. ასეთმა პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა ლევან II დადიანის სასარგებლოდ სამი სამთავროს - ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის ერთ ბლოკში გაერთიანება. ეს კავშირი, ფაქტობრივად, იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. პოლიტიკური სიტუაცია დასავლეთ საქართველოში ლევან II-ის სასარგებლოდ ჩამოყალიბდა. ამან სტიმული მისცა დადიანს, ხელთ ეგდო ამ რეგიონში ჰეგემონობა, ეს კი იმერეთის სამეფოსთან შეჯახების გარდუვალობას სახავდა. ასეც მოხდა. 1623 წელს ლევან II-სა და იმერეთის მეფეს შორის ქუთაისის ახლოს, გოჭოურთან მოხდა ბრძოლა. ამ ბრძოლის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს შემდეგს: „მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი“. ლევანმა გაიმარჯვა. მისი ავტორიტეტი გაიზარდა. ამ ბრძოლაში გურიამ ნეიტრალიტეტი დაიცვა.

ამ გამარჯვების შემდეგ ლევან II დადიანმა ჯერ ცხვირი მოჭრა და მერე პატრონს მიჰგვარა თავისი ცოლი, ლამაზი და სათნოებით სავსე ქალი (ა. ლამბერტი). ცხადია, სეტემან შარვაშიძის ქალის გაგდების საბაბი სხვა ქალის შეყვარება არ უნდა ყოფილიყო, არც ქალის მხრიდან ღალატი, როგორც ამას ა. ლამბერტი წერს. მთავარს, ჩანს, უფრო შორს მიმავალი მიზანი აწუხებდა, კერძოდ ის, რომ აფხაზეთის სამთავრო თავის მორჩილებაში მოეყვანა. საამისო პირობებიც არსებობდა, ლევან II დადიანი ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოში უძლიერესი მთავარი იყო. „იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ ლევანი აფხაზებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა. ამიტომ იყო, რომ დედოფალი ასე ადვილად გასწირა“ (ილ. ანთელავა).

ლევანმა შეურაცხყოფილ თავის სიმამრს, სეტემან შარვაშიძეს გონს მოსვლაც არ აცალა, რომ აფხაზეთს დაეცა. აფხაზებმა დადიანს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და გაიხიზნენ. მარი ბროსეს აზრით, ლევანის აფხაზეთზე თავდასხმა 1628 წელს უნდა მომხდარიყო.

ამგვარად, ლევანმა მეორე გამარჯვებაც იზეიმა. მან დაამარცხა იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავარიც.

ამასობაში გურიის მთავარი გახდა სიმონი, რომელიც მამამისის (მამია გურიელის) საპირისპირო პოლიტიკის გზას დაადგა და ოდიშის საწინააღმდეგო კურსი აიღო.

ლევან II დადიანის ირგვლივ თანდათან შეიკრა მის მოწინააღმდეგეთა წრე. შეთქმულთა შორის იყვნენ სეტემან შარვაშიძე, იმერეთის მეფე გიორგი III, სიმონ გურიელი (რომელიც, მართალია, ლევანის სიძე იყო, მაგრამ სულაც არ სურდა მისი გაძლიერება) და ოდიშის სამთავროში არსებული მთავრის ოპოზიცია. შეთქმულებმა ლევანის მოკვლა გადაწყვიტეს. მკვლელად მიუჩინეს ვინმე აფხაზი, რომელიც მოხერხებულ შემთხვევას ეძებდა. ერთ-ერთ ვახშამზე აფხაზმა ლევანს ზურგში ჩასცა მახვილი, მერე მარდად მოახტა ცხენს და გაიქცა.

მაგრამ ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა, ლევანი სიკვდილს გადაურჩა, სამაგიეროდ სიკვდილით დასაჯა ბევრი მეამბოხე, სიმონ გურიელის წინააღმდეგ კი დიდძალი ლაშქარი დაძრა და ლანჩხუთთან ბრძოლაში სიმონ II ტყვედ ჩაიგდო. ლევანმა მას სამთავრო ჩამოართვა, თვალები დათხარა და ბერად აღკვეცა, ხოლო მისი ცოლ-შვილი ოდიშს წამოიყვანა. დადიანმა გურიის მთავრად ვახტანგ I გურიელი დასვა. სხვა ვერსიით გურიის მთავარი გახდა მალაქია გურიელი - ბიჭვინთის კათალიკოს-პატრიარქი. გურია ისევ ლევან დადიანმა მიიმხრო იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

გადაუჭრელი რჩებოდა აფხაზეთის საკითხი, რომელიც მტრად გაუხდა ლევან დადიანს. დაიწყო აფხაზთა თავდასხმები ოდიშზე. ამასთან დაკავშირებით ლამბერტი წერს: „აფხაზები ისე ბრაზმორეულნი იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“ (დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, გვ. 28). იწყებოდა აფხაზი წარჩინებულების ექსპანსია ოდიშის დასავლეთი მიწების დასაპყრობად, კოდორს გადმოღმა მიწების მისატაცებლად (ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 70). ლევან დადიანი გრძნობს ამ საშიშროებას და მძლავრ ლაშქრობას აწყობს აფხაზეთზე:“ დადიანმა როგორც კი შინაურ საქმეებისაგან მოიცალა, საჩქაროდ გაილაშქრა აფხაზების წინააღმდეგ და მალეც დაამარცხა ისინი. აფხაზებმა მორჩილება განუცხადეს, ხარკი იტვირთეს, მაგრამ, რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად, - დადიანმა მათ ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მეძებარი, რომლებითაც აფხაზები ნაქებია“ (ა. ლამბერტი).

აფხაზთა ექსპანსიის წინააღმდეგ წარმოებული ამ ბრძოლის შესახებ ლევან II დადიანი ილორის ხატზე ასეთ წარწერას აკეთებს: „მიუხედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ ავაოხრეთ. კიდევ მიუხედით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქეთ სრულებით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფაური და სიხაური მარშანიები და გაგვემარჯუა და დავხოცეთ და ზოგი ხელთ დაგურჩა და გამარჯვებულები მოვედით“.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ლამბერტის მიერ მოწოდებულ ცნობას იმის შესახებ, რომ XVII საუკუნეში აფხაზები მოკლებული იყვნენ მოქალაქეობასა და ვაჭრობას, არ გააჩნდათ ფული და საქონელი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოდიშის სამთავროსთან შედარებით აფხაზები სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგანან. აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, წარსულში აფხაზეთი ისეთივე განვითარებული ქვეყანა იყო, როგორც სამეგრელო ან საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილი. „ამის მოწმობაა აფხაზეთის ბუნებრივი პირობები, ისტორიული წყაროების ჩვენებები, აფხაზეთის მატერიალური ძეგლები (ფეოდალური ციხეები, სასახლეები, ეკლესიები, მონასტრები)...“

მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რაც არაერთგან ხდებოდა საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიური მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რომ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ქვეყანა 1000 წლოვანი ქრისტიანობით „უბრუნდება" ექსტენსიურ მეურნეობას, „წარმართობას" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 615).

ქართული ქრისტიანული სამყაროსაგან აფხაზეთის გაუცხოების პირველი სიმპტომები XV საუკუნის ძეგლში „მცნება სასჯულოში" აისახა. ამის მიზეზი იყო ოსმალური აგიტაცია და აფხაზთა ერთი ნაწილის გამაჰმადიანება, აგრეთვე მთის წარმართული ელემენტის ჩამოწოლა. ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზთა ერთი ასეთი ნაკადის ჩამოსვლას ნ. ბერძენიშვილი XIII საუკუნით ათარიღებს. მისი თქმით „მთიელი აფხაზების ჩამოსახლების პროცესი გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე... XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა". ოდიშის სამთავროსთან დაპირისპირებული აფხაზეთის მთავრები ჩრდილოეთ კავკასიიდან იწვევდნენ ახალ ძალებს, ასახლებდნენ აქ და აწყობდნენ ახალ ექსპანსიას, იპყრობდნენ ახალ მიწებს. ამიტომაც ლევან დადიანი იძულებული ხდება ააშენოს კელასურის კედელი.

თუ როგორ ხდებოდა მთიდან ჩამოწოლილი ადიღეური ეთნიკური ელემენტის ადაპტაცია დროთა განმავლობაში, ამაზე ნ. ბერძენიშვილი ასეთ პასუხს იძლევა: „ის ფაქტი, რომ ჩამოსული ელემენტი შედარებით ადვილად ერევა დამხვდურ საზოგადოებას (აფხაზურსა თუ არააფხაზურს), მასზე გაცილებით დაწინაურებულს, სოციალურ მოვლენათა სფეროში პოულობს ახსნას. ფეოდალური უღლის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მოჰქონდათ.

აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმულ საზოგადოებისათვის კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება", მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეს სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა.

ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობათაგანი იმისა, რომ მთიელმა აფხაზებმა შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხვდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას" (იქვე, გვ. 615-616).

დიდი მეცნიერის ეს და სხვა მნიშვნელოვანი დასკვნები აფხაზეთის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით 1975 წელს გამოცემული მისი შრომების VIII ტომიდან, აწყობის შემდეგ, აფხაზი სეპარატისტების დაჟინებითი მოთხოვნით სტამბიდან ამოიღეს. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სიმართლის თქმას აფხაზთა წარსულზე ტაბუ ჰქონდა დადებული. ნ. ბერძენიშვილი პირდაპირ ამბობდა: „საკუთარ ისტორიას გაურბიან"-ო. იქვე იმასაც შენიშნავდა, რომ „ნართების ეპოსი მათ მთიულობაზე მიუთითებს" და სხვ.

ამგვარად, მთიდან ახალი ეთნიკური ტალღის ჩამოწოლას სისტემატური ხასიათი მიეცა გვიან შუა საუკუნეებში, რაც ცალკეულ აფხაზურ გვართა წარმომავლობა-ვინაობის შესწავლის დროსაც აშკარად დასტურდება.

მთიელთა ჩამოწოლის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა, რაც ადგილობრივ მთავართა სამხედრო ძალის მექანიკურ ზრდას იწვევდა. ეს ფაქტი დადიანის სამთავროს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. აფხაზი წარჩინებულები ლევან დადიანს სისტემატიურად თავს ესხმოდნენ სასაზღვრო ზოლში. აფხაზთა თავდასხმებმა მეთოდური, მიზანმიმართული სახე მიიღო (ილ. ანთელავა). ამიტომ ლევან II დადიანი იძულებული შეიქმნა ე.წ. კელასურის კედელი აეშენებინა „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის" (ვახუშტი ბატონიშვილი).

ამავე ხანებში ოსმალეთი ყოველნაირად ცდილობდა დასავლეთი საქართველო მთლიანად მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყო. საყურადღებოა, რომ ამ დროს საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში კაზაკებს დაუახლოვდა. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, კაზაკები თავის მხრივ ზღვაზე მფარველობას უწევენ დადიანსა და გურიელის ხომალდებს. XVII საუკუნის 20-იან წლებში კაზაკები განსაკუთრებით აქტიურად უტევდნენ ოსმალეთის ზღვისპირა ქალაქებს, თუმცა ისინი ამ თავდასხმებით ხშირად ქართული სამთავროების სასიცოცხლო ინტერესებსაც ვნებდნენ, ამიტომ მათთან ურთიერთობა საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებთან მტკიცე არ იყო.

ასეთ პირობებში აფხაზი მთავრები ყველა შესაძლო შემთხვევას იყენებდნენ, რათა წარმატებით განეხორციელებინათ თავიანთი ექსპანსია ოდიშის სამთავროზე, ახალი მიწების ხელში ჩაგდების, საკუთარი სამთავროს საზღვრების გაფართოების მიზნით. „აფხაზი წარჩინებულების ექსპანსია მიმართული იყო კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის მიტაცებისაკენ და თავისი არსით „ქართველობის", ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა. ეს ექსპანსია თავისი შინაარსით ახლო იდგა „ლეკიანობასთან". ლევან II დადიანი იძულებული ხდება აფხაზეთის მიმართ თავდაცვით პოლიტიკაზე გადავიდეს. აფხაზი წარჩინებულები აძლიერებენ ექსპანსიას ოდიშის დასავლეთი საზღვრებისაკენ. ლევანის ზემოთ აღწერილი ღონისძიებები ვერ აღწევენ სათანადო მიზანს და ვერ სპობენ იმ საშიშროებას, რაც სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ადგას" (თ. ბერაძე, ილ. ანთელავა).

ლევანმა, როგორც აღვნიშნეთ, საზღვრების საგანგებო გამაგრება დაიწყო. „იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა" (თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან", საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, III, 1967).

ოდიშის მთავარს გამუდმებული ომები ჰქონდა აფხაზეთის მთავრებთან. პირველი ომი 20-იანი წლების ბოლოს იყო, როცა ლევანმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ორჯერ ილაშქრა 30-იან წლებში. მაგრამ ველში არც აფხაზეთის მთავარი და აფხაზი ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოდალები რჩებოდნენ. ისინი ხშირად ესხმოდნენ თავს ოდიშის სოფლებს, ძარცვავდნენ ეკლესიებს, მიჰყავდათ ტყვეები და ჰყიდნენ მათ (ქრონიკები, II, გვ. 467).

აფხაზ ფეოდალთა თავდასხმები ოდიშზე განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ს. 40-იან წლებში, სწორედ იმ დროს, როცა ოდიშის მთავარი იმერეთთან ბრძოლით იყო დაკავებული. ე. წ. კელასურის კედელში, რომელიც აფხაზებისაგან იცავდა სამეგრელოს, მიგადაშიგ დატანებული იყო ხის კოშკები, მორიგეობით რომ იცავდნენ ოდიშის თავადებსა და ეპისკოპოსების ჯარები. არქანჯელო ლამბერტი ამასთან დაკავშირებით ასეთ ცნობას გვაწვდის: „ერთ ადგილას, რომელსაც *ოლუმე* ეწოდება, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, - დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით 60 ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები". კედლის ამოყვანის ფაქტი, როგორც დავინახეთ, ვახუშტი ბატონიშვილისათვისაც ცნობილი იყო. რატომღაც ამ ფაქტების გათვალისწინების გარეშე ლევან II დადიანის მიერ აფხაზთაგან დასაცავად ამართულ ზღუდეს აფხაზი ისტორიკოსები „ველიკაია აფხაზსკაია სტენა"-ს უწოდებენ. ფაქტების ასეთი უხეში ფალსიფიკაციის მეთოდით შეითხზა აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან დღევანდელობამდე, შემდეგ მას რკინის შეუვალი ზღუდე შემოავლეს, ადგილობრივ სეპარატისტებთან ერთად მას გუშაგებად ველიკორუსული იმპერიული ფსიქოლოგიით დანაღმული ვაი-მეცნიერები დაუყენეს, რომლებიც თვითმარქვია პატრონის ხარბი თვალით მიშტერებოდნენ მოლივლივე საქართველოს შავი ზღვის სივრცეს. ვინც ამ სიმახინჯესა და უსამართლობას ამხელდა, მას ცოფიანი ძაღლებივით დაესეოდნენ, კრემლის ლოცვა-კურთხევით ანტიმარქსისტად, კომუნიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეების მტრად გამოაცხადებდნენ... ღვაწლი, რომელიც კელასურის კედლის აშენებაზე გაიღეს ოდიშართ, დღეს აფხაზთა დამსახურებადაა მიჩნეული. ამ თავდაცვითი გრანდიოზული ნაგებობის აშენებით დადიანმა დროებით შეძლო აფხაზ ფეოდალთა შემოტევების შეჩერება.

1657 წლის 17 მარტს ლევან II დადიანი უეცრად გარდაიცვალა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გადაიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუმარხავს". ეს ვაჟიშვილია (მანუჩარი), რომელსაც თავის მემკვიდრედ ამზადებდა.

ლევან II დადიანი დიდი პატივით დაკრძალეს წალენჯიხაში. ლევანის გარდაცვალების შემდეგ მისი სამთავრო ანარქიამ მოიცვა. ოდიშის მთავარი ვამეყ დადიანი გახდა (1658 წ), მაგრამ მალე იგი ღალატით მოკლეს იმერეთის მომავალი მეფის, ვახტანგის დავალებით. ამის შემდეგ ზუგდიდში ვახტანგს დიდი ძღვენით ეახლა აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე.

ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი თანდათან მოიშალა, რადგან მას არავინ იცავდა და აფხაზეთის წარჩინებულები აქტიურად ჩაერივნენ ოდიშის საქმეებში.

ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა ეს გრანდიოზული თავდაცვითი კედელი აღმართა XVII საუკუნის 30-იან წლებში; იგი იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია სახელწოდებით: „კედელი აფხაზთა თავდასხმებსი წინააღმდეგ" (არ. ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 207). ამ კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია (თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონები) მაშინაც ქართველებით იყო დასახლებული და ეკუთვნოდა ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს, რაც ცხადად ჩანს ფრანგი ლუი გრანჟიეს მიერ 1615 წელს მოქუში შედგენილი რელაციიდან (СМОМПК, в. 44, Тиф., 1915, გვ. 31, 51, 52) და დადასტურებულია ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე დაფიქსირებული ქართული ტოპონიმებით. ამ დროს აფხაზეთის მთავარი და მისი სამთავროც ქრისტიანულია, მოქმედებენ ქრისტიანული ეკლესიები, რაც კარგად ჩანს პატრი იოანე ლუკას 1629 წლის მოხსენებიდან (მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოზისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 143-145).

ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთის მთავრები ჩრდილო-კავკასიელების დახმარებით აქტიურებენ თავდასხმებს სამეგრელოზე. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ანტიოქელი პატრიარქი მაკარი (გარდ. 1672 წ.): „...Соседние племена, а именно: абхазы, черкесы... и др., постоянно вторгаются в Грузию, уводят с собой кого могут из ее жителей и продают их в плен" (П. Жузе, Грузия XVII столетия по изображению патриарха Макария. Казан, 1905, стр. 35) მაკარი დასავლეთ საქართველოში 1,5 წელს იმყოფებოდა. მაკარი იქვე განაგრძობს: „Но особенно сильно страдают простой бедный народ, так как победители разрушают его дома, уводят его в плен, а затем продают его или держат у себя в качестве в состаянии выкупится большими денгами" (გვ. 20).

XVII ს. 80-იან წლებში აფხაზეთის მთავრებმა გადმოლახეს თავიანთი სამთავროს საზღვარი მდ. კოდორზე, დაერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას, დაიწყეს მათი აყრა-აწიოკება, ძარცვა, ტყვეებად აყვანა და ოსმალეთში მონათა ბაზრებზე გაყიდვა. გააპარტახეს დალიძგის, ნაჟანეულის, კვიტაურის სასახლეები. მალე აფხაზეთის საზღვარი მდ. ღალიძგაზე გადმოიტანეს. გადარჩენილი მოსახლეობა აბაზურ-აფსუურ-ადიღეურ წესზე მოაქციეს, რადგან აფხაზი მთავრებისათვის ძირითად სამხედრო ძალას ისინი შეადგენდნენ, ამიტომ მათ პრიორიტეტული მდგომარეობა დაიკავეს. დაპყრობილი ქართველი მოსახლეობა თანდათანობით მონურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, „აგრუა" (მეგრელი) „მონის" სინონიმად იქცა. იტალიელი მისიონერი ძამპი, რომელიც ამ დროს ოდიშში იმყოფებოდა, ასეთ ცნობას გვაწვდის: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიღლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშია" (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104). „სამეგრელოში" იგულისხმება კოდორს გამოღმა ტერიტორია სამურზაყანოსა და ოდიშის ჩათვლით.

მარი ძამპი იქვე წერს: „ეჰ, როგორ ვტირივარ მე ჩემს უბედობაზე. წმინდა ტაძარმა მანდო ეს მისია იმ იმედით, რომ იგი დიდ ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ *ომებმა* მე უსარგებლო გამხადა. ვაპირებდი გამეგზავნა რამდენიმე უნარიანი ახალგაზრდა პროპაგანდის კოლეგიაში, მაგრამ გაუთავებელმა *ომებმა*, შინაურმა

უთანხმოებებმა და ადამიანთა მკვლელობებმა არ მომცეს ამის საშუალება.

ჩვენი მისიონერული მოღვაწეობა ყოველდღიურად უფრო ნაყოფიერი გახდებოდა, რომ მთავრის (დადიანის) მტრები და სამეგრელოს მოსაზღვრე ისეთი ხალხები, როგორიცაა ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, აფხაზები და სხვები განუწყვეტლივ არ იკლებდნენ ამ ქვეყანას".

მარი ძამჰა 23 წელი იცხოვრა. სამეგრელოში, სწორედ იმ წლებში, როდესაც დადიანები კარგავდნენ მდ. კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას; როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელების დახმარებით დღევანდელი აფხაზეთის ქართველობას ამ ტერიტორიაზე გენოციდი და ეთნიკური წმენდა მოუწყვეს და აქ უცხო ეთნიკური ელემენტი იწყებს დამკვიდრებას.

XVII ს. 50-60-იან წლებში აფხაზეთის მთავარმა სუსტარ შარვაშიძემ გაახშირა თავდასხმები სამეგრელოზე, ქართული მოსახლეობისაგან იცლებოდა კოდორსგამოღმა ადგილები და იქ „აფხაზები" მკვიდრდებოდნენ. ამას თან სდევდა ადგილობრივი დარჩენილი მოსახლეობის აკლება, ძარცვა, ხოცვა, დატყვევება. 1658 წელს ცხუმ-აფხაზეთის კათალიკოსს რეზიდენცია სოხუმიდან გელათში გადააქვს თვითმხილველთა მოწმობით, „აფხაზები" მუსრს ავლებდნენ ან ჰყიდდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, მათ ადგილებს კი თვითონ ისაკუთრებდნენ (პ. ქუჩე, მ. ძამპი). იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობით XVII ს. 70-იან წლებში „აფხაზებმა ააოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე (მდ. ცხენისწყალი)" (СПБ, 1847, стр. 46). „აფხაზებში" იგულისხმებიან ამ კუთხის მცხოვრებნი, ანუ შარვაშიძის ხალხი, რომელთა შორისაც ძირითად ძალას ჩრდილოეთ კავკასიელები შეადგენდნენ.

ჟან შარდენის ცნობითაც „აფხაზებმა" დაარბიეს ტერიტორია მდ. კოდორსა და ცხენისწყალს შორის.

ამიერიდან მთებსა და ტყეებში მცხოვრები აფსუააბაზები და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელები ბარში იწყებენ ჩამოსახლებას, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო. ჩნდება ახალი გეოგრაფიული სახელები. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ( XVII ს.) ცნობით „აფხაზები" ტყეებში ცხოვრობენ, ერთმანეთის ემინიათ. მისივე უწყებით *ლაკომბა* და *ცანბა* აბაზებია. დღევანდელი აფსუებიც აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ. აფხაზთა 12-13 პროცენტიც აფხაზურ-ადიღეურ გვარებს ატარებს, 80 პროცენტი კი ქართულს. მაგრამ სეპარატისტი მკვლევარები ამ სიმართლის აღიარებას გაურბიან.

## ეგრის-აფხაზეთის მესამედ დაპყრობა

*„აფხაზნი... დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაიშენებდნენ თვით აფხაზნი".*
*ვახუშტი ბატონიშვილი*

*„აფხაზები ყარაჩაიდან გადმოვსახლდით, როცა აფხაზეთის მოსახლეობის დაცარიელება გავიგეთ".*

145 წლის მაჟაგვ აღლეიბას ნაამბობი (Труды Абниика т.II, 1934, стр. 108).

აფხაზეთის დაცარიელება ხდება სწორედ XVII ს. მეორე ნახევარში. მთხრობელის „აფხაზებში", ცხადია, იგულისხმება „აბაზები", რომლებიც აფხაზეთში ჩამოსახლდნენ. აფხაზებს ყარაჩაიში არასოდეს უცხოვრიათ. იქ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დღესაც აბაზები, რომელთა ენაზეც აფსუები მეტყველებენ. ყუბანის ხეობიდან აფხაზეთში მათი ჩამოსახლება სხვა ფაქტებითაც დასტურდება.

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშში გახშირდა ტყვეთა სყიდვა. ერთის მხრივ ოსმალთა თარეშმა და მეორეს მხრივ აფხაზეთის მთავართა შემოტევებმა ოდიში დაასუსტეს. აღნიშნულმა ვითარებამ ძლიერ შეარყია ოდიშის თავდაცვის უნარიანობა. ამ გარემოებით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და თანდათან დაიკავეს ტერიტორია, ამჯერად უკვე მდ. ღალიძგიდან მდ. ენგურამდე. „ზამთარსა ამას ევედრა ლიპარიტიანი აბაშიძესა, რათა შეეწიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიეღო აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა" (ვახუშტი ბატონიშვილი).

XVII საუკუნის 70-80-იან წლებში სორეხ შარვაშიძის მთავრობის დროს, აფხაზები განმტკიცდნენ მდ. კოდორსა და მდ. ეგრისწყალს (ღალიძგას) შორის. შემდეგ სორეხმა ენერგიულად შეუტია მდ. ეგრისწყლის მარცხენა სანაპიროს, დაიპყრო სამეგრელოს მნიშვნელოვანი ტერიტორია და თავი სამეგრელოს მთავრად გამოაცხადა. „70-80-იან წლებში ოდიშის სამთავრო სრულმა ანარქიამ მოიცვა. ამას დაემატა აფხაზების გამუდმებული თავდასხმები, რამაც მთლად გაანადგურა ოდიშის მოსახლეობა" (მ. რეხვიაშვილი, დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978, გვ. 93). იგივე ავტორი იქვე წერს: „აფხაზეთის მთავრებმა თანდათან დაიკავეს ტერიტორია მდინარე კოდორიდან ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე მთლად მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობა. ვინც შიმშილს, მახვილს და ავადმყოფობას გადაურჩა, ოსმალეთში გაჰყიდეს ტყვეებად, ხოლო ამ ტერიტორიაზე აფხაზები დასახლდნენ. აქ გამთავრდა სუსტარის შვილი სორეხ შარვაშიძე".

ამ აფხაზებში იგულისხმებიან იგივე მეგრელები, რომლებიც აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეების სამთავროს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. აფხაზ შარვაშიძეების სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი იყო მდ. კოდორი. შარვაშიძეები, რომლებიც ძირძველი ქართველები იყვნენ (იხ. თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მეფეები და მთავრები, თბ., 1997) და საოჯახო ენაც მეგრული ჰქონდათ, ერჩოდნენ მხოლოდ მდ. კოდორსა და ენგურს შორის მოსახლე ქართველობას (მეგრულ მოსახლეობას) ტერიტორიის მითვისების მიზნით. ამისთვის ისინი იყენებდნენ უცხო ძალას, რაც ერთადერთი და პირველი შემთხვევა როდია საქართველოს ისტორიაში. ეს იყო ფეოდალური შინა ომები შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის. ტერიტორიის გაფართოების გარდა შარვაშიძეების მეორე მიზანი იყო დადიანებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება. ყველაფერი ამისათვის ხელსაყრელი დრო დაუდგათ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ანუ, XVII ს. მეორე ნახევარში.

XVII საუკუნის დასასრულს აფხაზეთის მთავარია ზეგნაყ შარვაშიძე. ზეგნაყის სიკვდილის შემდეგ მისმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვილებმა სამთავრო საუფლისწულოებად დაანაწილეს: საკუთრივ აფხაზეთი, აბჟუა („შუა სოფელი") და სამურზაყანო. მდ. ენგურსა და კოდორს შორის გაბატონდა აფხაზეთის მთავრის სუსტარ შარვაშიძის ვაჟი სორეხ შარვაშიძე, რომელსაც იტალიელი მისიონერი რასპონი „სამეგრელოს მთავარს" უწოდებს. მაგრამ იგი მთელი სამეგრელოს მთავარი კი არ იყო, არამედ იმ ნაწილისა, რომელიც დადიანებს შარვაშიძეებმა წაართვეს (მდ. კოდორსა და ენგურს შუა). ეს ტერიტორია შემდგომ აფხაზეთის შემადგენლობაში შევიდა, თავისი გადარჩენილი ქართული მოსახლეობით (სინ, IV გვ. 354).

სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაპუ შარვაშიძემ მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის მარცხენა მხარეზე გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის ჩრდილო ნაწილში, ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე გახდა XVII საუკუნის ბოლოს მდ. ენგური აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროს საზღვარი (სინ. IV გვ. 354);

მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორია ერგო ყვაპუ ზეგნაყის ძე შარვაშიძეს. მის დროს ეს მხარე აფხაზებით დასახლდა (XVII-XVIII სს.). ამ აფხაზებში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გარდა უკვე იგულისხმებიან აფხაზებიც, იგივე აფსუები. ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ის გლეხებიც, რომლებიც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ეკუთვნოდა, ყვაპუ შარვაშიძემ ტყვეებად გაყიდა. კათალიკოსი დავით ნემსაძე მოითხოვდა, რომ შარვაშიძეს შეეწყვიტა ეს საქმიანობა, მაგრამ ამაოდ. ყვაპუ შარვაშიძე ცდილობდა დაუფლებოდა მდ. ენგურის მარცხენა მხარესაც. მხოლოდ XVIII ს. დასაწყისში შეძლო სამეგრელოს მმართველმა გიორგი ლიპარტელიანმა იმერეთის მმართველ გიორგი აბაშიძის დახმარებით აფხაზ ფეოდალთა შეჩე-რება.

ყვაპუს შვილის, მურზაყან შარვაშიძის სახელი ეწოდა მის სამფლობელოს, ანუ ტერიტორიას მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის (დღევანდელი გალის რაიონი). მურზაყან შარვაშიძე მამისაგან განსხვავებით კეთილი, ხალხზე მზრუნველი მთავარი იყო. მან შეწყვიტა ტყვეთა სყიდვა და სამთავროს კეთილდღეობისათვის იღვწოდა. ამიტომაც მადლიერმა ხალხმა მისი სახელი უკვდავყო.

ტერიტორია მდ. კოდორსა და ღალიძგას შორის ერგო ზეგნაყ შარვაშიძის მეორე შვილს - ჯიქეშიას.

ტერიტორია ჯიქეთიდან მდ. კოდორამდე საუფლისწულოდ ერგო ზეგნაყ შარვაშიძის უფროს შვილს როსტომს. მისგან ნომინალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ძმები: ჯიქეშია და ყვაპუ (აბჟუის და სამურზაყანოს მმართველები). თითოეული ეს ოლქი წვრილ სათავადოებად იყოფოდა.

ამგვარად, სამეგრელოს იმ ტერიტორიის დაპყრობას, რომელიც მდინარე კოდორის აღმოსავლეთით მდ. ენგურამდე მდებარეობდა, შარვაშიძეებმა XVII საუკუნის ბოლოს განახორციელეს. ამიერიდან სამეგრელოს ამ ნაწილის ქართული მოსახლეობის განადგურება მიზანმიმართულ ხასიათს იღებს (მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990).

ამგვარად, აბსურდია იმ მეცნიერთა „მტკიცება", ვინც მთელი ხმით გაჰყვირის, თითქოს აფსუები მათი დღევანდელი აფხაზეთის ავტოქტონური მოსახლეობა იყოს სხვათა შორის, პროფ. შ. ინალიფამ 1992 წლის მაისში, ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის შეხვედრაზე სინანულით აღიარა: „К сожалению в прошлом я тоже много глупости написал". იგი ამ დროს ვლ. არძინბას ოპოზიციაში ედგა და მას აფხაზი ხალხის დამღუპველად მიიჩნევდა. მეცნიერი გრძნობდა, რომ ვლ. არძინბა ქართველებთან ომს აპირებდა, რისი კატეგორიული მოწინააღმდეგეც იყო. იქვე ბატონმა შალვა ინალიფამ ისიც დასძინა, აფხაზებს ქართველებზე უფრო ახლობელი, მოამაგე და მზრუნველი არავინ ჰყავთო. ვლ. არძინბა კი ამ დროს მაღალი ტრიბუნიდან ავტორიტეტულად გაიძახოდა - აფხაზებს სახელმწიფოებრიობის არსებობის 1200 წლის ისტორიული ტრადიცია გააჩნიათო. ისტორიულ აფხაზებს დიახაც გააჩნიათ, მაგრამ აფსუებს, რომელთაც თვითონ არძინბა ეკუთვნის, არასოდეს სახელმწიფო არ ჰქონიათ არც იმიერ და არც ამიერკავკასიაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თბილისში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833 წწ.) ზოგიერთი დაკვირვება. ასე მაგალითად, ერთგან გამბა წერს: „ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან" (ჟ. ფ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 88). ასეთ აფხაზთა რაოდენობა აფხაზებში 80 პროცენტს აღწევს. მეორეგან გამბა წერს: „აქაური მცხოვრებლები დღეს ადიღეელთა (Adighi) სახელწოდებით არიან ცნობილნი" (გვ. 109). მესამეგან: „სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი (კოდორი), აღმოსავლეთით კი წიბელი - საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს" (გვ. 112). ეს არის 1821-1831 წლები, როცა გამბა თბილისში, საქართველოში იმყოფებოდა, როგორც საფრანგეთის კონსული და მისი ეს ცნობა საეჭვო არ უნდა იყოს. XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ტერიტორია მდ. კოდორსა და ენგურს შორის დადიანების სამფლობელოდ, ანუ სამეგრელოს ნაწილად ითვლებოდა. ამიტომ სავსებით მართალია აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელსაც წერს: „ XVII საუკუნის აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსულნი ბარში. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ" (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 614). აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ მართალია ამის დადასტურებაა ევროპელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) შემდეგი ცნობა: „აფხაზები (იგულისხმებიან აბაზები, - თ. მ.) ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემრავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა, გარეშე ხალხის კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და სძარცვავენ ერთმანეთს. ხოლო

ართმევენ ერთმანეთს სახლისა ავეჯს კი არა, რადგან აფხაზს ასეთი ავეჯი არც გააჩნია, არამედ კაცებს და ბიჭებს ამისათვის ჩვეულებრივ ღამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახელებენ, დაიჭერენ და წაიყვანებენ... აფხაზის ტყვეს მეტად აფასებენ თურქები". არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე წელი იცხოვრა ოდიშ-აფხაზეთში და ამიტომ მის მიერ წოდებული ცნობა სანდოა.

XVII საუკუნეში, თანამედროვე ავტორების ცნობებით, აფხაზებს არც ფული გააჩნდათ, არც ვაჭრობა იცოდნენ, არც საქალაქო ცხოვრება, არც საოჯახო ავეჯი ჰქონდათ, ცხოვრობდნენ მთებსა და ტყეებში. ამის შემდეგ როგორ შეიძლება ვინმემ ამტკიცოს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისინი ერთადერთი აბორიგენები არიან, რომ თითქოს მათ შექმნეს აქ მატერიალური კულტურა და სხვ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზებს საკუთარი ისტორიული სასაფლაოც კი არ გააჩნიათ, მატერიალური კულტურის ძეგლებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

როგორც დავინახეთ, ანაკოფიიდან (ახალი ათონი) მდ. ენგურამდე აფხაზების განსახლების ისტორია სამას წელზე მეტს არ ითვლის. რაც შეეხება შარვაშიძეებს, მარშანიებს და ზოგიერთ სხვა წარჩინებულ გვარს, ისინი ქართულ ფეოდალურ წრეს განეკუთვნებიან და ნამდვილი აფხაზები არიან. მათი ინიციატივით ხდებოდა გააფხაზებაც, მაგრამ რადგან ეს პროცესი ადიღეურ-აბაზინური ენის ფაქტორის გათვალისწინებით მიმდინარეობდა, ტერმინი „აფხაზი" უცხოტომელთა აღმნიშვნელ ეთნონიმად იქნა გააზრებული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მთავრებმა ორმაგი პოლიტიკის თამაში დაიწყეს. ისინი ხან თურქეთის ხელისუფლებასთან იყვნენ ალიანსში, ხანაც რუსეთის ცარიზმის ქვეშევრდომობას აღიარებდნენ, ხან ორივეს ერთდროულად ერთგულებას ეფიცებოდნენ. ამით განაწყენებულმა ორივე მხარემ ერთმანეთთან შეთანხმებით აფხაზებს მკაცრი განაჩენი გამოუტანა, ისინი იძულებული გახადეს, დაეტოვათ მშობლიური მხარე და თურქეთში გადახვეწილიყვნენ. აფხაზთა და კავკასიის მაჰმადიან მთიელთა გადასახლება, რომელიც მუჰაჯირობის სახელით არის ცნობილი, ტრაგიკული აღმოჩნდა პატარა ხალხებისათვის. აფხაზეთის სოფლები აფხაზებისაგან ძირითადად დაიცალა. მუჰაჯირობის შემდეგ დაკარგულ მიწა-წყალს ნაწილობრივ დაუბრუნდნენ ქართველები, მაგრამ არანაკლები ინტენსიურობით აფხაზეთში სახლდებიან სომხები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები და სხვ. აფხაზმა სეპარატისტებმა აღნიშნული ხალხებიდან აფხაზეთის უკანონო მოქალაქეებად და ოკუპანტებად მაინცდამაინც ქართველები გამოაცხადეს. ცხადია, ამით მათ სურდათ შეექმნათ აფხაზეთის ძირძველი ქართული მოსახლეობის პრეტენზიებისაგან თავდაცვის ზღუდე.

ამგვარად, თუ ლეონტი მროველის ( XI ს.) ცნობით ეგრისის წილი ქვეყანა ჩრდილო-დასავლეთით მდ. ყუბანის შესართავამდე, ანუ ნიკოფსიამდე (დღევანდელ ნოვოროსისკამდე) აღწევდა, XVII საუკუნის დასასრულს ამ საზღვარმა მდ. ენგურზე გადმოინაცვლა.

XVII საუკუნეში აფხაზეთი შემდეგ ერთეულებად დაიყო:

1. საძენის აფხაზეთი - მდ. მზიმთასა და ბზიფს შორის, ანუ ხოსტასა და გაგრას შორის. ეს არის ყოფილი ჯიქეთის ნაწილი.

2. ბზიფის აფხაზეთი - მდინარე ბზიფსა და გუმისთას შორის. ყოფილი აბაზგია.

3. გუმა - მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის. ყოფილი ცხუმის საერისთავო.

4. აბჟუა - მდ. კოდორსა და ღალიძგას შორის. ყოფილი აფშილთა საერისთავო, ეგერთა ქვეყნის ნაწილი.

5. სამურზაყანო - მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის. დღევანდელი გალის რაიონი.

გუდაუთელი აფხაზებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ დიალექტებზე მეტყველებენ აბჟუელი და სამურზაყანოელი აფხაზები.

## აფხაზეთის მეოთხედ დაპყრობა

*„Абхазия - это не Грузия"*
*Н. Воронов*
*რუსი რეაქციონერი 1907 წ.*

*"Пора понять, что Абхазия - это Россия"*
*З. Ачба*
*აფხაზი სეპარატისტი. 1992 წ.*

„აფხაზეთში დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად დამოუკიდებელია და სადღაც სურს წავიდეს საქართველოსაგან, მიგვიყვანს იქამდე, რომ აფხაზეთი, როგორც მუყაოს სახლი, რომელიც ონავარმა ბიჭუნამ ააგო, დაიშლება.

ნესტორ ლაკობა
აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.
1925 წ.

ისტორია ისევ განმეორდა. აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მეოთხედ დაპყრობა მოხდა რუსეთის რეაქციული წრეებისა და კავკასიაში მათი დასაყრდენი ე. წ. მთიელ ხალხთა ისლამური კონფედერაციის ძალების მეშვეობით.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლ. არძინბამ, სპეციალობით ისტორიკოსმა, გაითვალისწინა რა ისტორიული წარსული, - კერძოდ, ის, რომ აფხაზეთის (ეგრისის) მიწა-წყლის დაპყრობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენული მოსახლეობისაგან (ქართველებისაგან) თავის დაღწევა მხოლოდ მათი ამოწყვეტისა და აწიოკების ნაცადი ხერხით იყო შესაძლებელი, - არ დააყოვნა და საქმის სისრულეში მოყვანას მთელი ენერგიულობითა და ენთუზიაზმით შეუდგა, მით უმეტეს, ამისათვის მზადება აფხაზმა სეპარატისტებმა რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს. ამ „საშვილიშვილო საქმეში" მათ მხარი აუბეს და ერთგულება აღუთქვეს რუსეთის რეაქციულმა ძალებმა და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას საგანგებოდ შექმნილმა კავკასიის მთიელ ხალხთა ე. წ. კონფედერაციამ.

აფხაზმა სეპარატისტებმა მოსვენება დაკარგეს იმ დროიდან, როცა ძირძველ ქართულ კუთხეში - აფხაზეთში ქართველთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, როცა ვერაფერს გახდნენ ქართველებს შორის ეთნიკური ნიშნის მიხედვით ურთიერთდაპირისპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მცდელობით. მათ შორის შუღლი და მტრობა ვერ ჩამოაგდეს, ვერც მეგრელთა ავტონომიის შექმნას მიაღწიეს. ამასთანავე, მიუხედავად დიდი წარმატებებისა, მაინც ვერ შესძლეს ქართველთა უმრავლესობის გააფხაზება და ა. შ. არადა, აფხაზეთის მიწა-წყალზე აფხაზთა მოზიარედ ქართველები მიაჩნდათ. მოზიარე არ გვჭირდებაო, აცხადებდნენ ყველას გასაგონად. მაშასადამე, საჭირო იყო ქართველების მიმართ მკაცრი და გადამჭრელი ზომების მიღება.

მიუხედავად ათასნაირი შეღავათებისა, როგორიც არავის არ გააჩნდა ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე, აფხაზ ექსტრემისტთა დაწყნარება ვერა და ვერ მოხერხდა. უკანასკნელი სამი-ოთხი ათეული წლის განმავლობაში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ 1989 წელს აფხაზ ექსტრემისტებს თავიანთი ბინძური განაზრახი სისრულეში მოეყვანათ, ესარგებლათ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე და ქაოსური პოლიტიკური სიტუაციით და დაეწყოთ აფხაზეთის ქართველთა დარბევა ფერღანული ვარიანტის განმეორებით. მართალია, მაშინ (15-16 ივლისს) სისხლი დაიღვარა, მაგრამ სეპარატისტთა წინასწარ ჩაფიქრებული ბინძური სტრატეგიული გეგმა ვერ განხორციელდა. მაშინ დაშვებული შეცდომები 1992 წლისათვის „გამოასწორეს“. ვლ. არძინბას საგანგებო განკარგულებით შეიქმნა მონონაციონალური აფხაზური გვარდია, რომელიც თანდათან გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდან მოწვეული დაქირავებული „ბოევიკებით“, მოამარაგეს თანამედროვე საბჭოური თუ უცხოური წარმოების იარაღით, ჩამოყალიბდა ბატალიონები, აფხაზ ექსტრემისტთა სამსახურში ჩადგა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის გენერალიტეტი, ოფიცერთა კორპუსი, სამხედრო ტექნიკა, ავიაცია. აფხაზეთის მთელი ტერიტორია სამხედრო იარაღის არსენალად გადაიქცა. როგორც აღმოჩნდა, წინასწარ ჰქონდათ გამზადებული ტრანშეები, მიწისქვეშა საკომუნიკაციო სისტემა, თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს შემოსასვლელები, უღელტეხილები, მოიმარაგეს ტყვია-წამალი, სურსათი და ა. შ. აფხაზეთი წინასწარ გამოაცხადეს საქართველოსაგან გამოყოფილად, მდ. ენგურთან შექმნეს საბაჟო, ხოლო საქართველო უცხო ქვეყნად აღიარეს. ეს ყველაფერი ომის დაწყების საბაბს იძლეოდა. ანგარიში არ გაუწიეს იმ ფაქტს, რომ ამ დროს საქართველო, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო თავის საზღვრებში აღიარა გაერომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთმა. ომის საბაბი გახდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ჯარის გადაადგილების ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ აფხაზეთის ხელისუფლებასთან წინასწარ იყო შეთანხმებული, აფხაზმა სეპარატისტებმა ეს შემთხვევა გამოიყენეს და მოაწყვეს ქართული ჯარის ნაწილებზე პარტიზანული თავდასხმა...

აფხაზეთში ქართული ჯარის შემოყვანის მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია, კერძოდ, აღნიშნულ რეგიონში შვიდი თვის განმავლობაში პარალიზებული იყო სარკინიგზო მაგისტრალი, რამაც როგორც საქართველოს, ისე მეზობელ სომხეთის რესპუბლიკას რამდენიმე მილიარდი მანეთის ზარალი მოუტანა. ფაქტობრივად, ამით საქართველო და სომხეთი რუსეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. აი, რას წერს სერგეი ლობანოვი გაზეთში „როსია“ ამ ომთან დაკავშირებით: „უეჭველია, რომ ამჟამინდელი სისხლისღვრისათვის ემზადებოდნენ დიდი ხნით ადრე. იყო საიდუმლო შეხვედრებიც, საიდუმლო მოლაპარაკებებიც, გარიგებებიც. ეს მხარე რომ კარგი ლუკმაა, ცხადზე ცხადია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. თუ მოხერხდა ორი ქრისტიანული სახელმწიფოს - საქართველოსა და სომხეთისათვის რუსეთისაკენ ერთადერთი ბუნებრივი გასასვლელის ბლოკირება, მაშინ შეიძლება შენი პირობები უკარნახო „გიაურებს“. ამჟამად ეს ორი სახელმწიფო იმყოფება ისლამის მიმდევარ ხალხთა გარემოცვაში. მათი ერთადერთი გასასვლელი რუსეთისაკენ აფხაზეთის გავლითაა. ჩრდილოეთში - ჩრდილოეთ ოსეთია. ისლამური ფუნდამენტალიზმის შემოტევა ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით და სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა მოკავშირეებთან და სხვადასხვა ნიღბებით. ახლანდელი ომი აფხაზეთში იმის დასტურია, რომ ეს პროცესი ძლიერდება...

ამ ომში ყველაზე გაშმაგებით მაინც დაქირავებულები იბრძვიან, ტყვედ ჩაგდებისას ისინი გამოტყდნენ, რომ თითოეულ მათგანს მისცეს 50 ათასი მანეთი, შეჰპირდნენ თითო მანქანასა და ბინას სოხუმში, იმის შემდეგ, რაც ამ ბინიდან ისინი გამოაძევებენ ქართველებს“ (გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 3. IV. 1993 წ.)

1992 წლსი 14 აგვისტოდან აფხაზეთი საშინელი ომის ცეცხლმა მოიცვა. გამოიყენა რა ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომები და ამით გამოწვეული გაუთვალისწინებელი შედეგები, აფხაზურმა მხარემ თანდათან დაიკავა მდინარე გუმისთის გაღმა მდებარე ტერიტორია მდ. ფსოუმდე, ოჩამჩირისა და ნაწილობრივ გალის რაიონების გარშემო მდებარე სოფლები, სტრატეგიული პუნქტები, ქ. ტყვარჩელი. დაიწყო აფხაზთა საკონტროლო ზონაში ქართული მოსახლეობის მასობრივი გაწყვეტა. ამ ეთნიკური წმენდის შედეგად ქართველთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში. გაგრის შემდეგ მოსახლეობის მასობრივი ამოწყვეტისა და რბევა-აწიოკების ფაქტი განმეორდა კოჩარაში, ხოლო ქ. სოხუმი რუსეთის არტილერიისა და ავიაციის სისტემატიური დაბომბვის ობიექტად გადაიქცა.

არა და არ იქნა რუსეთის რეაქციული ძალების დაცხრომა, რომელთაც საიმედო პარტნიორობას უწევდა კავკასიის მთიელ ხალხთა ე. წ. კონფედერაცია. უფრო მეტიც, ამ ყბადაღებული კონფედერაციის პრეზიდენტმა მ. შანიბოვმა სხვათა შორის განაცხადა, აფხაზეთის ომი ას წელს გაგრძელდებაო. კავკასიის ხალხთა ეს „გენიალური მამამთავარი“, ალბათ, ერთხელაც არ ჩაუფიქრებია იმ ფაქტს, რომ ომის შედეგად ძირითადად უკვე განადგურდა პატარა აფხაზი ხალხის გენოფონდი. მაშ, ასი წლის განმავლობაში ვინ უნდა აწარმოოს შანიბოვის ესოდენ სასურველი ომი?

შანიბოვმა და სხვა ანტიკავკასიურმა ელემენტებმა შესანიშნავად იციან, რომ აფხაზები რუსეთის იმპერიულმა ძალებმა აქციეს იმ ჭურვად, რომელიც ესროლეს საქართველოს, ქართველ ხალხს და მძიმე ჭრილობა მიაყენეს მას. მაგრამ ამ ჭრილობის განკურნება შეიძლება, გასროლილი ჭურვის გამთელება კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი სამოცი წლისაა!
„ცისკარი“ გულითადად მიესალმება ბატონ გურამს, ულოცავს იუბილეს და პატარა შვილიშვილის, თინათინის ამქვეყნად მოვლინებას. მკითხველს კი ვთავაზობთ მწერლის ინტერვიუს ჩვენს თანამშრომელთან, მიხო მოსულიშვილთან.

შეკითხვები კვიმატი ინტერვიუსთვის, რომლის პირობითი სათაური, ვთქვათ და, ასეთი იქნება:

# „მწერალი სერვანტესი პლუს ვინმე ვიგინდარა არ არის ორი“, ანუ კარგი ხართ, მაესტრო!

მ.მ. – *არ ვიცი, გაგონებთ თუ არა აურელიანო სქელოს გასუქებამდე ანდა მის უფროსს, პოლკოვნიკ ჯანჯაკომო სემინარიოს, მარშალ ედმონდო ბეტანკურის უფროს ძმას, მაგრამ არ მინდა, ეს ინტერვიუ ისევე ჩაიშალოს, როგორც იმ მოთხრობაში სათაურით: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და ამიტომაც ეგებ ისე მესაუბროთ, როგორც რომელიმე კლიმს... თუკი ამაზე შევთანხმდებით, თქვენს მოულოდნელ და კარგ ნათქვამზე მოწონების შეძახილი „კარგი ხართ, მაესტრო!“ – ჩემზე იყოს!*

გ.დ. – სიამოვნებით ვეცდები, გულწრფელად გიპასუხოთ, თქვენ ჩემთვის სანდო და ახლობელი და მიმზიდველი ხართ, როგორც პიროვნება და მწერალი.

მ.მ. – *თქვენი მოთხრობის „იქამდე“-ს პატარა, შვიდი წლის პერსონაჟი თავის ბებია ფაცას და პაპა სილოვან ემხვარს – ყოფილ „კნიაზსა“ და „აფიცერს“, აგრეთვე იმათ ნათესაობას მისჩერებია, უსმენს და იმახსოვრებს ყველაფერს. იქვეა ექიმი მამაც და მშვენიერი სოფელი დულელები... ალბათ, ესაა თქვენი ბავშვობა, არა?*

გ.დ. – დიახ; ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

მ.მ. – *გთხოვთ, უნივერსიტეტი გაიხსენოთ, თქვენი სტუდენტობა, ლექტორები, მაშინდელი გარემო...*

გ.დ. – კარგ ლექციებს ნაკლებად ვაცდენდი; მაგრამ ლექციების დიდი ნაწილი დიამატ-ისტმატისა და პოლიტეკონომია-სკკპ ისტორიისაგან რახან შედგებოდა, მე უფრო უნივერსიტეტის ბაღი მაქვს დამთავრებული, რომლის უმანტიო რექტორიც შოთა ჩანტლაძე იყო, უფრო სწორად – გახლდათ.

მ.მ. – *თქვენ გურამ რჩეულიშვილსაც იცნობდით, ხომ?*

გ.დ. – ჩემდა საბედნიეროდ. ვიცნობდი; მთელი ქალაქის თვალისჩინი იყო, – ის მერე რა რომ, ზოგიერთისათვის დამაშინებელი თუ გამაღიზიანებელი – ჩაცმულობით თუ ქცევით, არადა, ამითაც აკვირვებდა და აკვირდებოდა ხალხს. სულით-ხორცამდე ნაღდი ვაჟკაცი გახლდათ; მთელი ხუთი წლით იყო უფროსი, და მხოლოდ 26-სა გარდაიცვალა, მაგრამ, ვთქვათ და 80 წელი რომ ვიცოცხლო, 85 წლისა მეგონება, იმდენად წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე.

პირველად მის ბინაში ვნახე, მაშინ ვერაზე ცხოვრობდა, ჩემი მეგობარი, თეიმურაზ (ჯონდო) მეტრეველი და მე მის ოჯახს ვესტუმრეთ, გურამ რჩეულიშვილის ოთახში აღმოვჩნდით, და თვალებდაჭყეტილები ვითვალიერებინებოდით – კედლები მისი ერთ-ერთი ახლობელი მხატვრის გრაფიკით აჭრელებულიყო, უცნაური სახეები გვიმზერდნენ თუ იყურებოდნენ განზე, საწერ მაგიდაზე ადამიანის თავის ქალა ედო, და მიუხედავად იმისა, რომ დაკვრა არ იცოდა,‘ ტახტზე ბრტყლად დადებული გიტარის რომელიმე სიმს როგორღაც დაგემოვნებით და ღონივრად ამოკენკავდა იმ საჩვენებელი თითით, სხვა ორ თითთან ერთად ძირითად დროს ნატანჯი და ბედნიერი კალმისტარი რომ ეჭირა და ჟღრიალს გაფაციცებული უგდებდა ყურს, თან ხანდახან ჩვენც შეგვათვალიერებდა; უცებ, საშინელება ჭკითხა – ხომ არ ვწერდით... ძალიან შევკრთი, მეჩვენებოდა (ხანდახან, ახლაც), რომ რაღაცა ასაკრძალ თუ საჩოთირო თუ ზედმეტად თამამ საქმეს თუნდაც ფარულად, მივდევდი, და, რაღა თქმა უნდა, ვიუარეთ, მაგრამ ჯონდოს პერანგის ჯიბეში ფანქრის წვერი დაუნახა და აბა ეს რაღ გინდაო... ჯონდო ძალიან შეცბა და, – ისეო... თურმე ისიც წერდა, ჩემსავით მალულად. რამდენიმე დღის შემდეგ „ცისკარი“-ს რედაქციაში, როგორც იქნა, გავბედე და მივედი. მანამდე ასეთი მღელვარება არ გადამხდენოდა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაცეები მქონდა გადატანილი, თვით შეყვარებაც კი, თან მერე სად ეს – საბავშვო ბაღში. ბატონ ვახტანგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭელიძეს დავუდე თუ არა ჩემი ნაცოდვილარი, მაშინვე გამოქცევა დავაპირე, მაგრამ დამადევნა, ელენესი რა ხარო... თუ არ წავიქცეოდი, არ მეგონა, მამიდაა-მეთქი, ვუთხარი, მეგონა, დავილუპე, რადგან შინაურებმა თუ გაიგეს ესეც თუ მჭირდა, მთლად სამარცხვინო საქმეში გავმქლავანდები-თქო... დიდი მოკითხვა გადაეციო...

არადა, მთელი დოჩანაშვილობა მაშინ ოთხნი ვიყავით – ორი მამიდა, მამაჩემი და მე... უმცროსი მამიდაჩემი, ელენე, „მცხეთური ხელნაწერი“-ს,



ბიბლიის ხუთწიგნეულის გამომცემელი, ბატონ გიორგი მელიქიშვილის მეუღლეა, რომელთანაც ბატონ ვახტანგს თურმე ბავშვობის დროინდელივე მეგობრობა აკავშირებდა, რა ვიცოდი ეს, თორემ რა მიმადგმევინებდა ამ ჟურნალში ფეხს... მერე სასწრაფოდ გამოვვარდი და ვიწრო კიბეზე თავჩაღუნულად ისე დავეშვი, ვიღაცას უცაბედად ძალიან დავეჯახე და, უნებურად რომ შევხედე, აბა თუ იცით, ვინ... – გურამ რჩეულიშვილი.

არასოდეს, არც მანამდე და არც შემდეგ, არავის დავუთვალიერებივარ ისე გამომცდელად და დაჟინებით, როგორც მან, მაშინ...

მ.მ. – *თქვენ არქეოლოგადაც იმუშავეთ ერთხანს, რა მოგცათ ამან როგორც მწერალს?*

გ.დ. – ამ შეკითხვაზე ბატონ ჯუმბერ თითმერიასთან დიალოგიდან გავიმეორებ პასუხს: „უბედნიერესი ვარ, ჩემს სამ ძირითად ხელობათაგან ერთ-ერთი არქეოლოგობა რომ იყო. 28 არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე ვარ. წელიწადში ხანდახან 8-10 თვე არქეოლოგიურ გათხრებსა თუ დაზვერვებზე ვიყავი, ძირითადად იმერეთსა და აფხაზეთში, ხევსურეთსა და თუშეთს გარდა არაა საქართველოში კუთხე, „არქეოლოგიურად“ არ მომევლოს, ხოლო არქეოლოგია – ესაა ხანდახან მზის ამოსვლიდან შებინდებამდე, დამამზრალ სიცივესა თუ აუტანელ ხვატში, მტვერში, თოვლსა თუ ჭყაპში შენი უტყვი და უცნობი წარსულის ძიებისა და ამომზეურების ძნელი და ასაღელვებელი რომანტიკა – ამ ხმამაღალი სიტყვისა ამ შემთხვევაში არ მეშინია. თანაც, თვეობით რომ ცხოვრობ ხან ერთ, ხან მეორე და მეოცე სოფელში, მუშაობისას როგორ ეცნობი იქაურებს, შენს თანამედროვე ხალხსაც, და უნებურად როგორ აკვირდები და სწავლობ მათ, და იქ ყველანი, კარგები თუ პირიქით, როგორ უფრო შენები ხდებიან, რადგან შენები არიან...

მ.მ. – *როდის დაიბეჭდეთ პირველად და როგორი იყო მაშინდელი ლიტერატურული გარემო?*

გ.დ. – 1961 წელს, ჩვენს ამ ჟურნალში;

მაშინდელი ლიტერატურული გარემო, ასე ვთქვათ, კარგა ძნელი კი იყო, მაგრამ კარგი და კეთილისმყოფელი ადამიანებით არცთუ ღარიბი.

მ.მ. – *გვიამბეთ, როგორ სწავლობდით პროზის ოსტატობას?*

გ.დ. – შეძლებისდაგვარად გულ და თავმოდგინედ.

მ.მ. – *თავის სამუშაო ინსტრუმენტს, ქართულ ენას როგორ უნდა მიუდგეს დამწყები მწერალი? სიტყვა უნდა დაიმორჩილოს თუ თავად დაემორჩილოს? თქვენ როგორ მუშაობთ სიტყვაზე?*

გ.დ. – ეს მუდამ ორმხრივი სიყვარული უნდა იყოს; არცთუ იშვიათად მხატვრულ ნაწარმოებებზე მეტი გატაცებით და გულისყურით ვკითხულობ ჩვენს ლექსიკონებს, განსაკუთრებით სულხან-საბასას.

მ.მ. – *მწერლის თქვენეულ იდეალად ისევ თუ დარჩა: „მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე – ისიც არ იწურთნებაო, ამბობენ“. ეს ხალხური ლექსიდან უნდა მოდიოდეს: „კაი ყმა, მგელი, არწივი, არც ერთ არ გაიწურთნების...“*

გ.დ. – რა თქმა უნდა.

მ.მ. – *როგორც ერთგან წერთ, პროზას აქვს თავისი მკაცრი, ბრძნული კანონები, ხერხები, საშუალებები... ეგებ გაგვიზიაროთ თქვენეული გამოცდილება?*

გ.დ. – თქვენ ეს იცით, მაგრამ რადგან სხვებისთვისაც ვსაუბრობთ, ვიტყვი, რომ ეს რამდენიმე მოთხრობაში მაქვს აღწერილი: „საქმე“, „იქამდე“, „თავფარავნელი ჭაბუკი“... განსაკუთრებით იმ რომანში, რომელსაც ახლა ვწერ... უფრო სწორად, ველარ ვწერ, ელექტრომომარაგების ჩვენეული ჭკუით მიდგომისა გამო... დიდი იმედით ველოდები გვიან-გაზაფხულს, კიდევ კარგი რომ, მზით დათბობას და მის შუქს ვერ მოუხერხეს ვერაფერი.

დიდად ვნანობ, რომ მომავალი ზამთრისათვის, თუ გავატანეთ, დღე-ღამეში 29 საათის ელექტროენერგიას თუ რა ქვია იმას არ დაგვპირდნენ, თორემ დილით ალბათ ის ნახევარსაათიანი ელექტროც აღარ გვექნება.

მ.მ. – *კი გაიძახიან, რიტმი მხოლოდ პოეზიას აქვსო, მაგრამ პროზაშიც ხომ არსებობს? ეგებ მაგალითიც მოგვეყვანათ...*

გ.დ. – ყოველი ღირებული პროზაული ნაწარმოები – ამის უტყუარი მაგალითია.

მ.მ. – *რა ადგილი და საზღვრები აქვს მეტაფორას პროზაში?*

გ.დ. – როცა მეტაფორას მივადგები – უმთავრესია, ისევე როგორც აუარება რამ.

მ.მ. – *როგორ ეძებთ ეპითეტებს?*

გ.დ. – ჩემი დაბაბული შესაძლებლობების ფარგლებში.

მ.მ. – *ვის და რატომ თვლით ისეთ მწე-*

ეროვნული ბიბლიოთეკა


*რლად, ვისი სტილისტიკაც ანდა შეისწავლოს მწერლობის მოწადინე კაცმა?*

გ.დ. ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა; მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები თუ გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს, ამიტომ: „სტილი - ეს ყველაფერია (ფლობერი)" - დიდ სიმართლედ ჟღერს. სტილი - ეს პირველ რიგში მშობლიური ენისა და ჩვენი ქართველი კლასიკოსების შესწავლაა, რომელთაგან უპირველეს სტილისტად გურამიშვილი მგონია, უცხოელებიდან კი - ფლობერი, სალტიკოვ-შჩედრინი, ფოლკნერი; ტოლსტოისა და თომას მანის სტილური მრავალმხრივობის საოცარი შემთხვევებიც განსაკუთრებულია.

მ.მ. - *ნაწარმოების დამთავრების შემდეგ სიცარიელეში ხომ არ ხართ ხოლმე? თითქოს აღარ დაგრჩენიათ სიტყვები, გრძნობები, ამრები... არაფერი...*

გ.დ. - რაღა თქმა უნდა, სიცარიელეში; იმდენი უნდა ჩადოს ყველა და ყოველგვარმა შემოქმედმა ნაწარმოებში, რომ აღარაფერი შერჩეს, მაგრამ ეს მხოლოდ ორიოდე დღით, რადგანაც მათეული მისჯა - მოწყალეა.

მ.მ. - *ნაწარმოებზე მუშაობისას თუ გქონიათ ისეთი ადგილები, დიდი ხნით რომ შეუფერხებიხართ და როგორ სძლევდით მათ?*

გ.დ. - ძალიან ხშირად; ჩემს ჯერჯერობით ერთადერთ რომანზე მუშაობისას, შეფერხებისას ათი მოთხრობა მაინც დავწერე, რომლებითაც ჩემთვის ძნელ ადგილებს ასე ვთქვათ, ვუსაფრდებოდი და ვეპარებოდი. ერთმა სიტყვამ კი, უკვე მერე, პირდაპირ მომსპო - თვით წმინდა ღვთისმშობელზე, ასე ვთქვათ, „ეპითეტი" უნდა შემეფარდებინა, როგორია... წინადადება ასე იწყებოდა: „ლამაზია რომ, როგორც რო..." და მერე? როგორც რო - რა? ღვთისმშობლისადმი მოწიწებით მიძღვნილი ეპითეტები თუ შედარებები მაშინ ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცოდი, და გინდაც მცოდნოდა, ვერც ერთს ვაკადრებდი ამაღლებულიდან ჩემს დაბალ ქაღალდზე გადმოტანას, თან, ამომიჩემდა რომ, ეს შედარება თუ ეპითეტი ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო. თვენახევარი არაფერი გამიკეთებია, ამ სიტყვის ძებნის გარდა; რა და როგორიღ საშუალებები არ გამოვიყენე, მეპატიოს და, ძალად გამოთიშვებიც კი, და მერე, უცებ - „ლამაზია რომ, როგორც რო... - თვითონ!" მგონი, სწორი ვიყავი, ღვთისმშობელს სხვა რამ რა შეედრება, თუ არა თვითონ, მოწიწებლური ქებათა ქება, სადიდებელი, სამადლობელი, - სხვაა.

მ.მ. - *ოთხმოციანი წლების უნივერსიტეტელ სტუდენტებს თქვენი „სამოსელი პირველისათვის" ნობელის პრემიაც კი მიუნიჭებიათ ხოლმე, მე შევსწრებივარ ასეთ საუბრებს. გვიამბეთ ამ რომანზე, როგორ მუშაობდით? თითქოსდა სფეროს გარშემო მოძრაობენ მისი პერსონაჟები და რაღაც დიდებული, ჰარმონიული მუსიკაც იგრძნობა ტექსტის მიღმა...*

გ.დ. - ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, მგონი პატიოსნად და ნებისყოფიანად ვმუშაობდი.

მ.მ. - *უნდა შეისწავლოს თუ არა მწერლობის მოწადინე კაცმა ფილოსოფია, სხვადასხვა რელიგიური სისტემები, ხელოვნების სხვა დარგები, თუ ეს ფუჭი მცდელობა იქნება და მხოლოდ თავის ნიჭს უნდა მიენდოს?*

გ.დ. - სხვა მეცნიერებებისა და რელიგიების შესწავლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი თავისი ნიჭი ქართველმა კაცმა მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში შეძლებისდაგვარად და უფრო მეტადაც კი ჩაღრმავებას უნდა მოანდომოს.

მ.მ. - *ყურადღება უნდა მიაქციოს თუ არა მწერალმა კრიტიკას?*

გ.დ. - რა ვიცი, ალბათ; თუმც, მწერლისათვის ყველაფერი დასაკვირვებელი და საფიქრალი უნდა იყოს, ამიტომ, რასაკვირველია, თავხედობა და სიბრიყვეც კი.

მ.მ. - *ამას წინათ ჟურნალ „სტუდიაში" მთელი რუბრიკა ვნახე ამგვარი სათაურით - „კარცერი-ლუქსი". თქვენ რას იტყვით, ცუდი იქნებოდა, ჯერ რამდენიმე, შემდეგ კი მეტი და მეტი კარცერი-ლუქსი რომ გვქონოდა საქართველოში - დაწყებული მთავრობის შედა ეშელონებიდან და დამთავრებული ქუჩით, მოკლედ ყველანაირი ფენისათვის?*

გ.დ. - მე მგონი არ გვაწყენდა, მაგრამ სადაა; ისე კი, ხდება სასურველი უტოპიები.

მ.მ. - *გთხოვთ, ჩვენს ფიროსმანზე და საერთოდ ფერწერაზე გვესაუბროთ, რა გამოადგება პროზაიკოსს იმათი, ფერმწერთა ხერხებიდან?*

გ.დ. - ფიროსმანი და ვაჟა-ფშაველა ადამიანებთაგან ჩემი ხატებია. დიდი ფერმწერიდან პროზაიკოსი ყველაფერს უნდა სწავლობდეს, და ამავე დროს ველასკესის მრავალწახნაგოვანი სიდიადე და გვირგვინოვანი ცდები უნდა ჰქონდეს; ველასკესის ორი ნახატი, რამდენად ადრე - ნაღდი „იმპრესიონიზმია", მოდი და ამის შემდეგ „იზმ"-ებს ენდე. ისე კი, რამდენი საშუალება აქვს ფერწერასა და მუსიკას, რამდენი ფერი, ხაზი, ბგერა, რიტმი, მაგრამ ყოველთვის მახსოვს, კაცობრიობის უპირველესი და უმთავრესი მონაპოვარი - ბიბლია - სიტყვით რომაა შექმნილი, სიტყვა მრავალმხრიობით - მაინც უდიადესია, და თითქოს უტყვი სასვენი ნიშნები - რა ერთგულად ჰყავს...

მ.მ. - *პირადად ჩემთვის ყოველი კარგი მკითხველი დონ კიხოტად აღიქმება და მართლაც არის მკითხველობაში რაღაც დონკიხოტური სასწაულები - აღფრთოვანებაც არის და ცივი წყლის გადასხმაც კოხტადაა. თქვენ, როგორც ვიცი, დიდებული მკითხველი ბრძანდებით თქვენეული ფიქსატორით - აი, რომ დავბურძგლავთ ხოლმე. გთხოვთ დაგვისახელოთ ის მწერლები, რომლებსაც უბრუნდებით ხოლმე და რატომ? რა უნდა იკითხონ*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*დამწყებებმა?*

გ.დ. – დამწყებებს თავად განგება მოუვლენთ საჭირო მწერლებს; კარგად დამწყებებს ვგულისხმობ. ან, აარიდებს; არ გეგონოთ, ჩემი თავი პირველ მაგალითად მომქონდეს, მაგრამ მოგახსენებთ იმას, რაც უკეთ ვიცი: ორმოცდაათის რომ გავხდი, სალტიკოვ-შჩედრინი მერეღა წავიკითხე, და, კიდევ კარგი, თორემ ადრეულ ასაკში ნაღდად გამსრესდა; თუმც, შესაძლოა, არაც – წყალობად ეგებ ვერც გამეგო. სკოლებში, მგონი, ნაადრევად ასწავლიან რუსთაველს და „შუშანიკის წამებას“-ს, ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც ან სკოლამდე, ან სკოლის შემდეგ უნდა წაიკითხო, სკოლამდე იმიტომ, რომ ბავშვი ამაღლებულ საიდუმლოთა დიადი მიმღებია;

მ.მ. – *პერსონაჟებიდან... ვიცი, რომ ძალიან გხიბლავთ ბრმა და მუნჯი, თანაც მშვენიერი ანტონია არჟამე დამკვრელ ანსელმოიანი რომანიდან... და რატომ?*

გ.დ. – ბრმა და მუნჯია, უბედური და ჩვილივით ამაღლებული, და, მოსაველელი, და, მაღლით მომელელი... თან, იმისი ქმარი რომელ საქმესაც მისდევდა... ანტონიას სიყვარულს ვერავის ვასწავლი, თვითონ უნდა წაიკითხონ და ისე მიხვდნენ... მაგრამ არიან, „მყვანან“ ისეთი „ლიტერატურული“ ქალები, რომლებიც, მირჩევნია...

მ.მ. – *თქვენ ამბობთ, რომ ნაწარმოების წერისას სულ უნდა გახსოვდეთ ერთი კომპოზიტორი. სხვაგან ასახელებთ კიდევაც, – ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვერდი, როსინი... უფრო ნათლად ხომ არ აგვიხსნიდით თუ როგორ „გადმოითარგმნება“ მუსიკალური ნაწარმოებები პროზაში?*

გ.დ. – ეს კომპოზიტორი ჩემთვის ჰენდელია, რომელიც გამუდმებით უნდა მახსოვდეს და მახსოვს. ისე კი, თქვენგან ჩამოთვლილები, ტევად მრავალწერტილიანად, ყოვლად აუცილებლები არიან, ოღონდ გააჩნია, სად და როდის... ხოლო თუ როგორ „გადმოითარგმნება“ მუსიკალური ნაწარმოები პროზაში, ურთულესი შეკითხვაა, ამომწურავი პასუხის გასაცემად მთელი გამოკვლევები დაგვჭირდებოდა, ისე კი, ორიოდ სიტყვით – „შეხამებითი საჭიროებისამებრ...“

მ.მ. – *გვიამბეთ თქვენს ურთიერთობაზე კინოსა და თეატრთან, ტელევიზიასთან. მოგწონთ თქვენი ნაწარმოებების ინსცენირებები? აქვე ხომ არ გაიხსენებდით დიდ ეროსი მანჯგალაძეს?*

გ.დ. – დიდად ვაფასებ თეატრს, კინოხელოვნებასა და ტელევიზიას, მათი მეშვეობით ბევრჯერ მიგრძნია ამაღლებული დატვირთვა და შვება, მაგრამ ისინი ჩემთვის მაინც სხვა რელსებია; ულრმესი მადლობა რეჟისორების იმ უმრავლესობას, რომლებმაც ჩემი ნაწარმოებების ინსცენირებისათვის პატიოსნად იშრომეს; ხოლო ერთ-ერთი დადგმა, ჩემთვის ისეთი იყო, რომ არამცთუ მანამდე დადგმულა, მგონი რომ ვეღარც დაიდგმევა ჩემი ნაწარმოებებიდან მსგავსი რამ;

ბატონი ეროსი, როგორც მსახიობი და პიროვნება, საყოველთაოდ ამაღლებული შვება იყო, და დიდ გიორგი შავგულიძესთან ერთად არა მგონია სხვა რომელიმე მსახიობი ასე ახლოს მოსულიყო ყველასთან ჩვენთან; ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ორ ტელესპექტაკლში ბატონმა ეროსიმ მთავარი როლები შეასრულა, მოგეხსენებათ, როგორ დებდა ყველაფერში მართალ და ამასთანავე მრავალსახოვან გულს, თან, იმ დროს იძულებითი „უსაქმობის“-ა გამო, როლებს განსაკუთრებით მოწყურებული იყო...

მ.მ. – *ისეთი ზოგადი კანონი ხომ არ შეგინიშნავთ, რაც მთელ ქართულ ლიტერატურას ახასიათებს, ამკვანებს თუ განასხვავებს სხვა ქვეყნის ლიტერატურისაგან?*

გ.დ. – ყველა ჩვენი კლასიკოსი – მართლაც ხალხისაა, სახალხოა, ბედნიერებაა ეს; მათი შემოქმედების დიდი წილი თუმც, სხვადასხვახარისხობრივად მაგრამ გასაგები და ყველასათვის მისაღები (ადამიანებს ვგულისხმობ) და თანამდგომია, რაღა თქმა უნდა, იციან მარტივად, გასაგებად და რთულადაც წერა, – კლასიკოსები ბრძანდებიან. ხალხურობაა ალბათ ჩვენი ლიტერატურის მთავარი ღირსება, ისევე როგორც თავიანთ ქვეყნებში სერვანტესი და პუშკინი არიან. და არა მხოლოდ თავიანთ ქვეყნებში.

მ.მ. – *თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან?*

გ.დ. – მართლმადიდებლური ქრისტიანობა – ჩემი უმთავრესი და სანუკვარი ოცნებაა. მაგრამ... ამ „მაგრამ“-ის თქმა მხოლოდ სასულიერო პირთან შეიძლება, აღსარებისას, და არა საჯაროდ. საჯაროდ – შენიღბულად, თუნდაც მხატვრულ ნაწარმოებში. ერთს კი ბედნიერებად ვიტყვი, რომ ჩემი უსაყვარლესი და სათაყვანებელი პიროვნების, მეუფე დანიელის, საბედნიეროდ მაინც მომრავლებული მრევლის თუმცა უღირსი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ვარ.

მ.მ. – *როცა ერი დაპირისპირებულ მხარეებად გაიყოფა, სად არის ნამდვილი მწერლის ადგილი?*

გ.დ. – ყველგან, და ყველასთან.

მ.მ. – როგორი უნდა იყოს მწერლის პოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებაში – განზე უნდა იდგეს, რომ კრიტიკის ზნეობრივი უფლება შეინარჩუნოს თუ მხარი უნდა დაუჭიროს?

გ.დ. – მხარი უნდა დაუჭიროს, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში რაგინდ უმნეო ხელისუფლება დროებით გამაგრედესავით, მაინც ღვთითაა, ჩვენივე ცოდვებისაგან და ჩვენივ ქრისტიანული რწმენითა და ნებისყოფით აღმოსაფხვრელად, ეს, ოღონდ მხარდაჭერა – მლიქვნელობა როდია; ეს ჩემი მიგნება არაა, ასეთ დიდ სიბრძნეს რიგითი ადამიანები ვერ ვწვდებით ხოლმე, ან დავცინით ან გვძულს ხოლმე მოუწონარი, და ბოროტება ღვივდება. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, ბრმად ან მონურად შევეგუოთ და უპირველესი მთავარი „კრიტიკა“ – ზნეობრივი უფლება არ შევინარჩუნოთ. ისე კი, ყველაფერს სჯობს, რომ ჯერ საკუთარ თავს ჩავუკვირდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მივხედოთ, რაღა თქმა უნდა, ესეც არაა ჩემი მიგნება. მით უმეტეს რომ, ამას ხშირად ვერ ვახერხებ... მწერლობა და საერთოდ ყოველგვარი შემოქმედება – ერთდროულად წყალობა და დაწყევლასავითაა, და, თითქოს მარადიული, უფრო სწორად კი, ჯერჯერობითი, ხოლო ამ ჯერჯერობითობაში: რომელი რომელს, ვინ ვის...

მ.მ. – *რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც იტალიურ-ესპანური გარემო? ალბათ, ქართველებთან მსგავსების გამო, არა?*

გ.დ. – დიახ. და იყო სხვა მიზეზებიც...

მ.მ. – *თქვენ ესპანეთში მოგიწიათ ყოფნა და იქ კორიდასაც დაესწარით, გვიამბეთ...*

გ.დ. – კორიდა რაა, დღესაც ვერ მივმხვდარვარ, ერთი ის ვიცი, რომ ესპანური სულია, როგორც თვით ლორკა ამბობს, შემართულად ფაქიზიც და დაუნდობელიც. ხარი რომ გამოვარდება არენაზე, იმასაც ვერ მიხვდება კაცი, რაა ეს – ღონით აღსავსე სილამაზე თუ უფრო მკვლელი – აღარ იცის, ჯერ რომელი მესამეხარისხოვანი მეტოქე დალეწოს, ისინი კი არბენინებენ, დროებით შესახიზნში ემალებიან, ეს – პირველი დაღლაა, მერე დგება მხედრის ჯერი, შუბით ჩხვლეტს ქედზე, და ხარმა აღარ იცის, როგორ მოუღოს ბოლო სქელი დამცველი საფარით გაწყობილ, საცოდავ, თვალებახვეულ ცხენს, და იმის მხედარს, პიკადორს ლამობს; მე რომ დავესწარი, იმ „კორიდა დე ტოროს"-ზე ცხენი რქებით ისე აიტაცა და მოაჯირს იქით გადააგდო, მკვლელია, არა? არა, ბუნებაში გაზრდილს ცხენისგან (ძაღლისაგანაც სხვათა შორის) განსხვავებით თავისუფალს, და ღონივრად ლაღს, თურმე კორიდამდე ორი დღით ადრე სიბნელეში ამწყვდევენ, და დროდადრო ზემოდან, უსაფრთხო ად-გილიდან წყალს ასხამენ, სილას აყრიან რომ გააცოფონ, ასე ხდიან მკვლელად. არენაზე კი, იმ დასაღლელი გაღიზიანებების შემდეგ, ტორეროები ჭვილთებს ასობენ ზურგში, რომ სისხლნაკლული, დაასუსტონ, ბოლოს კი, მთავარ მკვლელთან, მატადორთან, პირისპირ რჩება თუმც მასზე ისევ მაინც რამდენად ღონიერი, მაგრამ მერე კი, სულ ბოლოს, ყოფილ ღონიერ ქედზე დაცემულს, ჩოჩიალით რომ გაათრევენ თოკჩაბმული და დამჯერობით ცოცხალი ცხენები, არ შეიძლება არ დაგენანოს კი არა, გაცილებით მეტი, ასე შენს თვალწინ დაკლული ბუნებრივი და თავისუფალი ძალა, მაგრამ ტელევიზიით იქვე, ესპანეთში, ჩემთვის ჯერ „რაღაც" გადაცემას ვუყურებდი, ესპანურისა რა მესმის, კეთილხმიანობის გარდა, და ვიღაც კაცი რაღაცებს რომ ჰყვებოდა, მაინც ვიჯილდოებდი სმენას, მერე კორიდა აჩვენეს, ოღონდ ხარის მოკვლამდე, ნაწყვეტი, მე კორიდას წვრილმანებისა დიდი არაფერი გამეგება, მაგრამ ხალხის ალტაცებისდა მიხედვით, ალბათ მაგარი მატადორი იყო, ძალიან დავაკვირდი მის ამაყად ლამაზ მოძრაობებს, გამიტაცა, და, უცებ ისევ ის წელანდელი კაცი არ აჩვენეს?, ისევ რაღაცებს ლაპარაკობდა, ოღონდაც კიდევ კარგი, დიქტორისა თუ კომენტატორისაგან განსხვავებით, მორცხვად და მუნწად, მერე ისევ კორიდა, ისევ ის დიქტორ-თუ-კომენტატორ-პროფესია არასწორად ამორჩეული კაცი, ისევ კორიდა და, ისე უცებ მივხვდი და დამარტყა, მგონი შევხტი კიდეც – ეს კაცი თვითონ ის მოხდენილი მატადორი ყოფილა, ტელეეკრანზე – სულ სხვა, არენაზე კი, იმდროინდელი ესპანეთის თურმე უპირველესად აღიარებული ვაჟკაცი, არადა, თითქმის ყოველ მატადორს იშვიათად ლამაზი – ჩამოქნილი სხეული აქვს – ხმელია, აწურული, ხოლო მოძარობს დახვეწილად და ამაყად როგორ, მაგრამ ფეხის ოდნავი მონაცვლებაც კი, მომაკვდინებელი რქების ბოლო წამში ასარიდებლად, მაყურებელთა დიდი სტვენისა და ღრიანცელის და შეურაცხმყოფელი შეძახილების ამტეხია, ეს კი, სილაზე მთლად გადასხვაფერებულად ამოსულ-აშოლტილი მატადორი, მუხლებზე დადგა და უერთგულესი და უპირველესი შემწის – წითელი მოსასხამის დახვეწილი მოძრაობებით აიყოლია და თავის ირგვლივ, ბეწვზე, რამდენჯერმე შემოივლო სიკვდილი, მორიდებულად გამოჩნდა ისევ ტელეეკრანზე, რაღაცები თქვა, შეწრიალებულმა, და უცებ, ისევ სილამაზე, და ახლა თავისი უმთავრესი სიკვდილამცდენი რამ, წითელი მოკლე მოსასხამიც აღარ ეკავა, უმისოდ იდგა, ერთდროულად ჩამოქნილი და აწურული, და რომ მეგონა ხარი უკვე მოკლა-მეთქი, მაგრამ არა, არა, შორიახლოს ეგულებოდა თურმე, და სილაზე მაღალი ფეხის დარტყმით იწვევდა, ხარიც, გამოქანდა, რაღა თქმა უნდა, რაღაც საოცრება ხდებოდა, ნეტა რიღასი იმედი ჰქონდა, და უცებ, ამა პირველმა მატადორმა, მიზავთებულ ხარს როგორღაც მკაცრი ბრძანებით აჩვენა ხელისგული, და – იქვე, გოჯზე, ადგილზე გააქვავა... და, თავიც კი ჩაალუნინა... ხოლო აღფრთოვანებული ტაშისცემისა და შეძახილების პასუხად, ხარს ცალ რქაზე ჩამოჰკიდა თავისი ულამაზესად ბრჭყვიალა მოკლე ქურთუკი, და, ესეც არ იკმარა და, ხარს ახლა თვალებითა და ხელისგულით აღარ ნუსხავდა და, შემობრუნდა და ხალხს მაინც ამაყი თაყვანი სცა, ყოვლად დინჯად და აუღელვებლად, ეკრანზე ბევრად მეტად ღელავდა, არადა, ზურგშექცეულისთვის, ხარს ერთი რომ აექნია ის ჩაქინდრული თავი, თირკმლებს იღლიებში ამოუყვანდა; მერე კი, დაშნა მოიმარჯვა და იმისთანა თავისი საქმის ზედიდოსტატისათვის ნახტომში საბოლოო უზუსტესი ძგერება რა იყო, არაფერი, და მართლა სულ ბოლოს კი ის იყო, რომ არენაზე გადმოჭრილი აუარება აღფრთოვანებით-გაგიჟებამდე-შეყვარებული ესპანელი ქალბატონ-სენიორიტების უპირველესად თავდავიწყებული სურვილი ის იყო, რომ მაინცდამაინც მხრებზე თუ ვერ შეესვათ ეს უპირველესი მატადორი, იმისი ტანსაცმლის ნამცეცი მაინც მოეხელთებინათ და, კინაღამ გაპუტეს, ადამიანო, ეს ხართან ასე ამაყად მებრძოლი ვაჟკაცი კაცი, უდანაშაულო ყოფილ ხარს კი, – უმწეობას, ახლა, შრომადღეებიანი ცხენები მიაჩოჩიალებდნენ, თუმც, ხარს არენასშორითა თავისთვის მიმავალი კაციც აუგია რქებზე, მოკლედ, ჩემო და ბატონო მიხო, კორიდა მე კი არა, ერთ ნამდვილ და გავლენიან ესპანელსაც ბოლომდე არ სცოდნია, რადგან აი ასე დიდებულად ბრძანა: „ჩემი ნება რომ იყოს, კორიდას ავკრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავდი, მერე კი, რომ აიკრძალებოდა, ავიღებდი და დავჯდებოდი და ვიტირებდი"-ო.

მ.მ. – *იქნებ ამიხსნათ, ამ ესპანელებს რა ემართებათ – სამშობლოში ერთი ნორმალური ფეხბურთის გუნდი ვერ შეუდგენიათ, არგენტინაში კი ჩინებულად თამაშობენ ყოველთვის. რა ხდება ნეტავი, ჰაერის გამოცვლა ხომ არ მოქმედებს?*

გ.დ. – ამაზე ზედაპირულად და ნახევრად ხუმრობით შესაძლოა მხოლოდ ის მოგახსენოთ, რომ ამერიკის სამხრეთი ძირითადად ესპანელების მიერაა დაპყრობილი; ამაზე გამახსენდა და რა ვქნა, ვერაფრით გავიგე თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის გულშემატკივრების გაბედნიერებული აღფრთოვანება თავიანთი გუნდის წარმატებით, როცა იმ გუნდში მთავარი ძალა – უცხოელებია.

მ.მ. – *თქვენი ყოველი ახალი ნაწარმოები ძალიან განგვირისხებს ხოლმე ზოგიერთ ჩვენს ღრამმატიკოს-სქოლასტიკოსს, ეთამაშება და ეცელქება სიტყვებსო... რა იმალება ამის უკან? მარტო სიტყვებთან კი არა, ბოლო დროს სიუჟეტშიც უწესრივობები შეინიშნებაო, არადა, თითქოს იქაც აირევა ხოლმე ყველაფერი, თუმცა წესრივი როგორ არ არის, ოღონდ ფარულად, არა?*

გ.დ. – ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბევრი საუკუნით ადრე ერთსაც ეგვიპტელ მწერალს უთქვამს, ნეტავი მომაგონებინა ისეთი სიტყვა, ჩემამდე რომ არავის უთქვამსო; მაგრამ ახალი სიტყვების მოგონება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ – მოქნილობა. თან, ორ და სამ სიტყვას ერთადერთში ბუნებრივად თუ გააერთიანებ, რაა ამაში ცუდი, „ღრამატიკოსობების" განრისხება კი ბუნებრივია – აბა ტყუილად იზეპირეს წესები?! და როგორ თუ ჩარჩოებს უწუნებენ და უსხვაფერებენ, ფრიადოვნები ყვანდათ... არადა, პირველყოფილ ადამიანს იმდროინდელი გრამატიკა მტკიცედ რომ დაეცვა, და შთამომავლობისათვის მისაბაძ მაგალითად გადაეცა ეს, დღესაც ვიზმუვლებდით... ამბების არევებშიც მაინცდამაინც ცუდს ვერაფერს ვხედავ, ქაღალდი ქვეყანასავით ამტანი და დიდია, და, როგორც თქვენ ბრძანეთ, ხოლო წესრიგი ქვეყნად ყოველთვისაა, თვალშისაცემი უწესრიგობებისასაც კი, ოღონდ, მე თავს კი არ ვიმართლებ და ვიქებ, არა – ამისაკენ არ მივილტვი, სხვა საქმეა თუ – როგორ შევძლებ, ოღონდ ცდა მაინც სჯობს იმას, „ოღონდ შენ კი არ გამიბრაზდე განათლებულო მკითხველო შენიკი ჭირიმე შენიო"-ს.

მ.მ. – *ასე მგონია, დიდი ლიტერატურისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის დაიწერა... ათი საუკუნის წინათ დაწერილი ნაწარმოები უფრო ახლოს შეიძლება იყოს ჩვენთან, ვიდრე გუშინ დაწერილი, არა?*

გ.დ. – რაღა თქმა უნდა. „გილგამეშიანი"-სთანა უკვდავად და მარადიულად თანამედროვე მხატვრული ნაწარმოები მე არ მეგულება. და ამაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ნაწერებსა თუ ნათქვამებში მუდამ ეჭვი მეპარება, გადაჭრით შემიძლია ახლა ვთქვა, რომ გურამიშვილისთანა საჭიროდ თანამედროვე მწერალი, „დავითიანი"-თ, დღეს ჩვენ, ქართველებს, არ გვყავს, რაგინდა გულზე თეორიულად ავიბაგუნოთ მუშტი და ენა.

მ.მ. – *აი, ახლა ვიხსენებ თქვენს მშვენიერ პერსონაჟებს – კარმენს, ანა-მარიას, ანნა მანიანის, სხვებს და ვფიქრობ, რომ მუსიკისა თუ მშვენიერების თქვენეულ სიმბოლოს ქალი განასახიერებს, სწორია?*

გ.დ. – ბედნიერი ვარ, ჩემთან დაკავშირებით ასეთი რამ რომ მკითხეთ, მაგრამ ბახი, თავი და თავი, კაცია. და, რაღა თქმა უნდა, იქაც, სადაც ქალებს ამღერებს.

მ.მ. – *ერთგან წერთ, სახარებაში ღიმილი ერთ ადგილზეაო და რა ადგილია?*

გ.დ. – ბატონო მიხო, ამით შესაძლოა ცუდი სამსახური გავუწიოთ ზოგ მკითხველს: ვისაც თავისით არა აქვს ნაპოვნი ეს ადგილი, მხოლოდ იმას თუ წაიკითხავს, და ამაში რა ყრია... კონტროლიორობა? მით უმეტეს რომ, ეს ადგილი, ნიშნის მოგებაცაა.

მ.მ. – *იმ კომუნისტური დიქტატურის წლებშიც ხომ არსებობდა დაუმორჩილებელი ქართული ლიტერატურა? ხომ მაინც იყვნენ დაუჩოქებელი მწერლები?*

გ.დ. – ჩვენდა დიდად საბედნიეროდ, კი. დიდი შინაგანი სიამაყითა და სიხარულით ჩამოვთვლიდი მათ, მაგრამ, ვაითუ ვინმე გამომრჩეს.

მ.მ. – *ზევარდმო მადლი უნდა იყოს გადმოსული მწერალზე, რომლის ხელშიაც თიხასავით მოქნილნი ხდებიან სიტყვები, კი არ უჯიუტდებიან და თავიანთ ჭკუაზე კი არ დაატარებენ. გრძნობს თავის თავს ასეთ კაცად სამოც წელს მიღწეული გურამ დოჩანაშვილი?*

გ.დ. – რა თქმა უნდა, ვერა.

მ.მ. – *იქნებ ისეთი შეკითხვა დაგვესვათ საკუთარი თავისათვის, რაც მე ვერ გკითხეთ...*

გ.დ. – „ვინ, როგორი ხართ, როგორა ხართ?" – და, თუმც ამომწურავი, მაგრამ ვერაფერიშვილი პასუხი: „არ ვიცი".

*1999 წლის მარტი*

***P.S.** და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტმა ისე „იმარჯვა", რომ, დანაპირები აღარც გამხსენებია, გულწრფელად შევძახე: „კარგი ხართ, მაესტრო!" რაღა დასამალია და, ამ საუბრის გაცნობის შემდეგ ჩემს რამდენიმე თანამშრომელსაც იგივე სიტყვები აღმოხდა.*

*ინტერვიუერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზეინაბ კიკვიძე

# „სამოსელი პირველის“ სივრცისა და დროის მითოსური ასპექტები

ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება სამყაროს ინდივიდუალური მოდელია და მასში უნივერსუმის არსებობის სივრცე-დროისმიერი ფენომენი გადმოდის. მე-20 საუკუნის რომანის მითოლოგიზირების პრინციპმა ამ ფენომენთა არსებითად განსხვავებული გაგება მოიტანა. თუ წინა ეპოქის ტრადიციული ლიტერატურისათვის დამახასიათებული იყო მოქმედების განვითარება რეალური სივრცისა და კალენდარული დროის მიხედვით, თანამედროვე მწერლობა ძირითადად გათავისუფლდა მათი ემპირიული ლოკალიზაციისაგან. მარადიულ პრობლემებზე დაფუძნებულმა და მითოსურ ფუნდამენტზე ამოზრდილმა თემატიკამ წაშალა დროისა და სივრცის საზღვარი. მხატვრული ენის შესაძლებლობანი ხშირ შემთხვევაში უძველეს წარმოდგენებს დაემყარა, რომელთა პირველქმნილი სინატიფე ეპოქიდან ეპოქას გენეტიკურ კოდად გადმოეცა. მითოსური არქეტიპების შემცველი სიმბოლიკის მუდმივობა, ზედროულობა და ზესივრცულობა თანამედროვე მწერლობის პრობლემატიკის ნიშანდობლივ, სპეციფიკურ მხარედ იქცა, რამაც საშუალება შექმნა, გამოყოფილიყო თხზულების კიდევ ერთი ნიშანი - ნაირკითხვაობა (პოლივალენტურობა), რაც ყველაზე მეტად რომანში გამოიკვეთა.

სივრცე დროის კატეგორიათა მითოსური მუდმივობით გაგების ორიგინალური მოდელი ისახება გურამ დოჩანაშვილის რომანში - რომლის პირველი ნაწილის სახელწოდებაა „სოფლად“. ამ ტერმინს ორგვარი დეფინიცია მოეპოვება: 1. უპირატესად გლეხებით დასახლებული ადგილი, სადაც ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს და 2. მსოფლიო, ქვეყანა. ეს უკანასკნელი კი შეიცავს არა მარტო ქვეყნიერების ცნებითობას, არამედ კოსმიური სივრცის დეფინიციას. ხოლო გმირის პირველსამყოფელი უბრალოდ სოფელი როდია, არამედ განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვის მქონე ტოპონიმი „მაღალსოფელი“.

ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ რომანის სივრცე დაკავშირებული უნდა იყოს ქართული მითოსური აზროვნებისათვის დამახასიათებელ უნივერსუმის ვერტიკალურ მოდელთან (თ. ოთხმეზური), რომელიც ითვალისწინებს სამყაროს დაყოფას სამ შრედ, ანუ სამ სკნელად. უძველეს დროში ქართველებს სწამდათ, რომ სამყარო სამი სკნელისაგან შედგენილი მთელი იყო. ზესკნელ-ქვესკნელი და მათი დამაკავშირებელი ხრტილი - შუასკნელი. საგულისხმოა ისიც, რომ ყველა ფენას თავისი დამახასიათებელი ფერი გააჩნდა. ზესკნელის სიმბოლო იყო თეთრი, ქვესკნელისა - შავი, შუასკნელისა კი წითელი, ზოგჯერ ჭრელიც. ფერთა ასეთი შეხამება ფიქსირებულია ქართულ ზღაპრებში, ასევე დაცულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ჩვეულებებში; კერძოდ, სკლატი, რომლითაც ხევსურები ცხედარს სუდრავდნენ, სამი ფერისა იყო - შავი, ჭრელი და თეთრი. ეს პასაჟიც სამყაროს სკნელური განფენის მიმანიშნებელია.

უნივერსუმის ასეთი დაყოფა მხოლოდ ქართული მითოსური ხედვისათვის როდია დამახასიათებელი. ინდური „ვედანტა“ ყოფას სამფერად ასახავს. „ძირა ფენი დაბალია და ქაოტური: „ტამას“ - მას უდრის შავი ფერი; შუანა ფერი ჭიდილია, ბრძოლა, შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტურთან: „რაჯას“ - მას უდრის წითელი; ზედა ფენი სისრულეა და მყუდროება ღვთიური: „სატცვა“ - მას უდრის თეთრი“ /ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველება, ბუენოს-აირესი, 1954 წ. გვ. 139/.

თუ მხედველობაში მივიღებთ სამყაროს ასეთ განფენას, მაღალსოფელი თავისი სიმბოლიკით ზენაარს, ანუ ზესთასოფელს უკავშირდება და მარადიული სამყოფლის - სასუფევლის დეფინიციას იძენს. სივრცობრივადაც ზემოთ, ზედა მხარეს, მაღლა წარმოიდგინება. სახეტიალოდ წასული გმირი თავდაღმართში ჩადის, ხოლო უკან დაბრუნებისას გაჭირვებითა და დიდი ჯაფის შედეგად ადის აღმართში. დაღმართ-აღმართის ასეთი დაპირისპირებულობა განაპირობებს კიდეც რომანის სივრცის სამგანზომილებიან სფეროდ დაყოფას. „ზევით აღმართში - მამისეული სახლია, მაღალ სოფელია, ქვევით დაღმართში - სამფენოვანი კამორაა, მათ შორის კი ლამაზ-ქალაქი მდებარეობს. ამგვარად დაყოფილი სივრცე მითოსური სამყაროს ვერტიკალურ კოსმოსურ მოდელს შეესაბამება“ /თ. ოთხმეზური, რომანის მითოსური პლანი, კრიტიკა, №2, 1981 წ. გვ. 89/.

თვით დომენიკოს მოგზაურობა ატარებს ადამიანის სივრცეში გადაადგილების არა ჰორიზონტალურ ვიზიონერულობას, არამედ გაიაზრება, როგორც თანდათან ჩახვდომა ქვესკნელში, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართული, შუმერულ-ეგვიპტური, თუ ბერძნულ-რომაული მითოსური ხედვისათვის. ასეთი ნიშანი აქვს საერთოდ გმირის, კერძოდ კი ახალბედა ვაჟის ინიციატიურ სვლას. ამასთანავე, თანდათანობით ჩაშვება სიღრმეში არ არის სწორხაზობრივი. ის უფრო მრუდის ფორმას იღებს, რომელიც აუცილებლად საწყის წერტილს უნდა დაუბრუნდეს.

ისევ მარადიულ სამყოფელში ასვლისათვის მედიალურ ადგილად კანუდოსი იქცევა; უფრო ზედა საფეხური ღორების პატრონის სამყოფელია, სადაც ხდება გმირის ინკარნაცია. რის შედეგადაც იგი ადის მაღალსოფელში - ე. ი. უბრუნდება ზეციური მამის საუფლოს.

თუ დავუკვირდებით რომანში მოცემული ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების ფერთა სიმბოლიკას, აუცილებლად შევამჩნევთ, რომ მათში სკნელთა შეფერილობა ირეკლება. ლამაზ-ქალაქის შესახებ ჯერ კიდევ ლტოლვილის ნაამბობიდან ვგებულობთ. დომენიკოს შეკითხვაზე, როგორი ხალხი ცხოვრობს ლამაზ-ქალაქში, - ის მიუგებს: „ჭრელი“, სახლები ცისფრად და ვარდისფრადაა შეღებილი. მთავარი მოქმედი გმირი ჯერ მწვანე, შემდეგ ლურჯ სამოსს ყიდულობს. სასმელებიც უმეტესად ფერების მიხედვითაა სახელდებული /მამიდა არიადნა თავის სტუმრებს სთავაზობს ვარდისფერ, ყვითელ, მწვანე წყალს; ჯუზეპეს გონებაზე მოსაყვანადაც სხვადასხვა შეფერილობის სითხე მოაქვთ და ა. შ./; ლამაზ-ქალაქის ფერთა სიმბოლიკა და მდე-ბარეობა უთუოდ შუასკნელს შეესაბამება.

კამორა მუქ, თალხ, პირქუშ ტონებშია გადაწყვეტილი, თანაც ის უფრო ქვევით მდებარეობს, ვიდრე ლამაზ-ქალაქი. იყოფა სამ ფენად და, რაც უფრო მძლავრობს კამორელთა სისასტიკე, გახრწნაგადაგვარება და არაადამიანურობა, მით უფრო ძლიერდება თავდაღმართის შეგრძნება; ზედა, ანუ ყველაზე სატანური ნაწილი ქალაქისა, სადაც კამორას ელიტა ცხოვრობს, უკიდურესად დაბლა მდებარეობს. ეს პასაჟები იმის მიმანიშნებელია, რომ კამორა ქვესკნელს შეესაბამება.

თეთრი ფერისაა თავისუფლებისათვის მებრძოლთა ქალაქი კანუდოსი/, გავიხსენოთ - თეთრი სახლები; თეთრი მწყემსი/, შეიძლება ითქვას, რომ ის არის ზესკნელის საწყისი წერტილი.

რა თქმა უნდა, სამყაროს სკნელურ განლაგებას რომანის სივრცეს ვერ შევუფარდებთ მხოლოდ შეფერილობის ნიშნის იდენტურობის გამო. დამთხვევა გვაქვს აღნიშნული მოდელის ფუნქციურობის მხრივაც.

შუასკნელი, ანუ „ხრტილი“ ამქვეყნიური ცხოვრების გამომხატველია. ლამაზ-ქალაქიც განზოგადებული სახეა ფილისტერული საზოგადოების ყოფისა, სადაც მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ფუქსავატური ცხოვრებით ცხოვრობს. კამორაში გმირს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევს სიკვდილი; იქაურებს სისხლის სუნი ასდით და ძალადობა და ბოროტება უმაღლეს რეგისტრშია აყვანილი, - ქვესკნელი კი მკვდართა საუფლოა. კანუდოსელები თავისუფლებისათვის ბრძოლაში იღუპებიან, მათ პიროვნულ არსებობას განსაზღვრავს ადამიანის ბუნების კეთილი საწყისი, რაც თეთრ ფერში სახიერდება.

ქართული ფოლკლორული ტრადიციის მიხედვით სკნელებში ყოველთვის ახალგაზრდა ვაჟი, უმეტეს წილ უმრწემესი ძე მოგზაურობს; ეს არის ერთგვარი ინიციაციური მარშრუტი ზემოდან ქვემოთ-სამყაროს უკიდურეს ნაწილში-ქვესკნელში და ქვემოდან ზემოთ, ისევ ზესკნელისაკენ. ამ გზაზე სვლას თან ახლავს გარკვეული აუცილებლობები. შევეხებით თითოეულ მათგანს, რადგან ზესკნელ-ქვესკნელში ხეტიალის ზოგად კომპონენტებს არქეტიპული მიმართება აქვს რომანის სიუჟეტთან.

ა) ყარიბი გმირი მიდის თავისი პირველსამყოფლიდან; ამას განაპირობებს თითქოს მოგზაურობის რომანტიკა, მაგრამ მისი ნამდვილი მიზეზი უფრო რთულია, ვიდრე ინტერესის ხვადასხვა უცნობი მხარის ნახვისა. ჭაბუკი გამოიცდება ხეტიალისას; მან უნდა გადალახოს მრავალი დაბრკოლება; უნდა შეებრძოლოს და დაამარცხოს ბნელეთის ძალები; ხოლო, გარკვეული თვალსაზრისით „გარდაცვალების“ შემდეგ ხდება გმირის ხელდასმა, ანუ კურთხევა.

რომანის პროტაგონისტიც სხვადასხვა ხიფათგამოვლილი, მრავალ განსაცდელს გადარჩენილი, სახეცვლილი ბრუნდება მშობლიურ გარემოში, სადაც უკვე ინკარნირებული ეზიარება შემოქმედის მიერ ბოძებულ საუნჯეს, ე. ი. ხდება მისი ხელდასმა.

თუ შევადარებთ გმირის სოფლიდან წასვლისა და დაბრუნების მომენტებს, დავინახავთ აშკარა ცვლილებას მის პიროვნებაში. თავდაპირველად გულარხეინი და კმაყოფილი დომენიკო არც კი ინტერესდება, რატომ ეუბნება მას კოჭლი ყმა, ერთი დრაჰკანი მაინც დატოვოს შინ, მაგრამ უკან დაბრუნებისას, აღმართში ფორთხვით მიმავალი, მწარედ ინანებს ამას. სინანულით ავსებული უმრწემესი ძე შეწყალებასთან ერთად იღებს მამისეულ სამკვიდროს.

ბ) მითოსური ტრადიცია ქვესკნელად შთახვდომის რიტუალს გამოხატავს, როგორც ჩასვლას მკვდართა საუფლოში, რაც ბუნებაში შეესაბამება ზამთრის დადგომას; ფლორა თითქოს კვდება, მიწაში ჩადის, რათა გაზაფხულზე ახალი სიცოცხლე შეიძინოს, ხელახლა იშვას. ეს მომენტი საფუძვლად უდევს წელიწადის ორ ნაწილად დაყოფას. აღმოსავლეთ საქართველოში მთიელთა უძველეს საკრალურ ტექსტებში წელიწადის ორ ჟამად გამყოფელი ზამთარი და ზაფხულია დადასტურებული. ქართული ზა-მთარი და ზა-ფხული მზე-ცივისა და მზე-თბილის ცნების გამომხატველია. ცხადია, რომ ეს ტერმინები მითოსური მზის ზესკნელ-ქვესკნელში ციკლური ბრუნვის მიმანიშნებელია.

ახლა ვნახოთ, მოეძევება თუ არა რაიმე პარალელი ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის სკნელებში მოგზაურობას აღნიშნულ მითოსურ მომენტთან. თ. ოთხმეზური მიუთითებს, - გაზაფხული იყო ის დრო, როდესაც დომენიკომ პირველად დატოვა მშობლის წიაღი. თხზულებაში კი საპირისპირო იკითხება.

რომანიდან სრულიად ნათელია რომ დომენიკო მაღალსოფელს შემოდგომაზე ტოვებს. კერძოდ, მას პირველსამყოფლიდან წასვლის სურვილი ყველაზე მეტად ულვივდება მოხეტიალე ჯამბაზების ხილვის შემდეგ. მათი ასვლა სოფელში კი უნდა მომხდარიყო დაახლოებით შემოდგომის დასაწყისში, არა უადრეს ოქტომბრისა.

რატომ მაინც და მაინც წელიწადის მეათე თვეს? - როცა მოხეტიალე მსახიობები მაღალსოფელში მიდიან, იმედოვნებენ, რომ რთველი მოლეული იქნება, მაგრამ მთაში ყურძნის აღება გვიან იწყება, ისინიც აფიქსირებენ, რომ ყურძენი ჯერ არ მოუკრეფიათ, ამის გამო თითქოს მათი წარმოდგენისთვის არავის ეცლება. ყურძნის კრეფა საქართველოში ოდითგანვე ოქტომბერში იწყებოდა, ამ თვეს შესაბამისი სახელწოდებაც გააჩნდა - „ღვინობისთვე“ ან უფრო ძველი „სთულისაჲ“. მოხეტიალე ჯგუფის გამოჩენა არ მოხდებოდა ოქტომბერზე ადრე. დავუკვირდეთ კიდევ ერთ ფრაზას: „ატამი რა ხანი იყო, მოილია. გვიანი ვაშლებიღა ესხა ხეს. ყურძენს, საცა იყო, დაკრეფდნენ და ყოველი მარცვალი გლუვად კრიალებდა“. ეს ის პერიოდია, როცა უმრწემესი ძე თავის კუთვნილ წილს გამოითხოვს და სოფლიდან მიდის. ცხადი ხდება, რომ ეს უნდა მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდარიყო შემოდგომის მიწურულს, ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა, მითოსური აზროვნების მიხედვით, მოახლოებულია მზის ქვესკნელში ჩასვლის ჟამი.

თ. ჩხენკელი აღნიშნავს, რომ სამყაროს ორ სკნელს შეესაბამება ზამთარ-ზაფხულის ორი დრო, ორი მზე და ორი წყალი, ცის ორი კარი, წელიწადის დღე და ღამე, ან „წელიწად-დილა“ და „წელიწად-წუხრა“. ქვესკნელს დანთქმული მზე კვლავ ზესკნელს ადის. მზის წლიური მიმოქცევის გზაც ორად უნდა გაიყოს. თ. ჩხენკელი არკვევს თუ რას უნდა დაფუძნებოდა წელიწადის ორად გაყოფა, ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ორიენტირად აღებული ყოფილიყო ან ზამთრისა და ზაფხულის მზებუდობა, ან კიდევ შემოდგომისა და გაზაფხულის ბუნიობა. საფიქრებელია, რომ პროტაგონისტი მაღალსოფელს ტოვებს, მხატვრულად თუ ვიტყვით, „წელიწად-წუხრას“, ე. ი. მზის დამცრობის დროს, რადგან, მითოსური მსოფლხედვის თანახმად, ქვედა სკნელში ჩასვლა მზის „გარდაცვალებით“ გამოიხატება.

რომანში ეს პერიოდი დომენიკოს მამისეული სახლიდან წასვლას შეესაბამება. იგი მიემართება ქვესკნელისაკენ შუასკნელის გავლით, სოფელში კი ბრუნდება ზუსტად მაშინ, როცა ყოველწლიური საგაზაფხულო დღესასწაული იმართება. აღნიშნული ფაქტი უნდა დაემორჩილოს მითოსურ ტრადიციას და დაემთხვეს „წელიწად-დილას“, ანუ გაზაფხულის მზებუდობას.

ახლა დავადგინოთ, როდის იმართება რომანისეული დღესასწაული და რას შეიძლება დაუკავშირდეს მისი რიტუალური კომპონენტები. მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს თხზულებიდან.

„*გაზაფხულობით, როცა ხეების ფერადი კვირტები პაწია ნაყოფად გადაიქცეოდა* /ხაზგასმა ჩვენია - ზ. კ./, ხალხი ერთი ღამით ტოვებდა სოფელს. ჩაფიქრებული, მორჩილი სახეებით აიკრავდნენ გუდა-ნაბადს. ჩვილებს თბილად გაახვევდნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, სნეულნიც კი გაჰყავდათ ჩარდახიანი, უხალისოდ აჭრელებული ურმებით. ხორციელის ჭაჭანება აღარ იყო, ერთადერთი მამა რჩებოდა შინ, ქვის გალავანს მსუბუქად დაყრდნობილი. იგი გასცქეროდა სოფლელებს, რომლებიც მძიმედ ადიოდნენ აღმართში და მერე ბორცვს მიღმა უჩინარდებოდნენ. იქით ბორცვის გადაღმა უნდა გაეთიათ დღესასწაულის წინა ღამე, კაცებს უნდა ეფხიზლათ და ვეება კოცონთან უხმოდ უნდა მსხდარიყვნენ. როცა შავად გაჟღენთილი, დამძიმებული ჰაერი ყოველივეს წაშლიდა, მამა კვარს აანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე... სოფლელების სახლებში დაიარებოდა და დიდხანს, დაფიქრებული ათვალიერებდა ყველაფერს. მერე კი, ოდნავ რომ შემსუბუქდებოდა ცა, დასალიერზე ოდნავ რომ გაიბზარებოდა სიშავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ლოდზე დგებოდა. ნელა, ძალიან ნელა თენდებოდა... მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი, უთენია, ხალხი მოდიოდა!.. მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი, დრეკადი რტოებით ხელში“. შებინდებისას კი სოფლელები დიდ კოცონს გააჩაღებდნენ ხოლმე და თითოეული მათგანი საკუთარი ტანსაცმლის ნაგლეჯს აგდებდა ცეცხლში.

დღესასწაული რომ გაზაფხულობით ტარდება, ეს თვით ტექსტიდანაც ნათელია, მაგრამ შესაძლებელია კიდევ უფრო დაზუსტდეს მისი გამართვის დრო, კვირტების ნაყოფად ქცევა ხდება დაახლოებით აპრილ-მაისის მიჯნაზე, ე. ი. მაშინ, როცა გაზაფხულის მზის სითბო უკვე ძალაშია შესული. თვით დღესასწაულის რიტუალური ნიუანსები რამდენადმე შეიცავს მსგავსებას „ლამპრობის“ მომენტებთან, რომლის ვრცელი აღწერა მოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს „ქართველების წარმართობაში“.

„მეკერმისა და ფარისევლის კვირას, წირვის დროს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი დიდით-პატარამდის წმინდა გიორგის საყდარში მიდიან. ყველას ხელში ანთებული არყის ხის ტოტები უჭირავს. ეკლესიასთან რომ მივლენ, ანთებულ ხეებს ერთიერთმანეთზე სდებენ და დიდ ცეცხლს გააჩენენ ხოლმე. მერე ხალხი „დიდებ“-ის ლოცვას და გალობას იწყებს. ამ დღეს სვანები „ლიმპჯარის“ უძახიან და ქართულს ლამპრობას უდრის. სვანებშიც წმინდა გიორგობა შუადღეს იწყება, მთელ ღამეს გასტანს და საღამო ხანს თავდება. ასეთივე ჩვეულება გურიაშიც სცოდნიათ; „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ლამპრობა ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა“.

აქ ერთი უზუსტობაა დაშვებული. მეზვერესა და ფარი-სევლის კვირა არ შეიძლება წმინდა გიორგის დღეს დაუკავშირდეს, რადგან, საეკლესიო კალენდრის მიხ-ედვით, ის წინ უსწრებს დიდმარხვის დღეებს და თებერვალში აღინიშნება. ლამპრობა გიორგობას კი არ იმართება, არამედ ამ წმინდანის სახელობის ეკლესიაში. ეს დასტურდება ქუთაისის დიალექტოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის სვანეთის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებითაც.

თავის დროზე ამ ცნობამ ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა, რადგან ლამპრობის შესრულების წესი /მთელი მოსახლეობის სახლებიდან გასვლა, ღამისთევა, ანთებული ჩირაღდნებით ცეცხლის დანთება/ ძალიან წააგავს რომანის დღესასწაულის რიტუალურ კომპონენტს. წმინდა გიორგის ხსენების დღეც /ძვ. სტილით 23 აპრილი ახლით - 6 მაისი/ იმ დროს არის, როცა, მწერლის ენით რომ ვთქვათ, კვირტები ნაყოფად ქცეულა. თუ ლამპრობა წმ. გიორგის დღეობა იქნებოდა, შეგვეძლო მისი დაკავშირება რომანის საგაზაფხულო დღესასწაულთან /რიტუალური მომენტებისა და ჩატარების თარიღის მხრივაც/, მაგრამ ამ უკანასკნელს არაფერი აქვს საერთო არც გიორგისთან და არც ფარისევლისა და მეზვერეს კვირასთან.

თარიღის დადგენისათვის ყურადღებას გავამახვილებთ ვ. ბარნოვის ცნობაზე. იგი წერს, რომ ქართველები უძველეს დროში თაყვანს სცემდნენ ნათელს დაუსაბამოს, ხოლო გარეგანი სახე განათვლისა, ანუ ცოდვათაგან განწმენდისა იყო ცეცხლის ალში გავ-ლება.

საქართველოში ეს უძველესი რიტუალი, რომლის ფესვებიც წარმართობაში ძევს, დღესაც შემორჩენილია. დიდი ხუთშაბათის ღამეს /ჭიაკოკონობას/ ინთება კოცონი, რომელსაც ქალ-ვაჟები გადაახტებიან ხოლმე - ხდება ტანსაცმლის ალში გავლება, რაც არქეტიპულ მიმართებაშია რომანის დღესასწაულის ცეცხლში სამოსის ნაკუწის ჩაგდების ელემენტთან. დიდი ხუთშაბათი კი ვნების კვირაშია და წინ უსწრებს აღდგომას, რომელიც მოძრავი დღესასწაულია და გაზაფხულზე აღინიშნება, თანაც ხშირ შემთხვევაში აპრილის მეორე ნახევარს თანხვდება. თხზულების დღესასწაული გარკვეული ბიბლიური

პლასტით ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას უკავშირდება.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დომენიკოს მაღალსოფელში დაბრუნება ემთხვევა მითოსური ღვთაებების გაცოცხლებისა და ზესკნელთან ზიარების დროს. ამ მხრივ წარმართული თეოგონიიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება: კერძოდ, ბერძნულ მითოლოგიაში პერსეფონე შემოდგომის მიმწუხრის ჟამს მიჰყავს ჰადესს - ქვესკნელის ღმერთს და გაზაფხულზე უბრუნდება ზესკნელს. დიონისე შემოდგომაზე განიწილება და გარდაიცვლება; ბუნების გაღვიძებისას კი ხდება მისი აღდგინება. სიცოცხლესთან ხელახლა ზიარების მისტერია ჩანს, აგრეთვე, უთუს ოზირისა თუ თამუზის ქვესკნელიდან ამოსვლაში, რაც, ასევე, გაზაფხულს უკავშირდება. ხევსურული* თქმულების მიხედვით, ხოგაის მინდი გუგულების ქვეყნიდან გაზაფხულზე დაბრუნდა არხოტში.

როგორც ჩანს, საერთო მითოსური ტრადიცია ქვესკნელად ჩახვდომას უკავშირებს, თუ ხატოვნად ვიტყვით, „წელიწად-წუხრას“, ხოლო ზესკნელთან ზიარებას - „წელიწად-დილას“. ეს მოდელი მთლიანად დაცულია რომანში. გმირის წასვლა მაღალსოფლიდან /ზესკნელიდან/ ხდება შემოდგომის ბოლოს, - ღვთაებათა „გარდაცვალების“ ჟამს; ის გაივლის ლამაზ-ქალაქს /შუასკნელს/, ეშვება კამორაში /ქვესკნელში/ და ისევ უბრუნდება საწყის წერტილს გაზაფხულზე.

გ) სკნელებში ხეტიალის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ სამოსის განძარცვა. ქვესკნელში ღვთაებები შიშვლები ჩადიან; მესოპოტამიური წარმოდგენების მიხედვით, მიცვალებულნი შიშვლად ჩადიან მკვდართა სამეფოში; ხევსურული თქმულების მიხედვით, ხოგაის მინდია და გახუა მეგრელაური ქაჯავეთში მგზავრობისას სხეულიდან ამოდიან; უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ორფიზმი სხეულს სულის სამოსად მიიჩნევდა. ხოლო, თუ ქვესკნელში ჩასული გმირი უნდა განიძარცვოს, ზესკნელში დაბრუნებისას, ბუნებრივია, მან ისევ უნდა ჩაიცვას სამოსი. ე. ი. უნდა მოხდეს მისი ხელახალი შემოსვა. ბაბილონელი ქალღმერთი იშთარი თამუზს უკვდავების წყლით გააცოცხლებს და შემდეგ წითელი სამოსით მოსავს; ასევე, ქვესკნელიდან ამდგარი მზის ღმერთი - რა - ახალი სამოსით ირთვება. ხევსური გმირებიც, ქაჯეთიდან მობრუნების შემდეგ, ისევ ჩადიან თავიანთ გვამებში.

„სულეთის საზღვრის გადამლახავი სული ქვესკნელიდან ხელმეორედ იბადება - იგი განახლებული და გარდაცვლილი /სახეცვლილი/ ამოდის იქიდან და კვლავ უბრუნდება იმავე გარსს, რომელიც სულეთში ჩასვლისას გაიხადა. შიშველი, სამოსელგაძრობილი სული ხელმეორედ იმოსავს საცმელს“ /თ. ჩხენკელი/.

რომანში სკნელებში მოგზაურობისათვის დამახასიათებელი ეს კომპონენტიც ფიქსირდება. უმრწემესი ძე სოფლიდან წასვლის ჟამს ითხოვს თავის კუთვნილ წილს. მას ეძლევა მამის სამკვიდრებლის ნახევარი - ტომარა სამოცი ათასი დრაჰკანით. ფული მთლიანად იხარჯება პროტაგონისტის მოგზაურობის დროს. შუასკნელში გმირი ლამაზ-ქალაქის შესაფერის ტანსაცმელს ყიდულობს, ასევე კამორაშიც. ამ ქმედებით იგი თითქოს სიმბოლურად იხდის მაღალსოფლისეულ სამოსს. დრაჰკანები განძის - სამოსელი პირველის ღირებულებას გამოხატავს. ე. ი.მამამ ვაჟს თავისი საუნჯე მისცა, ოღონდ სახეცვლილი: შვილმა მთლიანად გაფლანგა და განიძარცვა იგი. მაშასადამე, სამოსელი პირველი, რომელიც ფულის სახით ებოძა უმრწემეს ძეს, ამ შემთხვევაში „ხორციელი საკრველია“ /თ. ოთხმეზურის ტერმინი/. იგი დომენიკომ მთლიანად გაიხადა, მაგრამ ზესკნელში ასვლის შემდეგ, მითოსური ტრადიციის თანახმად, ის ხელახლა უნდა შეიმოსოს. სამოსელი პირველი ახლა უკვე სულიერი საკრველია, რომელიც პროტაგონისტს კურთხევის ჟამს მიებოძა მამისაგან.

დ). ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გმირის მოგზაურობა ვერტიკალურია და არა ჰორიზონტალური; კერძოდ, თუ მაღალსოფელი ზესკნელია და კამორა ქვესკნელს შეესაბამება, პროტაგონისტის სვლა გაიაზრება ზემოდან ქვემოთ. ვერტიკალის ზედა ნაწილში გმირის პირველსამყოფელია, ქვემოთ კი სიკვდილის საუფლო, მათ შორის ლამაზ-ქალაქი მდებარეობს.




მაგრამ პროტაგონისტი ქვესკნელიდან ისევ ზესკნელში უნდა ავიდეს, მხოლოდ არა ნაცნობი გზით, არამედ სრულიად უცნობი ადგილების საშუალებით.




რადგან გმირი ისევ პირველსამყოფელს უბრუნდება, მისი სამარშრუტო გზა, ვერტიკალის ნაცვლად შესაძლებელია წრიულად გამოისახოს, მით უფრო, რომ მისი საწყისი და სასრული ერთმანეთს ემთხვევა და მითოსური სფეროს ფორმას იღებს. თუ გმირი განახორციელებდა სწორხაზობრივ სვლას, ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყოდით მის მიერ განვლილი გზის წრიულობის შესახებ, მაგრამ უმრწემესი ძე საწყის წერტილს არ უბრუნდება უკვე ნაცნობი ადგილების გავლით. თუ შევეცდებით ეს ყველაფერი ჰორიზონტალურად წარმოვიდგინოთ, მაშინ მითოსურ სფეროზე საუბარი უადგილო იქნება, ხოლო, თუ დავეყრდნობით ქართული მითოსური აზროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაშინ გმირის მიერ განვლილი გზა წრიულობას გვიჩვენებს. ეს ნიუანსი კი ფიქსირებულია არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ მითოლოგიის მსოფლგანცდაში.

რომანის სიუჟეტური განფენა მთლიანად ემორჩილება ხსენებულ სისტემას. ამასთანავე, მითოსური არქეტიპები თავისსავე თავში შეიცავენ პირველადობასაც და განმეორებადობასაც. ამ თვალსაზრისით უპრიანი იქნება დავიმოწმოთ ცნობილი გერმანელი მწერლის თომას მანის სიტყვები: „ყოვლისმომცველი მითოსური პირველადობა და არნახულობა, ამავე დროს ნიმუშის განმეორებას, ასახავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელახლაქმნას წარმოადგენს. იგი შედეგია სფეროთა წრებრუნვისა, რომელიც ვარსკვლავეთის სიმაღლეებს ქვევით, დედამიწაზე მოაქცევს, ყველაფერ მიწიერს კი ზევით, ღვთაებრივ საუფლოში აამაღლებს ისე, რომ ღმერთები ადამიანებად იქცევიან, ადამიანები კი ღმერთებად, მიწიერი თავის პირველსახეს ვარსკვლავთა საუფლოში პოულობს, ხოლო ადამიანი მისთვის განჩინებულ მაღალ ხვედრს ეძიებს, გამოჰყავს რა ინდივიდუალური ხასიათი პირველყოფილი, ზედროული სქემიდან, რომელსაც იგი ხილულსა და ხელშესახებს ხდის."

სამყარო, რომელიც არა მარტო ზედროულია, არამედ სივრცის კატეგორიაზეც მაღლა დგას, იღებს სფერულ ფორმას. მას თავისი მითოსური ასპექტები აქვს, რომელთაც სკნელური განფენა შეესაბამება. თ. მანი მიიჩნევს, რომ სფერო იქმნება ორი ნახევარსფეროსაგან; ეს სფეროები იმგვარად შეადგენს მთელს, რომ ყოველივე, რაც ზესკნელშია, ქვესკნელშიც არსებობს, ხოლო ყველაფერი ის, რაც დედამიწაზე ხდება, ზესკნელშიც მეორდება და ზეციერი კვლავ მიწიერად ხორციელდება. ეს ურთიერთშესაბამისობა ორი ნახევრისა, რომლებიც ერთ მთლიანობას ქმნიან და ბურთის სიმრგვალედ ირწყმებიან, მათი ურთიერთმონაცვლეობის, ანუ ბურთის შესაგვანია. ბურთი ბრუნავს - ასეთია მისი ბუნება: ზევითა ქვემოთ მოექცევა, ხოლო ქვევითა ზემოთ. ზეციერი და მიწიერი მარტო ერთმანეთში კი არ საცნაურყოფენ ერთმანეთს, - სფერული ბრუნვის გამო ზეციერი მიწიერად გარდაიცვლება, მიწიერი კი ზეციერად. ხოლო აქედან ის ცხადდება, რომ ღმერთებს შეუძლიათ კაცებრივი შეიმოსონ, ხოლო კაცთ-ღმერთებრივი.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ რომანის მთავარი მოქმედი გმირის მოგზაურობის მარშრუტიც სფერულად წარმოიდგინება: მაღალსოფელი /ზესკნელი/ - ლამაზ-ქალაქი /შუასკნელი/ - კამორა თავისი იერარქიული ფენებით /ქვესკნელი/ - კანუდოსი /საწყისი ადგილი ინკარნაციისა და მედიუმი ზესკნელთან დასაკავშირებლად/ - ღორების პატრონის სამყოფელი /უმაღლესი წერტილი გმირის სულიერი ინკარნაციისა/ - მაღალსოფელი /მარადიული სამკვიდრებელი/. ეს ყველაფერი სქემატურად ასე გამოისახება:



პირობაა, რადგან ჩვენს მიერ განხილული კომპონენტები სწორედ წრიული მარშრუტისათვის დამახასიათებელი ელემენტებია; მხოლოდ მათი გათვალისწინებით ხდება გმირის ამაღლება ჩვეულებრივი, მიწიერი განზომილებიდან ზეციურ საუფლომდე. ყურადღება უნდა გამახვილდეს კიდევ ერთ ნიუანსზე. მაღალსოფელში დრო გარკვეულ პერიოდში სტატიკურ მდგომარეობაშია; ყველაფერი, რასაც სოფლის მცხოვრებნი აკეთებენ, უცვლელად მეორდება. ამ განმეორებადობას ვერაფერი ვერ ცვლის, ვერც ლტოლვილი და ვერც მოხეტიალე მსახიობთა ჯგუფის წარმოდგენა. სხვათა შორის, მხედველობაში მისაღებია ლტოლვილის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების უსივრცობაცა და უდროობაც. ეს კატეგორიები აქაც არ კონკრეტდება, მაღალსოფელში დრო არც უმრწემესი ვაჟის წასვლის შემდეგ იცვლება, თუმცა ავტორი ქრისტესეული იგავის უმცროსი ძის სიტყვებისმ უშუალო ციტირებით რომანის დროს მითოსური მუდმივობის ელფერს აძლევს. დროის ამოქმედება თითქოს მაშინ ხდება, როცა დომენიკო სოფელში ბრუნდება და მამისეული განძის ნამდვილი მფლობელი ხდება.

თავად მთავარი გმირისათვის დროისა და სივრცის კატეგორია ორგვარი დეფინიციით ისაზღვრება: 1. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დომენიკოს სახეში კოდირებულია მარადმოკვდავი და აღდგენადი ღვთაების მითოლოგემა, მაშინ რომანის დრო მოიცავს მითოსურ ღვთაებათა ქვესკნელში ჩასვლისა /„გარდაცვალების"/ და ზესკნელთან ზიარების /„აღდგინების"/ პერიოდს, სივრცე სფერულია; 2. დროისა და სივრცის ცნებათა გაშიფვრა გმირის ქვეცნობიერულ შეგრძნებას ემყარება. ორივე კატეგორია გასუბიექტებულია მის ფსიქიკაში. ყველაფერი, რაც დომენიკოს გადახდა, სინამდვილეში არ მომხდარა, ის მხოლოდ წარმოიდგენს ყოველივეს.

რომანი ასეთი ფრაზით მთავრდება: „ნუთუ ყოველივე, - გაიფიქრა დომენიკომ, მარად ახალი მდინარის პირას იჯდა, - ნუთუ ყოველივე ეს?," - შეიძლება დომენიკოს აზრთა დინება დავაბოლოოთ - ნუთუ ყოველივე ეს მოხდა?! ამ მოსაზრებას ამაგრებს თავად ავტორის განმარტებაც: „დომენიკო იწყებს იმ ამბის მოყოლას, რომელიც მას არ გადახდენია, ან ვინ იცის, იქნებ გადახდა კიდეც" /ნ. კორსანტია, დედამიწას სიყვარული ატრიალებს, გაზ. „ახ. კომ." 1984 წ. 5 მაისი/.

დომენიკო მიდის ტყეში, სადაც მას ალი მოელანდება, რომანის დასასრულსაც ანალოგიური პასაჟი მეორდება; ამ მონაკვეთებს შორის მოქცეულია უმრწემესი ძის მოგზაურობის სივრცითი და დროითი ფაქტორები, რომლებიც ან ემპირიულად არსებობდა, ან თავად გმირის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან რომანში ემპირიული, მითოსური და გასუბიექტებული დრო და სივრცე ერთმანეთის ტოლფარდად აღიქმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამილა წოწორია

## „არის სიტყვები - ალმასები, იაგუნდები, ლალები...“

გალაკტიონი დღიურში წერდა: „ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთივე მოძრავი, როგორც თვითონ ცხოვრებაა; ჩვენ ვქმნით ახალ ფორმებს, სიტყვებს, სახეებს, ხმებს“. სიახლისკენ სწრაფვაა გალაკტიონის შემოქმედების უპირველესი დანიშნულებაც, მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკას ზედმიწევნით ფლობდა, ქართული ენის საგანძურიდან ამოჰქონდა ძველი, თანაც ეძიებდა სულ ახალსა და ახალს, თავისი წარმოსახვით ქმნიდა საკუთარ ნეოლოგიზმებს. გალაკტიონმა იცოდა, რომ სიტყვა არ არის მარტო საკომუნიკაციო საშუალება.

„თანამედროვე მგოსნისათვის სიტყვას, მისი აზრის მიუხედავად, აქვს თავისი საკუთარი სილამაზე და ფასი, როგორც ძვირფას ქვებს, ყელსახვევ მარგალიტებს, ან ბეჭდებს, ...ვინც იცის ფასი, იგი აღტაცებულია მშვენიერი სიტყვებით. არის სიტყვები – ალმასები, იაგუნდები, ლალები, არის სიტყვები, რომლებიც ბრწყინავენ ფოსფორივით“... გალაკტიონის ლექსიკური სიახლეები მხატვრული ფუნქციის მატარებელია. მის მიერ გამოგონილი სიტყვები თუ პოეტური გამოთქმები მეტწილად ლექსის რითმაში ცნაურდება, რამდენადაც რითმა სტრიქონთა ევფონიურ-სემანტიკური ცენტრია.

თვისობრივად ახალი რითმა, რომელიც XX საუკუნის ქართულმა ლექსმა მოიტანა, არსებითად გალაკტიონის სახელთან არის დაკავშირებული. როდესაც ახალ ქართულ რითმაზე ვლაპარაკობთ, უნდა გამოვრიცხოთ ბგერებსა და მარცვლებზე მითითება, „მათი ადგილი სიტყვამ უნდა დაიჭიროს და რითმად უნდა მივიჩნიოთ ერთი და იგივე, ან მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა გამეორება“ (აკ. ხინთიბიძე).

რითმა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია გ. ტაბიძის ლექსისა. „მისი რითმები ხანგრძლივი საუბრისაკენ გვიწვევენ. გალაკტიონმა რითმის საზღვრები და გავლენის სფერო გააფართოვა, გარითმვის ახალი ხერხები აღმოაჩინა და დაამკვიდრა, მეორე სუნთქვა გაუხსნა, უვალი გზები მოუნიშნა რითმას. პოეტის უბის წიგნაკები, ავტოგრაფთა გვერდები, წიგნის არშიები თუ საგანგებოდ შედგენილი დავთრები სავსეა რითმათა წყვილეულებით... ლექსის წერას ზოგჯერ, თითქმის რითმიდან იწყებდა. რითმებს ჩამოწერდა ფურცელზე ან დიდი ფორმატის დავთარში მარჯვენა მხარეს, არეზე; მერე მარცხნიდან შეავსებდა და ლექსად ან პოემად აქცევდა. საოცარი ის იყო, რომ წინასწარ ჩამოწერილ რითმებს ოდნავადაც არ სცვლიდა. სახელი იგივე ბრუნვისა რჩებოდა, ზმნა იგივე ფორმისა. ასე დაუწერია „უსათაურო“, „მე არ ვიცი იმდარი ელისეის მინდორი“, „ქუჩა მანიფესტაცია“ და სხვა. კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი გარემოება: ფანქრით ჩამოწერდა სტროფის მესამე-მეოთხე სტრიქონებს, ან პირველსა და მეორეს, მელნით შეავსებდა და ჯვარედინი რითმებით გამართავდა ლექსებს. ასეა დაწერილი: „ოცნება და სინამდვილე“, „წარწერა ქვაზე“, „წარწერა წიგნზე“, „ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები“, „ფელეტონების შემდეგ“ (ვ. ჯავახაძე).

გალაკტიონმა ლექსის თითქმის ყველა ფორმა და რითმის ყველა სახე მოსინჯა; პოეტი ეძებდა რითმებს, მაგრამ არც ერთ მის რითმას ხელოვნური ძიების კვალი არ ატყვია. როგორც მიუთითებენ, რითმა შენივთულია გალაკტიონის ლექსის სხეულთან, როგორც სტრიქონის, მუხლის მუსიკალური აკორდი. პოეტისათვის რითმა სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოა – „რომ მაპოვნინა მე შენზე რითმა“.

გალაკტიონის რითმის ფუნქციური დანიშნულების საბოლოოდ შესასწავლად საჭირო იქნება მისი ლექსისა და სემანტიკის ანალიზი, რადგან სწორედ ლექსიკა და სემანტიკა იძლევა ზუსტ წარმოდგენას რითმის შინაარსზე. გალაკტიონის ლექსებში უხვად გვხვდება უცნაური სიტყვები, შედარებები, მეტაფორები, ფაქიზი პოეტური გამონათქვამები და მიგნებები. ზმნა „მოაიავებს“ გალაკტიონის აღმოჩენილია, მისი საავტორო სიტყვაა. „იით მოაიავებს“- წერს პოეტი და თითქოს ამ გამოთქმის სუნს, ფერს და გემოსაც კი აღიქვამ. გრძნობ, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდენილად შეურჩია პოეტმა იას იისფერი სიტყვა.

ქვემოთ მოტანილ სტრიქონებში ახალი სიტყვების შექმნა რითმასთან არის დაკავშირებული.

ბედნიერი იგი დრო, ახლა უფრო ანკარა
თვითეულში ელავდა ბრომელი და ლოზენი
ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო,
პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი

„გოტიეს"

უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონისათვის ნიშანდობლივია ჰაეს ჩამატება ზმნაში. გაჰქრა-გაქრა, დაჰქროდა - დაქროდა, ჰქროდა - ქროდა, მოჰკვდა-მოკვდა. „ქარი ჰქრის"- ლექსის ყველა ვარიანტში ზმნა „ქრის" მესამე ობიექტური პირის ნიშნით არის წარმოდგენილი „ჰქრის". ბგერა ჰ - ქარის ქროლვის ზედმიწევნით ზუსტი ბგერითი გამოხატულებაა. იგი აძლიერებს სიტყვა ქროლვის შინაარსს.

„სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა" - შენიშნავდა პოეტი და, მართლაც, მან ახალი ნიუანსებით, ახალი რითმებით გაამდიდრა ქართული ლექსი. გალაკტიონის პოეტიზმები იმდენად ბუნებრივია და ისე ორგანულად ერწყმის ლექსის რიტმსა და შინაარსს, რომ ძალიან ლამაზად აღიქმება და ჩვენ ვგრძნობთ გალაკტიონის სიტყვათქმნადობის ნიჭის უკიდურესი შესაძლებლობის გამოვლინებას.

ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის განყოფილების მიერ შედგენილი „გალაკტიონის რითმის ლექსიკონის" მიხედვით (რომელიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია). პოეტის რითმათა საერთო რაოდენობა 31 ათასამდეა, აქედან სარ-ძითმო ერთეული დაახლოებით 68 ათასს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი სარითმო ერთეული რამდენიმესიტყვიანია (მაგ. აქ არ გავს - დაკარგავს), ეს რიცხვი კიდევ ბევრით გაიზრდება.

ცხადია, რითმის ლექსიკური მარაგის გაგებისათვის სარითმო ერთეულებზე შეჩერება არ შეიძლება. სარითმო ერთეულები უნდა დავიყვანოთ ლექსიკურ ერთეულებზე. ხშირად ერთი და იგივე მორფემა სხვადასხვა გრამატიკული ფორმით გვხვდება. მაგალითად, სიტყვა ბედი გალაკტიონს თითქმის ასჯერ აქვს გამოყენებული რითმის ცალად. ამათგან 56-ჯერ იგი პირდაპირ ამ სახით არის მოცემული. მაგ. ბედი-გედი („მოვა, მაგრამ როდის"), დანარჩენ შემთხვევებში ფორმა იცვლება: ბედის - შედის („უცხოელი პოეტი"), უბედობა - მიენდობა („ხდება რაღაც უცნაურად") და სხვა.

„არტისტული ყვავილების" რითმის ლექსიკისა და სემანტიკის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ რითმაში უფრო ხშირად გატანილია ამ კრებულის აზრობრივ-ემოციური შინაარსის გამომხატველი სიტყვები: მწუხარება, წვალება, წამება, სიკვდილი, სამარე, ლანდი, თოვლი, ქარი და სხვ.

საინტერესოა დაკვირვება პოეტის საერთო ლექსიკასთან იმ მხრივაც, თუ რა მიმართებაშია პოეტის რითმის ლექსიკა საერთო ლექსიკასთან. ახლა, როცა შედგენილია გალაკტიონის ენის ლექსიკონი (თ. სანიკიძე) ამის შესაძლებლობაც იქმნება.

გალაკტიონი მრავალი მოულოდნელი რითმის შემოქმედია. ასეთია, კერძოდ, რითმა სილაში ვარდი - სილაქვარდე, რომელსაც საუკუნის რითმა შეიძლება ეწოდოს; ასეთივეა რითმები: ბინდი ნიავის - დაბინდულ ქლიავის, უთმო ცხვარი - ხუროთმოძღვარი და სხვა.

პოეტი ზრუნავს არამხოლოდ იმისათვის, რომ რითმის ინფორმაციულობის დონე მაღალი იყოს, რაც კარგად ვლინდება მის მრავალრიცხოვან შედგენილ რითმებში, რომლებიც პოეტის რითმათა საერთო რაოდენობის 4%-ს მოიცავს, ანდა იმისთვის, რომ რითმაში მოაქციოს სტრიქონის, სტროფის, ლექსის მთავარი აზრისა და ემოციის გამომხატველი სიტყვა, არამედ იმისთვისაც, რომ რითმაში სიტყვები მართლაც ფოსფორივით ბრწყინავდნენ (ციაგებს, მოაიავებს, აიაღონებს, ააზამბახებს, ანაქურჩალით, ლილიანდები და სხვა). კიდევ უფრო სასიამოვნოა ამ სიტყვა-ალმასების შეუღლება თავთავიანთ ჰარმონიულ წყვილებთან, რისი ორიოდე ნიმუში ზემოთ მოვიტანეთ და რაც სრული სახით წარმოდგენილია წიგნში „რითმის კონა - გალაკტიონის 10 000 რითმა", რომელიც ასევე გამოუქვეყნებელია.

გალაკტიონის რითმები იმდენად ორგანულად არის ჩაწნული მისი ლექსის ქსოვილში, რომ მათ არ ატყვია საგანგებო ზრუნვისა და ძიების კვალი, რაც, პოეტის თქმით, „რითმის მადევარი" პოეტების საქმეა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე ჯიბლაძე

## სიყვარული სისხლისაგან იცლება

ასეთი სათაურით გამოვიდა პოეტ მამია ვარშანიძის წიგნი, რომელიც 1998 წელს დასტამბა გამომცემლობა „აჭარამ“. სამწუხაროდ, ავტორს მისი მკითხველისთვის მიწოდება აღარ დასცალდა - მხცოვანი პოეტი 82 წლის ასაკში აღესრულა.

პოეზიით დაინტერესებული მკითხველი კარგად იცნობს მამია ვარშანიძეს. იგი სამხრეთ საქართველოს ისტორიის და თანამედროვე ცხოვრების პირუთვნელი მესტიყვე და პროფესიონალ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელია აჭარიდან.

მისი პოეზიის მთავარი ლაიტმოტივი სამშობლოს ბედუკულმართობით გამოწვეული სევდა, წინაპართა გმირული ბრძოლებით, თავდადებულ მამულიშვილთა ღვაწლით განცდილი სიხარულია.

პოეტის სამწერლო მუზას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართული მწერლობის ტრადიციებთან, იგი თამამად ეხმიანებოდა ილიას, აკაკის, ვაჟას. შემთხვევითი არ იყო, რომ მას სამწერლო გზა პირველად ი. გრიშაშვილმა დაულოცა, შემდგომში შემოქმედებით თანამშრომლობას აგრძელებდა გიორგი ლეონიძესთან, იოსებ ნონეშვილთან, ამასთან, ტონს აძლევდა აჭარაში მოღვაწე ძველი და ახალი თაობის შემოქმედებით ძიებას.

უკანასკნელი წიგნი ავტორს, როგორც სათაურში აქვს გაცხადებული, მარადიულ თემაზე - სიყვარულზე აქვს დაწერილი. საგულისხმოა, რომ წიგნში შეტანილი ყველა ლექსი ბოლო სამ წელიწადში, 1996-1998 წლებშია შექმნილი. ჩვენს ყურადღებას ისინი იპყრობენ იმდენად, რამდენადაც გვაძლევენ საშუალებას თვალი გავადევნოთ სიყვარულის თემაზე ჭაბუკობის დროს შექმნილ ლექსების თემატიკურ, მხატვრულ, ესთეტიკურ ღირებულებებსა და უკვე მხცოვანი პოეტის დავანებულ გრძნობებს.

ლიტერატურული თვალსაზრისით საგულისხმოა, როგორი განსხვავება და მსგავსება არსებობს მწერლის მიერ ერთ თემაზე სხვადასხვა ასაკში შექმნილ ლექსებს შორის.

მამია ვარშანიძის ადრინდელი ლექსების კითხვისას შთაბეჭდილება გექმნება, რომ პოეტი მყარ ეროვნულ ნიადაგზე დგას, სიყვარულის თემას იგი ეხება შოთა რუსთაველის გავლენით, იმეორებს ქართველ კლასიკოსთა მემკვიდრეობას, მაგრამ არ ეძებს სათქმელს და გრძნობას ყოველგვარი შელამაზების გარეშე გამოხატავს. შესამჩნევია, რომ პოეტის სულში სათქმელი თვითმყოფად ნიჭთან ერთად არის დავანებული და ახალგაზრდა კაცს მის გამოსახატავად განსაკუთრებული ფორმის ძიება არ ესაჭიროება, მაგალითისათვის:

*გამოდგები აივანზე*
*დილით სისხამ*
*და თოვლისფერ თავშალს თავზე*
*წამოისხამ.*
*. . . . . . .*
*შენთან მინდა გუნდაობა,*
*სხვასთან - არა,*
*მოიხედე, თავშლით სახეს*
*ნუ იფარავ...*
*მოვალ*
*ჩუმად და შენს დალალს*
*მოვიპარავ.*
*რად გაწითლდი მშვენიერო,*
*რისთვის შეგრცხვა?*
*არ იცოდი, სიყვარულმა*
*რომ დამცეცხლა*
*ეზოს ავსებს ეს პირველი*
*თოვლის ფიფქი,*
*გულს - პირველი სიყვარულის*
*მწველი ფიქრი...*

(„პირველი თოვლი“)

საერთო ხედვიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ ასაკში მამია ვარშანიძის მიერ სიყვარულის თემაზე შექმნილი პოეტური ნიმუშები განსაკუთრებული ხედვით ვერ გამოირჩევა. ისინი ზუსტად გამოხატავენ საზოგადოების განწყობილებას და შემოქმედთა საერთო ლიტერატურული ნაკადის ზოგად ხასიათს იმეორებენ. სიყვარული, როგორც თვითმყოფადი გრძნობა, ნაწილია საერთო ტკივილისა, კერძოდ ამ გრძნობას ამოძრავებს პატრიოტიზმი, მტერზე გამარჯვების სიხარული, ომით დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობის განცდა. ამიტომ ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სიყვარულის ზეციური გრძნობა მეორადია და მას ბიძგს აძლევენ სხვა უფრო დიადი იმპულსები:

*საყვარელ სახეს ტრფობით ვუცქერი,*
*მარად ცეცხლია შენზე ოცნება,*
*რომ დამაფინო ვარდის ფურცელი,*
*ყველა ჭრილობა შემიხორცდება.*

(„შენ დამიკოცნი“, 1944 წ.)

ან კიდევ:

*მენატრებოდა შენი ალერსი,*
*და ანთებული ტუჩზე ლალები,*
*ველზე დაცემულს უმხურვალესი,*
*დამიტირებენ შენი თვალები.*

(შენ გიბარებ“, 1944წ.)



ძნელია, წესებს დაუქვემდებარო შემოქმედის გზა; ყოველ შემოქმედს საკუთარი გზა აქვს. მამია ვარშანიძის ახალგაზრდულ ასაკში შექმნილი ლექსებიც იმეორებენ სიყვარულის თემატიკას, რაც შემდგომში უფრო გაღრმავებული კონკრეტული სახის შექმნას ემსახურება. ჭაბუკური მგზნებარება თანდათან ადგილს უთმობს სიცოცხლისა და სიყვარულის ურთიერთმიმართებაში თანაარსებობის პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, თუმცა ესთეტიკური ტრფობა მაინც უცვლელია. პოეტის უკანასკნელი კრებული ამის ნათელი გამოხატულებაა. წიგნში შეტანილი ლექსები ადასტურებს, რომ პოეტს გაუჩნდა როგორც მისი ასაკის შესაფერისი, ასევე ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი გრძნობების აღქმის უნარი, რის გამოც პოეტის მუზისადმი სამსახურს ვერ მიაკუთვნებ რომელიმე თაობას. აღნიშვნის ღირსია მამია ვარშანიძის პოეზიისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომ ადრეულ ასაკში პოეტი თავის სათქმელს მოკლედ გამოხატავდა, ეს განსაკუთრებით ითქმის ლირიკაზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ პოეტს სათქმელი კიდევ დარჩა და სურვილი გიჩნდება, ცნობის საწადელი სხვა ლექსებით დაიკმაყოფილო. უკანასკნელ კრებულში ავტორის შთაბეჭდილებები, მისი გონებრივი და გრძნობადი იმპულსები, სახეებით აზროვნებაში გაცხადებული, უფრო ფართო სპექტრს წარმოაჩენენ და გრძნობა ბოლომდეა გამხელილი, თანაც მისი ობიექტი ხშირად კონკრეტული პიროვნებაა, მაგრამ იმდენად ამაღლებულია განცდა, რომ იკარგება კონკრეტულობა და პიროვნული განცდა ზოგადი ტრფობის მაღალმხნეობრივ სახეს ღებულობს:

*ნუ მკითხავ შენთან თუ რისთვის მოველ,*
*შენი თვალების მომინდა ნახვა,*
*შემომხედეო, სიზმარში გთხოვე,*
*ცხადად კი მოველ მე შენთან ახლა*
(„ხომ გამიხსენებ?“, 1996 წ.)

ან კიდევ:

*მე როდი ვგავარ ვინმე თავგასულს,*
*რომ მოვასკდება კარზე ყვავილით,*
*შენ თუ შეხვედრა ჩემი არა გსურს,*
*მე შენს ქუჩაზე აღარც გავივლი.*
*ჟამი მიფრინავს უსწრაფეს ფრთებით,*
*დღეს ვარ და ხვალ კი აღარ ვიქნები,*
*შეგითეთრდება ოდეს შენც თმები,*
*მე შენს ხსოვნაში როდი გავქრები*
(„სინანული და სევდა“)

ამ სტროფებს კონკრეტული მისამართი აქვს, (ისინი ექიმ ქალს ეძღვნება), მაგრამ პოეტის განცდა იმდენად ბუნებრივად აღიქმება, რომ ჭაღარის გახსენება და ასაკისათვის ხაზგასმა განცდას მეტ სიძლიერეს, ხოლო სათქმელს უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს.

პოეტის განცდები ზოგჯერ ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი ტრადიციული მიჯნურის ლტოლვას ემსგავსება, ტარიელისა და ნესტანის ურთიერთობას გაგონებს, ქაჯეთის ციხის მხატვრულ გააზრებამდე მიდის, სატრფოს, გაავებული ვეფხვის, თვალების მზერაც მეორდება, მაგრამ სათქმელი მაინც დაფარულია და მკითხველს უბიძგებს, მხოლოდ მხატვრული სახის წარმოსახვით დაინახოს მხცოვანი პოეტის სულიერი განცდები:

*შენი სულიდან მოქუხს მდინარე,*
*მე რომ წამიღო, გამრია ქვიშნარს,*
*შენი მრისხანე თვალებიც გამყვა*
*და აღარ ვიცი თუ ეს რას ნიშნავს.*
(„შენი სულის მდინარე“)

სიყვარულის ალეგორია, რომელიც პოეტის მუზას სხვადასხვა ფერებით დაუხატავს, ადრინდელ ლექსებში გაზაფხულის მწვანე და ვარდისფერი ფერებით აღიქმება, მაგრამ სიყვარულთან მუზით შეწყვილებულ ასაკოვან პოეტს სხვა ფერებისადმი ლტოლვა უჩნდება და საკუთარი გრძნობების გამოსახატავად პოეტურ აზროვნებაში ღრმად იჭრება მუქი და ალმგზნები ფერების მთელი გამა, რომელიც პოეტური თვალთახედვის სულ ახლებურ გააზრებას ქმნის და ცალკე მსჯელობის თემაც შეიძლება იყოს, მაგრამ საყურადღებოა, რომ პოეტის გრძნობა მკვეთრად ეჯავრება ლურჯ, შინდისფერ, წითელ ფერებს, რომლებიც ცვლის მარადიული სიმწვანის ფონს და ჭაბუკობის დროინდელი გრძნობები მხოლოდ სხვა მძაფრ ფერებში იწყებენ სიცოცხლეს:

*აი, ვხედავ, სიყარული საბრალო*
*სისხლისაგან, სისხლისაგან იცლება,*
*მალე მის წინ კორდი ამწვანებული,*
*შინდისფერად, შინდისფერად იქცევა,*
*საბრალოა სიყვარული გვიანი,*
*გული მისი სისხლისაგან იცლება,*
*და ეს მე ვარ სიყვარული მგზნებარე,*
*და ეს მე ვარ სისხლისაგან ვიცლები,*
*და სულ მალე, და სულ მალე იცოდე,*
*მე სულ სისხლად,. მე სულ სისხლად ვიქცევი.*
(„სიყვარული სისხლისაგან იცლება“).

სიყვარულის ამგვარი განცდა არამარტო პოეტის ოსტატობაზე მიგვანიშნებს, არამედ სულიერ განუზომელ ტკივილზე, რაც სიჭაბუკესთან განშორების სევდად კი არ აღიქმება, არამედ სიყვარულთან პოეტის მუდმივი წილნაყარობით არის გამოწვეული და სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლის არსებობის იმედს აღვივებს;

მამია ვარშანიძემ მისი უკანასკნელი კრებულით დაგვანახა, რომ სიყვარულს არა აქვს ასაკი, დრო, სივრცე. ჭეშმარიტი ოსტატი ამ მარადიულ თემაში ყოველთვის იპოვის ისეთ სიახლეს, რომელიც მიუხედავად მოდისა, საზოგადოების განწყობილების სისუსტისა, ბადებს ძლიერ იმპულსებს სიცოცხლის, სილამაზის, მშვენიერების აღქმისათვის და სიყვარულს უკვდავებად აქცევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აკაკი მინდიაშვილი

## ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ

ჩვენი ერისთვის ტრაგიკულ ისტორიულ ეპოქებში, როდესაც მცირედმორწმუნეობითა თუ ურწმუნოებით დაბრმავებული ადამიანებისათვის ცხოვრება თავის დიად დანიშნულებას, ღრმა აზრსა და უმაღლეს ღვთაებრივ მიზანს კარგავდა, სწყდებოდა დედა ეკლესიას, ივიწყებდა ბიბლიას - „ღვთის სიტყვას“ - თავის უმთავრეს სულიერ და ინტელექტუალურ საზრდოსა და ქრისტესმიერ გზას, ღვთისმსახურებთან ერთად ილიას, აკაკის, ვაჟას მსგავსი პიროვნებანი და შემოქმედნი მაგალითს გვისახავდნენ, როგორ უნდა გვეცხოვრა; შეგვახსენებდნენ ჩვენს უმთავრეს ადამიანურ და უმაღლეს ღვთაებრივ ღირსებას; გვიქადაგებდნენ, რომ გონება თავისუფალი ნება და უკვდავი სული ღვთისაგან ბოძებული გვაქვს არა ბოროტებისადმი ან მხოლოდ პირადი კეთილდღეობისადმი მსახურებისათვის, არამედ ღმერთის შეცნობისათვის, ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვისათვის, ღვთისა და მოყვასის სიყვარულისათვის, მომავალ მარადიულ ცხოვრებაში ღმერთთან ერთად ნეტარი ცხოვრებისათვის; უთუოდ ეს გარემოებაც განაპირობებს იმ „უცნაურ მოვლენას“, რომ ჩვენი დიდი მწერლების მიერ საუკუნეთა წინ გენიალური, ბავშვური უბრალოებით დაწერილ სინათლესავით გამჭვირვალე სიტყვებსა და სტრიქონებს დღემდე არ დაუკარგავთ სიცოცხლისუნარიანობა, თაობიდან თაობამდე გვაკითხებენ თავს, კვლავაც განწმენდენ და ამაღლებენ ჩვენს ცოდვილ სულებს, წარუვალ კვალს ტოვებენ ჩვენს სულიერ-ზნეობრივ და გონებრივ ცხოვრებაზე. სამწუხაროდ დღეს მწერალთა, ხელოვანთა უმრავლესობისათვის დაფარულია უმაღლესი ბიბლიური, ღვთაებრივი ჭეშმარიტებანი, რომელნიც „ზეციურ მადლს“, „სული წმინდას“ მხოლოდ იმ შემოქმედთათვის მოაქვს, ვინც ინტელექტუალური სამყაროს გაფართოებასთან და ცოდნით გამდიდრებასთან ერთად უფლის მიერ დასახულ შეუბღალავ, წმინდა ქრისტიანულ ცხოვრებას მიესწრაფვიან.

იოანე ნათლისმცემელი და წინამორბედი მაცხოვრისა, ცოდვებში გაქვავებულ, სინანულის უქონელ ადამიანებს იორდანეს უდაბნოში მოუწოდებს, „მოინანიონ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“ (მათე 3, 2), მოიმკან სინანულის ღირსი ნაყოფი (ანუ აკეთონ უანგარო კეთილი საქმეები/, გზა განუმზადონ უფალს, მოასწორონ მისთვის ბილიკები. ცხადია იოანე გულისხმობს არა გამზადებასა და გასწორებას ფიზიკური გზებისას და ბილიკებისას, არამედ ადამიანთა სულებისას, რომელნიც ცოდვების სიმრავლის, სინანულის უქონლობისა და ცოდვათაგან განუწმედელობის გამო უსწორმასწორო გზებსა და დაგრეხილ ბილიკებს დაემსგავსებიან.

სინანულის საიდუმლოში - აღსარებაში ცოდვათაგან განუწმენდელ და გამრუდებულ სულში შემოქმედისა, თუ ის ცოდვათა მონანიებითა და კეთილი საქმეებით არ გასწორდა და არ განიწმინდა, ღმერთი თავისი ღვთაებრივი სიბრძნით, უზენაესი იდეალებითა და მცნებებით ვერ შევა და „სასუფეველი ცათა“ მასში ვერ დამკვიდრდება.

ბიბლიური ღვთაებრივი მოძღვრებითა და სიბრძნით თუ ისე არ აღივსო მწერალი, როგორც ღრუბელი წყლით, თუ საკუთარ ცოდვათაგან განკურნებისა და განწმენდისათვის არ იღვაწა, ცოდვებისაგან განუკურნებელი, განუწმენდელი და ღვთაებრივი სიბრძნით შეუმოსველ სულიდან ვერ დაიბადება, ვერ შეიქმნება ისეთი ნაწარმოები, რომლითაც შეძლებს ღვთაებრივი, არამიწიერი, ზეციური იდეალების ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადმოტანას და განცხადებას ღვთივსულიერი აკაკის მსგავსად: „ზეციური იდეალი გადმომქონდა ქვეყნიურში“, ამის გარეშე კი ვერ მოახერხებს თანამედროვეთა უმაღლესი, ჭეშმარიტი იდეალებისაკენ წარმართვასა და სულიერ-ზნეობრივ ფერისცვალებას. ამ ამოცანას მხოლოდ ის ლიტერატურა, ის მწერალი შეასრულებს, რომლის შესახებაც ილია წერდა:

*მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის*
*მიწიერი ზეციერსა,*
*ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,*
*რომ წარვუძღვე წინა ერსა.*

პოეტის, მწერლის დანიშნულებაა თავისი შემოქმედებით არამარტო კვალში მიჰყვებოდეს ცხოვრებას და ასახავდეს მას, არამედ ერთი ნაბიჯით მაინც უსწრებდეს წინ და მკითხველს, მოყვასს ნამდვილი, ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ უჩვენებდეს გზას; ილიას ციტირებული სტრიქონების ქვეტექსტიდან გამომდინარე - ერის, ხალხის წინამძღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას მხოლოდ ის პოეტი, ის მწერალი შეძლებს, ვისაც ღრმა, უშუალო კავშირი ექნება ღმერთთან. წინა-აღმდეგ შემთხვევაში, თუ ღვთის ხმა დახშული იქნება მისი სმენისათვის და „ზეციდან“ შთაგონებით ვერ მიიღებს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაფარულ ან მათ მიერ უკვე დავიწყებულ ღვთაებრივ ჭეშმარიტებებს, რითაც არამარტო აწმყოს დანახვას, არამედ მომავლის განჭვრეტასაც შეძლებს, მისი შემოქმედება „ყოველდღიური“ და „მიწიერი“ იქნება.

თანამედროვე ეპოქის მწერლობას, საერთოდ, შემოქმედებას ყველა სფეროში, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს შინაგანი იდუმალი კავშირი, „შუამავლობა“ და „შუაკაცობა“ აკლია ღმერთთან, ტრანსცენდენტურ ძალასთან. ალბათ, ამიტომაც, მას თითქმის დაკარგული აქვს რელიგიურობა, ჭეშმარიტი სულიერება, ღვთივშთაგონებულობა და იდუმალება, რის გამოც მხოლოდ ადამიანური სიბრძნითა და ძალისხმევით „ზეციური იდეალების ქვეყნიურად გადმოტანას“ და მიმდინარე ცხოვრებაზე, მკითხველსა და საკუთარ თავზე ამაღლებას ვერ ახერხებს (ამის გარეშე კი უმაღლესი შემოქმედება და ხელოვნება წარმოუდგენელია).

ღმერთის, ქრისტეს,. წმინდანების სახელების ნაწარმოებებში ხშირი მოხმობა, თუნდაც მთელი ბიბლიის „გალექსვა“ თუ პროზაულ-მხატვრული თხზულების სახით გადმოცემა, გასცენიურება თუ ეკრანიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოების ჭეშმარიტ რელიგიურობასა და ღვთივსულიერებას, თუ თვით სული ავტორისა, საიდანაც ეს ნაწარმოებები იბადებიან, რელიგიური, ქრისტიანული და მადლმოსილი არ არის...

ყველაზე მაღალი ღირსება, რითაც ადამიანი ღმერთმა დააჯილდოვა, ღვთის ხატება და მსგავსებაა (დაბ. 1. 26). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ყოველ ადამიანში იმთავითვე ჩაიდო გრძნობა ღმერთისა, გრძნობა უზენაეს ჭეშმარიტებათა და, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვების გამრავლების შედეგად დავამახინჯეთ და გავაბუნდოვნეთ იგი, მაინც შევიგრძნობთ ღმერთს, როგორც რაღაც უსასრულოდ ახლობელსა და მშობლიურს, თუმცა ჩვენს მიერ უკვე დიდი ხნის წინ დაკარგულსა და მივიწყებულს.

თუ სამოთხეში ჩვენი პირველი მშობლების ცხოვრების შინაარსს ღმერთი და მასთან ნეტარი ურთიერთობა (ერთიანობა) შეადგენდა, ცოდვით დაცემის შემდეგ ერთადერთი უმთავრესი მიზანი, რისთვისაც მონანიე კაცობრიობას, ადამიანთა მოდგმას უნდა ეცხოვრა, იყო იმედი და მოლოდინი „ძე შეცდომილის“ „მამასთან“ დაბრუნებისა, ღმერთთან კვლავ შეერთებისა (ჩვენი აზრით, ესეც წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურის - სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას).

როდესაც ღმერთი განკაცდა და მაცხოვარი მოვიდა ამქვეყნად, ამით თვით ხორცშესხმული ჭეშმარიტება შემოვიდა კაცობრიობის ისტორიაში (ქრისტე-ღმერთია ჭეშმარიტება - იოანე 14, 6); მაგრამ ჩვენი ერი, ვინც საუკუნეთა მანძილზე „ქრისტეს გულისათვის... ბევრი სისხლი დაღვარა“ (აკაკის პოემიდან „მოხუცის გრძნობა“), ვისაც მტკიცედ სწამდა რომ „ღმერთზე დიდი არავინ არის... ვერ იქნება ვეროდესა“ (მისივე პოემიდან „მამლის ყივილი“), მეცხრამეტე საუკუნიდან თანდათანობით სცილდება ქრისტეს, მის წმინდა მაცხონებელ ეკლესიას და საღმრთო მოძღვრებას, უცხოვდება უზენაესი ჭეშმარიტებისაგან, უსუსტდება შიში ღვთისა, ცოდვებსა და სულიერ მთვლემარებაში იძირება, შინაგანი ღირსების თანდათანობით გაუჩინარებასთან ერთად ძლიერდება მისწრაფება გარეგანი, არარელიგიური განსწავლულობისაკენ, ეცემა ზნეობრივი სული („წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით“ (დაბ. 6. 11); თითზე ჩამოსათვლელნიღა რჩებიან ისეთი შემოქმედნი და მოღვაწენი, რომელთაც „დაბადების“ (ბიბლიის) სიტყვებით თუ ვიტყვით, სწყურიათ თავიანთი ცხოვრებით უფლის წინაშე სიარული, სრულყოფა, განღმრთობა, მშობლიური ერის კეთილდღეობისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა; იშვიათადღა ჩნდებიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც ღვთის მოწოდებას - ხალხში ჭეშმარიტების გადასაცემად - „ვინ მივავლინო და ვინ გაგვეგზავნება?“ - თამამად, უშიშრად გამოეხმაურებოდნენ: „აჰა, მიმავლინე“ (ესაია, 6, 5).

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!.. მოდი, ჯალათო, შენი მახვილი შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰ კარ!.. ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა თუკი გამოზდის მამულიშვილსა, ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა? არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს, მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა! მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსა!“ (აკაკი, „მომაკვდავის ფიქრები“). „და თუ მსხვერპლი საჭიროა... ნუ განმაგდებ!.. სხვებზე უმალ მიმიღე და შემიწირე!... (აკაკი, „განდეგილია“),

ღვთისა და ერისადმი ასეთ თვითუარყოფამდე და თვითშეწირვამდე სიყვარულის გარეშე ჩვენი დიდი მწერლები ვერც თავისი ადამიანური მოვალეობის ღირსეულად აღსრულებას შესძლებდნენ და ვერც ღვთივშთაგონებული, ღვთაებრივი სტრიქონების შექმნას. შოთას, დავით გურამიშვილის, სულხან-საბას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალექსანდრე ყაზბეგის, გალაკტიონის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების სიმაღლე და სიდიადე იმალება არა მარტო და არა იმდენად სიტყვაში, რამდენადაც იმ ძალაში, რითაც ეს სიტყვები წარმოითქმებოდა და იწერებოდა. ისინი (აღარას ვამბობ აგიოგრაფებსა და ჰიმნოგრაფებზე, სასულიერო-საეკლესიო მწერლებზე) რასაც წერდნენ, პავლე მოციქულის მიხედვით რომ ვთქვათ, წერდნენ არა მხოლოდ „კაცური სიბრძნით ნასწავლი სიტყვით, არამედ სული წმიდის მიერ ნასწავლით“ და სულიერს სულიერით განმარტავდნენ (I კორ. 2. 13). მხატვრულ შემოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში საკმარისი არ არის მარტო ადამიანური გულმოდგინება, ნიჭი, საერო ცოდნა და შრომისმოყვარეობა, საჭიროა უმაღლესი ღვთაებრივი ძალა და შემწეობაც. ამიტომ, ვინც ხელოვანთაგან ისე ცხოვრობს, რომ, ზემოთ ჩამოთვლილ მწერალთა მსგავსად, მადლით მდიდრდებიან ღვთისაგან, იმავდროულად მდიდრდებიან ყოვალგვარი სიტყვით და ყოველგვარი შემეცნებით და უკვე თვითონ კი არ წერენ და ლაპარაკობენ, არამედ ღვთის სული ლაპარაკობს მათში (მთ. 10, 20). მწერლის სიტყვის გავლენის ძალა მსმენელსა და მკითხველზე პირდაპირ არის დაკავშირებული მისი პირადი ცხოვრების სულიერ-ზნეობრივ სიმაღლეზე:

რაც უფრო ღვთისნიერი, შეუბღალავი, პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობს, მით უფრო ხანგრძლივი, წარუვალი და მძლავრია მისი სიტყვისა და ნაწარმოების ზემოქმედების ძალა და, პირიქით, ვისი ცხოვრებაც სათანადო სიმაღლეზე არ დგას, იმ უნაყოფო ლეღვის ხეს ემსგავსება სახარებიდან (მთ. 21, 18-22), რომელზედაც ქრისტემ ფოთლების გარდა ვერც ერთი ნაყოფი ვერ იპოვა და უთხრა: „ნუღარ გექნეს შენ ნაყოფი უკუნისამდე". ასეთების შესახებ შესანიშნავად ამბობს პოეტი: „მკვდარი ხარ, ცოცხალს კი ჰგავხარ!"

გადარჩენისაკენ, ამაღლებისაკენ, სულიერი და კულტურული აღმაშენებლობისაკენ ისტორიულად იმ ქართველთ, იმ სწავლულთ და შემოქმედთ მიჰყავდით და მიჰყავართ, ვინც საკუთარ თავში გააბატონეს არა საკუთარი „მე" და „ადამიანური სიბრძნე" (რომელიც „არ არის... ზეცით ჩამოსული, არამედ მიწიერი, მშვინვიერი და ეშმაკეულია", - იაკ. 3, 15), არამედ „ღვთის ნება" და „ღვთის კარნახით", „ღვთაებრივი სიბრძნით" და ღვთივშთაგონებული შემოქმედებითა და სიტყვით მიუძღვებიან ერს.

ქართული მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული კულტურიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ -

ჩვენი ხსნა ღმერთშია, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია - ქრისტიანულ მოძღვრებასა და ამ მოძღვრების მიხედვით ცხოვრებაში, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, სასოებასა და სიყვარულში, ღვთაებრივი, ქრისტიანული სიბრძნის სულით გაჟღენთილ კულტურაში: „დიახ, ღმერთი... მხოლოდ ის! იმას უნდა მივენდოთ, ვიტვირთოთ ჯვარი მძიმე... არ დავრჩეთ უიმედოთ"; „არა, ჩვენი ნუგეში ყოვლისშემძლე ღმერთია, იმას უნდა მივენდოთ, მხოლოდ ერთადერთია!" (აკაკი).

ქრისტიანული ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები შემოქმედს მიიჩნევდნენ მედიუმად, შუამავლად და შუაკაცად ღმერთსა და ადამიანებს შორის. რაც უფრო წმინდა, ზნეობრივი, სრულყოფილი და დახვეწილია შემოქმედის მედიუმური ორგანიზაცია, მით უფრო ღრმა, მასშტაბური და ღირებულია მხატვრული ნაწარმოები.

უადგილო არ იქნება, მოვიგონოთ პლატონის „იონიდან", რომ პოეტურ შედევრზე მსჯელობა ზოგჯერ გარშემომყოფს ბევრად უკეთესად შეუძლია, ვიდრე თვითონ ავტორს, რომელიც შემოქმედებითი ტრანსიდან უკვე გამოვიდა, და რომ ის სინამდვილეში უფრო „ჩამწერია", „მედიუმია", ამ „მხატვრული შთაგონებისა", ვიდრე მისი ავტორი. იმასაც მოვიგონებთ, რომ შთაგონება ყველას არ ეძლევა. ეს დამოკიდებულია ავტორის ტალანტზე, მის სულიერ-მორალურ დონეზე, ფსიქიკურ სტრუქტურაზე და ა. შ. ასე მაგალითად, ვიდრე ბიბლიური ესაია აწინასწარმეტყველებოდა, მისი ბაგეები მანამდის სერაფიმმა „ზეციური იერუსალიმიდან" ჩამოტანილი მუგუზალით განწმინდა (ესაია 6, 6, 7) ეს ნიშნავდა ესაიას უკეთურობათა და ცოდვათაგან განწმენდას, მის ზნეობრივ კათარზისს, რათა ის აღმქმელი, ღვთაებრივი სიბრძნის მიმღები და მეტყველი გამხდარიყო. საგულისხმოა ტიმონ ქალკიდონელის შემთხვევაც. ის ეპიგონი, ნაკლებად ნიჭიერი პოეტი იყო იმდენად, რომ ბერძენი თანამედროვენი სასაცილოდ იგდებდნენ. მაგრამ აი, პოეტური აღმაფრენის ჟამს წერს პეანს, რომელიც ჰომეროსისოდენა პოპულარობას ანიჭებს. მას მთელი ერი წარმოთქვამს და მღერის. თუმცა „პარნასელ დათაგან დაბრუნებული" ტიმონი შეცბუნებულია, - ის ვერ ცნობს საკუთარ პეანს, ეჭვი ეპარება ამ შედევრის ავტორობაში!

პოეტისა და პოეზიის, საერთოდ, ხელოვნებისა და ხელოვანის ანალოგიური გააზრება დამახასიათებელია არამარტო დასავლური, არამედ მთელი აღმოსავლური აზროვნებისათვის. შემოქმედი აქაც ცხადდება ღმერთსა და სინამდვილეს შორის შუამავლად. საგანი, სინამდვილე თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე, შემოქმედი მისი ლაპარაკისა და გამოხატვის ორგანოა. შემოქმედი კი არ მოგვითხრობს საგანზე, სამყაროზე, არამედ სამყარო, საგნები და მოვლენები შემოქმედში და შემოქმედის მეშვეობით გამოხატავენ თავის თავს (არა შემოქმედი და სამყარო, არამედ სამყარო - შემოქმედში!).

*ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,*
*ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;*
*სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი*
*ამ ჩემს გონება-გრძნობასა.*

სრულიად აშკარაა, რომ „სხვაში" პოეტი გულისხმობს უზენაესს - შემოქმედს - ღმერთს. ხოლო როდის შეიძლება იყოს პოეტი, ხელოვანი უგნური და როდის ბრძენი? რა თქმა უნდა, იგი ბრძენია ღვთაებრივი შთაგონების ჟამს, როდესაც „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი" მის „გონება-გრძნობას" (ამ დროს იგი „ზეცისაა"), ხოლო უგნურია მაშინ, როდესაც ეს „სხვა" და მასთან ერთად შთაგონებაც ტოვებს მას (ამ დროს ის უკვე „მიწას" ეკუთვნის: „შუაკაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა").

ამრიგად, აქ არსებითად ერთმანეთს ემთხვევა ილიას „მე ცა მნიშნავს", „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ" და აკაკის „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი": „შენ და შენ მხოლოდ ციური ნიჭო... შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ"; „დიდება შენსა მოვლენას, ციური, ტკბილო ძალაო!... დაადნა გული შენს სიმებს და სულს დაიცალაო"; „მე არ ვარ ბევრის მძებნელი... და მხოლოდ იმას ვჭერდები,

რაც *ზეცით* მომნიჭებია...“

შემოქმედი თავისებური მედიატორია არამარტო ღმერთსა და ადამიანებსა, არამედ სინამდვილესა („გარემოებასა“) და ადამიანებს შორის.

ამრიგად, შემოქმედს, მის გრძნობა-გონებას შთაგონების ჟამს „სხვა ხელისუფალი“ ჰყავს, სახელდობრ, „ციური ძალა“, ხოლო მისი ფუნქციაა იყოს „გარემოების საყვირი“. მაგრამ ის არ არის გარემოების უბრალო საყვირი, რადგან შემოქმედებითი პროცესი ტანჯვით აღსავსეა – „ცრემლში მილესავს ნაღველი და მელნად ის მიხმარია“ (აკაკი). საგულისხმოა, რომ ჩვენი ხელოვნების რჩეული წარმომადგენლები ნაწარმოების დაბადებას ხშირად ადარებენ დედის მიერ შვილის გაჩენას, შემოქმედებით პროცესს – მშობიარობას: როგორ ღრმა ტკივილებთანაც არის დაკავშირებული მშობიარობა, ასეთსავე ტკივილებთანაა დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოების „დაბადებაც“ (როგორც ვხედავთ, შემოქმედთათვის უცხო არ არის სოკრატესეული „საბებიაქალო ხელოვნება“). ამ დროს მწერლის, პოეტის გული ღრმად იტანჯება და კვნესის, მაგრამ მისი კვნესა ღვთაებრივი შთაგონების მეშვეობით „მაგიურ მუსიკად“ – პოეზიად იღვრება. შემოქმედებით პროცესში ტანჯვა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ღრმად იხსნება და ვლინდება მასში მწერლის არსება. ძნელია შემოქმედებითი პროცესის ლოგიკური ანალიზი და თეორიული განზოგადება, უხილავია მისი გზა და ეტაპები, – „გამოუთქმელი კაცთა ენითა...“

ნამდვილი მწერალი ენაში ცხოვრობს და არსებობს ისე, როგორც საკუთარ სხეულში. სარტრი ამბობს, რომ იგი მთლიანად ენის უნივერსუმშია ჩართული, რამდენადაც ყოველი სიტყვა ენას მთლიანად შეიცავს; ამდენად, ყოველ სიტყვას მწერალი ენის უნივერსუმთან მიყავს.

დღეს, მოგეხსენებათ, მცირედნი არ არიან ჭეშმარიტების წინააღმდეგ მებრძოლნი, სიცრუისა და სხვადასხვა ცრუმოძღვრებათა ერთგულნი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს უტყუარობაში სახარებისეული სიტყვებისა, რომ ეს სოფელი სიცრუესა და ბოროტებაში წევს.

მწერლის უპირველესი იარაღი სიცრუისა და ბოროტების წინააღმდეგ მაღალმხატვრული და ღვთივსულიერი სიტყვაა. აი, ამ გაგებით მწერლისთვის სიტყვა მახვილია, ხოლო თვითონ მწერალი – სიტყვით მეომარი და მებრძოლი. თვით იესო ქრისტე მართალ სიტყვას ორლესულ მახვილს – ყველა მახვილზე უმძლავრეს მახვილს უწოდებს: „ნუ გგონიათ, ვითომ დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი, არა მშვიდობის, არამედ მახვილის მოსატანად მოვედი!“ (მათე 10, 34). ეს მახვილი სიტყვაა ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, რომელიც მან სიცრუესა და სულიერ წყვდიადში ჩაძირულ კაცობრიობას მოუტანა; ეს მახვილია მხილება ჭეშმარიტების მტრებისა და სიცრუის მსახურთა, ნუგეშისცემა სასოწარკვეთილთა და დამოძღვრა ძე შეცდომილთა.

ერთის მხრივ – მხილება სიცრუისა!

მეორეს მხრივ – დამოწმება, დაცვა და გამოხატვა სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. („მოვედი, რათა ვამოწმებდე ჭეშმარიტებას“, – აცხადებს უფალი). მხატვრული სიტყვითაც დამოწმება, გამოხატვა და დაცვა ჭეშმარიტებისა მწერლის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. როგორი ზემოქმედება ექნება მწერლის სიტყვას, მის შემოქმედებას მკითხველზე, დიდად არის დამოკიდებული არამარტო ტალანტზე, ერუდიციაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, არამედ მის სულიერებასა და ზნეობრიობაზე, იმაზე, რამდენად წმინდად ცხოვრობს, რამდენად ხარიზმატული, ღვთაებრივი მადლის მატარებელია მისი სიტყვა, მისი შემოქმედება. თუ ეს მადლი მწერალს არა აქვს, რაოდენ რაფინირებული და ფილიგრანულად დამუშავებულიც არ უნდა იოს მისი სიტყვა, მისი ნაწარმოები საბოლოო ჯამში, მაინც უღონო და ხანმოკლე სიცოცხლის მქონე აღმოჩნდება. საღმრთო მადლი კი, რომელიც მწერლის სიტყვას ძლევამოსილ „ორლესულ მახვილად“ აქცევს, მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებითა და ღვთაებრივი სიბრძნის ყოველდღიური სისტემატური შესწავლით მიიღწევა.

ხოლო ის, ვინც ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებით მოიპოვებს მადლს, ანუ საღმრთო ნათელსა და ღვთაებრივ სასიცოცხლო ენერგიას, წმ. პავლე მოციქულის თქმით, გამდიდრდება ყოველივეთი, ყოველგვარი სიტყვითა და ყოველგვარი შემეცნებით, რაც მას, როგორც ადამიანს და როგორც შემოქმედს, სჭირდება. და ასეთი შემოქმედი, ასეთი მწერალი უკვე მარტო თვითონ კი არ „ილაპარაკებს“ შემოქმედებით პროცესში, არამედ სული ღვთისა, სული ჭეშმარიტებისა ილაპარაკებს მასში. აი, სწორედ აქ იმალება ჩვენი მაღალღირსეული (არამარტო სიტყვით, არამედ ცხოვრების წესითაც) სამაგალითო კლასიკოსი წინაპარი მწერლების ნაწარმოებების, ენის, მხატვრული სტილის, სიტყვის საუკუნეთა მანძილზე არაერთ თაობაზე, მათ შორის, ჩვენს თანამედროვეებზე განსაცვიფრებელი, წარუვალი ზეგავლენისა და ზემოქმედების ძალა. ამ მადლშემოსილ მწერლებს თვითონაც სწამდათ, რომ შემოქმედებით პროცესში ღმერთი არამარტო აზრებს შთააგონებდა მათ, არამედ სიტყვებსაც „აძლევდა“ ამ აზრებისა და ღვთისაგან გადაცემულ ჭეშმარიტებათა გამოსახატავად: „გული სარკედ მაქვს ქცეული, ენა საყვირად ზეცისა, უნდა, რაც ჩამესახება, გავიმეორო მეც ისა“, – გვიმხელს საკუთარი შემოქმედების საიდუმლოს გასაღებს აკაკი ლექსში „ირაკლის საფლავი“ და იქვე აგრძელებს: „არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ, მონა ვარ მეუფისაო! მის ნება სურვილს ვასრულებ, მორჩილი გულისთქმისაო“; „შეუპოვარი სიმართლე, ნაბრძანები მაქვს მე ცისა! თვარა ჩემ თავად მე რა ვარ, მსგავსი მატლის და მხეცისა, ადვილად დასაფშვნელი რამ, როგორც ჭურჭელი კეცისა“... საგულისხმოა, რომ აკაკი და მისი თანამედროვე პოეტები მგოსანს, ხელოვანს, საერთოდ „ციურ მოციქულს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდებდნენ. დღეს, შემოქმედებითი წინაპრებისაგან განსხვავებით, აღარ ვეძებთ ღვთის მადლს, ძალას და შემწეობას ღვთისას, საშუალებას არ ვაძლევთ სული წმიდას, შემოვიდეს და დამკვიდრდეს ჩვენს სულში, რის გამოც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თანამედროვე შემოქმედნი ვეღარ იღებენ ღვთისაგან იმ „ზეგარდმო სიბრძნეს", იმ საღმრთო ნათელსა და ძალას სიტყვისას, რასაც უფალი ღვთაებრივ სიბრძნეს, ღვთაებრივ ჭეშმარიტებას მოწყურებულ ადამიანებს უშურველად ანიჭებს.

პირველ რიგში, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ არამარტო ლიტერატურას, არამედ თანამედროვე ხელოვნების ყველა დარგს, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს „ღვთივსულიერება", „ღვთივშთაგონებულობა" და „იდუმალება", რის გარეშეც იგი მიმდინარე ცხოვრებაზე, სინამდვილეზე, თანამედროვე მკითხველზე მაღლა ვერ დადგება, მასზე წინ ვერ წავა, ვერ წარუძღვება და ან ვერ, ან ძნელად გაბედავს თქმას: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა!"

გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი მეტისმეტად არაპოეტური და პროზაული სინამდვილე, უაღრესად პრაგმატისტული ყოფა უკიდურესად არაკეთილსასურველია, შეიძლება პირდაპირ ითქვას, მტრულია მხატვრული შემოქმედების, ხელოვნების, პოეზიის მიმართ. ჯერ კიდევ როდის წინასწარმეტყველებდა ლესინგი „ჰამბურგულ დრამატურგიაში", რომ დროთა განმავლობაში ცხოვრების სულ უფრო მზარდი გაპროზაულება თანდათანობით უკანა პლანზე გადასწევდა ხელოვნების ცალკეულ დარგებს. ჰეგელი კიდევ უფრო მკაცრ პროგნოზს აკეთებდა: მომავალში სამყაროს ჰეროიკული, ამაღლებული მდგომარეობა თავისი ჰარმონიით მთლიანად წარსულს ჩაბარდა და შეიქმნება ახალი, პროზაული, არასულიერი, არარელიგიური და უაღრესად მიწიერი სინამდვილე, რომელიც რადიკალურად დააბრკოლებს ხელოვნების განვითარებასო; მართლაც, დღეს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ სამყაროში თანამედროვე ესთეტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოსოფოსები, ლიტერატურისმცოდნეები, თეოლოგები ბევრს და ხშირად წერენ „ხელოვნების კრიზისზე", მეტიც, საერთოდ, „ხელოვნების სიკვდილზე". ცრუ, პრაგმატისტული და პროზაული ცხოვრება, რომელშიც დღეს ადგილი აღარ რჩება ამაღლებულისთვის, პოეტურისთვის, მშვენიერისთვის – იწვევს პიროვნების სრულ დეგრადირებასა და დაცემას.

დღევანდელი რეალობა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუძლებელია რელიგიისა და ხელოვნების გარეშე, მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით მთლიანი, სრულფასოვანი პიროვნების აღორძინება.

ხელოვნების წმინდა და უანგარო მოთხოვნილების ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, როგორ ბატონდება უხეში სარგებლიანობის პრინციპი. შიშველი სარგებლიანობისა და მოგების კულტი, ბატონობა მერკანტილური ინტერესებისა სულის უმაღლეს ინტერესებზე – ერთ-ერთი არსებითი მიზეზია კულტურისა და ხელოვნების ტრაგედიისა.

სარგებლიანობა, მოგება, მერკანტილიზმი – დღევანდელი დროების დიადი კერპია, რომელსაც მსხვერპლად ეწირება კულტურა და ხელოვნება.

ჰერბერტ მარკუზეს მეოცე საუკუნის არარელიგიური, „ერთგანზომილებიანი ადამიანი" პიროვნების სრული დეგრადაციისა და სულიერი სიკვდილის გამოხატულებაა; იგი ისრისება და ითრგუნება დღევანდელი ცივილიზაციისა და ტექნიკური საზოგადოების მონაპოვართაგან. როგორც თვალნათლივ ჩანს, კაცობრიობის ტექნიკურ პროგრესს თან სდევს სისასტიკის პროგრესი, კონკრეტულ ადამიანთა გადაგვარება, სულიერი კვდომა და გაუხეშება. მათ, ნაცვლად იმისა, რომ მივაწოდოთ ჭეშმარიტი სულიერი საზრდო, სულიერი პური არსობისა – „სიტყვა ღვთისა" და ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები, უპირატესად ვთავაზობთ მდარე, ბანალურ ლიტერატურას, ხელოვნების სუროგატებს და კინოვიდეოფილმებს დემონური, დაცემული ფსევდოკულტურიდან, რაც აჩქარებს და ხელს უწყობს ჩვენში პიროვნული საწყისების ნიველირებას, ესთეტიკური გემოვნების დაჩლუნგებას, აბრკოლებს მაღალსულიერ მოთხოვნილებათა განვითარებას.

აი, ასე და ამრიგად, იქმნება უსიხარულო სიტუაცია, – სულიერი ვაკუუმი და ინტელექტუალური უდაბნო, რომელშიც ყველა ერთნაირად ისჯება და იტანჯება.

დღეს ხელოვნება აღარ წარმოადგენს ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის სულის უმაღლეს მოთხოვნილებას, არცთუ იშვიათად თვით ხელოვანთა სულის უმაღლეს მოთხოვნილებასაც კი! ცივილიზაციის უკონტროლო განვითარებამ გარდაუვალად მოიტანა შემოქმედებითი და სულიერი ძალების უკიდურესი გამოფიტვა და, აქედან გამომდინარე, კრიზისი კულტურისა, ზნეობრივი დაცემა კაცობრიობისა. ჩვენ ხშირად ერთმანეთში ვურევთ და ერთურთისაგან ვერ ვასხვავებთ კულტურასა და ცივილიზაციას, კულტურულობასა და ცივილიზებულობას. ღვთისმეტყველნი ფილოსოფოსნი და კულტურის მკვლევარნი (ბენიამინი, ადორნო, მარკუზე, სოლოვიოვი, შპენგლერი, ბერდიაევი და მრავ. სხვა) არაერთგზის შეგვახსენებენ, რომ კულტურა თავისი არსითა და საფუძვლებით რელიგიურია, ცივილიზაცია – არარელიგიური, კულტურა – ეროვნულ-ნაციონალურია და, ამდენად, საკაცობრიო; ცივილიზაცია – ინტერნაციონალურია. ჭეშმარიტი ხელოვნება მხოლოდ კულტურის ეპოქებში არსებობს, ცივილიზაციის ეპოქაში კი იგი თითქმის შეუძლებელია, ცივილიზაციას ის საერთოდ არ სჭირდება. კულტურის ეპოქაში ღმერთისადმი სიყვარული ბატონობს, ცივილიზაციაში – ულმერთობა; კულტურის საფეხურზე ადამიანს ეროვნულობის ყველა ნიშანი აქვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივილიზაციის დროს კი, თუ რეალურად არა, პოტენციურად მაინც იგი უსამშობლო კოსმოპოლიტს წარმოადგენს. ცივილიზაციის ეპოქაში ხდება პიროვნების გაუფასურება და მასებში გათქვეფა. ადამიანში კვდება ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა, სასოება და სიყვარული და იწყება ადამიანის თვითგანადგურება. ადამიანი კარგავს უმაღლეს ღირებულებას და უმთავრეს ღირებულებად ფული იქცევა, რომელიც მთლიანად იმორჩილებს ადამიანს და მის ნამდვილ სულიერ თავისუფლებასაც ბოლო ელება. თანდათანობით მყარდება ყველაზე სასტიკი და მძლავრი დიქტატურა - დიქტატურა ფულისა და ბატონდება მეშჩანურობივატელური და მერკანტილისტურ-პრაგმატისტული სული. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ყველაზე მეტად უჭირთ და უმძიმთ მგრძნობიარე და ნატიფი სულის ადამიანებს, პირველ რიგში ხელოვნების წარმომადგენლებს. გასაკვირი არ არის, რომ დღეს არაერთი ხელოვანი საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობის უფუნქციობისა და „უსარგებლობის“ შეგნებით უკიდურესად იტანჯება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობის საზრისიანობაში ტრაგიკული დაეჭვებისა, მაინც აგრძელებენ თავის „საქმეს“, რადგან, როგორც ვიტგენშტაინი იტყოდა, “სიტყვაა მათი საქმე“. ისინი განაგრძობენ ხატვას, წერას, ე. ი. მოქმედებას და თავიანთ შემოქმედებით საქმიანობაში დებენ იმის მაქსიმუმს, რისი განცდის უნარიც გააჩნიათ - მოქმედებენ თავიანთი „შინაგანი“ ტემპერამენტის უმაღლეს ზღვარზე. და, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ძლევამოსილებასა და საჭიროებაში ეჭვობენ, მაინც სწამთ ან, უფრო ზუსტად, სურთ სწამდეთ, რომ დღევანდელ კრიზისულ ყოფაში მათი ერთადერთი საიმედო საყრდენი და თავშესაფარი სწორედ შემოქმედებაა, ხელოვნებაა, საერთოდ კულტურაა. მაგრამ კულტურა თავისთავად, ჭეშმარიტი რელიგიურობისა და ღვთივსულიერების გარეშე, როგორც ზოგჯერ იმედოვნებენ, ვერ იქნება ხსნა და პანაცეა. კულტურა მარტო საკუთარი ძალებით ვერ აღორძინდება, თუ მისი სული - ნამდვილი რელიგიურობა და ღვთივსულიერება - არ აღორძინდა, რადგან არარელიგიური კულტურა არ არსებობს და, თუ ჰგონიათ, რომ ის არსებობს, ჩვენი აზრით, ის უთუოდ ფსევდოკულტურაა. დღესდღეობით კი ჩვენ თვალს ვადევნებთ სამწუხარო სურათს - ტექნიკური ცივილიზაციის პროგრესთან ერთად კულტურის ქრობას, რომლის შესაცვლელადაც მოდის, როგორც სიკვდილი სულისა, - მსოფლიო სახელმწიფო, ცრურელიგიური, უღმერთო, უსამშობლო და ინტერნაციონალური ცივილიზაცია. მოდის ახალი ადამიანი, შეპყრობილი ერთადერთი ნებით, ნებით ძალაუფლებისაკენ და ნებით ყოველივეს დაუფლებისაკენ. ცივილიზაციის ამ ტრიუმფალურ სვლაში ნელ-ნელა კვდება სული დიადი რელიგიური კულტურისა და ხელოვნებისა.

შილერისა და დოსტოევსკის ცნობილი ფორმულა: „სამყაროს სილამაზე იხსნის“ დღეს ბევრისთვის ირონიულ ქლერადობას იძენს ან მხოლოდ ლამაზ და უტოპიურ ფრაზადღა აღიქმება - თანამედროვე კრიზისულ, ურწმუნობით, უკულტურობით, უსჯულობით, სოციალ-პოლიტიკური კატაკლიზმებითა და პათოლოგიური სისასტიკეებით დაგლეჯილ წუთისოფელში უჭირს არამარტო არაშემოქმედ ადამიანს, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ყოვლისა, ხელოვანს, შემოქმედ ადამიანს. გულწრფელად გვიმხელს ამის შესახებ ჩვენი თანამედროვე პოეტი:

*განა იმიტომ არ დავიწყე ლექსების*
*წერა,*
*რომ ქვეყანა გადამერჩინა?!*
*ახლა კი თვითონ ჩემი თავი გამჭირვებია.*

ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი, სულიერისადმი, „ზეციურისადმი“, ნამდვილი რელიგიურობისადმი დღევანდელ მტრულ სინამდვილეში მწერლის ბედი, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და პროფესიული მოვალეობისადმი ერთგულება ჩემს წარმოდგენაში უკავშირდება მშობლიური ქალაქისა და მოვალეობისადმი იმ ჯარისკაცის ერთგულებას, რომელიც ასწლეულების წინათ პომპეიში ვეზუვის ვულკანის ამოფრქვევის მიუხედავად სადარაჯოზე იდგა კოშკთან და თავისი მოვალეობის ერთგულად შესრულებას მაშინაც აგრძელებდა, როცა მშობლიური ქალაქი ფერფლითა და ლავით იფარებოდა, როცა ყველა მისი თანამოქალაქე თავის თავს, საკუთარ სიცოცხლეს ქალაქიდან გაქცევით შველოდა.

ეს ჯარისკაცი მოვალეობის შესრულების დროს მთლიანად ფერფლის ღრუბლებით დაიფარა და მასში შთაინთქა, - თვადაც ფერფლად იქცა! მაგრამ მშობლიური ქალაქის ამ უცნაური დამცველის მოვალეობისადმი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგულების განსაცვიფრებელი ამბავი ამდენი საუკუნის შემდეგაც ადამიანთა მეხსიერებას ცოცხლად შემორჩა.

აი, დაახლოებით ასევე მესმის დღეს მშობელი ხალხისა და საკუთარი მოწოდებისადმი, პროფესიული მოვალეობისადმი ხელოვანის ერთგულება და თავდადება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როსტომ ლორთქიფანიძე



## ვინ არის მირიანის მამა

ქრისტიანობა და მისი აღიარება სახელმწიფო რელიგიად უმნიშვნელოვანესი ღირებულების ისტორიული ფაქტია ყოველი ერის ისტორიაში, რადგან რელიგიური აზროვნება ყველა სხვა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაზე ღრმად ასახავს ადამიანის თუ ერის სულიერი ცხოვრების აზრს. ყოველ ერს, რომელსაც ისტორიულად უცხოერია და კულტურული ზრდისა და განვითარების გარკვეულ საფეხურამდე მიუღწევია, თავისი საკუთარი რელიგიური ხატი შეუქმნია. სარწმუნოება, რომელშიც აღბეჭდილია ამა თუ იმ ერის სულიერი ფიზიონომია, მისი აზრები, ფიქრი და ოცნება... ამიტომ ერის ისტორიის შესწავლა სრული და ამომწურავი არ იქნება, თუ გათვალისწინებული და შესწავლილი არაა მისი რელიგიური ფორმა.

ამდენად, ქრისტიანობის ამა თუ იმ ხალხში გავრცელება, მისი აღიარება – გამარჯვება, დროისა და პირობების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო რელიგიის, არამედ ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს: „ქრისტიანობის ზეგავლენით და მის ნიადაგზე ჩამოყალიბებულან სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ფიზიონომია ქართველი ერისა, მას მიუჩენია მისთვის გარკვეული ადგილი საერთაშორისო ოჯახში და თავისებური ელფერი მიუცია მისი ცხოვრებისათვის, ამიტომ ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს საკითხი, თუ როდის შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა, რომელმაც შექმნა სულ ახალი ხანა ჩვენს ისტორიაში“.

ამავე ავტორის აზრით: საწყისები ამ მნიშვნელოვანი ფაქტისა მეცნიერებაში სათანადოდ არაა გარკვეული, მგონია, არც ერთი საკითხი ჩვენი ისტორიისა ისეთი ბურუსით არაა მოცული, როგორც ქრისტიანობის დასაწყისი ქართლში. ამიტომ ეს საკითხი ღირსია იმისა, რომ იგი კვლავ გახდეს კვლევა-ძიების საგანი.

საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემათა შორის ქართლის მოქცევის თარიღის საკითხს ყველაზე ძველი და მდიდარი ისტორიოგრაფია აქვს.

ქართლის გაქრისტიანების საკითხით ჯერ კიდევ იტალიელი საეკლესიო ისტორიკოსი ცეზარე ბარონიუსი (1538-1607) დაინტერესებულა; მან ქართლის მოქცევის თარიღად 327 წელი მიუთითა. შემდეგ, ვახუშტ ბაგრატიონიდან მოკიდებული, არ დარჩენილა არც ქართველი და არც უცხოელი მკვლევარი, რომელიც ძველ ისტორიას შეხებოდეს და ქართლის მოქცევის თარიღზე თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას. მაგალითად: ვახუშტი ქართლის მოქცევას 317 წ. ათარიღებდა; დავით ბაგრატიონის თანახმად მეფე მირიანი და ხალხი ნინომ 312 წელს მონათლა. ვახტანგ ბაგრატიონმა ქართლის მოქცევა 320 წლით განსაზღვრა, თეიმურაზ ბაგრატიონმა 331 წლით, ფრანგმა მოგზაურმა დიბუა მონპერემ – ჯერ 276, შემდეგ 318 წლით. ქართლის მოქცევის თარიღად 318 წელი მიიჩნიეს პ. იოსელიანმა, გ. საბინინმა და რ. ცამციევმა. ქართლის მოქცევის ვახუშტისეული 317 წელი გაიზიარეს დ. ბაქრაძემ და ი. გვარამაძემ, თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ქართლი 323-325 წლების შუა ხანაში მოექცა. ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ქართლის მოქცევის თარიღად 328 წ. მიიჩნია, მ. ჯანაშვილმა 323, ან. ნატროშვილმა 326, ს. გორგაძემ 323, ალ. ხახანაშვილმა 332, ე. თაყაიშვილმა 332-333, გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ი. მარკვარტმა 350-356, კ. ცინცაძემ 335.

აქტუალობა საკითხისა ჩამოთვლილ თარიღთა რაოდენობითა და მისადმი მეცნიერთა ინტერესითაც ჩანს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ, ზემოთ ჩამოთვლილი ცნობების მიუხედავად, სრული სურათი ქართლის გაქრისტიანებისა მაინც არ იქმნებოდა. არ იქმნება მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი იმისა, რაზედაც შემდგომ ქრისტიანობა დაინერგა, როგორც შედეგი ერის სულიერ-პოლიტიკური განვითარებისა.

სხვადასხვაგვარია ამ საკითხზე მეცნიერთა აზრი, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ ზოგმა მკვლევარმა ისტორიულ ფაქტთა „წინა-უკმობა“ შეამჩნია. სხვამ ძველ ტექსტებზე შემდგომი პერიოდის დანამრევების კვალიც აღმოაჩინა. აღმოაჩინეს ისიც, რომ ხშირად არ ემთხვევა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების თარიღებიც, რის გამოც ირღვევა მეფეთა რიგები და ბევრი სხვა რამ.

ქართლის ცხოვრებაში იქნებ ბევრი რამ მართლაც ბუნდოვანია და გარკვევას საჭიროებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „შემონახული უნდა იყოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლიც“ და, თუ ეს ასეა, ჩვენ გვსურს, ჩვენი მეცადინეობა იქით წარვმართოთ, რომ ქართულ ტექსტებში შემორჩენილი ფაქტები უცხოონოვან ძეგლებს შევუჯეროთ და ასეთი ხერხით აღვადგინოთ სურათი ჩვენი ერის ცხოვრებისა, კერძოდ, ქართლის ქრისტიანიზაციისა. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას „ქართლის ცხოვრების“ როგორც „გვიანდელი შენათხზის“ და მისი ცნობების არარეალურობის შესახებ, რადგან ბოლო დროს არქეოლოგიურმა თუ ახალმა ისტორიულმა აღმოჩენებმა საშუალება მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვცა, შეგვეხედა ქართლის ცხოვრებისათვის, როგორც სარწმუნო, ისტორიული დოკუმენტისათვის.

ამ ფაქტის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რომ დღესაც შეიმჩნევა რიგი მეცნიერების ფარული თუ განცხადებული ლიზღი ქართულენოვანი ძეგლებისადმი, რაც ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია. ამიტომ საქართველოს ქრისტიანიზაციის შესახებ მსჯელობისას გზამკვლევად სწორედ „ქართლის ცხოვრებას“ ავირჩევთ. მასში გადარჩენილი ცნობების უცხოენოვან ისტორიულ წყაროებთან შეჯერებით ვეცდებით, პასუხი გავცეთ იმ პრობლემებს, რომელნიც ქართული ისტორიოგრაფიისათვის „აქილევსის ქუსლად“ ქცეულა.

1970-80 წლებში ქართველმა საზოგადოებამ ჩინებული საჩუქარი მიიღო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ სახით. ნაშრომის მეორე ტომში მოკრებილია ქართული მეცნიერების მიერ მრავალგზის შესწავლილი და გარკვეულად აღიარებული მეცნიერული მოსაზრებები. მათ შორისაა ის მასალაც, რომელიც საქართველოს ქრისტიანიზაციისა და მისი წინა პერიოდის შესახებ მოგვითხრობს.

ეს კრებული იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ამ ბოლო ხანებში გამოცემულ პუბლიკაციათა შორის ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური ნაშრომია. აღნიშნული გამოცემა იმითაც საინტერესოა, რომ იგი ისევ იმ პრობლემატურ საკითხებს აყენებს, რომელიც ჩვენი წერილის კვლევის საგანს შეადგენს.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში საქართველოს გაქრისტიანებისადმი მიძღვნილ წერილს ხელს აწერს ლაშა ჯანაშია. ამიტომ ჩვენს ნაშრომში მას მოვიხსენიებთ, თუმცა მისი მოსაზრებები მრავალი სხვა მეცნიერის დასკვნებს ემყარება.

არსებული მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ლაშა ჯანაშია საქართველოს გაქრისტიანების ასეთ სურათს ხატავს:

„მეფე ასფაგურის“ სიკვდილით შემწყდარა ქართლის სამეფო დინასტია, რომელსაც თითქოს არშაკიდული წარმოშობა ჰქონდა. ამავე დროს, ასფაგური ქართლის პირველი სამეფო დინასტიის, ფარნავაზიანთა უკანასკნელი შთამომავალი ყოფილა. ქართლის დიდებულებს ირანის შაჰ ქასრე ანუ შირვან სასანიანისათვის უთხოვიათ ქართლის მეფედ დაესვა თავისი ვაჟი. შაჰი დათანხმებულა - შვიდი წლის ირანელი უფლისწული მიჰრანი, ქართული გამოთქმით მირიანი, დაუქორწინებიათ ასფაგურის ქალზე და ქართლის სამეფო ტახტზე დაუსვამთ. მისთვის ჩაუბარებიათ აგრეთვე ეგრისი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი, მირიანს დაუვიწყებია სპარსული, უსწავლია ქართული ენა და მტკიცედ შეუთვისებია ქართული ჩვეულებები“.

„მირიანი რომ ორმოცი წლისა გამხდარა, მოკვდომია მამა, ირანის შაჰი და სამეფო ტახტზე დამჯდარა მირიანის უმცროსი ძმა ბარტამი. მირიანს, როგორც უფროსს, პრეტენზია განუცხადებია ირანის მეფობაზე, მაგრამ, რადგანაც მირიანის დედა უბრალო მხევალი ყოფილა, ირანელ დიდებულებს ირანის მეფობა მაინც ბარტამისათვის - ინდოელი დედოფლის შვილისათვის დაუმტკიცებიათ.

ამ დროს მამისეული ტახტის დასაბრუნებლად კეისრის ჯარით სომხეთში შევიდა სომეხი უფლისწული თრდატი (283). თრდატსა და მირიანს შორის დაიწყო ომი, რომელიც მრავალ წელს გაგრძელდა. როდესაც თრდატს რომაელები ეხმარებოდნენ, გამარჯვება მის მხარეზე იყო. ხოლო როდესაც მირიანი დაიხმარებდა ირანელებს, მირიანი იმარჯვებდა“.

„მაგრამ ამ დროს ირანში გამეფებულმა მირიანის მეორე ძმამ, მირიანს რომის იმპერიაზე სალაშქროდ მოუწოდა, გაერთიანებულმა ირანელ-ქართველთა ლაშქარმა სომხეთი დალაშქრა და რომის იმპერიაში შევიდა. შეწუხებულმა იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანთა რჩევით ქრისტიანობა მიიღო და ქრისტეს დახმარებით ირანელ-ქართველთა ლაშქარი უკუაგდო. მირიანმა დაზავება სთხოვა კონსტანტინეს. კონსტანტინემ მირიანს მძევლად გამოართვა შვილი ბაქარი და არა მარტო თვითონ დაეზავა, არამედ თრდატიც დააზავა მასთან. თრდატის ქალი ცოლად შერთო მირიანის მეორე ვაჟს რევს“. (გვ. 59).

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ლეონტი მროველის ცნობებს ეყრდნობა. და გარკვეულ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს III-IV საუკუნეების საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებზე, მაგრამ გვინდა, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ დასკვნას, რომელსაც აკეთებს ავტორი ამ მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგად.

„ერთი შეხედვითაც ცხადად ჩანს, რომ ამ მოთხრობაში ბევრი რამ არასწორია. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მირიანის წარმომავლობის ამბავი. რომელიც მეტად საეჭვოდ გამოიყურება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მირიანი დასახელებულია პირველი სასანიდი შაჰის ე. ი. არდაშირის (224-242) შვილად, რაც სავსებით გამორიცხულია, „მეფეთა ამბის“ მონაცემები (სახელები, მეფობის ხანგრძლივობა და ზოგი სხვაც) არ შეესაბამება III-IV საუკუნის ირანის მეფეებს. ამდენად სწორი უნდა იყოს ის აზრი, რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ გამოწვეულია სურვილით, მოეძებნოს მას განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპრები. გაუგებარია, ირანელმა უფლისწულმა როგორ ან რატომ დაივიწყა ირანული, შეითვისა ქართული, დაუკავშირდა რომაელებს ირანის საწინააღმდეგოდ. გახდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ქრისტიანობის შემომტანი და თავგამოდებული გამავრცელებელი“. (იქვე, გვ. 60).

როგორც ზემოთ მოყვანილი დასკვნიდან ჩანს, ქართულ მეცნიერებას ბევრი რამ არა ჰქონია გარკვეული III-V საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა. ბევრია კითხვა, რომელიც მეცნიერულ ახსნას ითხოვს. პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ავტორის დასკვნას - „ერთი შეხედვითაც ცხადად ჩანს, რომ ამ მოთხრობაში ბევრი რამ არასწორია. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მირიანის წარმომავლობის ამბავი, რომელიც მეტად საეჭვოდ გამოიყურება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მირიანი დასახელებულია პირველი სასანიდი შაჰის, ე. ი. არდაშირის (224-242) შვილად...“

დღეს ბევრი მეცნიერი აღიარებს, რომ არდაშირ სასანიანი არ შეიძლება იყოს მირიანის მამა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არდაშირ სასანიანისა და მირიან ქართველთა მეფის მამაშვილობის თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ისევ და ისევ იჩენს თავს.

სხვა მეცნიერებს უკვე უთქვამთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენც იმას გავიმეორებთ, რომ ამ მოსაზრებას არავითარი საფუძველი არა აქვს. მაშ, რაშია საქმე? რა აძლევს მრავალგზის უარყოფილ მოსაზრებას ასეთ სიცოცხლისუნარიანობას?

ვფიქრობთ, რომ საქმე ლეონტი მროველის ერთ-ერთი ცნობის არასწორად წაკითხვა-გააზრებაშია. ლეონტი მროველი, როდესაც „მეოცდასამე მეფე ასფაგურ ძე მირდატ მეფისა არშაკუნიანი“-ის ამბავს მოგვითხრობს, ამბობს: „ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა და ამის ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუ შარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აქლალალიანნი, რომელთ იცნობიებს არდაბირობით.“

არდაშირი და არდაბირი რომ ერთმანეთის ვარიანტული ფორმებია, აშკარაა. სომხური, ირანული და ქართული წყაროებიც ამ ტერმინს ერთსა და იმავე კონტექსტში ხმარობენ. ალბათ, ამან გამოიწვია ის, რომ არდაბირად წოდებული ქასრე ანუ შარვან სასანიანი არდაშირ I მიიჩნიეს.

ადრე უკვე ვთქვით, რომ სასანიდების დინასტიის დამაარსებელს არდაშარი ერქვა, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, ყველგან, სადაც ეს ტერმინია გამოყენებული, არდაშირ სასანიანი ვიგულისხმოთ, რადგან შემჩნეულია ისიც, რომ სხვადასხვა პერიოდში სასანიდების ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ეს ტერმინი ხშირად იხმარება. უფრო მეტიც, არდაბირობით მოიხსენიება ირანის თითქმის ყველა ღირსეული მპყრობელი.

ამასთან დაკავშირებით პროფესორი ნოდარ ლომოური შენიშნავს: „სახელი არდაბირი გვიან ხშირად იხმარება როგორც სასანიდი მეფეების ტიტული“, რაც სავსებით სამართლიან შენიშვნად მიმაჩნია, რის საფუძვლიანობაში ადვილად დაგვარწმუნებს მ. ხორენაცის ცნობები:

1. ბერძენთა ქვეყანაში „გამეფდა პრობოსი (270-282), რომელმაც ზავი დასდო არდაშირთან“. (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1984, გვ. 162). 276 წელს არდაშირ სასანიანი ოცდათოთხმეტი წლის მკვდარია და, ცხადია, ხორენაცი არდაშირში სხვა მეფეებს გულისხმობს; ამავე ფაქტს ასაბუთებს მეორე ცნობაც.

2. „არტაშირმა შეიტყო რომ ვიღაც სომეხთა ნახარართაგანმა, წაიყვანა ხოსროვის ერთადერთი ვაჟი, გაიქცა და გადაარჩინა იგი და მიაშურა კეისარ კარს (282-283)“ (იქვე, გვერდი, 163)

ამ პერიოდისათვის ირანის სამეფო რიგის მიხედვით ბაჰრამ II (276-293) უნდა მეფობდეს და არა არდაშირ სტარჰელი, მაგრამ ხორენაცი მას მაინც არდაშირად იხსენიებს.

ეს საკითხი ნოდარ ლომოურმაც შეისწავლა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „წყაროებში ტერმინ არდაშირის გამოყენების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ არდაშირი თანამედროვეა არა მარტო ფილიპე არაბისა (244-249), არამედ დეციუსისა (249-251), გალუსისა (253-268), ვალერიანესი (253-260), კლავდიუს II (268-270), ავრელიანესი (270-275), ტაციტუსისა (245-276) პრობოსისა (276-282) და კარუსისა (282-283) და ნუმირიანოსისა (283-284), ე. ი., გამოდის რომ თუ ტერმინ არდაშირის მიღმა მხოლოდ არდაშირ პაპაკის ძე სასანიანს (224-242), ვგულისხმობთ, მას 284 წლამდე უცხოვრია, ეს კი სავსებით გამორიცხულია“.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე საკითხის ამგვარად დასმის საშუალებას არც ირანის მეფეთა რიგი იძლევა: არდაშირ სტარჰელი (224-242), შაბური (242-272), ჰორმაზდი (272-273), ბარტამი (273-276), ბარტამ II (276-293), ბარტამ III (276-293), ქასრე (293-302).

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ არდაშირ სტარჰელს მირიან მეფის მოღვაწეობის პერიოდთან საერთო არაფერი აქვს, ხოლო, თუ ლეონტისეულ ტექსტებს გავიხსენებთ, სადაც არდაშირია მოხსენიებული, და მათ სხვაენოვან ტექსტებს შევუჯერებთ, შევამჩნევთ, რომ ტერმინი არდაშირ-არდაბირი იქ ხშირად იხმარება და მუდამ ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს: ფუნქციონალურად იგი ირანის უმაღლესი მპყრობელის ტიტულს ან მის ნება-სურვილს აღნიშნავს. ეს ფაქტი ქართველ მეცნიერთათვის (ივანე ჯავახიშვილი, ნოდარ ლომოური) სადავო აღარ არის.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ აქ რომელიმე ავტორის შეცდომასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ერთობ ფეხგადგმულ ტრადიციასთან, რომელსაც ლეონტი მროველიც იზიარებს.

ჩვენშიც და აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებშიც არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვით მადლიერი შთამომავალნი სახელოვანი წინაპრის განდიდების მიზნით მის სახელს ან გვარს დინასტიის შემდგომი პერიოდის წევრებზეც განავრცობდნენ, მაგალითისათვის გავიხსენებთ სომხეთში - არშაკუნიანნი კარენები, მანდაკურნი, ირანში - აქემენიანნი და სასანიანნი, საქართველოში - ქართლოსიანნი და ფარნავაზიანნი, რად უნდა გავიკვირვოთ, რომ სასანიანთა საგვარეულოს დინასტიის დამდების სახელი განედიდებინათ და მისი ტახტის მემკვიდრენი არდაბირობით მოეხსენიებინათ.

რიგი მეცნიერი თვლის და ჩვენც იმას გავიმეორებთ, რომ მოვსეს ხორენაცს და ლეონტი მროველს, რომელთაც ზედმიწევნით კარგად იციან, ირანსა, რომსა და აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და იმ პერიოდის მეფეთა მოღვაწეობის თანამიმდევრობა, არ შეიძლებოდა, პირველი სასანიდი მეფე-არდაშირი შემდგომი პერიოდის მეფე არდაბირებში არეოდათ.

ახლა მკითხველს გავახსენებთ ლეონტი მროველის კიდევ ერთ ცნობას: - „ამის ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აქლალალიანნი“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 59).

იქნებ ტერმინ აქლალალიანნის არასწორმა წაკითხვამ გამოიწვია ის, რომ მირიანი არდაშირ სტარჰელის შვილად მიიჩნიეს? რადგან 224 წელს ჰორმიზდაგანის ველზე არდაშირ პაპაკის ძე სასანიანმა მართლაც დაამარცხა პართიის უკანასკნელი მეფე არტაბან V (ქართული ვერსიით აქლალანი). ეს ფაქტი მეცნიერულად დადასტურებულია და უცილობლად არდაშირის დამსახურებათა რიგს მიეკუთვნება.

ლოგიკურია ისიც, რომ ამ ფაქტის მცოდნე მეცნიერმა ლეონტისეული მეფენი აქლალალიანნი-აქლალან მეფესთან გააიგივა და შედეგად ის მიიღო, რომ არდაშირი მირიანის მამად აღიარა.

რადგან მირიანის მეფობის პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოდი არ ემთხვევა არდაშირ სასანიანის მოღვაწეობის პერიოდს, ჩნდება ეჭვი ტერმინ აჟდალალიანის მიმართ: რატომ ამბობს ლეონტი არდაშირმა მოსრნა მეფენი აჟდალალიანნიო და არა მოსრა აჟდალანიო. განა მეორე ტექსტი უფრო სრულად არ ასახავს ფაქტს?

თვალი გადავავლოთ ისტორიულ ფაქტებს.

არდაშირ I მიერ აჟდალან მეფის (224) მოკვლის შემდეგ პართიის ტახტის მემკვიდრეები მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნენ და იქიდან ცდილობდნენ პართიის ტახტის დაბრუნებას. მეცნიერებისათვის ისიცაა ცნობილი, რომ ამ ბრძოლამ გაცილებით მეტი დრო მოიცვა, ვიდრე ეს არდაშირ მეფის მეობის ხანა იყო.

პართიის სამეფო ტახტისათვის ბრძოლა არდაშირ პაპაკის ძის შვილის - შაბურის დროსაც გრძელდებოდა; ამაზე ცნობას გვაწვდის მოვსეს ხორენაცი. იგი ამბობს: „არდაშირმა (იგულისხმება შაბურ I) პართელი დიდებულები მოიხმო და მათ მიმართა - მეტადრე თქვენ, პართელთ შვილებო, უფრო ადვილად შეგიძლიათ ხოსროვთან მოყვრულად მისვლა და მისთვის მახის დაგება“ (გვ. 160).

იგულისხმება ხოსროვი - სომეხთა მეფე და მისი მოკვლის წინა პერიოდი. „ამ სამსახურისათვის არტაშირი პართელ დიდებულებს ჰპირდებოდა პახვალთა სამკვიდრებელს, სატახტო ქალაქის ბალხისა და ქუშანთა მთელი ქვეყნის დაბრუნებას“.

ამას გვამცნობს ხორენაცი მაშინ, როდესაც იგი „ანაკის მოკვლის და წმინდა გიორგის გაჩენის შესახებ“ მოგვითხრობს. ირანის შაჰის განზრახვა ანაკის მოკვდინებისა და სომეხი დიდებულის მეშვეობით აღსრულდა 253 წელს.

ცხადია, რომ სომეხი ისტორიკოსი არდაშირ პაპაკის ძის (224-242) მეობის ხანას კი არ გულისხმობს, არამედ მისი მოღვაწეობის შემდგომ პერიოდს, კერძოდ, შაბურ I (242-278) მეობის ხანას, რადგან სომეხთა მეფის მოკვლა 253 წელს მოხდა. ამ პერიოდში ირანის სამეფო ტახტი სწორედ შაბურს ეჭირა და მას ძველი ისტორიკოსები არდაშირის ტიტულით იხსენიებენ. უნდა ითქვას ისიც, რომ 253 წლისათვის არდაშირ პაპაკის ძე თერთმეტი წლის, ხოლო ჩვენთვის საინტერესო აჟდალანი ოცდაცხრა წლისა გარდაიცვალა.

ფაქტების ასეთი დალაგება, ვფიქრობთ საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ხორენაცი და მროველი ტერმინ აჟდალალიანში მეფე აჟდალანს კი არა, მის მემკვიდრეებს გულისხმობენ.

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, არც ტერმინი არდაბირი და აჟდალიანნი, არც მოხსენიებული ისტორიული პირები არდაშირი (224-242), აჟდალანი (224), არდამირად წოდებული შაბური (242-273) და არც მათი თანამდევი საშუალებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მირიანი პირველი სასანიდი შაჰის არდაშირ I პაპაკის ძის სასანიანის შვილია.

მიუხედავად ჩვენი მეცადინეობისა, მაინც ვერ გავბედეთ, დაბეჯითებით გვეთქვა თუ ვინ არის მირიანის მამა. ვერ გავბედეთ, რადგან მირიან-არდაშირის მამაშვილობის შესახებ - არსებობს გ. . მელიქიშვილისეული ფრიად პოპულარული მოსაზრება - „რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ, გამოწვეულია სურვილით მოეძებნოს მას (მირიანს) განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპარიო“ (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. II, გვ. 60-62).

ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ ეს მოსაზრება წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათისაა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს არც ერთი ისტორიული ფაქტი, ამიტომ მას კერძო შთაბეჭდილებაზე მეტი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ეს რომ ასე იყოს, არც ჩვენ გავამახვილებდით ყურადღებას ამ მოსაზრებაზე, მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ აღნიშნული მოსაზრება მყარად დამკვიდრდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

განვიხილოთ გ. მელიქიშვილის მოსაზრება რამდენიმე ასპექტით:

მორალური თვალსაზრისით: - (მირიანმა) თუ იგი ფარნავაზიანია უარყო მამისეული გვარი, რომელსაც დღევანდლამდე სიამაყით იხსენიებს ქართველი ერი. მაშასადამე, უარყო ქართველ მეფეთა დინასტია და თავისი მესიანური ფუნქცია. განა შესაძლებელია დავუშვათ, რომ მირიანისათვის უფრო სასახელო ყოფილიყო ირანის შაჰის მხევლის შვილობა, ვიდრე ფარნავაზიანთა გვარის კანონიერი მემკვიდრეობა? რას უნდა აეძულებინა მირიანი, ასეთი რამ ჩაედინა?

იქნებ ქართლში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა ქართველთა მეფის ასეთი საქციელი? „ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ამ პერიოდისათვის იბერიის დამოკიდებულება ირანის მიმართ უფრო სამოკავშირეო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე დაპყრობის გზით დამყარებული ბატონობა“ (ნ. ლომოური). თვით გ. მელიქიშვილი წერს, რომ „ზორუასტარის ქააბის“ წარწერა არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქართლი იარაღის ძალით იყოს დაპყრობილი“.

ამ მოსაზრებიდან კარგად ჩანს, რომ პოლიტიკური სიტუაცია არ აიძულებდა მირიანს, თავი ირანის შაჰის ნაბიჭვრად ეღიარებინა. ჩვენს მოსაზრებას ლეონტი მროველის ცნობაც ასაბუთებს. როდესაც ირანელთა შემოტევის საშიშროება შეიქმნა, „წავიდა ასფაგურ ქართველთა მეფე ოვსეთს, რათა მოემატნა სპანი ოვსეთით, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი“ (ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, გვ. 62). ცხადია, იარაღით დამორჩილებულ მეფეს საშუალება არ ექნებოდა ასეთი ქმედებისა.

ახლა უპრიანი იქნება, გ. მელიქიშვილის მოსაზრება ეროვნული დიპლომატიის თვალსაზრისითაც განვიხილოთ. ასფაგურ მეფის სიკვდილის შემდეგ შეიკრიბნენ ქართველი დიდებულები და გადაწყვიტეს მირიანის აღსაყდრება ქართლის ტახტზე. ეს გამოიწვია იმან, რომ მეფე ასფაგურს არ დარჩა ძე მემკვიდრედ. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა იმ ისტორიულ ფონს, რომელიც აღმოსავლეთში შეიქმნა.

ამ პერიოდისთვის პოლიტიკური სიტუაცია ქართლის მიმართ ძალიან დაიძაბა. კ. ლუკონინი რუსთამის ერთ-ერთი რელიეფის ანალიზისას არკვევს, „ბარბალისასთან რომაელების გადამწყვეტი მარცხი და შაჰურის კილიკიასა, სირიასა, კაპადოკიასა და მცირე არმენიაში ძლევამოსილი რეიდის შემდეგ, რომს უნდა ეცნო ირანის დაპყრობათა დიდი ნაწილი“. ამ ფონზე სწორი პოლიტიკური ორიენტაცია სასიცოცხლო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოსათვის.

„სწორედ ბარბალისასთან გამარჯვების შემდეგ უნდა მომხდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიყო ირანის დამკვიდრებაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მახელონიაში, რადგან საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია სწორედ ამ დროს შეიქმნა, რამდენადაც დალაშქრული იქნა მახელონიის მეზობელი კაპადოკია და მცირე არმენია“ (ნ. ლომოური). ასეთია მეცნიერთა აზრი.

აღწერილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელსაც ქართველთა მეფის ასფაგურის გარდაცვალებაც დაემთხვა, ძნელი არ უნდა იყოს იმ დიპლომატიური სვლის ქვეტექსტის ამოკითხვა, რომელიც იბერიის სამეფო ტახტზე ირანელი უფლისწულის მოწვევით გამოიხატა. ვფიქრობთ, ქართველ დიპლომატთა ქმედებაში არ ჩანს იმის საბაბი, რომ მათ საქციელს მიღმა ან იბერიის ტახტის, ან ფარნავაზიანთა გვარის უგულებელყოფა იგულისხმებოდეს. ჩვენი აზრით, ამ ფაქტში უფრო ცხადად იკითხება გარკვეული დიპლომატიური სვლა, რომელიც ქვეყნის გადარჩენისაკენ იყო მიმართული.

ამის დასტურად გავიხსენოთ ლეონტისეული ცნობა. ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ სამეფო კარზე შეიკრიბნენ დიდებულები და მათ შორის უპირატესმა სპასპეტმა მაეჟანმა გააანალიზა შექმნილი სიტუაცია.

„წაღებულ არის სომხეთი, რომელსა ეკიდა სამეფო ჩვენი, და აღულია პირი მისი სპარსთა მეფისა შთანთქმად ყოვლისა ქვეყნისა“. ლეონტი მროველის ეს ცნობა ზუსტად ასახავს აღმოსავლეთში მიმდინარე ომების სურათს, რაც სავსებით ემთხვევა მეცნიერთა კვლევით დადგენილ ფაქტებს.

ავითარებს რა თავის პოლიტიკურ მოსაზრებას, სპასპეტი მაეჟანი ამბობს: „მივაგოთ წინა მეფესა სპარსთა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩვენდა და ვევედრეთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩვენისა ასფაგურისა. ვაუწყოთ ქალისა მის ნათესაობა ქართლოსიანთა და ნებროთიანთა და დიდებულთა არშაკუნიანთა და მეფეთა ჩვენთა ფარნავაზიანთა“. (ლ. მროველი).

ამ ფრაზის შემდეგ არალოგიკურია ვიფიქროთ, მთლიანი საქართველოს იდეით შეპყრობილ კლასიკურ ქრისტიანს - ლეონტი მროველს აზრად მოსვლოდა დამპყრობსა და ცეცხლთაყვანისმცემელში ეძებნა ფარნავაზიანთა მოდგმის მეფის - მირიანისათვის „უფრო სახელოვანი წინაპარი.“

ახლა კი დროა, ვთქვათ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მირიანის მამა?

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ტერმინი არდაშირი ირანის უზენაესი მპყრობელის ტიტულია და ამ ტერმინით მოიხსენებიან ირანის მპყრობელთა ასე თუ ისე გამორჩენებული პირები, რაც სულაც არ გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ არდაშირობით მოხსენებული მეფენი უეჭველად არდაშირ სტარჰელს ნიშნავს.

არც ტერმინმა აქალალიანმა დაასაბუთა ჩვენთვის საინტერესო მოვლენებში არდაშირ სტარჰელის მონაწილეობა. ამიტომ სწორად იქცევა ლეონტი მროველი, როცა ამბობს, რომ ასფაგურ ქართველთა მეფის მოღვაწეობის დროს - “ამისზე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშირვან სასანიანი“. (ლ. მროველი). საქმე მხოლოდ ისაა, ვინ იგულისხმება ქასრე ანუშირვან სასანიანის მიღმა?

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ქართული და სხვაენოვანი წყაროები, მეფეთა რიგი და აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები შაბურ I მოღვაწეობის პერიოდს მიუთითებენ.

ამიტომ იბადება კითხვა - ხომ არ შეიძლება შაბური იყოს მირიანის მამა? ეს მოსაზრება ადრეც გამოითქვა, მაგრამ მას პოპულარობა ვერ მოუპოვებია. იგივე აზრი გამოთქვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ. ეყრდნობოდა რა თ. მომშენის მონაცემებს, კ. ცინცაძეს მიაჩნდა, რომ „მირიანი იყო შვილი ერთ-ერთი სასანიდი შაჰისა - შაპურ - I“. (სადვთისმეტყველო კრებული, 1987, №3 გვ. 88); რადგან ისტორიული მასალის ანალიზმა ჩვენში იგივე აზრი დაბადა, შევეცადეთ დამატებითი წყაროების მოძიებას, რომელიც აღნიშნულ ფაქტს დაასაბუთებდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ამან ქასრე შეიპყრა ვალერიანე კეისარი, არამედ ქასრე სახელი საბურ წოდებული არს“ (გვ. 71).

ისტორიული ფაქტია, რომ 260 წელს ვალერიანე კეისარი შაბურმა შეიპყრო. ვახუშტის ცნობაში კი მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ქასრესა და მეფე შაბურს ერთ პიროვნებად თვლის ისევე, როგორც ლეონტი მროველი.

ასევე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის მეორე ცნობაც, რომელიც ნათელს ფენს ჩვენს წერილში დასმულ პრობლემას. „ესე მირიან ძე იყო სპარსთა მეფისა საბურ წოდებულისა“. ვფიქრობთ, ლეონტი მროველისა და ვახუშტის ცნობების შეჯერება საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ მირიან ქართველთა მეფის მამა არის შაბური. როგორც ჩანს, აქ რაიმე შემთხვევითობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ გარკვეულ ცოდნასთან, რომელსაც ორივე ავტორი იზიარებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო და ქართველ მეცნიერთა სხვა მასალების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მირიანი შესაძლებელია იყოს შაბურ პირველის შვილი. ყოველ შემთხვევაში, უცილობელია იმის აღიარება, რომ მირიანი შაბურის თანამედროვეა და მისი მეფობის დასაწყისი შაბურის (242-273) ზეობის წინა პერიოდს უნდა ემთხვეოდეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მანანა იამანიძე

## „ქართველი აღმოსავლეთში ყველაზე გულადი ვაჟკაცია“

ფრანგი საეკლესიო მისიონერის სენიორ აბე გოდეროს მოგზაურული თხზულება: „საფრანგეთში მეგობრისადმი მიწერილი მოთხრობები სპარსეთზე“ (1701 წ.) ეპისტოლური ჟანრისაა. აბე გოდერო სწორედ იმ საეკლესიო მისიონერებს მიეკუთვნება, რომლებიც იგზავნებოდნენ საეკლესიო საზოგადოების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნებში რელიგიური ვითარების შესასწავლად. მან ირანში 10 წელი დაჰყო იქაურ ქრისტიანთა შესაწყნარებლად და ნუგეშსაცემად. ღვთისმსახური გოდერო მოღვაწეობდა XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში.

ავტორს შეუკრებია ბევრი საინტერესო ამბავი, რომელსაც წერილების სახით სთავაზობს თავის მეგობარს. იგი თხრობას იწყებს მესოპოტამიასა და ქალდეასადმი მიძღვნილი წერილით, სადაც მან ერთი წელი დაჰყო. მომდევნო წერილები ეთმობა არაბებს, სომხებს, თათრებს, ქართველებს და ა.შ. სენიორ აბე გოდეროს თხზულების ხელნაწერი სრული სახით დაცულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ხელნაწერის დასაწყისში, სათაურშივე, მითითებულია ავტორი და თარიღი: „Relation de Perse écrite à un amy en France par Sen L` Abbé Gaudereau, missionnaire en perse“, 1701. ავტორმა საქართველოს დაუთმო თავისი წერილების 29-32 ფურცლები.

1702 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანგი ღვთისმსახურისა და მოგზაურის დე ლა ფორეს დე ბურგონის მიერ შედგენილი წიგნი: „სპარსეთის აღწერა, აღმოსავლეთის ყველაზე ვრცელ ნაწილში რელიგიის მდგომარეობის შესახებ“. წიგნში აბე გოდეროს და სხვა მისიონერთა რამდენიმე თხზულება ავტორთა მოხსენიების გარეშეა. დე ლა ფორეს დე ბურგონი შესავალში მოკლედ აცნობს მკითხველს წიგნის გამოქვეყნების ისტორიას: „მის უწმინდესობა აგატოფლის ეპისკოპოსს კარგად მოეხსენებოდა გეოგრაფიისა და ისტორიისადმი ჩემი ცხოველი ინტერესის შესახებ და სამოგზაუროდ წასვლამდე რამდენიმე თვით ადრე გადმომცა ამ საუკუნის დასაწყისში სპარსეთში წარგზავნილთა საეკლესიო მისიონერთა წერილები... ჯერ ჩემთვის გადავინახე, არ მინდოდა გამევრცელებინა, წაკითხვისას წავაწყდი მრავალ საინტერესო მოსაზრებას სამ მთავარ სქიზმაზე, კერძო სექტების დოგმებისა და პოლიტიკაზე, აგრეთვე, ძალზე უცნაურ თავგადასავლებს, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე ყოველივე ეს გამეცნო მეგობრებისათვის და მკითხველი საზოგადოებისათვის“.

ამგვარად, არსებობს აბე გოდეროს თხზულების ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტი. მათი შედარებისას გაირკვა, რომ დე ლა ფორეს დე ბურგონის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში მოთავსებული რამდენიმე წერილი საქართველოს შესახებ, რომლის ავტორი არ არის მითითებული, სიტყვა-სიტყვით ემთხვევა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ტექსტს საქართველოს შესახებ და რომლის ავტორი არის ფრანგი მოგზაური, რელიგიური მისიონერი სენიორ აბე გოდერო.

გთავაზობთ გოდეროს ხელნაწერის იმ ნაწილის ჩვენეულ თარგმანს, რომელიც საქართველოს ეხება. ტექსტი ქვეყნდება პირველად და ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

•

სპარსეთის ქრისტიანთა შორის ქართველებს ყველაზე ნაყოფიერი მიწები უჭირავთ. ისინი სომხების მსგავსად არ არიან გაბნეულნი ამ უდიდესი სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებში, სადაც სპარსელები დიდად ვერ ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას, განსაკუთრებით კი საქართველოში. თუმცა, აგერ უკვე ერთი საუკუნეა, რაც სეფი ამ ქვეყნის ხელმწიფეა, მაგრამ მან აქამდე ვერ გაბედა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში მეჩეთის აგება. ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს III საუკუნის ბოლოს წმინდა ნინოსა და წმინდა მარიას კურთხევით. წმინდა ქალწულებმა ლოცვითა და ვედრებით განწმინდეს და სარწმუნოებრივად გარდაქმნეს ქართველი მეფე, რის შესახებ მაშინვე აცნობეს წმინდა გრეგუარ განმანათლებელს, რომელმაც მეფისა და მისი კარის მირონცხებისათვის წარგზავნა ეპისკოპოსი და მღვდლები. ქრისტეს რჯულის აღიარების შემდეგ პაპმა სილვესტრმა სასულიერო იურისდიქციით საქართველო დაუქვემდებარა წმინდა გრეგუარ ნაზიანელსა და მის მიმდევართ მანამ, სანამ კონსტანტინოპოლის პატრიარქები ქართველებსა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს ჩაითრევდნენ რომის პაპის წინააღმდეგ ამბოხებაში და აზიარებდნენ ბერძნების მცდარ წესჩვეულებებს. თუმცა ისინი მთლად არ აჰყვნენ ამ უკანასკნელთ დასავლეთის საეკლესიო საზოგადოებისადმი სიძულვილში. ქართველები აზიის ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და სხვებზე მეტად აფასებენ იურისდიქციას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნესტორელთა შემდეგ ისეთი განუსწავლელი სქიზმატიკოსები, როგორიც ქართველთა დიდი ნაწილია, საერთოდ არ მინახავს. მათ, გარდა იმისა, რომ ღვინოს სვამენ და ღორის ხორცს ჭამენ, არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანებთან და სჯერათ, რომ მაჰმადიანიც კი გაქრისტიანდება, თუკი ის ღვინოს ან ღორის ხორცს მიეტანება. ნათლობის დროს მათი მღვდლები, რომლებსაც არავინ უსმენს, იფარგლებიან მხოლოდ რამდენიმე ფრაზის წაკითხვით, რომლის დროსაც ისინი ხშირ-ხშირად სვამენ ბავშვს წყლიან ემბაზში; მაღალი წოდების პირთა განბანვა ხდება ღვინით. ეს რიტუალი ფართოდ არის ფეხმოკიდებული. თუკი რაიმე ფათერაკი შეემთხვათ, თავის დასახსნელად გათურქებაც არ გაუჭირდებათ და, როცა საშიშროება

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღარ ელით, ხელახლა ინათლებიან, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან მაჰმადიანური სარწმუნოების კვალი. ამგვარი უმეცრება არა მარტო მდაბიოთა ფენაშია გავრცელებული - ამჟამინდელი თბილისის მეფისნაცვალი ირაკლიუსი განუდგა ქრისტიანულ სარწმუნოებას, სანაცვლოდ დაიბრუნა წოდება და მდგომარეობა და ურწმუნოთა მსგავსად აღავსო ცოლებითა და საყვარლებით თავისი სასახლე, თუმცა არც ერთ წირვასა და ქრისტიანულ დღესასწაულს არ აკლდება, მიუხედავად ევანგელეს არსთან მათი მოქმედების მცირეოდენი მსგავსებისა (დაპირისპირება რომ არა ვთქვათ), ამ ერის სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ იმ ბედნიერმა ნაწილმა, რომელმაც შეიცნო და იწამა ჭეშმარიტება, იმთავითვე გაიაზრა, ემსახუროს მხოლოდ ორ უფალს, რაც შეეხება სარწმუნოებას, მისთვის იგი უყოყმანოდ გაწირავს თანამდებობას და ყოველივე სიკეთეს, რაც მას გააჩნია.

•

მე მქონდა ბედნიერება, გამეცნო და ისპაჰანის ტყვეობიდან დამეხსნა მრავალი წამებული ქართველი, მათ შორის წარჩინებული პირი. უფრო მეტიც, არაერთხელ მქონია პატივი, მენახა და მესაუბრა საქართველოს სამეფო გვარის პიროვნებებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლეონ მირზა, (მეფე გიორგი XI -ის ძმა - მთარგმ.) ქართველთა აჯანყების სულისჩამდგმელისა და მეთაურის გურგენ ხანის (მეფე გიორგი XI, თეიმურაზ მეფის ვაჟიშვილი - მთარგმ.) ძმა, მან მტკიცე უარი განაცხადა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებაზე, რის გამოც სპარსეთის მეფის ბრძანებით ციხე-სიმაგრეში ჩააგდეს, სადაც მოლების გარდა ვერავის შეხვდებოდა. მან იქ 10 წელი დაჰყო. ერთ-ერთი წამების შემდეგ სეფიმ მოიხმო თავადი სასახლეში და განცვიფრებული დარჩა, რადგან ის უფრო მტკიცე და ურყევი იყო, ვიდრე ოდესმე. მაშინ ხელმწიფემ გადაწყვიტა, ცბიერებით აღესრულებინა ის, რაც ძალით ვერ შეძლო: თავადი ლეონ მირზა მეჯლისზე მიიწვია და დაათრო. გონდაკარგული მიიყვანეს იგი მაჰმადიანური ადათის აღმასრულებელთან, დააწვინეს მაგიდაზე და წინადაცვითეს. გამოფხიზლებულმა თავადმა შეამჩნია თუ არა მაჰმადიანობის დაღი თავის სხეულზე, თავზარი დაეცა და მძიმე განცდებით რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

•

ქრისტიანული სარწმუნოებისთვის არანაკლები სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინა საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა ელენემ, თბილისის მეფისნაცვლის ირაკლიუსის დედამ: ხანგრძლივი, დამანგრეველი ომისა და მრავალი ჭირ-ვარამის შემდეგ ცარის (რუსეთის მეფე, პეტრე დიდი, მეფობდა 1689-1725 წწ. - მთარგმ). ჩარევით თითქოსდა ჩაწყნარდა საქართველო, რომელიც შედგება გურჯისტანის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ჩერქეზეთის, კომანისაგან. იგი მთლიანად დაპყრობილია. სპარსეთის მეფე არის გურჯისტანის ბატონ-პატრონი 1639 წლიდან. დედოფალი თავის ვაჟთან ერთად სპარსეთის ხელმწიფის კარს აახლეს. მეფე სულეიმანი ხან დაყვავებით, ხან მუქარით ეცადა, დედოფალი იესო ქრისტეს განდგომოდა. როცა ვერაფერს გახდა, განრისხებულმა ხანჯალი იშიშვლა და დედოფლისკენ გაიწია. დედოფალმა, რომელიც მუდამ გულგრილი იყო ურწმუნოს მიერ შემოთავაზებული მეგობრობისა და მტრობისადმი, მკერდგამართული დადგა მის წინაშე და შეაგულიანა კიდეც: „დამკარით, ხელმწიფევ, თორემ თქვენი ბრწყინვალებისთვის უღირსი საქციელი იქნებოდა, ხანჯლის ამაოდ გაშიშვლება“.

მე პირადად ვესაუბრე მის კეთილშობილებას, შევთავაზე კიდეც ქართველი კათოლიკების სამსახური, რომელთანაც წერილობითი კავშირი მქონდა. ღრმადმორწმუნე დედოფალი უდიდეს სიამოვნებას ამჟღავნებდა, როცა შეიტყობდა თურქებზე ქრისტიანი მეფეების გამარჯვების შესახებ. როგორც კი პაპის სახელს წარმოვთქვამდი, იგი მუხლმოდრეკილი გამოხატავდა მოწიწებას წმინდა პეტრეს მიმდევრებისადმი. ხუთი წელია, რაც ეს ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა ისპაჰანში, 90 წლის ასაკში. აქედან 50 წლის მანძილზე იგი მედგრად იცავდა თავის სარწმუნოებას და ისეთი სიმკაცრით იმღუდავდა საკვებს, რომ რძესა და თევზსაც კი პირს არ აკარებდა.

ქართველი აღმოსავლეთში ყველაზე გულადი ვაჟკაცია. სეფის ძალიან შეეშინდებოდა ქართველების, რომ არა მისი ცბიერი პოლიტიკა - მან შეიმუშავა ორი ხერხი, რათა თანდათანობით და შეუმჩნევლად გაენადგურებინა ისინი.

პირველი - საქართველოს სამეფო კარის ორ შტოდ გაყოფა და მათი ურთიერთწაქეზება. მას კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ ჩამოეგდო ურთიერთშორისი შუღლი და მტრობა: ჯერ ერთმანეთს წაჰკიდებდა, მერე ორივეს დააშოშმინებდა, შემდეგ ხან ერთს წყალობდა განსაკუთრებულად, ხან ორივეს ერთდროულად. მისი აზრით, ქართველები მუდმივად ამით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი, რომ არაქათგამოცლილებს აზრადაც არ მოსვლოდათ, გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მათ ერთმანეთის შურისა და შუღლისათვის უნდა შეეწირათ თავისი ერის დარჩენილი სისხლი და ძალა.

მეორე - ორივე სქესის მცირეწლოვანი ქართველი ბავშვების 2 წლის ასაკიდან გატაცება. ქართველებს მსოფლიოში საუკეთესო სისხლის მქონე ხალხის სახელი აქვთ, რაც ბევრს უბიძგებს ძალმომრეობისკენ - არა მხოლოდ თურქები და სპარსები, თათრები და ინდოელებიც კი ყიდულობდნენ საქართველოში მონებს. ვინ შეიძლება წარმოიდგინოს ამაზე საშინელი სურათი: დილიჟანსით მიმავალთ ხშირად უნახავთ საქართველოს ტყეებსა და მთებში მიმოფანტული ბავშვთა გვამები. აუწერელია ბარბაროსობა, რასაც მათ მიმართ სჩადიან - დედას მკერდიდან გლეჯენ ბავშვებს. განუზომელია მათი მწუხარება და სასოწარკვეთილება. ყველაზე სასტიკი სინამდვილე კი ის არის, რომ თვით მშობლები ზოგჯერ იძულებულნი არიან თავისი ნებით ან იძულებით დაკარგონ ყველაზე ლამაზი შვილი, არის შემთხვევები, რომ თვითონ მიმართავენ უცხოელებს საკუთარი შვილის, სისხლისა და ხორცის გასაყიდად და ამისათვის სულ მცირე გასამრჯელოთი კმაყოფილდებიან.

ჯერჯერობით სულ ეს არის, ბატონებო, რისი მოწერის დროც გამიჩნდა. პირველსავე შემთხვევაში ვეცდები მოგაწოდოთ სხვა უცხო ამბები, რომლებმაც, შესაძლოა, კიდევ მეტად მიიპყროს თქვენი მაღალი ყურადღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადონა ფალავანდიშვილი

# ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის თაობაზე

აღზრდის პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი მთავარი ზოგადპედაგოგიური პრინციპი - აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან - თავის რეალურ ასახვას პოულობს ზნეობრივი აღზრდის ამ სპეციფიკურ პრინციპში, რამეთუ სწორედ რეალური სიტუაცია და ზნეობრივი შეგნება განაპირობებს ადამიანის ზნეობრივ ქცევას, საქმიანობას თუ ურთიერთობას. ეს ურთულესი პრინციპია და იგი ერთდროულად მოიცავს მორალურ შეგნებას, მორალურ მსჯელობებს, ეთიკურ შეფასებებს, ზნეობრივი ქცევის მოტივს, არჩევანს და გადაწყვეტილებას. ყველაფერი ეს საბოლოოდ განაპირობებს მორალური ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობების ხასიათებს, რაშიც ვლინდება მორალურ-ეთიკური ნორმების გაცნობიერების დონე და ზნეობრივ მოთხოვნათა რეალური შესრულების პიროვნებისეული შესაძლებლობანი. მეორე მხრივ, მორალური სიტუაცია, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამის ქმედებას, დაკავშირებულია მის ჩვევებსა და ცხოვრებისეულ პოზიციასთან, რაც გარკვეულწილად ასახავს პიროვნების მორალურ შეგნებასაც. ე. ი. იგი მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი მსოფლმხედველობის პრაქტიკული გამოვლინების საშუალებაცაა.

ამ პრინციპის რეალიზაციის სტრუქტურა ასეთია: მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაში სისტემატურად აღმოცენდება ან აღმზრდელები თვითონ სპეციალურად ქმნიან ისეთ ზნეობრივ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს მისგან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ცხოვრებისეული, ასევე ხელოვნურად შექმნილი სიტუაცია ზნეობრივი აღზრდის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მორალურ-ეთიკური კატეგორიებისა და ნორმების გაცნობიერების, ასევე პრაქტიკული ზნეობრივი გამოცდილების დაგროვებისა და შემდგომი გაფართოების მნიშვნელოვანი საშუალება.

ზნეობრივი სიტუაციით აღმოცენებული პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია მოსწავლის მსოფლმხედველობასთან, შეგნებასა და ცხოვრებისეულ პოზიციასთან.

მსოფლმხედველობა არის პიროვნების ცოდნის, შეხედულებების, რწმენის, გამოცდილების ერთობლიობა. ბუნებრივია, რომ ყველაფერ ამაში თავისი ადგილი უჭირავს ზნეობრივსაც. აქედან გამომდინარე, ზნეობრივი პრობლემის გადაწყვეტისათვის მსოფლმხედველობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლმხედველობა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის მორალურ-ეთიკურ ცნობიერებას. მორალური ცნობიერების ფუნქცია მდგომარეობს ყოფიერების მორალური პრობლემის შეფასება-რეგულირებაში. ეთიკური ცნობიერება განსაზღვრავს ამ პრობლემის სოციალურ-პიროვნულ, მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძვლებს საზოგადოების სულიერი კულტურის ჩარჩოებში. რასაკვირველია, მორალურ-ეთიკური ცნობიერების ასეთი დიფერენციაცია რამდენადმე პირობითია, რამეთუ მთლიანად იგი ემსახურება ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება-განვითარებას.

მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი შეგნება გულისხმობს ზნეობრიობის განვითარების ქცევისადმი, საქმიანობისა, ურთიერთობისადმი პასუხისმგებლობის გარკვეულ დონეს, რაც განაპირობებს ადამიანის ცხოვრების ამ სამი სფეროს ზნეობრივ ხასიათსა და შინაარსს. ამავე დროს შეგნება განსაზღვრავს ზნეობრივი ქცევის ფორმებს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მიღებული და დამკვიდრებული მორალურ-ეთიკური მოთხოვნების ნებაყოფლობით აღიარების, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების სოციალურ-ისტორიული გამოცდილების შეთვისების გზით. ზნეობრივი სიტუაციის პრინციპი სწორედ ყველაფერ ამის აღზრდა ფორმირებას ითვალისწინებს.

მსოფლმხედველობა და შეგნება განსაზღვრავს პიროვნების ცხოვრებისეულ პოზიციას, ანუ ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობების პრინციპებს. ზნეობრიობის თვალსაზრისით, ცხოვრებისეული პოზიცია არის ადამიანის საზოგადოებრივ-პიროვნული ცხოვრების ყველა სფეროს ერთიანი სისტემა, რომელშიც აისახება პიროვნების მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი სახე, მისი ზნეობრივი მრწამსი. ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირება ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი მთავრი ამოცანაა.

ბუნებრივია, რომ როდესაც ვლაპარაკობთ მსოფლმხედველობაზე, შეგნებასა და ცხოვრებიძსეულ პოზიციაზე, ჩვენ აქ ვგულისხმობთ მათ იმ დონესა და შინაარსს, რომელიც მიესადაგება და შეესატყვისება უმცროსკლასელებს მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, შესაძლებლობებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით. ახლა კი დავუბრუნდეთ ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის სხვა ელემენტებს.

რეალური ზნეობრივი სიტუაცია ბადებს ზნეობრივი ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობათა მოტივს. მოტივი არის მოქმედების შინაგანი სუბიექტურ-პიროვნული მიზეზი. გარკვეული მოქმედების შესრულებით დაინტერესება. აქ სინონიმებად ნაწილობრივ შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა სტიმული, განზრახვა, მიზანი. მოტივი ყოველთვის წარმოადგენს მოქმედების საფუძველს.

მოტივის აღმოცენება დაკავშირებულია ზნეობრივი სიტუაციის სწორ გაგებასთან და შესაბამისი მიზნის შერჩევასთან. მიზანი ეს არის მოქმედების სასურველი შედეგის წინასწარ განსაზღვრა ანუ ის, რასაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა ამა თუ იმ მოქმედების შედეგად. მიზანი შეიძლება იყოს სუბიექტური ანუ პიროვნულ მოტივებსა და განზრახვაზე დაფუძნებული ან ობიექტური, რომელიც გამომდინარეობს საყოველთაო რეალური მნიშვნელობის მიზნებიდან. ისიც შეიძლება და ხშირად ასეც ხდება, რომ ისინი ემთხვევიან ერთმანეთს. მიზანი ასევე შეიძლება იყოს პირობითი და აბსოლუტური. პირველი მათგანი არის ე. წ. შუალედური მიზანი, რომელიც განსაზღვრულია სხვა უფრო მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად. აბსოლუტური კი ითვალისწინებს ისეთი შედეგის მიღწევას, რომელსაც აქვს ზნეობრივი თვითღირებულება, ხოლო მისი შინაარსი ემთხვევა იდეალს და წარმოადგენს მორალური პრინციპების რეალიზაციის საფუძველს. მიზანი ასევე შეიძლება იყოს დადებითი, რომელიც შეესაბამება მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებს, და უარყოფითი, რომელიც ეწინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღმდეგება მათ.

მიზნის განსაზღვრით მთავრდება ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი მოიცავს, ერთი მხრივ, პიროვნების ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ნორმების გაცნობიერების დონე, ჩვეულება და ხასიათი, მეორე მხრივ კი მასში იგულისხმება აზროვნების ფორმები: მსჯელობა, შეფასება, დასკვნა და გადაწყვეტილების მიღება.

ნორმის ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ზნეობრივ მოთხოვნათა შედარებით უბრალო ფორმებს, რომლებიც ერთდროულად გვევლინება, როგორც მორალურ-ურთიერთობათა ელემენტი და როგორც მორალური ცნობიერების ფორმა. ესაა ქცევის, საქმიანობისა და მოქმედების ნორმები, რომლებიც სისტემატურად აისახება მრავალი ადამიანის არსებობის ყველა სფეროში, როგორც კანონი, რაც სავალდებულოა ყოველი ცალკეული ადამიანისათვის.

ზნეობრივი სიტუაციის პრინციპი ამ ნორმების გაცნობიერებასა და უმცროსკლასელთა მიერ ცხოვრებაში მათ პრაქტიკულ რეალიზაციასაც გულისხმობს მათთვის მისაწვდომი, გასაგები ასაკისათვის შესატყვისი ფორმით.

ზნეობრივი სიტუაციით აღმოცენებული პრობლემის სწორ გადაწყვეტაში და შესაბამის ქმედებაში გარკვეულ როლს ასრულებს საზოგადოებრივი დისციპლინის ისეთი სახე, როგორიცაა წეს-ჩვეულება. ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და საზოგადოებაში გავრცელებული ქცევის, მოქმედებისა და ურთიერთობათა ფორმები, რომლებიც მეორდება გარკვეულ ვითარებაში. ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობათა საზოგადოდ მიღებული და განმეორებადი ფორმები, აგრეთვე ეროვნული და რელიგიური წეს-ჩვეულებანი, წარმოადგენს ჩვეულებათა შინაარსს. ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობათა მრავალფეროვან ფორმებში უმცროსკლასელთა ჩაბმით ისინი არამარტო გაიცნობიერებენ ამ წეს-ჩვეულებებს და ეუფლებიან შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ რეალურ ან აღმზრდელთა მიერ ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში პრაქტიკულად ასრულებენ მათ.

მორალური ხასიათის ცნების ქვეშ იგულისხმება პიროვნების ზნეობრივ თვისებათა ერთობლიობა, რაც წარმოადგენს ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგანს. ადამიანის მორალური ხასიათი ვლინდება ქცევის, საქმიანობისა და ურთიერთობათა მრავალფეროვნებაში.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ზნეობრივი სიტუაციის განპირობებული პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად უკავშირდება პიროვნებას, მის ფორმებსა და ოპერაციებს. ჩვენ აქ აზროვნების მხოლოდ იმ ფორმებს განვიხილავს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის გაგება-გააზრებისათვის. ასეთებია: მსჯელობა, შეფასება და დასკვნა.

მსჯელობა აზროვნების ისეთი ფორმაა, რომელშიც აისახება სინამდვილე. ზნეობრიობის თვალსაზრისით მსჯელობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი მოვლენების, მათ ცალკეულ ნიშან-თვისებებს შორის არსებული კავშირების ურთიერთობბეის, ურთიერთდამოკიდებულებების მტკიცება ან უარყოფა. ყოველი მსჯელობა ორი ცნებისაგან შედგება და სწორედ მათ შორის მყარდება მიმართება.

ზნეობრივი მსჯელობა გამოჰყოფს იმ მიმართებას, რომელშიც ჭეშმარიტებას შეესატყვისება. ზნეობრივი მსჯელობა, ერთის მხრივ, თეორიულად აფიქსირებს ქცევის, მოქმედებისა თუ ურთიერთობების ზნეობრივ ხასიათს, რომელშიც აისახება სუბიექტის შეხედულება მისადმი, ხოლო მეორეს მხრივ, მსჯელობა შეიცავს სუბიექტის მიერ ზნეობრივი მოვლენის მორალეთიკურ შეფასებას და გამოხატავს მის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას მისადმი. ამდენად, ზნეობრივი სიტუაცია აიძულებს მოსწავლეს მსჯელობის გზით დაადგინოს მოქმედების ზნეობრივი ხასიათი.

როგორც წესი. ზნეობრივი მსჯელობის შედეგია სიტუაციის ზნეობრივი მხარის მორალურ-ეთიკური შეფასება, რომელშიც აისახება არა მარტო სიტუაციის ზნეობრივი ღირებულება, არამედ, აგრეთვე ადამიანის მსოფლმხედველობა, შეგნება, ცხოვრებისეული პოზიცია და მისი ზნეობრივი ხასიათი.

მსჯელობისა და შეფასების შედეგია დასკვნა. ანუ „განაჩენის გამოტანა". დასკვნაში აისახება სხვადასხვა მსჯელობათა ურთიერთშედარებისა და ანალიზის შედეგი. იგი შეიძლება იყოს ინდუქციური - კერძოდან ზოგადისაკენ, დედუქციური - ზოგადიდან კერძოსკენ და ანალოგიური: ანუ დასკვნა, რომელიც მიიღება ზნეობრივ მოვლენათა ურთიერთმსგავსების დადგენის საფუძველზე. ზნეობრივი აზროვნების ეს ფორმები, რასაკვირველია შესაბამისად ეყრდნობა აზროვნების ზოგად ფსიქოლოგიურსა და კონკრეტულად ზნეობრივი აზროვნების ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა: ანალიზი, სინთეზი, შედარება, აბსტრაქცია და კონკრეტიზაცია.

ზნეობრივი სიტუაციის პრინციპის დამაგვირგვინებელი ეტაპია გადაწყვეტილების მიღება ანუ საბოლოო არჩევანის გაკეთება. მორალური გადაწყვეტილება ეს არის მორალური არჩევანის ინტელექტუალური საფუძველი. გადაწყვეტილების მიღებისას მორალური ცნობიერება, ირჩევს რა მოქმედების სახეს, უპირატესობას აძლევს ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს იმის მიხედვით, თუ რომელ ზნეობრივ ნორმას ან ფასეულობას ანიჭებს უპირატესობას. ფაქტიურად მორალური გადაწყვეტილება თავის თავში მოიცავს ზნეობრივი სიტუაციის თითქმის ყველა კომპონენტს. ეს არის ამ სიტუაციის შესახებ მსჯელობა და მისი ანალიზი, მისი პრობლემურობის გამოვლენა, მოქმედების სხვადასხვა ვარიანტების შედარება და ბოლოს შეფასება. მიღებული მორალური გადაწყვეტილების სისწორე, ოპტიმალურობა, სიტუაციისადმი შესატყვისობა დამოკიდებულია პიროვნების უნარზე მიიღოს იგი საქმის ცოდნით, რასაც განაპირობებს ადამიანის ზნეობრივი გამოცდილება და მორალურ ეთიკური კულტურა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებაში აგრეთვე მონაწილეობს ცნობიერების ისეთი ელემენტები, როგორიცაა გონიერება, ინტუიცია, გამჭრიახობა, მოსაზრებულობა და მოვლენათა შორის ორიენტირების უნარი. განსჯის შედეგად მხოლოდ გონებას შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს ამა თუ იმ ზნეობრივი პრობლემის გადაწყვეტას, აირჩიოს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

როგორც ვხედავთ, ზნეობრივი სიტუაციის პრინციპი მოიცავს ზნეობრივი აღზრდის თითქმის ყველა კომპონენტს და ამავე დროს შესაძლებლობას აძლევს აღმზრდელსა და აღსაზრდელს მორალურ-ეთიკური ცნობიერება, ზნეობრივი გამოცდილება, დაუკავშიროს ცხოვრებისეულ პრაქტიკას და ამით გამოავლინოს და გაამდიდროს არა მარტო მორალურეთიკური ცოდნა, არამედ სრულყოს და გააფართოოს მოსწავლის ზნეობრივი გამოცდილება.

აქედან გამომდინარე ეს პრინციპი უმცროსკლასელთა ზნეობრივი აღზრდის წამყვან პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა ბარამიძე

# ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში

უკეთილშობილესი, უსპეტაკესი და უპატიოსნესი სახელი ილია ჭავჭავაძისა წმინდად შემოუნახავს ქართველი ერის მეხსიერებას.

ილიას შესახებ არსებული მდიდარი მემუარული წყაროები, რომლებმაც არქივებსა და ხელნაწერთა ყვითელ ფოლიანტებში ჰპოვეს თავშესაფარი, მასშტაბურად იკაფავს გზას მზის სინათლისაკენ. მემუარებში წინა პლანზეა წარმოჩენილი ილიას ფენომენური ინტელექტუალური საქმიანობა, რომელსაც დიდი პოლიტიკური და ლიტერატურული რეზონანსი ჰქონდა. ავტორთა შორის ვხედავთ ალალმართალ ადამიანებს, მამულიშვილობის გრძნობითა და სულით ამაღლებულებს, გლეხსა და პედაგოგს, მოჯამაგირესა და მოახლეს, კამერდინერსა და აკადემიკოსს, მწერალს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს. მათ მეხსიერებაში ცოცხლად შემონახულა ილიას ცხოვრების ეპიზოდები.

მოგონებებში დამაჯერებლად არის გამხელილი ილიას როგორც კულტურტრეგერის, კულტუროლოგისა და ცივილიზაციის დამამკვიდრებლის დიადი ბიოგრაფიის ცალკეული მომენტები და სიტუაციები.

ილია დიდი დიაპაზონის მქონე და ისეთი კოლორიტული პიროვნება იყო, რომ მის ნახვასა და მასთან შეხვედრას ბევრი გამოჩენილი მოღვაწე ნატრობდა.

„...მხოლოდ ერთხელ ვნახე ახლო ჩემს სიცოცხლეში, - წერს დრამატურგი ნატ. აზიანი ილიას შესახებ: ჩემი პირველი პიესის წარმოდგენის ღამეს ანტრაქტში მიმიყვანეს და გამაცნეს დიდი ხნის ნანატრი პოეტი-ბელეტრისტი. აქვე იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ რამდენიმე მწერალი, მაგრამ მე აღტაცებული ვუმზერდი ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ჩემთვის სასიამოვნო სიტყვებთან ერთად ბევრ გამომაფხიზლებელ დარიგებასაც მაძლევდა: „თავში არ აგივარდეთ ქება-დიდება, უფრო ღრმად ჩააკვირდით ცხოვრებას, ბლომად იკითხეთ წიგნები, სცენა შეისწავლეთო".

ილიას ბიოგრაფიული ფურცლებიდან ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი და მოვლენა ხელმიუწვდომელია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. არქივთსაცავებში შემონახული მოგონებები, რომლებიც მხოლოდ მკვლევარებისათვის არის ხელმისაწვდომი, ბევრ ახალ მასალას შეიცავენ მისი პოეტური და პერსონალური დახასიათებისათვის.

იგონებს რა ილიას შემოქმედების წუთებში პოეტი და ილიას ახლო მეგობარი არტ. ახნაზაროვი, წერს: „წერის დროს ხშირად ათი თხუთმეტი წუთი იჯდა ილია და თავის კალმიან ხელს „დაკეტილ" ტუჩებს იმ დრომდე არ მოაშორებდა, ვიდრე თავისებურ გამოკვეთილ ფრაზას მარგალიტივით არ შეაწყობდა და ქაღალდზე არ აღნიშნავდა დამარცვლული ასოებით, რადგანაც ილიას წერაში ასოთა გადაბმა და შეერთება არ უყვარდა. მისი ნაწერის ყოველი ასო ლამაზად და ცალ-ცალკე აღნიშნული იყო და ამიტომაც დიდად გარკვეული და წასაკითხად ადვილი.

წერაში ილია მეტად ფრთხილი და სიტყვადაზოგილი იყო, დიდად აფასებდა ლაკონიზმს და სიტყვის მოკლედ მოჭრას; როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავის დაწერილს რამდენჯერმე მუშტრის თვალით გადაიკითხავდა, შეასწორებდა, შეაკეთებდა, გამოკვეთავდა და ამითაც არ კმაყოფილდებოდა, ხშირად უკვე დაწერილ და დამთავრებულ წერილს შანდლის ქვეშ ამოსდებდა და მე ან გიგა ყიფშიძეს, ვინც შევხვდებოდით, გვეტყოდა, შემდეგ გადავიკითხავ და თუ მომეწონა, დავბეჭდოთო".

მოგონებათა ფურცლებზე ფიქსირებულია არამარტო ილიას მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, არამედ მის თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ლიტერატურული პორტრეტები. ისინი სუნთქავენ ეპოქის სურნელით, ეხებიან კლასობრივი ბრძოლისა და კლასთა მკვეთრი დიფერენციაციის პერიოდს, როცა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია ფეხს იდგამდა და მუშათა და გლეხთა მოძრაობით შეშინებული თვითმპყრობელობა გამოსავალისა და თავის გადასარჩენი გზების ძებნაში იყო.

ყოველი მემუარისტი საკუთარი კლასობრივი პოზიციიდან აფასებს მის მიერ გადმოცემულ ამბავს, წარსულს თანამედროვეობისა და მომავალი ცხოვრების თვალსაზრისით იხილავს.

ილიას კოლოსალური შემოქმედებითი ენერგია ჰქონდა და მას შეეძლო მთელი კვირის მანძილზე ჩაკეტილ ოთახში ემუშავა; მაშინ დავიწყებული ჰქონდა ძილი, ჭამასმა. ილიას მეუღლეს ოლღა გურამიშვილს ფეხაკრეფით შეჰქონდა საჭმელი და ასევე ფეხაკრეფით გამოდიოდა.

ილია იყო პოლემიკის ვირტუოზი. ვისაც კი ილია პოლემიკურ დუელში გამოუწვევია, ყველა დამარცხებულა, მისი ინტელექტუალური სიფხიზლე და ენერგია მაგიის გრძნეული ძალით მოქმედებდა მოპაექრეზე. პოლემიკურ ჭიდილს იგი ნამდვილ ომს ადარებდა, სადაც მახვილის სიტყვისა და სხარტი აზროვნების არსენალიდან ამოტანილი ზარბაზნები ჰქუხდნენ.

ნამდვილი უკომპრომისობა გამოიჩინა მან კატკოვთან, პატკანოვთან, ეზოვთან და სხვა შოვინისტებთან ბრძოლაში და გამარჯვებული გამოვიდა.

ილია სტუმართმოყვარეობითაც გამოირჩეოდა. საახალწლო, სააღდგომო დღესასწაულები და „ილიაობა" მაღალ დონეზე აღინიშნებოდა საგურამოში, ილიას ოჯახში.

განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებდა ილია თავისი სახელობის დღეს - „ილიაობას". ამ დღეს მის ლურჯად აყვავებულ და მზით განათებულ ეზოში თავს იყრიდნენ რჩეული ქართველი მოღვაწეები, სათავადაზნაურო ბანკისა და „ივერიის" თანამშრომლები, თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსეთიდან თუ

უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, ი. წინამძღვრიშვილის სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები და საგურამოელი დარბაისელი გლეხობა.

დიდი სამზადისი ტარდებოდა ღირსეული სტუმრების მისაღებად, გაიშლებოდა გულუხვი, გრძელი და სანოვაგით სავსე ლურჯი სუფრები. ხშირად დარახტულ ცხენებზე შემსხდარი, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ცხენოსნები „მგზავრულის“ სიმღერით თეთრ ცხენზე ამხედრებულ პოეტ გრიშა აბაშიძის მეთაურობით მიეგებებოდნენ პოეტს. ისმოდა „მრავალჟამიერი“, ოქრონარევი სიტყვები, მღეროდა ნატო გაბუნია და სხვა გამოჩენილი ვოკალისტები, იმართებოდა იუმორისტული სცენები...

ქართული კულტურის მრავალ რუს და საზღვარგარეთელ მეგობართან ახლო და ეპისტოლური ურთიერთობა ჰქონდა ილიას, მათ გააცნეს რუსეთსა და ევროპას ქართული მეცნიერება და მწერლობა. მათ შორის აღსანიშნავია დიდი დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, მწერალი ვასილ ველიჩკო, გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველოლოგი, შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი, გერმანელი ორიენტალისტი, პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, გერმანელი პროფესორი გოტფრიდ მერცბახერი, ავსტრიელი ენათმეცნიერი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი ჰუგო შუხჰარდტი, ინგლისელი მეცნიერი ქართველოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი უ. რ. მორფილი, ინგლისელი მწერალი და მთარგმნელი მარჯორი უორდროპი და მისი ძმა ოლივერ უორდროპი, ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების პრეზიდენტი ე. ა. კაზალეტი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, ფრანგი მოგზაური და მკვლევარი ჟაკ /იაკობ/ ბერტილონი, ფრანგი არქეოლოგი, ეთნოგრაფი, მოგზაური და მწერალი ბარონ დე ბაი, იტალიელი მკვლევარი, დოქტორი გულიელმო პასილი, იტალიელი, ლიტერატურის მკვლევარი ე. მადალენა და სხვა.

ბევრი მათგანი ჩამოდიოდა საქართველოში და ილია იყო მათი გულდია მასპინძელი.

ილიას ცხოვრების ფრიად საინტერესო ეპიზოდს გადმოგვცემს ვ. ჯანიაშვილი. იგი ეხება საგურამოში, ილიას მიერ თავის სახლში გახსნილ „სამადლო სკოლის“ დიდ სიკეთეს, სკოლას, რომელშიც სწავლობდნენ საგურამოსა და მისი რეგიონის სოფლების გლეხებისა და მოჯამაგირეების შვილები.

ილია მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობაში იყო საგურამოელ და მის მიმდებარე სოფლების გლეხებთან.

საგურამოელი გლეხი ზ. ხეცურიანი წერს: „ვიღაცამ რომ მოიგონა ტყუილი, თითქოს კოკა გაუტეხა ილიამ გლეხსა წყალზედაო, მოჭორილია. ესე რო ყოფილიყო, ჩვენზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა, ან იმ სიშორეზე, როგორც ილიას წყაროა, ვინ წავიდოდა წყაროზე“. ამასვე ადასტურებენ არტ. ახნაზაროვი და გლეხი ს. ფრიდონაშვილი. იგი წერს: „ზოგნი ამბობდნენ ილიამ წყაროზე კოკა გამიტეხაო. ჯიბრით გაზეთში გაუშვეს, გლეხს წყალზე კოკა გაუტეხაო. კოკა ილიას არ გაუტეხია. აქ ერთი ლეჩხუმელი გორგასლიძე იყო ტარასენცკიანთა (სტაროსელსკებთან - შ. ბ.), იმან გაუტეხა“.

ეს მაგალითები ცხადყოფენ, რომ სტატია „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელიც 1905 წლის „მოგზაურის“ №13-ში დაიბეჭდა, ცილისმწამებლურია და არ შეეფერება სინამდვილეს.

„აღტაცებული იყო მოსწავლე თაობა ილიათი, - წერს გამოჩენილი მწერალი ვასილ ბარნოვი, - ავყვებოდით ხეირნობად გამოსულს, შორიახლო მივსდევდით ჩვენს სიამაყეს. თუ ერთად ვნახავდით ილიასა და აკაკის, ჩვენს სიხარულს ნაპირი აღარ უჩანდა. ჩვენთვის ილია იგივე საქართველო იყო, ეშხით მებრძოლი სამშობლო, მურაზით სავსე“.

მეეტლე ი. ჩალაური, რომელიც თექვსმეტი წელი მუშაობდა ილიასთან, მეტად მიმზიდველად აღწერს კახეთში მოგზაურობას და კახეთის საზოგადოების დიდ პატივისცემას თავისი ღირსეული შვილის ილიასადმი, წინამურიდან ფიქალი ქვების ამოტანას და კაკლების ქვეშ მაგიდებად გამართვას,. ავჭალის წყალსადენის მშენებლობაში ილიას აქტიურ მონაწილეობას...

ილია მატერიალურად ეხმარებოდა ბრმებს, მოგანოებს, ხელმოკლე ადამიანებს, ობლებს. ამას გადმოგვცემენ თავიანთ მოგონებებში ა. უნდილაშვილი,. მ. გზირიშვილი, ზ. ჯავახიშვილი, ა. მაისურაძე და სხვ.

ილია არქეოლოგიური გათხრების ერთი პირველი ენთუზიასტთაგანი იყო საქართველოში. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „არქეოლოგიური კომისია“, რომლის წევრები იყვნენ დიმ. ბაქრაძე, ილ. ოქრომჭედლიშვილი, ექ. თაყაიშვილი და დავ. ქუთათელაძე.

გლეხთა მოგონებებში ფიქსირებულია ილიას გულკეთილობა, ადამიანური სათნოება, კაცურკაცობა, ალტრუისტობა, დიდბუნებოვნება და ჰუმანიზმი. ვ. მახარაშვილის გადმოცემით, მამასახლისის არჩევის დროს ილიამ გლეხებს განუცხადა: „მამასახლისად ისეთი კაცი უნდა აირჩიოთ, რომელიც სოფელსა და გლეხებს გაუფრთხილდება ისე, როგორც თავის ორ თვალსაო“.

ჯიღაურელი გლეხი ს. ცეიშვილი გადმოგვცემს: „გამაფხულობით ბევრს დააკლდებოდა ხოლმე ჭირნახული. ილიასთან ვინც კი მივიდოდა და სთხოვდა, იმ საათში აძლევდა, თითონ რომ მარცვალიც არ დარჩენოდა, ცარიელს მაინც არ გამოისტუმრებდა კაცსა“.

მოგონებათა ყურადღების ცენტრში მოქცეულია აგრარული პრობლემებიც. მიუხედავად არაპროფესიულობისა, მისი სიტყვა ამ დარგშიც არ იყო მოკლებული კომპეტენტურობასა და მაღალ ავტორიტეტს. იგი აკვირდებოდა არსებული ბუნებრივი პირობებისა და კლიმატური მონაცემების მიხედვით მცენარეთა ჯიშების შერჩევას, რომელზედაც იყო დამოკიდებული მოსავლის გაზრდის ეფექტიანობა.

ილია თავისი „ივერიის“ ფურცლებიდან სისტემატურად მოუწოდებდა ქართველ გლეხობას საგაზაფხულო სამუშაოების დროულად შესრულებისაკენ, დაუყოვნებლივ მიეხედათ ვაზისათვის, რომ დაემარცხებინათ ჭრაქის შემოტევა.

ყვარლისა და საგურამოს მამულებში მოსაშენებლად ილია ვაზისა და ხეხილის მაღალხარისხოვან ჯიშებს არჩევდა, ტყის მერქნიან, ბუჩქოვან და დეკორატიულ მცენარეებს რგავდა. ილიას ჯერ კიდევ 1866 წელს დამუშავებული ჰქონია საგურამოს ტერიტორიის გაშენების გეგმა, რომლის რეალიზაცია აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა.

მოგონებებში საპატიო ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს დათმობილი ილიას ეროვნულ მოღვაწეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა 1905 წლის რევოლუციის სისხლიანმა ქარიშხალმა იფეთქა და როცა აღვირახსნილი დესპოტიზმის შედეგად დასავლეთი საქართველო სისხლის ზღვაში ცურავდა. ნასაკირალში რევოლუციური გამოსვლების რევანშისათვის მთავრობამ დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა სასტიკი გენერლის ალიხანოვ-ავარსკი მაქსუდის მეთაურობით.

მწერალი ნინო ნაკაშიძე ამ ამაღელვებელ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს: „ილია ჭავჭავაძემ ეს რომ გაიგო, მაშინვე დატრიალდა და შეკრიბა მთელი თბილისის მოწინავე ინტელიგენცია, თავადაზნაურობა და სხვა პარტიის წარმომადგენლები. ამ კრებას დასწრებია ვაჟა-ფშაველაც. ილია ჭავჭავაძე ძალიან აღელვებული და აღშფოთებული ამდგარა და მიუმართავს კრებისათვის შემდეგი სიტყვებითო:

„- თქვენ, იქნება, არ იცოდეთ, რომ სასწრაფოდ გაგზავნეს დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, ერთი ჩვენი საკუთარი კუთხის,. გურიის მოსასპობად. ალიხანოვი უსასტიკესი ადამიანია, ის არავის დაზოგავს და უნდა მოველოდეთ, თუ ის ჩავიდა გურიაში, ქალიან-ბავშვიანად ამოწყვეტს ყველას.

ჩვენი ყველას მოვალეობაა, გადავარჩინოთ ეს ჩვენი ქვეყნის თვალი ამ საშინელ განსაცდელს. სასწრაფოდ, ახლავე ავირჩიოთ წარმომადგენლები და გავგზავნოთ მეფისნაცვალთან, ვთხოვოთ, დააბრუნოს ალიხანოვ-ავარსკი მისი რაზმით და თუ არ დააბრუნებს, მაშინ ჩვენ ყველანი უნდა ავდგეთ, ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად გავწყდეთ, ჩვენი ძვლებიც იმათთან ჩავყაროთ“. მაშინვე აურჩევიათ და გაუგზავნიათ დეპუტაცია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ვაჟას უთქვამს, ორას კაცს, შეიარაღებულ თუშ-ფშავ-ხევსურებს მე ჩამოვიყვანო. მეფისნაცვალი დათანხმებულა დეპუტაციის თხოვნაზე. საჩქაროდ დეპეშა გაუგზავნია ალიხანოვისათვის, დაბრუნებულიყო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ალიხანოვი დაბრუნდა ქუთაისიდან.

მიუხედავად ამისა, შემდეგ, რადგან გურია მაინც არ დამშვიდდა, ალიხანოვმა მიაღწია მიზანს და გადაწვა გურია.

დამწვარი ოჯახების დასახმარებლად შეიქმნა გურიაში „დამწვართა კომიტეტი“, ხოლო თბილისში - საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო თამარ გრუზინსკაია. ამ საზოგადოების კრებაზე ილიას მოთხოვნის თანახმად, გურულების დასახმარებლად სასწრაფოდ გაიგზავნა ოთხასი თუმანი, აგრეთვე უნდა აღმოეჩინათ დახმარება წამლებით, ექიმითა და ტანსაცმლით.

თბილისის საადგილმამულო ბანკის თანამშრომელი ალ. გიქიმყრელი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, თუ როგორ შეაჩერა ილიამ ქართლსა და კახეთში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა, რომელსაც მიზნად ჰქონდა რამდენიმე სოფლის განადგურება, რათა ხალხი დაშინებულიყო და იქაც არა დაეწყოთ-რა, როგორც დასავლეთ საქართველოში.

გლეხი მ. ფირადაშვილი გადმოგვცემს ილიასთან საუბარს და იგონებს მის ნათქვამს: „მიხავ, ზოგი კაცი ფიქრობს, ჭავჭავაძეს ტყე რათა აქვს შეკრულიო, აი რა გითხრა - ეს ტყე რო არ იყოს, ამ სოფელს ნიაღვარი წაჰლეკავს. ამ სოფელს ტყე ინახავს. მე, ხომ იცი, ერთი უშვილო კაცი ვარ, გადავბრუნდები და მოვკვდები და ეს ყველაფერი თქვენს შვილებს და შვილიშვილებს უნდა დარჩეთ. მე რო ეს ტყე გავკაფო, თქვენი შთამომავლობა დამწყევლისო“.

„გლეხობა - ეს უმრავლესობა ქართველებისა, ეს სული და გულია ჩვენი იმედებისა“, - წერდა ილია და ნიჭიერად მოფიქრებულ მხატვრულ შედარებას მოიშველიებდა ხოლმე: „საქართველო მუხაა, ხოლო მისი ფესვები - გლეხობა. მუხა გაუძლებს ქარტეხილებს, თუ ფესვები ჯანსაღი და მაგარი იქნება“.

ილია სიყვარულშიც მომხიბლავი და ძლიერი იყო. მართალია, იგი დინჯი და აუჩქარებელი იყო, ყოველთვის თან დაყვებოდა თავადური სიდარბაისლე, თავდაჭერილობა, მაგრამ ერთმა კეკლუცმა მანდილოსანმა მაინც მოაჯადოვა. ელისაბედ ჩერქეზიშვილის სიტყვით „მას იშვიათად მოეწონებოდა ვინმე, ხოლო თუ მოეწონებოდა შექსპირის თქმისა არ იყოს, ფოლადის ჯაჭვით მიეჭედებოდა“.

1906 წლის 7 მარტს საქართველოს თავადაზნაურთა კრებამ ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ჟურნალისტ მ. ბოლქვაძის მოგონება „ილია ჭავჭავაძე რუსეთში“.

მოგონების ავტორი აღწერს, თუ როგორი რეზონანსი გამოიწვია პეტერბურგის უმაღლეს არისტოკრატულ საზოგადოებაში ილიას გამოჩენამ, ინტერვიუმ პოლიტიკური პრესის წარმომადგენლებთან და, საერთოდ, ილიას მიერ ქართველი ხალხის აწიოკებული ცხოვრების დახატვამ.

პეტერბურგელი ქართველები ურჩევდნენ ილიას, არეულობის გამო საქართველოში არ გამგზავრებულიყო და ცარსკოე სელოში ან პეტერბურგის სხვა გარეუბანში დაესვენა. ამას თვით ოლღა, მისი მეუღლეც ეთანხმებოდა, თითქოს ინსტინქტურად გრძნობდა აგვისტოში მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ ამაოდ. ილია პრინციპულად მოითხოვდა სამშობლოში გამგზავრებას, ნოსტალგიით შეპყრობილს ვერ წარმოედგინა ამდენი ხნის უნახავ საქართველოსთან დაშორება „როგორ შეიძლება?! ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში?.. ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენს ქვეყანას არ გადავხედე, ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია? უთუოდ წავალ - რას ან ვის უნდა შევუშინდე?! მე იქ რა უნდა მაშინებდეს? მე არავინ არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?“

ილიას უყვარდა ლაიბნიცის სიტყვების ორიგინალურ თხზულებაზე ეპიგრაფად წამძღვარება: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ და ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ ილიას ტიტანური მოღვაწეობა წარსულში დღეს აწმყოს სამსახურში დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო კუნცევა-გაბაშვილი

## დუმილისათვის განწირულნი

მწერალ დოსტოევსკისა და კინორეჟისორ ბერგმანის ნაწარმოებებს ასზე მეტი წელი აშორებს. სწორედ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე წარმოიშვა კინემატოგრაფი. თუ თვალს გავადევნებთ ბერგმანისა და დოსტოევსკის შემოქმედებას, რაც არაერთხელ უცდიათ მათი შემოქმედების მკვლევარებს, უამრავ საერთო თვისებას გამოვყოფთ:

1. ბერგმანის და დოსტოევსკის, როგორც ხელოვანთა და მოაზროვნეთა, ინტრავერტობა;
2. ფსიქოლოგიური ანალიზისადმი სიყვარული და მიდრეკილება, ღრმად შეღწევა ადამიანის სულში;
3. ძირითადი ლაიტმოტივია უძლიერესი აფეთქებებით აღსავსე ცხოვრების წინაშე პასუხისმგებლობის თემა. შემოქმედნი ხშირად უბრუნდებიან აზრს, რომ ტანჯვით გამოისყიდება დანაშაული.
4. თავიანთი გმირები გადაჰყავთ ხელოვნურ დროსა და სივრცეში;
5. დამახასიათებელია რომელიღაც ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი სიტუაციის პირობითი მოდელირების პრინციპი;
6. ორივე ხელოვანისთვის უმნიშვნელოა მათი გმირების ცხოვრების საგნობრივ-მოვლენური, საზოგადოებრივ-პრაქტიკული მხარე;
7. აღსანიშნავია კითხვების დასმის მგზნებარე სურვილი, ისინი ისწრაფიან მიხვდნენ, რატომ არის ადამიანი სულ მარტო და რატომ არ შეიძლება ელოდეს დახმარებას, სად არის დედამიწა და სად არის ღმერთი;
8. მათ ნაწარმოებებში, თუმცა არც ისე ხშირად, ადამიანი რჩება ადამიანად, ძლებს თავისი ადამიანური არსის დაუზიანებლად;
9. ორივე ხელოვანი გმირებს უტოვებს გადასარჩენ გზას, სანამ ისინი არ გაჩერებულან, სანამ მათი სული ჯერ კიდევ ცოცხლობს.

ღმერთის არსებობის პრობლემა არის ბერგმანის და დოსტოევსკის ბევრი გმირის ძიებათა საწყისი წერტილი. ისინი აგებენ თავიანთ თეორიებს და ცდილობენ მათ გამოყენებას თანამედროვე საზოგადოებაში. ეძებენ ღმერთს, უსვამენ კითხვებს, მიუხედავად ღმერთის დუმილისა, უყვართ იგი და სძულთ, ლოცულობენ და საყვედურობენ, უარყოფენ და, ამავე დროს, ეჭვი არ ეპარებათ მის არსებობაში. და ისინი ჯანყდებიან... ისინი უჯანყდებიან შორეულ ღმერთს და იმ ღმერთს, რომელიც მათ სულშია. მეტაფიზიკური ბუნტი არის ადამიანის ამბოხი საკუთარი ხვედრის და მთელი სამყაროს წინააღმდეგ. ამბოხი კი არ უარყოფს, არამედ იწვევს. ამბოხებული არ იცილებს ღმერთს, მხოლოდ ესაუბრება მას, როგორც თანასწორს. ამ შემთხვევაში ბოროტებაზე ბოროტებით პასუხობენ, სისასტიკეზე სიამაყით. „ამბოხის მიზანი არის გარდასახვა" (ა. კამიუ).

ღმერთი, ბოროტება, ტანჯვა, უდანაშაულო მსხვერპლი - ყველაფერი მტკიცედ შეიკრა ბერგმანისა და დოსტოევსკის ნაწარმოებებში. ივანე და დიმიტრი კარამაზოვები, რაინდი ბლოკი („მეშვიდე ბეჭედი"), პასტორი ტომასი („ზიარება"), იპოლიტე („იდიოტი"), მარი („ჩაფხულის თამაში"), კირილოვი („ეშმაკნი"), ვიქტორი („შემოდგომის სონატა").. ყველანი ეძებენ თავიანთ ღმერთს; ვერ პოულობენ; ესაუბრებიან, როგორც თანასწორს, კლავენ მას... ღმერთის მკვლელობასთან არის დაკავშირებული ივანის ძირითადი პოსტულატი „თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია".

დოსტოევსკის გმირებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ კითხვებს ფილოსოფიურ ასპექტში წყვეტენ, ბერგმანის გმირები მათ ფსიქოლოგიურად უდგებიან.

ღმერთის და ბოროტების თანაარსებობის პრობლემა ყოველთვის მეტაფიზიკური ბუნტის ცენტრში იყო. „როგორ შევუსაბამოთ ერთმანეთს სამართალდაცვის ბუნებრივი აქტი და ქრისტიანული მცნებები? როგორ გავამართლოთ თავი ყოვლის ამტანი „კეთილი" ღმერთის წინაშე? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ ბერგმანის ფილმები „წყარო" და „მეშვიდე ბეჭედი",

ვიქტორი ფილმიდან „შემოდგომის სონატა", ისევე, როგორც ივანე კარამაზოვი, არ იღებს თუნდაც ერთი ბავშვის ცრემლით ნაყიდ „ბროლის სასახლეს". „ყველა დამნაშავეა ყველას მაგივრად", - აცხადებს დიმიტრი კარამაზოვი და მზად არის, ყველას ნაცვლად იტანჯოს. ივანე აჯანყდა აბსურდული სამყაროს, საბოლოო ჰარმონიის წინააღმდეგ, რომელიც ასევე უსასრულო რაოდენობის ინდივიდუალური ბედის ცალკეული დისჰარმონიისაგან იქმნება.

ადამიანი ჯანყდება, რათა პიროვნებამ თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი ბედი, და თანახმაა დააბრუნოს ჰარმონიაში შესასვლელი საბოლოო ბილეთი. აქედან გამომდინარე, იგი არჩევანის და გადაწყვეტილების მიღების აბსოლუტურ თავისუფლებას იტოვებს. ასეთები არიან ივან კარამაზოვი და რაინდი ბლოკი, რომელიც თვითონვე თამაშობს საკუთარი ბედით, როდესაც სიკვდილს ჭადრაკს ეთამაშება.

ბერგმანისათვის „ღმერთის" ცნება გაორებული ხასიათისაა: ერთი მხრივ - ეს არის ღმერთი - ურჩხული, ღმერთი-ობობა, ადამიანის მაწამებელი და მტანჯველი („ზიარება", „როგორც სარკეში", „ზაფხულის თამაში") და მეორე მხრივ - სიყვარულის ღმერთი („მეშვიდე ბეჭედში" მას განასახიერებენ იოფი და მია, ან ფილმში „როგორც სარკეში" მისი სჯერა მწერალ დავითს)...

ივანე კარამაზოვი, პეტრე ვერხოვენსკი, კირილოვი თვითონ ცდილობენ გახდნენ ღმერთი. „ამბოხს უნდა ყველაფერი ან არაფერი". ისინი არ ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტება არ არსებობს სამყაროში. ივანე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბობს, რომ, თუ არსებობს ჭეშმარიტება, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მიუღებელი. რატომ? იმიტომ, რომ „იგი უსამართლოა" (ა. კამიუ)

მაგრამ როგორც კი ადამიანი კარგავს ღმერთის და ჭეშმარიტების არსებობის რწმენას, „იგი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც წამებაში დაბადებულია და განწირულია ტანჯვისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში".

მეტაფიზიკური ბუნტის ერთ-ერთი სახე არის კაც-ღმერთის, ანუ ზეადამიანის იდეა, რომელიც პირველად გამოჩნდა შტირნერის ფილოსოფიაში და თავის აპოგეას აღწევს ნიცშეს შემოქმედებაში. ხოლო მეტაფიზიკური ბუნტის მეორე მხარეა ღმერთკაცის იდეა, რომელიც კანტმა დაამუშავა. ღმერთკაცისა და კაც-ღმერთის თემა მეტაფიზიკური ამბოხის ცენტრშია. ზოგი გმირი სამყაროს პრობლემის გადაწყვეტისას აცხადებს იმ ადამიანის, კაცღმერთის ბატონობას სამყაროზე, რომლისათვისაც არ არსებობს კანონი. მეორენი კი მზად არიან, „იტანჯონ" კაცობრიობისთვის და ამგვარად გახდნენ ღმერთკაცნი. დიმიტრი კარამაზოვმა, რომელსაც სურს იტანჯოს „ბავშვის მაგივრად", თავისი წარსული გარყვნილი ცხოვრება უნდა გამოისყიდოს. კირილოვი, რასკოლნიკოვი და ივანე კარამაზოვიც კაცობრიობის გადარჩენის სურვილით ანთებულან. გმირები ხედავენ, რომ დედამიწაზე არ არსებობს სამართლიანობა, მათ გული აუცრუვდათ ღმერთის სამართლიანობაზეც, მაგრამ არის მხურვალე აღშფოთება გულქვა საზოგადოებაზე, ადამიანის ბუნების ბოროტებაზე და სიბრიყვეზე, არსებობს სამართლიანობის წყურვილი - სამყარო მზად არის მესიის მოსვლისთვის! ჩნდება კითხვა: ვინ იქნება მესია? და ისინი მზად არიან გახდნენ მესია, სიკეთე გამოიჩინონ „მოცახცახე პირუტყვის" მიმართ გაბედნიერონ უბედურნი და გაათავისუფლონ დაჩაგრულნი ძალით, მათი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. აქ იბადება „დიდი ინკვიზიტორის" თემა", რომელიც თავის თავზე იღებს მთელი ხალხის ბედის გადაწყვეტის უფლებას. კაცღმერთის როლს ითვისებენ ივან კარამაზოვი, კირილოვი, პეტრე ვერხოვენსკი.

სულიერი განწყობილება დიმიტრი კარამაზოვისა, რომელიც ყველას მაგივრად იტანჯება, რასკოლნიკოვისა, რომელიც ცდილობს, თვითონ ატიოს მესიის ჯვარი, პასტორ ტომასისა („ზიარება"), რომელსაც შურს ქრისტეს ტანჯვა, კირილოვისა, რომელმაც კაცობრიობის სიყვარულის გამო თავი მოიკლა, შეიძლება შევადაროთ ქრისტეს „სულის ფენომენოლოგიას" რომელმაც საკუთარ თავზე აიღო კაცობრიობის ცოდვები. მაგრამ ქრისტე ღმერთის შვილია; საკუთარი თავის ამგვარი არჩევა მხოლოდ თვით ღმერთისთვის არის მისაწვდომი. ღმერთკაცის დანაშაული კი თავისუფლების ამ აქტში, საკუთარი ბედის არჩევანში მდგომარეობს. ამგვარად, ადგილი აქვს ორმაგ ამბოხს: I - ამბოხი თვით ღმერთის ადგილის დასაკავებლად და ბრძოლა აქ მიმდინარეობს დასასრულამდე, სადამდეც მხოლოდ ერთ-ერთის გამარჯვება მიგვიყვანს; II- გმირი მზად არის ავიდეს გოლგოთაზე და დაიტანჯოს მთელი კაცობრიობის მაგივრად და სწორედ ამით იგი იჭრება ღმერთის „კომპეტენციაში", ამავე დროს, ეს მეტაფიზიკური ბუნტის მეორე მხარეა.

ბუნტის ერთ-ერთი სახეა მკვლელობა და თვითმკვლელობა. ა. კამიუ წერდა, რომ „არსებობენ ამბოხებულნი, რომელთაც სურთ მოკვდნენ, და სხვანი, რომელთაც სურთ მოკლან".

ბერგმანის და დოსტოევსკის ბევრი გმირი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ასეთებია ნიკოლაი სტავროგინი და სმერდიაკოვი, იუნას პერსონი („ზიარება") და მაკს როზენბერგი („გველის კვერცხები") და, რა თქმა უნდა, კირილოვი და სვიდრიგაილოვი...

ფილმში „მარიონეტების ცხოვრებიდან" უმნიშვნელოვანესია ექიმის დასკვნა: „მხოლოდ ის, ვისაც კლავ, არის შენი ძალაუფლების ქვეშ, მხოლოდ მოკლულის ფლობა შეგიძლია სრულებით".

პიტერიც („მარიონეტების ცხოვრებიდან") და რასკოლნიკოვიც მთელი ძალისხმევით ცდილობენ, გაექცნენ დანაშაულს. მათ სულში ორი ზნეობრივი ორიენტაცია ებრძვის ერთმანეთს. პიტერთან ეს არის: ზნეობრივი და ფსიქოლოგიური (ქვეცნობიერი). რასკოლნიკოვთან - „ბურჟუაზიულ-ინდივიდუალური" და „პატრიარქალურ-მემკვიდრეობითი".

ამბოხებული ერთი დარტყმით თითქოს ორად ჰყოფს სამყაროს. ადამიანთა თანასწორობისათვის მებრძოლი წირავს ამ სამყაროს. ამბოხებულს, იმის მიუხედავად, თავს იმცირებს თუ მაღლდება, სურს, იყოს განსხვავებული იმისგან, ვინც სინამდვილეშია.

ცხოვრების უსახურობა, სივიწროვე, დახუთულობა ქმნის მტანჯველ, აუტანელ ზნეობრივ ატმოსფეროს და ბერგმანის გმირებს მკვლელობისა და თვითმკვლელობისაკენ უბიძგებს. ასე ხდება ფილმებში „ცხე" და „სირცხვილი". რეალური ცხოვრება თრგუნავს გმირებს, ტანჯავს და აწამებს, ტეხავს, ავლენს მათ დაფარულ სიღრმეებს; ძალადობას, მაროდიორობას და მკვლელობას კანონიერად აქცევს.

მაგრამ როგორც კი ადამიანი უშვებს მკვლელობის შესაძლებლობას თუნდაც ერთხელ, მან მკვლელობა საზოგადო წესად უნდა აღიაროს.

„ეშმაკნი"-ს და „გველის კვერცხები"-ს გმირები ისევე, როგორც აბსოლუტური ნიჰილიზმი, თვითმკვლელობას სრულიად კანონიერ აქტად მიიჩნევენ, უფრო ადვილად აღიარებენ მკვლელობას. მაგრამ მკვლელობის უფლების აღიარება ყველა „ერთადერთის" მობილიზაციას და ომს ნიშნავს. და, ამგვარად, მკვლელობაც თავისებურ კოლექტიურ თვითმკვლელობად გადაიქცევა.

დოსტოევსკის გმირები სვამენ კითხვას: „ყველა ადამიანი რატომ არ იკლავს თავს?" „მწერლის დღიურში" დოსტოევსკი აღწერს თვითმკვლელის აზრთა მდინარებას: ყველაფერი მატერიაა, აზრი არაფერს აქვს, ცხოვრება სასტიკია, ვიღაც გვეთამაშება, ჩვენ მოტყუებულნი ვართ; „მოსარჩელეს და მოპასუხის, მოსამართლის და განსასჯელის მდგომარეობაში მე ჩემთან ერთად განადგურებას ვუსჯი ამ ბუნებას, რომელმაც ასე უცერემონიოდ და თავხედურად მომიწოდა ტანჯვისაკენ; მაგრამ რადგან ბუნების განადგურება არ შემიძლია, მე საკუთარ თავს გავანადგურებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მომბეზრდა ისეთი ტირანიის ატანა, რომელშიც არავინ არის დამნაშავე". თვითმკვლელობის უმაღლესი ფორმა არის კირილოვის თვითმკვლელობა. აქ საუბარია არა შურისძიებაზე, არამედ ბუნტზე. მას სურს მოიკლას თავი, რათა ღმერთი გახდეს.

ადამიანი დამნაშავის აზროვნებით, რომელიც სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვარზე დგას, ტანჯვით სცდის თავს, ჩხრეკს საკუთარ სინდისს, ბერგმანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დოსტოევსკის შემოქმედებითი ძიების მთავარი გმირია.

ბერგმანის და დოსტოევსკის გმირები ებრძვიან საზოგადოებას სულიერი თავისუფლების, „პირადი" სამყაროს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მაგრამ ისინი შეიგრძნობენ ამ „თავისუფლებას", როგორც წყევლას, როგორც უმძიმეს ჯვარს. ბევრ ნაწარმოებში ჩანს ანთიტეზა: „მე" და „საზოგადოება", ან „მე" და „კაცობრიობა". გმირი იკეტება საკუთარ თავში, მირბის კუნძულზე (როგორც ბერგმანის ფილმებში „სარკის მეორე მხარეს", „მგლის საათი", „ვნება", „სირცხვილი" და სხვა) და „იატაკქვეშეთში" (როგორც დოსტოევსკის რომანებში). სუბიექტის შეჯახება გარესამყაროსთან, მათი ურთიერთკავშირი, რომელი მათგანი უფრო სიცოცხლისუნარიანია - აი რა აინტერესებს ბერგმანს და დოსტოევსკის.

მაგრამ ადამიანს არ შეუძლია დიდხანს იცხოვროს თავის „იატაკქვეშეთში", მას სჭირდება სხვა ადამიანების აღიარება, იგი თვითონაც არ მიიჩნევს საკუთარ თავს ადამიანად, სანამ ამას სხვები არ აღიარებენ.

დევუშკინს აწამებს კითხვა - ადამიანია იგი თუ ლანჩა; გოლიადკინს ტანჯავს კითხვა - ადამიანია იგი თუ ჩვარი; იატაკქვეშელი ადამიანი დილემას შეუპყრია - გმირია იგი თუ ტალახი; რასკოლნიკოვს აწამებს: „ტილი ვარ თუ ადამიანი, მოცახცახე პირუტყვი ვარ თუ უფლება მაქვს?" პარადოქსალისტი, რომელიც ბუნების კანონების წინააღმდეგ ჯანყდება და აცხადებს უფლებას თავისუფალი ნების გამომჟღავნებაზე, გრძნობს საკუთარი ამბოხის განწირულობას. პარადოქსალისტი გამოდის „იატაკქვეშეთიდან" და გადაიქცევა რასკოლნიკოვად, რომელიც მზად არის „მოცახცახე პირუტყვს" კეთილისმყოფელი გახდეს, გააბედნიეროს უბედურნი და გაათავისუფლოს დაჩაგრულნი ძალით, მათი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ამ კონცეფციაში ჩადებულია დიდი ინკვიზიტორის თეორიის მარცვალი.

დიდი ინკვიზიტორის თემის გაგრძელებაა ფილმები „ფანი და ალექსანდრე", „ქვეყნის კვერცხები" და სხვა. ადამიანები ამგვარ სამყაროში უსუსური მარიონეტები არიან, რომლებიც პატრონის ჭკუაზე დადიან. არავინ არაფერზე აგებს პასუხს, იმიტომ რომ ყველა უსუსურია.

საზოგადოებაში ადამიანის მარტოსულობის თემა არის ლაიტმოტივი ფილმებისა „სანავსადგურო ქალაქი", „მარწყვის მდელო", „გველის კვერცხები", „შემოდგომის სონატა", „წყურვილი", ჩვენს სიყვარულს აწვიმს", „ჩურჩული და ყვირილი" და სხვა.

ბერგმანის და დოსტოევსკის გმირები გამოსავალს ეძებენ და ბოლოს ასკვნიან, რომ ან ეს სამყარო უნდა შეიცვალოს, „აშენდეს ახალი იერუსალიმი", ან საზოგადოებას უნდა გაექცნენ სიცარიელეში, „იატაკქვეშეთში".

ბერგმანის ბევრ ფილმში მოთხრობილია ცირკის მსახიობთა ხეტიალის შესახებ. მათი ხეტიალი არის მუდმივი გაქცევა მტანჯველი რეალობისაგან, მიუღწეველი ბედნიერების, თავისუფლების, სიკეთის მუდმივი დევნა.

ბერგმანის ადამიანი აღწევს საკუთარი სულის ფსკერამდე და მას უკვე აღარ ესმის სამყაროსი. „ბედნიერების" ცნება მისთვის „სიმშვიდედ" გადაიქცევა. გმირი ძლიერ განიცდის საკუთარ ჩაკეტილობას და მარტოსულობას, თან გრძნობს, რომ მისი ტანჯვა დაუმორჩილებლობის შედეგია.

ეჭვებისა და მარტოსულობის გამომხატველი ფილმების პარალელურად ბერგმანი იღებს ფილმებს, რომლებშიც დამორჩილებისკენ მოუწოდებს, რათა შეეგუონ ღალატს, ტანჯვას, ჭუჭყს, რწმენის დაკარგვას, რაც ასე საშინელი და აუხსნელია. ბერგმანს და დოსტოევსკის სურთ, გაიგონ სამყაროში ადამიანის გაუცხოების და ტანჯვის მიზეზი.

„იატაკქვეშეთიდან" დაწყებული გრძელი გზის დასასრულს, როდესაც ბერგმანის და დოსტოევსკის გმირები შეიმუშავებენ თეორიას და მის გამოყენებას ცდილობენ ცხოვრებაში, გადაწყვეტენ მთელი კაცობრიობის გადარჩენას, გადაიტანენ სასოწარკვეთილებას, დუმილს, კვლავ სიცარიელეს უბრუნდებიან, კუნძულზე და „იატაკქვეშეთში" მირბიან.

ღმერთისგან და საზოგადოებისგან გაუცხოებული გმირი, რომელსაც აღარ სურს სიცრუე, ხშირად იკეტება საკუთარ თავში, დუმდება. სიტყვების გაუფასურებაზე, მოქმედუნარიანობის დაკარგვაზე საუბარია ფილმებში „პერსონა" და „გველის კვერცხები". ბერგმანის და დოსტოევსკის გმირები ცდილობენ ესაუბრონ, გაუგონ ერთმანეთს, მაგრამ მათ სამყაროში ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.

დოსტოევსკის გმირებისთვის ოცნება ნიშნავს დამალვას ყველასა და ყველაფრისგან, საკუთარ თავთან და საკუთარი ოცნებებით ცხოვრებას. გარშემომყოფებთან იშვიათი ურთიერთობა, ჩაკეტილობა და მარტოსულობა ადამიანს დუმილისკენ უბიძგებს. მას უჭირს აზრის გამოხატვა: „მე მეზიზღება ყველა და ყველაფერი, ამიტომ ვერ ვლაპარაკობ" - აცხადებს კირილოვი, რომელმაც ოთხი წელი იცხოვრა მარტოობაში, საკუთარი ოცნებების ამარა.

განუსაზღვრელი და დაუფიქრებელი გამოყენებისგან სიტყვები ცვდება. ევა ფილმიდან „შემოდგომის სონატა" დედას საყვედურობს: „მე ვერ გიგებდი, არ მესმოდა შენი. შენი სიტყვები ზუსტია შენს სამყაროში, ჩემი - ჩემსაში. და თუ ჩვენ მათ გავცვლით, ისინი ყოველნაირ აზრს დაკარგავენ".

ადამიანის და საზოგადოების თანაარსებობის საკითხის გადაწყვეტისას მათ დაასკვნეს, რომ ცხოვრებისთვის აუცილებელია საჭირბოროტო საკითხებთან შეგუება, ე. ი. ან ტყუილი, ან დუმილი („პერსონა", „სახე"). ყველა ტრაგედიის კულმინაცია გმირების სიყრუეთია გამოწვეული. ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის, ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ ფილმში „დუმილი" უახლოესი ადამიანები, დებიც კი ვერ უგებენ ერთმანეთს.

ძნელია უფრო საშინელი მხატვრული სახის მოძებნა: ადამიანი, რომელსაც საკუთარი სხეული ჭამს, რომელსაც სამყარომ უღალატა, რადგან დროზე არ მოკვდა, სიკვდილის მოლოდინში ასრულებს კომედიას, ბრუნდება ღმერთისკენ, რომელსაც ქედს უხრის და ემსახურება ისე, როგორც ადრე ცხოვრებას ემსახურებოდა. იგი მუხლებზე დგას სიცარიელის წინ, მდუმარე ზეცისკენ გაშვერილი ხელებით.

ზეცის დუმილზე ადამიანიც დუმილით პასუხობს. ღმერთი არ პასუხობს პასტორ ტომასს („ზიარება"), რაინდ ბლოკს („მეშვიდე ბეჭედი") პასტორს („გველის კვერცხები"). გარშემომყოფებთან იშვიათი ურთიერთობა, ჩაკეტილობა და მარტოსულობა წირავს ადამიანს დუმილისათვის.

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები


















ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 2 ლარი

ნომერში გამოყენებულია გელა მიდელაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები

